ირაკლი ბურდული

სააქციო სამართლის საფუძვლები

II

ტომი

საკორპორაციო, საბანკო და
ეკონომიკური სამართლის ინსტიტუტი
(თსუ, იურიდიული ფაკულტეტი)

თბილისი 2013

IRAKLI BURDULI

FOUNDATIONS OF CORPORATE LAW

(ON THE BASIS OF GERMAN AND GEORGIAN LAW)

II
VOLUME

Institute for Corporate, Banking, and Economc Law
(TSU, Faculty of Law)

In Celebration of
the Sixties Jubilee of
Professor Besarion Zoidze
and the Fifties Jubilee of
Professor Lado Chanturia

Tbilisi
2013

ირაკლი ბურდული

სააქციო სამართლის საფუძვლები

(გერმანული და ქართული სამართლის მაგალითზე)

II
ტომი

საკორპორაციო, საბანკო და ეკონომიკური სამართლის ინსტიტუტი
(თსუ, იურიდიული ფაკულტეტი)

პროფესორ ბესარიონ ზოიძის
სამოცი წლისა და
პროფესორ ლადო ჭანტურიას
ორმოცდაათი წლის
იუბილეს აღსანიშნავად

თბილისი
2013

წიგნში სააქციო საზოგადოების სამართალზეა საუბარი. როგორც საკორპორაციო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განშტოება სააქციო სამართალი (მისი ვიწრო გაგებით) თავის თავში ძალზე ბევრ ინსტიტუტს მოიცავს. აღნიშნულ ნაშრომში ამ ინსტიტუტთა ძირითად სტრუქტურულ-ორგანიზაციულ მოცემულობებზეა გამახვილებული ყურადღება. გამოკვლეულია აქციონერთა უფლება-მოვალეობის თავისებურებანი; დახასიათებულია სააქციო საზოგადოების სტრუქტურული ორგანოების - აქციონერთა საერთო კრება, გამგეობა (დირექტორატი), სამეთვალყურეო საბჭო (საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა თანამონაწილეობის ინსტიტუტის ჩათვლით) - შექმნისა და ფუნქციონირების, მათი ამოცანების, დავალებებისა და უფლებამოსილების დოგმატურ-სამართლებრივი საკითხები და ისინი შედარებით-სამართლებრივ კონტექსტშია გადმოცემული.

ირაკლი ბურდული
თსუ-ის სრული პროფესორი,
სამართლის დოქტორი

Following book is dedicated to the Law on Joint-Stock Company. As the most important branch of the Corporate Law, the Law on Joint-Stock Company (in its narrowest interpretation) consists of many institutions. In the following work the main structural-organizational tasks of such institutions will be precisely focused on. The research is done on the characteristics of shareholders' rights and their obligations; dogmatic-legal issues of establishment and operation, also tasks, assignments and authority of the structural organs of the Joint-Stock Company – shareholders' general meeting, the Board (Board of Directors), the Supervisory Board (including the institute of participation of the company workers) – are described in the book. These issues are given in comparative-legal context.

Dr Irakli Burduli
TSU Full Professor

© გამომცემლობა „მერიდიანი", 2013
© ირაკლი ბურდული

ISBN 978-9941-10-782-5

სარჩევი

შინაარსი XIII

წინასიტყვაობა XIII

PREFACE XIX

შემოკლებანი XIII

ნაწილი I
აქციონერის უფლებები და მოვალეობები 35

ნაწილი II
საერთო კრება 193

ნაწილი III
გამგეობა 353

ნაწილი IV
სამეთვალყურეო საბჭო 449

გამოყენებული ლიტერატურა 501

შინაარსი

წინასიტყვაობა XIII
PREFACE XIX
შემოკლებანი XXV

ნაწილი I
აქციონერის უფლებები და მოვალეობები

თავი I. აქციონერის უფლებები და მოვალეობები 37
1. შესავალი 37
2. აქციონერის სააქციოსამართლებრივი უფლებები 40
2.1. აქციონერის ინდივიდუალური და კვოტაზე დამოკიდებული უფლებები 41
2.1.1. ინდივიდუალური უფლებები 41
ა) საერთო კრებაზე მონაწილეობის უფლება, როგორც კრებასთან დაკავშირებული უფლება 41
ბ) ხმის უფლება 48
გ) სიტყვის უფლება 51
დ) შეკითხვის უფლება 56
ე) განცხადების უფლება 58
2.1.2. კვოტაზე დამოკიდებული უფლებები 59
ა) 1%-ანი მონაწილეობით-სამართლებრივი უფლება ... 61
ბ) 5%-ანი მონაწილეობით-სამართლებრივი უფლება ... 68
გ) 10%-ან კვოტაზე დამოკიდებული უფლება 72
2.2. აქციონერის საერთო კრებისაგან დამოუკიდებელი უფლებები 73
2.2.1. შეცილების უფლება 73
2.2.2. სარჩელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნის თაობაზე (ე. წ. Nichtigkeitsklage) 76

2.2.3. საერთო კრების მოწვევისა და დღის წესრიგის საკითხების განსაზღვრის (განვრცობის) უფლება 79
2.2.4. გადაწყვეტილებათა გაცნობის მოთხოვნის უფლება ... 79
2.2.5. აქციონერის მიერ ინფორმაციის მოთხოვნის უფლება 80
3. აქციონერის სააქციოსამართლებრივი მოვალეობები 87
3.1. შესატანის შეტანის ვალდებულება 89
3.2. შენატანის განუხორციელებლობის სამართლებრივი შედეგი 94
3.2.1. შედეგი წესდებით გათვალისწინებული (პირველადი) შენატანის შეუტანლობის შემთხვევაში 94
ა) შეტანაზე ვალდებული პირი 102
ბ) ვადამოსული ვალდებულების შესრულება 104
გ) დამატებითი ვადის გასვლა 111
3.2.2. შედეგი დამატებითი შენატანის ვალდებულების დარღვევისას 133
3.2. ერთგულების მოვალეობა 156
3.2.1. შესავალი 156
3.2.2. საკორპორაციო-სამართლებრივი ერთგულების მოვალეობის ზოგადი სტანდარტი 158
3.2.3. მოვალეობის დაცვა ხმის უფლების გამოყენებისას .. 166
ა) დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება 167
ა.ა) „ლინოტიპი“ და იურიდიული დოქტრინა 171
ა.ბ) „Sachsenmilch“ დავა 173
ბ) ერთგულების მოვალეობის შინაარსი უმცირესობის მიერ ხმის უფლების გამოყენებისას: მინორიტარის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების შესახებ 174
ბ.ა) გირმესის დოქტრინა და უმცირესობაში მყოფი პარტნიორის ერთგულების მოვალეობა 179

3.2.4. დასკვნის ნაცვლად 187

ნაწილი II
საერთო კრება

თავი I. აქციონერთა საერთო კრება, როგორც სს-ის „ზემდგომი“ ორგანო 195
1. შესავალი 195
2. საერთო კრება როგორც ორგანო 203
3. საერთო კრების კომპეტენცია 211
3.1. „დაწერილი“ კომპეტენცია 214
3.1.1. წესდებაში ცვლილება-დამატების შეტანა 215
ა) რეორგანიზაცია 226
ა.ა) შერწყმა 228
ა.ბ) დაყოფა 236
ბ) ლიკვიდაცია 242
3.1.3. უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმება 247
3.1.4. წლიური ანგარიშის დამტკიცება, მოგების გამოყენების გადაწყვეტილება 259
3.1.5. სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის, წევრთა არჩევის და გამოწვევის გადაწყვეტილება 267
ა) სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა, წევრთა არჩევა .267
ბ) სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა გამოწვევა 282
3.1.6. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურება 286
3.1.7. აუდიტორის არჩევა 293
3.1.8. სასამართლო პროცესში მონაწილეობის უფლება 300
ა) სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობა,

საზოგადოების სახელით მოთხოვნის წარდგენის უფლებამოსილება 300
ბ) აქციონერის სარჩელის უფლება 314
3.1.9. ქონების შეძენის, გასხვისების ან დატვირთვის უფლებამოსილება 324
3.2. წესდებით დადგენილი კომპეტენცია 325
3.3. სხვა (კანონისმიერი) კომპეტენცია 327
3.4. „დაუწერელი" კომპეტენცია 330
4. აქციონერთა მორივი საერთო კრება 335
4.1. მოწვევა 337
4.2. მოწვევაზე უფლებამოსილი პირი 341
4.2.1. გამგეობა 342
4.2.2. სამეთვალყურეო საბჭო 344
4.2.3. აქციონერი 345
4.2.4. მესამე პირი 348
5. რიგგარეშე საერთო კრება 349

ნაწილი III
გამგეობა

თავი I. გამგეობა (დირექტორატი) როგორც საზოგადოების სტრუქტურული ორგანო 355
1. გამგეობა, როგორც სს-ის აუცილებელი ორგანო 355
2. გამგეობა, როგორც წარმომადგენლობითი ორგანო 360
3. დირექტორატის ამოცანა, მიზანი, ფუნქცია 370
4. დირექტორის სამართლებრივი სტატუსი 374
4.1. გამგეობის (დირექტორატის) ორგანული და თანამდებობრივი ურთიერთდამოკიდებულება 374

4.1.1. დირექტორატის წევრის ორგანული ადგილი (ორგანიზაციულ კორპორაციულსამართლებრივი თანამდებობა) 378
ა) დანიშვნა, წარდგენა 378
ა.ა) თანამდებობაზე გასამწესებელი პირის თანხმობა 380
4.1.2. სასამსახურო დამოკიდებულება 381
ა) სამართლებრივი ბუნება 382
4.1.3. გამგეობის წევრის გამოწვევა/განთავისუფლება 386
5. გამგეობის ურთიერთკავშირი საზოგადოების სხვა ორგანოსთან 397
5.1. სამეთვალყურეო საბჭო 399
6. გამგეობა და სხვა ინსტიტუტები 406
7. დირექტორატის, როგორც ორგანოს, კორპორაციულ-სამართლებრივი მოვალეობები 415
7.1. კორპორაციულ-სამართლებრივი და სახელშეკრულებოსამართლებრივი მოვალეობები 415
7.1.1. კორპორაციულ-სამართლებრივი 415
ა) საწარმოს მართვის, ხელმძღვანელობის, წარმომადგენლობითი საქმიანობის მოვალეობა 417
ბ) ანგარიშის წარდგენის მოვალეობა 420
გ) ერთგულების მოვალეობა 432
დ) გულმოდგინების მოვალეობა 441
7.1.2. სასამსახურო (სახელშეკრულებო) სამართლებრივი მოვალეობა 446

ნაწილი IV
სამეთვალყურეო საბჭო

თავი I. სამეთვალყურეო საბჭო, როგორც სს-ის ორგანო 453

1. სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანა, ფუნქცია 453
2. სამეთვალყურეო საბჭოს სიდიდე და შემადგენლობა (კოდეტერმინაცია) 463
3. სამეთვალყურეო საბჭოს დავალება, კომპეტენცია 477
3.1. უფლებამოსილება 477
3.2. კონტროლის მასშტაბი 483
3.2.1. მართლზომიერება 484
3.2.3. მიზნობრიობა 487
3.3. კონტროლის მექანიზმი 488
4. სამეთვალყურეო საბჭოს მიმართება კორპორაციის სხვა ორგანოსთან 496
5. სამეთვალყურეო საბჭოს გულმოდგინების მოვალეობა 498

გამოყენებული ლიტერატურა 501
ქართული 501
გერმანული 504
ინგლისური 534

წინასიტყვაობა

სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც 2010 წელს სააქციო სამართლის საფუძვლების I ტომი გამოქვეყნდა და დღის წესრიგში მეწარმეთა სამართლის რეფორმის საკითხი კვლავ დადგა. მოსალოდნელია, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ საქართველოში ახალი საკორპორაციო სამართლის კანონმდებლობა ამოქმედდება, რაც აღნიშნული პირველი ტომის გადამუშავებას და მის ახალ მეორე გამოცემას გამოიწვევს. გამომდინარე იქიდან, რომ თავიდანვე ჩაფიქრებული მქონდა სააქციო სამართლის საფუძვლების სამ ტომად გამოცემა, იმთავითვე წიგნის მეორე ტომზე მუშაობა გადავწყვიტე. მას შემდეგ გარკვეული ხანი გავიდა და ჩემი ჩანაფიქრიც (ნაწილობრივ) სისრულეში მოვიდა. სააქციო სამართლის ევოლუციის, სააქციო საზოგადოების, როგორც კორპორაციულად მოწყობილი სამეწარმეო სუბიექტის, ჩამოყალიბების, მისი დაფუძნება-დაარსების, მასში კაპიტალიზაციის, ქონებრივი საკითხების კვლევა (I ტომი) ლოგიკურად უნდა გაგრძელებულიყო. ეს გახლავთ სს-ის კორპორაციულ-სტრუქტურული შემადგენლობა, რაც საკორპორაციო სამართალში ე.წ. Unternehmensverfassung-ის, ანუ საწარმოს სტრუქტურის სახელწოდებით არის ცნობილი. სწორედ მეორე ტომში გადავწყვიტე გამომეკვლია სს-ის ორგანიზაციული სტრუქტურა, მასთან დაკავშირებული ძირითადი საკვანძო საკითხების ჩათვლით. შესაბამისად, წიგნის მეორე ტომი, გერმანული სამართლის კვლევისა და მისი ქართულთან შედარების გზით, ქართველ მკითხველს მიაწვდის ინფორმაციას სს-ის თანამედროვე მოწყობის, მისი ძირითადი სტრუქტურული ელემენტების თაობაზე.

სააქციო სამართალი (ვიწრო გაგებით[1]) წარმოუდგენელია აქციონერთა უფლება-მოვალეობის გარეშე. კორპორაციის მთე-

[1] სააქციო საზოგადოების სამართალი.

ლი სტრუქტურაც ხომ აქციონერის ირგვლივ ტრიალებს და, როგორც წესი, მისი რაციონალური ინტერესის გამტარებელია. იგი ამ სტრუქტურის ეპიცენტრშია მოქცეული. შესაბამისად, აქციონერის სტატუსს საზოგადოებაში, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. კორპორაციული ინტერესის რაციონალური თანაფარდობა აქციონერის მიერ მისი უფლებისა და მოვალეობის განხორციელებაზე დიდად არის დამოკიდებული. აქციონერის ეს უფლებები, როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული, ისეთივე სიძველისაა, როგორც თავად სააქციო სამართალი.[2] სააქციო საზოგადოების სამართალი სხვა არაფერია თუ არა კორპორაციაში მონაწილე სუბიექტების ინტერესების თანაბარი დაცვის მომწესრიგებელი ნორმების ერთობლიობა. ამიტომ აქციონერის სტატუსს, მის უფლებებსა და მოვალეობებს აღნიშნული წიგნის პირველი ნაწილი დაეთმობა. აქ გამოკვლეული იქნება პარტნიორის სააქციოსამართლებრივი უფლებები და კორპორაციულსამართლებრივი მოვალეობები. ისინი ურთიერთშეპირისპირების კონტექსტში იქნება წარმოდგენილი და, საბოლოო ჯამში, მკითხველს მათი კორპორაციულ ცხოვრებაში განხორციელებისა და მოქმედების დიაგრამას დაანახებს.

წიგნის შემდეგი (II) ნაწილი სს-ის „ზემდგომ" ორგანოს – აქციონერთა საერთო კრებას შეეხება. აქციონერი მის უფლებებს, როგორც წესი, სწორედ საერთო კრებაზე ახორციელებს. ამიტომ საკითხი იმის შესახებ, თუ რა ადგილი უჭირავს ამ ორგანოს კორპორაციის სტრუქტურაში, თუ რა კომპეტენცია აქვს მას, როგორი უფლებამოსილებით არის იგი შემკული, ორგანიზაციული სტრუქტურის კვლევის კონტექსტში მნიშვნელოვან კვლევით ღირებულებად მიმაჩნია. ამავე ნაწილში გადმოცემულია საერთო კრების კანონისმიერი,

[2] *Kalss/Linder*, Minderheits- und Einzelrechte der Aktionären, Verlag Manz, Wien 2006, S. III.

დაწერილი და დაუწერელი კომპეტენციის შესახებ პრობლემები, რომელსაც თანამედროვე საკორპორაციო სამართალში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

2008 წლის 14 მარტის მეწარმეთა კანონმდებლობის დიდი რეფორმით, ქართულმა საკორპორაციო სამართალმა დათმო კორპორაციული მართვის გერმანულენოვანი ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ორსაფეხურიანი, ე.წ. დუალისტური სისტემა და აქცენტი, გარკვეული კანონით პირდაპირ გათვალისწინებული გამონაკლისის გარდა, შერეულ სისტემაზე, ანუ არჩევანის თავისუფლების პრინციპზე გააკეთა. წიგნის შემდგომი (III) ნაწილი კორპორაციის მართვის „გრავიტაციულ ეპიცენტრს", მის ძირითად ბირთვს, ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობით ორგანოს - გამგეობას დაეთმობა. თანამედროვე საკორპორაციო სამართალი აღიარებს, რომ პროფესიონალი, მაღალკვალიფიციური, სათანადო მენეჯერული უნარ-ჩვევებით, თვისებებითა და ცოდნით აღჭურვილი ხელმძღვანელობითი სტრუქტურული წარმონაქმნის – დირექტორატის - გარეშე, კორპორაციის წარმატებული მართვა წარმოუდგენელია. შესაბამისად, ნაშრომის ამ მონაკვეთში იქნება მცდელობა, გაშუქდეს თანამედროვე გამგეობა, როგორც სს-ის სავალდებულო, ტრადიციული ორგანო (თავი I), რომლის არსებობის გარეშეც დარღვეული იქნება სს-ის ეგზისტენციალური ხასიათი. ეს კი წარმოუდგენელია მისი ამოცანის, მიზნის, ფუნქციის, უფლებამოსილების (მე-3 ქვეთავი), მოვალეობის (მე-7 ქვეთავი) კორპორაციულ-სამართლებრივი საკითხების გადმოცემის და გათვითცნობიერების გარეშე. აქვე გადმოიცემა დირექტორის საზოგადოებასთან კორპორაციულ-სამართლებრივი და სახელშეკრულებოსამართლებრივი დამოკიდებულების საკითხები (მე-4 ქვეთავი), რაც უახლოეს წარსულში ქართული სასამართლოს განხილვის ერთ-ერთ აქტუალურ თემას წარმოადგენდა. გამგეობა დანახული იქნება, ასევე, კორპორა-

ციის სხვა ორგანოთა ლოგიკურ კავშირურთიერთობის კონტექსტში და გადმოიცემა ინფორმაცია გამგეობასთან დაკავშირებული თანამედროვე ინსტიტუტების თაობაზე (მე-5 და მე-6 ქვეთავები). აღნიშნული საკითხები ეკონომიკურ-სამართლებრივ პრიზმაშიც იქნება წარმოჩენილი.

რაციონალური მართვა გადაწყვეტილებათა აღსრულებას და მასზე ზედამხედველობის კონცეფციას ეფუძნება. არც ერთი მაღალპროფესიონალი მენეჯერი წარუმატებლობისაგან დაზღვეული არ არის. ეს იმას ნიშნავს, რომ საწარმოს საქმიანობის არარენტაბელობის აბსოლუტური განეიტრალება შეუძლებელია. თუმცა თანამედროვე საკორპორაციო სამართალი, კორპორაციული მართვის თანამედროვე პრინციპები მრავალ რეკომენდაციას იძლევა იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება მართვის სისტემა უფრო მოქნილი, რაციონალურ გადაწყვეტილებებზე ორიენტირებული, კორპორაციის საუკეთესო ინტერესის გამტარებელი გახდეს. ეს მისია კი მიუღწეველი იქნება, თუკი კორპორაციაში სათანადო კონტროლის სისტემა არ ჩამოყალიბდება. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ ნაშრომში გერმანული სამართლის კვლევას (ქართულთან შეპირისპირების საფუძველზე) გადამწყვეტი ადგილი უჭირავს, წიგნის ბოლო (IV) ნაწილი მაკონტროლებელ, ზედამხედველ დამოუკიდებელ რგოლს – სამეთვალყურეო საბჭოს დაეთმობა. გერმანულ მკვეთრად სტრუქტურირებულ კორპორაციულ მოწყობაში სამეთვალყურეო საბჭოს, როგორც სს-ის სავალდებულო, გამგეობაზე კონტროლის ფუნქციით აღჭურვილ ორგანოს, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ეს ორგანო, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, გერმანიაში მუდმივი განხილვის საგანია და მისი მოდერნიზაციისკენ, უფრო სწორად, საზედამხედველო ფუნქციის მოდიფიცირების მიმართულებით, ძალიან ბევრი ნაბიჯი გადაიდგა. შესაბამისად, გადავწყვიტე დუალისტური მოდელის დოგმატური საფუძვლები მეჩვენებინა, რაც სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანის, ფუნქციის (პირველი ქვეთავი), მისი შემადგენლობის, მასში საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა თანამონაწილეობის (მე-2), კომპეტენციისა და დავალების (მე-3 ქვეთავები) საკითხების კვლევას განაპირობებს. აქვე ნაჩვენებია სამეთვალყურეო საბჭო სს-ის სხვა ორგანოებთან თანამშრომლობის კონტექსტში (მე-4).

წინამდებარე ნაშრომი უპირატესად თანამედროვე გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაზეა ბაზირებული. გამომდინარე იქიდან, რომ წიგნზე მუშაობა 2010 წელს დავიწყე, ხოლო თანამედროვე საკორპორაციო სამართალი გლობალური პროცესების გავლენას დიდად განიცდის და მუდმივი ცვლილების რეჟიმში იმყოფება, მასში გამოყენებულია კომენტარების, კრებულებისა და სახელმძღვანელოების, როგორც უახლესი, ისე წინა გამოცემები (თუკი ისინი, რა თქმა უნდა, ახალ გამოცემებში მოცემულ საკითხებს ახლებურად არ წარმოაჩენენ). რასაკვირველია, წყაროებად მითითებულია ქართული სამართლებრივი, ხოლო გარკვეულ ასპექტში, ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე მწირად მოხმობილია, ასევე, ინგლისურენოვანი იურიდიული ლიტერატურაც. ამის ხაზგასმა აუცილებელია, რომ გამოვხატო ჩემი მადლიერება ლუდვიგ-მაქსიმილიანეს მიუნხენის უნივერსიტეტის კერძო სამართლისა და საპროცესო სამართლის ინსტიტუტის ხელმძღვანელის *მათიას ჰაბერზაკის* მიმართ იმ შესაძლებლობისათვის, რომელიც მან მომცა, რათა 2013 წლის ზაფხულში ამ უნივერსიტეტის სავაჭრო და საკორპორაციო სამართლის უმდიდრეს ბიბლიოთეკაში მემუშავა. მადლობა ამ ინსიტუტიტის მდივანს *ელკე კელინს* ჩემ მიმართ გამოჩენილი გულთბილი დამოკიდებულებისათვის და გერმანიის აკადემიურ გაცვლით სამსახურს (DAAD), სტიპენდიის მონიჭებისა და მატერიალური მხარდაჭერისათვის. მადლიერებით მინდა მივმართო ჩემს ასისტენტებს, საკორპორაციო, სა-

ბანკო და ეკონომიკური სამართლის ინსტიტუტის წევრებს *დემეტრე ეგნატაშვილსა* და *გიორგი მახარობლიშვილს* ხელნაწერის წაკითხვისა და რჩევების მოცემის გამო. და ბოლოს, განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორს, ჩემს უფროს მეგობარს *ლორენც ფასტრიხს* აღმოჩენილი მხარდაჭერისთვის. რომ არა მისი დახმარება წიგნის შექმნასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხში, წინამდებარე ნაშრომი მზის სხივს ვერასდროს იხილავდა.

ირაკლი ბურდული
თბილისი, 2013

PREAFACE

It has been three years since the I volume of the Principles of the Joint-Stock Company Law was published and the issue of the reform of the Entrepreneurial Law was on the agenda. It is feasible and expected that some time after a new corporate legislation could be enacted in Georgia, which would be the cause of the re-elaboration of the mentioned I volume and publication of its fresh second edition. Due to the fact that from the beginning I was thinking of publishing the Principles of the Joint-Stock Company Law in three volumes, I have congenitally decided to work on a second volume. After the abovementioned some time has passed and my plans (partly) were achieved. Issues related to the evolution of the Joint-Stock Company Law, establishment, foundation, capitalization, research of the property matters of the Joint-Stock Company, as a corporately organized subject of entrepreneurship, (I volume) should have been continued with the logical link. This is a corporal-structural composition of the Joint-Stock Company, which is known in German language as "Unternehmensverfassung", meaning – the company structure. Precisely in the second volume I have decided to study an organizational structure of the Joint-Stock Company, including main key questions related to it. Accordingly, the second volume of the book, by the study of German Law and its comparison with Georgian Law, will provide Georgian readers with the information about the modern structure of the Joint-Stock Company and its main structural elements.

Corporate Law (in its narrow interpretation[1]) is unconceivable without the rights and obligations of shareholders. Even the entire structure of the corporation is revolved around the shareholders and, as a rule, acts for their rational interests. The shareholder remains in the epicenter of the structure of the corpora-

[1] Joint-Stock Company Law.

tion. Accordingly, the status of the shareholder, one might say, is crucial. Rational correlation of the corporal interest significantly depends on the realization of rights and obligations by the shareholder. Those rights of the shareholder, as it is stated in the literature, are as ancient, as the Corporate Law itself.[2] The Joint-Stock Company Law is nothing more than a combination of regulatory norms of equal defense of the interests of subjects involved in the activities of the corporation. Thus, the first part of the abovementioned book will be dedicated to the interests of the shareholders, their rights and obligations. The equity-legal rights and corporate-legal obligations will be discussed here. By the presentation of their controversy, finally, readers will be able to understand how these rights and obligations are realized in a corporate life.

The next (II) part of the book is dedicated to the "higher" body of the Joint-Stock Company - the general meeting of shareholders, the place, where the rights of shareholders are generally carried out. That is why, in the context of research of the organizational structure, the question, as to what part of the structure of the corporation this body holds, what competence and the authority it realizes, I presume to be of a significant research value. In the same part of the book the issues of the problems of legal, written and unwritten competencies of the general meeting are also discussed, those problems, which are extremely important in modern Corporate Law.

After the great entrepreneurial legislation reform on March 14, 2008, Georgian Corporate Law rejected two-step, the so-called dualistic system of corporation governance, typical to the German-speaking countries and focused, with the exception of

[2] Kalss/Linder, Minderheits- und Einzelrechte der Aktionären, Verlag Manz, Wien 2006, S. III.

the special circumstances directly provided by the law, on the mixed system, therefore the principle of the freedom of choice was selected. In the following (III) part of the book the so-called "gravitational centre" of the corporation governance and its core nub, management and representative body – the Board will be discussed. The modern Corporate Law recognizes that it is impossible to successfully govern the corporation without proper professional, high qualified, and trained with relevant management skills, features and knowledge structural executive body – Board of Directors. Accordingly, in this part of the work I will attempt to highlight the nature of the modern Board, as an obligatory and traditional body of the Joint-Stock Company (Chapter 1), without which the existential character of the Joint-Stock Company would have been violated. And this is unfeasible without diffusion and understanding of its corporate-legal issues of its objectives, goals, functions, authority (Chapter 3), and obligations (Chapter 7). Here also the issues of director's corporate-legal and treaty-legal relations toward society (Chapter 4) will be discussed. Abovementioned issues in the nearest past were the main and very actual topics for the consideration in Georgian courts. The Board will be also discussed in the context of its logical interconnection with other bodies; the information about the modern institutions of the Board will as well be revealed (Chapter 6 and chapter 7). Abovementioned questions will be presented also in economical-legal prism.

Rational governance is based on the concept of decision enforcement and the supervision on it. None of the high qualified managers are insured from the failure. That means that it is impossible to absolutely eliminate the non-profitability of the company. Though, there are lots of recommendations provided by the modern corporate law and contemporary principles of corporation management on how to make the management system more flexible, oriented on rational decisions and act for the

best interests of the company. The aforesaid mission would be incomplete if the relevant control system is not established in the corporation. Due to the fact that in the abovementioned work the research of the German law (on the basis of the comparison with Georgian Law) is of utmost importance, the last (IV) part of the book will be dedicated to the supervisory, independent body – the Supervisory Board. In German, highly structured corporal arrangement, the Supervisory Board, as a required body of the Joint-Stock Company and authorized with the function to control the Board, has a crucial importance. Since the 90ies of the last century, this body is a permanent issue for the discussions in Germany and lots of steps were made for its modernization, or better say, for the modification of its supervisory function. Therefore, I have decided to show the dogmatic basis of the dualistic model, which will stimulate the research of the issues of the objectives and functions (Chapter 1) of the Supervisory Board, its composition, participation (Chapter 2), competence and the missions (Chapter 3) of the stuff working for a company. The collaboration between the Supervisory Board and other organs of the Joint-Stock Company will also be exposed here (Chapter 4).

The following work is mainly based on a contemporary German legal literature. Due to the fact that I have started working on the book in 2010 and the modern corporate law is influenced greatly with the global processes and thus, has to be frequently renewed, the commentaries, text books, manuals used in the book are both of new and old editions (if they, of course, are not presenting the issues provided by the new editions in an innovative way). Noticeably, as a sources of the book the Georgian legal literature is provided as well as, in few cases, when needed and for the purposes of the work, English legal literature. It is important to underline this fact, in order to express my deepest appreciation to the director of the Institute for the Private and Procedural Law of the Ludwig-Maximilians-University of Munich, Mathias Habersack for the opportunity, he provided for me to work in the richest library of Trade and Corporate Law in the summer of 2013. I would also like to express my special thanks of gratitude to the assistant in this Institute, Elke Kellin for her warm hospitality, as well as to the German Academic Exchange Service (DAAD) for granting me with a scholarship and financial aid. I would also thank my assistants, members of the Institute for the Corporate, Banking and Economic Law, Demetre Egnatashvili and Giorgi Makharoblishvili for their support in reading the handwriting and providing useful comments and remarks. Finally, I would also like to acknowledge with special appreciation the crucial role in publishing this book, Professor of the University of Munich, my older friend, Lorenz Fastrich for his help, without which the following work would not have seen the sunlight.

Irakli Burduli,
Tbilisi, 2013

შემოკლებანი

გამომც.	გამომცემლობა
გამოც.	გამოცემა
დასახ.	დასახელებული
ესს	ევროპის სააქციო საზოგადოება
ეკს	ევროპის კერძო საზოგადოება
იხ.	იხილეთ
კს	კომანდიტური საზოგადოება
კსს	კომანდიტური სააქციო საზოგადოება
მუხ.	მუხლი
მთ. რედ.	მთავარი რედაქტორი
მაგ.	მაგალითად
სებ	საქართველოს ეროვნული ბანკი
სპს	სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სს	სააქციო საზოგადოება
სკ	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
სსკ	საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
სსს	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
სუსგ	საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები
სუსდპგ	საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება
შეად.	შეადარეთ
შპს	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ძვ. რედ.	ძველი რედაქცია
Abs.	Absatz (აბზაცი)

AcP	Archiv für die civilistische Praxis (კერძო სამართლის არქივი – სამეცნიერო ჟურნალი)
ADHGB	Allgemeine Deutsche Handelsgesetzbuch (გერმანიის საყოველთაო სავაჭრო კოდექსი)
aF	alte Fassung (ძველი რედაქცია)
AG	სააქციო საზოგადოება
Alb. L. Rev.	Albany Law Review (ალბანის სამართლის მიმოხილვა – ჟურნალი)
Anh.	Anhang (დანართი)
Anm	Anmerkung (აღნიშვნა)
AR	Aufsichstrat (სამეთვალყურეო საბჭო)
ARUG	Referentenentwurf eines Gesetzes zur Umsetzung der Aktionärsrechtlinie (კანონპროექტი გერმანულ სააქციო სამართალში აქციონერთა დირექტივის დანერგვის შესახებ)
Auf	Auflage (გამოცემა)
Bd	Band (ტომი)
BetrVerG	Betriebsverfassungsgesetz (კანონი საწარმოში დასაქმებულთა სამართლებრივი რეჟიმის შესახებ)
BGH	Bundesgerichtshof (გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლო)
BGHZ	Entscheidungen des Bundesgerichtshofes in den Zivilsachen (გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე)

BGB	Bürgerliches Gesetzbuch (გერმანიის სამოქალაქო კოდექსი)
BilMoG	Gesetz zur Modernisierung des Bilanzrechts – Bilanzmodernisierungsgesetz (კანონი ბარჯთაღრიცხვის სამართლის მოდერნიზების შესახებ)
BilReG	Gesetz zur Einführung internationaler Rechnungslegungstandards und zur Sicherung der Qualität der Abschlussprüffung – Bilanzrechtsreformgesetz (კანონი ბარჯთაღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შემოღების და აუდიტორული შემოწმების ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ)
BT	Bundestag (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანო)
CA	Companys Act (დიდი ბრიტანეთის კანონი კომპანიათა შესახებ – კომპანიათა აქტი)
dAktG	Aktiengesetz vom 6. September 1965 (გერმანიის ფედერალური კანონი სააქციო საზოგადოების შესახებ - სააქციო კანონი)
DB	Der Betrieb (საწარმო – იურიდიულ-ეკონომიკური ჟურნალი)
DCGK	Deutscher Corporate Governance Kodex (გერმანიის კორპორაციული მართვის კოდექსი)
dGmbHG	Deutsches Bundesgesetz vom 20. Mai 1898 betreffend die Gesellschaften mit beschränkter Haftung (გერმანიის ფედერალური კანონი შეზღუ-

MAH	Münchener Anwalts Handbuch (მიუნხენის ადვოკატთა სამაგიდო წიგნი)
MitbestG	Gesetz über die Mitbestimmung der Arbeitnehmer – Mitbestimmungsgezetz (კანონი საწარმოში მუშა-მოსამსახურეთა თანამონაწილეობის შესახებ)
MitbestErgG	Gesetz zur Ergänzung des Gesetzes äber die Mitbestimmung der Arbeitnehmer in den Aufsichtsräten und Vorständen der Unternehmen des Bergbaus und Eisen und Stahl erzeugende Industrie (დამატებითი კანონი სამთო-სამადნო და რკინისა და ფოლადის ინდუსტრიულ საწარმოებში მუშა-მოსამსახურეთა თანამონაწილეობის შესახებ)
MontmitbG	Gesetz über die Mitbestimmung der Arbeitnehmer in den Aufsichtsräten und Vorständen der Unternehmen des Bergbaus und Eisen und Stahl erzeugende Industrie (კანონი სამთო-სამადნო და რკინისა დაფოლადის ინდუსტრიულ საწარმოებში მუშა-მოსამსახურეთა თანამონაწილეობის შესახებ)
NaStraG	Gesetz zur Namensaktie und zur Erleichterun der Stimmrechtsausübung (კანონი სახელობითი აქციების და ხმის უფლების გამოყენების გაიოლების შესახებ)
n. F.	neue Fassung (ხალი რედაქცია)
NJW	Neue Juristische Wochenschrift (ყოველკვირეული გერმანული იურიდიული ჟურნალი)

NZG	Neue Zeitschrift für Gesellschaftsrecht (საკორპორაციო სამართლის ახალი ჟურნალი)
OG	Offene Gesellschaft (ღია საზოგადოება)
OGH	Oberster Gerichtshof (ავსტრიის ფედერალური უზენაესი სასამართლო)
OGHZ	Entscheidungen des obersten Gerichtshofes in Zivilsachen (ავსტრიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები კერძო სამართლის საქმეებზე)
oHG	სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება
öAktG	Österreichisches Bundesgesetz vom 31. Marz 1965 über Aktriengesellschaften (ავსტრიის ფედერალური კანონი სააქციო საზოგადოებათა შესახებ)
PPC	Private Public Company (კერძო ღია კომპანია - ბრიტანეთი)
Red.	Redakteur (რედაქტორი)
RegBegr.	Regierungsbegründung (კანონპროექტთან დაკავშირებული მთავრობის დასაბუთებულობა, განმარტებითი ბარათი)
Rn. Rdn. Rz.	Randnummer, Randzahl (ნიშნავს ნომერს, რითაც აღინიშნება ტექსტის ნაწილები წიგნის გვერდის ველზე)
S	Seite (გვერდი)
SE	Societas Europea (ევროპის სააქციო საზოგადოება)

SPE	Societas Privata Europeae (ევროპის კერძო საზოგადოება)
Stan. L. Rev.	Stanford Law Review (სტენფორდის სამართლის მიმოხილვა – ჟურნალი)
StückAG	Stückaktien Gesetz (კანონი სს-ში ცალობითი აქციების დაშვების შესახებ)
TransPuG	Gesetz zur weiteren Reform des Aktien- und Bilanzrechts, zu Transparenz und Publizität (კანონი გამჭვირვალობისა და საჯაროობის შესახებ)
UMAG	Gesetz zur Unternehmensintegrität und Modernisierung des Anfechtungsklage (კანონი საწარმოს შეუვალობისა და გასაჩივრების უფლების მოდერნიზების შესახებ)
UmwG	Umwandlungsgesetz (კანონი საწარმოთა რეორგანიზაციის შესახებ)
Überbl	Überbllick (მიმოხილვა)
WBL	„Wirtschaftsrechtliche Blätter“ (Zeitschrift für österreichisches und europäisches Wirtschaftsrecht - ეკონომიკურ-სამართლებრივი ჟურნალი)
WM	Wertpapier-Mitteilungen (Zeitschrift für Wirtschafts- und Bankrecht – ეკონომიკისა და საბანკო სამართლის უწყებანი)
WpHG	Gesetz über den Wertpapierhandel - Wertpapierhandelsgesetz (კანონი ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის შესახებ)

WpÜG	Wertpapiererwerbs- und Übernahmegestz (კანონი ფასიანი ქაღალდების შეძენის და საწარმოს დაუფლების შესახებ)
ZfRV	Zeitschrift für Rechtsvergleichung (შედარებითი სამართალის ჟურნალი)
ZGR	Zeitschrift für Unternehmens- und Gesellschaftsrecht (სამეწარმეო და საზოგადოებათა სამართლის ჟურნალი)
ZHR	Zeitschrif für das gesamte Handels und Wirtschaftsrecht (სავაჭრო და ეკონომიკური სამართლის ჟურნალი)
ZIP	Zeitschrift für Wirtschaftsrecht (ეკონომიკური სამართლის ჟურნალი)

ნაწილი I

აქციონერის უფლებები და მოვალეობები

თავი I. აქციონერის უფლებები და მოვალეობები

1. შესავალი

აქციონერი, როგორც საზოგადოების პარტნიორი, სს-ში ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაა. თანამედროვე სააქციო სამართალი დიდი გულისყურით ეკიდება მის ადგილს და სამართლებრივ სტატუსს კორპორაციაში, ადგენს მისი კორპორაციული უფლებების დაცვის სამართლებრივ მექანიზმებს, მის მიერ უფლებამოსილებათა გამოყენების უზრუნველყოფის ბერკეტებს. სასურველი იქნებოდა, რომ სს-ში თანაბრად იყოს დაცული უმრავლესობაში და უმცირესობაში მყოფი აქციონერის იურიდიული (და, შესაძლოა ითქვას ეკონომიკური) ინტერესი. ინტერესთა მხოლოდ ასეთი თანაფარდობა შეიძლება განიხილებოდეს საწარმოს წარმატებული და ეფექტური მართვის წინაპირობად. ამიტომ დომინანტი და მინორიტარი აქციონერის უფლებათა ურთიერთმიმართების საკითხზე სააქციო სამართალი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს. საზოგადოებაში უფლებების გარდა, სააქციო კანონმდებლობა აქციონერს გარკვეულ ვალდებულებებსაც აკისრებს, რომელთა გაუთვალისწინებლობა და უგულვებელყოფა აქციონერისთვის შესაძლოა, გარკვეული სანქციის შემცველი შედეგის მატარებელი აღმოჩნდეს. ამ ვალდებულებათა განუხრელად დაცვის უზრუნველყოფის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა საზოგადოებაზე, როგორც ვალდებულებითსამართლებრივ კატეგორიაზე საუბარი. იმისათვის, რომ კორპორაციის საქმიანობა წარმატებულად ჩაითვალოს და მან მოქმედების ხანგრძლივი ხასიათი შეინარჩუნოს, აქციონერის[5] მხრიდან ამ ვალდებულებათა შესრულება საზოგადოების არსებობის ერთ-ერთ უმთავრეს წი-

---

[5] როგორც უმრავლესობაში მყოფის, ისე უმცირესობის.

ნაპირობად უნდა განიხილებოდეს. ამიტომ უფლებებისა და მოვალეობების თანაფარდობის საკითხს თანამედროვე სააქციო სამართალში მართლაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც სწორედ მასზეა დამოკიდებული მრავალი ისეთი საკითხი, რომელიც სს-ის საქმიანობის რენტაბელობას უწყობს ხელს.

აქციონერის უფლებებისა და მოვალეობების, მასა და სს-ს შორის სამართლებრივი ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრის ძირითადი საფუძველი აქციონერის წევრობის უფლებაა. წევრობის უფლებამოსილებათა ერთობლიობა სს-ის პარტნიორისთვის სხვადასხვა სამართლებრივ შედეგზეა დამოკიდებული,[6] შესაბამისად, სხვადასხვა შინაარსის მატარებელი შეიძლება იყოს[7] და სხვადასხვა უფლებით და მოვალეობით ხასიათდებოდეს.[8] წევრობიდან გამომდინარე იგი[9] წარმოადგენს „თავისებური ხასიათის ხანგრძლივ სამართალურთიერთობას, რომელიც საზოგადოებაში, როგორც იურიდიულ პირშია განსხეულებრივი და რომელიც თავის თავში მრავალ უფლებასა და მოვალეობას მოიცავს“.[10] თავად ეს უფლებები და მოვალეობები ან კანონიდან მომდინარეობს ან მათ შესახებ ამომწურავ ინფორმაციას წესდება იძლევა.[11] ეს ურთიერთობა, რომელიც ან კანონით ან საზოგადოების წესდებითაა მოწესრიგებული, სისტემატიზებული თვალსაზრისით, შესაძლოა რამდენიმე სახეობად დაიყოს. ამ მხრივ განასხვავებენ პარტნიორის უფლებებს, პარტნიორის მოვალეობებს და ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობას საზოგადოებასა და აქციონერს შორის.[12] წევრობის უფლება-მოვალეობა აქციიდან გამომდინარე კატეგორიად აღიქმება, ამიტომ აქცია ყველა იმ უფლების და მოვალეობის ერთობლიობას განამტკიცებს, რაც აქციონერს სს-ში აქვს მინიჭებული.[13] ზემოთქმულიდან გამომდინარე, აქციონერის უფლებები და მოვალეობები უშუალოდ არის დაკავშირებული მის სამართლებრივ სტატუსთან სს-ში. როგორც წესი, ეს უფლებები და მოვალეობები საზოგადოებაში სწორედ აქციონერის პარტნიორობას უკავშირდება. ამიტომაცაა, რომ უფლებამოსილებათა ერთობლიობა მხოლოდ წევრობის ხანგრძლივობით შემოიფარგლება[14] და მისი დასრულების შემდეგ აღარ მოქმედებს.[15] შესაბამისად, ამ შემთხვევაში აქციონერსა და სს-ს შორის ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაზეა საუბარი, რომელიც მთლიანად სამოქალაქოსამართლებრივ ნორმა-დებულებებზეა დაფუძ-

[6] *Jannot/Hagemann* in Henn/Jannot/Hagemann (Hrsg.), Hdb. des Aktienrechts, (2009), S. 72.

[7] *Westermann* in Bürgers/Körber, AktG, 1. Auf., (2008), §11 Rn. 1.

[8] *Zätsch/Maul* in Müller/Rödder (Hrsg.), Beck'sches Hdb. der AG, §4 Rn. 184.

[9] ეს ურთიერთობა.

[10] *Raiser/Veil*, Recht der Kapitalgesellschaften, 5. Auf., (2010), S. 61.

[11] *Maul* in Müller/Rödder (Hrsg.), Beck'sches Hdb. der AG, §4 Rn. 1; *Raiser/Veil*, Recht der Kapitalgesellschaften, 5. Auf., (2010), S. 61.

[12] *Jannot/Hagemann* in Henn/Jannot/Hagemann (Hrsg.), Hdb. des Aktienrechts, (2009), S. 72.

[13] Münch. Hdb. GesR IV/*Wiesner*, §17 Rn. 1.

[14] *Jannot/Hagemann* in Henn/Jannot/Hagemann (Hrsg.), Hdb. des Aktienrechts, (2009), S. 73.

[15] გამონაკლისს წარმოადგენს აქედან ის შემთხვევა, როდესაც ყოფილი აქციონერი სს-სთან მიმართებით კრედიტორად განიხილება. ამ დროს მიუხედავად უფლებამოსილების დასრულებისა, მას კორპორაციის მიმართ მაინც აქვს მოთხოვნის უფლება. მისი მოთხოვნა კი დაფუძნებულია არა იმაზე, რომ იგი ერთ დროს საზოგადოების აქციონერი იყო, არამედ იმაზე, რომ მისი საწარმოში პარტნიორად ყოფნის დროს მასა და საზოგადოებას შორის ვალდებულებითსამართლებრივი (ე.წ. კრედიტორის) ურთიერთობა ჩამოყალიბდა, რომლის მოქმედებაზეც წევრობის არსებობა-არარსებობა არავითარ გავლენას არ მოახდენს. *Jannot/Hagemann* in Henn/Jannot/Hagemann (Hrsg.), Hdb. des Aktienrechts, (2009), S. 73.

ნებული და ამ უკანასკნელით წესრიგდება.[16] შესაძლებელია ასეთ დამოკიდებულებას საზოგადოებასა და კრედიტორს შორის ურთიერთობაც დაერქვას, რამდენადაც ვალდებულებითსამართლებრივი კატეგორია, ძირითადად, სწორედ საზოგადოებასა და კრედიტორს შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობის იდენტური იქნება.[17]

2. აქციონერის სააქციოსამართლებრივი უფლებები

სს-ში აქციონერის უფლებები შესაძლოა გარკვეული ჯგუფის მიხედვით დაიყოს, რომელთაგან რამდენიმე ძირითადი გამოიყოფა. კერძოდ, ინდივიდუალური უფლებები და გარკვეულ კვოტაზე დამოკიდებული უფლებები; კრებასთან დაკავშირებული და კრებისაგან დამოუკიდებელი უფლებები; სპეციალური უფლებები და წევრობიდან გამომდინარე ზოგადი ხასიათის უფლებები.[18]

[16] *Jannot/Hagemann* in Henn/Jannot/Hagemann (Hrsg.), Hdb. des Aktienrechts, (2009), S. 72; Münch. Hdb. GesR IV/*Wiesner*, §17 Rn. 1. ამასთან, მას შეხება ასევე სპეციფიკურ კორპორაციულსამართლებრივ რეჟიმთანაც აქვს.

[17] MünchKommAktG/*Heider*, (2008), §11 Rn. 6.

[18] *Mayer/Thies* in Gerhard Manz/Barbara Mayer/Albert Schröder, Die Aktiengesellschaft. Umfassende Erläuterungen, Beispiele und Musterformulare für die Techtspraxis, 6. Auf., Verlag Haufe, Freiburg. München. Berlin, 2010, S. 161. შეიძლება ითქვას, რომ უახლესი გერმანული იურიდიული დოქტრინა აქციონერის უფლებებს ამგვარად ყოფს. ამიტომ ამჟამად, სს-ის აქციონერის უფლებების დახასიათებისას; მიზანშწონილად მივიჩნიე გამომეყენებინა ამგვარი ჯგუფური მაჩვენებელი. ეს უფრო კარგად ასახავს პარტნიორის უფლებათა კატალოგს კორპორაციაში, ვიდრე უფლებათა ტრადიციული დაყოფა, რომელიც დღესაც ქონებრივ და მმართველობით უფლებებად არის ცნობილი საკორპორაციო სამართალში.

2.1. აქციონერის ინდივიდუალური და კვოტაზე დამოკიდებული უფლებები

2.1.1. ინდივიდუალური უფლებები

საკორპორაციო სამართალში მმართველობის უფლებათა შორის, ტრადიციულად, განასხვავებენ აქციონერის ინდივიდუალურ და უმცირესობის უფლებებს. აქციონერის ინდივიდუალური უფლებები უზრუნველყოფილია იმისდა მიუხედავად, თუ რა რაოდენობის აქციის მფლობელი იქნება ესა თუ ის პარტნიორი საზოგადოებაში და როგორი პროცენტული (ხმის უფლების) მაჩვენებელი ექნება მას კორპორაციაში. მოკლედ, ამ დროს ყოველი აქციონერისათვის გარანტირებულია კანონით დადგენილი უფლებები, რომელიც მას კორპორაციაში მონაწილეობის პროცენტული მაჩვენებლისაგან დამოუკიდებლად აქვს.[19]

ა) საერთო კრებაზე მონაწილეობის უფლება, როგორც კრებასთან დაკავშირებული[20] უფლება

აქციონერის ინდივიდუალურ უფლებათაგან გამოსაყოფია საერთო კრებაზე მონაწილეობის უფლება. საერთო კრებაზე მონაწილეობის უფლება კორპორაციულად გარანტირებული დეკლარირებული ხასიათის უფლებაა და მისი ჩამორთმევა საზოგადოების პარტნიორისათვის დაუშვებელია.[21] საერთო

[19] *Jannot/Hagemann* in Henn/Jannot/Hagemann (Hrsg.), Hdb. des Aktienrechts, (2009), S. 74.

[20] ე.წ. Das versammlungsgebundene Recht.

[21] გამონაკლისს აქედან ითვალისწინებს გერმანული სააქციო სამართალი, როდესაც აქციიდან საერთოდ არ შეიძლება განხორციელდეს უფლებები (ანუ აქცია არ უზრუნველყოფს არანაირ უფლებებს. მაგალითად, ინფორ-

კრებაზე მონაწილეობის უფლება საკანონმდებლო დონეზე არ არის მოწესრიგებული.[22] ეს უფლება დაუწერელი ხასიათის უფლებაა.[23] კანონი[24] ზუსტად არ განსაზღვრავს ამ უფლების გამოყენების შესაძლებლობას აქციონერის მხრიდან, თუმცა ეს თავად აქციონერის, როგორც კორპორაციის წევრის სტატუსიდან გამომდინარეობს.[25] ამიტომაც არსებობს ერთიანი აზრი, რომ საერთო კრებაზე მონაწილეობის უფლება არსებობს წევრობის უფლებამოსილებათა ერთობლიობიდან გამომდინარე[26]

მაციის დამალვის, საკუთარი აქციების ფლობის, საწარმოთა ორმხრივი მონაწილეობის შემთხვევაში უფლებათა შეზღუდვის დროს). ეს ის შემთხვევებია, რომელიც გათვალისწინებულია სააქციო კანონითა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ ფედერალური კანონით (AktG §§20 VII, 71 b, 328 I; WpHG §28) და ზუსტად არის გაწერილი. ამის შესახებ: *Reger* in Bürgers/Körber, AktG, §118 Rn. 7; *Schneider* in Assmann/Schneider (Hrsg.), WpHG, 4. Auf., 2006, §28 Rz. 9 ff; *Kremer/Oesterhaus* in KK-WpHG, §28 Rn. 32 ff.

[22] *Raiser/Veil*, Recht der Kapitalgesellschaften, (2010), S. 64. მიუხედავად იმისა, რომ ქართული სააქციო კანონმდებლობა ზუსტად არ განსაზღვრავს ასეთ შემთხვევებში კრებაზე მონაწილეობის უფლების „ჩამორთმევის" შესაძლებლობას, ვფიქრობ, რომ გერმანული სამართლის განმარტების შედეგად შეიძლება ასეთი მიდგომა ასევე ქართულ სამართალშიც იქნეს დამკვიდრებული. ეს ამ ნორმათა ანალიზის ლოგიკური განცოთარების შედეგი იქნებოდა.

[23] გერმანულ სამართალში. თუმცაღა ნაციონალური კანონმდებლობის ანალიზის შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ მონაწილეობის უფლებას მეწარმეთა კანონი საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრავს. ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება კაონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ბოლო წინადადება.

[24] ამ შემთხვევაში უკვე საუბარია როგორც გერმანულ, ისე ქართულ კანონმდებლობაზე.

[25] *Maul* in Müller/Rödder (Hrsg.), Beck'sches Hdb. der AG, §4 Rn. 36.

[26] MünchKommAktG/*Kubis* §118 Rn. 37; Münch. Anw.-Hdb. AktR/*Sudmeyer* §10 Rn. 113. ვუთითებ: *Jannot/Hagemann* in Henn/Jannot/Hagemann (Hrsg.), Hdb. des Aktienrechts, (2009), S. 74.

და სხვა არაფრით გარანტირებული არ არის. საერთო კრებაზე მონაწილეობის უფლებისათვის არარელევანტურია საკითხი იმის შესახებ, თუ რა კლასის აქციის მფლობელია საწარმოს პარტნიორი. ყოველი აქცია[27] უზრუნველყოფს აქციონერს ამ უფლებით. ამასთან მონაწილეობის შესაძლებლობა აქციონერს მისი პროცენტული მაჩვენებლისაგან დამოუკიდებლადაც აქვს. ეს უფლება უზრუნველყოფს აქციონერს მონაწილეობა მიიღოს საერთო კრებაში, ამიტომ იგი აქციონერის *უფლებამოსილების კატეგორიას* განეკუთვნება და არა მოვალეობას.[28] შესაბამისად, განსხვავებით სხვა პირებისაგან,[29] აქციონერს არ შეიძლება დაეკისროს კრებაზე მონაწილეობის ვალდებულება.

საერთო კრებაზე მონაწილეობის უფლება მოიცავს კრებაზე *დასწრების* უფლებას, რომელიც, თავის მხრივ, *შეკითხვის დასმისა და განცხადებების* გაკეთების უფლებას გულისხმობს.[30] აქციონერის ეს უფლებები, როგორც წესი, რეალიზებულ იქნება აქციონერთა საერთო კრებაზე და ისინი დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს უშუალოდ უკავშირ-

[27] იქნება იგი ხმის უფლების მქონე თუ არა (როგორც წესი, ჩვეულებრივი თუ პრივილეგირებული).

[28] MünchKommAktG/*Kubis*, 2. Auf., (2004), §118 Rn. 52.

[29] როგორიცაა დირექტორი (გამგეობის წევრი), სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, მმართველთა საბჭოს წევრი. ამ პირთათვის გერმანული სააქციო კანონი პირდაპირ ითვალისწინებს კრებაზე დასწრების (მონაწილეობის) ვალდებულებას (AktG §118 Abs. 3, Satz 1). ამიტომ, აქციონერისაგან განსხვავებით, სააქციო სამართალი საკანონმდებლო დონეზე ადგენს მონაწილეობის ვალდებულებას ამ პირთათვის, თუმცა იქვე მიუთითებს, რომ წესდებამ შესაძლოა განსაზღვროს შემთხვევები, როდესაც მათი მონაწილეობა დასაშვებია ელექტრონული (სამაუწყებლო ან რადიო) საშუალებების გამოყენების მეშვეობით (AktG §118 Abs. 3, Satz 2). ამის თაობაზე იხ. მაგ.: *Hüffer*, AktG, 9. Auf., (2010), §118 Rn. 10; *Reger* in Bürgers/Körber, AktG, 2. Auf., (2011), §118 Rn. 8.

[30] *Mayer* in Manz/Mayer/Schröder, Die Aktiengesellschaft, (2010), S. 201.

დება. ამიტომ ამ უფლებების არამიზნობრივად და არასაგნობრივად გამოყენება შესაძლოა გარკვეულ სანქციის შემცველ შედეგზეც იყოს დამოკიდებული.[31] მნიშვნელოვანია, რომ კრებაში მონაწილეობის უფლება უფრო ფართოა, ვიდრე ხმის უფლება. მართალია, ხმის უფლება უშუალოდ არის დაკავშირებული კრებაზე მონაწილეობის უფლებასთან,[32] თუმცა ეს უკანასკნელი დამოუკიდებელი უფლებაა და მისგან (ხმის უფლებისაგან) არ გამომდინარეობს. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ საერთო კრებაზე დასწრების უფლება მოიცავს ხმის უფლებასაც, თუმცა შესაძლებელია აქციონერს არ ჰქონდეს ხმის უფლება, მაგრამ სიტყვის გამოთქმის და შეკითხვის დასმის (ასევე განცხადების გაკეთების) უფლებას მას ვერავინ ჩამოართმევს.[33] კრებაზე მონაწილეობის უფლება არ შეიძლება შეიზღუდოს საზოგადოების წესდებით.[34] წესდებაში ასეთი ჩანაწერის არსებობა მის ბათილობას გამოიწვევს.

აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება არ გახლავთ „მაღალი პერსონალური ხასიათის“ უფლება.[35] მისი გამოყენება არსებითად არ არის დამოკიდებული მონაწილის პიროვნებაზე.[36] ამიტომ მონაწილეობის სამართლებრივი უფ-

[31] მაგალითად, აქციონერისთვის სიტყვის ჩამორთმევის უფლება ან მისი დარბაზიდან გაძევების უფლება. ამის შესახებ წიგნის II ნაწილში უფრო დაწვრილებით იქნება საუბარი.

[32] *Zöllner* in KK-AktG, (1985), §118 Rz. 18.

[33] როგორც ითქვა, გარკვეული გამონაკლისების გარდა.

[34] MünchKommAktG/*Kubis*, (2004), §118 Rn. 54.

[35] *Hoffmann* in Spindler/Stilz, AktG, 2. Auf., (2010), §118 Rn. 13.

[36] საერთო სააქციო სამართალში ერთმანეთისაგან განასხვავებენ მესამე პირის მიერ ხმის უფლების გამოყენების (გადაცემის) ზოგად და განსაკუთრებულ ნორმებს. ასეთი დაყოფა არ არის საკანონმდებლო დაყოფა, თუმცა იურიდიულ ლიტერატურაში დადგენილია. ხმის უფლების გამოყენების ზოგადი ნორმები მესამე პირის (წარმომადგენლის) მიერ ამ უფლების გამოყენების ყოველდღიურ შემთხვევებზე ამახვილებს ყურადღებას, მაშინ,

ლება შესაძლოა პირმა (აქციონერმა) მის გარიგებით წარმომადგენელს გადასცეს.[37] თავად წარმომადგენელი აქციონერის სტატუსით, ბუნებრივია, ვერ ისარგებლებს, თუმცა საზოგადოების პარტნიორის სახელით ის უფლებები ექნება, რომელიც აქციონერის ინდივიდუალურ უფლებებად იქნა ზემოთ მოხსენიებული. ის, რომ კრებაზე მონაწილეობის უფლებით შეიძლება წარმომადგენელმაც ისარგებლოს, სააქციო კანონის 134-ე პარაგრაფის მე-3 აბზაციდან[38] და 135-ე პარაგრაფიდან,[39] ხმის უფლების გადაცემის შესაძლებლობიდან,[40] გამომდინარეობს.[41] ამავე შინაარსს განსაზღვრავს „მეწარმეთა შესახებ“ კანონიც, კერძოდ, 54-ე მუხლის მე-3 პუნქტის ბოლო წინადადება, რომლის მიხედვითაც, აქციონერთა საერთო კრების მუშაობაში დასაშვებია წარმომადგენლობა წერილობითი მინ-

როდესაც განსაკუთრებული დებულებები მხოლოდ სპეციალურ (და გარკვეულწილად კანონით ზუსტად განსაზღვრული პირების მიერ) შემთხვევებში გამოიყენება. *Ruoff*, Stimmrechtsvertretung, Stimmrechtsermächtigung und Proxy-System, S. 15.

[37] ამ ინსტიტუტს გერმანიაში საკმაო ხნის ისტორია და დიდი ტრადიცია აქვს (მისი ისტორიული განვითარებისა და ევოლუციის შესახებ იხ.: *Körber*, Das Stimmrechtsvertretung durch Kreditinstitute, S. 20-21; *Püttner*, Das Depotstimmrecht der Banken, S. 15-17. ჯერ კიდევ გამოჩენილმა იურისტმა *რენომ* 1875 წელს თავის სახელმძღვანელოში „სააქციო სამართალი“ ჩამოაყალიბა მოსაზრება, რომ „გარიგებითსამართლებრივი წარმომადგენლობა აქციონერთა ყრილობაზე სავსებით დასაშვებია“. *Renaud*, Das Recht der Actiengesellschaften, S. 467.

[38] ხმის უფლება შესაძლოა მინდობილი პირის მიერ იქნეს განხორციელებული („Das Stimmrecht kann durch einen Bevöllmächtigten ausgeübt werden“).

[39] ხმის უფლების გამოყენება საკრედიტო ინსტიტუტის და გარიგებითი წარმომადგენლის მიერ (Ausübung des Stimmrechts durch Greditinstitute und geschäftsmässig Handelnde).

[40] Stimmrechtsvertretung.

[41] *Hoffmann* in Spindler/Stilz, AktG, 1. Auf., §118 Rn. 13.

დობილობის საფუძველზე.[42] საერთო კრებაზე მონაწილეობის უფლება დამოკიდებულია აქციონერთა რეესტრში აქციის მესაკუთრის რეგისტრაციის ფაქტზე. ამას პირდაპირ ითვალისწინებს გერმანული სააქციო კანონმდებლობა.[43] მართალია, მეწარმეთა კანონი შინაარსობრივად იგივეს განამტკიცებს, თუმცა გერმანული სააქციო კანონის ჩანაწერსა და მეწარმეთა კანონის 51-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველ წინადადებას შორის გარკვეული სხვაობა არსებობს. ნაციონალური კანონმდებლობის ამ დებულების სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობის მიხედვით: „აქციონერის საკუთრების უფლება აქციაზე დასტურდება სს-ის აქციათა რეესტრში ჩანაწერით ან ნომინალური მფლობელის ჩანაწერით". ეს ნორმა საკუთრების უფლების კონსტიტუტიურ ფაქტს ეხება. აქ არ არის საუბარი, თუ ვისთან მიმართებით განიხილება აქციის შემძენი აქციონერად: საზოგადოებასთან მიმართებით თუ მესამე პირთან მიმართებით. გერმანული კანონის ჩანაწერი კი უფრო აკონკრეტებს ამ ვითარებას და ამბობს, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობაში აქციონერად მხოლოდ ის განიხილება, ვინც ასეთად არის რეგისტრირებული აქციათა რეესტრში.[44] შესაბამისად, გერმანული და ქართული კანონების[45] განმარტების შედეგად ის აზრი მკვიდრდება, რომ კრებაზე მონაწილეობის უფლება შეიძლება გადამოწმებულ იქნეს ჩანაწერის არსებობის ფაქტით, ანუ აქციონერი (ან მისი წარმომადგენელი) საერთო კრებაზე მონა-

[42] თუმცა კანონი არ განსაზღვრავს, თუ როგორი - მარტივი თუ რთული წერილობითი ფორმა უნდა იყოს გამოყენებული. ვფიქრობ, დავის დროს მტკიცების ტვირთთან დაკავშირებული საკითხების თავიდან აცილების მიზნით უმჯობესი იქნებოდა, კაუტელარული პრაქტიკა სწორედ რთული წერილობითი ფორმით წასულიყო.

[43] AktG § 67 Abs. 2, Satz 1.

[44] „Im Verhältnis zur Gesellschaft gilt als Aktionär nur, wer als solcher im Aktienregister eingetragen ist". (AktG §67 Abs 2, Satz 1).

[45] მიუხედავად არაარსებითი სხვაობისა.

წილეობას მიიღებს მას შემდეგ, რაც ჩანაწერით დადასტურებულ იქნება მისი, როგორც აქციის მესაკუთრის, კონსტიტუტიური ლეგიტიმაციის ფაქტი აქციონერთა რეესტრში.

აქცია შესაძლოა თანასაკუთრების უფლებით ორ ან მეტ პირს ეკუთვნოდეს. მაგალითად, აქცია მეუღლეთა თანასაკუთრებაა და ორივე მათგანი აქციის (გარკვეული რაოდენობის) მესაკუთრედ არის რეგისტრირებული აქციათა რეესტრში, თანახმად მეწარმეთა კანონის 51-ე მუხლის მე-2 პუნქტისა. მაშინ ისმის კითხვა: ორივე მათგანისთვის არის უზრუნველყოფილი კრებაზე მონაწილეობის უფლება, თუ იგი გარკვეულ შეზღუდვებს შეიცავს? გერმანული სამართლის მიხედვით ეს უფლება *მხოლოდ მათ წარმომადგენელს* აქვს და არა მათ ცალ-ცალკე.[46] შესაბამისად, ამ ე.წ. Teilnahmerecht-ით მხოლოდ ეს უკანასკნელი ისარგებლებს. აქ მეტად მნიშვნელოვანია ის მომენტი, რომ ზემოაღნიშნული პოზიცია განმტკიცებულია სააქციო კანონის 69-ე პარაგრაფის პირველ აბზაცში.[47] ასეთ ჩანაწერს „მეწარმეთა შესახებ" კანონი არ ითვალისწინებს. ამიტომ ამ არგუმენტაციის გადმოტანა ქართულ სამართლებრივ ჭრილში, ძალზე გაჭირდება. ჩემი აზრით, ქართულ სამართალში აქციონრებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ შესაძლოა ჰყავდეთ ერთიანი წარმომადგენელი საერთო კრებაზე, ვერავინ აუკრძალავს ამ უფლების გამოყენებას საერთო კრებაზე. აღნიშნული არგუმენტაცია შესაძლოა ასეც განმტკიცდეს: სსსკ-ის 79-ე მუხლის პირველი, 81-ე მუხლის პირველი პუნქტების თანახმად, პროცესში მონაწილეობის

[46] Mayer in Manz/Mayer/Schröder, Die Aktiengesellschaft, (2010), S. 203.

[47] თუკი აქცია რამდენიმე უფლებამოსილ პირს ეკუთვნის, მაშინ მათ აქციიდან გამომდინარე უფლებების გამოყენება მხოლოდ მათი წარმომადგენლის მეშვეობით შეუძლიათ („Steht eine Aktie mehreren Berechtigten zu, so können sie die Rechte aus Aktie nur durch einen gemeinschaftlichen Vertreter ausüben").

უფლება აქვთ მხარეებს და მათ წარმომადგენლებს, თუმცა წარმომადგენლის მონაწილეობა სულაც არ გამორიცხავს, რომ თავად წარმოდგენილმა (რომელიც შესაძლოა ესწრებოდეს სამართალწარმოებას) მიიღოს მონაწილეობა და ისარგებლოს, მაგალითად, სიტყვის, შეკითხვის დასმის და ა.შ. უფლებით.

ბ) ხმის უფლება

აქციონერთა საერთო კრებაზე მონაწილეობის უფლებისაგან მომდინარეობს აქციონერის *ხმის უფლება.* საზოგადოების პარტნიორის ხმის უფლება ასევე წარმოადგენს აქციონერის კორპორაციულ-სამართლებრივ უფლებას, თუმცა იგი შესაძლოა შეიზღუდოს (ან ჩამორთმეულ) იქნეს კანონით ან წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. აქციონერი ხმის უფლებას აქციონერთა საერთო კრებაზე ახორციელებს.[48] ხმის უფლების გამოყენებით მას შესაძლებლობა აქვს საკუთარი წვლილი შეიტანოს საზოგადოების ნების ფორმირებაში[49] და ხმის მიცემით საერთო კრების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესის მონაწილე გახდეს.[50] ამიტომ ხმის მიცემა (ხმის უფლების განხორციელება) ჩვეულებრივ სამოქალაქოსამართლებრივ აქტად განიხილება და მას ნების გამოვლენასთან დაკავშირებული სამოქალაქოსამართლებრივი საკითხები (და შედეგები) უკავშირდება.[51] მონაწილეობის უფლებისაგან ხმის უფლება იმით განსხვავდება, რომ კრებაზე დასწრების უფლებით ყველა აქციონერი სარგებლობს, მაშინ, როდესაც ხმის უფლება მხოლოდ იმ აქციონერს აქვს, რომლის აქციაც ამ უფლებას თავად განამტკიცებს. ხმის უფლება კორპორაციული მმართველობის უფლების ბირთვს წარმოადგენს,[52] რომელზეც არსებითად არის დამოკიდებული საზოგადოების გადაწყვეტილების და ძირითადი პოლიტიკის შემუშავების პროცესი. გერმანული სამართლის მიხედვით, ხმის უფლება შენატანების სრულყოფილად განხორციელების შემდეგ წარმოიშობა.[53] თუმცა ფულადი შესატანის დროს შესაძლებელია, არასრულყოფილი განხორციელების შემთხვევაშიც აქციონერს ხმის უფლების გამოყენების შესაძლებლობა მიეცეს.[54] სანივთო (არაფულადი) შენატანების დროს, გერმანული სამართლის მიხედვით, ასეთი კონსტრუქცია წარმოუდგენელი იქნება. არაფულადი შენატანები რეგისტრაციამდე სრულყოფილად უნდა იქნეს შევსებული. შესაბამისად, ამ დროს ხმის უფლების გამოყენების (მოქმედების დაწყების) საკითხი უშუალოდ შენატანის სრულყოფილ განხორციელებას უკავშირდება. ამიტომ ფულადი შესატანებისას, როდესაც სააქციო კანონი უშვებს რეგისტრაციამდე მათი ღირებულების 1/4 გადახდის შესაძლებლობას,[55] წესდებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს, რომ ზემოთაღნიშნული ღირებულების გადახდის შემდეგ აქციონერი შეუდგეს ხმის უფლების გამოყენებას.[56] ქართული

[48] KpK GesR/*Paschke* Kap. 10. §118 Rn. 2; MünchKommAktG/*Kubis*, (2004), §118 Rn. 33.

[49] *Langenbucher*, Aktien- und Kapitalmarktrecht, 2. Auf., (2011), S. 175.

[50] *Zöllner* in Kölner Kommentar zum AktG, (1985), §134 Rz. 4; *Maul* in Müller/Rödder (Hrsg.), Beck'sches Hdb. der AG, §4 Rn. 39.

[51] ნორმები ნების გამოვლენის თავისუფლების, საცილოობისა და ბათილობის და ა.შ. შესახებ. *Mayer* in Manz/Mayer/Schröder, Die Aktiengesellschaft, (2010), S. 229.

[52] *Jannot/Hagemann* in Henn/Jannot/Hagemann (Hrsg.), Hdb. des Aktienrechts, (2009), S. 77.

[53] AktG §134 Abs. 2. Satz 1; *Holzborn* in Bürgers/Körber, AktG, §134 Rn. 13.

[54] უახლესი ლიტერატურიდან სხვა დანარჩენის მაგივრად: *Hüffer*, AktG, (2012), §134 Rn. 16, 17; *Holzborn* in Bürgers/Körber, AktG, §134 Rn. 14; ძველი კომენტარებიდან მაგ.: *Zöllner* in Kölner Kommentar zum AktG, (1985), §134 Rz. 51 ff.

[55] AktG §36 Abs. 2, §36a Abs. 1.

[56] *Holzborn* in Bürgers/Körber, AktG, 2. Auf., (2011), §134 Rn. 14.

საკორპორაციო სამართალი ამ საკითხთან მიმართებით მეტად ლიბერალურ მიდგომას ამკვიდრებს. როგორც ნაშრომის პირველ ტომში არაერთგზის ითქვა, შენატანებთან დაკავშირებით ნაციონალური კანონმდებლობა მეტად „მოქნილი“ გახდა. სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ ხმის უფლების რეალური გამოყენების მომენტად მეწარმეთა კანონი საწესდებო ავტონომიაზე მიუთითებს. სხვა სიტყვით რომ ითქვას, აქციონერები თავად განსაზღვრავენ შენატანის შეტანის წესს, პირობებს, ვადებს და ა.შ.[57] აქედან გამომდინარე, ისინი თავად ადგენენ თუ დროის რა მომენტიდან ექნება პარტნიორს მისი ხმის გამოყენების (მოქმედების) შესაძლებლობა. მოკლედ, ეს პარტნიორთა შეთანხმების საგანია და კანონის წინაპირობებზე დამოკიდებული არ გახლავთ.

თავად ხმის უფლება შესაძლოა კიდევ რამდენიმე კატეგორიად დაიყოს. კერძოდ, ამ შემთხვევაში საუბარი იქნება ე.წ. სიტყვის (შეკითხვის დასმის) და განცხადების გაკეთების უფლებაზე.[58]

[57] „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის დანაწესი ამავე მუხლის მე-5 პუნქტთან და ამავე კანონის მე-5 მუხლთან ერთობლიობაში (მე-5 მუხლი რეგისტრაციის პირობებს ეხება, სადაც კაპიტალის შევსების წესი, პირობები და ვადები პარტნიორთა შეთანხმების საქმეა და მისი შემოწმება მარეგისტრირებელ ორგანოს არ მოეთხოვება). თუმცაღა აქ არ უნდა დავივიწყოთ ამ პროცესში (მაგალითად, შესატანის მოთხოვნისა და სხვა მსგავსი საკითხები) პარტნიორთა (აქციონერთა) თანასწორუფლებიანობის განუხრელი დაცვის უზრუნველყოფის პრინციპი, რომელიც, ჩემი აზრით, მიუხედავად კანონით აღიარებული საწესდებო ავტონომიის თავისუფლებისა, განსაკუთრებითაა გასათვალისწინებელი ამგვარი საკითხების განხილვის დროს. მაგალითისთვის მსჯელობა იხ.: *ჯულელი*, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, გვ. 227 და მომდევნონი.

[58] გარკვეული კორექტირება შევიტანე ამ საკითხის ქართულ მიდგომასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში საუბარია იმაზე, რომ ჩემ მიერ, გარკვეულწილად, სხვაგვარად მოხდა ხმის უფლების დაყოფა, როდესაც უმცირესობაში მყოფი აქციონერის უფლებების ბოროტად გამოყენებაზე ვსაუბრობდი. იხ. თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, 2009, გვ. 266 და მომდევნო. ხმის უფლებას მე ვყოფდი (პირდაპირი გაგებით) ხმის უფლებად და კითხვის უფლებად. თავისთავად ხმის უფლება, მისი პირდაპირი მნიშვნელობით გულისხმობს სიტყვის უფლებას, რადგანაც, როგორც წესი, აქციონერი დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით საკუთარ პოზიციას გამოთქვამს სწორედ სიტყვის სარგებლობის უფლებით, ხოლო აზრს ხმის მიცემით აფიქსირებს. გარდა ამისა, სიტყვის უფლებასთან ერთად ყოველთვის დგას კითხვის დასმის უფლება. ამიტომ ეს ორი კატეგორია ყველაზე ახლოს დგას ერთიმეორესთან. რაც შეეხება განცხადებების გაკეთების უფლებას, ეს კიდევ ცალკე კატეგორიად შეიძლება დაიყოს. ამიტომ ამჟამად სწორედ ამგვარ დაყოფას შემოგთავაზებდით: საერთო კრებაზე სიტყვისა და კითხვის დასმის უფლება; განცხადების გაკეთების უფლება. ბუნებრივია, ეს უფლებები კრებასთან დაკავშირებულ უფლებებად იქნება წარმოდგენილი.

გ) სიტყვის უფლება

ხმის უფლება მოიცავს საერთო კრებაზე სიტყვის წარმოთქმის უფლებას. ხმის უფლება უშუალოდ უკავშირდება კრებაზე განსახილველ საკითხთან (საკითხებთან) დაკავშირებით აქციონერის არგუმენტაციის, საკუთარი აზრის გადმოცემის შესაძლებლობას. გერმანული და ქართული სააქციო კანონმდებლობით ზუსტად არ არის გათვალისწინებული აქციონერის სიტყვის უფლება. ისევე, როგორც საერთო კრებაზე მონაწილეობის უფლება,[59] სიტყვის წარმოთქმის უფლებაც დაუწერელი ხასიათის კორპორაციულ-სამართლებრივი უფლებაა. გერმანელი იურისტები სიტყვის უფლების გამოყენების საფუძვლად სააქციო კანონის 118-ე პარაგრაფზე მიუთითებენ.[60] მეწარმეთა კანონი, ისევე, როგორც გერმანული სააქციო

[59] როგორც ზემოთ ითქვა გერმანული სამართლის მიხედვით.

[60] 118-ე პარაგრაფის პირველი აბზაცის პირველივე წინადადება ამბობს, რომ აქციონერები, საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებით, თავიანთ უფლებებს იყენებენ (ახორციელებენ) აქციონერთა საერთო კრებაზე (AktG

კანონმდებლობა, საკანონმდებლო დონეზე არ იცნობს სიტყვის უფლებას, თუმცა იგი ქართული საკორპორაციო სამართლითაც აქციონერის გარანტირებული უფლებაა. უმჯობესი იქნებოდა, „მეწარმეთა შესახებ“ კანონშიც გვეხილა გერმანული ნორმის მსგავსი დანაწესი, რომლის მიხედვითაც საკანონმდებლო დონეზე დადგინდებოდა ის ადგილი, სადაც ჩვეულებრივ აქციონერი თავისი უფლებების რეალიზებას შეძლებდა. მაგრამ ამ ნორმის არარსებობა, მაინც არ უნდა იყოს პრობლემის დასაბამი. როგორც ითქვა, მეწარმეთა კანონი იცნობს ჩანაწერს, რომლის მიხედვითაც, აქციონერის საერთო კრებაზე მონაწილეობის უფლება დაწერილ კატეგორიად განიხილება.[61] რადგან ხმის უფლება (აქედან კი სიტყვისა და შეკითხვის დასმის უფლებაც) თავად მონაწილეობის უფლებიდან მომდინარეობს, „პრობლემაც“ ქრება, რამდენადაც იგი (სიტყვის უფლება) ნაწარმოებ უფლებად მოიაზრება. „სიტყვის უფლება ყოველი აქციონერის წევრობასთან დაკავშირებულ ინდივიდუალურ უფლებათა რიცხვს მიეკუთვნება“, თუმცა წესდების ან კანონის ან კიდევ საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად შესაძლოა შეიზღუდოს ან სულაც ჩამორთმეულ იქნეს.[62] ამ დროს მთავარია, რომ ეს უფლება აქციონერს გაუმართლებლად და არამართლზომიერად არ შეეზღუდოს, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა დადგეს კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილობის საკითხიც.[63] ისევე,

§118 Abs. 1, Satz 1). ამასთან დაკავშირებით მაგ.: *Hoffmann* in Spindler/Stilz, AktG, 2. Auf., (2010), §118 Rn. 1, 2, 11 ff.

[61] მეწარმეთა კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ბოლო წინადადება.

[62] *Mayer* in Manz/Mayer/Schröder, Die Aktiengesellschaft, (2010), S. 212.

[63] თანამედროვე სააქციო სამართალი ასეთ დროს სიტყვის უფლების დღის წესრიგით განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით „საჭიროებისამებრ“ გამოყენებაზე მიუთითებს, რასაც, ცხადია, საგნობრივი და შინაარსობრივი ხასიათი უნდა ჰქონდეს. *Jannot/Hagemann* in Henn/Jannot/Hagemann (Hrsg.), Hdb. des Aktienrechts, (2009), S. 490.

როგორც მონაწილეობის უფლება სიტყვის წარმოთქმის უფლებაც აქციონერის მონაწილეობითსამართლებრივი კვოტის მიუხედავად წარმოდგება და იგი შესაძლოა ჰქონდეს ჩვეულებრივი ან პრივილეგირებული აქციის მფლობელს საზოგადოებაში.[64] თუმცა ინდივიდუალურ უფლებასთან ერთად იგი საერთო კრებასთან მჭიდროდ დაკავშირებული უფლებაა, რადგანაც სწორედ საერთო კრება მიიჩნევა იმ ადგილად, სადაც აქციონერის ამ უფლების რეალიზება ხდება. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვის უფლება კორპორაციულად გარანტირებული და, პრინციპში, შეუზღუდავი ხასიათის უფლებაა, ქართული საკანონმდებლო რეალობიდან გამომდინარე, შესაძლოა ისეთი ვითარება შეიქმნას, როდესაც აქციონერმა საერთოდ ვერ ისარგებლოს ამ უფლებით. ზემოთ ითქვა, რომ სიტყვის უფლება უშუალოდ უკავშირდება საერთო კრების ჩატარებას. სწორედ საერთო კრებაზე პარტნიორის მიერ გამოთქმული აზრი ემსახურება გადაწყვეტილების მიღების პროცესს და მასზე გარკვეული „ზეგავლენის“ მოხდენას. თუმცა ნიშანდობლივია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 54-ე მუხლის 1^1 პუნქტის ჩანაწერი. კანონის აღნიშნული ნორმა იძლევა კრების ჩატარების გარეშე „საერთო კრების“ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. მხედველობაშია კანონის დათქმა, რომლის მიხედვითაც, კრების ჩატარება აუცილებელი არ არის, თუკი გადაწყვეტილება მიღებული იქნება საზოგადოების კაპიტალის ხმების 75%-ზე მეტი მფლობელის მიერ. კანონი ამბობს, რომ ეს გადაწყვეტილება[65] კრების ოქმის ტოლფასი და კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების იდენტური იქნება. რო-

[64] *Jannot/Hagemann* in Henn/Jannot/Hagemann (Hrsg.), Hdb. des Aktienrechts, (2009), S. 75.

[65] რომელიც, რა თქმა უნდა, გაფორმებული უნდა იყოს წერილობითი სახით.

გორც ჩანს, ამ შემთხვევაში აქციონერს[66] ესპობა შესაძლებლობა დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია დააფიქსიროს. მართალია, მინორიტარი აქციონერი ხმის მიცემით ზემოქმედებას ვერ მოახდენდა გადაწყვეტილების შედეგზე, თუმცა მის მიერ სიტყვის გამოყენებას კორპორაციულ-სამართლებრივი დანიშნულება ექნებოდა. საერთო კრება ის ადგილია, სადაც საზოგადოების პოლიტიკა ფორმირდება. საერთო კრება გადაწყვეტილებებს სწორედ ნების გამოვლენის შედეგად იღებს.[67] გამომდინარე აქედან, ამ ნების ფორმირება აზრის აქტიურად დაფიქსირების შედეგად უნდა მოხდეს. დისკუსიები და დებატები „ჭეშმარიტი“ და საწარმოსათვის სასიკეთო გადაწყვეტილების მიღების წინაპირობაა. ამიტომ ყოველი აქციონერის აზრის აქტიური დაფიქსირება, თუნდაც იგი, საბოლოო ჯამში, მიუღებელი აღმოჩნდეს საერთო კრებისთვის, მაინც მნიშვნელოვანი უნდა იყოს. პრაქტიკაში შეიძლება ისეთი ვითარებაც შეიქმნას, როდესაც უმცირესობაში მყოფი აქციონერის აზრის (სიტყვის) მოსმენის შემდეგ დომინანტ აქციონერს შეეცვალოს წარმოდგენა მისაღებ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რაც საერთო კრებაზე სხვანაირი გადაწყვეტილების მიღების საფუძველიც გახდეს.[68] მეორე მხრივ, ნაციონალური კანონის აღნიშნული ჩანაწერი საწარმოში გადაწყვეტილებების მიღების სისწრაფეს უწყობს ხელს. ამით კორპორაციის მართვა შესაძლოა, უფრო ეფექტური აღმოჩნდეს. თუმცა ისეთი ნორმების არსებობა, რომელიც გერმანული სააქციო კანონით არის გათვალისწინებული,[69] უეჭველად შეუწყობდა ხელს იმას, რომ

[66] უმცირესობაში მყოფს.

[67] მართალია, გადაწყვეტილების მიღებას ხმათა საჭირო უმრავლესობა ჭირდება, მაგრამ უმრავლესობის გადაწყვეტილებაც ხომ ნების გაოვლენას ეფუძნება. შესაბამისად, კრებაზე მოღებული ყოველი გადაწყვეტილება ნების გამოვლენის ტოლფასია და გარიგების ფორმა აქვს. *Henze*, Aktiencnrecht. Höchstrichterliche Rechtsprechung, (2000), S. 281.

[68] ზემოაღნიშნული სააქციოსამართლებრივ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპად ითვლება დღესაც კი. თუმცა იმავე გერმანულ სამართალში არის საუბარი იმაზე, რომ საერთო კრება (ანუ კრების ფიზიკურ გამართვაზე, მასზე რეალურ მონაწილეობაზე და ა.შ.) თანამედროვე კორპორაციულ რელობაში ვეღარ ასრულებს იმ ტრადიციულ დანიშნულებას, რომელიც

მას რამდენიმე ხნის წინ ჰქონდა („საერთო კრება კანონით აღიარებული ლეგიტიმური ფორუმია ლაყაფისა და შეურაცხყოფისთვის“. *შტაინბრუკის* სიტყვა, წარმოთქმული ბერლინის ჰუმბოლტის უნივერსიტეტის ინტერდისციპლინური რესტრუქტურიზაციის ინსტიტუტის გახსნაზე. *Steinbruck*, Festrede zur Eröffnung des Instituts für Interdisziplinäre Restrukturierung an der Berliner Humboldt Universität 19.03.2010. მითითებულია: *Bachmann* in: FS Günter Roth, S. 37.). თანამდროვე ტექნოლოგიები განაპირობებს საერთო კრების ორგანიზების (ჩატარების) სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებას. ამასთან, პრაქტიკა იმასაც ადასტურებს, რომ საერთო კრებებზე მონაწილეობის სურვილი სულ უფრო და უფრო ნაკლებ აქციონერს აქვს. შესაბამისად, ეს უკანასკნელი, როგორც წესი, ხმის უფლების გადაცემის ინსტიტუტიდან გამომდინარე ხშირად კრებაზე წარმომადგენლით არის წარმოდგენილი. მოკლედ, საერთო კრების შესაძლო რეფორმირების დისკუსიის შესახებ იხ. *ბახმანის* სტატია ფრიად საინტერესო სათაურით: საერთო კრების გაუქმება? *Bachmann* in: FS Günter Roth, S. 38 ff.

[69] მხედველობაშია სააქციო კანონის 131-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცის მე-2 წინადადება. გერმანულ სამართალში ეს ნორმა ახალი შემოსულია. სააქციო კანონის ადრე მოქმედი რედაქცია არ იცნობდა ამგვარ დანაწესს, რაც მრავალი დისკუსიის საგანი იყო. იხ. მაგ.: *Lehmann*, Missbrauch, S. 53 ff; *Martens*, Missbrauch, S. 66 ff; *Zöllner* in KölnerKomm., §131 Rdn. 44. ვუთითებ: *Sailer*, Aktienrechtliche Minderheitskompetenzen, S. 221-222. ამ დროს საუბრობდნენ უმცირესობაში მყოფი აქციონერის მხრიდან ამ უფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობაზე. რადგანაც საკანონდმებლო დონეზე ამ უფლებათა შეზღუდვა ან სულაც ჩამორთმევა გათვალისწინებული არ იყო, ამიტომ რთულდებოდა საზოგადოების ხელმძღვანელი პირების მხრიდან ამგვარ გადაწყვეტილებათა მიღება. ამას მოყვებოდა ხოლმე გაუთავებელი გასაჩივრებები სასამართლოში სიტყვის და კითხვის დასმის უფლების შეზღუდვის მოტივით, რაც, საბოლოო ჯამში, მიღებული გადაწყვეტილების სწრაფ ოქმედებას და აღსრულებას საფრთხეს უქმნიდა.

საერთო კრების რეალურად გამართვა პრობლემას არ შექმნიდა, ხოლო ეს, თავის მხრივ, ამ კრებებზე გადაწყვეტილებათა მიღების სისწრაფეს და ეფექტურობას მოემსახურებოდა. საბოლოო ჯამში, სს საწარმოსათვის უფრო მისაღებ გადაწყვეტილებებს მიიღებდა.

დ) შეკითხვის უფლება

კითხვის, ანუ შეკითხვის დასმის უფლებაც საერთო კრებაზე აქციონერის მონაწილეობით კორპორაციულსამართლებრივ უფლებად, ანუ საერთო კრებაზე დამოკიდებულ უფლებად განიხილება.[70] როგორც წესი, კითხვის უფლებაში იგულისხმება საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ირგვლივ ინფორმაციის მოპოვების მიზნით საჭირო და აუცილებელი (უშუალოდ ამ საკითხებთან შეხებაში მყოფი) კითხვების დასმის უფლება.[71] კონკრეტული კითხვისთვის აქციონერს საერთო კრების თავმჯდომარისაგან შეესაძლოა განსაზღვრული ჰქონდეს გარკვეული ვადა[72] (მაგალითად, 5-10 წუთი)[73]. ვადის გასვლის შემდეგ კრების ხელმძღვანელს უფლება აქვს შეაჩეროს აქციონერი და სიტყვა

მოკლედ, საკანონმდებლო დონეზე ამ ნორმის შემოღებით ეს პრობლემაც, დიდწილად, მოიხსნა.

[70] *Göhmann* in Henn/Frodermann/Jannott, Handbuch des Aktienrechts, (2009), S. 491 f.

[71] *Reger* in Bürgers/Körber, Heidelberger Kommentar zum AktG, (2008), §131, Rn. 2.

[72] *Reger* in Bürgers/Körber, Heidelberger Kommentar zum AktG, 2. Auf., (2011), §131, Rn. 2.

[73] გერმანულ სამარალში, რომელიც ამ საკითხზე სასამართლო პრაქტიკითაა გაჯერებული, ძირითადად, 10-15 წუთიან მონაკვეთს გამოყოფენ. მაგ.: LG Franfuurt, 2006 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება № 3-05 O 93/06; *Spindler* in K. Schmidt/Lutter, AktG, §131 rn. 56.

გააწყვეტინოს მას.[74] ესეც, როგორც ჩანს, საერთო კრების ნორმალურ გარემოში ჩატარებისა და მისი მსვლელობის მიზანშეწონილობიდან გამომდინარე მოვლენაა. როდესაც ასეთი წვრილმანი საკითხები დეტალურად არის მოწესრიგებული საკანონმდებლო თუ არასაკანონმდებლო დონეზე, ბუნებრივია, გაცილებით უფრო ნაკლები ალბათობა არსებობს იმისა, რომ ვთქვათ უმცირესობის მხრიდან მოხდეს უფლების ბოროტად გამოყენება და ამ მოქმედებით საზოგადოებას გარკვეული ზიანი მიადგეს. ნაციონალური კანონმდებლობა ამ საკითხებს საერთოდ არ აწესრიგებს, არადა იგი მნიშვნელოვანია ტრანსფორმაციის ეტაპზე მყოფი ქვეყნის საკორპორაციო სამართლის განვითარებისთვის ზოგადად. მკაცრი, თუმცაღა, ამავე დროს, მოქნილი საკანონმდებლო ჩარჩოები, ქართულ საწარმოებში საერთო კრების მსვლელობის პრაქტიკას სწორედ ჩამოაყალიბებდა და ამ საკითხთან თანამედროვე მიდგომებს დაუდებდა დასაბამს. ქართული სამართლის მიხედვით, წესდება უნდა გახდეს ის დოკუმენტი, რომელიც ამ საკითხს მოაწესრიგებს. მხოლოდ შინაგანაწესით (როგორც ცალკე დოკუმენტით) ამ ურთიერთობის მოწესრიგება მიზანშეუწონლად უნდა ჩაითვალოს. თავდაპირველად წესდებაში უნდა იქნეს აღნიშნული ამ საკითხის მოწესრიგების თაობაზე. სწორედ ეს უკანასკნელი დოკუმენტი უნდა ანიჭებდეს კრების თავმჯდომარეს კრების წარმართვის პროცესის შესახებ წესების დადგენის უფლებამოსილებას. აქედან გაომდინარე კი, შესაძლებელი იქნება ზემოთ აღნიშნული ურთიერთობის მოწესრიგებაც. მოკლედ, ეს საკითხები ამ ეტაპზე წესდებით უნდა მოწესრიგდეს.

[74] *Göhmann* in Henn/Frodermann/Jannott, Handbuch des Aktienrechts, (2009), S. 491.

შეკითხვის დასმის უფლება მჭიდრო კავშირშია ინფორმაციის მიღების უფლებასთან.[75] საერთო კრებაზე დასმული შეკითხვა აქციონერის მხრიდან ხომ სწორედ გარკვეული ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას ემსახურება. ეს ცნობისმოყვარეობა არ უნდა გასცდეს დადგენილ ჩარჩოებს, რომელსაც შეკითხვის დასმის მიზანშეწონილობა, საგნობრიობა[76] და საკითხისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება განაპირობებს.

ე) განცხადების უფლება

განცხადების (განცხადებების) გაკეთების უფლებაც საერთო კრებაზე მონაწილეობის უფლებიდან გამომდინარე კატეგორიაა და იგი კრებაზე მონაწილეობასთან დაკავშირებულ უფლებად განიხილება. კომენტატორულ ლიტერატურაში ნათქვამია, რომ ეს უფლება სს-ში „ოპოზიციონერი აქციონერებისათვის განკუთვნილი უფლებაა“,[77] იმის გათვალისწინებით, რომ მათ ჰქონდეთ სამეთვალყურეო საბჭოს ან გამგეობის მიერ კრებისთვის შეთავაზებულ შესაძლო მისაღებ გადაწყვეტილებებზე საპირისპირო განცხადებების გაკეთების[78] და ამგვარად საკუთარი აზრის დაფიქსირების შესაძლებლობა. ნებისმიერ აქციონერს, მისი ხმების კვოტის, აქციათა კლასის მიუხედავად აქვს განცხადების გაკეთების უფლება, ამიტომ ეს უფლებაც კორპორაციულ-სამართლებრივად გარანტირებული უფლებაა. მთავარი ამ უფლების გამოყენების დროს, როგორც არაერთგზის ითქვა, არის ის, რომ მისი გამოყენება არ

[75] თუმცა მას ცალკე შევეხები.
[76] *Mayer* in Manz/Mayer/Schröder, Die Aktiengesellschaft, (2010), S. 213; *Mutter*, Auskunftsansprüche des Aktionärs, S. 62.
[77] MünchKommAktG/*Kubis*, 2. Auf., (2004), §126 Rn. 1.
[78] MünchKommAktG/*Kubis*, 2. Auf., (2004), §126 Rn. 1.

მოხდეს არამიზნობრივად და არ ემსახურებოდეს საერთო კრების მსვლელობის გაწელვას, განსახილველი საკითხის ჩაგდების, საერთო კრების ჩაშლის მცდელობას და ა.შ.

გერმანული სააქციო კანონის 126-ე პარაგრაფის პირველი აბზაცის პირველი წინადადება ითვალისწინებს განცხადებების გაკეთების შესაძლებლობას. განცხადებები შესაძლოა გაკეთდეს საერთო კრებაზე ან მანამ, სანამ იგი გაიმართება.[79] გამომდინარე იქიდან, რომ გერმანული კანონმდებლობა 126-ე პარაგრაფში ხმარობს სიტყვას „გადაგზავნა“,[80] განცხადებები, სანამ კრება გაიმართება, შესაძლოა გაკეთდეს წერილობითი ფორმით, ფაქსის ან ელექტრონული ფოსტის (მაილის) მეშვეობით.[81] ვფიქრობ, რომ გასაკეთებელი განცხადების (განცხადებების) შესახებ ინფორმაცია კრების თავმჯდომარისათვის უმჯობესია წინასწარ იქნეს მიწოდებული. ამით კრება მოულოდნელობისაგან იქნება დაზღვეული, რაც მის მსვლელობას ყოველგვარი უეცარი სიტუაციისაგან დაიცავს. ეს კი, საბოლოო ჯამში, მის სწრაფ ჩატარებას და გადაწყვეტილების სწრაფად და ეფექტურად მიღებას შეუწყობს ხელს.

2.1.2. კვოტაზე დამოკიდებული უფლებები

სააქციო სამართალი აქციონერთა „თანაბარი მოპყრობის“[82] პრინციპს განამტკიცებს.[83] თუმცა არსებობს ერთგვარი „გადახვევის“ შესაძლებლობები ამ პრინციპიდან, რომელსაც

[79] *Maul* in Müller/Rödder (Hrsg.), Beck'sches Hdb. der AG, §4 Rn. 48.
[80] übersenden. AktG §126 Abs 1 Satz 2.
[81] *Maul* in Müller/Rödder (Hrsg.), Beck'sches Hdb. der AG, §4 Rn. 48.
[82] იგივე თანასწორუფლებიანობის.
[83] ე.წ. Gleichbehandlungsgebot. ამაზე მაგ.: *Raiser/Veil*, Das recht der Kapitalgesellschaften, (2010), S. 80-83; *Maul* in Müller/Rödder (Hrsg.), Beck'sches Hdb. der AG, §4 Rn. 86 ff. და ა.შ.

სააქციო კანონმდებლობა ითვალისწინებს. აქციონერთა თანაბარი მოპყრობის დროს უფრო საუბარია იმაზე, რომ ერთი და იმავე კლასის აქციების მფლობელებს ერთნაირი (თანაბარი) პირობები მიეცეთ.[84] რა თქმა უნდა, აქციათა განსხვავებული კლასის შემთხვევაში მათ მფლობელებს სხვადასხვა უფლებები ექნებათ. მთავარი აქ ის არის, რომ ერთი და იგივე კლასის აქციამ მისი მფლობელი თანაბარი უფლებამოსილებით აღჭურვოს. „მეწარმეთა შესახებ“ კანონი განამტკიცებს პარტნიორთა (აქციონერთა) თანასწორუფლებიანობის პრინციპს საკანონმდებლო დონეზე[85] და იცავს მას. ქართული სამართლის მიხედვით, წესდებით შესაძლოა გათვალისწინებული იყოს აქციონერის უფლება-მოვალეობის განსაზღვრის სხვაგვარი სამართლებრივი კონსტრუქცია, რაც პარტნიორთა შიდა შეთანხმების საგანია და იგი გავლენას საზოგადოების გარესამართლებრივ ურთიერთობაზე, როგორც წესი, ვერ მოახდენს.

სს კაპიტალური ტიპის კორპორაციულად მოწყობილი სტრუქტურული წარმონაქმნია. იგი, მხატვრულად რომ ითქვას, „ძლიერთა მმართველობის“ ქვეშ მოქცეული ორგანიზაციული სუბიექტია. ძლიერი ამ შემთხვევაში კაპიტალის მფლობელია, რომელმაც ინვესტიცია განახორციელა საზოგადოებაში. რაც უფრო დიდია ინვესტიციის მოცულობა, როგორც წესი, მით უფრო ძლევამოსილია ეს პირი საწარმოს მართვისას. წვრილი აქციონერისათვის აქციაში ჩადებული ინვესტიცია მხოლოდ კაპიტალდაბანდებაა.[86] დომინანტ აქციონერს კი არა მხოლოდ კაპიტალდაბანდება, არამედ საწარმოს სრული დაუფლება და მისი მართვა აინტერესებს. რადგან სს-ის მართვა, გადამწყვეტად კაპიტალზეა დამოკიდებული, სააქციო კანონმდებლობა ისეთ შემთხვევებს ითვალისწინებს, რა დროსაც გარკვეული პროცენტის მქონე აქციონერს შესაძლოა არ ჰქონდეს ის უფლებები, რაც სხვა პროცენტის მქონე აქციონერს ექნება. სწორედ ასეთ დროს სააქციო სამართალში აქციონერის *კვოტასთან დაკავშირებულ უფლებებზე* საუბრობენ.

ინდივიდუალური უფლებებისაგან განსხვავებით, კვოტაზე დამოკიდებული უფლების რეალიზების შესაძლებლობა აქციათა მხოლოდ გარკვეული „პროცენტურლი ზღურბლის“ (მაჩვენებლის) მიღწევის შემთხვევაშია შესაძლებელი.[87] ამ მაჩვენებლთა შორის, გერმანულ და ქართულ სააქციო სამართალში გარკვეული განსხვავებები იკვეთება, რომელიც აქციონერთა 1%-ან, 5%-ან, 10%-ან მონაწილეობას უკავშირდება.

ა) 1%-ანი მონაწილეობით-სამართლებრივი უფლება

ამ მხრივ საინტერესოა გერმანული სააქციო კანონის 142-ე, 148-ე, 258-ე, 315-ე პარაგრაფები. უმცირესობის კვოტაზე დამოკიდებულ უფლებებს შორის მნიშვნელოვანია *სპეციალური აუდიტის დანიშვნის* ექსკლუზიური უფლების უზრუნველყოფა, რაც გერმანიის სააქციო კანონის 142-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცშია განმტკიცებული. ამ შემთხვევაში კანონმდებლობა აძლევს ერთი პროცენტის[88] მქონე აქციონერს სასამართლოს გზით სპეციალური აუდიტის დანიშვნის მოთხოვნის უფლებას. ამ დროს საუბარია იმაზე, რომ საერთო კრების მიერ უარყოფილი იქნება ამ მოქმედების განხორციელება, ხოლო უმცირე-

[84] მაგ.: „თანაბარ პირობებში პარტნიორებს თანაბარი უფლება-მოვალეობა აქვთ“ - მეწარმეთა კანონის მე-3 მუხლის მე-9 პუნქტი.

[85] „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-9 პუნქტის პირველი წინადადების ჩანაწერი.

[86] BVerfG v. 7.8.1962 – 1 BvL 16/60 – “Feldmühle”, BVerfGE14, 263, 283; BVerfG v. 27.4.1999 – 1 BvR 1613/94 – “DAT/Altana”, BVerfGE 100, 289, 305.

[87] *Mayer* in Manz/Mayer/Schröder, Die Aktiengesellschaft, (2010), S. 162.

[88] ან იმ აქციონერს, რომლის წილი 100 000 ევროს შეადგენს.

სობას, ამის მიუხედავად, ექნება სპეციალური აუდიტორის (შემოწმების) დანიშვნის უფლებამოსილება. ერთპროცენტიანი უმცირესობის ეს უფლება, ბუნებრივია, ავტომატურ რეჟიმში არ ნიშნავს შემოწმების ჩატარებას. კანონმდებლობა უმცირესობას აძლევს მხოლოდ სასამართლოში ამ მოქმედების (დანიშვნის) შესახებ განცხადების წარდგენის შესაძლებლობას. დაკმაყოფილდება თუ არა განცხადება – ეს ყოველი კონკრეტული შემთხვევის შეფასების საკითხია. კანონმდებელი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება ამ პროცენტული ზღვარის შენარჩუნების საკითხს. მხედველობაშია ის ფაქტი, რომ განცხადების გაკეთების და მისი სასამართლოში განხილვის მომენტისთვის ამ მაჩვენებელმა ქვემოთ არ უნდა დაიწიოს.[89] ამიტომ 142-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცის მე-2 წინადადების შესაბამისად, განმცხადებელმა უნდა დაამტკიცოს, რომ იგი განცხადების შეტანისას და გადაწყვეტილების გამოტანამდე ფლობს სათანადო (პროცენტულ) მაჩვენებელს.[90] ასეთ შემთხვევაში აქციონერმა (აქციონერებმა) უნდა დაადასტუროს, რომ იგი ფლობს შესაბამის ერთპროცენტიან უმცირესობას სამი თვით ადრე, სანამ საერთო კრება მიიღებდა გადაწყვეტილებას სპეციალური შემოწმების შესახებ უარის თქმის თაობაზე.[91] აქვე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ განცხადების წარდგენის უფლება, გერმანული სამართლის მიხედვით, აქვს არა მხოლოდ ხმის უფლების მქონე აქციონერს, არამედ პრივილეგირებული აქციის მფლობელსაც, თუკი იგი კანონით დადგენილ მაჩვენებლს მიაღწევს.[92]

[89] ამ ზღურბლის დაწევის შემთხვევასი განცხადება განუხილველად დარჩება, რადგანაც დაინტერესებული უფლებამოსილი მხარე სახეზე აღარ იქნება.

[90] *Hüffer*, AktG, (2012), §142 Rn. 23.

[91] *Holzborn* in Bürgers/Körber, AktG, (2011), §142 Rn. 17.

[92] *Bezzenberger* in Grosskomm., §142 Rn. 47.

განსხვავებული ზღურბლია დაცული „მეწარმეთა შესახებ“ კანონში, რომელიც ასეთ შემთხვევებში 5%-ან უმცირესობაზე ამახვილებს ყურადღებას. 53-ე მუხლის 3^2 პუნქტის შესაბამისად, მთლიანად წლიური ბალანსის ან სამეურნეო მოქმედების სპეციალური შემოწმების უფლება გარანტირებულია ხუთპროცენტიანი უმცირესობისათვის. ამ დროს მათ შეუძლიათ მოითხოვონ საერთო კრებისაგან ამ მოქმედებების განხორციელება. ქართული კანონი არ აკონკრეტებს იმას, თუ ვის წარედგინება პირველ ყოვლისა მოთხოვნა სპეციალური აუდიტის (შემოწმების) დანიშვნის შესახებ. ამიტომ ზემოთ გამოითქვა აზრი, რომ უპირველეს ყოვლისა უმცირესობაში მყოფმა აქციონერმა სპეციალური შემოწმების მოთხოვნით სწორედ საერთო კრებას უნდა მიმართოს, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ უარის თქმის შემთხვევაში გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება სასამართლოში და უკვე სასამართლოს გზით მოითხოვოს შემოწმების დანიშვნა. მოკლედ, ნაციონალური კანონმდებლობის აღნიშნული ნორმაც[93] შინაარსობრივად იმას განამტკიცებს, რასაც გერმანიის სააქციო კანონის ზემოთ მოყვანილი[94] დანაწესი.

ერთპროცენტიანი (ან 100 000 ევროს) უმცირესობის შემდეგი უფლება, რაც კვოტაზე დამოკიდებულ უფლებად არის ცნობილი გახლავთ საზოგადოების სახელით მოთხოვნის წარდგენის უფლებამოსილება. ამას მეწარმეთა კანონიც ითვალისწინებს,[95] თუმცა პროცენტულ ზღურბლს (მაჩვენებელს) ამ შემთხვევაში საერთოდ არ განსაზღვრავს. იმ შეთხვევაში, როდესაც საზოგადოება არ გამოიყენებს (არ წარადგენს) მოთხოვნას მესამე პირის მიმართ, ასეთი მოქმედების განხორციელების უფლება უმცირესობაში მყოფ აქციონერს ენიჭება, რო-

[93] 53-ე მუხლის მე-3^2 პუნქტი.

[94] AktG §142 Abs 2.

[95] „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

მელიც ამ დროს „სამოქალაქო სამართლის საზოგადოების“[96] სახით მოქმედებს.[97] გერმანულ სამართალში ამ საკითხთან მიმართებით მნიშვნელოვანია ის, რომ უმცირესობის მიერ საზოგადოების სახელით მოთხოვნის აღძვრის (შეიძლება ითქვას სარჩელის აღძვრის) უფლება ამ მოთხოვნის დასაშვებობასთან არის გადაჯაჭვული.[98] ფორმალურ წინაპირობებთან ერთად სასამართლო ასეთ დროს მატერიალური დასაშვებობის საკითხსაც ამოწმებს (წყვეტს) და მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევა უმცირესობას საზოგადოების სახელით მოთხოვნის აღძვრის უფლება. ამ დროს დერივაციულ სარჩელზეა[99] საუბარი, რომელიც აშშ-ის საკორპორაციო სამართალში განვითარებული და ჩამოყალიბებული ინსტიტუტია და რომელსაც ამ ქვეყანაში ძალზე დიდი ტრადიცია და ხანგრძლივი ისტორია აქვს.[100] დერივაციული სარჩელის ღირსება ის გახლავთ, რომ ამით უმცირესობას ეძლევა შესაძლებლობა სასამართლოში გამოვიდეს საზოგადოების სახელით მეწარმე სუბიექტის (პირდაპირი მნიშვნელობით) ხელმძღვანელი პირების *დირექტორების, მენეჯერების, სამეთვალყურეო საბჭოს*[101] *ან მესამე პირების წინააღმდეგ.*[102] როგორც ქართული, ისე გერმანული სამართლის მიხედვით, უმცირესობაში მყოფი აქციონერი თავდაპირველად იმ ორგანოს მიმართავს, რომლის კომპეტენციაშიც შედის აღნიშნული მოქმედების განხორციელება. ამ შემთხვევაში დირექტორი იგულისხმება, რადგანაც სწორედ დირექტორი წარმოადგენს სს-ს მესამე პირებთან ურთიერთობაში და საზოგადოების სახელით მოთხოვნის აღძვრის უფლებაც მას აქვს. თუმცა პრაქტიკაში არც თუ ისე იშვიათია შემთხვევები, როდესაც დირექტორატი (გამგეობა), გარკვეული მიზეზების გამო, არ იყენებს ამ დისკრეციას.[103] შესაბამისად, კანონმდებლობა უმცირესობაში მყოფ აქციონერს აძლევს ამ უფლებას. ამ დროს მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოების ინტერესი იყოს შელახული.[104] ამიტომ თავდაპირველად გარკვეულ დროში აქციონერმა თავად საზოგადოებას უნდა მიმართოს სარჩელის აღძვრის მოტივით[105] და მხოლოდ ამ დროის გასვლის შემდეგ აქვს მას თავად უფლების გამოყენების შესაძლებლობა.[106] გამომდინარე იქიდან, რომ მესამე პირის წინააღმდეგ მოთხოვნა, როგორც წესი, საზოგადოების სახელით ამაზე უფლებამოსილმა პირმა უნდა დააყენოს, უმცირესობაში მყოფი აქციონერის პრეტენზია მიმართული იქნება ასევე დირექტორების[107]

[96] ე.წ. BGB-Gesellschaft (GesbR- ასე უწოდებენ ამ საზოგადოებას ავსტრიაში).

[97] *Holzborn* in Bürgers/Körber, AktG, (2011), §148 Rn. 2.

[98] *Hüffer*, AktG, (2012), §148 Rn. 1, 4; *Holzborn* in Bürgers/Körber, AktG, §148 Rn. 1.

[99] დერივაციული მოთხოვნა – derivative suit.

[100] ამის თაობაზე მაგ.: *Merkt/Göthel*, US-amerikenisches Gesellschaftsrecht, 2. Auf., Frankfurt 2006, Rn. 1031 ff; *Klein/Coffe*, Business Organization and Finance, (2002), p. 199-201.

[101] *Hüffer*, AktG, (2010), §148 Rn. 4.

[102] იმ აქციონერთათვის, რომელნიც კანონით დადგენილ შესაბამის პროცენტულ (ან ქონებრივ) მაჩვენებელს ვერ აკმაყოფილებენ, შესაძლებლობა აქვთ ე.წ. „აქციონერთა ფორუმს“ დაეყრდნონ, რაც მათ (მოთხოვნის აღძვრის) წარმატებაში დაეხმარება. თუმცა აქ ყველაზე მთავარია, რომ

ისინი „მოთხოვნას საკუთარი სახელით, მაგრამ სწორედ საზოგადოების სასარგებლოდ ახორციელებდნენ.“ *Hüffer*, AktG, (2012), §148 Rn. 4.

[103] მიზეზები ამ შემთხვევაში შესაძლოა სხვადასხვა იყოს: დირექტორთა მხრიდან საწარმოს გულმოდგინედ და კეთილსინდისიერად გაძღოლის მოვალეობის დარღვევა, საკითხისადმი გულგრილი დამოკიდებულება, უბრალოდ მიზანშეწონილობა, ანუ შეიძლება დირექტორატს არ ულირდეს მესამე პირის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრა და სხვ.

[104] *Raiser/Veil*, Das Recht der Kapitalgesellschaften, (2010), S. 70.

[105] სწორედ ამას ითვალისწინებს მეწარმეთა კანონის 53-ე მუხლის მე-5 პუნქტის პირველი აბზაცი.: „თუ საზოგადოება აქციონერის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 90 დღის განმავლობაში არ აღძრავს სარჩელის მესამე პირის წინააღმდეგ...“

[106] *Raiser/Veil*, Das Recht der Kapitalgesellschaften, (2010), S. 71.

[107] ან სამეთვალყურეო საბჭოს.

წინააღმდეგ.[108] ამიტომ დასაშვებობის შესამოწმებელ სხდომაზე საზოგადოების წარმომადგენლებიც უნდა იქნენ მოწვეულნი და მოსმენილნი.[109]

შემდეგი უფლება, რომელიც ასევე კვოტაზეა დამოკიდებული, „მეწარმეთა შესახებ" კანონის 53-ე მუხლის 3^2 პუნქტში გათვალისწინებული შინაარსიდან გამომდინარეობს. გერმანიის სააქციო კანონი 258-ე პარაგრაფში სპეციალურად ეხება ამ საკითხს და უმცირესობაში მყოფ აქციონერს, ეჭვის შემთხვევაში[110], „წლიური ბალანსის დადგენისას დაუშვებელი (ქვე)შეფასებისას" სასამართლოს წინაშე სპეციალური აუდიტის დანიშვნის უფლებას ანიჭებს. ამ შემთხვევაში ყურადღება მახვილდება ორ გარემოებაზე: (1) საბალანსო გაანგარიშებისას ისეთი შეფასება, რომელიც *არსებითად* ამცირებს საზოგადოების ბალანსის მუხლებს (ე.წ. Postens) და (2) არასრულყოფილი მონაცემები დანართში.[111] ასეთ დროს განცხადების შემტანი პირი ვალდებულია დაასაბუთოს, რომ წლიური ბალანსის დადგენისას (საერთო კრების მიერ წლიური ბალანსის შედგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას) საზოგადოების ქონება არასწორად არის შეფასებული, აქტივი და პასივი საერთო ჯამში არასწორად არის დაანგარიშებული და იგი არ შეესაბამება იმ რეალურ მდგომარეობას, რომელიც კორპორაციას აქვს.[112] ამ დროს მხედველობაში შეიძლება მიიღებოდეს ტექნიკური მოწყობილობები, მანქანა-დანადგარები, მომსახურების გაწევიდან არსებული ვალდებულებები და ა.შ.[113] ამ უფლების გამოყენებისას ეს ყველაფერი არასწორად უნდა იქნეს დაანგარიშებული და დადგენილ წლიურ ბალანსში შეცდომა „გაპარული". მხოლოდ ამ შემთხვევაში აძლევს კანონმდებელი 1%-ან უმცირესობას სასამართლოში ამის თაობაზე სპეციალური აუდიტის დანიშვის შესახებ განცხადების დაყენების უფლებას. როგორც წესი, უმცირესობაში მყოფი აქციონერი ამ დროს მისი დივიდენდის მიღების უფლებას იცავს,[114] რადგანაც ბალანსის მუხლების არასწორი შეფასებისას მას შესაძლოა პრობლემა შეექმნას მოგების განაწილებისას დივიდენდის მიღებაში. ბუნებრივია, წლიური ბალანსის არასწორი შეფასების ვითარებაში შეიძლება მოგების განაწილება საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. უმცირესობაში მყოფი აქცონერის მხრიდან დასაბუთებული უნდა იყოს კონკრეტული ფაქტები,[115] რომ წლიური ბალანსის დადგენისას შეფასება არასწორად არის გაკეთებული. გამომდინარე აქედან, კანონი შემოწმების ობიექტურ მასშტაბზე ამახვილებს ყურადღებას. ამიტომ შეფასება (მოცემული წლიურ ბალანსში) უნდა ემყარებოდეს მხოლოდ არსებით ცდომილებას.[116] არაარსებითი ცდომილება არ იქნება შეფასების ის ობიექტური საზომი, რომელიც მისცემდა უმცირესობაში მყოფ აქციონერს ამ უფლების გამოყენების შესაძლებლობას.

შემდეგი უფლება სააქციო კანონის 315-ე პარაგრაფიდან მომდინარეობს. კერძოდ, ამ შემთხვევაში აქციონერს კვლავ

[108] *Mock* in Spindler/Stilz, AktG, (2010), §148 Rn. 16.

[109] *Holzborn* in Bürgers/Körber, AktG, §148 Rn. 10. შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილებაზე შესაძლებელია კერძო საჩივრის წარდგენაც. *Holzborn* in Bürgers/Körber, AktG, (2011), §148 Rn. 10.

[110] ამ დროს კანონი იყენებს სიტყვებს „საბაბი არსებობს" - „Besteht Anlass..." (AktG §258 Abs. 1 Satz 1).

[111] *Euler/Wirth* in Spindler/Stilz, AktG, (2010), §258 Rn. 1. საწარმოს წლიური ანგარიში მტკიცდება აქციონერთა საერთო კრებაზე. სწორედ საერთო კრების კომპეტენციაში შედის წლიური ბალანსის დადგენის საკითხი. წლიურ ბალანსს (როგორც დოკუმენტს) თან ერთვის დანართი. ამ შემთხვევაში სწორედ რომ ამ დანართზეა საუბარი.

[112] *Holzborn* in Bürgers/Körber, AktG, §258 Rn. 7.

[113] *Holzborn* in Bürgers/Körber, AktG, §258 Rn. 7.

[114] *Hüffer*, AktG, (2012), §258 Rn. 1.

[115] *Hüffer*, AktG, (2012), §258 Rn. 3.

[116] *Kleindiek* in K. Schmidt/Lutter, AktG, §258 Rn. 9.

აქვს სპეციალური აუდიტის დანიშვნის მოთხოვნის უფლება. თუმცა, აქაც კანონი გარკვეულ კონსტელაციას ადგენს, რომლის მიხედვითაც მას ამ უფლების გამოყენების შესაძლებლობა ეძლევა. აქ ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ აღნიშნული ნორმა ე.წ. „გაბატონებულ ან დაკავშირებულ საწარმოს“[117] შემთხვევას ეხება. 315-ე პარაგრაფის მიხედვით, *ყოველ აქციონერს* აქვს სპეციალური აუდიტის დანიშვნის უფლება იმ გარიგებითსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, რომელიც საზოგადოებასა და გაბატონებულ ან დამოკიდებულ საწარმოს შორის არის ჩამოყალიბებული.[118] საქართველოს სააქციო სამართალში არ გვაქვს გერმანულის მსგავსი საკანონმდებლო მოწესრიგება. მეწარმეთა კანონი ამის შესახებ რაიმე სპეციალურ ნორმას არ ადგენს. ამიტომ ეს საკითხი წესდების ავტონომიის ფარგლებში მოექცევა (თუ ამის შესახებ საერთოდ კორპორაციის წესდებაში გაკეთდება ჩანაწერი).

ბ) 5%-ანი მონაწილეობით-სამართლებრივი უფლება

როგორც ქართული, ისე გერმანული სააქციო კანონმდებლობა ერთსულოვანია იმაში, რომ აქციონერთა 5%-იან უმცირესობას ეძლევა საერთო კრების მოწვევის უფლება.[119] ეს უფლება აქციონერის *წევრობიდან* გამომდინარე კორპორაციულ უფლებად განიხილება[120] და გარკვეულ კვოტაზეა დამოკიდე-

[117] herrschende oder verbundene Unternehmen. გენერალური ნორმების სახით ამასთან დაკავშირებით იხ.: AktG, §15 ff.

[118] სააქციო კანონი მხოლოდ სამ შემთხვევას გამოყოფს. იხ. AktG, §315 Abs. (1).

[119] ამ საკითხებს კიდევ ერთხელ მივუბრუნდები, როდესაც საერთო კრებაზე იქნება საუბარი. თუმცა აქ მათზე მოკლედ ყურადღების გამახვილება თავად თემის შინაარსის განსაზღვრას ემსახურება.

[120] MünchKommAktG/*Kubis*, 2. Auf., (2004), §122 Rn. 3.

ბული. ამ დროს მნიშვნელოვანია, რომ აქციონერმა შეინარჩუნოს წევრობის უფლება გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ეს უფლება გაქარწყლდება.[121] (საწესდებო) კაპიტალის 5%-ის მფლობელ უმცირესობას სააქციო კანონის 122-ე პარაგრაფის პირველი აბზაცის და „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53-ე მუხლის 3^3 პუნქტის შესაბამისად, უფლება აქვს წესდებით განსაზღვრულ ორგანოს[122] მოთხოვოს აქციონერთა საერთო კრების ჩატარება. საზოგადოების წესდებით შეიძლება განისაზღვროს უფრო მცირე პროცენტული მაჩვენებელი, თუმცა ამ ზღურბლის აწევა დაუშვებელია.[123] მოწვევაზე უფლებამოსილების მქონე პირი ნებისმიერი აქციონერია, რომლესაც აქვს წევრობის უფლება სს-ში. ამიტომაც მხედველობაში არ მიიღება, თუ რა კლასის აქციის მფლობელია აღნიშნული პარტნიორი.[124] ნებისმიერი კლასის აქციის მქონე პირი, რომელსაც კაპიტალის 5%-ანი უმცირესობა აქვს, უფლებამოსილია კრების მოწვევაზე.[125] მეწარმეთა კანონი უმცირესობის მიერ კრების მოწვევას რიგგარეშე კრების მოწვევად მიიჩნევს. ამით ჩვენი კანონის ჩანაწე-

[121] MünchKommAktG/*Kubis*, 2. Auf., (2004), §122 Rn. 3.

[122] ნაციონალური კანონმდებლობის მიხედვით. გერმანულ სამართალში უმცირესობამ რიგგარეშე კრების გამართვის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს გამგეობას (AktG §122 Abs. 1 Satz 1).

[123] *Zöllner* in Kölner Kommentar zum AktG, (1985), §122 Rz. 2; *Hüffer*, AktG, (2012), §122 Rn. 3. აქ მხედველობაშია, რომ *წესდებამ* არ შეიძლება გაითვალისწინოს უფრო მაღალი მაჩვენებელი. უმრავლესობაში მყოფ აქციონერს ეს უფლება ისედაც, კანონიდან გამომდინარე, ეძლევა. სწორედ ეს მოსაზრებაა გატარებული კიონიგისა და რომერის სტატიაში: König/Römer, DStR 2003, S. 219. ვუთითებ: Münch. Hdb. GesR IV/*Semler*, §35 Rn. 12.

[124] Münch. Hdb. GesR IV/*Semler*, §35 Rn. 12.

[125] იხ. მაგ.: „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53-ე მუხლის 3^3 პუნქტის პირველი წინადადების პირველივე სიტყვები.

რი განსხვავდება გერმანიის სააქციო კანონისაგან.[126] თუმცა განსხვავების მიუხედავად, ქართულ და გერმანულ კანონებში ერთი და იგივე შინაარსია ჩაქსოვილი. ორივე შემთხვევაში კანონები სწორედ რიგგარეშე კრების მოწვევაზე უნდა საუბრობდნენ. ეს ბუნებრივიცაა: საერთო კრება, როგორც წესი,[127] წელიწადში ერთხელ ტარდება. შესაბამისად, აქციონერთა (ჩვეულებრივი) საერთო კრება მოიწვევა გამგეობის (დირექტორატის) მიერ.[128] ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც უმცირესობის მიერ ხდება ამ მოქმედების განხორციელება, საქმე რიგგარეშე საერთო კრების მოწვევასთან გვექნება.[129] მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ გერმანული კანონის აღნიშნული ჩანაწერი მაინც უფრო დადებითად გამოიყურება, ვიდრე ქართული: ვთქვათ, დირექტორატმა (განზრახ ან გაუფრთხილებლად) არ მოიწვია საერთო კრება. (ჩვეულებრივი, გეგმიური) საერთო კრების მოწვევის შესაძლებლობა ამ დროს უმცირესობაში მყოფ პარტნიორს ექნება. მაგრამ ეს არ იქნება რიგგარეშე კრება. იგი ჩვეულებრივი კრება იქნება, რომელიც მოიწვევა საზოგადოების კაპიტალის 5%-ის მქონე აქციონერის (ან აქციონერთა ჯგუფის) მიერ. ქართული სამართლებრივი რეალობიდან გამომდინარე, საკითხავი იქნება: ექნება თუ არა ასეთ შემთხვევაში უმცირესობაში მყოფ აქციონერს არა რიგგარეშე, არამედ ჩვეულებრივი გეგმიური კრების მოწვევის უფლება. ეს უფლება ხომ გაწერილ უფლებათა კატეგორიად

[126] იხ. AktG §122 Abs 1. Satz 1.

[127] თუ საზოგადოების წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

[128] *Raiser/Veil,* Das Recht der Kapitalgesellschaften, (2010), S. 200. თუმცა აქვე დავამატებდი სიტყვებს „როგორც წესი". გერმანული სამართალი უშვებს შემთხვევებს, როდესაც საერთო კრება შესაძლებელია მოწვეულ იქნეს სხვა ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭოს) მიერ. თუმცა ეს საგამონაკლისო შემთხვევაა. *Göhmann* in Henn/Frodermann/Jannott, Handbuch des Aktienrechts, (2009), S. 451.

[129] *Reichert* in Müller/Rödder (Hrsg.), Beck'sches Hdb. der AG, §5 Rn. 78.

განიხილება. შესაბამისად, კანონი (ან თუ კანონი ამას დაუშვებს - წესდება) უნდა ანიჭებდეს უმცირესობას ამ მოქმედების განხორციელების შესაძლებლობას. მეწარმეთა კანონის აღნიშნული დანაწესით კი ამ უფლების მინიჭება აქციონერისათვის რთული იქნება.

5%-ანი უმცირესობის შემდეგი უფლება უშუალოდ უკავშირდება საერთო კრების მოწვევის სპეციალურ უფლებამოსილებას. ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება 5%-ანი (ან გერმანული სააქციო სამართლის მიხედვით – 500 000 ევროს კაპიტალის მფლობელი) უმცირესობის მიერ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განვრცობის, მათში დამატებების შეტანის უფლება. გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ პრაქტიკაში უფრო დიდი ყურადღება სწორედ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განვრცობაზე მახვილდება და არა თავად კრების მოწვევაზე.[130] დღის წესრიგის საკითხებში დამატებების შეტანა ან საკითხების განვრცობა აქციონერის მიერ დასაშვებია, თუკი ეს უკანასკნელი ამას კრების ჩატარებამდე არაუგვიანეს 24 დღით ადრე[131] წერილობით წარადგენს.[132] ამასთან ნიშანდობლივია, რომ საერთო კრების მოწვევა არ შეიძლება ნებისმიერი მიზნისთვის. ამ შემთხვევაში საუბრობენ იმაზე, რომ საერთო კრება მოწვეული უნდა იყოს დღის წესრიგით გათვალისწინებულ მხოლოდ ისეთ საკითხებზე, რაც უშუალოდ შედის მის (საერთო კრების) კომპეტენციაში.[133] ამიტომ საერთო კრება ვერ იქნება მოწვეული ისეთი საკითხების განსახილველად, რომელიც არ შედის მის კომპეტენციაში და საგნობრივად, მა-

[130] *Mayer* in Manz/Mayer/Schröder, Die Aktiengesellschaft, (2010), S. 191.

[131] არასაჯარო სს-ის შემთხვევაში. ბირჟაზე რეგისტრირებული (საჯარო) სს-ისთვის კი ეს ვადა არაუგვიანეს 30 დღით ადრე განისაზღვრება.

[132] *Mayer* in Manz/Mayer/Schröder, Die Aktiengesellschaft, (2010), S. 191.

[133] *Zöllner* in Kölner Kommentar zum AktG, (1985), §122 Rz. 3.

გალითად, ხელმძღვანელობის[134] კომპეტენციას განეკუთვნება.[135]

გ) 10%-ან კვოტაზე დამოკიდებული უფლება

კვოტაზე დამოკიდებულ შემდეგ მაჩვენებლად გერმანული სამართალი 10%-ს გამოყოფს, რაც უცხოა ქართული საკორპორაციო სამართლისათვის. ამ შემთხვევაში საუბარია სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა სასამართლო წესით გამოწვევის მოთხოვნის თაობაზე;[136] საზოგადოების სახელით ანაზღაურების მოთხოვნის წარდგენისთვის სასამართლოს მეშვეობით სხვა პირთა (წარმომადგენელთა) დანიშვნის საკითხზე;[137] უკვე შერჩეული აუდიტების სასამართლოს გზით სხვა კანდიდატებით ჩანაცვლების თაობაზე;[138] სს-ის ხელმძღვანელი ორგენოების – გამგეობის ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრების გამოწვევის საკითხის დაყენებაზე;[139] და ასევე სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევასთან დაკავშირებულ საკითხზე. კერძოდ, როდესაც საერთო კრებამ უნდა მიიღოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევის გადაწყვეტილება და კანდიდატად რამდენიმე წევრია დაყენებული, ამ შემთხვევაში საზოგადოების საწესდებო კაპიტალის 1/10 მქონე აქციონერს უპირატესობა

[134] ვიწრო გაგებით.
[135] *Schlegerberger/Quassowski*, Komm. zum AktG, §106 Anm. 4. ვუთითებ: *Zöllner* in Kölner Kommentar zum AktG, (1985), §122 Rz. 3.
[136] AktG §103 Abs. 3 Satz 3.
[137] AktG §147 Abs. 2 Satz 2.
[138] HGB §318 Abs. 3 Satz 1.
[139] AktG, §120 Abs 1 Satz 2. ამ შემთხვევაში ყურადღება მახვილდება საწესდებო კაპიტალის 1/10 უმცირესობაზე ან 1 მლნ. ევროს მეწილე აქციონერზე. ამის შესახებ მაგ.: Grigoleit/*Herrler* AktG, 2013, §120 Rn. 1 ff.

ენიჭება პირველად დააყენოს კენჭისყრაზე მის მიერ წარმოდგენილი პირი.[140]

2.2. აქციონერის საერთო კრებისაგან დამოუკიდებელი უფლებები

სააქციო სამართალი უზრუნველყოფს აქციონერის ისეთ უფლებებს, რომლებიც დამოკიდებული არ არის კრებაზე, ამიტომ ისინი საერთო *კრების გარეშე უფლებებად* მიიჩნევიან.[141] ამ შემთხვევაში, ძირითადად, გამოყოფენ ქონებრივ უფლებებს[142] და კონტროლისა და ინფორმაციის უფლებებს.[143] თავის მხრივ, ამ დაყოფის ქვეშ აქციონერის რამდენიმე ისეთ უფლებაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება, რომლის გამოყოფაც მნიშვნელოვანია.

2.2.1. შეცილების უფლება

უპირველეს ყოვლისა, საერთო კრების მიღმა უფლებებში აქციონერის მიერ საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება მოიაზრება. იმისათვის, რომ გასაჩივრების უფლება წარმოიშვას, უნდა არსებობდეს კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების შეცილების *უფლებამოსილება* და

[140] AktG §137. ამასთან, როგორც კომენტატორულ ლიტერატურაშია აღნიშნული საუბარი არ არის მხოლოდ ხმის უფლების მქონე კაპიტალის მფლობელ აქციონერზე. იხ.: Grigoleit/*Herrler* AktG, 2013, §137 Rn. 3.
[141] *Mayer* in Manz/Mayer/Schröder, Die Aktiengesellschaft, (2010), S. 162.
[142] რომელშიც დივიდენდის მიღების უფლება მოიაზრება, ასევე საზოგადოების ლიკვიდაციისას დარჩენილი ქონებიდან მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლება.
[143] *Mayer* in Manz/Mayer/Schröder, Die Aktiengesellschaft, (2010), S. 162.

საცილოობის საფუძველი.[144] აქციონერის გარდა გასაჩივრებაზე უფლებამოსილი პირი არის *გამგეობა* (როგორც კოლეგიური ორგანო).[145] *გამგეობის ან სამეთვალყურეო საბჭოს ცალკეული წევრი*, ანუ ეს უფლება ასევე მინიჭებული აქვს გამგეობის წევრს ან სამეთვალყურეო საბჭოს *თითოეულ წევრს.*[146] ყოველ აქციონერს, რომელიც ესწრებოდა საერთო კრებას და მიღებულ საკითხთან დაკავშირებით პრეტენზია დააფიქსირა,[147] უფლება აქვს საცილოდ გახადოს კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება. კრებაზე მონაწილეობის უფლება, როგორც ზემოთ ითქვა, არ არის აქციონერის პიროვნებაზე დამოკიდებული უფლება. საერთო კრებაზე პარტნიორის უშუალოდ დასწრება სავალდებულო არ არის იმისთვის, რომ მან გადაწყვეტილების შეცილების უფლება მოიპოვოს. ამიტომ ამ შემთხვევაში შესაძლებელია, ეს უფლება აქციონერს მაშინაც წარმოეშვას, როდესაც კრებას მისი გარიგებითი წარმომადგენელი ესწრებოდა.[148] ამასთან ნიშანდობლივია, რომ აქციონერთა წრე ასეთ შემთხვევაში შეზღუდულია. გერმანული სამართლის მიხედვით, გადაწყვეტილების საცილოდ გახდომისათვის აუცილებელია, აქციონერის სტატუსი, რომელიც გარკვეულ, კანონით განსაზღვრულ დროის მონაკვეთს უკავშირდება. კერძოდ, 245-ე პარაგრაფის თანახმად, აუცილებელია, რომ აქციონერს საზოგადოებაში წევრობის სტატუსი მოპოვებული ჰქონდეს საერთო კრების დღის წესრიგის დადგენამდე, ანუ სანამ წევრებს მოსაწვევი გაეგზავნებათ, ან საზოგადოდ აქციონერთა საერთო კრების მოწვევის დღის შესახებ გამოცხადდება.[149] საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების შეცილების უფლება აქციონერის *ინდივიდუალური* და, ამასთანავე, *(სუბიექტური გაგებით) იურიდიული უფლებაა.*[150] აქციონერის ეს ინდივიდუალური და „სუბიექტური უფლება“ სააქციო სამართალში საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებების მართლზომიერებას (მის გადასინჯვას) ემსახურება და, შესაბამისად, *მაკონტროლებელი ფუნქციით* არის აღჭურვილი.[151]

[144] *Reichert* in Müller/Rödder (Hrsg.), Beck'sches Hdb. der AG, §5 Rn. 255, 263.

[145] AktG §245 Nr. 4.

[146] AktG §245 Nr. 5. აღნიშნული ნორმის მიხედვით, სამეთვალყურეო საბჭო ამ შემთხვევაში არ არის წარმოდგენილი, როგორც კოლეგიური ორგანო, გამგეობისაგან განსხვავებით. Grigoleit/*Herrler* AktG, 2013, §245 Rn. 3. გამგეობა საზოგადოების წარმომადგენლობითი ფუნქციით აღჭურვილი როგანოა. სამეთვალყურეო საბჭო (გარკვეული, კანონით ზუსტად გაწერილი გამონაკლისების გარდა) არა. Grigoleit/*Herrler* AktG, 2013, §245 Rn. 3. ამიტომ, გადაწყვეტილების შინაარსობრივი კოტროლის განხორციელების ფუნქციიდან გამომდინარე, ეს შესაძლებლობა მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრისთვის არის მინიჭებული. შად. სააქციო კანონის 249-ე პარაგრაფის მოცემულობა. იხ.: Grigoleit/*Herrler* AktG, 2013, §249 Rn. 3: „Der AR als Organ ist nicht klagebufugt“ – სამეთვალყურეო საბჭო, როგორც საზოგადოების ორგანო არ არის სარჩელის არძვრაუნარიანი. მაშინაც კი, როდესაც სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრი ასაჩივრებს გადაწყვეტილებას, ისინი კოლეგიალურ ორგანოდ მაინც ვერ განიხილებიან. ამ შემთხვევაში საუბარი იქნება მხოლოდ პასიურ საპროცესოუნარიანობაზე.

[147] ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ ასეთ დროს აქციონერმა მხარი არ დაუჭიროს კრებაზე მისაღებ გადაწყვეტილებას, ანუ იმ გადაწყვეტილებას, რომელსაც იგი შემდგომ გაასაჩივრებს. *Hüffer*, AktG, (2012), §245 Rn. 13.

[148] *Semler/Volhard/Richter* §47 Rn. 67.

[149] *Dörr* in Spindler/Stilz, AktG, (2010), §245 Rn. 12.

[150] *Göz* in Bürgers/Körber, Heidelberger Kommentar zum AktG, §245 Rn. 1.

[151] *Dörr* in Spindler/Stilz, AktG, §245 Rn. 6; Hüffer, AktG, (2012), §245 Rn. 3.

2.2.2. სარჩელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნის თაობაზე (ე. წ. Nichtigkeitsklage)

გერმანული სააქციო კანონი ცალკე გამოყოფს სარჩელს საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე და მას Nichtigkeitsklage–ს უწოდებს.[152] როგორც ცნობილია, აქციონერთა საერთო კრებაზე მიღებული არასწორი გადაწყვეტილება „ან ბათილია ან კიდევ საცილო“ (ანუ სარჩელის აღძვრის შედეგად სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების მეშვეობით ბათილად არის აღიარებული).[153] გადაწყვეტილებათა გასაჩივრების უფლება სს-ში თავად ამ გადაწყვეტილების მიღების და შედეგის განსაზღვრის მაკონტროლებელი ფუნქციით არის აღჭურვილი. საკორპორაციო სამართალი იმ პრინციპიდან ამოდის, რომლის მიხედვითაც, კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება, თუკი იგი ფორმალური წინაპირობების დაცვით და მატერიალური შემადგენლობის პოზიტიურად განსაზღვრის შედეგად არის მიღებული, სწორად, მართებულად უნდა ჩაითვალოს. საერთო კრება სწორედ ის ფორუმია, სადაც საზოგადოების ძირითადი ნება ფორმირდება. ამიტომ, თუკი ამ ნების ფორმირების პროცესი სწორადაა წარმართული, ნაკლები შანსია, რომ „შეცდომა“ იქნეს დაშვებული, რამაც, როგორც წესი, სწორი და საზოგადოების ინტერესით გამსჭვალული გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა მიგვიყვანოს. მაგრამ არასწორი და არამართებული გადაწყვეტილების მიღებისაგან არც ერთი კორპორაცია დაზღვეული არ არის. შესაბამისად, საზოგადოებას აუცილებლად უნდა ჰქონდეს იმის იურიდიული შესაძლებლობა, რომ ასეთ ვითარებაში „გამოასწოროს დაშვებული შეცდომა“, რომელმაც

[152] AktG §249.

[153] *Göhmann* in Henn/Jannot/Hagemann (Hrsg.), Hdb. des Aktienrechts, (2009), S. 539.

შესაძლოა, მძიმედ იმოქმედოს სამომავლო შედეგზე. სწორედ ამიტომ სააქციო საზოგადოების სამართალი დიდი ყურადღებით ეკიდება საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების საკითხს და ცდილობს საკანონმდებლო დონეზე დეტალურად მოაწესრიგოს იგი. მართალია, თანამედროვე კორპორაციული მართვის პრაქტიკა ასევე წარმოაჩენს ამ უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევებს, თუმცა ისინი, რა თქმა უნდა, იურიდიულ ანომალიად უნდა ჩაითვალოს და არ უნდა იყოს იდეალტიპური ვითარების მაგვარი მოვლენა. ე.წ. „მძარცველი აქციონერების“[154] წინააღმდეგ საკორპორაციო სამართალი საკმაოდ მკაცრ პოზიციას ავლენს, რაც ასევე გარკვეულწილად მომავალ რეფორმებშიც აისახება.[155] მოკლედ, გერმანული სააქციო კანონმდებლობა რამდენიმე ძირითად ნორმას გამოყოფს ამ საკითხებთან მიმართებით.[156] განსახილველ შემთხვევაში საკითხი ეხება სააქციო კანონის 241-ე, 246-ე და 249-ე პარაგრაფების, გარკვეულწილად, კომბინირებულ გამოყენებას. 241-ე პარაგრაფში კრების გადაწყვეტილების ბათილობის საფუძვლებია ამომწურავად ჩამოთვლილი. 246-ე და 249-ე პარაგრაფები სამართლებრივი ლოკალიზაციის კონტექსტში განსახილველი ნორმებია. კომენტატორულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ორივე მათგანს ერთი და იგივე - *„უფლებრივი დაცვის მიზა-*

[154] ქართულად იხ.: *ბურდული*, მცირე აქციონერის უფლებათა ფარგლების ბოროტად გამოყენება და მისი გავლენა საკორპორაციო სამართლებრივი ურთიერთობების განვითარებაზე (მცირე აქციონერის უფლებების დაცვის თანამედროვე მექანიზმები) წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, 2009, გვ. 266-308.

[155] მაგ.: სააქციო კანონის 249-ე პარაგრაფიდან გამომდინარე გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადის სხვაგვარად დადგენა. იხ.: Grigolcit/*Herrler* AktG, 2013, §249 Rn. 22.

[156] რაც ძირითადად სააქც იო კანონის მე-7 ნაწილშია მოწესრიგებული (მაგ.: AktG §§241, 243, 245, 246, 249, 250 და ა.შ.

ნი“[157] - ამოძღავებს. ე.წ. Nichtigkeitsklage საპროცესოსამართლებრივი თვალსაზრისით აღიარებით სარჩელად[158] არის განხილული.[159] შესაბამისად, იგი სამართალურთიერთობის შეცვლისაკენ გამიზნულ სარჩელთა[160] კატეგორიას განეკუთვნება.[161] ყველა შემთხვევაში როგორც 246-ე პარაგრაფით გათვალისწინებული სარჩელი, ისე 249-ე პარაგრაფით გათვალისწინებული საპროცესოსამართლებრივი უფლებრივი დაცვის საშუალება კასაციური შინაარსის მატარებელია,[162] რაც, საბოლოო ჯამში, საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების შეცილებისაკენ[163] არის მიმართული. ერთ-ერთი ცენტრალური განმასხვავებელი ელემენტი, რომელიც მნიშვნელოვანია 249-ე პარაგრაფის 246-ე მუხლისგან დიფერენცირების თვალსაზრისით გახლავთ ის, რომ უკანასკნელ შემთხვევაში გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება მხოლოდ იმ აქციონერს აქვს, რომელიც უშუალოდ (ან მისი წარმომადგენლის მეშვეობით) ესწრებოდა აღნიშნულ კრებას და პროტესტი (შესაგებელი) დააფიქსირა მისაღები გადაწყვეტილების შესახებ. 249-ე პარაგრაფის შემთხვევაში კი ეს არარელევანტურია, რადგანაც ნორმის განმარტების შედეგად კეთდება დასკვნა, რომ ასეთ ვითარებაში აქციონერის უშუალოდ მონაწილეობა საერთო

[157] Grigoleit/*Herrler* AktG, 2013, §249 Rn. 2.

[158] Feststellungsklage.

[159] გაბატონებული იურიდიული შეხედულება, რომლის წყაროთა ამომწურავი ჩამონათვალი სხვათა ნაცვლად შეგიძლია იხ.: *Schwab* in Schmidt/Lutter, AktG, 2. Auf., (2010), §249 Rn. 1 (სქოლიო 1).

[160] Gestaltungsklage.

[161] *K. Schmidt* in FS: Stimpel, S. 224; იმავე, JZ (1988), S. 734 ff; იმავე, FS: Semler, S. 331; და ა.შ. მითითებულია: *Schwab* in Schmidt/Lutter, AktG, 2. Auf., (2010), §249 Rn. 1.

[162] *Schwab* in Schmidt/Lutter, AktG, 2. Auf., (2010), §249 Rn. 1.

[163] რასაც სასამართლო გზით გადაწყვეტილების გაუქმება ან მისი ძალაში დატოვება უდევს საფუძვლად.

კრებაზე არ არის გასაჩივრების წინაპირობად ქცეული. გამომდინარე აქედან, მიჩნეულია, რომ აღიარებითი სარჩელის ინტერესი ყოველი აქციონერის „თანდაყოლილი“ უფლებაა, რაც, თავის მხრივ, მისი (აქციონერის) წევრობის უფლებიდან გამომდინარეობს.[164]

2.2.3. საერთო კრების მოწვევისა და დღის წესრიგის საკითხების განსაზღვრის (განვრცობის) უფლება[165]

2.2.4. გადაწყვეტილებათა გაცნობის მოთხოვნის უფლება

სააქციო სამართალი იცნობს სს-ის აქციონერის ისეთ ინდივიდუალურ უფლებას, როგორიცაა საერთო კრებაზე მიღებული[166] გადაწყვეტილებების გაცნობის, უფრო სწორად, „*გაზიარების მოთხოვნის უფლებას*“.[167] უპირველეს ყოვლისა, ამ დროს მხედველობაში მიიღება აქციონერისათვის[168] გამგეობის მიერ მომავალ საერთო კრებაზე მოსალოდნელი (მისაღები) გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. ამით აქციონერს შესაძლებლობა აქვს კარგად მოემზადოს კრებისთვის და „ნაადრევად იყოს ინფორმირებული შესაძლო ოპოზიციური გამოხტომების შესახებ“.[169]

[164] *Schwab* in Schmidt/Lutter, AktG, 2. Auf., (2010), §249 Rn. 3.

[165] ამის თაობაზე ზემოთ უკვე იყო საუბარი, თუმცა საერთო კრებისადმი მიძღვნილ ნაწილში ამ საკითხს კიდევ ერთხელ შევეხები.

[166] მოსალოდნელი მისაღები გადაწყვეტილებების.

[167] მისი შინაარსი სააქციო კანონის 125-ე პარაგრაფის მე-2 და მე-4 აბზაცებიდან გამომდინარეობს.

[168] და, რასაც კანონი კონკრეტულად გამოყოფს, საკრედიტო ინსტიტუტისთვის (AktG §125 Abs. 1. Satz 1).

[169] *Reger* in Bürgers/Körber, AktG, (2011) §125 Rn. 1.

2.2.5. აქციონერის მიერ ინფორმაციის მოთხოვნის უფლება

აქციონერის ინფორმაციის უფლება ერთ-ერთი უძველესი უფლებაა იმ უფლებათა შორის, რომელიც პარტნიორს შეიძლება სს-ში ჰქონდეს. თუმცა აქციონერის ინფორმაციის უფლება, როგორც კოდიფიცირებული საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებული უფლება, სათავეს 1807 წლის საფრანგეთის სავაჭრო კოდექსიდან[170] იღებს. ფრანგული სამართლის მიხედვით, ის არსებითი ინფორმაციის უფლება, რომელიც სავაჭრო კოდექსიდან გამომდინარე, ცალკეულ სტატუტებში (წესდებებში) იყო თავმოყრილი, ძირითადად, სამ ნაწილად იყოფოდა: პირველი დაფუძნებული იყო სს-ის ეკონომიკურ ურთიერთობაზე. ამ დროს მხედველობაში მიიღებოდა აქციონერის მხრიდან ჩვეულებრივ (მორიგ) საერთო კრებაზე წლიური ბალანსის გაცნობის უფლება, რითიც მისთვის უზრუნველყოფილი იყო ასევე სარჯთაღრიცხვის შესახებ მონაცემების ხელმისაწვდომობა. ამასვე უკავშირდებოდა ინფორმაცია საზოგადოების ზოგადი მდგომარეობის შესახებ. მეორე, დაფუძნებული იყო აქციონერებისთვის რიგგარეშე საერთო კრებაზე მისაღები გადაწყვეტილებების გაცნობის უფლებაზე. ამ უფლებიდან გამომდინარე, საზოგადოების წესდებაში ზოგიერთი ისეთი სახის ცვლილების შეტანა, რომელიც წინასწარ არ იყო ცნობილი აქციონერთათვის და მათი მხრიდან არ არსებობდა ამ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული გამოხმაურება, დაუშვებელი იყო. და მესამე, ინფორმაციის უფლება, რომელიც დაკავშირებული იყო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს მიერ გენერალური კრების[171] მოწვევის ვალდებულების საკითხთან.[172]

[170] Code de Commerce.

[171] დღევანდელი აქციონერთა საერთო კრება.

თანამედროვე სააქციო სამართალი, რა თქმა უნდა, აღიარებს პარტნიორის ინფორმაციის უფლებას და მას სს-ში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს უმკვიდრებს.[173] საზოგადოების საქმიანობიდან გამომდინარე, ნებისმიერ აქციონერს საერთო კრებაზე აქვს ინფორმაციის მოთხოვნის უფლება.[174] როგორც წესი, აქციონერისათვის ინფორმაციის გაცემის ადგილი საერთო კრებაა, თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოების პარტნიორისათვის საერთო კრების გარეშე იქნა გაცემული ინფორმაცია, იგი საერთო კრებაზე მოთხოვნისთანავე უნდა გაიცეს. ამ დროს მნიშვნელობა არ აქვს, მისაღები ინფორმაცია უშუალოდ უკავშირდება საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხს თუ არა.[175] ამ დროს იგი ყველა შემთხვევაში უნდა გაიცეს. ინფორმაციის გაცემის დროს ძალზე მნიშვნელოვანია, რომ დაცული იყოს აქციონერთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი. სააქციო კანონმდებლობა სწორედ იმას უნდა უზრუნველყოფდეს, რომ ინფორმაციის გაცემა თანაბრად მოხდეს სს-ის ყველა პარტნიორზე.[176] შესაბამისად, ნებისმიერი აქციონერი უნდა იყოს გარანტირებული, რომ ინფორმაცია ყველას ერთნაირად მიეწოდება და

[172] დაწვრილებით ამის თაობაზე იხ.: *Schäfers*, Informationsrechte von Aktionären, S. 17-20.

[173] იგი აქციიდან გამომდინარე, აქციასთან დაკავშირებულ თანამმართველობით უფლებად განიხილება. Henssler/Strohn/*Liebscher* AktG, §131 Rn. 1. ასევე: *Bitter*, Gesellschaftsrecht, S. 23.

[174] *Zschenderlein*, Die Gleichbehandlung der Aktionäre, S. 1. ამავე წიგნში იხ. ყველა ის შემთხვევა, რომელსაც გერმანული საკორპორაციო სამართალი ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით ითვალისწინებს (იქვე, გვ. 1).

[175] Zschenderlein, Die Gleichbehandlung der Aktionäre, S. 2.

[176] *Jagenburg*, Erste Erfahrungen mit dem neuen Aktiengesetz, DB 1967, S. 1400-1401.

არ არსებობს ამ მხრივ არანაირი შეღავათი აქციონერთა გარკვეული ჯგუფისთვის.[177]

ასეთ შემთხვევაში მოთხოვნის მატარებელი თავად აქციონერია,[178] ხოლო მოთხოვნის ადრესატი არის გამგეობა (დირექტორატი),[179] რომლის კომპეტენციაში (და, გარკვეულწილად, ვალდებულებაში) შედის საწარმოს პარტნიორისათვის ინფორმაციის გაცემა. ამავე დროს, ყოველ აქციონერს წლიური ანგარიშის გაცნობის მიზნით აქვს მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის უფლება, რასაც გერმანული სამართალი Einsichtsrecht-ს უწოდებს.[180] აქციონერის ეს უფლებაც ინდივიდუალური და კორპორაციულად გარანტირებული უფლებაა და ინფორმაციის მიღების უფლებაში მოიაზრება. ეს უზრუნველყოფილია კანონმდებლობით.[181] „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტით დადგენი-

[177] *Eckardt* in Gessler/Hefermehl/Eckardt/Kropff, Komm. zum AktG, (1973), §131 Rz. 141.

[178] ანუ ყოველი საერთო კრებაზე მონაწილე აქციონერი. ასევე აქციონერის სრულუფლებიანი წარმომადგენელი. Henssler/Strohn/*Liebscher* AktG, §131 Rn. 2. ამასთან, მონაწილეობაში, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არა მხოლოდ საერთო კრებაზე ფიზიკურად მყოფი პირი იგულისხმება, არამედ ისიც, ვინც თანამედროვე საშუალებების გამოყენებით (ელექტრონული საშუალებები) იღებს მონაწილეობას კრებაზე.

[179] თუმცა ინფორმაცია შესაძლოა გაცემული იყოს საზოგადოების სხვა ორგანოს ან (ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული) პირის მიერ. Zschenderlein, Die Gleichbehandlung der Aktionäre, S. 9.

[180] ქართული რეალობისთვის ყურადსაღებია მეწარმეთა კანონის 53-ე მუხლის 3^5 პუნქტი, რომელიც, ამჟამად უკვე 5%-ის მქონე აქციონერს, აძლევს შესაბამისი ორგანოსაგან საწარმოს სახელით დადებული გარიგებების ან დასადები გარიგებების სესახებ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას. სს-ისთვის განკუთვნილი კანონის ეს პეციალური ნორმა უნდა გაიმიჯნოს ზოგად ნაწილში გათვალისწინებული ნორმისაგან, კერძოდ, მე-3 მუხლის მე-10 პუნქტისაგან.

[181] AktG §131; კანონი „მეწარმეთა შესახებ“ მე-3 მუხ. მე-10 პუნქტი.

ლია, რომ ყოველ პარტნიორს აქვს საწარმოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღების, ყველა პუბლიკაციისა და წლიური ანგარიშის მიღების უფლება.[182] ინფორმაციის მიღების უფლებაც, აქციონერის ერთ-ერთი ფუნდამენტური ხასიათის უფლებაა და იგი აქციონერის მონაწილეობითსამართლებრივ წილზე (კვოტაზე) დამოკიდებული არ არის. როგორც ითქვა, ინფორმაციის მიღების უფლება საზოგადოების პარტნიორის ინდივიდუალური უფლებების კატეგორიაში მოიაზრება.[183] ნორმა სწორედ იმას განამტკიცებს, რომ საზოგადოების ნებისმიერ აქციონერს აქვს უფლება გარკვეული ინფორმაცია მიიღოს საწარმოს საქმიანობის შესახებ და ამით ფოკუსირება საზოგადოებაში მისი როგორც წევრის სტატუსზე გაკეთდეს. მეწარმეთა კანონის აღნიშნული მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული უფლება, როგორც წესი, ხელშეუვალი ხასიათისაა. მისი შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ კანონით. საზოგადოების წესდება კი ამ საკითხთან მიმართებით უფრო მაღალ სტანდარტს შეიძლება აყენებდეს, ამიტომ კანონი ამბობს, რომ წესდებით ინფორმაციის უფლების გაფართოვება ნებისმიერ დროს არის შესაძლებელია. მართალია, ინფორმაციის უფლება დეკლარირებული ხასიათის უფლებაა, თუმცა ეს არ ნიშნავს ინფორმაციის გაცემის უპირობო ვალდებულების დაწესებას ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი ორგანოს მხრიდან. აღნიშნული წინადადების შინაარსი ძალიან კარგად შეესაბამება გერმანიის სააქციო კანონს.[184] მართალია,

[182] კონტროლისა და სპეციალური შემოწმების საკითხთან მიმართებით გარკვეული შეზღუდვებია გასათვალისწინებელი, რომელსაც „მეწარმეთა შესახებ“ კანონი ადგენს. ამ საკითხის თაობაზე: *ლაზარაშვილი*, მცირე აქციონერის ცნება, წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, გვ. 353-354.

[183] *Reger* in Bürgers/Körber, AktG, (2011), §131 Rn. 1.

[184] AktG §131 Abs. 3.

გერმანული კანონმდებლობა გამგეობის მიერ ინფორმაციის გაცემას ითვალისწინებს, თუმცა იქვე შეზღუდვებსაც ადგენს და დირექტორატს ანიჭებს ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის უფლებას. თანამედროვე სააქციო სამართალში ბევრია შემთხვევა, როდესაც საქმე ისეთი ინფორმაციის გაუხმაურებლობას ეხება, რომლის გაცემაც შესაძლოა ზიანის მომტანი აღმოჩნდეს საწარმოსათვის. შესაბამისად, საკორპორაციო სამართალი აძლევს საზოგადოების ხელმძღვანელობას ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესაძლებლობას, რათა ინფორმაცია კორპორაციის ინტერესების საზიანოდ არ იქნეს გამოყენებული. ამ შემთხვევაში საზოგადოების ინტერესის პრიმატი უნდა იყოს გამოკვეთილი აქციონერის ინფორმაციის მიღების უფლების შეზღუდვასთან მიმართებით. ამ შემთხვევაში გერმანულ სამართალში სრულიად ლოგიკურად დირექტორის სააქციო კანონის 93-ე პარაგრაფის პირველი აბზაციდან გამომდინარე (ფიდუციურ) მოვალეობაზე აკეთებენ აპელირებას, რაც ხდება კიდეც აქციონერისათვის ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გამოყენების გამართლების წინაპირობა.[185] თუმცა აქვე იმასაც ამბობენ, რომ ეს უარი, უფრო სწორედ უარის გაცხადების საფუძვლები, აქციონერს წერილობით[186] უნდა განემარტოს.[187] მოკლედ, როგორც ყოველგვარი დეკლარირებული უფლება, ინფორმაციის მიღების უფლებაც არ არის აბსოლუტური ხასიათის და მისი შეზღუდვის შესაძლებლობებიც არსებობს.

[185] Henssler/Strohn/*Liebscher* AktG, §131 Rn. 14.

[186] ე.წ. Niederschrift-ის მეშვეობით. ეს სიტყვა სხვადასხვანაირად გადმოიცემა: ჩანაწერი, საოქმო ამონაწერი, წერილობითი განმარტება. ამ სემთხვევაში, ვფიქრობ, ყველაზე უფრო სწორი თარგმანი წერილობითი განმარტება იქნება.

[187] Henssler/Strohn/*Liebscher* AktG, §131 Rn. 14. ვრცლად ამ საკითხის შესახებ იხ. იქვე: Henssler/Strohn/*Liebscher* AktG, §131 Rn. 14-17.

მოკლედ, ინფორმაციის უფლების შემთხვევაში რამდენიმე ასპექტი უნდა გამოიყოს: პირველი, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის ზოგად ნაწილს უკავშირდება. მე-3 მუხლის მე-10 პუნქტი, რომელიც ნებისმიერი კლასის და რაოდენობის მქონე აქციონერს აძლევს საზოგადოების წლიური ანგარიშის და ყველა (უკვე გამოქვეყნებული) დოკუმენტაციის, ანუ პუბლიკაციის გაცნობის უფლებას. მეორე, ინფორმაცია, რომელიც აქციონერის პროცენტულ მაჩვენებელს უკავშირდება. ასეთი შემთხვევა გათვალისწინებულია მეწარმეთა კანონის 53-ე მუხლის 3^3 პუნქტით. მესამე, ამავე მუხლის 3^1 პუნქტი. ეს ნორმა საერთო კრებასთან დაკშვირებული ინფორმაციის უფლებას ეხება, რომლის მიხედვითაც, აქციონერს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით უფლება აქვს განმარტებები (ინფორმაცია) მოთხოვოს ხელმძღვანელ ორგანოებს.[188] ამ საკითხების განხილვისას ყურადღება მინდა გავამახვილო ერთ დეტალზე, რომელიც ინფორმაციის გაცემის ვალდებულებას ეხება. ნაციონალური სამართალი მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში ითვალისწინებს ინფორმაციის გაცემაზე მმართველი ორგანოების მხრიდან უარის თქმის შესაძლებლობასთან დაკავშირებით. კერძოდ, 53-ე მუხლის 3^3 პუნქტის ბოლო წინადადების მიხედვით, საზოგადოების შესაბამის ორგანოს ეძლევა უფლება უარი განაცხადოს ინფორმაციის მიცემაზე, თუკი ეს საზიანო შეიძლება აღმოჩნდეს საზოგადოებისთვის. აუცილებელია, რომ უარი წერილობით იქნეს ჩამოყალიბებული და ალბათ, კანონის შინაარსიდან გამომდინარე, დასაბუთებული. სხვა დანარჩენ შემთხვევაში, კერძოდ, ზემოთ მოყვანილ პირველ და მეორე შემთხვევაში ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები კანონში ჩამოყალიბებული არ არის, რაც, ჩემი აზრით, უმართებულო

[188] დირექტორატს ან სამეთვალყურეო საბჭოს.

უნდა იყოს. მოვიყვანოთ კანონის 53-ე მუხლის 3[5] პუნქტი, სადაც აღნიშნულია, რომ 5%-იან უმცირესობას აქვს უფლება მიიღოს საზოგადოებისაგან დადებული ან დასადები გარიგებების შესახებ ინფორმაცია. დადებული გარიგების შესახებ ინფორმაციის მიწოდება აქციონერისათვის უპრობლემო შეიძლება იყოს. მაგრამ მოსალოდნელი დასადები გარიგებების შესახებ ინფორმაციის უპირობოდ მიწოდების ვალდებულება კანონმდებლობაში არ უნდა არსებობდეს, რადგანაც მოსალოდნელი გარიგებების შესახებ ინფორმაციის გახმაურება შეიძლება საწარმოს ინტერესების საზიანო აღმოჩნდეს. ამასთანავე, მმართველი ორგანოები შეიძლება ფლობდნენ კიდეც ამის შესახებ ინფორმაციას, თუმცა ისინი ამას, კანონის დანაწესიდან გამომდინარე, ვერაფერს დაუპირისპირებენ. აქ ერთგვარი კოლიზიაც შეიძლება გაჩნდეს ზემოაღნიშნულ ნორმასა და მე-9 მუხლის მე-6 პუნქტსა და 56-ე მუხლის მე-4 პუნქტს შორის. ეს ნორმები დირექტორზე დაკისრებული მოვალეობების კეთილსინდისიერად გაძღოლას ეხება. ამიტომ თუ დირექტორი ღრმად არის დარწმუნებული, რომ ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში აქციონერზე ინფორმაციის გაცემა უარყოფითად და საზიანოდ იმოქმედებს საზოგადოების ინტერესებისთვის, მაშინ მას მოუწევს ამ მოვალეობის დარღვევა?! ამიტომაც აღინიშნა ამ ნორმებს შორის გარკვეული კოლიზიის თაობაზე. თუ დირექტორი ასეთ ვითარებაში აღმოჩნდა, რომელ ნორმას უნდა მიანიჭოს მან უპირატესობა? ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში დირექტორის მხრიდან მისი მოვალეობების (საწარმოს კეთილსინდისიერად გაძღოლის) შესრულება უპირატესი იქნება, რადგანაც იგი უშუალოდ უკავშირდება საწარმოს არსებით ინტერესებს, რომელზეც საზოგადოების და სხვა აქციონერის ინტერესიცაა მიბმული. შესაბამისად, ინფორმაციის გაცემის ვალდებულების დაწესება მთლად მიზანშეწონილი არ უნდა იყოს იმდენად, რამდენადაც იგი არ იძლევა მოქმედების

თავისუფლების ფარგლებს, რაც კორპორაციის ხელმძღვანელობითი საქმიანობის განხორციელების პირობებში მეტად მნიშვნელოვანია.

3. აქციონერის სააქციოსამართლებრივი მოვალეობები

როგორც აღინიშნა, აქციონერს სააქციო სამართალი კორპორაციულ უფლებებთან ერთად გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს. სს ვალდებულებითსამართლებრივ კატეგორიას წარმოადგენს.[189] იგი გარიგების (ხელშეკრულების) საფუძველზე ჩამოყალიბებული წარმონაქმნია.[190] რახან ყურადღება შესაძ-

[189] გერმანულ სამართალშიც გაბატონებული მოსაზრებაა, რომ „წევრობა კავშირში“ (ე.წ. Verbandsmitgliedschaft) ასევე სამართალურთიერთობად განიხილება. *Walther Hadding*, Die Mitgliedschaft in den handelsrechtlichen Personengesellschaften – ein Subjektives Recht? in: FS Rudolf Reinhardt, 1972, S. 250 f; *Wiedemann*, Gesellschaftsrecht, S. 95; და ა.შ.

[190] ამასთან, დღეს უკვე გაბატონებული შეხედულების მიხედვით, წევრობა სს-ში არ განიხილება მხოლოდ კაპიტალისტურ, კაპიტალის შეტანაზე დამოკიდებულ კატეგორიად, რადგან ეს თანამედროვე სააქციო სამართალში აღარ შეესაბამება სააქციო-სამართლებრივ რეალობას. ტრადიციულად სს ამხანაგური ტიპის საზოგადოებებისაგან სწორედ იმით განსხვავდება, რომ აქ გადამწყვეტი კაპიტალით მონაწილეობაა და, შესაბამისად, წევრობა არა პერსონალურ, ინდივიდუალურ, ახლო დამოკიდებულებას, არამედ პარტნიორებს შორის უცხო, მხოლოდ კაპიტალზე დამოკიდებულ ურთიერთობას ქმნის. ეს გასაკვირი არცაა, რადგან სს, მისი კლასიკური გაგებით, საზოგადოების ფართო მასაზე ორიენტირებული კორპორაციულად მოწყობილი წარმონაქმნი იყო, სადაც უცხოა წევრთა შორის ისეთი ურთიერთდამოკიდებულება, როგორსაც, მაგალითად, სპს-ში აქვს ადგილი. თუმცა დროთა განმავლობაში მოხდა, ერთგვარად, „ფასეულობათა გადაფასება“. ოჯახური სს-ების მომრავლების ფონზე, განსაკუთრებით გერმანიაში განვითარდა ტენდენცია, რომ ეს ტიპის სამართლებრივი ფორმაც დანახული უნდა იყოს, როგორც საზოგადოება, როგორც სამართალურთიერთობა, სადაც სხვა მრავალ (აქციონერის საკუთარ) ინტერესთან ერთად, მნიშვნელოვანი (და ზოგჯერ გადამწყვეტიც) *სს-ის, როგორც კორპორაციის და იურიდი-*

ლოა, ხელშეკრულებაზე გამახვილდეს, ამიტომ ასეთ გარიგებაში, შეიძლება, მხარეები მონაწილეობდნენ.[191] რახან ამ ურთიერთობაში მხარეები მონაწილეობენ, ამიტომ სახეზე უფლებები და მოვალეობები იქნება. უფლება-მოვალეობით ურთიერთობას კერძო სამართლაში გარკვეული ვალდებულების შესრულება მოყვება, რომლის დარღვევა სამართლებრივ შედეგზეა ორიენტირებული. კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში შენატანის განხორციელება პარტნიორის ერთ-ერთ უმთავრეს მოვალეობად მიიჩნევა. შენატანის შეტანით პარტნიორი, როგორც წესი, კორპორაციული მოსასხამით იმოსება,[192] რაც მე-

ული პირის მიზანია. საზოგადოების წევრებიც სწორედ ამ მიზანს უნდა ემსახურებოდნენ (მისდევდნენ) კეთილსინდისიერად. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოებაზე, როგორც ხანგრძლივი ვადით შექმნილ წარმონაქმნზე, საუბარი საფუძველს მოკლებული იქნება. შეად.: *Reinisch*, Der Ausschluss von Aktionären aus der AG, S. 37 f.

[191] ქვემოთ განხილულ შემთხვევაში „მოვალე"-კრედიტორის სახით, ერთი მხრივ, პარტნიორი (აქციონერი) და, მეორე მხრივ, საზოგადოება წარმოდგება. *Hüffer*, AktG, (2012), §54 Rn. 3; MünchKommAktG/*Bungeroth*, Band 1, 3. Auf., (2008), §54 Rn. 11.

[192] ამ შემთხვევაში შენატანის კეთილსინდისიერ და ჯეროვან შესრულებაზე მახვილდება ყურადღება, რაც პარტნიორის მიმართ გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრების იურიდიულ საფუძვლად არ იქცევა. *Palmiter*, Corporations, 5 Edit., Aspen Publishers, New Jork, 2006, 553-571; *Hamilton*, The Law of Corporations, 5th Edit., St. Paul 2000, 134-163; *Merkt/Göthel*, US-amerikenisches Gesellschaftsrecht, 2. Auf., Frankfurt 2006, 236-254; *Grunewald*, Gesellschaftsrecht, 7. vollständig überbearbeitete Auf., Verlag Mohr Siebeck, Tübingen 2008, 396-402; *Merkt/Spindler*, Fallgruppen der Durchgrifshaftung und verwandte Rechtsfiguren, ZGR Sonderheft 17 (2006), 207-277; *Raiser*, Die Haftungsbeschränkung ist kein Wesensmerkmal der juristischen Person in: FS Lutter, 2000, 637-650.; *Fischer*, Überlegungen zum sog. Durchgriff im Zivil- und Steuerrecht in: FS Raupach, 2006, 339-362; და ა.შ. ქართულად: *ბურდული*, საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბ. 2009, 236-259; *Jugeli*, Shareholders' Liability for a Corporation's Obligations – Piercing the Corporate Veil, South Caucasus Law Journal 03/2012, p. 192-197; *გულაშვილი*, კორპორაციული საფარველის გაჭოლვა, როგორც კრედიტორთა დაცვის განსაკუთრებული ღონისძიება მშობელ-შვილობილ კომპანიათა ურთიერთობის კონტექსტში (აშშ-სა და ქართული სამართლის მხედველობით), სკორპორაციო სამართლის კრებული ბურდული (რედ.), თბ. 2011, გვ. 69-109.

სამე პირთა წინაშე საზოგადოების შეზღუდული პასუხისმგებლობის ძირითად წინაპირობას ქმნის. შესატანის შეტანის მოვალეობის დარღვევა კი გარკვეულ სამართლებრივ შედეგთან არის დაკავშირებული. მოკლედ, წევრობის სტატუსი სსში აქციონერს უფლებებთან ერთად განსზღვრულ მოვალეობებსაც აკისრებს. ყველაზე მნიშვნელოვანი მოვალეობა, რომელიც აქციონერს ეკისრება არის შენატანის განხორციელების (ანუ ვალდებულების ჯეროვნად შესრულების) მოვალეობა. „მეწარმეთა შესახებ" კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტი ამბობს, რომ აქციონერის ერთადერთი მოვალეობა წესდებით განსაზღვრული შენატანების განხორციელებაა.[193] კანონი ასევე აღნიშნავს, რომ აქციონერისათვის ისეთი დამატებითი ვალდებულების დაკისრება, რომელიც კანონით გათვალისწინებული არ არის დაუშვებელია. აქედან გამომდინარე, აქციონერის კორპორაციულ მოვალეობათა შორის მოწინავე ადგილი სწორედ შენატანის განხორციელების ვალდებულებას (მოვალეობას) უჭირავს.

3.1. შესატანის შეტანის ვალდებულება

შენატანის ჯეროვნად განხორციელება აქციონერის წევრობიდან გამომდინარე ძირითად მოვალეობად ითვლება.[194]

[193] მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის სააქციო კანონის 54-ე პარაგრაფი სიტყვასიტყვით არ იმეორებს ქართული კანონის აღნიშნულ ნორმას, მასში იგივე შინაარსია ჩაქსოვილი.

[194] *Langenbucher*, Aktien- und Kapitalmarktrecht, Verlag C. H. Beck, München 2008, 165. ამას განამტკიცებს როგორც გერმანული, ისე ქართული

როგორც *ლუთერი* ამბობს, იგი პარტნიორის კორპორაციულ-სამართლებრივი მოვალეობაა და სს-ში მისი წევრობის იმ განუყოფელ ნაწილად მიიჩნევა, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა აღნიშნულ საზოგადოებაში უფლებამოსილებათა ერთობლიობის ჩამოყალიბება (დაფუძნება).[195] შესატანის შეტანის მოვალეობა საზოგადოებასთან მიმართებით არსებულ ვალდებულებად განიხილება და წარმოიშობა საწარმოს დაფუძნების დროს აქციათა მიღების მომენტში, ახალი აქციების განთავსებისას მისი შეძენის სურვილის მომენტში[196] ან კიდევ ისეთი აქციის შეძენის მომენტში, რომლისთვისაც ღირებულება სრულყოფილად გადახდილი არ არის.[197] შესატანი შესაძლოა, წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა ეკონომიკური ობიექტების, სამუშაოს შესრულების და მომსახურების გაწევის[198] სახით. მოქმედების შესრულებაზე (ანუ შესატანის განხორციელებაზე[199]) ვალდებული პირი არის აქციონერი, რომელმაც აქცია საზოგადოების დაფუძნების[200] ან კაპიტალის მომატების[201] დროს ე.წ. ორიგინარული შეძენისას მიიღო.[202] შესატანის განხორციელების ვალდებულების შესრულების წესი, მოცულობა და პირობები[203] საზოგადოების წესდებიდან მომდინარეობს.[204] აქციონერის მონაწილეობითსამართლებრივი უფლებიდან (წევრობიდან) გამომდინარე შესატანის შეტანის მოვალეობა არ მოიცავს ვალდებულებითსამართლებრივ ხელშეკრულებებს დადებულს პარტნიორსა და საზოგადოებას შორის.[205] ასეთი შესაძლოა იყოს, მაგალითად, სესხი გაცემული საზოგადოებაზე აქციონერის მხრიდან,[206] ან ნებისმიერი სხვა სახის ვალდებულებითსამართლებრივი შეთანხმება, რომელიც მსგავს შინაარსს შეიცავს.[207] მნიშვნელოვანია, რომ ასეთი (არაკორპორაციული) ხელშეკრულების დადებისას აუცილებელი არ არის წერილობითი ფორმის დაცვა,[208] მაგრამ ისევ და ისევ მტკიცების ტვირთის გაადვილების მიზნით, შემოთავაზებულია მისი დადება სწორედ წერილობითი ფორმით. როგორც წესი, ასეთი შეთანხმება საზოგადოების წესდებაში აი-

კანონმდებლობა: AktG §54, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტი. შენატანის განხორციელების ეს ვალდებულება თითოეული აქციისათვის გადასახდელი ღირებულებით შემოიფარგლება (*Mayer/Thies* in Manz/Mayer/Schröder (Hrsg.), Die Aktiengesellschaft, (2010), 164; *Kübler/Heinz-Dieter Assmann*, Gesellschaftsrecht, 6. Auf., C. F. Müller Verlag, Heidelberg 2006, 194) და მისი გაფართოება დაუშვებელია.

[195] *Lutter* in KK-AktG, (1988), §54 Rz. 14.

[196] იგულისხმება ამის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების და პირის მიერ ამ აქციების შეძენის სურვილის მომენტი.

[197] ე.წ. Teileingezahlte Aktie. *Maul* in Müller/Rödder (Hrsg.), Beck'sches Hdb. der AG, §4 Rn. 8.

[198] მხოლოდ ქართული საკორპორაციო სამართლის მიხედვით.

[199] Leistung.

[200] MünchKommAktG/*Bungeroth*, Band 1, 3. Auf., (2008), §54 Rn. 3.

[201] MünchKommAktG/*Bungeroth*, Band 1, 3. Auf., (2008), §54 Rn. 4.

[202] ე.წ. დერივატიული შეძენის შემთხვევის შესახებ იხ.: *Janssen* in AnwK-AktR, §54 Rn. 7; *Henze* in GrossKommAktG, §54 Rn. 17.

[203] პირობები ქართული კანონმდებლობის მიხედვით, რადგან ეს უკანასკნელი დაწვრილებით არის მოცემული, როგორც გერმანიის სააქციო კანონში, ისე კანონში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ. შპს-ის შესახებ კანონს ამ საკითხის განხილვისას ასევე შევეხები. ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ ქართული კანონმდებლობა ამ საკითხს არ იხილავს სს-ისთვის და სპს-ისთვის იზოლირებულად. ამიტომ პრობლემის უკეთ წარმოჩენისათვის და საკითხის ამოწურვისათვის გერმანიის ორივე კანონი იქნება გამოყენებული.

[204] *Maul* in Müller/Rödder (Hrsg.), Beck'sches Hdb. der AG, §4 Rn. 9.

[205] *Hüffer*, AktG, (2010), §54 Rn. 7.

[206] *Langenbucher*, Aktien- und Kapitalmarktrecht, S. 165.

[207] *Schmiegelt/Gerber* in Müller/Winkeljohann (Hrsg.), Beck'sches Hdb. der GmbH, §3 Rn. 149.

[208] ასე მაგ.: *Westermann* in Bürgers/Körber, AktG, §54 Rn. 9. ასევეა შპს-ის სამართალშიც: *Schäfer* in Bork/Schäfer, Komm zum GmbHG, (2010), §3 Rn. 39.

სახება, თუმცა შესაძლოა, იგი სხვა წერილობით (ცალკე) დოკუმენტშიც იყოს ჩამოყალიბებული. ამიტომაც არის ნათქვამი, რომ „ვალდებულებითსამართლებრივი დამატებითი ხასიათის გარიგებები ან პარტნიორთა შორის დადებული შეთანხმებები საზოგადოების პარტნიორს *წესდების (როგორც კორპორაციული აქტის)*[209] *მიღმა* განიხილავს".[210] გამომდინარე აქედან, ასეთი ტიპის შეთანხმებები აფუძნებს სპეციალური ხელშეკრულების საგანს და, მისი ბუნებიდან გამომდინარე, შეხება აქვს იმ პირებთან, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ამ გარიგების დადებაში ან შემდგომ მიუერთდნენ მას.[211] როდესაც ასეთი შეთანხმება იდება საზოგადოების დაფუძნების პროცესში, მაშინ ეს გარიგება წესდებაში აისახება, რადგანაც არ მოხდეს გაუგებრობა და შეცდომაში შეყვანა შენატანის შეტანის ვალდებულებასა და მისგან დამოუკიდებელ ვალდებულებით ხელშეკრულებას შორის.[212] რახან აქციონერის ძირითად მოვალეობად შენატანის განხორციელების მოვალეობა ითვლება, ამიტომ, როგორც წესი, სააქციო საზოგადოების სამართალში დაუშვებელია სხვა (შესატანთან დაკავშირებული)

[209] ჩამატება (ი. ბ.)

[210] *Schäfer* in Reinhardt Bork/Carsten Schäfer (Hrsg.), Kommentar zum GmbH-Gesetz, 1. Auf., RWS Verlag, Köln, 2010, §3 Rn. 38.

[211] *Schäfer* in Bork/Schäfer, Komm zum GmbHG, (2010), §3 Rn. 38. ასეთი შემთხვევები განსაკუთრებით ჭარბობს შპს-ის სამართლებრივ ფორმაში (*Hoffmann-Becking*, Der einfluss schuldretlicher Gesellschaftervereinbarungen auf die Rechtsbeziehung in der Kapitalgesellschaft, ZGR 1994, 442 ff. ვუთითებ: *Schäfer* in Bork/Schäfer, Komm zum GmbHG, (2010), §3 Rn. 38.), რადგანაც ეს უკანასკნელი, სს-ისაგან განსხვავებით, გაცილებით უფრო დიდ საწესდებო ავტონომიაზე დაფუძნებული სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ორაგანიზაციული ფორმაა და საზოგადოების (როგორც ვალდებულებითსამართლებრივ კატეგორიას) განსაზღვრის ფარგლები უფრო თავისუფალია, ვიდრე ეს სს-შია.

[212] *Lutter* in KK-AktG, 2. Auf., Carl Heymanns Verlag, Köln 1988, §54 Rz. 5.

ვალდებულებების დაკისრება საწარმოს პარტნიორისათვის და ამ მოვალეობის გათვალისწინება საზოგადოების წესდებით.[213] აქ მხედველობაში არ მიიღება აქციონერის მხრიდან აღებული ვალდებულება საზოგადოების წინაშე დამატებითი გადახდების განხორციელების ან ე.წ. „ვალდებულებითსამართლებრივი ავჯიოს (დანამატის)"[214] შესახებ. ეს ინდივიდუალური შეთანხმება აქციონერსა და საზოგადოებას (ან საწარმოს პარტნიორებს) შორის შესაძლოა აისახოს როგორც წესდებაში, ისე ცალკე წერილობით დოკუმენტში.[215] თუმცა, რა თქმა უნდა, მასაც შესაძლოა გარკვეული სანქციის შემცველი შედეგი მოყვეს, რომელიც, როგორც წესი, განსხვავდება პირველადი წესდებით აღებული შენატანის შეტანის ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარე შედეგისაგან. მას (შენატანის განუხორციელებლობას ან მის არაჯეროვან შესრულებას) სააქ-

[213] *Raiser/Veil*, Das Recht der Kapitalgesellschaften, (2010), 73.

[214] *Raiser/Veil*, Das Recht der Kapitalgesellschaften, (2010), 73.

[215] საინტერესოა საკითხი, შესაძლებელია თუ არა წესდებით დამატებითი შენატანების განხორციელების ვალდებულების დაკისრება საზოგადოების პარტნიორისათვის და ამ დამატებითი შენატანის შეტანის ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მისი საწარმოდან გარიცხვის საკითხის შესახებ. გერმანული სამართლის მიხედვით, ამ შემთხვევაში განსასხვავებელი იქნება თუ რომელ კაპიტალური ტიპის სააზოგადოებას შეეხება საქმე: სს-ს თუ შპს-ს, რადგანაც დამატებითი შენატანების დაკისრების ვალდებულების (ე.წ. Nachschusspflicht) თაობაზე ამ ორ სამართლებრივ ფორმაში გარკვეული სხვაობებია. მოკლედ, ქვემოთ (როდესაც საკითხი შენატანის შეტანის ვალდებულების დარღვევის გამო საზოგადოებიდან აქციონერის გარიცხვას შეეხება) იქნება მცდელობა ეს საკითხი ქართულ ჭრილში გარკვეული სახესხვაობით წარმოჩინდეს, რაც ნაციონალური სამართლის თავისებურებადაც შეიძლება იქნეს განხილული. გერმანული სამართალი დამატებითი შენატანის განხორციელების მოვალეობას პირდაპირ ადგენს შპს-ის შესახებ კანონში. GmbHG §§26 Abs. 1; 53 Abs. 3. იხ. ასევე: *Schmiegelt/Gerber* in Müller/Winkeljohann (Hrsg.), Beck'sches Hdb. der GmbH, (2009), §3 Rn. 126. სწორედ ამით განსხვავდება ეს ინსტიტუტი ერთმანეთისაგან სს-ის და შპს-ის სამართალში.

ციო სამართალში აქციონერის საზოგადოებიდან *გარიცხვა* მოყვება ხოლმე.

3.2. შენატანის განუხორციელებლობის სამართლებრივი შედეგი

3.2.1. შედეგი წესდებით გათვალისწინებული (პირველადი) შენატანის შეუტანლობის შემთხვევაში

საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის ინსტიტუტს გერმანიაში ხანგრძლივი ისტორია აქვს და, შესაბამისად, დიდია ის იურიდიული დოქტრინა, რომელიც ამ საკითხს ეხება. საერთოდ, დასავლეთის საკორპორაციო სამართალში,[216] ფუნქციური თავსაზრისით, საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის, ძირითადად, ორ გზას გამოყოფენ, რომელიც, ერთი მხრივ, საწარმოდან *პარტნიორის პირდაპირ გარიცხვას*, ხოლო, მეორე მხრივ, *არაპირდაპირ გარიცხვას* უკავშირდება.[217] გერმანული სამართლის მიხედვით, პირდაპირი გარიცხვის დროს საუბრობენ პარტნიორის მხრიდან „საზოგადოების იმ მიზნის შელახვის შესახებ, რომელიც თითოეული პარტნიორის, როგორც საზოგადოების წევრის, სტატუსიდან გამომდინარეობს და მისი (ამ ვალდებულების) დაცვა კორპორაციის ყოველი წევრის საზრუნავს წარმოადგენს".[218] სწორედ მისი დარღვევა ხდება საზოგადოებიდან პარტნიორის შესაძლო გარიცხვის (მატერიალურ-სამართლებრივი) საფუძველი. არაპირდაპირი გარიცხვის დროს, ძირითადად,[219] მხედველობაში მიი-

[216] აქ არა მხოლოდ გერმანული, არამედ აშშ-ის საკორპორაციო სამართალიც მოიაზრება.

[217] ამის თაობაზე იხ.: *Wiedemann*, Gesellschaftsrecht, 382 ff.

[218] *Reinisch*, Der Ausschluss von Aktionären, S. 13.

[219] როგორც ეს ამერიკულ საკორპორაციო სამართალშია დამკვიდრებული.

ღება პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის ქონებრივი მოტივები: ამ დროს, უპირველეს ყოვლისა, ხდება დომინანტი პარტნიორის (აქციონერის) ქონებრივი ინტერესების დაცვა, მაგალითად, საწარმოს სრულყოფილად დაუფლების მოტივი მეტი ინვესტიციის ჩასადებად; „ხელმძღვანელობითი შანსების" ერთპიროვნულად გაძღოლის სურვილი. ამავე დროს, გამორიცხული არ არის, რომ მოხდეს პარტნიორის საწარმოდან გარიცხვა იმ მოტივით, რომ მასთან „თანაცხოვრება" და საზოგადოების ერთიანი ქოლგის ქვეშ მოღვაწეობა სხვა (უმრავლესობაში მყოფ) პარტნიორს წარმოუდგენლად ეჩვენება.[220] იურიდიულ დოგმატიკაში ზემოთ ჩამოთვლილი, პარტნიორის გარიცხვასთან დაკავშირებული გზების ჩვენებით, შეიძლება ითქვას, რომ ქართული საკორპორაციო სამართალი, პრინციპში, იგივე შესაძლებლობებს აფუძნებს. ძირითადად, ქართული სამართლის მიხედვითაც, შესაძლებელია საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის ინსტიტუტი, სისტემურ-ფუნქციური თვალსაზრისით, ორ მიმართულებად დაიყოს: პირველს განეკუთვნება პარტნიორის ერთგულების მოვალეობის დარღვევა საზოგადოებისა და მისი პარტნიორების მიმართ. აქ, როგორც წესი, უნდა გამოიყოს ორი გზა: ა) პარტნიორის გარიცხვა შენატანის შეტანის ვალდებულების დარღვევის გამო; ბ) საზოგადოებისათვის ზიანის მიყენების შედეგად.[221]

[220] ეს უფრო ამ საკითხის გადაწყვეტის ამერიკული მოდელი იქნება. *Reinisch*, Der Ausschluss von Aktionären, S. 14. გერმანული და ამერიკული სამართლის შესადარებლად, ძალზე საინტერესოა ზემოთ აღნიშნული მონოგრაფია. იხ. *Reinisch*, Der Ausschluss von Aktionären, S. 13 ff. ამ ნაშრომის წაკითხვის შემდეგ უდავოდ ჩამოყალიბდება აზრი, რომ ქართული სამართალი, ამ ინსტიტუტთან მიმართებით, უფრო აშშ-ის სამართლის მოდელს მისდევს.

[221] თუმცა ეს ჩამონათვალი ამომწურავი არ არის და შესაძლებელი იქნება პარტნიორის გარიცხვა სხვა იურიდიული ფაქტების, სამართლებრივი საფუძვლების არსებობისას. მაგ., გამომდინარე იქიდან, რომ საზოგადოებაც

მეორე, პარტნიორის გარიცხვა (განდევნა), მაგალითად, აქციათა სავალდებულო მიყიდვის მოტივით, ანუ ე.წ. ქონებრივი ინტერესის გამო.

შენატანის შეტანის მოვალეობის შესრულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სს-ის დაფუძნების დროს. გერმანულ სამართალში აქციონერის მიერ (პირველადი) შენატანის განხორციელება კორპორაციის შექმნის ერთ-ერთ წინაპირობად და თავად საზოგადოების წევრობის მოპოვების საფუძვლადაც განიხილება. განსხვავებული ვითარება იკვეთება ნაციონალურ სამართალში. მეწარმეთა კანონის თანახმად, საწარმოს[222] დაფუძნებისას პარტნიორები (აქციონერები) უნდა შეთანხმდნენ წილების განაწილებაზე და დათქვან საწარმოს კაპიტალში მათი შენატანების ოდენობა.[223] თავად შენატანების, მათი განხორციელების წესის, პირობების და ვადების შესახებ მონაცემები ასახული და დადგენილი უნდა იყოს საზოგადოების წესდებაში. მოკლედ, ამ მხრივ, ქართულ სამართალში ფართოა საწესდებო ავტონომიის ფარგლები. ამასთანავე, ქართული კანონმდებლობა კორპორაციის ჩამოყალიბებისათვის და წევრობის სტატუსის მოპოვებისათვის არ მოითხოვს უცილობლად შენატანის უპირობო განხორციელებას. ეს პარტნიორის მიერ საზოგადოების წინაშე აღებულ ვალდებულებად განიხილება და მის შეუსრულებლობას საზოგადოების მხრიდან გარკვეული სანქციის შემცველი შედეგი შეიძლება მოყვეს, კერძოდ, საზოგადებიდან ამ პარტნიორის გარიცხვა. თავად შენატანის შეტანის გარიგება, ქართული სააქციო სამართლის მიხედვითაც, როგორც ეს გერმანულ სამართალშია დამკვიდრებული, *კორპორაციულ აქტადაც* უნდა განიხილებოდეს. ეს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარეობს, რადგანაც *აქციონერის* (როგორც საზოგადოების წევრის) ერთადერთ (კორპორაციულ) მოვალეობად განიხილება. თუმცა კორპორაციულთან ერთად მას ვალდებულებითსამართლებრივი შინაარსი აქვს. მისი ვალდებულებითსამართლებრივი ხასიათი კარგად ვლინდება კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის ჩანაწერიდან, რომლის მიხედვითაც, საზოგადოების წესდებით პარტნიორებს შეუძლიათ განსაზღვრონ შენატანის შეტანის წესი და ვადა. აღნიშნული პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, საუბარი სწორედ ვალდებულებითსამართლებრივ გარიგებაზეა, რომლითაც პარტნიორები შიდაორგანიზაციულად თანხმდებიან, თუ როგორ და რა ვადაში უნდა იქნეს განხორციელებული შენატანი. მიუხედავად იმისა, რომ ეს პარტნიორთა შორის დადებული შეთანხმებაა, სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, მას მნიშვნელობა საზოგადოებისთვისაც ენიჭება, რადგან შენატანის შეტანის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სწორედ საზოგადოებაა კრედიტორი[224] და არა მისი რომელიმე პარტნიორი. თუ ქართულ საკორპორაციო სამართალს შევხედავთ, შენატანის შენტანის ვალდებულების ჯე-

სამართალურთიერთობად (და, გარკვეულწილად, ვალდებულებითსამართლებრივ კატეგორიად) განიხილება, შესაძლებელი უნდა იყოს სამოქალაქოსამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით პარტნიორის გარიცხვა. ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა მიიღებოდეს ხანგრძლივი სამართალურთიერთობის ვადამდე შეწყვეტის იურიდიული პრინციპი, რაც გერმანული BGB-ს 737-ე პარაგრაფიდან გამომდინარეობს (იხ. პალანდტის კომენტარი პარტნიორის გარიცხვასთან დაკშვირებით: Palandt/*Sprau*, Komm. zum BGB, §737 1 ff). ამასთან, გერმანული შპს-ის სამართალი, პარტნიორებს აძლევს შესაძლებლობას საზოგადოების წესდებით გარიცხვის სხვა საფუძვლებიც დაადგინონ. მაგ., დამატებითი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში. *Scholz-Emmerich*, GmbHG (2006), §21 Rdnr. 6. თუმცა, რამდენად შეეხება ეს სააქციო საზოგადოებას, რთული სათქმელია. ამაზე დღესაც მიდის საუბარი.

[222] მათ შორის, რა თქმა უნდა, სს-ის.

[223] „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი.

[224] MünchKommGmbHG/*Schütz*, §21 Rn. 73; *Fastrich* in Baumbach/Hueck, GmbHG, 20 Auf., 2013, §21 Rn. 7.

როვნად შესრულების შემთხვევაში პარტნიორი კორპორაციული მოსასხამით იმოსება და საკუთარ პასუხისმგებლობას იზღუდავს მესამე პირთა წინაშე. ამიტომ ამ ნორმის დაცვა და შესრულება თავად აქციონერის ინტერესში შედის, რადგანაც იგი კაპიტალურად მოწყობილ საზოგადოებაში სწორედ იმიტომ მონაწილეობს, რომ დაიცვას თავისი ინდივიდუალური ქონება კრედიტორის მოთხოვნისაგან. შენატანის შეუსრულებლობის ან მისი ნაწილობრივი შესრულების შემთხვევაში, სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, შესაძლებელია ორი ვითარება გამოიყოს: პირველი, აქციონერის შეზღუდულ პასუხისმგებლობას და ე.წ. გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინას ეხება. მეწარმეთა კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ პარტნიორი ბოროტად გამოიყენებს პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფარგლებს, მაშინ იგი არ განთავისუფლდება ინდივიდუალური პასუხისმგებლობისაგან და, შესაბამისად, ვეღარ ისარგებლებს შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე პირის სტატუსით კორპორაციაში. მხატვრულად რომ ითქვას, ვერ შეიმოსება კორპორაციული საფარველით, მოსასხამით. მეორე, საზოგადოების მხრიდან მის მიმართ გარკვეულ სანქციას შეიძლება დაუკავშირდეს, რაც კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის ჩანაწერიდან მომდინარეობს. ასეთი აქციონერის მიმართ შესაძლოა გამოყენებული იქნეს საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა, რაც დასავლეთის ქვეყნებში საკმაოდ განვითარებული და ხანგრძლივი ტრადიციის მქონე ინსტიტუტია. ამჟამად სწორედ მეორე შემთხვევაზე გამახვილდება ყურადღება.

სააქციო სამართალში აღნიშნული ნორმის[225] მიზანი ის არის, რომ იგი კაპიტალის რეალური შევსების პრინციპს კი-

[225] „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტი; AktG §64.

დევ ერთხელ უწყობს ხელს,[226] რასაც კაპიტალური საზოგადოების სამართალში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება.[227] ამასთან ნორმა მიმართულია იმ აქციონერის წევრობის უფლების შელახვისაკენ,[228] რომელსაც არ სურს ან ვერ სურს შენატანის განხორციელება.[229] როდესაც ამ საკითხთან მიმართებით ერთმანეთს ქართულ და გერმანულ სამართალს ვადარებთ, აუცილებელია აღინიშნოს, რომ საზოგადოებიდან აქციონერის გარიცხვას გერმანული სააქციო სამართალი გაცილებით უფრო ფრთხილად ეკიდება, ვიდრე ქართული. მეწარმეთა კანონმდებლობამ, განსაკუთრებით კი 2008 წლის 14 მარტის რეფორმის შემდეგ, პარტნიორის გარიცხვის საკითხი თითქმის მთლიანად წესდების შეთანხმებაზე გახადა დამოკიდებული და საკანონმდებლო ნორმებს[230] ადგილი საერთოდ არ დაუტოვა. განსხვავებით გერმანული კანონმდებლობისაგან, სადაც აქციონერის კორპორაციის (სს-ის) რიგებიდან გარიცხვა,

[226] *Lutter* in KK-AktG, (1988), §64 Rz. 2.

[227] ამ ნორმის პრაქტიკული დანიშნულების და გამოყენების შესახებ დღესაც აზრთა სხვადასხვაობაა გერმანიაში. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ შპს-ის სამართალში, სადაც სააქციო სამართალთან შედარებით ამ ნორმას უდავოდ ფართო გამოყენება აქვს (რასაც ფედერალური უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკაც მოწმობს. BGHZ 118, 107; BGH NJW 1996, S. 2306 f; BGH = NZG 1998, S. 985-986.), აღნიშნულ ჩანაწერს (ნორმის სიმკაცრიდან გამომდინარე) უფრო დამცავი *პრევენციული* ხასიათი აქვს. *Michalski-Ebbing*, GmbHG, §21 Rn. 8.

[228] MünchKommAktG/*Bayer*, Band 1, 3. Auf., (2008), §64 Rn. 2.

[229] *Lutter* in KK-AktG, (1988), §64 Rz. 2. უმჯობესია ნახმარი იყოს სიტყვა არ შეუძლია გადახდა. სს-ისთვის, მისი კაპიტალური ხასიათიდან გამომდინარე, გადამწყვეტია პარტნიორის კაპიტალით მონაწილეობა საზოგადოებაში. აქციონერის მიერ დათქმული შენატანის განხორციელება სს-ის, როგორც კორპორაციის, მიზანს ემსახურება. ამიტომ მისი შელახვა არც ერთ ერთ პარტნიორს არ უნდა ეპატიებოდეს.

[230] მით უმეტეს იმპერატიული ხასიათის დათქმებს.

პრინციპში, უხეშად რომ ითქვას, ატიპური მოვლენაა.[231] გერმანულ სამართალში ეს საკითხი მთლიანად არის მოწესრიგებული საკანონმდებლო დონეზე და საწესდებო ავტონომიის თავისუფლების ფარგლები მასთან მიმართებით თითქმის გამოირიცხება. ამ მხრივ შესადარებლად გამოდგება ქართული კანონის მოცემულობა 2008 წლის 14 მარტამდე რედაქციით,[232] რომელშიც გერმანულ სამართალთან სიახლოვეს იპოვნით. აქ მხედველობაშია მისაღები პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის პროცედურა. ისევე როგორც ამას დღეს მოქმედი გერმანიის სააქციო კანონი აწესებს, „მეწარმეთა შესახებ“ კანონი მის ადრინდელ რედაქციაში გარიცხვასთან დაკავშირებით იმპერატიული ხასიათის ჩანაწერებს ითვალისწინებდა. ეს, უპირველეს ყოვლისა, პარტნიორისათვის დამატებითი ვადის დაწესების საკითხს შეეხებოდა. იმ შემთხვევაში, როდესაც პარტნიორი გადააცილებდა შენატანის შეტანის ვადას, მას დანარჩენი პარტნიორები უდგენდნენ (მინიმუმ) ერთთვიან ვადას ვალდებულების შესასრულებლად. ეს ვადა გამაფრთხილებელი ფუნქციის მატარებელი იყო, თუმცა მისი დაცვა გარიცხვის ფორმალური წინაპირობების დასაცავად იყო საჭირო, მისი დაუცველობა კი ამ გადაწყვეტილების[233] ბათილობას გამოიწვევდა. 2005 წლის 24 ივნისის ცვლილებით „მეწარმეთა შესახებ“ კანონში დამატებითი ვადა, რომელიც არ შეიძლება ყოფილიყო ერთ თვეზე ნაკლები, კანონიდან საერთოდ ამოვარდა და იგი თავად პარტნიორთა გადასაწყვეტი

[231] სასამართლო გადაწყვეტილებებიც, რომელიც სს-იდან აქციონერის გარიცხვას ეხება გერმანიაში თითქმის არ არსებობს. ძირითადად, ამ საკითხს შპს-ის სამართლის ჭრილში განიხილავენ, სადაც ეს შემთხვევები გაცილებით მრავლად არის წარმოდგენილი, ვიდრე სააქციო სამართალში. *Reinisch*, Der Ausschluss von Aktionären, S. 19.

[232] უფრო სწორედ, 2005 წლის 24 ივნისამდე მდგომარეობით.

[233] პარტნიორთა კრების გადაწყვეტუილება მიიღება მხედველობაში.

(დასადგენი) გახდა. აი, სწორედ პირველი მცდელობა ეს საკითხი საწესდებო ავტონომიის ფარგლებში მოქცეულიყო, ქართულ სამართალში სწორედ აღნიშნული ცვლილებით შემოვიდა. ამას შედეგად 2008 წლის ცვლილება მოყვა, რომლის მიხედვითაც, შენატანის განხორციელების წესი და ვადა, საზოგადოებიდან გარიცხვის პროცედურა წესდებაზე დამოკიდებული გახდა.

გერმანულ სამართალში, როგორც ზემოთ ითქვა, აქციონერის საზოგადოებიდან გარიცხვას განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებიან, რადგანაც ამ ქმედებით შესაძლებელი ხდება აქციონერის ისეთი კორპორაციულსამართლებრივი უფლების შელახვა, როგორიც წევრობაა. ამიტომაც იგი ატიპურ მოვლენად განიხილება და სს-თა პრაქტიკაში იშვიათად თუ შეხვდებით.

სს-იდან პარტნიორის გარიცხვა გერმანულ სამართალში ასე გამოიყურება: აქციონერი მოვალეა, კანონით განსაზღვრულ დროში, შეიტანოს დათქმული შენატანი; პირველ ეტაპზე სწორედ ამ ვადის გასვლას აქცევენ ყურადღებას. შემდეგ მოდის დამატებითი ვადის დაწესება და სამჯერ გამოქვეყნება (გაფრთხილება) შესაბამის გაზეთში. აქციონერს ეძლევა მინიმუმ სამი თვე შესატანის შეტანისათვის. ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ ქვეყნდება ინფორმაცია ამ აქციონერის მხრიდან აქციების დაკარგვის და განხორციელებული შენატანის[234] საზოგადოების სასარგებლოდ „ჩამორთმევის“ შესახებ.[235]

აქციონერის საზოგადოებიდან გარიცხვის მატერიალურსამართლებრივ წინაპირობას რამდენიმე ასპექტი განაპირობებს. პირველი, აქციონერი უნდა იყოს შეტანაზე ვალდებული პი-

[234] ნაწილობრივი შესრულების დროს.

[235] AktG §64. ასევე: *Lutter* in KK-AktG, (1988), §64 Rz. 3.

რი;[236] მეორე, მოსული უნდა იყოს ვალდებულების შესრულების ვადა;[237] მესამე, დანიშნული უნდა იყოს დამატებითი ვადა, თუმცა იგი უშედეგოდ უნდა იყოს გასული.[238]

ა) შეტანაზე ვალდებული პირი

საზოგადოებიდან აქციონერის გარიცხვისას, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელობა უნდა მიექცეს იმას, რომ გასარიცხი პირი შენატანის შეტანაზე *უფლებამოსილი და ვალდებული პირი* იყოს, ანუ ამ შემთხვევაში საუბარი საზოგადოების *პარტნიორზეა*.[239] ამასთან ნიშანდობლივია, რომ შენატანი სრულყოფილად არ არის განხორციელებული,[240] რადგან შენატანის საერთოდ განუხორციელებლობა რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს[241] და აღნიშნული ნორმის რეგულირების სფეროში,[242] როგორც წესი, არ ექცევა.[243] გამომდინარე იქიდან, რომ კორპორაციული წევრობა, ანუ პარტნიორობა კაპიტალურ საზოგადოებაში რეგისტრაციის

[236] *Hüffer*, AktG, (2010), §64 Rn. 3.
[237] *Lutter* in KK-AktG, (1988), §64 Rz. 11.
[238] MünchKommAktG/*Bayer*, Band 1, 3. Auf., (2008), §64 Rn. 17.
[239] *Ensthaler/Hannewald* in Ensthaler/Füller/Schmidt, KommGmbHG, (2010), §21 Rn. 1. ანუ მოთხოვნის (ვალდებულების შესრულების მოთხოვნაზეა აქ საუბარი) ადრესატი, ამ შემთხვევაში, საზოგადოების პარტნიორი უნდა იყოს. MünchKommGmbHG/*Schütz*, §21 Rn. 29.
[240] *Bartels* in Bork/Schäfer, Komm zum GmbHG, (2010), §21 Rn. 3.
[241] ამას ითვალისწინებს გერმანიის როგორც სააქციო კანონმდებლობა, ისე შპს-ის შესახებ კანონი. ქართული სამართალი, ამ მხრივ, რადიკალურად განსხვავდება გერმანული მიდგომისაგან. ამის შესახებ შეგიძლიათ იხ. *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, I ტომი, თბ. 2010, 193 და მომდევნონი, 398 და მომდევნონი.
[242] AktG §64; GmbHG §21.
[243] *Ensthaler/Hannewald* in Ensthaler/Füller/Schmidt, KommGmbHG, (2010), §21 Rn. 1.

ფაქტს ემყარება, საზოგადოება, ასეთ შემთხვევაში, *რეესტრში უნდა იყოს რეგისტრირებული*.[244] ასევე გამოიყურება ქართული რეალობაც: მეწარმეთა კანონმდებლობის შესაბამისად,[245] საზოგადოების დამფუძნებელი და მისი პარტნიორი, საზოგადოების დაარსების დროს, ერთი და იგივე პირია. სწორედ ეს უკანასკნელია ვალდებული იტვირთოს შეტანის განხორციელების მოვალეობა და შეიტანოს შენატანი, თუმცა შესატანის შეტანის ვადები კანონმდებლობით მოწესრიგებული არ არის და ეს ისევ საწესდებო ავტონომიის ფარგლებშია მოქცეული. შესაბამისად, ქართული საკორპორაციო სამართლის მიხედვით, საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვისას მხედველობაში მიიღება შენატანის როგორც ნაწილობრივი შესრულება, ისე მისი მთლიანად შეუტანლობა.[246] ამასთან, წილის ჩამორთმევა ეხება მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც საფუძვლად უდევს ვალდებულების დარღვევას. აქ მხედველობაში, რა თქმა უნდა, არ მიიღება პარტნიორის (აქციონერის) ის წილი, რომლის მოპოვებისთვისაც მას ეს ვალდებულება ჯეროვნად და დათქმულ დროს აქვს შესრულებული.[247] შესაბამისად, თუკი ასეთი პარტნიორი ჩამოსართმევი წილის გარდა ფლობს კიდევ საზოგადოების კაპიტალში სხვა წილს, მაშინ ამ უკანასკნელს ეს საფრთხე არ ემუქრება, ხოლო მისი მფლობელი არ დაკარგავს წევრობის სტატუსს საზოგადოებაში.[248]

[244] *Reinisch*, Der Ausschluss von Aktionären, S. 19; *Lutter* in KK-AktG, (1988), §63 Rz. 8
[245] იხ. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-5 მუხლი.
[246] ამით ქართული კანონმდებლობა გერმანულისაგან განსხვავდება.
[247] MünchKommGmbHG/*Schütz*, §21 Rn. 88.
[248] MünchKommGmbHG/*Schütz*, §21 Rn. 88.

ბ) ვადამოსული ვალდებულების შესრულება

გერმანული კაპიტალური საზოგადოების სამართლის მიხედვით, ქონებრივი შენატანები საზოგადოების სარეგისტრაციოდ დადგომის აღრიცხვის მომენტისათვის, როგორც წესი, სრულყოფილად უნდა იქნეს შეტანილი. გამონაკლისი მხოლოდ ფულად შენატანებს შეეხება.[249] კანონი ზუსტად არ განსაზღვრავს ფულადი შენატანის დროს დარჩენილი ნაწილის შეტანის ვადას,[250] თუმცა იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს ერთიანი პოზიცია, რომ შესრულების ვადა საზოგადოების მიერ განისაზღვრება, რომელიც ამას პარტნიორთა კრების მეშვეობით აკეთებს.[251] სწორედ მოთხოვნის შემდეგ მიიღება მხედველობაში ვადებულების შესრულების ვადა (გადახდის ვადა).[252]

შენატანის შეტანის მოთხოვნის პრეროგატივა გამგეობის (დირექტორატის) უფლებამოსილებაში შედის.[253] ამასთან მეტად მნიშვნელოვანია, რომ დირექტორმა შენატანის განხორციელების მოთხოვნა საზოგადოების პარტნიორს უნდა წაუყენოს *საკუთარი გადაწყვეტილების მიზანშეწონილობიდან*[254] გა-

[249] AktG §36a Abs. 1; GmbHG §7 Abs. 3.

[250] გერმანიის სააქციო კანონის 63-ე პარაგრაფის მოცემულობა ამ საკითხს ღიად ტოვებს.

[251] სხვა დანარჩენის ნაცვლად იხ.: *Ensthaler* in Ensthaler/Füller/Schmidt, KommGmbHG, (2010), §19 Rn. 2.

[252] OLG München 1.2.1984 = GmbHR 1985, S. 56; OLG Hamburg 23.8.1991 = GmbHR 1991, S. 578; OLG Dresden 17.7.1996 = GmbHR 1997, S. 946. ვუთითებ: *Ensthaler* in Ensthaler/Füller/Schmidt, KommGmbHG, (2010), §19 Rn. 2.

[253] *Hüffer*, AktG, (2010), §63 Rn. 5.

[254] ე.წ. pflichtgemässes Ermessen.

მომდინარე.[255] ასეთ დროს დირექტორმა, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების ინტერესის პრიმატი უნდა დაინახოს[256] და მისი გადაწყვეტილება მხოლოდ ამას უნდა ეფუძნებოდეს. როგორც ცნობილია, განხორციელებული შენატანები დირექტორატის თავისუფალი განკარგვის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს.[257] ქართული სამართალი, რომელიც განსაკუთრებით ამ საკითხთან მიმართებით ამერიკულ მოდელს ემყარება, ავითარებს ქონებრივი შენატანის შეფასების და მისი რეალურად განხორციელების ე.წ. „შინაგანი შემოწმების ხარისხის“[258] პრინციპს. ეს პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ ქონებრივი ობიექტის ეკონომიკური ღირებულების, მისი შეფასების და რეალურად განხორციელების საკითხზე პასუხისმგებელი საწარმოს ხელმძღვანელობით-წარმომადგენლობით აღჭურვილი პირი – დირექტორი იქნება. დირექტორი თავის საქმიანობას ახორციელებს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის და 56-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად. ამ ნორმების დარღვევის შემთხვევაში, დირექტორი პასუხს აგებს საზოგადოების წინაშე. გამომდინარე იქიდან, რომ შენატანის შეტანის ვალდებულების მიმღები და, შესაბამისად, მოთხოვნის კრედიტორი შესრულებაზე საზოგადოებაა, ხოლო საზოგადოების სახელით დირექტორი მოქმედებს, სწორედ მას ეკისრება მოვალეობა კეთილსინდისიერად მოეკიდოს საზოგადოების საქმეებს და პარტნიორებს დათქმული შენატანების განხორციელება მოთხოვოს. შენატანის შეტანის ვალდებულების შესრულების მოთხოვნის დროს, დირექტორატმა აუცილებლად უნდა

[255] *Michalski-Ebbing*, GmbHG, (2010), §21 Rn. 90; MünchKommAktG/*Bayer*, Band 1, 3. Auf., (2008), §63 Rn. 28.

[256] *Michalski-Ebbing*, GmbHG, (2010), §21 Rn. 90.

[257] *Koppensteiner/Rüffler*, GmbHG, §10 Rn. 16.

[258] Interne Werthaltigkeitsprinzip.

დაიცვას „აქციონერთა თანაბარი მოპყრობის“ პრინციპი,[259] რაც ნიშნავს, რომ მოთხოვნა *ყველა აქციონერს უნდა წაეყენოს*[260] და არა ერთ რომელიმე პარტნიორს ან აქციონერთა გარკვეულ ჯგუფს. წესდებაში ასეთი დანაწესის გათვალისწინებამ ამ ჩანაწერის ბათილობა უნდა გამოიწვიოს.

როდესაც საუბარია საწარმოს გამგეობის მხრიდან შენატანების განხორციელების მოთხოვნაზე, მხედველობაში მიიღება, როგორც წესი, ის გარემოება, რომ შესრულების ვადა თავად წესდებით არის განსაზღვრული. პრაქტიკაში ძალზე იშვიათია შემთხვევები, როდესაც საზოგადოების დაფუძნების მომენტში პარტნიორები არ თანხმდებოდნენ შენატანის განხორციელების ვადებზე. სწორედ ამიტომ მეწარმეთა კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტი ასეთ შესაძლებლობას პარტნიორებს ანიჭებს. საწარმოს პარტნიორები უფლებამოსილნი არიან წესდებით დაადგინონ შესრულების *კონკრეტული ვადა*. ამ ვადის გასვლის შემდეგ კი გზა პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვისა ხსნილი იქნება. როდესაც სს-ში სამეთვალყურეო საბჭო მოქმედებს,[261] მაშინ წესდებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს, რომ შენატანის მოთხოვნის უფლებამოსილება დირექტორს სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით ჰქონდეს.[262]

მოკლედ, ვადამოსული შესრულება საზოგადოების მხრიდან ამ შესრულების განხორციელების კონკრეტული ვადის დადგენას და, როგორც წესი, საზოგადოების დირექტორატის მიერ შესრულების მოთხოვნას ეფუძნება. ამიტომაცაა ნათქვა-

[259] MünchKommAktG/*Bayer*, Band 1, 3. Auf., (2008), §63 Rn. 29.

[260] *Lutter* in KK-AktG, (1988), §63 Rz. 13.

[261] ეს, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, გერმანულ სააქციო სამართალს ეხება.

[262] *Lutter* in KK-AktG, (1988), §63 Rz. 12; *Gehrlein* in Grosses KommAktG, §63 Rz. 22.

მი, რომ ვადის გასვლა[263] *ავტომატურად არ იწვევს* საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვას და წილის დაკარგვას.[264] მაგალითად, შპს-ის შესახებ გერმანიის კანონი პირდაპირ მიუთითებს,[265] რომ საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა მოითხოვს *გარიცხვის განმარტების გამოხატულ ფორმას*.[266] თავად მოთხოვნის განმარტება ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენაა.[267] ამიტომ ამ ფორმაში წერილობითი ფორმა იგულისხმება[268] და მასზე უფლებამოსილი საწარმოს დირექტორია.[269] ფორმის დაუცველობამ კი შესაძლოა, გარიცხვის პროცედურა ხარვეზიანად წარმოაჩინოს.[270] ქართული

[263] ამ შემთხვევაში ქართული და გერმანული საკორპორაციო სამართალი ერთიან ჭრილში რომ განხილულიყო, ამ წინადადებას დაემატებოდა სიტყვები „დამატებითი ვადის გასვლა“.

[264] *Michalski-Ebbing*, GmbHG, (2010), §21 Rn. 88.

[265] GmbHG §21 Abs. 2 Satz 1.

[266] *Baumbach/Hueck/Fastrich*, GmbHG, Kommentar, §21 Rn. 10; *Meyer-Landrut/Miller/Niehus*, KommGmbHG §21 Rn. 8. ვუთითებ: *Michalski-Ebbing*, GmbHG, (2010), §21 Rn. 88.

[267] *Lichtenwimmer* in Ring/Grziwotz, GmbH-Recht, Praxiskomm., §21 Rn. 11.

[268] რომელიც ადრესატამდე აუცილებლად უნდა მივიდეს (ანუ იგი უნდა ჩაბარდეს ადრესატს), შესაბამისად, მისი ადრესატისთვის გაგზავნა უნდა განხორციელდეს წერილობითი გზავნილის საფუძველზე. *Lichtenwimmer* in Ring/Grziwotz, GmbH-Recht, Praxiskomm., §21 Rn. 11. განსხვავებული სიტუაციაა სააქციო სამართალში, სადაც მოთხოვნის განმარტება სპეციალურ გამოქვეყნებას საჭიროებს.

[269] MünchKommGmbHG/*Schütz*, §21 Rn. 49.

[270] ამასთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ ქართული სასამართლო პრაქტიკა (იხ. სენაკის რაიონული სასამართლოს №56/5/ბ-226 საქმის მასალები და ამავე სასამართლოს 2003 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება №2/20-03. ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა ასევე სუს-მაც.), რომელიც ერთ-ერთ ნაშრომშია განხილული და განმარტებული. იხ. *ბურდული*, ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში (განსაკუთრებით მისი ჩამოყალიბების პროცესში), ქართული და ავსტრიული სამართლის

სამართლის მიხედვით, უმჯობესია, რომ გარიცხვის წესი პარტნიორებმა წესდებით დაადგინონ, რათა შემდგომი სირთულეები თავიდან აიცილონ. თუმცა ამ წესის წესდებაში გაუთვალისწინებლობა არ ნიშნავს თავად პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის შეუძლებლობას. ამის თაობაზე სუს-ს რამდენიმე გადაწყვეტილება აქვს მიღებული.[271] მართალია, უახლესი პრაქტიკა ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს, მაგრამ მოსამართლეთა აზრი ერთიანია იმის თაობაზე,[272] რომ (1) საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს პარტნიორთა კრების (აქციონერთა საერთო კრების) მიერ, (2) მიღებული გადაწყვეტილება ჯერ არ ნიშნავს პარტნიორის ამოშლას რეესტრიდან[273] და (3) პარტნიორის გარიცხვა უნდა მოხდეს არა უდავო, არამედ სადავო, ანუ სასარჩელო წარმოების გზით. სწორედ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ პარტნიორი იურიდიულად გარიცხულია საზოგადოებიდან. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ის პოზიცია, რომელიც

მაგალითზე, 142-145. ეს მოცემულობა ყველაზე კარგად შეესაბამება ზემოთ აღწერილ ვითარებას.

[271] ამასთან დაკავშირებით იხ. სუსგ სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე 2001 წ., გვ. 1402-1404; სუს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილება შპს „არგოს“ საქმეზე №3/747-01; სუსგ სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე 2001 წ., გვ. 44-50; სუს 2002 წლის 21 მაისის განჩინება შპს „ასილთემინტერის“ საქმეზე №3/530-02; სუსგ სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე 2001 წ. №3, გვ. 248; სუსგ სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე 2001 წ. 31, გვ. 49.

[272] ამ მხრივ შეგიძლიათ იხ. სუს/IFC (გამომც.), „მეწარმეთა შესახებ“ კანონის თაობაზე მოსამართლეთა სამუშაო შეხვედრის შედეგად მიღებული რეკომენდაციები და მასალები, თბ. 2009, გვ. 33-35.

[273] მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან შპს-ის შემთხვევაში, ხოლო აქციონერთა რეესტრიდან სს-ის შემთხვევაში.

2002 წლის „მეწარმეთა შესახებ“ კანონის კომენტარში იყო განვითარებული. აღნიშნული მოსაზრება პარტნიორის გარიცხვის პროცედურასთან მიმართებით,[274] ორ გარემოებას უსვამდა ხაზს: ერთი, როდესაც საკითხი შეეხებოდა საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვას შენატანის შეუტანლობის მოტივით. ამ შემთხვევაში საჭირო არ იყო სარჩელის აღძვრა სასამართლოში. საკმარისი იყო გადაწყვეტილების მიღება პარტნიორთა კრების მიერ პარტნიორის გარიცხვის თაობაზე.[275] მეორე, როცა საკითხი ეხებოდა პარტნიორის გარიცხვას საზოგადოებისთვის ზიანის მიყენების გამო, მაშინ საჭირო იყო პარტნიორთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება და საზოგადოების სახელით სარჩელის აღძვრა სასამართლოში.[276] თუმცა მეორე შემთხვევაში გაუგებარია, რა საჭიროა დამატებით პარტნიორთა კრების მიერ გადაწყვეტილების მიღება, ან საკითხავია, რის შესახებ უნდა მიიღოს კრებამ გადაწყვეტილება? თუ კრება გადაწყვეტილებას იღებს საზოგადოებისთვის ზიანის მიყენების გამო პარტნიორის გარიცხვის თაობაზე, ეს აზრი საფუძველს მოკლებულია, რადგან იმ შემთხვევაში, თუ ვინმემ[277] საზოგადოებას ზიანი მიაყენა,[278] მაშინ საზოგადოების სახელით დირექტორია უფლებამოსილი იდავოს ამის თაობაზე. ეს დირექტორის ზრუნვის სფეროში ექცევა და მის

[274] ანუ უნდა მომხდარიყო ეს უდავო თუ სასარჩელო წარმოების გზით.

[275] თუმცა ამ გადაწყვეტილების საფუძველზე სასამართლოს შესაბამისი დადგენილება გამოჰქონდა და სამეწარმეო რეესტრში ცვლილება შეჰქონდა.

[276] *ჭანტურია/ნინიძე*, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, (2002), 66-67.

[277] არა აქვს მნიშვნელობა პარტნიორმა თუ გარეშე პირმა.

[278] შენატანის შეუტანლობა შეიძლება განხილული იყოს, როგორც საზოგადოებისათვის ზიანის მიყენება.

მოვალეობაშიც შედის.[279] თუ დირექტორი დაარღვევს ამ ვალდებულებას, მაშინ პარტნიორებს შეუძლიათ, ერთი მხრივ, თავად დაიცვან და წარმოადგინონ საზოგადოების ინტერესები, ხოლო, მეორე მხრივ, ედავონ დირექტორს საწარმოს გაძღოლის მოვალეობის დარღვევაში და მას ზიანის ანაზღაურება მოთხოვონ. როგორც ჩანს, ადრე არსებული ქართული იურიდიული დოგმატიკა უფრო გერმანულ მოდელს ეფუძნებოდა, სადაც შენატანის შეუტანლობის მოტივით საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა სწორედ დირექტორის კომპეტენციაში, ანუ საწარმოს შიდა საქმიანობის სფეროში შედიოდა. ამას ადასტურებს ასევე ქართული სასამართლო პრაქტიკაც,[280] რომლის მიხედვითაც, ამ შემთხვევაში[281] საზოგადოება თავად მიიღებდა გადაწყვეტილებას პარტნიორის გარიცხვის თაობაზე, ხოლო სასამართლო დადგენილებით დაადასტურებდა[282] ამას და სათანადო ცვლილებას შეიტანდა სამეწარმეო რეესტრში.[283]

როგორც ითქვა, ვადის დადგენა საზოგადოებიდან პარტნიორის (აქციონერის) გარიცხვის პროცედურისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგან სწორედ მას უკავშირდება გარიცხვის იურიდიული შედეგიც. ვადა წესდებით უნდა დადგინდეს. თუმცა საინტერესოა კითხვა, რა მოხდება მაშინ, რო-

[279] „მეწარმეთა შესახებ" კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტიდან (შპს-ის შემთხვევაში) და ამავე მუხლისა და 56-ე მუხლის მე-4 პუნქტიდან გამომდინარე.

[280] სასამართლო გადაწყვეტილებათა ჩამონათვალი იხ. *ჭანტურია/ნინიძე*, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, (2002), 66-67 (მე-20, 21, 22, 23-ე სქოლიოებში).

[281] შესატანის განხორციელების ვალდებულების დარღვევის დროს.

[282] სამეწარმეო რეესტრს ადრე ხომ სასამართლო აწარმოებდა.

[283] სწორედ ასე იქნა გადაწყვეტილი დავა, რომელიც შპს „ქსილოტრანსის" ერთ-ერთ პარტნიორს პანაიოტის ხაძიპაპასს შეეხებოდა. იხ. სენაკის რაიონული სასამართლოს №56/5/ბ-226 საქმის მასალები და ამავე სასამართლოს 2003 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება №2/20-03.

დესაც წესდებით პარტნიორებს ასეთი ვადა არ განუსაზღვრავთ? რას დაემყარება მაშინ საზოგადოება? მეწარმეთა კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტი დისპოციური ნორმაა და პარტნიორებს აძლევს *შესაძლებლობას* ვადა წესდებით დაადგინონ. ამიტომ შესაძლოა ასეთი ვადა პარტნიორების მიერ[284] საერთოდ არ იქნეს გათვალისწინებული. მოკლედ, ასეთ შემთხვევაში აუცილებელი იქნება წესდებაში ან სხვა თანაბარი ძალის მქონე დოკუმენტში დამატების შეტანა და ვადის განსაზღვრა. მხოლოდ ვადის დადგენის შემდეგ უნდა წარმოიშვას საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის სამართლებრივი საფუძველი.

გ) დამატებითი ვადის განსვლა

ის, რითიც გერმანული სამართალი რადიკალურად განსხვავდება ქართული საკორპორაციო სამართლისაგან, არის საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის პროცედურასთან დაკავშირებით დამატებითი ვადის განსაზღვრის სავალდებულოობა. დღეს მოქმედი კანონი მეწარმეთა შესახებ საერთოდ აღარაფერს ამბობს დამატებითი ვადის დანიშვნის თაობაზე, განსხვავებით კანონის 2005 წლამდე მდგომარეობისაგან,[285] სადაც პარტნიორის გარიცხვის ფორმალური წინაპირობისთვის დამატებითი ვადის დანიშვნა იყო საჭირო, რომელიც მინიმუმ ერთ თვეს შეადგენდა.[286] სწორედ ამ ვადის უშედეგოდ გას-

[284] რაც საწარმოთა პრაქტიკაში საგამონაკლისო შემთხვევად უნდა იქნეს განხილული.

[285] „მეწარმეთა შესახებ" კანონი №1781 2005 წ. 24 ივნისი.

[286] 2005 წლის 24 ივნისის ცვლილებით (პარლამენტის კანონი №1781) „მეწარმეთა შესახებ" კანონში დამატებითი ერთთვიანი ვადა ამოღებულ იქნა. სწორედ დროიდან პარტნიორის გარიცხვის პროცედურასთან დაკავშირებით ნორმა (მე-3.5 მუხლი, ხოლო შემდეგ 2007 წლის 30 მარტის

ვლის შემდეგ საზოგადოებას პარტნიორის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა ეძლეოდა. თუმცა კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტი, რომელიც უკვე ამ საკითხთან მიმართებით დისპოზიციური რეგულირების რეჟიმით გამოირჩევა, *უფლებამოსილებას* ანიჭებს პარტნიორებს წესდებით ასევე გაითვალისწინონ დამატებითი ვადა. გერმანული კანონმდებლობა,[287] ზუსტად ადგენს დამატებით ვადას[288] და იგი საზოგადოებიდან პარტნიორის (აქციონერის) გარიცხვის ფორმალურ საფუძველს (წინაპირობას) ქმნის.

დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ გამგეობას (დირექტორატს) გარიცხვის განმარტების თაობაზე პარტნიორთა კრების (აქციონერთა საერთო კრების) სპეციალური გადაწყვეტილება არ ესაჭიროება. თუმცა სს-ისგან განსხვავებით, შპს-ის შემთხვევაში პარტნიორთა კრება[289] მითითებებზე უფლებამოსილი ორგანოა.[290] აქ იგულისხმება პარტნიორთა კრების მიერ დირექტორატისთვის გარკვეული მითითებების მიცემის უფლებამოსილება და თუ პარტნიორთა კრებამ პარტნიორის გარიცხვასთან დაკავშირებით რაიმე სპეციალური გა-

ცვლილებით (პარლამენტის კანონი №4581) მე-3.4 მუხლი) დისპოზიციურ ხასიათს იღებს. მასში აღნიშნულია, რომ პარტნიორები წესდებით ან სხვა წერილობითი ფორმით თანხმდებიან შენატანის შესრულების ვადებზე. ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში საზოგადოების პარტნიორები *უფლებამოსილნი* ხდებიან დაუწესონ პარტნიორს დამატებითი ვადა. ეს იმას ნიშნავს, რომ დამატებითი ვადის უპირობოდ დადგენის (დწესების) ვალდებულება აღარ არსებობს და საზოგადოებას ამ მხრივ მოქმედების თავისუფლება ეძლევა.

[287] ამ შემთხვევაში იგულისხმება როგორც შპს-ის კანონი, ისე სააქციო კანონი.

[288] შპს-ის შემთხვევაში ერთი თვე (GmbHG §21 Abs. 1 Satz 3), სს-ის შემთხვევაში 3 თვე (AktG §64 Abs. 2).

[289] Gesellschafterversammlung.

[290] *Michalski-Ebbing*, GmbHG, (2010), §21 Rn. 91.

დაწყვეტილება მიიღო, მაშინ იგი დირექტორისათვის ყურადსაღები იქნება.[291] გერმანულ სააქციო საზოგადოების სამართალში, გამგეობა საზოგადოებას საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში მართავს.[292] ამიტომ აქციონერთა საერთო კრება ვერ მისცემს მითითებებს გამგეობას პარტნიორის გარიცხვასთან დაკავშირებით. ასეთის არსებობის შემთხვევაში იგი გამგეობისთვის შესასრულებელი გადაწყვეტილება არ იქნება. დირექტორი შენატანების შეტანის მოთხოვნის გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად იღებს.[293] მართალია, აქციონერთა საერთო კრებამ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება გარიცხვის საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ იგი გამგეობის მოქმედებასთან მიმართებით იურიდიული ძალის მქონე არ იქნება.[294] სს-ის წესდებამაც შეიძლება გაითვალისწინოს ნორმები გარიცხვასთან დაკავშირებით, თუმცა მათი შესრულება გამგეობის არა მოვალეობა, არამედ (მისაღები გადაწყვეტილების მიზანშეწონილობიდან გამომდინარე) უფლებამოსილება იქნება.[295]

პარტნიორის გარიცხვა საზოგადოებიდან, ამ შემთხვევაში, ხდება მის მიერ შენატანის განუხორციელებლობის გამო, ანუ გადაუხდელობის გამო. სწორედ დათქმულ ვადაში (დამატებით ვადაში) გადაუხდელობა იძლევა მისი გარიცხვის იურიდიულ წინაპირობას. ნორმასაც, გერმანული სამართლის მიხედვით, გამაფრთხილებელი ფუნქცია აქვს და ვალდებულების ჯეროვნად შესრულების „იძულებას“ ემსახურება. ამასთან, მნიშვნელოვანია, თუკი გასარიცხი პარტნიორი გადაიხდის თანხას (სრულად შეასრულებს ვალდებულებას) დამატებითი ვადის

[291] ე.წ. Weisungsrecht.

[292] AktG §76 Abs. 1.

[293] MünchKommAktG/*Bayer*, Band 1, 3. Auf., (2008), §63 Rn. 25.

[294] *Lutter* in KK-AktG, (1988), §63 Rz. 12.

[295] *Lutter* in KK-AktG, (1988), §63 Rz. 12; შპს-ს შედარებით ასევე იხ.: MünchKommAktG/*Bayer*, Band 1, 3. Auf., (2008), §63 Rn. 38.

გასვლამდე, მაგრამ საზოგადოების მხრიდან ასეთი გარიცხვის განმარტების გაკეთებამდე, მისი გარიცხვა საწარმოდან შეუძლებელი გახდება.[296] მოკლედ, როგორც ჩანს პარტნიორის გარიცხვის პროცედურის დაცვის დროს, მეტად მნიშვნელოვანია სწორედ საზოგადოების მიერ პარტნიორისათვის შესრულების მოთხოვნა და დამატებითი ვადის[297] გასვლა. ამიტომაცაა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტში ნათქვამი, რომ შეტანის განხორციელების წესის და ვადის დადგენა პარტნიორთა პრეროგატივაში შედის. მაგრამ უნდა იყვნენ თუ არა ქართული სამართლის მიხედვით პარტნიორები (აქციონერები) უფლებამოსილნი საზოგადოების სახელით მოთხოვონ „ურჩ“ პარტნიორს შენატანის განხორციელება, საეჭვოა. თუკი ქართულ საკანონმდებლო რეალობას გერმანულს შევადარებთ, მაშინ აღმოჩნდება, რომ მე-3 მუხლის მე-7 პუნქტში იმპერატიულად განსაზღვრული არ არის, რომ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ პარტნიორთა გადაწყვეტილების მიღება სავალდებულო არ არის. აღნიშნული ნორმის მოცემულობა, ერთგავარად, იძლევა საშუალებას, პარტნიორის გარიცხვის ფორმალურ წინაპირობად დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიიჩნეოდეს. ეს არგუმენტაცია განსაკუთრებით კარგად შეესაბამება „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 2008 წლის 14 მარტიდან 2009 წლის 3 ნოემბრამდე მდგომარეობას. კანონის მოქმედების ამ შუალედში პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის საკითხი შიდაორგანიზაციულად წესრიგდებოდა. საჭირო არ იყო ასეთი ცვლილების რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში. ასეთ შემთხვევაში მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის ბოლო წინადადება ნათლად იძლეოდა იმის განმარტების შესაძლებლობას, რომ იმ პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვა, რომელმაც დაარღვია შესატანის შეტანის ვალდებულება, დირექტორის დისკრეციაში შედიოდა.[298] დღეს მოქმედი კანონმდებლობა ამ საკითხს უშუალოდ განმარტებისა და იურიდიული არგუმენტაციის სფეროში აქცევს. ის, თუ რომელმა ორგანომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის შესახებ, კანონში ზუსტად მოცემული არ არის. თუმცა შესაძლებელია, ასევე, განვითარდეს აზრი, რომ ეს გადაწყვეტილება შეიძლება როგორც პარტნიორთა კრებამ, ისე დირექტორატმა მიიღოს.[299] შემდეგ, ისევე, როგორც ამას ქართული სასამართლო პრაქტიკა წყვეტს, დირექტორი მიმართავდა სასამართლოს და სასარჩელო წარმოების გზით მოხდებოდა მისი (პარტნიორის) საზოგადოებიდან გარიცხვა.[300] თუმცა გასათვალისწინებელია

[296] *Michalski-Ebbing*, GmbHG, (2010), §21 Rn. 88.

[297] გერმანული სამართლის მიხედვით.

[298] გასათვალისწინებელია კანონის კონკრეტული ნორმის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა: „ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში პარტნიორი, რომელმაც არ განახორციელა გადახდა, კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც“. რა თქმა უნდა, საზოგადოების წესდებით სხვ რამ დადგენილი არ უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის ბოლო წინადადების ბოლო სიტყვებიდან გამომდინარე, არგუმენტაცია არასწორი იქნებოდა.

[299] მისაღები გადაწყვეტილების სისწრაფიდან და ეფექტურობიდან გამომდინარე მიზანშეწონილი იქნებოდა ეს საკითხი სწორედ ასე გადაწყვეტილიყო.

[300] ეს საკითხი, პრინციპში, შესაძლოა ისე გადაწყვეტილიყო, რომ საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა დირექტორის პრეროგატივა იქნებოდა. დირექტორი მიღებულ გადაწყვეტილებას წარადგენდა სავაჭრო რეესტრში. ეს უკანასკნელი კი თავისი ჩანაწერით მოახდენდა ცვლილების რეგისტრაციას ისე, რომ მისი (ამ ცვლილების, ანუ პარტნიორის გარიცხვის) მატერიალურ-სამართლებრივ საფუძვლებს არ შეამოწმებდა (ამის შემოწმება მიზანშეწონილია სასამართლო კონტროლის მეშვეობით განხორციელდეს). ის აქტი, რომლითაც პირი ამოიშლებოდა რეესტრიდან როგორც პარტნიორი, ადმინისტრაციული აქტი იქნებოდა, რომლის გასაჩივრებაც პირს (გარიცხულ პარტნიორს) კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და წესის დაცვისას უზრუნველყოფილი ექნებოდა.

ნაციონალური კანონის კონკრეტული „მარტივი“ ჩანაწერი ამ საკითხთან დაკავშირებით.[301] ამიტომ საზოგადოების (დომინანტი) პარტნიორის მხრიდან ამ (გარიცხვის) უფლების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით, ქართულმა სასამართლო პრაქტიკამ მართებული არჩევანი გააკეთა. ეს კიდევ ერთხელ წარმოაჩენს გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე პოზიციის არსებობას. აქ მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, შეუძლია თუ არა სს-ის წესდებას გაითვალისწინოს ისეთი დანაწესი, რომელიც აქციონერის საზოგადოებიდან გარიცხვის პროცედურის წარმოებას არა მხოლოდ გამგეობის, არამედ აქციონერთა საერთო კრების დისკრეციაშიც მოაქცევდა. იგულისხმება, ნამდვილი იქნება თუ არა წესდებაში ჩანაწერი, რომელიც გამგეობას გარიცხვის პროცედურის წარმოებას საერთო კრების თანხმობას დაუკავშირებდა. ზოგადი მოსაზრების თანახმად, გამგეობა ამ ქმედებაზე შეუზღუდავად არის უფლებამოსილი, თუკი სს-ის წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.[302] თუმცა გერმანიაში დავობენ იმაზე, შეუძლია თუ არა *თავად წესდებას სხვა რამის გათვალისწინება* (მაგალითად, როგორც ზემოთ ითქვა, საერთო კრების თანხმობა). დღეს გაბატონებული შეხედულების შესაბამისად, ზემოაღნიშნული მოსაზრება უარყოფილია. თუმცა არსებობს პოზიცია,[303] რომელსაც ასევე ემხრობიან თანამედროვე კომენტატორულ

[301] გერმანული სამართლისაგან განსხვავებით, როგორც ითქვას, ქართული სამართალი ამ საკითხის მოწესრიგების თავისუფალი დისპოზიციური რეჟიმით გამოირჩევა.

[302] იხ.: MünchKommAktG/*Bayer*, Band 1, 3. Auf., (2008), §64 Rn. 27.

[303] ამ პოზიციას უფრო ძველი დროის იურისტები წარმოადგენენ: მარკუს ლუთერი (გერმანიის 1967 წლის სააქციო კანონის ერთ-ერთი შემოქმედი), გერლაინი, ბროდმანი და სხვები.

ლიტერატურაში,[304] რომ სს-ის წესდებაში ასეთი ჩანაწერის გათვალისწინება არ ეწინააღმდეგება ნორმის[305] მიზანს და იგი სავსებით დასაშვებია.[306]

ახლა საინტერესოა საკითხი, უნდა მიეცეს თუ არა ქართული კანონმდებლობის მიხედვით პარტნიორს დამატებითი ვადა ვალდებულების შესასრულებლად იმ შემთხვევაში, თუკი წესდებით შესატანის შეტანის კონკრეტული (კალენდარული) ვადაა დადგენილი. ამ საკითხის ასახსნელად მაგალითი იქნება მოყვანილი. ამ მაგალითის გერმანულ იურიდიულ დოგმატიკასთან შედარების საფუძველზე კი საკითხის „ქართული“ გადაწყვეტის გზა იქნება შემოთავაზებული.

ვთქვათ, სს „ინტერკონტინენტალი“ 2010 წლის 12 ივლისს დაფუძნდა. ამავე წლის 14 ივლისს იგი რეგისტრაციაში გატარდა და იურიდიული პირის სტატუსი შეიძინა. 12 ივლისის წესდებაში აღინიშნა თითოეული პარტნიორის წილის (აქციის) ოდენობა, ანუ შენატანის სიდიდე, განხორციელების წესი, პირობები და *ვადა*. აღნიშნული წესდების მიხედვით, უკლებლივ ყველა პარტნიორმა იკისრა ვალდებულება საწარმოს რეგისტრაციის შემდეგ არაუგვიანეს ერთი თვისა, სრულყოფილად შეეტანა შენატანი. გამოდის, რომ შენატანის შეტანის ვალდებულების შესრულების ვადა 2010 წლის 14 აგვისტოა. ამ ვადის გასვლის შემდეგ პარტნიორი დაკარგავს

[304] იენის უნივერსიტეტის პროფესორი ბაიერი, ასევე უვე ჰუფერი.

[305] უპირველეს ყოვლისა, საუბრობენ სააქციო კანონის 23-ე პარაგრაფის მე-5 აბზაცზე.

[306] ვრცლად ამის თაობაზე შეგიძლიათ იხ.: MünchKommAktG/*Bayer*, Band 1, 3. Auf., (2008), §64 Rn. 29 f. ავსტრიაში, ავსტრიის სს-ის შესახებ ფედერალური კანონის 103-ე პარაგრაფის მე-3 აბზაციდან გამომდინარე, ეს უდავოდ აღიარებული მოსაზრებაა. იხ.: MünchKommAktG/*Csoklich*, Band 1, 3. Auf., (2008), §64 Rn. 99.

წილს (გაირიცხება საზოგადოებიდან). საწარმოს წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მოკლედ, ვადა გასული იქნება ისე, რომ ერთ-ერთი პარტნიორი დაარღვევს ვალდებულებას და შენატანს არ განახორციელებს. მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის ჩანაწერიდან გამომდინარე, პარტნიორთა კრება, ვადამოსული შესრულების გასვლის შემდეგ, მიიღებს გადაწყვეტილებას პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის შესახებ. პარტნიორი არ ეთანხმება მიღებულ გადაწყვეტილებას იმ მოტივით, რომ მისთვის სსკ-ის 405-ე მუხლის თანახმად, დაწესებული უნდა ყოფილიყო *დამატებითი ვადა* (გაფრთხილების ვადა) ვალდებულების შესასრულებლად. როგორ გადაწყდება საკითხი?

როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ საკითხის უფრო თვალსაჩინოებისთვის გერმანული კომენტატორული ლიტერატურიდან იქნება მოხმობილი აზრი, რომელიც ამბობს, რომ თუკი კონკრეტული გადახდის ტერმინები, ანუ ვადები კალენდარულად და ზუსტად არის დადგენილი,[307] მაშინ დირექტორის მიერ დამატებითი ვადის განსაზღვრა და, უფრო მეტიც, ამის თაობაზე განმარტების გაკეთება საჭირო აღარ არის.[308] ამიტომაცაა აღნიშნული, რომ დარჩენილი შესატანის შესრულების ვალდებულების ვადა მოსულია იმ დროს, რა დროც ეს შესასრულებლად წესდებამ დაადგინა. შესაბამისად, (დარჩენილი) შენატანის განხორციელების ვალდებულება იმ მომენტიდან შედის ძალაში, რა დროც საზოგადოების წესდებით არის

[307] არ აქვს მნიშვნელობა საზოგადოების წესდებით თუ მისი ძალის მქონე რაიმე სხვა წერილობითი დოკუმენტით. თუმცა პრაქტიკაში ამას, ძირითადად, სწორედ წესდება ადგენს. *Bartels* in Bork/Schäfer, Komm zum GmbHG, (2010), §19 Rn. 3.

[308] Scholz-*Winter/Westermann*, GmbHG, (2006), §20 Rn. 14.

დადგენილი.[309] ამასთან, მაგალითად, გერმანული შპს-ის სამართლის მიხედვით, წარმოიშობა ცინზების (პროცენტების) გადახდის ვალდებულებაც თანახმად შპს-ის შესახებ კანონის მე-20 პარაგრაფისა. ამიტომ პარტნიორთა ან დირექტორატის მხრიდან განსაკურებული, უფრო სწორედ რომ ითქვას, სპეციალური მოთხოვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება საჭირო აღარ არის.[310] ამავე დროს ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ასეთი ვადები, განხორციელების წესი, ადგილი (მაგალითად, პარტნიორის მიერ თანხის დადების ვალდებულება საზოგადოების პირად ანგარიშზე, რომელიც კონკრეტულად არის მითითებული) და ა.შ. (ყოველი კონკრეტული ინფორმაცია) აუცილებლად მოცემული უნდა იყოს წესდებაში.[311] მხოლოდ ასეთი ადვილად იდენტიფიცირებადი და გასაგები და (შესასრულებლად) მარტივი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში აღარ არის საჭირო პარტნიორთა გადაწყვეტილების მიღება. თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც ეს მონაცემები წესდებით დადგენილი არ არის, როგორც წესი (გაბატონებული მოსაზრების თანახმად[312]), საჭირო ხდება პარტნიორთა გადაწყვეტილების მიღება.[313] პარტნიორთა გადაწყვეტილება შენატანების განხორციელების მოთხოვნის შესახებ მიღებული იქ-

[309] ამას გერმანულ სამართალში „დადგენილ გადახდის ვადას" უწოდებენ (fester Zahlungstermin). *Hueck/Fastrich* in Baumbach/Hueck, KommGmbHG, §19 Rdnr. 6.

[310] ეს წარმოადგენს გაბატონებულ იურიდიულ მოსაზრებას როგორც სასამართლო პრაქტიკაში, ისე ლიტერატურაში. BGH = ZIP 1991, S. 724-725; OLG Zweibrücken = GmbHR 1996, S. 122; *Müller* in Ulmer, §20 Rn. 35; *Roth* in Roth/Altmeppen, §20 Rn. 4. ვუთითებ: Scholz-*Winter/Westermann*, GmbHG, (2006), §19 Rn. 9.

[311] Scholz-*Winter/Westermann*, GmbHG, (2006), §20 Rn. 14.

[312] *Bayer* in Lutter/Hommelhoff, GmbHG, (2009), §19 Rn. 9.

[313] *Bartels* in Bork/Schäfer, Komm. zum GmbHG, (2010), §20 Rn. 3.

უფრო „რბილი“, ლმობიერი ნორმების დადგენა.[323] ეს გასაგებიცაა: გერმანული სამართალი გადამწყვეტ მნიშვნელობას კაპიტალის რეალური შეტანის პრინციპს ანიჭებს. ამიტომ ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ამ პრინციპის დაცვა ხდება.

როგორც ითქვა, დამატებითი ვადის დაწესება აქციონერის სს-იდან გარიცხვის იურიდიულ საფუძველს შეადგენს. ამ ვადის გასვლის შემდეგ, როგორც არაერთგზის ითქვა, პირი კარგავს პარტნიორის სტატუსს საზოგადოებაში. გარიცხვას აქვს სანივთო მოქმედების ხასიათი და მას დასრულების შემდეგ უკუძალა არ შეიძლება მიეცეს.[324] ამასთან მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ფაქტი, რომ შენატანების შეუტანლობის მოტივით საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა კორპორაციის *არა ვალდებულებას, არამედ უფლებას* წარმოადგენს.[325] გამომდინარე იქიდან, რომ საზოგადოებიდან აქციონერის გარიცხვის პროცედურის დაწყება გამგეობის მიზანშეწონილობის გადაწყვეტის ფარგლებში შედის,[326] ეს თავისთავად გასაგებია: გამგეობამ უნდა შეაფასოს მისაღები გადაწყვეტილების სისწორე, დროულობა და მიზანშეწონილობა. გარიცხვის მატერიალურ-სამართლებრივი წინაპირობის დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ დამატებითი ვადის დანიშვნა უშუალო და მჭიდრო კავშირში იყოს პარტნიორის საზოგადოებიდან შესაძლო *გარიცხვის განცხადებასთან*.[327] დამატებითი ვადის დანიშვნის შედეგიც სწორედ ის არის, რომ პარტნიორმა გადაიხადოს თანხა, ხოლო გადაუხდელობის

[323] *Ullmer/Müller*, GmbHG, §21 Rn. 4. ვუთითებ: *Koppensteiner/Rüfller*, GmbHG, (2007), §66 Rn. 7.
[324] *Frederik Karsten*, GmbH-Recht, Verlag Nomos, Baden-Baden 2009, 224.
[325] MünchKommAktG/*Bayer*, Band 1, 3. Auf., (2008), §64 Rn. 31; *Hüffer*, AktG, (2010), §64 Rn. 2.
[326] *Westermann* in Bürgers/Körber, AktG, §64 Rn. 5.
[327] *Michalski-Ebbing*, GmbHG, (2010), §21 Rn. 73.

შემთხვევაში იცოდეს, რომ შესაძლოა იგი საწარმოდან გარიცხოს. გარიცხვის ფორმალურ წინაპირობებთან მიმართებით მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ დამატებითი ვადის დანიშვნა, პარტნიორის საზოგადოებიდან შესაძლო გარიცხვის საკითხის დაყენებასთან ერთად, აუცილებლად თავდაპირველი ვადის გასვლას უნდა მოსდევდეს.[328] თავად გარიცხვის პროცესი სავალდებულოდ შესასრულებელ წინაპირობებზეა დაფუძნებული. პირველი ასეთი წინაპირობა კი სწორედ თავდაპირველი ვადის ამოწურვაა. ამიტომ ამ ვადის გასვლამდე (პარალელურ რეჟიმში) დამატებითი ვადის დანიშვნა კანონის დარღვევაა და გარიცხვის პროცესის ბათილობამდე მიგვიყვანს.[329] ქართული იურიდიული შეხედულებისაგან განსხვავებით, გერმანული სამართალი საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის დასრულების მომენტს გამგეობის მხრიდან გარიცხვის განმარტების გაკეთებას უკავშირებს. აქციონერის გარიცხვა ძალაში მას შემდეგ შედის, რაც ამის თაობაზე გაკეთებული იქნება განმარტება და იგი სათანადო წესით გამოქვეყნდება.[330] შესაბამისად, გარიცხვა იურიდიულად ძალაში შედის გამოქვეყნების მომენტიდან. აქციონერი, რომელიც გარიცხა საზოგადოებიდან კარგავს მის აქციას, შესაბამისად, იგი კარგავს წევრობის უფლებას აღნიშნულ სს-ში. ამასთანავე, აქციონერი კარგავს ყველაფერს, რაც მან საზოგადოებას გადასცა. აქ იგულისხმება, მის მიერ ნაწილობრივ შესრულებული შენატანი. აქციონერის მიერ შენატანის განხორციელება პირდაპირ უკავშირდება სს-ში მისი წევრობის სტატუსის მოპოვებას და შეზღუდულ პასუხისმგებლობას. ამიტომ ლიტერატურაში მიიჩნევა, რომ გარიცხვის შემდეგ ასეთი პარტნიორი კარგავს წილს და მის მიერ (ნაწილობრივ) განხორციე-

[328] *Lutter* in KK-AktG, (1988), §64 Rz. 16.
[329] *Lutter* in KK-AktG, (1988), §64 Rz. 16.
[330] *Cahn* in Spindler/Stilz, AktG, (2007), §64 Rn. 33.

დამატებითი ვადის გაუქმებას. როდესაც პარტნიორის გარიცხვაზე და დამატებითი ვადის დანიშვნაზეა საუბარი, გერმანულ სამართალში, ყურადღება ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზე მახვილდება: დამატებითი ვადა საკორპორაციო კანონმდებლობით არის დადგენილი და მას შეხება სამოქალაქო სამართალთან, როგორც წესი, არ აქვს. მხედველობაშია ხელშეკრულების შეწყვეტის გამო დამატებითი ვადის დანიშვნა. ამ შემთხვევაში შპს-ის შესახებ კანონი და სააქციო კანონი ამ საკითხთან მიმართებით სპეციალური მოწესრიგებით გამოირჩევა და სპეციალური ნორმებით სპეციალურ ვადას ადგენს. ამიტომ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ ვადას ეს საკითხი არ ეხება. ქართულ სამართალში სიტუაცია განსხვავებულია. ამიტომაც, ამ მხრივ, მართლაც, აუცილებელია პატარა ისტორიული ექსკურსის გაკეთება, თუ როგორ იყო დარეგულირებული ეს საკითხი მეწარმეთა კანონით. თავდაპირველად, ისევე, როგორც ეს გერმანულ კანონმდებლობაშია,[338] ზუსტად და იმპერატიულად იყო განსაზღვრული, რომ საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვისათვის, ფორმალური თვალსაზრისით, აუცილებელი იყო: (1) წესდებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების (ძირითადი) ვადის გასვლა, (2) დამატებითი ვადის დადგენა. შესაძლოა დამატებითი ვადა უკვე დადგენილი ყოფილიყო წესდებით. ამ შემთხვევაში საკმარისი იყო პარტნიორთა კრების მიერ გადაწყვეტილების მიღება. თუ ასეთი დამატებითი ვადა იმთავითვე არ იქნებოდა განსაზღვრული წესდებით, მაშინ საზოგადოება ვალდებული იყო დაედგინა ეს ვადა. დამატებითი ვადა არ უნდა ყოფილიყო ერთ თვეზე ნაკლები. დამატებითი ვადის მითითებასთან ერთად საზოგადოება განუმარტავდა მის პარტნიორს, რომ ამ ვადაში ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში იგი გაირიცხებოდა[339] საზოგადოებიდან. შესაბამისად, დაკარგავდა წილს. მოკლედ, ამ საკითხს „მეწარმეთა შესახებ“ კანონი სპეციალურად აწესრიგებდა, ამკვდრებდა რა სპეციალურ ნორმას, რომელიც ვალდებულების შესრულების დამატებით ვადას ითვალისწინებდა. შესაბამისად, ამ დამატებითი ვადის გასვლის შემდეგ ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ სსკ-ის 405-ე მუხლით გათვალისწინებული დამატებითი ვადის დანიშვნა უკვე საჭირო აღარ იყო. უფრო მეტიც, ამ საკითხის (გარიცხვის) რეგულირებისთვის საერთოდ არ უნდა გამოყენებულიყო აღნიშნული მუხლი. 2005 წელს გატარებული რეფორმის შედეგად კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტმა[340] არსებითი ცვლილება განიცადა. შემდგომ 2008 წლის 14 მარტის კანონით საერთოდ გაუქმდა დამატებითი ვადის დანიშვნის ვალდებულება და ნორმა შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: „პარტნიორებს შეუძლიათ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში განსაზღვრონ თითოეული პარტნიორის შენატანის შეტანის წესი და ვადა. ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში პარტნიორი, რომელმაც არ განახორციელა გადახდა, კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი“. მოკლედ, კანონის ტექსტი პირდაპირ მიუთითებს რამდენიმე გარემოებაზე: 1. პარტნიორები წესდებით განსაზღვრავენ დათქმული შენატანების განხორციელების წესს (ამაში იგულისხმება, თუ როგორ უნდა განხორციელდეს მატერიალური თუ არამატერიალური ქონებრივი შენატანები, მომსახურების გაწევა ან სამუშაოს შესრულება. ამასთან, ვინ უნდა შეაფასოს შეტანაუნარიანი საგნები, ვინ გაიღებს ამისათვის სათანადო ხარჯებს და

[338] და ეს გასაკვირი სულაც არ არის, რადგან ქართული საკორპორაციო სამართალი სწორედ გერმანულ მოდელს ეფუძნებოდა და მისი რეცეფციის შედეგად შექმნილ ინსტიტუტად განიხილება.

[339] უფრო სწორად, შესაძლოა გარიცხულიყო.

[340] მოქმედი რედაქციით.

ა.შ.); 2. წესდებით პარტნიორები თანხმდებიან ყველაზე მნიშვნელოვან დეტალზე: აღნიშნული შენატანის განხორციელების ვადაზე. ამ უკანასკნელში იგულისხმება კონკრეტული ვადა, რომელშიც პარტნიორმა ნაკისრი ვალდებულება უნდა შეასრულოს; 3. თუკი ასეთი ვადა განსაზღვრული და დადგენილი იქნება საზოგადოების წესდებით და იგი უშედეგოდ გავა, მაშინ პარტნიორი, რომელმაც გაუშვა ეს ვადა, კარგავს წილს, ე.ი. ირიცხება საზოგადოებიდან. როგორც ზემოთ აღინიშნა, საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა არ შედის საზოგადოების ვალდებულებაში და ეს მისი (საწარმოს) ინტერესიდან გამომდინარე მიზანშეწონილობის საკითხია. ამიტომაც მიუთითებს კანონი: „პარტნიორებს *შეუძლიათ* წესდებით გათვალისწინებულ...“[341] შესაბამისად, წესდებამ შეიძლება დაადგინოს, რომ მიუხედავად ვადის გასვლისა, პარტნიორი არ დაკარგავს წილს, თუმცა დაკარგავს მის მიერ ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებს, ან სულაც არც ამ შედეგებს დაკარგავს. მოკლედ, ამ მხრივ საწესდებო ავტონომიის ფარგლები მრავალმხრივია. რაც შეეხება დამატებით ვადას: დამატებითი ვადის დადგენა ამ შემთხვევაში სავალდებულო არ უნდა იყოს. ეს კანონმდებლის ნებით უნდა აიხსნას: რადგანაც ახალი კანონით ადრე მოქმედი რედაქცია გაუქმდა, ეს იმას ნიშნავს, რომ კანონმდებელმა საჭიროდ აღარ ჩათვალა ასეთი ვადის დაწესება. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ეს ვადა სწორედ „მეწარმეთა შესახებ“ კანონში უნდა დაეტოვებინა. შესაბამისად, უნდა გამოითქვას ვარაუდი, რომ კანონის ნორმის მიზანი აქ ის არის, რომ პარტნიორებს საშუალება მისცეს თავისუფლად დაადგინონ ვადა.[342] ხოლო ამ ვადის

[341] „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის პირველი წინადადების პირველი სიტყვები.

[342] ამაში დამატებითი ვადაც იგულისხმება. პარტნიორებს არავინ უშლის წესდებით ასეთი დამატებითი ვადის დაწესებას.

უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, ანუ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, საზოგადოებას მისცა ასეთ პარტნიორთან ურთიერთობის შეწყვეტის – ხელშეკრულების მოშლის – შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტისთვის დამატებითი გამაფრთხილებელი ვადის დანიშვნა საჭირო აღარ უნდა იყოს. თუკი საწინააღმდეგო პოზიცია განვითარდება და ითქმება, რომ დამატებითი ვადის დანიშვნა აუცილებელია სსკ-ის 405-ე მუხლის შესაბამისად, მაშინ გაუგებარი იქნება, თუ რას ემსახურებოდა კანონმდებლის მიერ მეწარმეთა კანონში არსებული სპეციალური ვადის გაუქმება. ამასთანავე, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ წესდებაში[343] აღნიშნული ჩანაწერის (ვადის) დადგენაში უკლებლივ ყველა პარტნიორი იღებს მონაწილეობას. მათ შორის დგება გარიგება. შესაბამისად, გასარიცხი პარტნიორიც მონაწილეობს ამ ვადის განსაზღვრის საკითხში და მის მიერ ნების გამოვლენით ეთანხმება ასეთი ვადის დადგენას, ხოლო ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში (ვადაში შეუსრულებლობისას) საზოგადოებიდან შესაძლო გარიცხვის, როგორც სანქციის, შედეგსაც ითვალისწინებს და აღიარებს.

მოკლედ რომ ითქვას, ამ საკითხთან დაკავშირებით რთულია ერთიანი ჩამოყალიბებული პოზიციის დაფიქსირება, მითუმეტეს, რომ სასამართლო პრაქტიკა ამაზე საერთოდ არ არსებობს.

და ბოლოს, ერთი საკითხი, რომელიც საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის სამართლებრივ შედეგებს უკავშირდება. ის, რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტში იგულისხმება წილის დაკარგვა, ხოლო, აქედან გა-

[343] და, როგორც წესი, ამ ვადის განსაზღვრა წესდებით საზოგადოების დაფუძნების ეტაპზევე ხდება.

მომდინარე, წევრობის სტატუსის ჩამორთმევა[344], ეჭვგარეშეა. წილის დაკარგვა პარტნიორობის დაკარგვას უთანაბრდება. მაგრამ, კარგავს თუ არა გარიცხული პარტნიორი ასევე იმას, რაც მან უკვე შეიტანა საზოგადოებაში, ქართულ სამართალში სადავოა.[345] იურისტთა ნაწილი თვლის, რომ კანონი უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ ამ შემთხვევაში პარტნიორი მხოლოდ წევრობას და მის მიერ ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა *შედეგებს კარგავს*. ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებში მოიაზრება, მაგალითად, დივიდენდის მიღების უფლება და სხვ.[346] რაც შეეხება მის მიერ უკვე შეტანილ შენატანს, იგი მას გარიცხვისას უკან უნდა

[344] თუკი წესდებით, რა თქმა უნდა, სხვა რამ არ არის გათვალისწინებული – მეწარმეთა კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის ბოლო სიტყვები.

[345] ამას 2008 წლის 22-23 ნოემბერს გამართული კონფერენციც ადასტურებსა, რომელიც მეწარმეთა კანონმდებლობაში 2008 წლის 14 მარტს შესული ცვლილებების განხილვას და მოსამართლეთათვის რეკომენდაციების მიღებას დაეთმო. ამ შეხვედრაზე დაყენებული იყო საკითხი, უნდა დაკარგოს თუ არა პარტნიორმა წილთან ერთად შესრულებული შენატანი, თუ სანქცია მხოლოდ წევრობის დაკარგვისკენ არის მიმართული და მას შეხება შესრულებულ შენატანთან არ აქვს. ამის თაობაზე ვრცლად შეგიძლიათ იხ.: ამ შეხვედრის სტენოგრაფიული ჩანაწერები (სუს-ს ბიბლიოთეკაში).

[346] თუმცა განვითარებულია აზრი, რომ პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის იურიდიული პროცედურის (ქართული სამართლის შემთხვევაში სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების ალაში შესვლამდე) დასრულებამდე პარტნიორი (აქციონერი) არ კარგავს ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებს. ამ შემთხვევაში, მაგალითად, დივიდენდის მიღების უფლებას. იხ.: *Westermann* in Bürgers/Körber, AktG, §64 Rn. 11. ერთადერთი სამართლებრივი ბერკეტი, რომელიც ქართული სამართლის მიხედვით, სს-ს მისცემს თავდაცვის შესაძლებლობას (მხედველობაშია გასარიცხი აქციონერისათვის დივიდენდის მიცემის შეფერხება) არის ის, რომ საზოგადოებამ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების განცხადებით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს აღნიშნული პარტნიორისთვის წევრობის სტატუსის შეჩერება.

დაუბრუნდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოება უსაფუძვლოდ გამდიდრდებოდა, რაც გარიცხულ პარტნიორს, სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებზე დაყრდნობით, მოთხოვნის უფლებას მისცემდა.[347] საწინააღმდეგო მოსაზრება შესაძლოა განვითარდეს იმ მიმართულებით, რომ გარიცხული პარტნიორი დაკარგავს წილს და მის მიერ (ნაწილობრივ) შეტანილ შენატანსაც. ეს პოზიცია უფრო კარგად შეესაბამება გერმანულ მიდგომას და პარტნიორის მიერ შენატანის განხორიცლებას განიხილავს მის მიერ წევრობის მოპოვების ერთერთ უმთავრეს წინაპირობად.[348] აქციონერი, უპირველეს ყოვლისა, სს-ის წევრია, რომელსაც გარკვეული უფლებები და მოვალეობები აქვს საზოგადოებაში. ეს უფლებამოსილებათა ერთობლიობა კი სწორედ მისი შენატანის ვალდებულებას უკავშირდება, სუბიექტურ უფლებად[349] განიხილება და თავისებური ხასიათის „ხანგრძლივი სამართალურთიერთობის მოქმედების“[350] რეჟიმს ეფუძნება.[351] დამატებითი ვადის დანიშვნის მომხრეებისთვის სწორედ აღნიშნული არგუმენტი გამოდგებოდა, კერძოდ, თუ საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა ამ „ხანგრძლივი სამართალურთიერთობის“ მოშლას ითვალისწინებს, მაშინ, ალბათ, ამ არგუმენტაციის მიმდევრები სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმას გამოიყენებდნენ.[352] გარიცხვის

[347] ეს მოსაზრება პირდაპირ შეეწინააღმდეგება გერმანულ პოზიციას: ამ შემთხვევაში უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენება დაუშვებელია.

[348] MünchKommAktG/*Bayer*, Band 1, 3. Auf., (2008), §64 Rn. 59.

[349] Subjektives Recht. თუმცა თანამედროვე ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ეს სიტყვა ნათარგმნია როგორც „სუბიექტური სამართალი“, რაც არასწორია. იხ. *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ. 2009, 3.

[350] Dauerrechtsverhältnis.

[351] *Raiser/Veil*, Das Recht der Kapitalgesellschaften, (2010), S. 61.

[352] გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, გამგეობის მიერ კავშირიდან უკანონოდ „გაგდებულ“ წევრს აქვს „ხელშეკრულების შელახვის

მოტივით ზიანის ანაზღაურების უფლება". BGHZ 90, 92; BGHZ 110, 323. გამოყენებულია რაიზერის დასახელებული წიგნიდან, გვ. 61. თუმცაღა აქვე აუცილებლად დასამატებელია, რომ გერმანული იურიდიული დოქტრინა შენატანის განუხორციელებლობის გამო საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის საკითხს სხვა კუთხით განიხილავს. კერძოდ, მიჩნეულია, რომ შენატანების განუხორციელებლობის ან ამ ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო საწარმოდან პარტნიორის გარიცხვას კანონები (იგულისხმება შპს-ის კანონი და სააქციო კანონი) ზუსტად და კონკრეტულად აწესრიგებენ (შპს-ისთვის: 21-24-ე პარაგრაფები; სს-ისთვის: 63-65-ე პარაგრაფები). როგორც ზემოთ ითქვა, შენატანის ვალდებულების დარღვევა საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის ერთ-ერთ იურიდიულ საფუძველს იძლევა, თუმცა არა ერთადერთს. შესაბამისად, პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვა შესაძლებელია ასევე მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას, მაგალითად, მისი მხრიდან საზოგადოებისათვის ზიანის მიყენების შედეგად. კანონმდებლობა ამ საკითხს კონკრეტულად არ აწესრიგებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ მოტივით საწარმოდან პარტნიორის გარიცხვა შეუძლებელი ხდება. ეს მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო სახის შპს-ში, რადგანაც მასში, ისევე, როგორც, ვთქვათ, ამხანაგური ტიპის საზოგადოებაში, განსაკუთრებით მძლავრობს საწარმოს „პერსონალური სტრუქტურა". *Karsten*, GmbH-Recht, 230. ამიტომ ასეთ ვითარებაში ხშირია შემთხვევა, როდესაც პარტნიორებს ძალიან ეძაბებათ ურთიერთობა და მათი თანაცხოვრება ერთი საზოგადოების ქვეშ სავსებით წარმოუდგენელი ხდება. აქედან გამომდინარე, სასამართლო პრაქტიკა და იურიდიული დოგმატიკა, მიუხედევადა იმისა, რომ ასეთი რამ შესაძლოა არც იყოს გათვალისწინებული საზოგადოების წესდებით, საზოგადოებას (პარტნიორებს) საწარმოდან იმ პარტნიორის გარიცხვის საკითხის დაყენების უფლებას აძლევს, რომელმაც „ერთგულების მოვალეობა" დაარღვია და საწარმოს ზიანი მიაყენა. სწორედ ამ დროს გერმანული სამართალი პარტნიორის გარიცხვის სამოქალაქო-სამართებრივი შესაძლებლობის თაობაზე საუბრობს და მას სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმების რეგულირების ქვეშ აქცევს (აი, სწორედ აქ გამოიყენება ეს ინსტიტუტი, რომელიც ამბობს: კერძო სამართალში მოქმედებს ზოგადი ხასიათის პრინციპი, რომელიც მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას იძლევა ხანგრძლივი სახელშეკრულებოსამართლებრივი ურთიერთობის მოშლის (lösen) შესაძლებლობას). *Karsten*, GmbH-Recht, S. 230. საზოგადოებიდან პარტნიორის ამ მოტივით გარიცხვისას, ისევე, როგორც ეს ქართულ სამართალშია, საჭიროა

მატერიალური მოქმედების თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია, რომ პარტნიორი კარგავს ყველაფერს, რაც მის, როგორც საზოგადოების წევრის სტატუსს უკავშირდება. თუმცა სააქციო სამართალში აქციონერსა და კორპორაციას შორის შესაძლოა, აგრეთვე ჩამოყალიბებული იყოს სხვა სახის (არა წევრობის) სამართალურთიერთობა. ამიტომ საწარმოდან პარტნიორის გარიცხვა ამ ურთიერთობაზე გავლენას ვერ მოახდენს.[353]

3.2.2. შედეგი დამატებითი შენატანის ვალდებულების დარღვევისას

კაპიტალური საზოგადოების სამართალში დამატებითი შენატანების განხორციელების ინსტიტუტს თავისებური ადგილი უჭირავს. საზოგადოების პარტნიორთა მხრიდან დამატებითი შენატანების ვალდებულების აღებას მნიშვნელოვანი როლი მხოლოდ შპს-ის სამართალში აქვს,[354] რადგანაც იგი ამ სა-

სარჩელის აღძვრა სასამართლოში (ე.წ. Ausschliessungsklage) და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

[353] *Hüffer*, AKtG, (2010), §64 Rn. 7. მაგ., აქციონერს, მისი შენატანისაგან დამოუკიდებლად, საზოგადოებისათვის დროებით სარგებლობაში გადაცმული ჰქონდა მოძრავი ნივთი (ვთქვათ, სატვირთო ავტომობილი). რა თქმა უნდა, პარტნიორის მიერ შენატანის განხორციელების ვალდებულების დარღვევა არ გამოიწვევს კორპორაციის უარს ნივთის დროებით სარგებლობაში გადაცემის ხელშეკრულების შესრულებაზე. ეს დამოუკიდებელი გარიგებაა, რომელიც საწარმოსა და მის წევრს შორის დამოუკიდებელ სახელშეკრულებოსამართლებრივ ურთიერთობას აფუძნებს. *Maul* in Müller/Rödder (Hrsg.), Beck'sches Hdb. der AG, §4 Rn. 9.

[354] თუმცა გაბატონებული მოსაზრების თანახმად, ამ ინსტიტუტიტს პრაქტიკული მნიშვნელობა ძალიან დაბალია (*Michalski-Zeidler*, GmbHG, (2010), §26 Rn. 2.) და მას სამეწარმეო საზოგადოებები ძალზე იშვიათად იყენებენ (*Scholz-Emmerich*, GmbHG, (2006), §26 Rn. 1a). MoMiG-ის რე-

მართლებრივ ფორმაში „მოქნილ ფინანსირებად ინსტრუმენტად“ მიიჩნევა და საზოგადოების პარტნიორებს საწარმოს საკუთარი კაპიტალის შევსების ფუნქციით აღჭურავს.[355] შესაბამისად, საზოგადოებას შეუძლია ასეთი შენატანების მეშვეობით დამატებითი ქონება მოიზიდოს და საწარმოს სარეზერვო კაპიტალი შექუმნას.[356] ამასთან, შპს-ის სამართალში ამ ნორმის მიზანი საწარმოსთვის ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომ „ელასტიური კაპიტალით“ შევსების გზას ემსახურება, რომელიც საზოგადოების მატერიალური მდგომარეობის საჭიროებიდან გამომდინარეობს და კომპანიას მისი კაპიტალის მომატების ეფექტურ საშუალებას უქმნის.[357] მართალია, დოგმატურად ეს ინსტიტუტი დამატებითი დაფინანსების (ეკონომიკური) ინსტრუმენტის სახით არის ცნობილი, თუმცა შპს-ის შესახებ გერმანიის კანონი 26-ე პარაგრაფში კონკრეტულად ადგენს მის ლეგალურ დეფინიციას და იგი იურიდილ კატეგორიაში გადაჰყავს. აღნიშნული ნორმის მიხედვით, დამატებითი შენატანები[358] წარმოადგენს „საზოგადოების პარტნიორთა შემდგომ შენატანებს, რომელიც მათ მიერ შეძენილი წილებისაგან დამოუკიდებლად იქნება გადახდილი“.[359] შესაბამისად, დამატებით შენატანებს, გარკვეულწილად, პარტნიორის მიერ წევრობის მოპოვებისათვის გადახდილ შენატანთან საერთო არ უნდა ჰქონდეს. თუმცა საკორპორაციო სამართლის თეორიაში

ფორმის შემდეგ მისმა პრაქტიკულმა მნიშვნელობამ კიდევ უფრო დაიკლო. იხ.: MünchKommGmbHG/*Schütz*, §26 Rn. 1.

[355] MünchKommGmbHG/*Schütz*, §26 Rn. 1.

[356] *Michalski-Zeidler*, GmbHG, (2010), §26 Rn. 2.

[357] *Scholz-Emmerich*, GmbHG, (2006), §26 Rn. 1.

[358] ე.წ. Nachschüsse, ხოლო დამატებითი შენატანების ვალდებულებას - Nachschusspflicht – ეწოდება.

[359] *Ensthaler/Hannewald* in Ensthaler/Füller/Schmidt, KommGmbHG, (2010), §26 Rn. 2. შენატანში მხოლოდ ფულადი შენატანი მოიაზრება. *Hachenburg/Müller*, GmbHG, §26 Rn. 13; *Wicke* (Hrsg.) GmbHG, §26 Rn. 1.

მიიჩნევა, რომ დამატებითი შენატანები (რომელიც მხოლოდ შპს-ის სამართლებრივ ფორმაში გამოიყენება) ასევე წარმოადგენს *წევრობის შემადგენელ ნაწილს*.[360] ამიტომ იმ შემთხვევაში, თუკი საზოგადოების წესდებით გათვალისწინებული იქნება ასეთი დამატებითი შენატანების შეტანის ვალდებულება, მაშინ კომპანიაში წილის გასხვისებით ან მისი (წილის) მემკვიდრეობით გადაცემით ეს მოვალეობა ახალ შემძენზე ავტომატურად გადადის.[361] მართალია, დამატებითი შენატანების განხორციელების ვალდებულება აფუძნებს დამოუკიდებელ სამართალურთიერთობას საზოგადოებასა და მის პარტნიორს შორის, თუმცაღა ამ ვალდებულების დარღვევამ შესაძლოა, პარტნიორისთვის გარკვეული სამართლებრივი შედეგი გამოიწვიოს.[362] ასეთი შედეგი კი შეიძლება საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა იყოს.

ლიტერატურაში მიიჩნევა, რომ დამატებითი შენატანების ვალდებულება „ემსახურება პარტნიორის ფინანსურ ინტერესს“ და არა საწესდებო კაპიტალის რეალური შევსების უზრუნველყოფისა და კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების

[360] *Schweiger* in Müller/Winkeljohann (Hrsg.), Beck'sches Hdb. der GmbH, §7 Rn. 81.

[361] *Scholz/Emmerich* §26 Anm. 13. ვუთითებ: *Schweiger* in Müller/Winkeljohann (Hrsg.), Beck'sches Hdb. der GmbH, §7 Rn. 81.

[362] ასეთი დამატებითი შენატანების შეტანის ვალდებულებისაგან განსასხვავებელია ე.წ. freiwillige Kapitazuschüsse, ანუ კაპიტალის შევსების ისეთი დამატებითი მექანიზმები, რომელიც პარტნიორის თავისუფალი ნებიდან გამომდინარეობს. ასეთი თავისუფალი დამოუკიდებელი ხასიათის ღონისძიების განხორციელება პარტნიორის თავისუფალ შეხედულებაზეა დამოკიდებული, იგი დაფუძნებული და ჩამოყალიბებული არ არის წესდებით და, შესაბამისად, წევრობის თვალსაზრისით არანაირ იურიდიულ სანქციას არ იწვევს. Meyer-Landruth/*Miller*, §§26-28 Anm. 29. ვუთითებ: *Schweiger* in Müller/Winkeljohann (Hrsg.), Beck'sches Hdb. der GmbH, §7 Rn. 81.

ინტერესს.[363] მინიმალური სავალდებულო საწესდებო კაპიტალის რეალური შევსების ნორმებს, გერმანულ სამართალში, სხვა მიზანი ამოძრავებს და ისინი, ერთი მხრივ, საზოგადოების (როგორც კაპიტალური ტიპის საწარმოს და კორპორაციის) რეგისტრაციისთვის, მეორე მხრივ, კი კრედიტორებისათვის მატერიალური „ბუფერული ზონის" შექმნისკენაა მიმართული. დამატებითი შენატანების განხორციელებით კი წარმოებს დამატებითი ფინანსური საშუალებების მოზიდვა და ამით კორპორაციულ-ეკონომიკური მიზნების სწრაფი რეალიზება. სწორედ ამითაც განასხვავებენ შპს-ში საწესდებო კაპიტალს[364] დამატებითი შენატანებისაგან.[365]

[363] MünchKommGmbHG/*Schütz*, §26 Rn. 2. თუმცა აღნიშნულ კომენტარში გატარებული ეს აზრი მთლად სწორი არ უნდა იყოს, რამდენადაც საზოგადოება კრედიტორების წინაშე პასუხისმგებელი არა მხოლოდ მისი საწესდებო კაპიტალით, არამედ მთელი თავისი (იურიდიული პირის) ქონებითაა. დამატებითი შენატანებიდან შემოსული ქონება კი, რა თქმა უნდა, მთლიანად საზოგადოების ქონების შემადგენელი ნაწილი (დამატებითი შენატანებით საკუთარი კაპიტალი იქმნება/იზრდება) გახდება, რაც საზოგადოების პასუხისმგებლობაუნარიანობას კიდევ უფრო გაზრდის.

[364] საწესდებო კაპიტალის ნაცვლად შპს-ში შესაძლოა, გამოყენებული იყოს სიტყვები: ძირითადი, დაწყებითი კაპიტალი. ეს გერმანული Stammkapital-ის სიტყვასიტყვითი თარგმანი იქნება. მისი პირდაპირი მნიშვნელობით, გერმანულ სამართალში, საწესდებო კაპიტალის აღმნიშვნელად სააქციო-სამართლებრივი ტერმინი Grundkapital გამოიყენება. ამიტომ საკანონმდებლო ენა Stammkapital და Grundkapital ერთმანეთისაგან ასხვავებს, თუმცა შინაარსობრივად მათ შორის სხვაობა არ არის.

[365] *Altmeppen* in Roth/Altmeppen, GmbHG, (2009), §26 Rn. 3. ცვლილება, რომელიც MoMiG-ს შედეგად შევიდა აღნიშნულ (26-ე) პარაგრაფში, გავლენას ნორმის მატერიალურ-სამართლებრივ მნიშვნელობაზე არ ახდენს, მიუხედავად იმისა, რომ პარაგრაფში აღნიშნული ტერმინი „წილის ღირებულების მიღმა", (über den Betrag der Stammeinlagen hinaus) შეიცვალა სიტყვებით „წილის ნომინალური ღირებულების მიღმა" (über die Nennbeträge der Geschäftsanteile hinaus). ამით აღნიშნული ნორმა შპს-ის მე-3

გერმანული შპს-ის სამართალი დამატებითი შენატანების განხორციელების რამდენიმე ვარიანტს გამოყოფს. ძირითადად, ეს ვარიანტები ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს: პირველი შეუზღუდავი დამატებითი შენატანის ვალდებულება[366] და შეზღუდული დამატებითი შენატანის შეტანის ვალდებულება[367,368] შეუზღუდავი დამატებითი შენატანების შეტანის ვალდებულება, როგორც ეს თავად სიტყვის მნიშვნელობიდან მომდინარეობს, იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოების საქმიანობის (არსებობის) მთელი დროის მანძილზე საწარმოს წესდებით კონკრეტულად დადგენილი არ არის ამ შენატანის სიდიდე (ოდენობა), უფრო სწორად, ზედა ზღვარი.[369] სწორედ ამით განსხვავდება იგი შეზღუდული დამატებითი შენატანებისაგან, რომელთა ოდენობაც კონკრეტულად არის მითითებული და გათვალისწინებული საზოგადოების წესდებით.[370] შესაბამისად, შეზღუდული დამატებითი შენატანების ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ისევე როგორც შეუ-

საბეცვლილ პარაგრაფთან მოვიდა შესაბამისობაში. *Ulmer/Müller*, GmbHG Erg.-Band, §26 Rn. 1.

[366] unbeschränkte Nachschusspflicht. AktG §27.

[367] beschränkte Nachschusspflicht. AktG §28. მაგ., ავსტრიის კანონი შპს-ის შესახებ, რომელიც, პრინციპში, გერმანული კანონია, საერთოდ არ იცნობს შეუზღუდავი დამატებითი შენატანის შეტანის ვალდებულებას. MünchKommGmbHG/*Schütz*, §27 Rn. 100.

[368] თუმცა აქვე გამორიცხული არ არის კომბინირებული ვარიანტის შემუშავება და მისი წესდებაში გათვალისწინება. იხ.: *Ensthaler/Hannewald* in Ensthaler/Füller/Schmidt, KommGmbHG, (2010), §26 Rn. 10.

[369] *Ulmer/Müller*, GmbHG, §27 Rn. 6.

[370] *Michalski-Zeidler*, GmbHG, (2010), §28 Rn.4. ამასთან შენატანების ეს ზედა ზღვარი გარკვეულ დროსი მონაკვეთსაც უკავშირდება, რომელიც გასვლის შემდეგაც ასეთი დამატებითი შენატანების შეტანის ვალდებულების მოქმედება ძალას კარგავს, ანუ ამ შემთხვევაში უგულისხმება ის, რომ დამატებითი შენატანების მოთხოვნა საზოგადოებას შეუძლია გარკვეულ, წესდებით განსაზღვრულ ვადამდე.

ზღუდავი შენატანების დროს, საზოგადოებას აქვს უფლება დაეყრდნოს შპს-ის შესახებ კანონის 21-23-ე პარაგრაფებს და პარტნიორის გარიცხვის პროცედურა წარმართოს.

გერმანულ შპს-ის სამართალში არსებული სამართლებრივი მიდგომა სავსებით შეესაბამება ასევე „მეწარმეთა შესახებ" კანონის დანაწესებს. განსაკუთრებით 2008 წლის 14 მარტის რეფორმის შემდეგ საწესდებო ავტონომიის ფარგლები სწორედ ამ სამართლებრივ ფორმასთან მიმართებით გაიზარდა. მეწარმეთა კანონის სპეციალური ნაწილით[371] გათვალისწინებული ყოველი ნორმა ან იწყება ან მთავრდება სიტყვებით: „თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული". ის, რომ შპს-იდან პარტნიორის გარიცხვა დამატებითი შენატანების განუხორციელებლობის მოტივით სავსებით დასაშვები უნდა იყოს, მოწმობს ასევე „მეწარმეთა შესახებ" კანონის ზოგადი ნაწილიც. კერძოდ, მე-9[1] მუხლი, რომელიც პარტნიორთა კრების კომპეტენციას განსაზღვრავს. ამ მხრივ, მეტად მნიშვნელოვანია აღნიშნული მუხლის მე-6 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტი, რომელიც შპს-ის სამართლებრივ ფორმაში[372] ახალი/დამატებითი შენატანების განხორციელების მეშვეობით საზოგადოების კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას ეხება. ამ ნორმიდან გამომდინარე, შპს-ს აქვს უფლება ამგვარი ვალდებულება დაადგინოს საზოგადოების დაფუძნებისას (გაითვალისწინოს იგი წესდებაში) ან რეგისტრაციის შემდეგ ნებისმიერ დროს, თანაც ისე, რომ ამით არ დას-

[371] შპს-ის მომწესრიგებელი ნორმებია მხედველობაში.

[372] თუმცა შეიძლება დავა იმაზე, თუ რამდენად შეიძლება გავრცელდეს ზოგადი ნორმის აღნიშნული ჩანაწერი სს-ისთვის. სს-ც შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის წარმონაქმნია. ამიტომ საინტერესო იქნებოდა კანონმდებლის დასაბუთება ამ საკითხთან მიმართებით. განმარტებით ბარათში კი ამის თაობაზე არაფერია ნახსენები.

ჭირდეს წესდებაში სათანადო აღნიშვნის შეტანა.[373] შესაბამისად, ამისათვის საკმარისი იქნება პარტნიორთა მიერ ხმათა უბრალო უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილება.[374] გადაწყვეტილებით დადგინდება დამატებითი შენატანების შეტა-

[373] ამით ქართული სამართალი, ერთი შეხედვით, გერმანულს წააგავს, თუმცა იმ განსხვავებით, რომ წესდებაში, გერმანული სამართლის მიხედვით, პარტნიორთა მხრიდან გადაწყვეტილების მიღება საჭირო აღარ იქნება, თუკი დამატებითი შენატანების შეტანის ვალდებულება იმთავითვე წესდებით იქნება დაფუძნებული. MünchKommGmbHG/*Schütz*, §26 Rn. 2.

[374] აქვე აგრეთვე გასათვალისწინებელია ამავე მუხლის (9[1]) მე-9 პუნქტი, რომელიც ხმათა უბრალო უმრავლესობით საზოგადოებას მხოლოდ მაშინ აძლევს გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილებას, როდესაც ეს გადაწყვეტილება კანონის მიხედვით არ მოითხოვს გადაწყვეტილების მიღებას ერთხმად და თუ ამ გადაწყვეტილების შინაარსი არღვევს პარტნიორთა თანაბარი მოპყრობის პრინციპს („ქმნის არათანაბარ მდგომარეობას") ანდა არ ხელყოფს პარტნიორის არსებით ინტერესებს. უხერხულობას კანონის ამ მოცემულობაში იწვევს „და" კავშირი: „თუ ეს კანონი არ განსაზღვრავს გადაწყვეტილების მიღებას ერთხმად და თუ ამ გადაწყვეტილების...". გამოდის, რომ გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისი იქნება უბრალო უმრავლესობა, რადგან ერთხმიანი გადაწყვეტილება აუცილებლად უშუალოდ უნდა მომდინარეობდეს კანონიდან და მისი შინაარსი უნდა ლახავდეს პარტნიორის არსებით ინტერესს და ა.შ. მეწარმეთა კანონში კი ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. მოკლედ, ერთხმიანი გადაწყვეტილება მაშინ იქნებოდა საჭირო, როდესაც ამას თავად კანონი გაითვალისწინებდა. არც შპს-ის სპეციალურ თავში და არც კანონის ზოგადი ნაწილის მე-9[1] მუხლში (პარტნიორთა კრების უფლებამოსილება) ამის შესახებ არაფერია აღნიშნული. არ გამოდგება ამ შემთხვევაში ასევე კანონის მე-3 მუხლის მე-5[1] პუნქტი. წინამდებარე ნორმა წესდებაში ისეთი ცვლილების შეტანას ეხება, რომელიც „პარტნიორის ხმის უფლებას, მოგებაში/ზარალში წილს ან ლიკვიდაციისას მის უფლებებს ეხება". ასეთი გადაწყვეტილება კი მოითხოვს პარტნიორთა ერთხმიან გადაწყვეტილებას. გამომდინარე იქიდან, რომ ამ შემთხვევაშიც საკითხი წესდებაში სათანადო ცვლილებას (დამატებითი შენატანების განხორციელებას) ეხება, ხოლო დამატებითი შენატანების შეტანის დაწესება შესაძლოა, მიღებული იქნეს წესდებაში შესაბამისი ცვლილების გარეშე, ეს ნორმა ამ შემთხვევაზე ვერ გავრცელდება.

ნის ვალდებულება,[375] განისაზღვრება თითოეული პარტნიორის მიერ განსახორციელებელი შენატანის ოდენობა (სიდიდე), წესი და ვადა.[376] ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში კი შესაძლებელი იქნება საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა.

მოკლედ, შპს-ის სამართლებრივ ფორმასთან მიმართებით, გერმანულ და ქართულ საკორპორაციო სამართალში ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ (1) დამატებითი შენატანების განხორციელების ვალდებულების დაწესება შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს და (2) ამ ვალდებულების დარღვევის (მისი არაჯეროვანი შესრულების) შემთხვევაში შესაძლებელი იქნება საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა. რაც შეეხება სს-ის სამართლებრივ ფორმას, აქ სიტუაცია სხვაგვარია. სს-ის დაფინანსების ინსტრუმენტები განსხვავდება შპს-ის ფინანსირებადი წყაროებისაგან. ისტორიულად სს მასაზე (საჯაროობაზე) ორიენტირებულ („დიდი ბიზნესის") სამართლებრივ ფორმად მიიჩნეოდა,[377] რომლის ხიბლიც იმაში მდგომარეობდა, რომ მას ჰქონდა უნარი კაპიტალის ბაზრის მეშვეობით (აქციათა მიმოქცევით) გაცილებით სწრაფად და ეფექტურად მოეპოვებინა დამატებითი მატერიალური (ფინანსური) საშუალებები კორპორაციისთვის, ვიდრე ამას სხვა მეწარმე სუბიექტი გააკეთებდა.[378] არ დაუკარგავს სს-ს ასეთი კაპიტალის

[375] ამ შემთხვევაში დაცული უნდა იყოს პარტნიორთა თანაბარი მოპყრობის პრინციპი (*Hueck/Fastrich* in Baumbach/Hueck, GmbHG, (2013), §26 Rn. 1.), თუმცა სხვა პარტნიორთა თანხმობის შემთხვევაში შესაძლოა გათვალისწინებული იყოს პარტნიორთა შორის სხვაგვარი (არათანაბარი) გადანაწილების პრინციპიც. იხ.: *Scholz-Emmerich*, GmbHG, (2006), §26 Rn. 24 ff.

[376] როგორც ამას „მეწარმეთა შესახებ" კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტი ითვალისწინებს.

[377] *Klunzinger*, Grundzüge des Gesellschaftsrecht, (2009), S. 161.

[378] *K. Schmidt*, Gesellschaftsrecht, S. 759-760.

მოზიდვის ფუნქცია[379] თანამედროვე ეკონომიკაშიც. თუმცა დამატებითი შენატანების შეტანით კაპიტალის გაზრდის ფინანსური ინსტრუმენტი სს-ისთვის,[380] გაბატონებული შეხედულების თანახმად, უცხოა.[381] მიიჩნევა, რომ დამატებითი შენატანების ვალდებულების დაწესებით შეილახებოდა სააქციო კანონის 23-ე პარაგრაფის მე-5 აბზაცის დანაწესი.[382] ამასთანავე ამ პრინციპის დადგენით ჩრდილი მიადგებოდა ასევე სააქციო კანონის 54-ე და 55-ე პარაგრაფებით გათვალისწინებულ იმპერატიული ხასიათის ნორმებს. ეს ნორმები კი ამომწურავად აღწერენ აქციონერთა იმ მოვალეობებს, რომელიც შენატანებს შეეხება.[383] ამ შენატანებში როგორც თავდაპირველი, ისე შემდგომი შენატანები მოიაზრება. ამიტომაც სს-ის წესდების მიერ დამატებითი (შემდგომი) შენატანების დაწესებით კანონის მოთხოვნა შეილახებოდა, ხოლო წესდების

[379] ამ ფუნქციას გერმანულ სამართალში სხვაგვარად „Kapitalsammelbecken", ანუ „მოსაზიდ კაპიტალრეზერვებს" უწოდებენ. *Hoffmann-Becking* in Hoffmann-Becking (Hrsg.), Münch. Hdb. GesR IV, (2007), §2 Rn. 4. შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ასევე ტერმინი: Kapitalsammelfunktion, რაც კაპიტალის მოზიდვის, შევსების, შეკავშირების ფუნქციას ნიშნავს. MünchKommAktG/*Habersack*, Bd. 1, (2008), Ein. Rn. 5.

[380] და კსს-ისთვის (KGaA).

[381] *Michalski-Zeidler*, GmbHG, (2010), §26 Rn. 4; MünchKommGmbHG/*Schütz*, §26 Rn. 13; *Hueck/Fastrich* in Baumbach/Hueck, GmbHG, (2010), §26 Rn. 1; და სხვ.

[382] რომლის მიხედვითაც, სს-ის წესდებამ შესაძლოა გაითვალისწინოს ამ კანონის ნორმებისაგან გადახვევის შესაძლებლობა, თუკი იგი პირდაპირ იქნება გათვალისწინებული ამ კანონით. ამასთან, წესდებამ შეიძლება განავრცოს კანონის პოსტულატები, თუნდაც ისინი ზუსტად აწესრიგებდნენ ურთიერთობას, მაგრამ წესდების ნორმები, რა თქმა უნდა, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მას. „Die Satzung kann von den Vorschriften dieses Gesetzes nur abweichen, wenn es ausdrücklich zugelassen ist. Ergänzende Bestimmungen der Satzung sind zulässig, es sei denn, dass dieses Gesetz eine abschliessende Regelung enthält". AktG §23 Abs. 5 Satz 1 und 2.

[383] MünchKommGmbHG/*Schütz*, §26 Rn. 13.

შესაბამისი ჩანაწერი ბათილი იქნებოდა.[384] დამატებითი შენატანების მეშვეობით კაპიტალის გაზრდის ფუნქცია „უცხო", გარკვეულწილად, არც სს-ისთვის უნდა იყოს, რამდენადაც ეს „მოქნილი დაფინანსების ინსტრუმენტი" სააქციო სამართალში კაპიტალის ნებადართული გაზრდის ინსტიტუტით არის ჩანაცვლებული. ეს უკანასკნელი კი შპს-ის სამართლებრივი ფორმისთვის უცხო იყო, თუმცა გერმანიის პარლამენტის[385] იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ კანონშემოქმედებითი პროცესის ბოლო სტადიაზე, MoMiG-ის რეფორმის დროს,[386] კანონში ჩამატებულ იქნა 55a პარაგრაფი, რომელმაც, სააქციო კანონის 202-ე (და მომდევნო) პარაგრაფის მსგავსად, შპს-ის სამართლებრივ ფორმაშიც დაუშვა ასეთი ნებადართული კაპიტალის არსებობის შესაძლებლობა.[387] საზოგადოების კაპიტალის გაზრდა ნებადართული მომატების ფორმით შპს-შიც, ისევე, როგორც სს-ში, კაპიტალის შექმნის გამარტივებულ გზას ქმნის ისე, რომ ამისთვის მხოლოდ დირექტორია უფლებამოსილი, ხოლო გადაწყვეტილება მისი (დირექტორის) მიზანშეწონილობიდან გამომდინარეობს.[388] ამიტომ მიიჩნევა, რომ შპს-ისთვის ასეთი შესაძლებლობის მინიჭებით მას, კაპიტალის

[384] RGZ 113, 152, 155 ff; BGHZ 160, 253, 256 ff = NJW 2004, S. 3561. ვუთითებ: *Hüffer*, AktG, (2010), §54 Rn. 5.

[385] BT.

[386] *Wicke*, GmbHG, §55a Rn. 1.

[387] *Heckschen/Heidinger*, Die GmbH, §10 Rn. 80. სააქციო სამართალში არსებული ეს ტრადიციული ინსტიტუტი ადრე უცხო იყო შპს-ისთვის. როგორც აღინიშნა, ცვლილება შპს-ის შესახებ კანონში სულ ბოლო მომენტში იქნა შეტანილი. ალბათ ამით აიხსნება ის, რომ ერთ-ერთ კომენტატორულ ლიტერატურაში, როდესაც დამატებითი შენატანებისა (შპს) და ნებადართული კაპიტალის (სს) შედარებაზეა საუბარი, ნათქვამია, რომ ეს უკანასკნელი ინსტიტუტი შპს-ისთვის უცხოა, რაც არასწორი უნდა იყოს. იხ.: MünchKommGmbHG/*Schütz*, §26 Rn. 13.

[388] *Roth* in Roth/Altmeppen, GmbHG, (2009), §55a Rn. 1.

ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სწრაფი მოქმედების ასპარეზი ეხსნება. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ კაპიტალის მომატება ნებადართული გაზრდის ფორმით აღარ მოითხოვს პარტნიორთა სპეციალურ გადაწყვეტილებას,[389] რაც ამ პროცესს, რა თქმა უნდა, გაცილებით მარტივს, სწრაფს და ეფექტურს ხდის. გერმანულ სამართალში, ამ ორ ინსტიტუტს შორის[390] ის სხვაობაა, რომ ე.წ. genehmigtes Kapital-ის სამართლებრივი შედეგი გადახდის ვალდებულებაში არ მდგომარეობს, მაშინ, როდესაც დამატებითი შენატანების დროს მხედველობაში მათი დაწესება და გადახდის მოთხოვნა მიიღება.[391] ერთადერთი მოვალეობა, რომელიც აქციონერს სს-ის დაფუძნებისას ეკისრება, არის (თავდაპირველი) შენატანის განხორციელება, რითიც იგი წევრობის სტატუსს მოიპოვებს. ამ ვალდებულების ჯეროვანი შესრულებით აქციონერი თავისუფლდება შენატანებთან დაკავშირებული მოვალეობისაგან. თანაც გასათვალისწინებელია ის უმნიშვნელოვანესი ჩანაწერი, რომელსაც გერმანიის სააქციო კანონის 23-ე პარაგრაფის მე-5 აბზაცი ითვალისწინებს. გერმანულ სააქციო სამართალში საწესდებო ავტონომიის თავისუფლების ფარგლები თითქმის არ არსებობს. სს, მისი მკაცრად განსაზღვრული სტრუქტურის და სპეციფიკური (sui generis) ორგანიზაციული სტატუსის გამო, წესდების პოსტულატებს მხოლოდ იმ შემთხვევაში ანიჭებს მნიშვნელობას და ასეთის გათვალისწინების შესაძლებლობას მხოლოდ იმ დროს იძლევა, როდესაც ეს არ ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს, გამიზნულია კანონის ნორმების გასავრცობად და, რაც ყველაზე მთავარია, ასეთის დადგენის შესაძლებლობა პირდაპირ არის გათვალისწინებული სააქციო კანონით. განსხვავებული ვითარება იკვეთება ქართულ

[389] *Roth* in Roth/Altmeppen, GmbHG, (2009), §55a Rn. 1.

[390] ნებადართული კაპიტალი და დამატებითი შენატანების შეტანა.

[391] MünchKommGmbHG/*Schütz*, §26 Rn. 13.

კანონმდებლობაში. ამ მხრივ რამდენიმე გარემოებას უნდა გაესვას ხაზი: (1) ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53-ე მუხლის პირველ პუნქტზე უნდა გამახვილდეს, სადაც ნათქვამია: „თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, აქციონერის *ერთადერთი მოვალეობაა* შეიტანოს შესატანი კუთვნილი აქციების მისაღებად“, ანუ წევრობის მოპოვებისთვის აქციონერს ერთადერთი რამ ევალება – შესატანის ვალდებულების ჯეროვნად განხორციელება. შემდეგ ნიშანდობლივია ასევე ამავე პუნქტის ბოლო წინადადება: „ბათილია სს-ის წესდებით აქციონერისათვის კანონით გაუთვალისწინებელი მოვალეობის დაკისრება“, ანუ თუკი კანონი არ გაითვალისწინებს დამატებითი შენატანის შეტანის დაწესების შესაძლებლობას, ასეთი ჩანაწერის არსებობა წესდებაში ბათილად უნდა გამოცხადდეს. ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი რჩება: ითვალისწინებს თუ არა „მეწარმეთა შესახებ“ კანონი აქციონერისათვის (პირველადი) შენატანისაგან დამოუკიდებლად შენატანთან დაკავშირებული მოვალეობის დაწესებას. ამ შემთხვევაში ყურადღება გამახვილდებოდა კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტზე, სადაც აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციაა მოცემული. კერძოდ კი, მის „ა“ ქვეპუნქტზე.[392] გამომდინარე აქედან, საზოგადოების წესდებაში შესაძლოა შევიდეს ცვლილება დამატებითი შენატანების დაწესების შესახებ, რამდენადაც აქციონერისათვის ამ მოვალეობის დაკისრება კანონის შესაბამისი იქნება. რაც მთავარია ამ საკითხის ასახსნელად გერმანიის სააქციო კანონის 23-ე პარაგრაფის მე-5 აბზაცი გამოდგება. გერმანულ სააქციო სამართალში დამატებითი შენატანის შეტანის ვალდებულებას იმიტომ გმობენ, რომ მისი დაფუძნება და ჩამოყალიბება წესდებით დაუშვებელია.

[392] სს-ის წესდებაში ცვლილებების მიღების უფლებამოსილება სწორედ საერთო კრების უფლებამოსილებაში შედის (54-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი).

რატომ? იმიტომ, რომ მე-5 აბზაციდან გამომდინარე კანონმა პირდაპირ უნდა გაითვალისწინოს და დაუშვას წესდების მიერ კანონისაგან გადახვევის შესაძლებლობა. ახლა მივუბრუნდეთ ნაციონალურ კანონმდებლობას. მეწარმეთა კანონში, სს-სთან მიმართებითაც მძლავრობს საწესდებო ავტონომიის პრინციპი. კანონის 54-ე მუხლი[393] არ ითვალისწინებს ისეთ ჩანაწერს, რომელიც გერმანულ სააქციო კანონში გვხვდება. ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ „ნებადართულია ის, რაც აკრძალული არ არის“. შესაბამისად, სს-ის წესდებით შესაძლებელია, საერთო კრებისთვის ისეთი უფლებამოსილების მინიჭება, რომელიც წესდებით იქნება დადგენილი.

დამატებითი შენატანების შეტანა, როგორც წესი, საზოგადოების კაპიტალის გაზრდას ისახავს მიზნად. თუმცა სააქციო სამართალში კაპიტალის გაზრდის დამოუკიდებელი ღონისძიებები არსებობს, რომელსაც გერმანული სამართალი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 2008 წლის 14 მარტის რედაქციამ გააუქმა კაპიტალის მომატების ღონისძიებების ის ფორმები, რომელთაც გერმანული სამართალი ითვალისწინებს. აქ მხედველობაშია კაპიტალის გაზრდა ნებადართული კაპიტალის მომატების გზით, საზოგადოების სახსრებიდან, ხელმოწერილი კაპიტალის ფორმით. ნაცვლად ამისა მეწარმეთა კანონში დატოვებულია ერთადერთი ნორმა,[394] რომელიც სს-ში კაპიტალის მომატებას შეეხება.[395] ნორმის მიხედვით კაპიტალის გაზრდა სს-ში შესაძლებელია მხოლოდ ახალი აქციების გამოშვების ან აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით. შესაბამისად, თუ ითქმება, რომ 53-ე მუხლის პირველი

[393] და ამ საკითხთან შეხებაში მყოფი არც ერთი სხვა ნორმა.

[394] „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 59-ე მუხლი.

[395] თუმცა შინაარსობრივად კანონის 59-ე მუხლის მე-3, მე-4, მე-5 პუნქტები სწორედ ნებადართულ მომატებას ეხება.

პუნქტიდან გამომდინარე, აქციონერის ერთადერთი მოვალეობა არის წევრობის მოპოვებისთვის კუთვნილი აქციების შესაძენად შენატანის განხორციელება (და შესაბამისად ყურადღება არ მიექცევა ზემოთ განვითარებულ მსჯელობას და მის სისწორეს), მაშინ სს-ში კაპიტალის მომატების მხოლოდ ერთადერთი გზა დარჩება: კორპორაციის კაპიტალის მომატება ახალი ფასიანი ქაღალდების გამოშვების მეშვეობით. კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილებას აქციონერთა საერთო კრება იღებს,[396] რომელიც (წესდებით) განსაზღვრულ ორგანოს კაპიტალის მომატების წარმოების განხორციელების უფლებამოსილებას ანიჭებს. გადაწყვეტილება აქციონერთა უბრალო უმრავლესობით მიიღება, თუკი საზოგადოების წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.[397] კაპიტალის მომატების შესახებ გადაწყვეტილების მიღებით აქცონერის უპირატესი შესყიდვის უფლება დგინდება, თუმცა ეს უკანასკნელი შესაძლოა, გაუქმებულ იყოს საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.[398] ახალი აქციების განთავსება სამართლებრივად უკვე გაცემულ აქციებთან კავშირში არ უნდა იყოს. ახალი აქციების განთავსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც საზოგადოებისთვის აღსასრულებლად სავალდებულო იქნება, გავლენას აქციონერის წევრობის სტატუსზე ვერ მოახდენს. შეიძენს თუ არა საზოგადოების პარტნიორი გამოშვებულ ახალ აქციას, მისი გადასაწყვეტია და იგი პარტნიორთა კრებაზე დაფუძნებული არ არის. კაპიტალის გაზრდა კი, თავის მხრივ, საზოგადოების

[396] *Hüffer*, AktG, (2012), §182 Rn. 4.

[397] ასე გამოიყურება ეს საკითხი გერმანულ სამართალში, გარკვეული გამონაკლისების გარდა. იხ. მაგ.: *Marsch-Barner* in Bürgers/Körber, AktG, (2011), §182 Rn. 13 ff.

[398] „მეწარმეთა შესახებ" კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის „გ" ქვეპუნქტი.

თავისუფალი გადაწყვეტილების საგანია და კანონის მოთხოვნებზე (მიიღება თუ არა გადაწყვეტილება კაპიტალის მომატების შესახებ) დამოკიდებული არაა. ამიტომაც კაპიტალის მომატების კანონისმიერი ვალდებულება არ არსებობს, თუნდაც კორპორაცია მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში მოექცეს, ხოლო კაპიტალის გაზრდა ერთადერთი გამოსავალი იყოს ამ რთული ვითარებიდან. შესაბამისად, თუ როგორ დაისახავენ აქციონერები საზოგადოების ფინანსური წარმატების (გაჯანსაღების) გზებს, ეს თავად მათი გადასაწყვეტია და ამაში ვერავინ ჩაერევა.[399] უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალის გაზრდის ამ ღონისძიების დროს აქციის შეძენის არა ვალდებულება, არამედ უფლება არსებობს. შესაბამისად, მისი გამოუყენებლობა საზოგადოებიდან აქციონერის გარიცხვის საკითხს ვერ დააყენებს. აქედან გამომდინარე, აქციონერის ერთადერთი მოვალეობა, ამ თვალსაზრისით, იქნება შეიტანოს შენატანი წევრობის მოპოვებისათვის და თუ იგი კეთილსინდისიერად შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას მისი კორპორაციიდან გარიცხვის არანაირი სამართლებრივი საფუძველი არ იარსებებს.[400] პრინციპში, სწორედ ასეა გადაწყვეტილი ეს საკითხი გერმანულ სამართალში. ამასთან შპს-ის სამართლებრივი ფორმისაგან სს ამ საკითხთან მიმართებით იმით განსხვავდება, რომ, როგორც ზემოთ ითქვა, დამატებითი შენატანის შეტანა პარტნიორის წევრობის შემადგენელი ნაწილია, როდესაც სააქციო სამართალში კაპიტალის მომატების ღონისძიებებს აქციონერის სტატუსთან საერთო არაფერი აქვს. მართალია, აქციონერებმა შესაძლოა, ვალდებულებითსამართლებრივი შეთანხმებით მიიღონ გადაწყვეტილება გარკვეული წინაპირობების დადგომის შემთხვევაში შენატანების შეტანის გზით კაპიტალის მომატე-

[399] *Marsch-Barner* in Bürgers/Körber, AktG, (2011), §182 Rn. 7.

[400] აქ არ იგულისხმება გარიცხვა საზოგადოებისათვის ზიანის მიყენების შედეგად.

ბის შესახებ,[401] თუმცა სააქციო კანონის 182-ე პარაგრაფის პირველი აბზაცის მე-4 წინადადების შესაბამისად, კაპიტალის ასეთი მომატება დასაშვები იქნება მხოლოდ და მხოლოდ ახალი აქციების განთავსებით. სხვაგვარი შეთანხმება წესდებაში მის ბათილობას გამოიწვევს. მოკლედ რომ ითქვას, გერმანული სამართალი დამატებითი შენატანების განხორციელების ვალდებულების დარღვევის გამო სს-იდან აქციონერის გარიცხვას დაუშვებლად მიიჩნევს. უფრო მეტიც, დამატებითი შენატანების შეტანის ვალდებულებას გერმანული სააქციო სამართალი საერთოდ არ იცნობს. იდენტური უნდა ყოფილიყო ეს მოსაზრება ასევე ქართულ სამართალში, რომ არა მეწარმეთა კანონის ის მოცემულობა, რაზედაც ზემოთ იყო საუბარი. სავარაუდოდ, სწორედ კანონებში განსხვავებული ჩანაწერები იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ნაციონალურმა სააქციო სამართალმა სს-სთან მიმართებით დამატებითი შენატანების შეტანის ვალდებულება დაუშვას, მისი დარღვევის შემთხვევაში კი მე-3 მუხლის მე-7 პუნქტს დაეყრდნოს. ეს მიდგომა განსაკუთრებით მართებული იქნებოდა დახურული ტიპის სს-ისთვის, რომელიც შპს-ის სამართლებრივ ფორმასთან, მით უფრო 2008 წლის რეფორმის შემდეგ, დიდ მსგავსებას განიცდის.[402] თუ აშშ-ის საკორპორაციო სამართალს გადაევლება თვალი, ადვილი მისახვედრია, თუ რატომ იცნობს კორპორაციის მხოლოდ ერთადერთ ფორმას ამერიკული სამართალი.

[401] *Marsch-Barner* in Bürgers/Körber, AktG, §182 Rn. 8. იგივე შესაძლებლობას იძლევა ასევე „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 59-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

[402] ამასთან ერთად იხ. 2008 წლის 14 მარტის კანონპროექტის განმარტებითი ბარათი და აღნიშნული კანონის მიღების მთავარი მიზანი: კანონის დისპოზიციური ნორმებით გაჯერება, ყველა სამართლებრივი ფორმისთვის საწესდებო ავტონომიის თავისუფლად განსაზღვრის ფარგლების დადგენა (მათ შორის სს-ისა).

და ბოლოს, საკითხი, რომელიც კიდევ უფრო გაამყარებს ზემოთ აღნიშნულ პოზიციას სს-ში დამატებითი შენატანების დაშვების და მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში (ქართული კანონმდებლობის მიხედვით) აქციონერის კორპორაციიდან გარიცხვის შესახებ. ეს საკითხი ისევ პარტნიორთა შეთანხმებას და წესდებაში ასეთი შეთანხმებების თავისუფლად განსაზღვრას უკავშირდება. როგორც ითქვა, დამატებითი შენატანების შეუსრულებლობის მოტივით სს-იდან პარტნიორის გარიცხვა, ძირითადად, დახურული ტიპის სს-ებში უნდა იყოს რელევანტური. ღია (საჯარო) სს-ებში მისი დანერგვა უხერხულობას გამოიწვევდა. გამომდინარე იქიდან, რომ დახურული სს, მისი სამართლებრივი ბუნებით, ძალზე ახლოს დგას შპს-სთან, ამ ტიპის კორპორაციაში შესაძლებელი უნდა იყოს პარტნიორთა მხრიდან წესდების თავისუფალი განსაზღვრის შესაძლებლობა. დავუშვათ, რომ საზოგადოებას ოთხი პარტნიორი (აქციონერი) ჰყავს. ისინი, საწარმოს დაფუძნების პროცესში, თანხმდებიან და იღებენ ერთსულოვან გადაწყვეტილებას დამატებითი შენატანების შეტანის თაობაზე. დამატებითი შენატანების მოცულობა (სიდიდე) შეთანხმებით იმთავითვე იქნება გათვალისწინებული.[403] პარტნიორები ასევე შეთანხმდებიან შენატანების განხორციელების წესზე (მაგალითად, ფულადი შენატანი, მისი შეტანა საზოგადოების პირად ანგარიშზე) და ვადაზე (მაგალითად, სს-ის რეგისტრაციიდან არაუგვიანეს ოთხი თვისა). პარალელურად ამისა პარტნიორები თანხმდებიან შენატანის განუხორციელებლობის სამართლებრივ შედეგზე და ადგენენ, რომ ასეთ შემთხვევაში საზოგადოება პარტნიორის გარიცხვის უფლებამოსილებას იტოვებს. მოკლედ, დადგენილი ვადის გასვლის და ერთ-ერთი აქციონე-

[403] ამ შემთხვევაში საუბარი ე.წ. „შეზღუდულ დამატებით შენატანზე“ იქნება.

რის მიერ ვალდებულების დარღვევის შემდეგ დადგება მისი საზოგადოებიდან გარიცხვის საკითხი. ისმის კითხვა: შესაძლებელი იქნება თუ არა ასეთ შემთხვევაში აქციონერის საზოგადოებიდან გარიცხვა? არსებობს თუ არა ამ დროს სამართლებრივი საფუძველი მისაღები გადაწყვეტილებისთვის? აქ მნიშვნელოვანი ისევ გერმანული სააქციო კანონის 23-ე პარაგრაფის მე-5 აბზაცის ჩანაწერია, რომლის მსგავსიც ნაციონალურ კანონმდებლობაში არ არსებობს. პარტნიორი იკისრებს დამატებითი შენატანის შეტანის ვალდებულებას. მისთვის, როგორც საწარმოს პარტნიორისათვის, ცნობილია, რომ ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში იგი შესაძლოა, გაირიცხოს საზოგადოებიდან და იგი თავიდანვე ათავისებს და სრულად ითვალისწინებს ამ შედეგს. გერმანული სააქციო სამართლისაგან განსხვავებით, ქართული კანონმდებლობა საერთოდ არაფერს ამბობს პარტნიორის დამატებითი ვალდებულებების[404] შესახებ. შესაბამისად, ასეთი ვალდებულების დაფუძნება კანონთან შესაბამისი იქნება. ახლა რჩება საკითხი, მართებული იქნება თუ არა აქციონერის საზოგადოებიდან გარიცხვის საკითხის დაყენება. ამ შემთხვევაში, კონკრეტული დავის გადაწყვეტისას, სასამართლო კვლავ პარტნიორთა შორის არსებულ ხელშეკრულებას დაეყრდნობოდა და ვალდებულების დარღვევის გამო საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვას დაუშვებდა. ასეთ დროს, საკორპორაციო-სამართლებრივ რეჟიმთან ერთად,[405] სასამართლო სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმა-დებულებებს გამოიყენებდა. გერმანული საკორპორაციო სამართლის მიხედვით, საკითხის ასეთი გადაწყვეტა დაუშვებელი იქნებოდა იქიდან გამომდინარე, რომ დამატებითი ვალდებულებების აღების საკითხი სააქციო კანონით და კანონით შპს-ის შესახებ (ან კანონმდებლობით) სპეციალურად არის განსაზღვრული. დამატებითი ვალდებულებების, შესაძლოა ითქვას, დამატებითი შეთანხმებების დადების უფლება პარტნიორებს თავისუფლად აქვთ. ასეთი დამატებითი შეთანხმებების ქვეშ სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით პარტნიორთა შორის გაფორმებული შეთანხმებები მოიაზრება. ისინი აწესრიგებენ სამართალურთიერთობას პარტნიორებსა და საზოგადოებას შორის.[406] თუმცა დამატებითი შეთანხმებები უნდა განსხვავდებოდეს წესდების კორპორაციული შემადგენელი ნაწილისაგან, ანუ კორპორაციულ-სამართლებრივი შეთანხმებებისაგან. ეს უკანასკნელნი კანონის იმპერატიულად დადგენილი ნორმებიდან მომდინარეობს. ამიტომ მათი შელახვა ასეთი შეთანხმებების ბათილობას გამოიწვევდა. დამატებითი ვალდებულების დარღვევა არ იძლევა სს-იდან აქციონერის გარიცხვის საფუძველს.[407] ეს ცალსახაა, რადგან დამატებითი ვალდებულებები შესაძლოა განხილული იყოს მხოლოდ ძირითადი (შენატანის შეტანის) ვალდებულებისაგან დამოუკიდებელ კატეგორიად[408] და მათ საერთო ერთმანეთთან არაფერი ექნებათ.[409] ამ მხრივ გერმანულ სააქციო სამართალში განსასხვავებელია დამოუკიდებელი დამატებითი (პარალელური) ვალდებულებები,[410] არადამოუკიდებელი დამატებითი ვალდებულებე-

[404] ე.წ. Nebenvepflichtungen der Gesellschafter.

[405] „მეწარმთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტი.

[406] Münch. Hdb. GesR III/*Priester*, (2012), §21 Rn. 1.

[407] MünchKommAktG/*Bungeroth*, Band 1, 3. Auf., (2008), §55 Rn. 4ff.

[408] MünchKommAktG/*Bungeroth*, Band 1, 3. Auf., (2008), §55 Rn. 2.

[409] სს-ების პრაქტიკაში ასეთი დამატებითი შეთანხმებები საერთოდ არ არსებობს. MünchKommAktG/*Doralt/Winner/Bungeroth*, Band 1, 3. Auf., (2008), §55 Rn. 53.

[410] რომელიც უშუალოდ სააქციო კანონის 55-ე პარაგრაფიდან გამომდინარეობს. აქედან გამომდინარე, სააქციო კანონის 54-ე და 55-ე პარაგრაფები ერთობლიობაში უნდა იქნეს განხილული და აზრი გამოტანილი, რომ ამ ნორმებით გათვალისწინებული (შენატანებთან დაკავშირებული) მოვალეობების გარდა, როგორც წესი, აქციონერს არანაირი კორპორაციულსამარ-

ბი,[411] ასევე, აქციონერის სურვილიდან გამომდინარე განხორციელებული მოქმედებები (Leistung) და ვალდებულებითსამართლებრივი შეთანხმებები: ამიტომაცაა ნათქვამი ლიტერატურაში, რომ 54-ე და 55-ე პარაგრაფებში ამომწურავად აღწერილი მოვალეობებისაგან დამოუკიდებლად აქციონერმა საკუთარი შეხედულებისამებრ შესაძლოა, იკისროს გარკვეული ვალდებულება საზოგადოების წინაშე.[412] ასეთი რამ დასაშვებია და კანონს არ ეწინააღმდეგება. რაც შეეხება ვალდებულებით შეთანხმებებს: აქციონერმა კორპორაციის წინაშე შეიძლება ინდივიდუალურად საკუთარი სურვილისამებრ იტვირთოს გარკვეული ვალდებულება, ამიტომ თავად აქციონერებსაც შეუძლიათ ერთმანეთში დადონ ასეთი სახის ვალდებულებითსამართლებრივი შეთანხმებები. როგორც ზემოთ ითქვა, ამგვარ შეთანხმებებს იურიდიული ძალა ექნება როგორც პარტნიორთა შორის, ისე პარტნიორებსა და სს-ს შორის. აქ მნიშვნელოვანია უბრალოდ იმის ხაზგასმა, რომ ასეთი შეთანხმებები არ უნდა აფუძნებდნენ და არ უნდა ეხებოდნენ აქციონერის წევრობის უფლებას. იგი ინდივიდუალურ ხასიათს უნდა ატარებდეს, ხოლო ამ შეთანხმებებისაგან გამომდინარე უფლებებს გავლენა აქციონერის წევრობის უფლებაზე არ უნდა ჰქონდეს.[413] წინააღმდეგ შემთხვევაში ამგვარი ჩანაწერის არსებობა წესდების საწინააღმდეგო იქნება და ბთილად უნდა იქნეს ცნობილი. სწორედ ამიტომაც არის დაუშვებელი გერმა-

თლებრივი, სს-ის წევრობასთან დამოკიდებული ვალდებულება აღარ ეკისრება. MünchKommAktG/*Bungeroth,* Band 1, 3. Auf., (2008), §54 Rn. 22.

[411] ასეთ ვალდებულებებს „Hilfspflichten", ანუ „დამხმარე ვალდებულებებს" ეძახიან. მაგალითად, გერმანიაში 1994 წელს დასაშვები გახდა ერთი პირის (Ein-Personengesellschft) სს-ის დაფუძნება. იმ შემთხვევაში, თუ ასეთ პირს (დამფუძნებელს) ფულადი ვალდებულება ბოლომდე არ შეუსრულებია, მაშინ მას გარანტია მოეთხოვება.

[412] MünchKommAktG/*Bungeroth*, Band 1, 3. Auf., (2008), §54 Rn. 28.

[413] MünchKommAktG/*Bungeroth*, Band 1, 3. Auf., (2008), §54 Rn. 30.

ნულ სააქციო სამართალში ამგვარი შეთანხმებების დარღვევის გამო ე.წ. Kaduzierungsverfahren-ის, ანუ გარიცხვის პროცესის წარმოება.[414] მისი იურიდიული შედეგი კი არა საკორპორაციოსამართლებრივ, არამედ ზოგად ვალდებულებითსამართლებრივ სანქციაზე იქნება დამყარებული.[415] როგორც წესი, ასევე წყდება საკითხი გერმანულ შპს-ის სამართალში.[416] მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საწესდებო ავტონომიის თავისუფლად განსაზღვრის ფარგლები მხოლოდ გარესამართლებრივ ურთიერთობაშია შეზღუდული. რაც შეეხება შიდასამართლებრივ ურთიერთობას (სადაც, რა თქმა უნდა, შიდაპარტნიორული ურთიერთობა და მათ შორის მიღწეული შეთანხმებები მოიაზრება), აქ საკითხი შესაძლოა სხვაგვარად გადაწყდეს. თუ ის პოზიცია განვითარდება, რომ ასეთ შეთანხმებებს ორგვარი მოქმედების დონე ახასიათებს,[417] მაშინ ეჭვს არ გამოიწვევს, რომ ასეთი შეთანხმებების დარღვევა შესაძლოა საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის სამართლებრივი საფუძველი გახდეს. თუმცაღა აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ გერმანულ შპს-ის სამართლებრივ ფორმასთან მიმართებით, ამას არანაირი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ექნება. გამომდინარე იქიდან, რომ დამატებითი შენატანების შეტანის ვალდებულების დამკვიდრებით, ისედაც შესაძლებელი იქნება საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა, ამისთვის დამატებითი შეთანხმებების მიღწევა აზრს მოკლებული იქნებოდა. რაც შეეხება ნაციონალურ კანონმდებლობას: აქ ცალსახად

[414] MünchKommAktG/*Bungeroth*, Band 1, 3. Auf., (2008), §54 Rn. 30.

[415] *Winter*, ZHR 1990, 259, 264 f, 281; *Lutter* in KK zum AktG, §54 Rz. 21; *Henze* in GrossKomm., §54 Rn. 75. ვუთითებ: MünchKommAktG/*Bungeroth,* Band 1, 3. Auf., (2008), §54 Rn. 30.

[416] *Scholz-Emmerich,* GmbHG, (2006), §21 Rn. 5.

[417] ერთი პარტნიორებს შორის, ხოლო მეორე პარტნიორებსა და საზოგადოებას შორის

ის აზრია გასავითარებელი, რომ ამგვარი დამატებითი შეთანხმებების დარღვევის გამო პარტნიორის გარიცხვა ყველა შემთხვევაში დასაშვები იქნება.[418]

სს ისეთი იურიდიული პირია, სადაც კაპიტალით მონაწილეობა მის, როგორც იურიდიული „კონსტრუქციის ელემენტად“ განიხილება,[419] ხოლო მისი, როგორც სამართლებრივი ფორმის არსებობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა. საზოგადოების ეკონომიკური მიზნებიდან და რენტაბელური საქმიანობის სურვილიდან (და მიზანშეწონილობიდან) გა-

[418] როგორც აღინიშნა, გერმანულ შპს-ის სამართალშიც, სადაც მძლავრობს წესდების ავტონომიურობის ფარგლები და იმპერატიული ნორმები მხედველობაში მხოლოდ საზოგადოების გარესამართლებრივ ურთიერთობაში მიიღება (Münch. Hdb. GesR III/*Grziwotz*, (2012), §18 Rn. 11), შესაძლებელია დასაშვები იყოს დამატებითი ვალდებულების აღების დარღვევის გამო პარტნიორის გარიცხვა საზოგადოებიდან. იმპერატიულად დადგენილი ე.წ. იძულებითი ნორმები (zwingende Vorschriften) გავლენას, როგორც წესი, საზოგადოების შიდა ურთიერთობაზე ვერ ახდენს. პარტნიორთა თანაბარი მოპყრობის პრინციპიც შპს-ის სამართალში გაცილებით უფრო „ელასტიურად“ არის ჩამოყალიბებული, ვიდრე ეს სააქციო სამართალშია (ამიტომაც ამბობენ, რომ სააქციო სამართალი, შპს-ის სამართლისაგან განსხვავებით, იმპერატიულად ჩამოყალიბებული სამართალია. ამ სამართლებრივ ფორმაში აქციონერმა იცის, რომ იგი მონაწილეობს ისეთ საზოგადოებაში, რომელიც თითქმის სრულად ემორჩილება საკანონმდებლო ჩანაწერებს. *Grunewald*, Gesellschaftsrecht, (2008), 246.). რა თქმა უნდა, არსებობს ისეთი ზოგადი ხასიათის ნორმები, რომელიც მთელი კერძო სამართლის ერთიან პრინციპად განიხილება და მისი შელახვა დაუშვებელია. ასე, მაგ., ზნეობის საწინააღმდეგო ჩანაწერების გათვალისწინება საზოგადოების წესდებით, რაც არ უნდა ფართო იყოს შიდაპარტნიორული შეთანხმებების თავისუფლების ფარგლები, დაუშვებელი იქნებოდა. Münch. Hdb. GesR III/*Grziwotz*, (2012), §18 Rn. 12. თუმცა რამდენად იქნებოდა დამატებითი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის დაშვების საკითხი ამ პრინციპის საწინააღმდეგო, რთული სათქმელია.

[419] *Kraft* in KK-AktG, 1. Band, (1985), §1 Rn. 50.

მომდინარე, დამატებითი სახსრების მოძიება, დამატებითი ინვესტიციების განხორციელება მეტად მნიშვნელოვანი უნდა იყოს. ამიტომ დახურული ტიპის სს-ში აქციონერებს უნდა მიეცეთ ასეთი სწრაფად ინვესტირებადი ბერკეტების დანერგვის შესაძლებლობა, მით უფრო, რომ ასეთი ტიპის გადაწყვეტილება ერთხმად (ერთსულოვნად) იქნებოდა მიღებული.[420] შიში იმისა, რომ დომინანტი აქციონერი ბოროტად გამოიყენებდა ამ უფლებამოსილებას და დამატებითი შენატანების შეტანის ვალდებულებას იმიტომ გაითვალისწინებდა, რომ მისი დარღვევის შემთხვევაში მას შესაძლებლობა მიეცემოდა ეს პარტნიორი საზოგადოებიდან გაერიცხა, საფუძველს მოკლებულია. შენატანების განუხორციელებლობის მოტივით პარტნიორის გარიცხვა სასამართლო კონტროლს ექვემდებარება. შესაბამისად, სასამართლოში არსებითი განხილვის საგანი ხდება ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და აუცილებელია აღნიშნული კორპორაციისთვის დამატებითი შენატანების გზით საწარმოს დაფინანსება და ამით სამართლებრივ უსაფრთხოებაზე დაფუძნებული „ხანგრძლივმოქმედი სამართალურთიერთობის“[421] შენარჩუნება. ამიტომ საწინააღმდეგო მოტივის (პარტნიორისთვის ისეთი მდგომარეობის შექმნა, რომელიც შემდგომ მისცემს დომინანტ პარტნიორს უმცირესობაში მყოფი აქციონერის საზოგადოებიდან გარიცხვის შესაძლებლობას) დადასტურების შემთხვევაში დამატებითი შენატანების ვალდებულების დარღვევის გამო საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას სასმართლო არ მიიღებდა. თუკი ითქმება, რომ შპს-ში სათანადო საფუძვლების არსებო-

[420] მეწარმეთა კანონის 54-ე მუხლიდან გამომდინარე, ასეთი გადაწყვეტილების მიღების ქვედა ზღვარი ხმათა კვალიფიციური უმრავლესობაა, თუმცა პარტნიორები შესაძლოა, აბსოლუტურ უმრავლესობაზე შეთანხმდნენ.

[421] Münch. Hdb. GesR III/*Grziwotz*, (2009), §18 Rn. 17.

ბისას (მაგალითად, როგორც ზემოთ ითქვა, საზოგადოებისათვის არსებითი ზიანის მიყენების შემთხვევაში) შესაძლებელია პარტნიორის გარიცხვა, ანუ მასთან სახელშეკრულებოსამართლებრივი ურთიერთობის მოშლა, მაშინ რატომ იქნება ეს დაუშვებელი დახურულ სს-ში? დახურული სს-ის აქციონერი შპს-ის წილის მფლობელისაგან არსებითად არაფრით განსხვავდება. ამიტომ თუ ითქმება, რომ აქციონერის ერთადერთი მოვალეობაა კუთვნილი აქციის მოპოვებისათვის შენატანის განხორციელება, მისი სხვა საფუძვლით საზოგადოებიდან გარიცხვა ყოვლად დაუშვებელი იქნებოდა. ამან კი შეიძლება საერთოდ თავდაყირა დააყენოს კორპორაციული წესრიგი. ამის დაშვება აქციონერს „აღვირახსნილი“ მოქმედების შესაძლებლობისკენ უბიძგებდა. ასეთი ქმედებების „მთოკვის“ საშუალებად კი საკორპორაციო სამართალში ერთგულების მოვალეობა განიხილება, რომელსაც გავლენა და მოქმედება ასევე სააქციო სამართალზეც აქვს.

3.2. ერთგულების მოვალეობა

3.2.1. შესავალი

ნებისმიერი კომპანიის წარმატებით ფუნქციონირების წინაპირობა თავად ამ საზოგადოებაში პარტნიორთა უფლებებისა და საწარმოს ინტერესების პატივისცემაა. გამომდინარე იქიდან, რომ თავისი სამართლებრივი შინაარსით საზოგადოებაც, გარკვეულწილად, ვალდებულებითსამართლებრივ კატეგორიად უნდა განიხილებოდეს და სამართალურთიერთობის სახეს ატარებდეს,[422] ამ ურთიერთობის მონაწილეთა უფლებების დაცვა ყოველი მასში მონაწილე სუბიექტის ერთ-ერთი ცენ-

[422] როგორც ეს უკვე ნაშრომის წინა თავში აღინიშნა.

ტრალური მოვალეობა იქნება. მონაწილისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება და მისი უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინება და დაცვა მთელი კერძოსამართლებრივი ბრუნვის ქვაკუთხედია. სწორედ ამას აღიარებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილიც, რომლის თანახმადაც, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები ვალდებულნი არიან ამ ურთიერთობასთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები კეთილსინდისიერების ფარგლებში განახორციელონ. შესაბამისად, საზოგადოების წევრთა ურთიერთდამოკიდებულება არა მხოლოდ ერთმანეთის მიმართ, არამედ საზოგადოების მიმართ, სწორედ რომ ასეთი კეთილსინდისიერების საზომით უნდა განისაზღვრებოდეს. უფლების კეთილსინდისიერად გამოყენება და მოვალეობებისადმი პასუხისმგებლობითი დამოკიდებულება საკორპორაციო სამართალში იმ მასშტაბს ქმნის, რომლის დარღვევაც გარკვეულ იურიდიულ სანქციებთან არის დაკავშირებული. ამ მოვალეობათა პატივისცემისა და დაცვის სამართლებრივ საფუძველს პარტნიორებს შორის დადებული გარიგება წარმოადგენს, რომლითაც ისინი საზოგადოების ჩამოყალიბებაზე თანხმდებიან. სწორედ ამ შეთანხმებით[423] ფუძნდება მათ შორის უფლებებისა და მოვალეობების პატივისცემის, დაცვისა და მათი კეთილსინდისიერად შესრულების ვალდებულება. მათი დაუცველობა და, აქედან გამომდინარე, (შედეგობრივი თვალსაზრისით) ყოველგვარი სანქციის დაუწესებლობა საზოგადოების წევრებს აღვირახსნილი მოქმედებებისკენ უბიძგებდა, რაც მათ მხოლოდ პირადი „ეგოისტური“ ინტერესების სადარაჯოზე დააყენებდა. ამის თავიდან ასაცილებლად საკორპორაციო სამართალში დიდი ხანია აღიარებული და განვითარებულია ერთგულების მოვალეობის პრინციპი, რომლის დაუცველობაც,

[423] მას სხვაგვარად აქ წესდება დაერქმევა.

კონკრეტული შემთხვევის განხილვისას, შესაძლოა, გარკვეული სამართლებრივი სანქციის დაკისრების საფუძველიც გახდეს.

3.2.2. საკორპორაციო-სამართლებრივი ერთგულების მოვალეობის ზოგადი სტანდარტი

საზოგადოების ხელშეკრულებაზე დაფუძნებული ერთგულების მოვალეობა ორგვარი მოქმედებით ხასიათდება:[424] ერთი მხრივ, იგი მიმართულია საზოგადოების წევრთა ურთიერთდამოკიდებულებისაკენ, ხოლო, მეორე მხრივ, წევრებსა და საზოგადოებას შორის დამოკიდებულებისაკენ.[425] ამიტომ იგი არსებობს როგორც თანაპარტნიორებთან, ისე საზოგადოებასთან დამოკიდებულებაში.[426] ერთგულების მოვალეობა, გარკვეულწილად, მისი ინტენსიურობით ხასიათდება, რომლის მეშვეობითაც შესაცნობი ხდება მისი მოქმედების საზომი და მასშტაბი. ამხანაგური ტიპის საზოგადოებებში,[427] სადაც ორგანიზაციული სტრუქტურა პერსონალურ ხასიათს ატარებს, ერთგულების მოვალეობა გაცილებით უფრო ინტენსიურ სახეს ღებულობს, ვიდრე ეს დიდ კაპიტალურ საზოგადოებაშია, სადაც აქციონერთა წრე რამდენიმე ასეულ პარტნიორს აღემატება. ამიტომაც ამბობენ, რომ ერთგულების მოვალეობის ინტენსიურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის ჩამოყალიბებული და მოწყობილი თავად ეს საზოგადოება[428] და რანაირი „რეალური სტრუქტურა“ უდევს მას საფუძვლად.[429]

ერთგულების მოვალეობის შინაარსს საწარმოს საერთო მიზნის მიღწევისაკენ სწრაფვა,[430] მისი მოთხოვნა წარმოადგენს,[431] ხოლო დარღვევა ერთგულების მოვალეობის დარღვევად განიხილება. ერთგულების მოვალეობის შინაარსისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არაპიროვნული ინტერესების მხედველობაში მიღების ვალდებულება,[432] რადგანაც წარმოების პროცესში შესაძლებელია, დღის წესრიგში დადგეს აქციონერის პირად ინტერესსა და საზოგადოების ინტერესს შორის კონფლიქტის საკითხი. ამიტომ აქციონერი შებოჭილია ერთგულების მოვალეობით, რომელიც ძირითადად კონკრეტული შემთხვევის განხილვისას უნდა დადგინდეს. შინაარსიდან გამომდინარე ერთგულების მოვალეობა პარტნიორის *ქმედების* მასშტაბსაც ადგენს. ამიტომაც მიიჩნევა, რომ ერთგულების ვალდებულება პარტნიორის ის უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა, რომელიც მისი ქმედებიდან გამომდინარეობს. შესაბამისად, ერთგულების მოვალეობა პარტნიორის *„ქმედების მოვალეობაა“.*[433] გამომდინარე აქედან, შეიძლება ითქვას, რომ ერთგულების მოვალეობის საზომს წარმოადგენს ის, თუ რა ქმედებებს ახორციელებს აქციონერი (პარტნიორი).[434] დგას იგი

[424] გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლოს (BGH) მიერ ცნობილი „ITT“-ს გადაწყვეტილების შემდეგ, უკვე ერთხმად არის აღიარებული, რომ ერთგულების მოვალეობა არსებობს თანაპარტნიორთან მიმართებითაც. იხ.: BGHZ 65, 15/18 ff.

[425] *Beckerhoff,* Treupflichten bei der Stimmrechtsausübung und Eigenhaftung, S. 23

[426] *Lutter, Marcus,* AcP 180 (1980), S. 84, 120 f; *K. Schmidt*, Gesellschaftsrecht, §20 IV 1 c). ვუთითებ: *Grunewald, Barbara,* Gesellschaftsrecht, (2008), S. 13.

[427] *Lutter* AcP 180 (1980), S. 84; *Lettl* acP 202 (2002), S. 3, 8. ვუთითებ: *Grunewald*, Gesellschaftsrecht, (2008), S. 13.

[428] *Grunewald*, gesellschaftsrecht, (2008), S. 13.

[429] Münch. Hdb. GesR III/*Schiessl*, §32 Rn. 13.

[430] *Zwissler,* Treugebot – Treupflicht – Treubindung, S. 7.

[431] *Raiser, Thomas/Veil*, *Rüdiger*, Recht der Kapitalgesellschaften, (2006), S. 111.

[432] Münch. Hdb. GesR IV/*Wiesner*, §17 Rn. 19.

[433] Münch. Hdb. GesR III/*Schiessl*, §32 Rn. 12.

[434] *Beckerhoff*, Treupflichten bei der Stimmrechtsausübung, S. 23.

მხოლოდ საკუთარი პირადი ინტერესების სადარაჯოზე და ამით ზიანს აყენებს მის თანაპარტნიორებს და/ან საზოგადოებას, თუ მისთვის უპირატესი საწარმოს ინტერესია. ამ დროს მნიშვნელოვანია სწორედ თანაფარდობა აქციონერის ინტერესსა და საზოგადოების ინტერესს შორის.[435] ინტერესთა ასეთი ბალანსი და საზოგადოების პარტნიორისათვის მისი პრიმატის დაწესების მოთხოვნა უშუალოდ უკავშირდება წევრობის სტატუსს. პარტნიორს იმიტომაც მოეთხოვება ერთგულების მოვალეობის დაცვა, რომ იგი აღნიშნულ საწარმოში წევრობის უფლებამოსილებათა ერთობლიობის მატარებელია. ამიტომაც ერთგულების მოვალეობა *წევრობის ძირითად მოვალეობად* განიხილება.[436]

ის, თუ როგორ უნდა მოიქცნენ საზოგადოების პარტნიორები ერთმანეთისა და საზოგადოების მიმართ, არ შეიძლება იყოს დამოკიდებული სუბიექტურ ფაქტორზე. თუმცა ვერც ობიექტური ფაქტორი გააკეთებს ერთგულების მოვალეობის კონკრეტულ ჩამონათვალს და ვერც გარკვეულ სამართლებრივ ჩარჩოში მოაქცევს მას. ერთგულების მოვალეობა *ეთიკური* კატეგორიაა. ამიტომ მისი მოქცევა კონკრეტულ იურიდიულ მოცემულობაში წარმოუდგენელი იქნებოდა. გამომდინარე იქიდან, რომ ერთგულების მოვალეობის ინტენსიურობა და მოცულობა საზოგადოების რეალური სტრუქტურიდან და კონკრეტული გარემოებების შეფასებიდან უნდა მომდინარეობდეს, მას (ერთგულების მოვალეობას) უფრო სამოსამართლო სამართლის სფეროში აქცევს.[437] ის, დაირღვა თუ არა ერთგულების მოვალეობა, მხოლოდ კონკრეტული შემთხვევის შემოწმებისა და შეფასების შედეგად შეიძლება გაირკვეს. ამიტომ ერთგულების მოვალეობის დარღვევას ინდივიდუალური მიდგომა ესაჭიროება.

[435] *Jannot/Hagemann* in Henn, Günter/Frodermann, Jürgen/Jannott, Dirk (Hrsg.), Hdb. des Aktienrechts, (2009), S. 81.

[436] Münch. Hdb. GesR III/*Schiessl*, §32 Rn. 12; *Raiser/Veil*, Recht der Kapitalgesellschaften, (2006), S. 108; *Jannott/Hagemann* in Henn/Frodermann/Jannott, Handbuch des Aktienrechts, (2009), S. 81.

[437] Münch. Hdb. GesR III/*Schiessl*, §32 Rn. 15.

ერთგულების მოვალეობა პერსონალური საზოგადოების სამართალში განვითარებული ინსტიტუტია, რომელმაც ბინა კაპიტალურ საზოგადოებათა სამართალშიც დაიდო. ამის თაობაზე გერმანიის ფედერალურ უმაღლეს სასამართლოს რამდენიმე ცნობილი გადაწყვეტილება აქვს მიღებული.[438] ამიტომ

[438] BGHZ 129, 136, 143 ff (Girmes/Effectenspiegel – უმცირესობაში მყოფი აქციონერის ერთგულების მოვალეობა); BGHZ 103, 184, 194 ff (Linotype – პარტნიორთა ერთგულების მოვალეობა კორპორაციის და ერთმანეთის მიმართ); BGHZ 127, 107, 11 ff (BMW - სს-ის ერთგულების მოვალეობა მისი აქციონერის მიმართ); ასევე, BGH WM 1992, 1812ff (შპს-სთან მიმართებით შეგიძლიათ იხ: BGHZ 65, 15 ff). თავდაპირველად საიმპერიო სასამართლომ 1908 წელს მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც სს-ში ერთგულების მოვალეობას შეეხებოდა. ამ გადაწყვეტილებით ყოველი აქციონერი უფლებამოსილი იყო გამოეყენებინა თავისი ნება საერთო კრებაზე, თუკი იგი ფლობდა ხმათა ისეთ უმრავლესობას, რომელსაც საერთო კრების კენჭისყრის შედეგებზე არსებითი გავლენის მოხდენა შეეძლო. ამ მხრივ მხედველობაში არ მიიღებოდა საზოგადოების ან თანააქციონერების ინტერესების შელახვის საკითხი. RGZ 68, 235, 245. ამავე სასამართლომ მოგვიანებით გარკვეული ზღვარი და შეზღუდვები დაუდგინა უმრავლესობას ძალაუფლების გამოყენების დროს. RGZ 107, 202, 204. ამის შემდეგ 1976 წელს ფედერალური უმაღლესი სასამართლოს მიერ უარყოფილ იქნა აქციონერთა ერთგულების მოვალეობა ერთმანეთის მიმართ (BGH = JZ 1976, S. 561. VW-Audi/NSU), რამაც იურიდიულ ლიტერატურაში გარკვეული კრიტიკა გამოიწვია. 1988 წლამდე სასამართლო პრაქტიკა მხოლოდ აქციონერის სს-ის წინაშე ერთგულების მოვალეობას აღიარებდა. იხ.: *Raiser/Veil*, Recht der Kapitalgesellschaften, (2010), S. 76. შემდეგ ლინოტიპის ცნობილი გადაწყვეტილებით საბოლოოდ დამკვიდრდა ერთიანი სასამართლო პრაქტიკა და ითქვა, რომ ერთგულების მოვალეობა (საზოგადოების, საზოგადოებისა და მისი პარტნიორის და თანაპარტნიორებს შორის) არსებობს ყველა ტიპის საზოგადოებაში (როგორც ამხანაგურ, ისე კაპიტალურ

დამკვიდრდა შეხედულება, რომ ერთგულების მოვალეობა კავშირშიც[439] იგივე ფუნქციის მატარებელია, როგორი ფუნქციაც მას სამოქალაქო სამართალში აქვს, კერძოდ, რა ფუნქციითაც მას გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 242-ე პარაგრაფი გა-

გაერთიანებებში). BGHZ 103, 184 f. ასევე: BGHZ 142, 167, 169 = AG 1999, S. 517 f (სს ჰილგესის სახელთან დაკავშირებული დავა); BGHZ 153, 47, 51 = AG 2003, S. 273 ff (სს ინგრამ- მაკროტონის გადაწყვეტილება); სულ ახლახანს ფრანკფურტის მიწის უმაღლეს სასამართლოს აქვს აგრეთვე გადაწყვეტილება მიღებული, რომელიც ეკონომიკისა და საბანკო სამართლის ჟურნალის (უწყებები) 2005 წლის ნომერშია განმარტებული: OLG Frank. = WM 2005, S. 2176 f.

[439] Verband. გერმანულ სამართალში კორპორაცია კავშირის ძირითად სახეობად განიხილება. იხ.: *Klunzinger, Eugen*, Grundzüge des Gesellschaftsrecht, (2009), S. 160; *Hirte, Heribert*, Kapitalgesellschaftsrecht, 5. neu bearbeitete Auf., RWS Verlag, Köln 2006, S. 2; MünchKommAktG/*Heider*, (2000), §1 Rn. 14. ამიტომაც ამბობენ, რომ ერთგულების მოვალეობა დღეს უკვე კავშირის ერთ-ერთ სამართლებრივ პრინციპად არის აღიარებული. *Henze/Notz* in GrossKommAktG, Vorbem. §53a Rz. 13-15. ამის საფუძველს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 705-ე პარაგრაფი იძლევა, თუმცა აღნიშნული ნორმა უფრო პერსონალური საზოგადოების პარტნიორთა შორის ერთგულების მოვალეობის საკანონმდებლო ბაზისად (საფუძვლად) განიხილება. *Westermann* in Bürgers/Körber, AktG, §53a Rn. 12. მაგრამ სააქციო სამართალში ამ პრინციპის გამოყენებას და, შესაბამისად, 705-ე პარაგრაფზე მითითებას თავისი იურიდიული გამართლება აქვს: სს-ის აქციონერები იმ საზოგადოების პარტნიორები არიან, რომელიც ერთიანი მიზნის მისაღწევად შექმნილი (და ერთიან ინტერესზე დაფუძნებული. MünchKommAktG/*Bungeroth*, Band 1, 3. Auf., (2008), Vor. §53a Rn. 19.) წარმონაქმნია. ამ წარმონაქმნში კი ადვილი შესაძლებელია, რომ უმრავლესობაში მყოფი პარტნიორის მხრიდან მოხდეს უმცირესობაში მყოფი აქციონერის ინტერესში ჩარევისა და მათი ხელყოფის ფაქტი. *Maul* in Müller/Rödder (Hrsg.), Beck'sches Hdb. der AG, §4 Rn. 81. ამის თავიდან აღსაკვეთად საჭიროა აღნიშნული ნორმის გამოყენებაც. თავის მხრივ, BGB-ს 705-ე და მომდევნო პარაგრაფები „საზოგადოების ცნებას" განმარტავს. პრინციპში გერმანიის სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული ნორმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლს წააგავს, სადაც ერთობლივი საქმიანობის შინაარსია განსაზღვრული.

ნიხილავს (სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულებითი ურთიერთობა).[440] სააქციო სამართლისათვის, ერთი შეხედვით, მიუღებელი უნდა ყოფილიყო ასეთი მიდგომა. სს რთული სტრუქტურული ერთეულია. იგი საჯარო მიზნის მისაღწევად და ფუნქციების განსახორციელებლად შექმნილი წარმონაქმნია. მისი თავისებურება ის არის, რომ ამ სამართლებრივ ფორმაში მონაწილეობა ანონიმური კაპიტალის არსებობას უშვებს. ეს იმას ნიშნავს, რომ დიდ სს-ებში შესაძლოა, პარტნიორებმა საერთოდ არ იცოდნენ ერთმანეთის ვინაობის შესახებ. როგორც წესი, ისინი საერთოდ არ იცნობენ ერთმანეთს. ისინი საზოგადოებაში მხოლოდ კაპიტალით მონაწილეობენ. უმრავლეს შემთხვევაში ისინი არც საწარმოს მართვის საქმეში არიან ჩაბმულნი. ამიტომ მათთვის ერთგვარად გაუგებარიც უნდა იყოს თუ რატომ უნდა ამოძრავებდეთ სხვა თანაპარტნიორების მიმართ „პასუხისმგებლობის გრძნობა". მათთვის ხომ საკუთარი (მატერიალური) ინტერესია პრიორიტეტული. ამიტომ ერთგულების მოვალეობის დაცვა, ერთი შეხედვით, მხოლოდ დახურული ტიპის სს-ში შეიძლება ყოფილიყო დასაშვები. ასეთ საზოგადოებაში კორპორაციის რეალური სტრუქტურა შესაძლოა უფრო მიაგავდეს ამხანაგური ტიპის საზოგადოებას, სადაც პარტნიორებს შორის ისეთი კავშირურთიერთობა არსებობს, რომელიც მათი მხრიდან პატივისცემისა და ურთიერთინტერესებისა და უფლებების დაცვას მოითხოვს. ღია ტიპის სს-ში ეს წარმოუდგენელი იქნებოდა.[441] თუმცა ახალმა სამართალგანვითარებამ საფუძველი იმ მოსაზრებას ჩაუყარა, რომ ერთგულების მოვალეობის გამოჩენა არა

[440] *Langenbuche*, Aktien- und Kapitalmarktrecht, (2008), S. 166.

[441] ამ მოსაზრებიდან გამომდინარე დასათანხმებელია, რომ ღია სს-ში აქციონერის ერთგულების მოვალეობა (მისი მასშტაბი) უფრო შეზღუდულია, ვიდრე დახურულ სააქციო კორპორაციაში. იხ. მაგ.: *Grunewald*, Gesellschaftsrecht, (2008), S. 257.

მხოლოდ დახურული ტიპის სს-ებში უნდა იყოს საზეზე, არამედ ღია ტიპის სს-ებშიც.[442] ხანდახან უმრავლესობაში მყოფ აქციონერებს და უმცირესობას შორის ისეთი ვითარება ყალიბდება, რა დროსაც იგი შეუძლებელია აიხსნას და განიმარტოს სწორედ იმ დოგმატიკის გამოყენების გარეშე, რომელსაც ეყრდნობა ამხანაგური ტიპის საზოგადოება და შპს ერთგულების მოვალეობის საკითხების გადაწყვეტასთან მიმართებით.[443] ამიტომ მიჩნეულია, რომ „ასეთ სიტუაციაში ყურადღება უფრო სამეწარმეო საქმიანობის რეალურ სახეს უნდა მიექცეს, ვიდრე მის სამართლებრივ ფორმას“,[444] სხვა სიტყვებით, უფრო შინაარსს და არა მასში გამოხატულ ფორმას.

გამომდინარე იქიდან, რომ საკორპორაციო-სამართლებრივი ერთგულების მოვალეობა კორპორაციული ურთიერთობიდან იღებს სათავეს, მისი დაცვის ადრესატები არიან სს და აქციონერები. მესამე პირებს ამ მოვალეობის დაცვა, როგორც წესი, არ ეხებათ. მართალია, სს-ის ორგანოებმა (სამეთვალყურეო საბჭო და გამგეობა) სს-სთან და აქციონერებთან მიმართებით უნდა დაიცვან საკორპორაციო-სამართლებრივი ერთგულების მოვალეობა, მაგრამ თავად მათ შორის ურთიერთობისას იგი უმნიშვნელოა და არანაირ სამართლებრივ დატვირთვას არ ასრულებს. ამის საპირისპიროდ, სამეთვალყურეო საბჭოსა და გამგეობის წევრთა ერთგულების მოვალეობა (ერთმანეთის მიმართ) დაფუძნებულია „სხვისი ქონებისა და სამეწარმეო-ხელმძღვანელობითი შანსების“ კეთილსინდისიერად გამოყენების (წარმართვის) ვალდებულებაზე.[445] როგორც ზემოთ მოყვანილი არგუმენტებიდან ჩანს, ერთგულების მოვალეობისას გადამწყვეტია ის სამართალურთიერთობა, რომელიც კორპორაციულ ხასიათს ატარებს, ანუ ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება, კორპორაცია, როგორც სამართალურთიერთობის ერთი მხარე, აქციონერი, როგორც მეორე მხარე, ან აქციონერი და აქციონერი, როგორც ურთიერთობის მონაწილე მხარეები. თუმცა საინტერესოა საკითხი იმის შესახებ, არსებობს თუ არა ერთი პირის სს-შიც ასეთი ერთგულების მოვალეობის დაცვის მასშტაბი. გერმანიის ფედერალურ უმაღლეს სასამართლოს ამასთან დაკაშკირებით რამდენიმე გადაწყვეტილება აქვს მიღებული. მართალია, ყველა ეს გადაწყვეტილება მხოლოდ შპს-ის სამართლებრივ ფორმას ეხება, თუმცა მათი გავრცელება და გამოყენება სს-ის მიმართაც სავსებით დასაშვებია. იმ შემთხვევაში, როდესაც სს-ს მხოლოდ ერთადერთი დამფუძნებელი პარტნიორი ჰყავს, საკორპორაციო-სამართლებრივი ერთგულების მოვალეობის დაცვის ვალდებულება არ არსებობს. რასაკვირველია, უმცირესობის მიმართ ასეთი ვალდებულების არსებობა საფუძველს მოკლებული იქნებოდა, რადგან კორპორაცია მხოლოდ ერთი პირისაგან შედგება. რაც შეეხება ამ აქციონერის ერთგულების მოვალეობას თავად სს-სთან დამოკიდებულებაში, სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, აქციონერს ერთგულების მოვალეობის დაცვა სს-ის მიმართ ასევე არ მოეთხოვება. თუმცა კომენტატორულ ლიტერატურაში ამ საკითხის მიმართ გარკვეული კრიტიკაა გამოთქმული, რომელიც მესამე პირთა კრედიტორთა ინტერესების დაცვას უკავშირდება: იმ დროს, როდესაც კრედიტორთა ინტერესს ზიანი შეიძლება მიადგეს აქციონერის არასწორი ქმედების გამო (რომელშიც ერთგულების მოვალეობის დარღვევას მოვიაზრებდით, მაგალითად, საწესდებო კაპიტალის ხელყოფა და ამით კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილების გარანტიის შელახვა), მაშინ ამ ერთადერთ აქციონერსაც

[442] *Raiser/Veil*, Recht der Kapitalgesellschaften, (2006), S. 109.
[443] *Raiser/Veil*, Recht der Kapitalgesellschaften, (2010), S. 75.
[444] *Raiser/Veil*, Recht der Kapitalgesellschaften, (2010), S. 75.
[445] MünchKommAktG/*Bungeroth*, Band 1, 3. Auf., (2008), Vor. §53a Rn. 22.

მოვთხოვდით საწარმოს მიმართ ერთგულების მოვალეობის გამოჩენას.[446]

3.2.3. მოვალეობის დაცვა ხმის უფლების გამოყენებისას

ერთგულების მოვალეობის დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აქციონერის მიერ ხმის უფლების გამოყენებისას. ხმის უფლების გამოყენება ხდება აქციონერთა საერთო კრებაზე. სწორედ ეს არის ის ორგანო, სადაც საზოგადოების ძირითადი პოლიტიკა და ნება ფორმირდება. ერთგულების მოვალეობის მასშტაბი კი ამ კრებაზე აქციონერის მიერ ხმის მიცემის (ანუ მისი მხრიდან ქმედების განხორციელების) გამოყენების საზომსაც ადგენს. აქ მხედველობაშია ის გარემოება, რომ აქციონერმა ერთგულების მოვალეობა, როგორც წესი, სწორედ მისაღებ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით უნდა გამოიჩინოს, რადგანაც მის მიერ კრებაზე მისაღები გადაწყვეტილების კენჭისყრის შედეგებზე „ცუდი" და არამართლზომიერი ზეგავლენა შესაძლოა, საზოგადოებისთვის ან თანაპარტნიორისათვის ზიანის მიყენების საფუძველიც გახდეს. ამიტომ იურიდიული დოგმატიკის მიერ, გარკვეულწილად, პარტნიორის ქმედების ის მასშტაბია მოხაზული, რომლის დაცვაც თითოეული პარტნიორის ზრუნვის საგანს უნდა წარმოადგენდეს. ამასთანავე ერთგულების მოვალეობის დარღვევა რელევანტური, უპირველეს ყოვლისა, დომინანტი პარტნიორის მიერ უფლების ბოროტად გამოყენებისას იქნება. თუმცა თანამედროვე სასამართლო პრაქტიკა უმცირესობაში მყოფი პარტნიორის ქმედებასაც ითვალისწინებს, რათა ამ უკანასკნელის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენებას არ ჩაეყაროს საფუძველი. მოკლედ, მოვალეობა თანაბარწილად ვრცელდება უმრავლესობაზე და უმცირესობაზე. ამიტომაც საუბრობენ, რომ უმრავლეს შემთხვევაში კორპორაციულ-სამართლებრივი ერთგულების მოვალეობა აქციონერის სტატუსზე დაფუძნებულ თანამმართველობით უფლებას უკავშირდება.[447] ქვემოთ სასამართლო პრაქტიკიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნება მოყვანილი, რომლის საფუძველზეც ეს საკითხები კიდევ უფრო ვრცლად განიმარტება.

[446] იხ.: *Henze/Notz* in GrossKommAktG,Vorb. §53a Rz. 43; ასევე, MünchKommAktG/*Bungeroth*, Band I, 3. Auf., (2008), Vor. §53a Rn. 24.

ა) დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება

დომინანტი აქციონერის ცნება გერმანულ სამართალში არ წარმოადგენს საკანონმდებლო ლეგალურ დეფინიციას.[448] კანონში განმარტებულია მხოლოდ აქციონერის მხრიდან საერთო კრების კენჭისყრის შედეგებზე ისეთი ზემოქმედების მოხდენა, რომელმაც შესაძლოა, საზოგადოებას ან პარტნიორს ზიანი მიაყენოს. ამიტომაც საუბრობს იურიდიული ლიტერატურა, რომ კაპიტალური ტიპის საზოგადოებებშიც ერთგულების მოვალეობის ბრალეულმა დარღვევამ ყველა ვარიანტში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა უნდა წარმოშვას.[449] მოთხოვნის წარმოშობა კი, უმეტეს წილად, მისი ანაზღაურება/არანაზღაურების საკითხამდე მიგვიყვანს.

როგორც ზემოთ ითქვა, გერმანული სასამართლო პრაქტიკა 1988 წლამდე ყურადღებას მხოლოდ ისეთ ერთგულების

[447] MünchKommAktG/*Bungeroth,* Band 1, 3. Auf., (2008), Vor. §53a Rn. 25.

[448] იგულისხმება გერმანიის სააქციო კანონი. „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი თავის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის ბოლო წინადადებაში აყალიბებს დომინანტი პარტნიორის ცნებას. გასათვალისწინებელია ასევე მეწარმეთა კანონის სპეციალური ნორმა 53-ე მუხლის მე-4 პუნქტის მეორე და მესამე წინადადება.

[449] *Schmidt*, Gesellschaftsrecht, (2004) S. 591, 807 ff.

მოვალეობაზე ამახვილებდა (და უშვებდა კიდეც), რომელიც სს-ის ინტერესებიდან ამოდიოდა, ანუ საზოგადოებისადმი იყო მიმართული. შესაბამისად, პრაქტიკა არ აღიარებდა აქციონერის მხრიდან ერთგულების მოვალეობას თანაპარტნიორთა მიმართ. მაგრამ სიტუაცია შეიცვალა, როდესაც გერმანიის ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ ორი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც უახლეს ისტორიაში *ლინოტიპისა და გირმესის* სახელით არის ცნობილი.[450] წინამდებარე გადაწყვეტილებებით განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა უმრავლესობაში მყოფი აქციონერის მხრიდან თანააქციონერთა ინტერესებისა და კორპორაციულ-სამართლებრივი უფლებების პატივისცემაზე, მათი (დომინანტი პარტნიორის) მხრიდან ქმედების კეთილსინდისიერად განხორციელების ვალდებულებაზე. საკორპორაციო კანონმდებლობასთან ერთად სასამართლო ასევე სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებს დაეყრდნო.[451] გერმანიის სააქციო კანონში ამ საკითხის მოსაწესრიგებელ ცენტრალურ ნორმას 117-ე პარაგრაფი წარმოადგენს. აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს, რომ ის, ვინც განზრახ საზოგადოებაზე მისი ზემოქმედების გამოყენების შედეგად გამგეობის წევრს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრს, პროკურისტს ან სავაჭრო წარმომადგენელს საზოგადოებისთვის ან მისი აქციონერისთვის ზიანის მიყენებას უბიძგებს, ვალდებულია აანაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი.[452] ამ შემთხვევაში კანონის მოცემულობა რამდენიმე

[450] BGHZ 129, 136, 143 ff; BGHZ 103, 184, 194 ff.

[451] §§826, 242 BGB. *Raiser/Veil*, Recht der Kapitalgesellschaften, (2010), S. 76.

[452] AktG §117 Abs. 1 Satz 1. „Wer vorsätzlich unter Benutzung seines Einflusses auf die Gesellschaft ein Mitglied des Vorstands oder des Aufsichtsrats, einen Prokuristen oder einen Handlungsbevollmächtigten dazu bestimmt, zum Schaden der Gesellschaft oder ihrer Aktionäre zu handeln, ist der Gesellschaft zum Ersatz des ihr daraus entstehenden Schadens verpflichtet".

იურიდიულ ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას.[453] კერძოდ, 117-ე პარაგრაფი, უპირველეს ყოვლისა, აქცენტს აქციონერის ქმედებაზე აკეთებს. პირში, ამ შემთხვევაში, ძირითადად, სწორედ რომ აქციონერი მოიაზრება, რომელსაც შესაძლებლობა აქვს მისმა ქმედებამ საზოგადოებაზე გარკვეული ზემოქმედება მოახდინოს. „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლის[454] ჩანაწერს რომ დავუკვირდეთ, ნაციონალურ კანონმდებლობაშიც, პრინციპში, შინაარსობრივი თვალსაზრისით იგივეა განმტკიცებული. შემდეგ, გერმანული კანონმდებლობის მიხედვით, მოდის ზიანის მიყენების ფაქტი და თანაც ისე, რომ ეს ზიანი განზრახი ქმედების შედეგად უნდა იქნეს დამდგარი.[455] როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში კანონი პირის (აქტიურ) ბრალეულ ქმედებაზე ამახვილებს ყურადღებას. და ბოლოს, ეს ზიანი მიმართული უნდა იყოს საზოგადოების ან მისი აქციონერების წინააღმდეგ.[456] ამასთან, ნორმას საზოგადოების ქონების (და კრედიტორების) დაცვის საგარანტიო ფუნქციაც აქვს მინიჭებული, მისი მეშვეობით კი იგი აქციონერის ინტერესის სადარაჯოზე მდგომიცაა.[457] მოკლედ, თუკი კანონის ზემოთ აღნიშნული მოცემულობა სახეზეა, მაშინ კონკრეტული შემთხვევის გადაწყვეტისას დგება ზიანის ანაზღაურების საკითხი.[458] ამ დროს, ეჭვს არ

[453] ეს დანაწევრება, ძირითადად, რაიზერის დასახელებულ ნაშრომს ეყრდნობა. *Raiser/Veil*, Recht der Kapitalgesellschaften, (2010), S. 75.

[454] იხ. „მეწარმეთა შესახებ" კანონის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტი.

[455] *Hüffer*, AktG, (2012), §117 Rn. 4, 7.

[456] *Westermann* in Bürgers/Körber, AktG, §117 Rn. 3.

[457] *Hommelhoff/Witt* in K. Schmidt/Lutter, AktG, (2010), §117 Rn. 1.

[458] იგივე ნორმას დაეყრდნობოდა უმცირესობაში მყოფი აქციონერი, იმ უმრავლესობის წინააღმდეგ, რომელმაც ე.წ. Wertpapierdarlehen-ის მეშვეობით ხმათა 95% ერთ აქციონერს გადასცა, რათა ამ უკანასკნელს (უფრო სწორედ, ამ უკანასკნელი მეშვეობით) 5%-იანი უმცირესობის სს-იდან განდევნა განეხორციელებინა. ამ შემთხვევაში საუბარია ე.წ. Empty Voting-

იწვევს ის გარემოება, რომ ზიანის ანაზღაურებისათვის შეტანილ სარჩელს დიდი პერსპექტივა აქვს. მოთხოვნის წაყენების უფლება, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების განკარგულებაში დგას, თუმცა გამონაკლის შემთხვევაში ეს უფლება, კანონის ჩანაწერიდან გამომდინარე, აქციონერსაც (აქციონერებს) აქვს.[459] ზემოთ ნახსენები გადაწყვეტილებების დასაბუთების ქვაკუთხედსაც სწორედ (კორპორაციულ-სამართლებრივი თვალსაზრისით) სააქციო კანონის აღნიშნული ნორმა წარმოადგენდა.

ახლა, რაც შეეხება უშუალოდ ლინოტიპის გადაწყვეტილებას და მის შინაარსს.

სა და squeeze-out-ის კავშირურთიერთობაზე, როდესაც პირველის გამოყენების, უფრო სწორედ, სასესხოსამართლებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბების საფუძველზე სესხის გამცემს დროებით გადაეცემა ფასიანი ქაღალდიდან გამომდინარე ხმის უფლება, მაშინ, როდესაც საბოლოოდ აქციიდან გამომდინარე ეკონომიკური შანსები და რისკი კვლავ სესხის მიმღების ხელში რჩება. ამ კონფიგურაციით კი შესაძლებელი ხდება (რადგან ხმის უფლების მქონე კაპიტალის 95%-ზე მეტი უკვე (თუმცა დროებით, მაგრამ მაინც) ერთი პირის ხელშია) უმცირესობაში მყოფი აქციონერის ან აქციონერების საზოგადოებიდან გაძევება. თანამედროვე ლიტერატურაში დისკუსია მიდის იმის თაობაზე, თუ რამდენად არის დასაშვები ხმის უფლების დროებითი გამოყენების შედეგად უმცირესობაში მყოფი აქციონერის განდევნა კორპორაციიდან და ხომ არ არის ეს ინსტიტუტი ამ თვალსაზრისით მინორიტარის ინტერესის შემლახავი და უფლების ბოროტად გამომყენებელი. გერმანიაში ამასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა, მიუხედავად გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლოს მიერ *ლინდნერის* საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებისა. ამ საკითხების თაობაზე დაწვრილებით იხ. *ქრისტინე კონრადის* შესანიშნავი სტატია: *Osterloh-Konrad,* Gefährdet „Empty Voting" die Willensbildung in der AG, ZGR 1/2012, S. 36 ff. განსაკუთრებით დასკვნითი ნაწილი, S. 77-79.

[459] *Raiser/Veil,* Recht der Kapitalgesellschaften, (2010), S. 75.

ა.ა) „ლინოტიპი" და იურიდიული დოქტრინა

1975 წელს დაფუძნებულ სს „ლინოტიპს" რამდენიმე პარტნიორი (აქციონერი) ჰყავდა. აღნიშნულ კორპორაციაში ერთ-ერთი შპს აქციათა საკონტროლო პაკეტს ხმათა 96%-ს ფლობდა. დანარჩენი 4% წვრილ პარტნიორებზე იყო გადანაწილებული. სს-ის სამეწარმეო საქმიანობა რენტაბელური იყო და საზოგადოებისთვის კარგი შემოსავალიც მოჰქონდა. მიუხედავად კომპანიის წარმატებული საქმიანობისა 96%-ის მქონე პარტნიორმა (შპს-მ), უფრო სწორედ, სს-მ მიიღო გადაწყვეტილება სს „ლინოტიპის" ლიკვიდაციის შესახებ. ლიკვიდაციის გეგმის და საზოგადოების ქონების უდიდესი ნაწილის გადანაწილებასთან დაკავშირებით დომინანტმა პარტნიორმა, ისე, რომ არაფერი უკითხავს უმცირესობაში მყოფი პარტნიორებისათვის, მოლაპარაკებები აწარმოა კორპორაციის გამგეობასთან. მოკლედ, აქციონერთა საერთო კრებაზე მიღებულ იქნა საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილება და კორპორაციის ქონების უდიდესი (არსებითი) ნაწილი, აღნიშნული გადაწყვეტილების თანამხად, იმ შპს-ის ხელში გადავიდა, რომელიც სს „ლინოტიპში" აქციათა 96%-ს ფლობდა.[460] გამოვიდა ისე, რომ ქონების ასეთი გადანაწილება მხოლოდ საზოგადოების დომინანტი პარტნიორის ინტერესში ექცეოდა და ამისგან უმცირესობაში მყოფი პარტნიორი ნაკლებად თუ მიიღებდა სარგებელს.[461] საბოლოო ჯამში, უმცირესობაში მყოფი აქციონერის[462] მიერ გასაჩივრებულ იქნა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება. სარჩელი სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა. გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ

[460] BGHZ 103, 184-185.

[461] *Geier,* Gestaltungsfreiheit und Gestaltungsgrenze, S. 23.

[462] ერთი აქციონერის მიერ, რომელიც სს „ლინოტიპში" მხოლოდ 4 აქციას ფლობდა.

მიიჩნია, რომ აღნიშნულ დავაში ადგილი ერთგულების მოვალეობის დარღვევას ჰქონდა.[463] უმრავლესობაში მყოფი პარტნიორის მხრიდან საზოგადოების გამგეობასთან ლიკვიდირებული ქონების არსებითი ნაწილების განაწილების შესახებ ერთპიროვნული მოლაპარაკებები, ისე, რომ ამ პროცესში საზოგადოების უკლებლივ ყველა აქციონერი არ არის ჩაბმული არღვევს აქციონერთა თანაბარი მოპყრობის პრინციპს[464] და თანაპარტნიორებისადმი ლოიალური დამოკიდებულების – ერთგულების მოვალეობას.[465] შესაბამისად, საწარმოს ლიკვიდაციის გადაწყვეტილება არ უნდა უქმნიდეს მხოლოდ ერთ აქციონერს უპირატესობას, ხოლო მეორეს „დაჩაგრულ“ მდგომარეობაში აყენებდეს. აქციონერებს საზოგადოების და ერთმანეთის მიმართ აქვთ ერთგულების შენარჩუნების ვალდებულება, რისმა დარღვევამაც შესაძლოა, საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ზიანის ანაზღაურების დაკისრება გამოიწვიოს. ამასთან, პარტნიორმა არ უნდა გამოიყენოს მისი ძალაუფლება ბოროტად საზოგადოების სტრუქტურულ ორგანოებზე და არამართლზომიერად არ უნდა მოახდინოს მათზე ნებისმიერი ხასიათის ზემოქმედება.[466] ამ შემთხვევაში სასამართლო, ძირითადად, იმას დაეყრდნო, რომ ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე უმრავლესობაში მყოფმა პარტნიორმა ბოროტად გამოიყენა თავისი დომინანტური მდგომარეობა და გამგეობასთან საზოგადოების ქონების არსებითი ნაწილის მისთვის გადაცემის თაობაზე მოლაპარაკების წარმართვა ერთგულების მოვალეობის დარღვევად განიხილა.[467]

[463] BGHZ 103, 185.

[464] Gleichbehandlungsgrundsatz.

[465] BGHZ 103, 193. ლოიალურობის, როგორც ერთგულების მოვალეობის შემადგენელი ნაწილის თაობაზე შეგიძლიათ იხ.: Münch. Hdb. GesR III/*Schiessl*, §32 Rn. 16.

[466] იურიდიულ ლიტერატურაში გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე იხ. მაგ.: *Raiser/Veil*, Recht der Kapitalgesellschaften, (2010), S. 711; *Geier*, Gestaltungsfreiheit und Gestaltungsgrenze, S. 23-24; *Wilhelm*, Kapitalgesellschaftsrecht, S. 336-337; და ა.შ.

ა.ბ) „*Sachsenmilch*“ დავა

ლინოტიპის ცნობილ გადაწყვეტილებასთან ერთად მოყავთ ასევე სს „საქსონიის რძის“[468] დავა, რომელშიც მსჯელობა ასევე ერთგულების მოვალეობაზე, მის მასშტაბზე და დარღვევაზე იყო.[469] ამ შემთხვევაში უფრო თვალნათელია უმრავლესობაში მყოფი პარტნიორის მიერ ძალაუფლების დემონსტრირებისა და მისი ბოროტად გამოყენების ფაქტი. დავის მიხედვით უმრავლესობის მიერ საზოგადოების სანაციის მოტივით მიღებულ იქნა კორპორაციის კაპიტალის შემცირების გადაწყვეტილება. სს-ის 75 მლნ. გერმანული მარკის ოდენო-

[467] *Grunewald*, Gesellschaftsrecht, (2008), S. 259. თუმცა აღნიშნულ წიგნში პროფ. *გრუნევალდის* მიერ, მიუხედავად იმისა, რომ ავტორი არსებითად ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას, გარკვეული კრიტიკაა გამოთქმული. კერძოდ, აქ ის აზრია გატარებული, რომ სს-ში აქციის 4% მქონე პირს თითქმის არანაირი ქონებრივი უფლება არ აქვს. ზედმეტია საუბარი იმაზე, რომ საწარმოს გასხვისების დროს ასეთი რამდენიმე აქციის მფლობელი პირი კორპორაციის ქონების საერთოდ რაიმე ნაწილს მიიღებდა. ამიტომ მის მიმართ ერთგულების მოვალეობის დარღვევა, რბილად რომ ითქვას, ცოტა უხერხული იქნებოდა. *Grunewald*, Gesellschaftsrecht, (2008), S. 259. ასეთივე მიდგომის თაობაზე აგრეთვე: *Wiedemann* JZ 1989, S. 447 ff. პროფ. *ვიდემანი* ასევე ამატებს, რომ აღნიშნულ დავაში, შინაარსობრივი თვალსაზრისით, უმცირესობაში მყოფი აქციონერისათვის მთავარი იყო საწარმოს ქონების ნაწილზე უფლების მოპოვების შესაძლებლობის მინიჭების უზრუნველყოფა. თუმცა მოსარჩელეს სასამართლოსაგან ეს უკანასკნელი არ მოუთხოვია. (მითითებულია: *Grunewald*, Gesellschaftsrecht, (2008), S. 259).

[468] Sachsenmilch-Urteil. BGHZ 138, 70 ff.

[469] BGHZ 138, 71 ff.

ბის საწესდებო კაპიტალი, საბოლოო ჯამში, 100 000 მარკამდე იქნა დაყვანილი, რამაც უმცირესობაში მყოფი აქციონერები უკიდურესად მძიმე ვითარებაში ჩააგდო, რამდენადაც საერთო ჯამში აქციათა ფასი იმდენად იყო დაცემული, რომ მათი გაყიდვის შემთხვევაშიც კი აქციონერის მატერიალური სარგებლის მიღებაზე საუბარი ზედმეტი იქნებოდა. ფედერალური უმაღლესი სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულ იქნა უმცირესობაში მყოფი აქციონერების სარჩელი და საერთო კრების ის გადაწყვეტილებები, რომლითაც საწესდებო კაპიტალის შემცირება განხორციელდა იმ მოტივით, რომ ამას სხვა თანაპარტნიორების საზოგადოებიდან ხელოვნური განდევნა გამოეწვია, ბათილად გამოცხადდა.[470]

ბ) ერთგულების მოვალეობის შინაარსი უმცირესობის მიერ ხმის უფლების გამოყენებისას: მინორიტარის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების შესახებ

როგორც ითქვა, ერთგულების მოვალეობას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. მისი შინაარსი შესაძლოა შემდეგნაირად დადგინდეს: იგი მოქმედებს როგორც საერთო მიზნის მიღწევისაკენ წარმართული მოთხოვნა; როგორც საწარმოსათვის ზიანის მიყენების აკრძალვის მოთხოვნა; ასევე, ისეთი ზემოქმედების აკრძალვის მოთხოვნა, რომელმაც შეიძლება კორპო-

[470] დაწვრილებით ამ გადაწყვეტილების იურიდიული ასპექტების შესახებ: *Wilhelm,* Kapitalgesellschaftsrecht, (2009), S. 229, 337. ამ გადაწყვეტილებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი ის იყო, რომ კაპიტალის შემცირების შედეგად ძველი აქციების (გარკვეული რაოდენობის, მაგ., 10) ნაცვლად ახალი (მაგ., 3) აქციები უნდა განთავსებულიყო. უმცირესობაში მყოფი აქციონერები კი ისეთ ვითარებაში ჩააგდეს, რომ მათ ან ძველი აქციების შემცირების შედეგად ახალი აქციების გარდაქმნის შესაძლებლობა არ ჰქონდათ ან საამისო სახსრები არ გააჩნდათ.

რაციას ზიანი მიაყენოს.[471] ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, მჭიდროდ არის დაკავშირებული პარტნიორის მხრიდან მისი უფლების პასუხისმგებლობაუნარიანად გამოყენებისა და განხორციელების ვალდებულებასთან.[472]

ერთგულების მოვალეობის დარღვევის დროს, როგორც ასევე ზემოთ ვახსენე, 1988 წლის შემდეგ უმცირესობაში მყოფი პარტნიორის მხრიდან ამ უფლების ბოროტად გამოყენებისა და ზიანის ანაზღაურებაზე შეიძლება საუბარი. მინორიტარი აქციონერისათვის ერთგულების მოვალეობა მოქმედებს როგორც უფლების შეზღუდვა ძირითადად მაშინ, როცა საკითხი ე.წ. Sperminorität-ის[473] გამოყენებას შეეხება, ამ შემთხვევაში იმისგან დამოუკიდებლად უმცირესობაში მყოფი აქციონერი ხმის მიცემით უბრალოდ დაეთანხმება საერთო კრებაზე მიღებულ გადაწყვეტილებას თუ სახეზე შემთხვევითი კოალიცია იქნება, რომელიც ამ გადაწყვეტილებას მიიღებს.[474] ასეთი მდგომარეობით უმცირესობა ისეთივე პოზიციაში ექცევა, როგორშიც უმრავლესობა აღმოჩნდებოდა: მინორიტარი აქციონერის ხმის მიცემით სახეზეა ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ხელყოფს საზოგადოების ან/და თანააქციონერის ინტერესს. ეს კი ხდება მოთხოვნის აღძვრის საფუძველი. მოკლედ, ასეთ დროს უმცირესობაში მყოფი აქციონერის ქმედება, ისევე როგორც ეს უმრავლესობაში მყოფი აქციონერის

[471] იგი ზემოთ ჩამოთვლილ პირველ მოთხოვნასთან შეიძლება ასოცირდებოდეს.

[472] *Raiser/Veil*, Recht der Kapitalgesellschaften, (2010), S. 77.

[473] ითარგმნება როგორც „ჩამკეტი უმცირესობა".

[474] K. Schmidt/Lutter/*Fleischer*, AktG, §53a Rn. 50; *Hüffer*, AktG, (2012), §53a Rn. 17. ასეთ კონსტალაციას „შემთხვევით უმრავლესობას" (Zufallsmehrheit) უწოდებენ. ეს განსაკუთრებით იმ შემთხვევაშია მნიშვნელოვანი, როდესაც მინორიტარი აქცონერი სხვა აქციონერთა მხრიდან ხმის უფლების გამოუყენებლობის დროს უმრავლესობის პოზიციაში ექცევა. *Hüffer* in FS Heinsius. ვუთითებ: *Hüffer*, AktG, (2010), §53a Rn. 17.

ქმედებას ახასიათებს, როგორც წესი, გამიზნული უნდა იყოს პირადი სარგებლის მიღებისაკენ. მნიშვნელოვანია, რომ უმცირესობის ქმედება განზრახი ბრალეული ქმედების პრინციპზე დაყრდნობით განიხილებოდეს.

უმცირესობაში მყოფი აქციონერის უფლების ბოროტად გამოყენების ერთ-ერთ ნთვალსაჩინო მაგალითად შესაძლოა გამოდგეს ისეთი შემთხვევა, როდესაც მინორიტარი აქციონერი, რომელიც განკარგავს ე.წ. Sperminoritäts-ს, ეწინააღმდეგება საერთო კრების გადაწყვეტილებას ან[475] იღებს სხვაგვარ გადაწყვეტილებას. ამიტომ მიჩნეულია, რომ ამ დროს უმცირესობაში მყოფი აქციონერი წინ არ უნდა აღუდგეს ისეთ გადაწყვეტილებებს, რომელიც აუცილებელია საზოგადოების „გარანტირებული არსებობა-ფუნქციონირების ან საწარმოს მომავალი რენტაბელური საქმიანობის“ უზრუნველსაყოფად.[476] ხშირად უმცირესობა ამ უფლებას იმიტომ იყენებს, რომ პირადი სარგებელი „გამოსტყუოს“ უმრავლესობას: გადაწყვეტილების დაბლოკვით ზიანი მიადგება საზოგადოებას და, უმეტესწილად, უმრავლესობაში მყოფ აქციონერს. ამიტომ თუკი უმცირესობა ამგვარად გამოიყენებს თავის უფლებას, მას შეიძლება დაეკისროს ზიანის ანაზღაურების მოვალეობა სწორედ სააქციო კანონის 117-ე პარაგრაფიდან გამომდინარე.[477] გაბატონებული მოსაზრების თანახმად, გერმანიის სააქციო კანონის 117-ე პარაგრაფი დელიქტურსამართლებრივი ბუნების მქონე ნორმაა[478] და მასთან ერთად შესაძლოა გამოყენებულ იქნეს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 393-ე,

[475] როგორც ეს კორპორაცია გირმესის საქმიდან გამოჩნდება.
[476] *Raiser/Veil*, Recht der Kapitalgesellschaften, (2010), S. 78.
[477] ამასთან მხედველობაში მიიღება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 242-ე და 705-ე პარაგრაფები.
[478] *Schall* in Sppindler/Stilz, Komm. zum AktG, (2010), §117 Rn. 3.

830-ე, 840-ე პარაგრაფები.[479] ამ ნორმას შეიძლება დაეყრდნოს როგორც საზოგადოება, ისე ყოველი მესამე პირი, რომელსაც შეიძლება ზიანი მიადგეს აქციონერის ქმედებით.[480] მნიშვნელოვანი ის არის, რომ ზიანის მოთხოვნის უფლება, ამ შემთხვევაში, აქვს საზოგადოებას გამგეობის (დირექტორატის) მეშვეობით და არა ცალკეულ აქციონერს.[481] თავად აქციონერს დამოუკიდებლად არ აქვს უფლება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წაუყენოს ზიანის მიმყენებელს.[482] ამისათვის მან თავდაპირველად საზოგადოების გამგეობას[483] (როგორც ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობით ორგანოს) უნდა მიმართოს. რაც შეეხება მესამე პირს, მას კანონმდებლობა აძლევს შესაძლებლობას გამოიყენოს უფლება და მოთხოვნა წაუყენოს ზიანის მიმყენებელ აქციონერს.[484] უმცირესობაში მყოფი აქციონერი თავს ვერაფრით იმართლებს იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზე მისი მხრიდან სააქციო კანონის 117-ე

[479] *Bürgers-Israel* in Bürgers/Körber, AktG, (2011), §117 Rn. 1.
[480] მესამე პირისათვის ამ უფლების მინიჭება განპირობებულია იმით, რომ იგი შესაძლოა წარმოადგენდეს საზოგადოების კრედიტორს. შესაბამისად, მისი ინტერესი იმაში გამოიხატება, რომ მას აქვს უფლება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა საზოგადოების ქონების ხარჯზე. ამიტომ საზოგადოებისათვის ზიანის მიყენებით შესაძლოა საფრთხე სწორედ საწარმოს ქონებას შეექმნას. გამომდინარე აქედან, ამ ნორმის შინაარსი გამიზნულია საზოგადოების „ქონების დაცვის სფეროსაკენ და ხელმძღვანელობის ავტონომიურობისაკენ“. *Bürgers-Israel* in Bürgers/Körber, AktG, (2011), §117 Rn. 1.
[481] *Bürgers-Israel* in Bürgers/Körber, AktG, (2011), §117 Rn. 5. თუმცა აქ გათვალისწინებული უნდა იყოს ის გარემოება, რომ ზიანის მოთხოვნის დამყენებელი სუბიექტი შესაძლოა იყოს ასევე საერთო კრებაც. ამიტომ ეს საკითხი გასათვალისწინებელია სააქციო კანონის 147-ე პარაგრაფთან ერთობლიობაში. *Paschke* in Schwerdtfeger (Hrsg.) KpK, Gesellschaftsrecht, (2007), §117 Rn. 6.
[482] *Schall* in Sppindler/Stilz, AktG, §117 Rn. 15.
[483] OLG Bremen = AG 2002, S. 620.
[484] *Paschke* in Schwerdtfeger (Hrsg.) KpK, Gesellschaftsrecht, §117 Rn. 6.

პარაგრაფის დარღვევას ექნება ადგილი, წარმოიშობა ზიანი და მისი ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი იარსებებს. ამ შემთხვევაში ზიანი მხოლოდ ქონებრივ ზიანს უნდა ნიშნავდეს.[485] ამიტომ აქციონერის ზიანი განიხილება როგორც „არაპირდაპირ წარმოშობილი ქონებრივი" ზიანი[486] (დანაკლისი). საქართველოს კანონმდებლობა, თითქოსდა, რეგულირების მიღმა ტოვებს იმ შემთხვევას, როდესაც ზიანი არასწორი ქმედებით შეიძლება უმცირესობაში მყოფმა პარტნიორმა (აქციონერმა) გამოიწვიოს (ისე როგორც ამას გერმანული სამართალი განსაზღვრავს). ამის დაშვების პრეზუმფციით, წარმოსადგენი იქნებოდა, რომ ამ საკითხთან მიმართებით ქართული სამართლებრივი მოწესრიგება ნამდვილად ხარვეზიანია. ზიანის მოთხოვნის დაყენების უფლება ნაციონალური კანონის აღნიშნული ნორმის განმარტების შედეგად, არც მესამე პირს ექნება. თუმცა არ შეიძლება „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის არასათანადო შეფასება. აღნიშნული მუხლი მხოლოდ საერთო კრებაზე მისაღები გადაწყვეტილების კენჭისყრის შედეგებზე ზემოქმედებას აწესრიგებს, ანუ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაზე საუბრობს. თუმცა მე-8 პუნქტის ბოლო წინადადებაში განსაზღვრავს თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს ასეთ პარტნიორად (აქციონერად). ასეთ პირად შესაძლებელია გამოვიდეს როგორც უმრავლესობაში მყოფი პარტნიორი, ისე უმცირესობაც, რომელიც ე.წ. სინდიკატური[487] ხელშეკრულების საფუძველზე, გადაწყვეტილების მისაღებად ისეთ „ჩამკეტ უმ-

[485] *Brüggemeier*, AG 1988, S. 93, 96. ვუთითებ: *Paschke* in Schwerdtfeger (Hrsg.), KpK, Gesellschaftsrecht, §117 Rn. 4.

[486] *Paschke* in Schwerdtfeger (Hrsg.), KpK, Gesellschaftsrecht, §117 Rn. 4.

[487] Syndikatsvertrag. ამ შემთხვევაში ხმათა შეკვრის ხელშეკრულებას ნიშნავს.

ცირესობას" შექმნის,[488] რომელიც არსებით ზეგავლენას მოახდენს კენჭისყრის შედეგებზე. სწორედ ასეთი ვითარება შეიქმნა გირმესის სახელთან დაკავშირებული ცნობილი დავისას.

ბ.ა) გირმესის[489] დოქტრინა და უმცირესობაში მყოფი პარტნიორის ერთგულების მოვალეობა

სს „გირმესი" გერმანიაში ერთ-ერთი ცნობილი კორპორაცია იყო. მისი აქციონერთა წრე საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. ერთმნიშვნელოვნად გადამწყვეტი უმრავლესობა აღნიშნულ საზოგადოებაში არ არსებობდა. მოხდა ისე, რომ გირმესი მძიმე ეკონომიკურ ვითარებაში ჩავარდა, რაც 1987-88 წლებში კორპორაციის მიერ დაახლოებით 17 მლნ. გერმანული მარკის დანაკლისის საფუძველი გახდა. 1988 წელს საწარმოს 50 მლნ.-ნი კაპიტალი ფაქტობრივად ნახევრამდე დავიდა. ზედავალიანების გამო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს (გამგეობის) მხრიდან კრედიტორებთან ერთად შედგა სს-ის რეაბილიტაციის გეგმა. აღნიშნული სანაციის კონცეფციის თანახმად, სს „გირმესში" უნდა განხორციელებულიყო კაპიტალის შემცირება 5 : 2-ზე პროპორციით, ანუ 5 არსებული (ძველი) აქციის ნაცვლად გამოშვებულ იქნებოდა 2 ახალი აქცია.[490] კრედიტორები (ძირითადად, ბანკები) აპელირებდნენ იმაზე, რომ კაპიტალის შემცირებით და საწარმოს გარკვეული ვალებისაგან გათავისუფლებით (ჩამოწერით), ჯერ კიდევ შესაძლებელი იქნებოდა კორპორაციის გადარჩენა. ამით, 10 მლნ. ღირებულების ნებადართული კაპიტალი შეიქმნებოდა,

[488] სწორედ ამას შეიძლება აქ Sperminorität დაერქვას.

[489] აღნიშნული გადაწყვეტილება სრულყოფილად შეგიძლიათ იხ.: BGH = ZIP 1995, S. 819 ff.

[490] *Wilhelm*, Kapitalgesellschaftsrecht, (2009), S. 333.

რაც დადებითად აისახებოდა საზოგადოების მატერიალურ მდგომარეობაზე.[491] აქციონერთა საერთო კრება 1989 წლის 3 თებერვლისთვის დაინიშნა. თუმცა კრების ჩატარებამდე ბოლო ჰოფფანმა, რომელიც გერმანული საბირჟო ჟურნალის „Effecten-Spiegel“ გამომცემელი იყო, საზოგადოების უმცირესობაში მყოფ აქციონრებს საწარმოს რეაბილიტაციის თავისებური ხედვა შესთავაზა. მისი მტკიცებით კრედიტორთა მხრიდან შემოთავაზებული საზოგადოების სანაციის კონცეფცია მინორიტარი აქციონერების ინტერესებს საერთოდ არ ითვალისწინებდა და ისევ კრედიტორების (ძირითადად, დოიჩე ბანკის[492]) ინტერესებს ატარებდა.[493] ჰოფფანის მხრიდან შემოთავაზებულ იქნა კონცეფცია, რომლის მიხედვითაც, საერთო კრებაზე აქციონერების მიერ საკმარისი იქნებოდა კაპიტალის შემცირება 10 : 9 პროპორციით, ხოლო ეს საკმარისი იქნებოდა კრედიტორთა მხრიდან მოთხოვნებზე უარის სათქმელად. მოკლედ, საერთო კრებამდე რამდენიმე ხნით ადრე ჰოფფანმა უმცირესობაში მყოფი აქციონერებისაგან მისთვის მათი ხმის უფლების გადაცემა მოითხოვა, რითიც, ერთი მხრივ, მისაღები გადაწყვეტილებისათვის შეიქმნებოდა ე.წ. „ჩამკეტი“ უმცირესობა, ხოლო, მეორე მხრივ, იგი გამოვიდოდა ამ აქციონერთა წარმომადგენლად საერთო კრებაზე. მართლაც, მოხდა ისე, რომ აქციონერთა გარკვეული ნაწილი (საკუთარი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე) დაეთანხმა „ეფექტენ შპიგელს“, ხოლო მის გამომცემელს აქციონერთა საერთო კრებაზე ხმის უფლების გამოყენების უფლებამოსილება მიანიჭა. Sperminorität-ის შეკვრით კრებამ ვეღარ შეძლო გადაწყვეტილების მი-

[491] *Altmeppen, Holger*, Treupflicht der Minderheitsaktionäre einer AG und Haftung des Stimmrechtsvertreters (Girmes), NJW 1995 (Heft 27), S. 1740.

[492] Deutsche Bank AG.

[493] *Wilhelm*, Kapitalgesellschaftsrecht, (2009), S. 333; *Geier*, Gestaltungsfreiheit und Gestaltungsgrenze, S. 24.

ღება, რამაც კრედიტორთა განრისხება გამოიწვია.[494] მათ უარი თქვეს საერთოდ დასახულ სანაციაზე, რის შედეგადაც უახლოეს დროში ზედავალიანების გამო სს გადახდისუუნარო შეიქმნა და გამგეობის მიერ აღძრულ იქნა განცხადება გადახდისუუნარობის შესახებ. საზოგადოების აქციები თითქმის გაუფასურდა. ამ ვითარებას ის მოყვა, რომ ერთ-ერთმა აქციონერმა, რომელსაც აღნიშნულ კორპორაციაში 350 აქცია ჰქონდა შეიტანა სარჩელი სასამართლოში, რომლითაც ზიანის ანაზღაურება მოითხოვა. თავის მხრივ, მოსარჩელე გირმესის საერთო კრებაზე, სადაც სანაციის კრედიტორებისა და სს-ის გამგეობის მიერ დასახული კონცეფცია უნდა მიღებულიყო, არ დაეთანხმა მიღებულ გადაწყვეტილებას (ანუ იგი სრულად ეთანხმებოდა საწესდებო კაპიტალის შემცირების 5:2-ზე მოდელს). გამომდინარე აქედან, მოპასუხე (საბირჟო ჟურნალის გამომცემელი) პასუხისმგებელი იყო მის წინაშე ზიანის ანაზღაურებისთვის.[495] მოპასუხის ქმედებით მისი აქციების ფასი იმდენად დაეცა, რომ ეს უკანასკნელი არანაირ მატერიალურ ფასეულობას აღარ წარმოადგენდა. ამ დავაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი ის იყო, რომ ბოლკო ჰოფფანს (მოპასუხეს) არ დაუსახელებია დავალების გამცემის ვინაობა.[496]

[494] საერთო კრებაზე მოპასუხის (ჰოფფმანის) მხრიდან გაკეთებულ იქნა განცხადება, რომ იგი, უკიდურეს შემთხვევაში მხარს დაუჭერდა ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც ითვალისწინებდა კაპიტალის შემცირებას 5 : 3-ზე პროპორციით. WM 1995, 1, S. 883.

[495] ამ გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილი, გარკვეულწილად, მოკლედ ქართულადაც არის მოცემული. იხ.: *ბ. კროპფ*, პარტნიორის პასუხისმგებლობა, II გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი საკორპორაციო სამართალში, თბ. 2003, გვ. 249-261.

[496] ეს მომენტი უშუალოდ უკავშირდება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 179-ე პარაგრაფის პირველი აბზაცის გამოყენებას. გერმანიის სასამართლო პრაქტიკისა და იურიდიული ლიტერატურის მიერ აღიარებულია, რომ ის, ვინც გარიგებითსამართლებრივი (ამ შემთხვევაში წარმომადგენლობითი)

მოსარჩელის არგუმენტაციის ერთ-ერთი ამოსავალი ერთგულების მოვალეობის დარღვევა იყო. პირველმა და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს სარჩელი, რის შემდეგაც იგი საკასაციო წესით გასაჩივრდა გერმანიის ფედერალურ უმაღლეს სასამართლოში. ამ უკანასკნელმა საკასაციო საჩივარი დასაშვებად მიიჩნია, განიხილა და ხელახალი განხილვისათვის ქვემდგომ ინსტანციას დაუბრუნა.[497]

აღნიშნული გადაწყვეტილებით, სასამართლოს მიერ განმარტებულ იქნა ერთგულების მოვალეობასთან დაკავშირებული რამდენიმე სამართლებრივი საკითხი. გერმანულ სამართალში გირმესის გადაწყვეტილება ლინოტიპის გადაწყვეტილების განმარტებად და განვრცობადაც მიიჩნევა. ლინოტიპის დოქტრინის შემუშავებას საფუძვლად ის არგუმენტაცია ედო, რომ აქციონრებს ერთმანეთთან მიმართებით აქვთ ერთგულების გამოჩენის მოვალეობა. ამ მოვალეობის დარღვევამ საზოგადოებისთვის ან თანაპარტნიორისათვის შეიძლება ზიანის მიყენება გამოიწვიოს, რომელიც შემდგომ ანაზღაურებას ექვემდებარება.[498] აქციონერის ერთგულების მოვალეობა მისი წევრობიდან გამომდინარე ვალდებულებად მიიჩნევა და მის შემადგენელ ნაწილად განიხილება.[499] განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ დროს საზოგადოების პარტნიორის მიერ თანამართველობითი და მაკონტროლებელი უფლებების კეთილსინდისიერად გამოყენების პრინციპი, რომელიც „საზოგადოებასთან ბმული სხვა აქციონერის ინტერესის გათვალისწინებაზე“

ურთიერთობიდან გამომდინარე სხვა პირს ზიანს მიაყენებს, ხოლო დავალების გამცემის ვინაობის დასახელებისაგან თავს შეიკავებს, პასუხისმგებელი ხდება ზიანის ანაზღაურებაზე. Schramm in MünchKommBGB, 3. Auf., §179 Rn. 12; OLG Frankfurt a. Main = NJW-RR 1987, S. 914 ff.

[497] *Altmeppen*, NJW 1995 (Heft 27), S. 1740.

[498] *Flume,* Die Rechtsprechung des II Zivilsenats des BGH zur Treupflicht, ZIP 1995, S. 162.

[499] GmbHR 9/1995, S. 665.

უნდა იყოს დაფუძნებული.[500] გირმესის დოქტრინა უფრო წინ წავიდა: ერთგულების მოვალეობის დარღვევა შესაძლებელია, მაშინაც იყოს სახეზე, როდესაც უმცირესობაში მყოფი აქციონერები „ხმათა შეკვრის“ შეთანხმების საფუძველზე ქმნიან „ჩამკეტ“ უმცირესობას და საერთო კრებაზე მხარს არ უჭერენ ისეთი გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც აუცილებელია საზოგადოების არსებითი ინტერესების დასაცავად (და მის გასაჯანსაღებლად). ერთგულების მოვალეობის დარღვევად შეიძლება ჩაითვალოს ასევე, როდესაც უმცირესობაში მყოფი აქციონერთა წრე ხმის უფლებას გადასცემს წარმომადგენელს მათი ხმების გამოყენების უფლებით, ხოლო ამ წარმომადგენლის მხრიდან საზოგადოებისთვის ან აქციონერისთვის ზიანი იქნება მიყენებული.[501] თუმცა ღიად რჩება ის მომენტი, ასეთი ხმათა შეკვრა აქციონერთა წინასწარგათვლილი, დაგეგმილი მოქმედების შედეგი უნდა იყოს, თუ საკმარისია ასევე ხმათა „შემთხვევითი კრულობა“, როგორც ამას ფლუმე უწოდებს.[502] ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. ფლუმეს აზრით, რომელსაც ასევე ბევრი მეცნიერი ეთანხმება,[503] უმცირესობაში მყოფი აქციონერის ერთგულების მოვალეობის მასშტაბი, გაცილებით მცირეა, ვიდრე უმრავლესობაში მყოფი პარტნიორისა. მითუმეტეს, უმცირესობაში მყოფი აქციონერის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებისათვის, სახეზე, ისევე, როგორც ამას ერთგულების მოვალეობის დარღვევის ზოგადი შინაარსი განსაზღვრავს, აუცილებლად უნდა იყოს აქციონერის განზრახი და ბრალეული ქმედება.[504] შემთხვევითი უმრავლესობის მიღწევა არ უნდა განიხილებოდეს აქციონერის

[500] *Altmeppen*, NJW 1995 (Heft 27), S. 1739.

[501] *Altmeppen,* NJW 1995 (Heft 27), S. 1739-1740.

[502] *Flume*, ZIP 1995, S. 166.

[503] იხ. მაგ.: *Wilhelm,* Kapitalgesellschaftsrecht, (2009), S. 333-336.

[504] *Flume*, ZIP 1995, S. 166-167.

ბრალეულ ქმედებად და არ უნდა წარმოშობდეს ერთგულების მოვალეობის დარღვევის სამართლებრივ საფუძველს. მთავარი აქ ის არის, თუ რისი სწამს აქციონერს და რეალურად რა მიზანი ამოძრავებს მას. შემცირდება თუ არა კაპიტალი 5:2-ზე, თუ 5:3-ზე პროპორციით, თავის თავში, არსებით სხვაობას არ უნდა მოიცავდეს.[505] თუმცა იმასაც უსვამენ ხაზს, რომ საერთო მიზნის მისაღწევად ერთი კონკრეტული პირისათვის უფლებამოსილების გადაცემით მნიშვნელობა აღარ ენიჭება ხმათა ეს კოალიცია განზრახვით თუ შემთხვევით არის შექმნილი. ამას იურიდიულ ლიტერატურაში „მოქმედებაზე ბმულ ერთგულების მოვალეობას უწოდებენ“[506] და იგი ყველაზე კარგად გერმანელი მეცნიერის დრეერის ერთ-ერთ სტატიაშია აღწერილი.[507] იმ აქციონერებს, რომელნიც ასეთ „ჩამკეტ“ უმცირესობას შექმნიან დრეერი „კოალიციონერ აქციონრებს“[508] უწოდებს.[509] ამიტომ ხმის უფლების გაერთიანების[510] დროს კორპორაციულ-სამართლებრივი ერთგულების მოვალეობა მინორიტარ აქციონრებზეც შეიძლება გავრცელდეს. ეს შემთხვევა, განსხვავდება იმ ვითარებისაგან, დაძენს დრეერი, როდესაც უმცირესობაში მყოფი აქციონერი მხოლოდ ინდივიდუალურად მოქმედებს.[511] ზემოთ აღნიშნულ

[505] *Flume*, ZIP 1995, S. 167. ვრცლად BGH-ს აღნიშნული გადაწყვეტილების კრიტიკის შესახებ: *Flume,* ZIP 1995, S. 165-167; ასევე: *Wilhelm,* Kapitalgesellschaftsrecht, (2009), S. 334-336.

[506] ე.წ. wirkunsgbezogene Treupflicht.

[507] იხ.: *Dreher,* Treupflichten zwischen Aktionaeren und Verhaltenspflichten bei der Stimmrechtsbuendelung, ZHR 1993, S. 158-159; ასევე: *Timm, Wolfram,* WM 1991, S. 481 ff.

[508] Koalitionsaktionäre.

[509] *Dreher*, ZHR 1993, S. 158.

[510] ე.წ. Stimmrechtbündelung.

[511] *Dreher*, ZHR 1993, S. 158. ამიტომ დაძენს დრეერი, მცირე აქციონერს არ მიეკუთვნება ამ შემთხვევაში ის მინორიტარი პარტნიორი, რომელიც

შემთხვევაში კი გამორიცხულია აქციონერის ინდივიდუალური ქმედება, რამდენადაც იგი, სხვა ანალოგიურ ვითარებაში მყოფ აქციონერებთან ერთად, ათვითცნობიერებს იმ საერთო მიზანს, რისთვისაც ეს „ხმათა კრულობაა“ გამიზნული. ამასთან დრეერი იმ „ბრძოლისუნარიან“ აქციონერთა წრეზე საუბრობს, რომელიც თავიდანვე მოტივირებულია, რომ საერთო კრებაზე მისაღები გადაწყვეტილების წინაშე საწინააღმდეგო პოზიცია დააფიქსიროს. ეს კი ყველაზე კარგად გირმესის საქმიდან გამოჩნდა, ამბობს სტატიის ავტორი.[512] შესაბამისად, ამ შემთხვევაში ორი აზრი არ არსებობს, რომ უმცირესობაში მყოფ აქციონერზე ვრცელდება კორპორაციულ-სამართლებრივი ერთგულების მოვალეობა, ხოლო მისი დარღვევა (მათ მიმართ) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაყენებას განაპირობებს.

ერთი შეხედვით, საერთო კრებაზე წარმომადგენელსაც ისეთივე მასშტაბის ერთგულების მოვალეობა უნდა მოეთხოვებოდეს, როგორიც თავად აქციონერს.[513] წარმომადგენელი აქციონერის წარმომადგენელია და მისი ნების „გამხმოვანებელი“. ამიტომ, ერთი მხრივ, აქციონერის მხრიდან ქმედების ერთგულების მოვალეობა, ხოლო, მეორე მხრივ, აქედან გამომდინარე ხმის გამოყენების გარიგება, საზოგადოების წევრობის შემადგენელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს. წევრობა

დამოუკიდებლად იბრძვის საერთო კრებაზე საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად და საკუთარი ინტერესისათვის. აქ გადამწყვეტი ის არის, რომ ასეთი აქციონერი სხვა უმცირესობაში მყოფ აქციონერებთან ერთად თავის ხმას არ გადასცემს სხვას და იგი ინდივიდუალურად პარალელურად აწარმოებს საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას. ასეთ აქციონერს „ოპონირებად მინორიტარ აქციონერს“ უწოდებენ. *Dreher*, ZHR 1993, S. 158-159.

[512] *Dreher*, ZHR 1993, S. 158. სწორედ ამიტომ არ გადასცეს აქციონერებმა ბოლკო ჰოფმანს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ხმათა გამოყენების (Proxy Voting) თაობაზე?!

[513] WM 1995, 1, S. 885-886.

კი თავის თავში გარკვეულ უფლებებს, მოვალეობებს და პასუხისმგებლობას მოიცავს. ამიტომ წინააღმდეგობრივი იქნებოდა მოსაზრება, რომელიც ერთგულების მოვალეობას ამ საერთო (წევრობიდან გამომდინარე) მოვალეობათა კონტექსტიდან ამოიღებდა და დამოუკიდებელ კატეგორიად განიხილავდა,[514] ანუ ამ შემთხვევაში საუბარია იმაზე, აქვს თუ არა წარმომადგენელს დამოუკიდებელი ერთგულების შენარჩუნების მოვალეობა, რომელიც არ შედის კორპორაციულ-სამართლებრივი ერთგულების მოვალეობის საზომში. მაგრამ თავად წარმომადგენელმაც, მისთვის ხმის უფლების გადაცემისა და ხმის უფლების გამოყენების დროს, უნდა დაიცვას ერთგულების მოვალეობის მასშტაბი, რადგანაც ეს ვალდებულება აქციონერთა კორპორაციულ-სამართლებრივ მოვალეობად განიხილება, იგი კი მათი (პარტნიორთა) დავალების შემსრულებელია. თუმცა უფლებამოსილების განმხორციელებელს დამოუკიდებელი კორპორაციულ-სამართლებრივი ერთგულების მოვალეობა არ უნდა ეხებოდეს. დამოუკიდებელი ხასიათის კორპორაციულ-სამართლებრივი ერთგულების მოვალეობა მხოლოდ აქციონერთა შორის ურთიერთობას ახასიათებს და იგი მესამე პირზე ვერ გავრცელდება.[515] ამიტომ დამოუკიდებელი კორპორაციულ-სამართლებრივი ერთგულების მოვალეობის დარღვევა იურიდიული შედეგის მქონე მხოლოდ საზოგადოების წევრებისათვის უნდა იყოს. ამიტომ ერთი შეხედვით, მოპასუხეს, როგორც არააქციონერს, არ უნდა დაეკისროს კორპორაციულ-სამართლებრივი ერთგულების მოვალეობა.[516] საერთო კრებაზე ხმის უფლების გამოყენებისას წარმომადგენელი ზიანის ანაზღაურებისთვის მაშინ არის პასუხისმგებელი, როდესაც ერთგულების მოვალეობა განზრახ არის დარღვეული, ხოლო ზიანის შეჩერება (ან თავიდან აცილება) საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებით შეუძლებელი იქნება.[517]

[514] WM 1995, 1, S. 886.
[515] WM 1995, 1, S. 885.
[516] *Altmeppen*, NJW 1995 (Heft 27), S. 1740-1741.

3.2.4. დასკვნის ნაცვლად

ერთგულების მოვალეობა ეთიკური კატეგორია. იგი იმაზეა დამოკიდებული, თუ რეალურად როგორი სტრუქტურის მატარებელია თავად საწარმო. თუმცა ამ საზომით, განსხვავება ამხანაგური და კაპიტალური ტიპის საზოგადოებებს შორის, როგორც წესი, არ არსებობს. ერთგულების მოვალეობის დარღვევისას სასამართლო კონკრეტული შემთხვევის ინდივიდუალური მიდგომიდან უნდა ამოვიდეს და შეამოწმოს გამოსაყენებელი უნდა იყოს თუ არა ის დოქტრინა, რომელიც პერსონალურ საზოგადოებათა სამართალში განვითარდა. ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოა საზოგადოება სს-ის თუ სპს-ის სამართლებრივი ფორმით არის ჩამოყალიბებული თუ არა. გადამწყვეტი სწორედ ის ურთიერთობაა, რომელიც საზოგადოების პარტნიორებს შორის იმის აღქმის საშუალებას უნდა იძლეოდეს, რომ მათი მხრიდან არსებობს ისეთი სამართალურთიერთობა, რომელიც ერთგულების მოვალეობის აღიარებას, მის განუხრელ დაცვასა და გათვალისწინებას მოითხოვს. ამიტომაც სს-შიც გასათვალისწინებელია აქციონერთა შორის პირადი თუ სხვა ტიპის ურთიერთობები. ეს უდავოდ არის დამოკიდებული თვით ამ საზოგადოების რეალურ სტრუქტურაზე, ანუ პარტნიორთა პირადი კავშირებისა და თანამშრომლობის ხარისხზე. თანამედროვე გლობალურ-კაპიტალური კორპორაციების ეპოქაში, სადაც ერთ მსხვილ ტრანსნაციო-

[517] *Altmeppen*, NJW 1995 (Heft 27), S. 1740. ვრცლად ამ გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე: *Altmeppen*, NJW 1995 (Heft 27), S. 1739-1750.

ნალურ საზოგადოებაში შესაძლოა, რამდენიმე ათასი აქციონერი იყოს გაწევრიანებული, ძალიან ძნელია ერთგულების მოვალეობის მასშტაბებზე და მის შენარჩუნებაზე საუბარი. ისეთი კორპორაციის აქციები, რომელიც ყოველდღიურად ბრუნავს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე და მათი ყიდვა-გაყიდვით საზოგადოების აქციონერთა წრე ისეა ჩამოყალიბებული, რომ მათ ერთმანეთის შესახებ საერთოდ არაფერი იციან და არც იცნობენ კიდეც ერთიმეორეს, ერთგულების გამოჩენისა და დაცვის მოვალეობა, თითქოსდა შეუძლებელი უნდა იყოს. ასეთი დიდი კორპორაციების რეალური სტრუქტურა არ იძლევა ერთგულების შენარჩუნების ვალდებულებას. ამიტომ ამგვარ სს-ებში ერთგულების მოვალეობა წარმოუდგენელი უნდა იყოს. რაც მთავარია ერთგულების მოვალეობის დროს უმრავლესობაში მყოფმა აქციონერმა ძირითადად ყურადღება იმას უნდა მიაქციოს, რომ მისი ქმედებით, უპირველეს ყოვლისა, არ შეილახოს საზოგადოების, როგორც „ხანგრძლივი ვადით შექმნილი“ წარმონაქმნის ინტერესი. შესაძლოა, საერთო კრებაზე უმრავლესობამ ისეთი გადაწყვეტილება მიიღოს, რომელიც აშკარად ხელყოფს მინორიტარი აქციონერის მატერიალურ-ქონებრივ ინტერესს, თუმცა ეს შეიძლება არ გახდეს იმის უპირობო მტკიცების საფუძველი, რომ ასეთი გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება თავად საწარმოს ინტერესს. აქციონერის უფლებების შელახვა, პირველ რიგში, ნიშნავს კომპანიისთვის ზიანის მიყენებას. აქციონერის ზიანი (დანაკლისი, როგორც ზემოთ აღნიშნა) ევენტუალური ზიანია, რამდენადაც აქციონერის ქონებრივი მდგომარეობა (და აქედან მისი მატერიალური ინტერესი) უშუალოდ არის მიბმული საზოგადოების ქონებრივ ინტერესზე. თუმცა იმ დროს, როდესაც პარტნიორის პირადი ინტერესი აშკარად აღემატება თავად საზოგადოების ინტერესს, მაშინ საკითხი უკვე ერთგულების მოვალეობის საზომს და მის დარღვევას შეიძლება შეეხოს.

შეიძლება თქმა, რომ ეს პრინციპი (ერთგულების მოვალეობა), სამართლიანობის ზოგადი იდეიდან მომდინარე ეთიკური კატეგორიაა (ერთი შეხედვით ჯანსაღი ეკონომიკური კონკურენციის პირობებში სააქციო სამართალში დამკვიდრებული ეს პრინციპი, თითქოსდა, უსამართლოდ უნდა გამოიყურებოდეს). ამიტომ ქართულ სასამართლოებს არ უნდა მოერიდოთ საკორპორაციო-სამართლებრივ ნორმებთან ერთად, სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმების[518] გამოყენება. თავის მხრივ, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტი დელიქტურ-სამართლებრივი ბუნების მქონე ნორმაა. მისი შინაარსი ერთგულების მოვალეობას განსაზღვრავს. მართალია, ნაციონალური კანონმდებლობა[519] საკანონმდებლო დონეზე განმარტავს დომინანტი აქციონერის ცნებას, სადაც არა მხოლოდ უმრავლესობაში მყოფ პარტნიორს, არამედ უმცირესობასაც მოიაზრებს, თუმცა ამ მდგომარეობის გამოყენებას მხოლოდ საერთო კრებაზე კენჭისყრის შედეგებზე ზეგავლენის მოხდენას უკავშირებს. ამ ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტების შედეგად შესაძლოა, გაკეთდეს დასკვნა, რომ მე-8 პუნქტი[520] მხოლოდ საერთო კრებაზე პარტნიორისაგან (ქმედების[521]) ერთგულების იმ მოვალეობის გამოჩენას მოითხოვს, რომელიც მხოლოდ საერთო კრებაზე მის ქმედებას უკავშირდება. ამ შემთხვევაში თითქოსდა მოწესრიგების მიღმა

[518] აქცენტი ამ შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლზე გაკეთდებოდა. ამ მუხლის განმარტებისა და მისი „თამამად“ გამოყენების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ მაგ.: *იოსელიანი, ალექსანდრე*, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებითსამართლებრივი გამოკვლევა), ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 2007 სპეც. გამოცემა, გვ. 12-71.

[519] გერმანულისაგან განსხვავებით.

[520] იმავე შინაარსს შეიცავს ასევე 53-ე მუხლის მე-4 პუნქტის ბოლო წინადადება.

[521] გერმანულ სამართალში ნახმარია სიტყვა „Verhalten“.

რჩება ის საკითხი, რომელიც საზოგადოების სხვა მმართველ ორგანოებზე ზემოქმედების მოხდენას ეხება. თავისუფლადაა შესაძლებელი, რომ დომინანტი პარტნიორის სამეთვალყურეო საბჭოზე ან გამგეობაზე „ბოროტი“ ზემოქმედების შედეგად კორპორაციას ზიანი მადგეს.[522] დაეკისრება თუ არა ამ შემთხვევაში მას პასუხისმგებლობა და ზიანის ანაზღაურების მოვალეობა? როგორც ზემოთ წარმოჩინდა, გერმანული სააქციო კანონი[523] პირდაპირ აწესრიგებს ამ საკითხს. თუმცა ქართული კანონიც არ ტოვებს ამას რეგულირების მიღმა. მეწარმეთა კანონის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის შინაარსი იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ გერმანული კანონის პირდაპირი მოცემულობა ასახული იქნება მასში. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება მე-8 პუნქტის პირველივე წინადადებას მიექცეოდა, სადაც ნათქვამია: თუ დომინანტმა პარტნიორმა განზრახ გამოიყენა თავისი დომინანტური მდგომარეობა *ამ საზოგადოების საზიანოდ*, მან დანარჩენ პარტნიორებს უნდა გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია. მოკლედ, აღნიშნული ნორმა რამდენიმე იურიდიულ ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას: (1) დომინანტი პარტნიორი, რომელიც (2) საზოგადოების (3) საზიანოდ (4) განზრახი ქმედებით (5) იყენებს ამ დომინანტურ მდომარეობას, იგი (6) დანარჩენ პარტნიორებს უნაზღაურებს ამ ზიანს. ნორმის განმარტებიდან გამომდინარე თვალნათელია, რომ დომინანტი პარტნიორი სწორედ საზოგადოების საზიანოდ უნდა მოქმედებდეს, ხოლო თუ რო-

[522] ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხ.: *ბურდული, ირაკლი*, ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში (განსაკუთრებით მისი ჩამოყალიბების პროსეცში), ქართული და ავსტრიული სამართლის მაგალითზე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008, გვ. 107-115.

[523] AktG §117 Abs. (1).

გორ გააკეთებს უმრავლესობაში მყოფი პარტნიორი ამას[524] უმნიშვნელოა. გაუგებრობას თითქოსდა ამავე პუნქტის მეორე წინადადება იწვევს, რომელიც დომინანტი პარტნიორის ლეგალურ დეფინიციას განმარტავს. ამ შემთხვევაში ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ზემოქმედების განხორციელების ადგილი მხოლოდ პარტნიორთა კრებაა. თუმცა ეს წინადადებაც სათანადო განმარტებას მოითხოვს. ამ დროს კანონი დომინანტი პარტნიორის განმარტებისათვის მოიხმობს პარტნიორთა კრებაზე, კერძოდ კი, კენჭისყრის შედეგებზე პრაქტიკული ზეგავლენის ფაქტს. კანონი განსაზღვრავს უმრავლესობაში მყოფი პარტნიორის კატეგორიას, რა დროსაც პროცედურული ნიუანსი მოყავს: კენჭისყრის შედეგებზე ზეგავლენა. ბუნებრივია, ის, ვისაც უნარი შესწევს კენჭისყრის შედეგებზე მოახდინოს პრაქტიკული ზეგავლენა, მას საზოგადოების დანარჩენ ორგანოებზეც ექნება ზემოქმედების ბერკეტი. შესაბამისად, ქართული და გერმანული კანონმდებლობის ჩანაწერები შინაარსობრივი თვალსაზრისით, პრინციპში, ერთი და იმავეს განაპირობს.

მოკლედ, საწარმოს ეფექტური საქმიანობის საფუძველი ის არის, რომ მაქსიმალურად იქნეს დაცული პარტნიორთა თანაბარი მოპყრობის, შეთანხმებების კეთილსინდისიერად შესრულების, მათი განუხრელი დაცვისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპი. იმ სს-ში, რომლის რეალური სტრუქტურაც ერთგულების მოვალეობაზე საუბრის შესაძლებლობას იძლევა, ეს პრინციპი წევრობის შემადგენელ და განუყოფელ ნაწილად არის მიჩნეული. ამიტომ მნიშვნელობა არ აქვს იმ ფაქტს, თუ რომელმა მხარემ (უმრავლესობამ თუ უმცირესობამ) უნდა დაიცვას ეს მოვალეობა. იგი, განსაკუთრებით დახურული ტი-

[524] საერთო კრებაზე განზრახ საკუთარი გამორჩენის (და, მაგ., საზოგადოების დარჩენილი ქონების არსებითი ნაწილის დაუფლების მიზნით) მხარს დაუჭერს საზოგადოებისათვის საზიანო გადაწყვეტილებას.

პის სს-ებში, თანაბარი მნიშვნელობის მქონე პრინციპია ნებისმიერი პარტნიორისათვის. უმრავლესობაში მყოფი პარტნიორი პატივს უნდა სცემდეს უმცირესობას. თუმცა უმცირესობაში მყოფი პარტნიორების დაცვა არ უნდა გულისხმობდეს დომინანტი აქციონერის ბატონობისა და დამოუკიდებელი ხელმძღვანელობის უკანონოდ გამოცხადებას.[525] უმცირესობის დაცვა განპირობებული უნდა იყოს საზოგადოების ერთიანი ობიექტური ინტერესის საფუძვლით, რომლის მიზანიც საზოგადოების რენტაბელური საქმიანობა და მისი განვითარება იქნება.[526] ასეთივე მიდგომა მოეთხოვება იმ უმცირესობას, რომელსაც ხმათა გაერთიანების შედეგად საზოგადოების საერთო კრების კენჭისყრის შედეგებზე პრაქტიკული ზეგავლენის მოხდენა შეეძლება.

[525] *კნიპერი*, უმცირესობაში მყოფი პარტნიორის უფლების დაცვა საქართველოს სამეწარმეო სამართლის მიხედვით, საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში, გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი, თბ. 2000, 7-8 მარტი, გვ. 95. უმცირესობაში მყოფი აქციონერების უფლებების დაცვის თაობაზე ასევე: *ბახუტაშვილი*, აქციათა მცირე პაკეტის მფლობელ აქციონერთა უფლებების დაცვა სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონმდებლობის მიხედვით, საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში, გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი, თბ. 2000, 7-8 მარტი, გვ. 117-126; *მემარნიშვილი*, მცირე აქციონერთა უფლებების დაცვა „სააქციო საზოგადოებათა შესახებ“ კანონის მიხედვით, საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში, გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი, თბ. 2000, 7-8 მარტი, გვ. 127-131.

[526] იხ.: *კნიპერი*, უმცირესობაში მყოფი პარტნიორის უფლების დაცვა საქართველოს სამეწარმეო სამართლის მიხედვით, გვ. 95.

ნაწილი II

საერთო კრება

თავი I. აქციონერთა საერთო კრება, როგორც სს-ის „ზემდგომი“ ორგანო

I. შესავალი

ნებისმიერი სამეწარმეო საქმიანობის განმახროციელებელი სუბიექტი გარკვეული ორგანოების მეშვეობით მოქმედებს. ეს ორგანოები გადაწყვეტილებათა მიღების საფუძველზე საწარმოს ერთიან პოლიტიკას ქმნიან. ზოგ შემთხვევაში კანონმდებლობა ზუსტად და მკაცრად განსაზღვრავს, თუ როგორი სტრუქტურის მატარებელი უნდა იყოს სამეწარმეო საზოგადოება, თუ როგორ უნდა იყოს ჩამოყალიბებული მისი ორგანოები და რა ფუნქციით უნდა იყვნენ ისინი აღჭურვილნი. ამ მხრივ თანამედროვე საკორპორაციო სამართალი საწარმოს მართვის ორ ძირითად მოდელს განასხვავებს. პირველი ერთსაფეხურიანი, იგივე მონისტური მოდელით არის ცნობილი, ხოლო მეორე ორსაფეხურიანი, ანუ დუალისტური. გერმანული სააქციო სამართალი კორპორაციული მართვის დუალისტურ სისტემაზეა დაფუძნებული.[1] ამ მოდელში მკაცრად არის გავლებული ფუნქციური ზღვარი საზოგადოების მართვის ორგანოებს შორის. ამიტომაც ამბობენ, რომ გერმანული სს-ის

---

[1] უფრო მეტიც, დუალისტური მოდელი სწორედ გერმანული სამართლის პირმშოა. მართვის ეს სისტემა, რომელიც ზღვარს ავლებდა „გენერალურ ყრილობას“ (იგივე საერთო კრება), სამეთვალყურეო საბჭოსა და გამგეობას შორის, გერმანელი კანონმდებლის მიერ შემუშავებული და გერმანულ სავაჭრო სამართალში გავითარებული სისტემაა. ამ მოდელის ისტორიული განვითარების და მისი დახასიათების შესახებ იხ. მაგ.: *Hüffer*, Der Vostand als Leitungsorgan und die Mandats-sowie Haftungsbeziehungen seiner Mitglieder in Bayer/Habersack, Aktienrecht im Wandel, Ban II, S. 334 ff; *Lutter*, Der Aufsichtsrat im Wandel der Zeit - von seinen Anfängen bis Heute, იმავე წიგნში, S. 389 ff; *Fleischer*, Kompetenzen der Hauptversammlung - eine rechtsgeschichtliche, rechtsdogmatische und rechtsvergeichende Bestandsaufnahme, იმავე წიგნში, S. 430 ff.

სტრუქტურა მკაცრად განსაზღვრული ორგანოების არსებობით ვლინდება. თითოეულ ორგანოს საკუთარი კომპეტენცია აქვს და, იშვითი გამონაკლისების გარდა, დაუშვებელია მათ შორის უფლებამოსილებათა გადაცემა (აღრევა). გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ „ის, ვისაც სს-სთან აქვს შეხება, იქნება ეს ინვესტორი, პარტნიორი, თუ საზოგადოების რომელიმე ორგანოს წარმომადგენელი/წევრი, უნდა იცოდეს, თუ რა გადაწყვეტილების მიღების კომპეტენცია და უფლება აქვს ამა თუ იმ ორგანოს“.[2] სს-ის მართვის გერმანული მოდელისათვის სამი აუცილებელი ორგანოს არსებობაა დამახასიათებელი: *აქციონერთა საერთო კრება*,[3] *სამეთვალყურეო საბჭო*[4] და *გამგეობა*.[5] თითოეული ამ ორგანოსათვის კანონმდებლობა საქმიანობის იმ სფეროს ადგენს, რომელშიც იგი კომპეტენტური იქნება. დაუშვებელია, მაგალითად, საერთო კრების გარკვეული უფლებამოსილების დელეგირება სამეთვალყურეო საბჭოზე ან გამგეობის ფუნქციების მიკუთვნება (გარკვეული, კანონით ზუსტად განსაზღვრული გამონაკლისების გარდა) საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოსათვის. კორპორაციის მართვის გერმანული სისტემა არ იძლევა არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას ერთსაფეხურიან ან ორსაფეხურიან მოდელებს შორის, რაც გერმანიაში გარკვეული კრიტიკის საგანია.[6] თუმცა რამდენიმე ხნის წინ ესს-ის შემოღებით, ეს ვაკუუმი, თითქოსდა შეივსო, რადგანაც გერმანელ მეწარმეებს „მიეცათ შესაძლებლობა“ ესს-ის ჩამოყალიბების გზით მართვის სისტემებს შორის არჩევანის გაკეთებისა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ესს ევროპის სუპრანაციონალური სამართლებრივი ფორმაა და, ბუნებრივია, იგი გერმანული სს-ისაგან განსხვავდება.[7] გერმანული სს-ის მართვის მოდელის საპირწონედ შემოთავაზებულია საზოგადოების მართვის ინგლისურ-ამერიკული მოდელი, რომელიც უფრო „ელასტიურობით“ ხასიათდება, ვიდრე პირველი. თავის მხრივ, ინგლისური და ამერიკული მოდელები, გარკვეულწილად, განსხვავდება ერთმანეთისგან.

კორპორაციის მართვის ბრიტანულ მოდელში ისეთი მკვეთრი სტრუქტურირებული ფუნქციურად გამიჯნული სისტემა, როგორიც ეს გერმანულ სამართალშია, არ არსებობს. აქ, როგორც ეს ზოგადად არის დამახასიათებელი საერთო სამართლის კორპორაციული სისტემისათვის, მძლავრობს საწესდებო ავტონომიის პრინციპი. მისთვის მართვის მონისტური მოდელია განკუთვნილი, სადაც ცალკე მდგომი გამგეობის მაკონტროლებელი ორგანო სამეთვალყურეო საბჭოს სახით არ არსებობს.[8] შესაბამისად, ბრიტანული კომპანიათა სამართალი საწარმოს მართვის ორ ორგანოს ითვალისწინებს: გენერალური ყრილობა[9] და დირექტორთა საბჭო.[10] „გენერალური ყრილობა“, როგორც წესი, კომპანიის ჯოლექტიურ ორგანოდ მიიჩნევა, ხოლო დირექტორთა საბჭო იმ ორგანოდ, რომელიც საზოგადოებას განაგებს.[11] თავად ამ ორგანოთა უფლე-

[2] *Hoffmann-Becking*, „Holzmüller“, „Gelatine“ und die These von der Mediatisierung der Aktionärsrechte, ZHR 2008, S. 231.

[3] HV.

[4] AR.

[5] Vorstand. ნაშრომში გამგეობისა და დირექტორატის ტერმინები თანაბარმნიშვნელოვან სიტყვებად იქნება ნახმარი.

[6] დაწვრილებით ამის თაობაზე: *ჭანტურია*, კორპორაციული მართვა, გვ. 133-134.

[7] ამასთან, ესს-ის დაფუძნებისთვის აუცილებელია, რომ მისი ჩამომყალიბებელნი ევროპის სხვადასხვა წევრ-სახელმწიფოს წარმომადგენლები იყვნენ. *ჭანტურია*, ევროპის კერძო საზოგადოება - სიახლე ევროპის საკორპორაციო სამართალში, „სამართლის ჟურნალი“ №1 2009, გვ. 38.

[8] დაწვრილებით ბრიტანული მართვის სტრუქტურის შესახებ: *Davies*, Introduction to Company Law, p. 5-6.

[9] General meeting, რასაც აქციონერთა კრება დაერქმევა.

[10] Board of directors.

[11] *Hannigan*, Company Law, (2009), p. 115.

ბამოსილება, მათ შორის კომპეტენციათა გამიჯვნა და გადანაწილება საწესდებო ავტონომიის ფარგლებში განისაზღვრება. ღია (კერძო) კომპანიას,[12] ანუ სს-ს, კომპანიათა აქტის მიხედვით,[13] მინიმუმ ორი დირექტორი მაინც უნდა ჰყავდეს, რომელთა სტრუქტურა, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები სადამფძნებლო ხელშეკრულებაში[14] უნდა იყოს მოცემული.[15] დირექტორთა საბჭო კი, თავის მხრივ,[16] მენეჯერებს წარადგენს, რომელნიც შესაძლოა იყვნენ ან არ იყვნენ დირექტორთა საბჭოს წევრები. თუმცა დიდ კომპანიებში, სადაც მენეჯერთა მაღალი იერარქიული სტრუქტურა არსებობს, მხოლოდ რიგით უმაღლესი მენეჯერები არიან გაწევრიანებულნი და წარმოდგენილნი დირექტორთა საბჭოში.[17] დაბალი რანგის მენეჯერთათვის დირექტორთა საბჭოს წევრობა „მიუწვდომელი ოცნებაა". მაგრამ ბოლო დროს ბრიტანეთშიც შეიმჩნევა ტენდენცია, რომ დირექტორთა საბჭოს და მენეჯერთა შორის (განსაკუთრებით CEO-ზე მახვილდება ყურადღება) მათი დამოუკიდებლობის გარანტიებიდან გამომდინარე[18] ფუნქციები, ამ ერთსაფეხურიანი სისტემის შიგნით მკვეთრად გაიმიჯნოს. ამიტომაც აღნიშნავს *კლაუს ჰოფტი*, რომ ინგლისში აშშ-ისაგან განსხვავებით, უფრო და უფრო შეიმჩნევა დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარესა და აღმასრულებელ ოფიცერს (მენეჯერს) შორის ფუნქციების დაყოფის ტენდენცია.[19]

[12] PPC.
[13] CA (1985), Sec. 282 (1).
[14] Articles of association.
[15] *Hannigan,* Company Law, 3th Edit., (2012), p. 112-113.
[16] როგორც ეს აშშ-ის სამართლის მიმოხილვისას წარმოჩინდება.
[17] Davies, Introduction to Company Law, p. 111.
[18] რადგან მენეჯერთა და დირექტორთა საბჭოს ევრთა დამოუკიდებლობა წარმატებული კორპორაციული მართვის პირობად მიიჩნევა.
[19] Klaus J. Hopt, Aktienrecht unter amerikanischem Einfluss, in: FS Claus-Wilhelm Canaris, S. 111.

აშშ-ის კორპორაციული მართვის მოდელისათვის ასევე ორი ორგანოს არსებობაა დამახასიათებელი.[20] ეს არის მეწილეთა (აქციონერთა) კრება[21] და დირექტორთა საბჭო.[22] საწარმოს მართვის ამერიკული სისტემა ორგანოთა შორის კომპეტენციათა გადანაწილების საკითხთან მიმართებით უფრო მკაცრია, ვიდრე ბრიტანული. მართალია, ამერიკულ საკორპორაციო სამართალშიც, ისევე, როგორც ეს ინგლისურ სამართალშია, საწესდებო ავტონომიის ფარგლები ფართოა, მაგრამ გარკვეული შეზღუდვები მისთვის ნამდვილად არის დამახასიათებელი. ეს შეზღუდვები ძირითადად პარტნიორთა (აქციონერთა) კრების კომპეტენციას ეხება. ეს იმას გულისხმობს, რომ ძირითადი ძალაუფლება (კომპეტენციის თვალსაზრისით) დირექტორთა ხელშია თავმოყრილი და აქციონერებს მათი ქმედებების გაკონტროლების ნაკლები მექანიზმები აქვთ, რადგანაც თავად კრების უფლებამოსილება მკვეთრად შეზღუდულია.[23] ტრადიციული ამერიკული კორპორაციული თეო-

[20] ამის თაობაზე მაგ.: *Allen/Kraakman/Subramanian,* Commentaries and Cases, (2009), p. 101, 169-177.
[21] shareholder's meetimg.
[22] board of directors.
[23] მიუხედავად იმისა, რომ დირექტორთა საბჭო ასევე (ოფიცრებზე) მაკონტროლებელი ფუნქციით არის აღჭურვილი, ამერიკულ საკორპორაციო სამართალში ბევრს საუბრობენ მის, როგორც ორგანოს მიერ ამ ფუნქციის განხორციელების არაეფექტურობაზე. ამ მხრივ, აშშ-ის სამართალში ცნობილ დელავერის უმაღლესი სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე მიუთითებენ, რომელიც „გრაჰამი ჩალმერს მანუფაქტურული კორპორაციის წინააღმდეგ" სახელით არის ცნობილი ამერიკულ case law-ში. Graham v. Allis-Chalmer Manufacturing Co., 188 A. 2d 125 (Del. 1963). მითითებულია: *Cox/Hazen*, Cox & Hazen on Corporations, 2th Edit., Aspen Publishers, 2003, p. 392. 1970 წლიდან შეერთებულ შტატებში კორპორაციული მართვის რეფორმა დაიწყო (Cox/Hazen, Cox & Hazen on Corporations, (2003), p. 392), რომელიც, შეიძლება ითქვას, დღესაც გრძელდება, რამდენადაც მაკონტროლებელი ფუნქციის განხორციელება კორპორაციაში

რიის თანახმად, კორპორაციის კონტროლი თავმოყრილია დირექტორთა საბჭოს ხელში, რომელიც მეწილეთა (აქციონერთა) კრების მიერ არჩეულ ორგანოს წარმოადგენს. თავის მხრივ, დირექტორთა საბჭო ბიზნესის ყოველდღიური საქმეების განსახორციელებლად ოფიცრებს[24] (მენეჯერებს) ირჩევს.[25] ამ მხრივ ამერიკული კორპორაციისთვის[26] ცენტრალიზებული მენეჯერული სისტემაა[27] დამახასიათებელი.[28] ამერიკულ სამართალში საწარმოს მართვის მთელი ბერკეტი თითქმის მმართველი ორგანოს ხელშია[29] და აქციონერთა კრებას მისი გაკონტროლების რეალურად ნაკლები მექანიზმები[30] აქვს.[31] ამიტომაც აღნიშნავენ ამერიკულ იურიდიულ ლიტერატურაში, რომ მართვის ასეთი ვითარებისას „კორპორაციის ადმინისტრაცია (მმართველი ორგანო - ბორდი)[32] *მოქმედებს*, ხოლო საერთო კრება (პარტნიორთა კრება)[33] *რეაგირებს*".[34] როგორც წესი, ეს რეაგირება პოსტფაქტუმ ხდება, ამიტომ აქციონერთ „დაშვებული შეცდომის" მხოლოდ შემდგომი გამოსწორების ბერკეტები თუ აქვთ მინიჭებული და არა იმწუთიერი, მყისიერი მაკონტროლებელი ფუნქციები.

ქართული საკორპორაციო სამართლისათვის ტრადიციულად საწარმოს მართვის ორსაფეხურიანი სისტემა იყო დამახასიათებელი. ეს გასაკვირი არცაა: „მეწარმეთა შესახებ" კანონი გერმანული საზოგადოებათა სამართლის რეცეფციის შედეგად შექმნილი საკანონმდებლო აქტი[35] იყო და, შესაბამისად, მისი მიღების დროისთვის კანონმდებელმა არჩევანიც სწორედ ამ მოდელის უპირატესობაზე გააკეთა. კანონის მიღების დღიდან დიდი ხანი გავიდა. 2008 წელს განხორციელებულმა რეფორმამ კი ქართული სააქციო სამართალი გამოამშვიდობა სს-ის მართვის ტრადიციულ გერმანულ მოდელს და მიმართულება შერეული სისტემისაკენ მისცა. თანამედროვე ქართულ საკორპორაციო სამართალში დამკვიდრებულია მართვის სისტემებს შორის არჩევანის თავისუფლების პრინციპი. საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორებისათვის გახსნილია შესაძლებლობა იმგავარად ჩამოაყალიბონ და გან-

---

იმ ზოგად პრობლემას წარმოადგენს, რომელიც აი უკვე წლების განმავლობაში დისკუსიის და გადაწყვეტის საგანია.

[24] officers.

[25] *Pinto/Branson*, Corporate Law, (2009), p. 87

[26] იგივე უნდა ითქვას ბრიტანულ კომპანიებზეც.

[27] ამ სისტემის დახასიათებას პირველად ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერებმა ბერლემ მინმა მონოგრაფია გამოაქვეყნეს, რომელიც დღესაც საკორპორაციო სამართალში ერთ-ერთ ინგლისურენოვან მნიშვნელოვან წიგნად ითვლება. *A. Berle/G. Means*, The modern Corporation and private property, Hardcourt Brace & World, New York 1932. გამოყენებულია: Hannigan, Company Law, (2009), p. 115. მათი თეზისი იმაში მდგომარეობდა, რომ დიდ კორპორაციებში პარტნიორთა მიერ დირექტორებისათვის სამართავად გადაცემული ქონება, საბოლოო ჯამში, აქციონერთა კონტროლის მიღმა რჩება, რამდენადაც ასეთი ტიპის კომპანიებში, ცენტრალიზებული მენეჯმენტის სტრუქტურის განვითარების შედეგად, მეწილეები არა მხოლოდ დირექტორებზე, არამედ მთელ საზოგადოებაზე ზემოქმედებით ბერკეტებს კარგავენ. *Davies*, Introduction to Company Law, p. 111.

[28] *Pinto/Branson*, Corporate Law, (2009), p. 7.

[29] ამის თაობაზე იხ. მაგალითად, განზოგადებული ამერიკული სასამართლო პრაქტიკა *ჰაზენთან და მერკჰამთან: Thomas Lee Hazen/Jerry W. Markham*, Corporations and other business enterprise, cases and materialss, 3th Edition, West Publishers. 2020-207.

[30] კრიტიკის შესახებ: *Allen/Kraakman/Subramanian*, Commentaries and Cases on the Law of Business Organization, (2009), p. 108.

[31] *Bainbridge*, Corporate Law, (2009), p. 72.

[32] ჩამატება (ი. ბ.).

[33] ჩამატება (ი. ბ.).

[34] „The board acts and shareholders, at most, react". *Bainbridge*, Corporate Law, (2009), p. 72.

[35] ასე მაგ.: *ზოიძე*, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ. 2005, გვ. 196 და მომდ.

საზღვრონ საწარმოს მართვის სტრუქტურა, როგორც მათ სურთ. თუმცა გარკვეული შეზღუდვები, რომელიც მეწარმეთა კანონმდებლობით ზუსტად არის განსაზღვრული,[36] აქაც არსებობს. კანონმდებლის მიერ მართვის ასეთი მოდელის დადგენა, გარკვეულწილად, ქართულ საწარმოთა პრაქტიკიდანაც იყო ნაკარნახევი. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ სამეთვალყურეო საბჭო სს-ში რეალურად ვერ ასრულებდა იმ მისიას, რაც მას ამგვარი მოდელის მქონე კორპორაციაში უნდა შეესრულებინა. საქართველოსთვის, რომელიც ნამდვილად ვერ დაიკვეხნის გამართული კაპიტალის ბაზრის არსებობით, დამახასიათებელი, გარკვეული გამონაკლისების გარდა,[37] დღემდე არ არის ისეთი დიდი კორპორაციები, რომელთაც რამდენიმე ათასი თანამშრომელი და რამდენიმე ათასი აქციონერი ჰყავს. ძირითადად, ჩვენს ქვეყანაში ისეთი ნაციონალური სს-ები არსებობს, რომელთა განსხვავებაც, პრინციპში, შპს-ისაგან ნაკლებად თუ შეიძლება. ამიტომ რეალურად დაისვა საკითხი, თუ რამდენად აუცილებელი იყო მკვეთრად იმპერატიულად განსაზღვრული მართვის დუალისტური მოდელის არსებობა, რამდენად აუცილებელი იყო ცალკე სამეთვალყურეო საბჭოს მსგავსი ორგანოს ჩამოყალიბება, რომელიც ცალკე მდგომი მაკონტროლებელი ფუნქციით აღჭურვილი ორგანო იქნებოდა.[38] ასეთი ორგანოს არსებობა ხარჯებთანაც არის დაკავში-

[36] მაგ., „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 55-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს და მის სავალდებულო არსებობას ეხება.

[37] ძირითადად, ეს გამონაკლისები საბანკო სექტორს ეხება. თუმცა აქაც ისეთი ბანკები (სს-ები), რომელთაც რამდენიმე ათასი აქციონერი, თანამშრომელი ყავს, იშვიათობას წარმოადგენს.

[38] ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ სს-ის დირექტორატზე საერთოდ არანაირი კონტროლი არ უნდა ხორციელდებოდეს. ამ მხრივ ხაზგასასმელია, რომ ერთსაფეხურიან მოდელშიც, თუკი მაკონტროლებელი ფუნქციები კარგად არის გაწერილი ორგანოთა შორის, კონტროლის ეფექტური საშუალებების მიღწევა თავისუფლადაა შესაძლებელი. ხოლო

რებული და, მარტივად რომ ითქვას, საწარმოსთვის იგი ღირებული უნდა იყოს. ქართულ საწარმოთა პრაქტიკაში კი სულ სხვაგვარი სურათი შეიქმნა. სს-თა უმრავლესობაში, სადაც აქციონერთა წრე შეზღუდული იყო და მხოლოდ რამდენიმე პირს მოიცავდა, უმრავლესობაში მყოფი პარტნიორი თავად განსაზღვრავდა მართვის ორგანოებს – სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატს, თავადვე აკომპლექტებდა მას და თავადვე იყო მასში წარმოდგენილი.[39] ამიტომ რეალურ მაკონტროლებელ ფუნქციაზე საუბარი ზედმეტი იყო. სამეთვალყურეო საბჭო, ისევე როგორც დირექტორატი, აქციონერის ინტერესის განუხრელი გამტარებელი იყო და მისთვის, უხეშად რომ ითქვას, საწარმოს ინტერესების პრიმატი უცხო იყო. ალბათ, სწორედ ამ მოტივებით იყო განპირობებული, რომ ქართულმა სამართალმა გეზი მართვის სისტემებს შორის არჩევანის დაშვების პრინციპისაკენ აიღო.

2. საერთო კრება როგორც ორგანო

აქციონერთა საერთო კრება სს-ის „ზემდგომი[40]“ ორგანოა.[41] მას ზოგიერთი ავტორი სს-ის „პარლამენტსაც“ უწო-

თუ რამდენად იძლევა ნაციონალური კანონმდებლობა ზემოთ თქმულის საშუალებას, ამაზე ქვემოთ იქნება საუბარი.

[39] ამ შემთხვევაში მხედველობაში არ მაქვს ის ვითარება, როდესაც სამეთვალყურეო საბჭოშიც და დირექტორატში ერთი და იგივე აქციონერია წარმოდგენილი. ასეთი რამე, ორგანოთა მკაცრი დივერსიფიცირების პირობებში, რა თქმა უნდა, არ დაიშვებოდა.

[40] შესაძლოა ვიხმაროთ სიტყვა „უმაღლესი“. ამ შემთხვევაში ეს ორი სიტყვა ერთი და იგივე შინაარსით იქნება წარმოდგენილი.

[41] *von Rechenberg*, Die Hauptversammlung als oberstes Organ der Akitiengesellschaft, 1986, S. 23.

დებს.[42] იგი აქციონერთა ნების გამოვლენის და საწარმოს ძირითადი პოლიტიკის შემმუშავაბელი და განმსაზღვრელი ორგანოა. ამიტომაც ახასიათებს მას *ვიურდინგერი*, როგორც „საზოგადოების ნების მაფორმირებელ ორგანოს, სადაც ნების გამოვლენა საზოგადოების გადაწყვეტილებების მიღებისა და აქციონერთა მიერ ხმათა გამოყენების (მიცემის) შედეგად

[42] *Göhmann* in Henn/Jannot/Hagemann (Hrsg.), Hdb. des Aktienrechts, (2009), S. 443. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ სს-ს არ აქვს მკვეთრად გამოხატული იერარქიული ორგანიზაციული სტრუქტურა, ზოგიერთი იურისტი მიიჩნევს, რომ საერთო კრება არ წარმოადგენს საზოგადოების უმაღლეს ორგანოს და ეს ნათქვამიც გადაჭარბებულია. ამიტომ უმჯობესი იქნებოდა სამეთვალყურეო საბჭოს, გამგეობასა და საერთო კრებას შორის საზოგადოების გამტარებელი ინტერესის დაბალანსების პოლიტიკაზე საუბარი, ვიდრე ლაპარაკი მათ შორის იერარქიული სისტემის არსებობაზე. კანონმდებელი „check and balances" პრინციპიდან გამომდინარე და არა იქიდან, რომ ერთი ორგანო მეორეზე, იერარქიული თვალსაზრისით, უფრო მაღლა დგას. *Hoffmann-Becking*, ZHR 2008, S. 231. გამომდინარე აქედან, გერმანული სააქციო სამართალი, შპს-ის სამართლისაგან განსხვავებით, სამი თანაბარი მნიშვნელობის მქონე ორგანოს პრინციპის მატარებელი უნდა იყოს. BVerfG = NZG 2000, S. 192 („Wenger/Deimler-Benz"). მითითებულია: *Hoffmann-Becking*, ZHR 2008, S. 231. ამავე დროს, დასათანხმებელია *ზემლერის* პოზიციაც, რომელიც საერთო კრების, როგორც საზოგადოების უმაღლესი ორგანოს სტატუსიდან ამოდის. იგი შემდეგნაირად ამყარებს ამ მოსაზრებას: პირველ რიგში აქციონერთა საერთო კრება ის ორგანოა, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ნიშნავს და ამით საწარმოს გამგეობაზე მაკონტროლებელ ფუნქციებს იხვეჭს. მეორე მხრივ, საერთო კრებას უფლებამოსილება აქვს გამგეობის წევრთა ნდობის საკითხი დააყენოს და სამეთვალყურეო საბჭოს მეშვეობით ახალი წევრები წარადგინოს ხელმძღვანელობით-წარმომადგენლობით ორგანოში. ამასთანავე, საერთო კრება არის ორგანო, რომელსაც შესაძლებლობა აქვს საწარმოს ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით მიიღოს გადაწყვეტილება: წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, კაპიტალის გაზრდა და შემცირება, მოგების განაწილება და ბოლოს, გამოვლინოს ნება საზოგადოების დაშლის თაობაზე. სხვა არც ერთ ორგანოს ამის კომპეტენცია არ აქვს. იხ.: Münch. Hdb. GesR IV/*Semler*, §34 Rn. 4.

წარმოებს".[43] საერთო კრება ის ადგილია, სადაც აქციონერები ხმის უფლებას იყენებენ[44] და ამით საზოგადოების ნების ფორმირებაზე თავიანთ გავლენას ახდენენ. აქციონერის ცენტრალური უფლებები რეალიზებას სწორედ საერთო კრებაზე პოვებს. ამ ცენტრალურ უფლებებს განეკუთვნება: საერთო კრებაზე მონაწილეობის უფლება, სიტყვის უფლება, განცხადების გაკეთების უფლება, კითხვის უფლება.[45] საერთო კრებაზე აქციონერთა ნების შესაბამისად, გარკვეული გადაწყვეტილებები მიიღება, ამიტომ ამ გადაწყვეტილებათა შემუშავების და მიღებისთვის საკორპორაციო სამართლის მიერ შემუშავებულია მთელი რიგი პროცედურებისა, რომლის გათვალისწინება საერთო კრების მუშაობისას სავალდებულოა.[46]

საერთო კრება საზოგადოების ისეთი ორგანოა, რომლის ჩამოყალიბება-შექმნასაც არ ესაჭიროება ისეთი დანიშვნითი აქტების მიღება, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოსა და გამგეობისთვის არის დამახასიათებელი. იგი ავტომატურად კორპორაციის ყველა პარტნიორისაგან შედგება[47] და მათ გაერთიანებით ორგანოს წარმოადგენს. ამიტომ საერთო კრება, აქციონერთა გაერთიანების შედეგად გამნოხატული ნების საფუძველზე, იმ ამოცანას ასრულებს, რასაც „საზოგადოების დასახული მიზნის მიღწევა" ჰქვია.[48]

აქციონერთა საერთო კრების ცნება არც გერმანულ და არც ქართულ კანონმდებლობაში მოცემული არ არის. შესაბამისად, საერთო კრების ლეგალური საკანონმდებლო განმარტება არ არსებობს. კანონმდებლობა მხოლოდ საერთო კრების

[43] Hans Würdinger, Aktienrecht, Berlin 1973, §27 I.
[44] *Semler* in Semler/Volhard (Hrsg.), HV Hndb, S. 8.
[45] *Kremer* in Ringleb/Kremer/Lutter/Werder, DCGK, (2005), S. 65.
[46] *Steiner*, Die HV der AG, S. 1.
[47] *Langenbucher*, Aktien- und Kapitalmarktrecht, (2008), S. 82.
[48] *Steiner*, Die HV der AG, S. 1.

ფუნქციითა და კომპეტენციის განსაზღვრით შემოიფარგლება. იურიდიული დოგმატიკა საერთო კრების *ორ ძირითად ფუნქციას* გამოყოფს: პირველი ფუნქცია საერთო კრების, როგორც ნების გამომვლენი ორგანოს, მეორე კი წარმომადგენლობითი ორგანოს ფუნქციაში ვლინდება.[49] ის, რომ საერთო კრება საზოგადოების „შინაგანი ნების გამომვლენი" ორგანოა,[50] ეჭვს არ იწვევს. მაგრამ არის თუ არა იგი ასევე წარმომადგენლობითი ფუნქციით აღჭურვილი ორგანო, შესაძლოა საკამათო იყოს. გერმანულ ლიტერატურაში ამ მხრივ იმ საგამონაკლისო შემთხვევაზე საუბრობენ, როდესაც საერთო კრება ასეთი ფუნქციით შეიძლება იყოს აღჭურვილი. კერძოდ, აუდიტორთა დანიშვნის დროს. დამოუკიდებელ ექსპერტთა დანიშვნის შემთხვევაში საერთო კრება მოქმედებს როგორც საზოგადოების წარმომადგენელი ორგანო მესამე პირთან ურთიერთობაში. დამოუკიდებელი აუდიტორები დასახელებული იქნება საერთო კრების მიერ და მათი საქმიანობის სამართლებრივი საფუძველიც საზოგადოებასთან გაფორმებული ხელშეკრულება იქნება. გერმანული სააქციო კანონმდებლობის შესაბამისად, ასეთი ხელშეკრულების დადებისას საზოგადოება სწორედ საერთო კრების სახით არის წარმოდგენილი.[51] საერთო კრების ზემოთ აღნიშნული ფუნქციებისაგან განასხვავებენ მის კომპეტენციას. საერთო კრებას გარკვეული, კანონით დადგენილი კომპეტენცია აქვს. როგორც კანონით დადგენილ ორგანოს აქციონერთა საერთო კრებას საზოგადოების გარკვეულ საკითხებთან მიმართებით *კანონით ან წესდებით* მიკუთვნებული უფლებამოსილება აქვს. საუბრობენ საერთო კრების *დაწერილ*

[49] *Mülbert* in GrossKommAktG, Vor §§118-147 Rn. 9.
[50] *Mülbert* in GrossKommAktG, Vor §§118-147 Rn. 19.
[51] *Mülbert* in GrossKommAktG, Vor §§118-147 Rn. 22; *Bezzenberger* in GrossKommAktG, §142 Rn. 39.

და დაუწერელ კომპეტენციაზეც.[52] საერთო კრების დაწერილ კომპეტენციაში ჩამოთვლილია ის საკითხები, რომელიც კანონის ან საზოგადოების წესდების ჩანაწერებიდან გამომდინარეობს. თუმცა სასამართლო პრაქტიკის[53] და იურიდიული ლიტერატურის მიერ განვითარებულია ასევე საერთო კრების დაუწერელი უფლებამოსილების დოქტრინა. ამაზე ქვემოთ იქნება საუბარი, როდესაც საერთო კრების ცალკეული კომპეტენციები იქნება დახასიათებული. საკითხი მართლაც საინტერესოა. განსაკუთრებით ქართული სამართლისათვის. ამიტომ მასზე სპეციალურად შეჩერება მიზანშეწონილი იქნება.

საერთო კრების ფუნქციებთან და კომპეტენციასთან ერთად პროცედურული თვალსაზრისით გამოსაყოფია *მორიგი და რიგგარეშე* საერთო კრება. საერთო კრების მოწვევის, მისი დანიშვნის, ჩატარების, კენჭისყრის, გადაწყვეტილების მიღების და მასთან დაკავშირებული ფორმალურ-პროცესუალური საკითხების შესახებ კანონმდებლობა სათანადო მოწესრიგებას გვთავაზობს. საერთო კრება, როგორც საზოგადოების უმაღლესი და აქციონერთა წარმომადგენლობითი ორგანო, გარკვეული ინტენსიურობით ტარდება. ამასთან საერთო კრება ტარდება მაშინ, როდესაც ამას „საზოგადოების საერთო ინ-

[52] *Reichert* in Müller/Rödder (Hrsg.), Beck'sches Hdb. der AG, §5 Rn. 1.
[53] ამ შემთხვევაში გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლოს მიერ მიღებულ ცნობილ გადაწყვეტილებაზე საუბრობენ, რომელიც „ჰოლცმიულერის" სახელით არის ცნობილი. 1982 წ. 25 თებერვლის გადაწყვეტილება - BGH II ZR 174/80 (BGHZ 83, 122 ff.); ასევე საუბრობენ „გელატინის" გადაწყვეტილების თაობაზე, რომელიც 2004 წ. 26 აპრილს იქნა მიღებული - BGH II ZR 155/02 (BGHZ 159, 30 ff.). თუმცა ლიტერატურაში ნათქვამია, რომ თანამედროვე სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებამდე, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მიწურულს საიმპერიო სასამართლოს ჰქონდა მიღებული გენერალური ყრილობის დაუწერელ კომპეტენციაზე გადაწყვეტილება. იხ.: *Fleischer* in Bayer/Habersack, Aktienrecht im Wandel, S. 438 f.

ტერესი, მის კეთილდღეობა მოითხოვს".[54] შესაბამისად, მისი ჩატარება დროის გარკვეულ პერიოდს უნდა უკავშირდებოდეს, რომელიც, ერთი მხრივ, ზუსტად არის დადგენილი კანონის[55] მიერ, მეორე მხრივ კი, შესაძლოა გაწერილი იყოს წესდებით ან სულაც დამოკიდებული იყოს ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებაზე.

მნიშვნელოვანია, რომ საერთო კრება თავისი არსებით არ წარმოადგენს სისტემატურ ორგანოს.[56] იგი საჭიროებისამებრ საქმიანობს და მუშაობის დასრულების შემდეგ „იშლება". ამგვარად, საზოგადოების სხვა ორგანოებისაგან[57] განსხვავებით აქციონერთა საერთო კრება არის ე.წ. zeitweiliges Organ - „დრო და დრო ორგანო", ანუ ორგანო, რომელიც გამგეობისაგან და სამეთვალყურეო საბჭოსაგან განსხვავებით ნაკლები ინტენსივობით[58] იკრიბება და მუშაობს.[59] მაგრამ საერთო კრების „არასისტემატურობა", მისი, როგორც საზოგადოების

[54] *Raeiser/Veil,* Recht der Kapitalgesellschaften, (2010), S. 200.

[55] მაგ., თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული აქციონერთა საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ. „მეწარმეთა შესახებ" კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტი. გერმნიის სააქციო კანონი არ შეიცავს ამგვარ ფორმულირებას და დაძენს, რომ „საერთო კრება ტარდება კანონით ან წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც ამას საზოგადოების ინტერესი მოითხოვს". AktG §121 Abs. 1. ამასთან გერმანული სამართალი ჩვეულებრივ საერთო კრებას სხვადასხვა ნორმებში მოიხსენიებს, რითიც შესაძლებელი ხდება იმის დასკვნა, რომ ჩვეულებრივი, ანუ მორიგი საერთო კრება აქაც წელიწადში ერთხელ ტარდება და გამგეობის მიერ მოიწვევა. AktG §175 Abs. 1; HGB §325.

[56] *Hüffer*, AktG, (2010), §118 Rn. 5; Münch. Hdb. GesR IV/*Semler*, §34 Rn. 7.

[57] სამეთვალყურეო საბჭო და გამგეობა (დირექტორატი).

[58] კანონით გათვალისწინებული აუცილებელი მორიგი კრების გარდა.

[59] *Göhmann* in Henn/Jannot/Hagemann (Hrsg.), Hdb. des Aktienrechts, (2009), S. 443.

ცენტრალური შემადგენელი ორგანოს სტატუსზე გავლენას ვერ მოახდენს. ამიტომ საერთო კრება არის ორგანო, რომელიც სს-ის ორგანიზაციული სტრუქტურის შემადგენელი ნაწილია და მისი არსებობა საწარმოს დაფუძნებისას აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული.[60] წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოებას რეგისტრაციაზე უარი უნდა ეთქვას.

გერმანული სააქციო სამართლისთვის დამახასიათებელია ორგანოთა ავტონომიურობის პრინციპი. ეს პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოების თითოეულ ორგანოს მკვეთრად განსაზღვრული და ჩამოყალიბებული კომპეტენცია აქვს და ისინი, როგორც წესი, ერთმანეთის საქმიანობაში არ ერევიან.[61] მართალია, სამეთვალყურეო საბჭო აღჭურვილია მაკონტროლებელი ფუნქციით და გამგეობაზე ზედამხედველობა ეკალება, თუმცა ეს არა პირდაპირი, არამედ არაპირდაპირი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ. გამგეობა თავის საქმიანობას საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში ახორციელებს[62] და არც სამეთვალყურეო საბჭოს და არც საერთო კრებას[63] არ აქვს უფლება მას მითითებები მისცეს.[64] ასეთივე ვითარებაა

[60] *Steiner*, Die HV der AG, S. 2.

[61] შეად.: Münch. Hdb. GesR IV/*Semler*, §34 Rn. 5.

[62] AktG §76 Abs. 1.

[63] გარკვეული გამონაკლისების გარდა. ეს გამონაკლისები, ძირითადად, საკონცერნო საწარმოებს შეეხება.

[64] მართალია, სრული დამოუკიდებლობა და „გარიყვა" საზოგადოების მითითებებისაგან ვერაფრით გამოვა. აქ საუბარი იმაზეა, რომ გამგეობამ არ უნდა მიიღოს საზოგადოების საზიანო გადაწყვეტილებები, თუნდაც საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს ზეგავლენას გრძნობდეს. ამ შემთხვევაში, გამგეობისთვის სწორედ საწარმოს ინტერესის პრიმატია, ხოლო გამგეობას უნდა სწამდეს, რომ იგი სწორედ ამ ინტერესის პრიმატისთვის მოქმედებს და მისი ეს ქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისთვის. გერმანიის კორპორაციული მართვის კოდექსი ამ საკითხთან მიმართებით კიდევ უფრო აკონკრეტებს სააქციო კანონის ჩანაწერს და გარკვეულ გან-

საერთო კრებასა და სამეთვალყურეო საბჭოს შორის ურთიერთობისას. სამეთვალყურეო საბჭოს, ისევე, როგორც გამგეობას, საქმეების კეთილსინდისიერად გაძღოლის მოვალეობა ეკისრება. ამიტომ მისი მხრიდან არამართლზომიერი ქმედების და საზოგადოებისათვის ზიანის მიყენების დროს, ეს უკანასკნელი საერთო კრების წინაშე თავს ვერაფრით იმართლებს. მოკლედ, საერთო კრება საწარმოს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მართავს. კანონი მას კომპეტენციათა არეალს განუსაზღვრავს, რომელშიც იგი მოქმედებს.

განსხვავებული ვითარება იკვეთება ქართულ საკორპორაციო სამართალში. ნაციონალურმა კანონმდებლობამ, როგორც ეს არაერთგზის ითქვა, გეზი საწესდებო ავტონომიის თავისუფლების პრინციპისაკენ აიღო. ეს პრინციპი თავის გამოხატულებას სს-ის აქციონერთა საერთო კრების მიმართაც პოვებს. ამის საუკეთესო მაგალითია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის ბოლო აბზაცი, სადაც ნათქვამია, რომ საერთო კრების კომპეტენცია[65] შესაძლოა, სამეთვალყურეო საბჭოზე[66] ან დირექტორატზე გადანაწილდეს. მათ შორის კომპეტენციათა გადანაწილების შესახებ დათქმას, ბუნებრივია, საზოგადოების წესდება უნდა შეიცავდეს. ამ კომპეტენციათა საწარმოს სხვადასხვა ორგანოებზე გადანაწილება არ შეიძლება მოხდეს სხვა რაიმე სახის დოკუმენტით. აუცილებელია, რომ უფლებამოსილებათა დელეგირების საკითხები, მასშტაბი და ა.შ. მოცემული და განსაზღვრული იყოს მხოლოდ წესდებით. ამასთან „მეწარმეთა შესახებ“ კანონისათვის,

მარტებებსა და რეკომენდაციებს იძლევა. იხ.: *Kremer* in Ringleb/Kremer/Lutter/Werder, DCGK, (2005), S. 149.

[65] რომელიც მეწარმეთა კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტშია ჩამოთვლილი.

[66] ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მისი ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილების არსებობით,[67] ერთი მნიშვნელოვანი მომენტია დამახასიათებელი: თუკი თვალი გადაევლება მოცემული საკანონმდებლო აქტის სტრუქტურას და აგებულებას, ადვილი დასანახი იქნება, რომ პარტნიორთა კრების საერთო კომპეტენციას კანონის ზოგადი ნაწილი განსაზღვრავს.[68] აღნიშნულ მუხლში მოცემულია უკლებლივ ყველა სამართლებრივი ფორმის[69] პარტნიორთა კრების კომპეტენცია. იმ შემთხვევაში, თუკი საზოგადოების წესდებით ორგანოთა სპეციალური კომპეტენცია არ არის განსაზღვრული, საზოგადოება სწორედ აღნიშნულ ნორმას დაეყრდნობა. თუმცა სს-სთან მიმართებით სიტუაცია სხვაგვარია. კანონის 54-ე მუხლი, როემლიც, რა თქმა უნდა, კანონის სპეციალური მუხლია, მხოლოდ საერთო კრების კომპეტენციას აღწერს და ამით მხოლოდ სს-ის საერთო კრების (პარტნიორთა კრების) უფლებამოსილებას განსაზღვრავს. თვალნათელია, რომ კანონი სს-სთან მიმართებით რეგულირების სპეციალური რეჟიმით გამოირჩევა. აქედან გამომდინარე, განხილვის შემდეგი საკითხიც საერთო კრების „სპეციალურ“ კომპეტენციას შეეხება.

3. საერთო კრების კომპეტენცია

აქციონერთა საერთო კრების კომპეტენცია კანონმდებლობით თითქმის ამომწურავად არის განსაზღვრული. ამიტომ

[67] საკორპორაციო სამართალის (მეწარმეთა კანონის) წარმოშობის, მისი თავისთავადობის შესახებ შეგიძლიათ იხ.: *ჯანტურია*, კანონი მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამარტლის წარმოშობა საქართველოში, სერგო ჯორბენაძის საიუბილეო (70 წლისადმი მიძღვნილი) კრებული, თბ. 1996, გამომც. „ნორმა“, გვ. 32-50.

[68] მუხლი მე-9[1].

[69] ამ შემთხვევაში მხოლოდ სამეწარმეო საზოგადოებები იგულისხმება.

იურიდიულ ლიტერატურაში საერთო კრების კომპეტენციის „ენუმერაციულობაზე“ საუბრობენ, რაც ნიშნავს, რომ კანონის მუხლი კონკრეტულად შეიცავს იმ უფლებამოსილების ჩამონათვალს, რომელიც ამ ორგანოს აქვს მიკუთვნებული.[70] აქედან გამომდინარე კი, საერთო კრების კომპეტენციის „ენუმერაციულობის პრინციპზე“[71] ამახვილებენ ყურადღებას.[72] საერთო კრება, როგორც წესი, მოქმედებს იმ კომპეტენციის ფარგლებში, რაც მას კანონმა ან თუ კანონი იძლევა ამის უფლებას, წესდებამ დაუდგინა.[73] საერთო კრების კომპეტენციის დახასიათების ცენტრალურ ნორმას სააქციო კანონის 119-ე პარაგრაფი, ხოლო „მეწარმეთა შესახებ“ კანონის - 54-ე მუხლის მე-6 პუნქტი წარმოადგენს. აღნიშნულ ნორმებში კანონმდებლის მიერ მცდელობაა საერთო კრების უფლებამოსილების ამომწურავი ჩამონათვალი დადგინდეს, თუმცა რიგ შემთხვევაში ამის მიღწევა შეუძლებელი უნდა იყოს.

სანამ უშუალოდ კრების კომპეტენციის დახასიათებას შევუდგებოდე, აუცილებელია აღინიშნოს, რომ გერმანულ სამართალში სააქციო კანონის 119-ე პარაგრაფს იმპერატიულად დადგენილი ნორმის ხასიათი აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ მასში აღწერილი უფლებამოსილება არ შეიძლება გადაეცეს საზოგადოების სხვა რომელიმე ორგანოს ან მესამე პირს.[74] მუხლი, რომელიც საერთო კრების კომპეტენციას ეხება, ამბობს *ჰუფერი*, მისი პოზიტიური და ნეგატიური გაგებით (შინაარსით) უნდა იქნეს ახსნილი. საერთო კრების უფლებამოსილების ნეგატიური ვაგება სწორედ იმას უნდა გულისხმობდეს, რომ კანონი მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევაში აძლევს საზოგადოების გამგეობას უფლებას, კანონის კონკრეტული ჩამონათვალისა და წესდების გარდა, „საერთო კრება გახადოს უფლებამოსილი“.[75] ეს უკანასკნელი ის შემთხვევაა, რომელსაც სააქციო კანონის 119-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცი ითვალისწინებს: ხელმძღვანელობით საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის თაობაზე საერთო კრება მხოლოდ მაშინ არის უფლებამოსილი, თუკი ამას თავად საზოგადოების გამგეობა მოითხოვს.[76] მეწარმეთა კანონი არ შეიცავს გერმანულის მსგავს საკანონმდებლო მოცემულობას, თუმცა თვალნათელია, რომ კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი სწორედ ამაზე ამახვილებს ყურადღებას: აქციონერთა საერთო კრების ერთ-ერთი ულფებამოსილება აუდიტორის არჩევაში მდგომარეობს. თუმცა ვინ დებს მასთან გარიგებას, ვინ გამოდის საზოგადოების სახელით სამართლებრივ ურთიერთობაში, კანონით დადგენილი არ არის. სამწუხაროა, მაგრამ არც ქართული იურიდიული ლიტერატურა იძლევა ამაზე პასუხს. ამიტომ შესაძლოა, საკითხის ორგვარი გადაწყვეტის გზა იქნეს შემოთავაზებული. პირველი - გერმანული მოდელი, ანუ საერთო კრება ამ შემთხვევაში აღიჭურვება წარმომადგენლობითი ორგანოს ფუნქციით და საზოგადოების სახელით გამოვა აუდიტორთან გარესამართლებრივ ურთიერთობაში,[77] მეორე მიდგომა შეიძ-

[70] *Göhmann* in Henn/Jannot/Hagemann (Hrsg.), Hdb. des Aktienrechts, (2009), S. 444; Schüppen/Schaub/*Binge/Thölke*, MAH Aktienrecht, (2010), §25 Rn. 12.

[71] Enumerationsprinzip.

[72] Münch. Hdb. GesR IV/*Semler*, §34 Rn. 9.

[73] Münch. Hdb. GesR IV/*Semler*, §34 Rn. 9.

[74] *Hüffer*, AktG, (2008), §119 Rn. 1. ვუთითებ: Münch. Hdb. GesR IV/*Semler*, §34 Rn. 9.

[75] *Hüffer*, AktG, (2012), §119 Rn. 1.

[76] „Über Fragen der Geschäftsführung kann die Hauptversammlung nud dann entscheiden, wenn der Vorstand es verlangt“. AktG §119 Abs. 2.

[77] აქ გსათვალისწინებელი ის მომენტი, რომ გერმანული კანონმდებლობა (AktG §119 Abs. 1 Satz 4.) ხმარობს ტერმინს „Bestellung“, რაც ქართულად დანიშვნას მიესადაგება, ხოლო ნაციონალური კანონმდებლობა პირდაპირ მიუთითებს არჩევაზე - „ი“ ქვეპუნქტი: აირჩიოს აუდიტორი.

ლება იმაში მდგომარეობდეს, რომ საერთო კრება, კანონით მიკუთვნებული კომპეტენციის ფარგლებაში, გადაწყვეტს აუდიტორთა არჩევის საკითხს, მიიღებს გადაწყვეტილებას. შესაბამისად, საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე საწარმოს დირექტორატს საზოგადოების სახელით დაევალება აუდიტორთან ხელშეკრულების გაფორმება. ხოლო თუ რამდენად შეუძლია აქციონერთა კრებას გარკვეული მითითებები მისცეს დირექტორატს, მითუმეტეს, რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონი არ იცნობს გერმანული სააქციო კანონის 76-ე პარაგრაფის მსგავს დანაწესს, წიგნის შემდგომ ნაწილში გაირკვევა.

3.1. „დაწერილი“ კომპეტენცია

როგორც ითქვა, კანონმდებლობა ზუსტად განსაზღვრავს აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციას. მისი „ამომწურავი“ ჩამონათვალი მოცემულია გერმანიის სააქციო კანონის 119-ე და „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 54-ე მუხლში. ამჯერად, კრების უფლებამოსილების დახასიათებისას ქრონოლოგიურად მეწარმეთა კანონის აღნიშნული მუხლის ჩამონათვალს დავეყრდნობი. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ სააქციო სამართალი (ამ ჩამონათვალის მიხედვით) საერთო კრების გადაწყვეტილებებს ორ ძირითად ღიონისძიებად განიხილავს: მიმდინარე (მორიგი) ღონისძიებები და სტრუქტურული (ფუნდამენტური) ღონისძიებები.[78] ნაციონალური სამართლის შესაბამისად სტრუქტურულ ღონისძიებად განხილული იქნება ისეთი ღონისძიებანი,[79] რომელიც „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 54-ე მუხლის მე-7 პუნქტიდან გამომდინარე, ამავე მუხლის მე-6 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებშია აღწერილი.[80] წესდებაში ცვლილების შეტანა საერთო კრების სტრუქტურულ ღონისძიებად განიხილება.

[78] *Zöllner* in Kölner Komm, §119 Rn. 13 ff, *Grunewald,* AG 1990, S. 133. მითითებულია: *Hüffer*, AktG, (2012), §119 Rn. 5.

[79] საერთო კრების კომპეტენცია.

3.1.1. წესდებაში ცვლილება-დამატების შეტანა

აქციონერთა საერთო კრების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპეტენცია საზოგადოების წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანაში გამოიხატება. მეწარმეთა კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი საერთო კრებას ანიჭებს უფლებამოსილებას „მიიღოს ცვლილებები სსის წესდებაში“. მართალია, აღნიშნულ ნორმაში არაფერია ნათქვამი ასევე წესდებაში გარკვეული დამატებების შეტანის თაობაზე, მაგრამ კანონის ტექსტის განმარტებიდან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ წესდებაში შესატანი ცვლილებები აგრეთვე დამატებებსაც გულისხმობს. საზოგადოების წესდება კორპორაციის გარე და შიდა დოკუმენტია. იგი საზოგადოების „კონსტიტუციაა“, რომელიც საწარმოს დაფუძნების მომენტში მიიღება. მეწარმეთა კანონმდებლობაში განხორციელებული რეფორმების შემდეგ, როგორც იქნა, წესდებას ქართულ საწარმოთა სამართალში საკუთარი დამოუკიდებელი ადგილი მიეჩინა. მისი შექმნა მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის, იგი (მისი გარკვეული ნაწილი) კორპორაციულ-

[80] ამ მხრივ გერმანული სააქციო სამართალი ქართულს გავს, თუმცა იმ განსხვავებით, რასაც მეწარმეთა კანონის 54-ე მუხლის მე-7 პუნქტი შეიცავს (საწესდებო ავტონომიაზეა საუბარი). გერმანიის სააქციო კანონი სტრუქტურულ ღონისძიებად მიიჩნევს: წესდებაში ცვლილებათა შეტანას, კაპიტალის შექმნის და შემცირების ღონისძიებებს, საზოგადოების დაშლას. მიმდინარე ღონისძიებებს განეკუთვნება: სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევა, საბალანსო (წლიური) მოგების გამოყენება (განაწილება), სამეთვალყურეო საბჭოსა და გამგეობის წევრთა გაშვება/გათავისუფლება, აუდიტორთა დანიშვნა. *Hüffer*, AktG, (2012), §119 Rn. 5.

სამართლებრივ აქტად განიხილება და მისი ჩამოყალიბება საზოგადოების რეგისტრაციამდე სავალდებულოა. წესდების შექმნასა და განსაზღვრაში უკლებლივ ყველა დამფუძნებელი პარტნიორი იღებს მონაწილეობას. კანონის მოთხოვნით,[81]

[81] აქ როგორც ქართული, ისე გერმანული კანონმდებლობა (AktG §23) იგულისხმება, თუმცაღა ნაციონალური სამართალი, ამ ხრივ, გარკვეულ განმარტებებს მოითხოვს. კერძოდ: ყურადღება მეწარმეთა კანონის (1) 2010 წ. 27 აპრილამდე და (2) 2010 წ. 27 აპრილის მდგომარეობაზე გამახვილდებოდა. პირველი შემთვევისას ნიშანდობლივია კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მოცემულობა. აქ აღნიშნული იყო, რომ საზოგადოების რეგისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში მარეგისტრირებელი ორგანოსათვის სავალდებულო იყო საყოგადოების წესდების წარდგენა. წესდება ერთ დოკუმენტად განიხილებოდა და მასზე უკლებლივ ყველა პარტნიორის ხელმოწერა უნდა ყოფილიყო, რომელიც ამავდროულად დამოწმებული იქნებოდა ნოტარიუსის მიერ. 27 აპრილის კანონით წესდებასთან მიმართებით კვლავ შეიცვალა საკანონმდებლო მოცემულობა. ამ მხრივ, ყურადღება გასამახვილებელია ორ მნიშვნელოვან გარემოებაზე: პირველი, ეს არის კანონის მე-3 მუხლის ახალი მე-4[1] პუნქტი, რომელიც ამბობს: პარტნიორები დებენ შეთანხმებას, რომლითაც საზოგადოების საქმიანობის ძირითადი გარე და შიდა ურთიერთობა განისაღვრება. ეს შეთანხმება წესდებად მიიჩნევა, თუმცა კანონმდებლობის მიერ ხდება ამ დოკუმენტის ორ ნაწილად დაყოფა. პარტნიორთა ამ შეთანხმების (ანუ წესდების) ნაწილი, რომელიც სავალდებულო სარეგისტრაციო მონაცემებს შეიცავს (იგივე წესდების სავალდებულო ნაწილი) სარეგისტრაციო განაცხადად მიიჩნევა, ხოლო ის ნაწილი, რომელშიც ფაკულტატური მონაცემებია შეტანილი, წესდების არასავალდებულო ნაწილად და, შესაბამისად, არასარეგისტრაციო განაცხადად მიიჩნევა. გასარკვევ საკითხთან დაკავშირებული მეორე მნიშვნელოვანი გარემოება კანონის მე-5 მუხლის პირველ პუნქტში ვლინდება. ნორმის მიხედვით, წესდების იმ ნაწილს, რომელიც სავალდებულოდ, აქედან გამომდინარე კი, სარეგისტრაციო განაცხადად მიიჩნევა, საზოგადოების უკლებლივ ყველა დამფუძნებელი პარტნიორი უნდა აწერდეს ხელს. ისმის კითხვა: უნდა აწერდეს თუ არა ყველა პარტნიორი ასევე იმ შეთანხმებას, რომელიც არ წარმოადგენს სარეგისტრაციო განაცხადს. ამაზე კანონი კონკრეტულ მითითებას არ იძლევა. თუმცა აღნიშნული ნორმები ისე უნდა განიმარტოს, რომ წესდება, ანუ პარტნიორთა შეთანხმება კვლავ ერთ

წესდებას ყველა დამფუძნებელი პარტნიორი (აქციონერი) უნდა აწერდეს ხელს. გამომდინარე აქედან, წესდება, საზოგადოების არსებობის ამ ეტაპზე, ისეთი დოკუმენტია, რომელიც ერთსულოვანი გადაწყვეტილების საფუძველზე მიიღება. ერთი დამფუძნებელიც რომ იყოს წინააღმდეგი წესდებაში ამა თუ იმ პოსტულატის დადგენისა, წესდების ეს დებულება ბათილად ჩაითვლება. მოკლედ, საზოგადოების დაფუძნებისას კორპორაციის პარტნიორები ადგენენ და განსაზღვრავენ წესდების მატერიალურ და ფორმალურ, სავალდებულო და ფაკულტატურ შინაარს. თუმცა დაფუძნების პროცესში მიღებული წესდება არ ნიშნავს იმას, რომ მისი შეცვლა დაუშვებელია. მასში ცვლილება-დამატების შეტანა აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებას მოითხოვს და ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი. პირველადი წესდების მიღების ფორმალური პროცედურისაგან განსხვავებით, სადაც უკლებლივ ყველა აქციონერი მონაწილეობს და საკუთარ ნებას ავლენს, უკვე მიღებულ წესდებაში შემდგომი ცვლილების შეტანა აღარ მოითხოვს პარტნიორთა ერთსულოვან (ამ შემთხვევაში შესაძლოა, ნახმარი იყოს სიტყვა ერთხმოვანი) გადაწყვეტილებას. როგორც წესი, მისაღები გადაწყვეტილებისთვის ხმათა საჭირო რაოდენობის შესახებ მოთხოვნებს თავად კანონმდებლობა ადგენს. ის, ამა თუ იმ გადაწყვეტილების მისაღებად როგორი ხმათა უმრავლესობა იქნება საჭირო[82] თავად მისაღები გადაწყვეტილების და შეთანხმების საგანზეა დამოკიდე-

მთლიან დოკუმენტად იყოს განხილული. მას უკლებლივ ყველა პარტნიორი უნდა აწერდეს ხელს (წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოების დაფუძნებაზე არ უნდა იყოს საუბარი). შესაბამისად, პირველადი წესდების მიღება, იქნება მისი სავალდებულო თუ ფაკულტატური მხარე, პარტნიორთა ერთსულოლვან გადაწყვეტილებას მოითხოვს.

[82] უბრალო, კვალიფიციური თუ აბსოლუტური (საკორპორაციო სამართალში ძირითადად უმრავლესობის ამგვარ კლასიფიკაციას გამოყოფენ).

ბული. ასე, მაგალითად, წესდებაში ცვლილების მიღებისათვის კანონი[83] სხვა მოთხოვნებს ადგენს, ვიდრე ეს აუდიტორის არჩევის[84] დროს არის საჭირო. თუმცა აქაც, ქართული სააქციო სამართალი, გერმანულისაგან განსხვავებით, უფრო მეტი საწესდებო ავტონომიურობით გამოირჩევა. ამის საუკეთესო მაგალითს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 54ე- მუხლის მე-7 პუნქტი იძლევა. გერმანიის სააქციო კანონში, კანონის იმპერატიული სულისკვეთებიდან გამომდინარე, ამის დაშვების გაცილებით ნაკლები შესაძლებლობა არსებობს.

წესდებაში ცვლილების და დამატების შეტანა აქციონერთა საერთო კრების პრეროგატივაა და იგი მხოლოდ საზოგადოების რეგისტრაციის შემდგომ ფაქტს ეხება.[85] ამიტომაც საუბრობს გერმანული სამართალი, რომ „ცვლილებები საზოგადოების წესდებაში შესაძლოა მიღებულ იყოს მხოლოდ საერთო კრების გადაწყვეტილების მეშვეობით“.[86] ამას გერმანიის სააქციო კანონის 179-ე პარაგრაფის პირველი აბზაცის პირველი წინადადება განსაზღვრავს, სადაც აღნიშნულია, რომ „წესდების ყოველი ცვლილება მოითხოვს საერთო კრების გადაწყვეტილებას“.[87] თუმცა გამონაკლისის სახით წესდებაში შესატანი ცვლილების გარკვეული (ფორმალური) ხასიათიდან გამომდინარე საერთო კრების ეს კომპეტენცია შესაძლოა სამეთვალყურეო საბჭოს გადაეცეს. ასეთი გამონაკლისი სააქციო კანონმდებლობით ზუსტად არის გათვალისწინებული. ამ

[83] „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 54-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

[84] „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 54-ე მუხლის მე-7 პუნქტის ბოლო სიტყვები.

[85] *Körber* in Bürgers/Körber, (2011), AktG, §179 Rn. 2.

[86] *Semler* in Semler/Volhard (Hrsg.), HV Hndb, (2003) S. 23.

[87] „Jede Satzungsänderung bedarf eines Beschlusses der Hauptversammlung“. AktG §179 Abs. 1. Satz (1).

შემთხვევაში ე.წ. „Fassungsänderung“-ზე[88] საუბრობენ, ანუ ისეთ ცვლილებაზე, რომელიც წმინდა ფორმალურ ხასიათს ატარებს და წესდების მატერიალურ მხარეს არ ეხება. ასეთია მაგალითად, წესდებაში ისეთი ცვლილების შეტანა, რომელიც კანონიდან მომდინარეობს (მაგ., კანონის მიერ გაუქმებულ იქნა გარკვეული ნორმა, რომელიც თავის დროზე წესდებაში იყო ასახული. ბუნებრივია, კანონის (როგორც ზემდგომი აქტის) მიერ ასეთი გაუქმებული ნორმა თავად წესდებაშიც ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს და ამოღებულ იქნეს). ამ დროს საუბრობენ იმაზე, რომ წესდების დებულებები შესაბამისობაში უნდა მოვიდეს კანონთან, ამიტომ მათი მიღება არა მატერიალურ, არამედ ფორმალურ ხასიათს ატარებს. ასეთი კომპეტენცია შესაძლოა სამეთვალყურეო საბჭოს გადაეცეს. ფორმალური ცვლილების შემდეგ ჯგუფს ისეთი გადაწყვეტილების მიღება განეკუთვნება, რომელიც წესდებიდან საზოგადოების პარტნიორისათვის ისეთი უპირატესობის დამდგენი ნორმების ამოღებას ეხება, რომელიც უკვე ისედაც გაუქმებულია (ან დადგენილი ვადის გასვლის ან პარტნიორთა შორის მიღწეული შეთანხმების შედეგად), ასევე საერთო კრების მიერ უკვე მიღებული გადაწყვეტილების ტექსტურად ჩამოყალიბებისა და ფორმულირების ღონისძიებები, რომელიც ნამდვილად არ მოითხოვს საერთო კრების უფლებამოსილებას.[89] მოკლედ, წესდებაში ცვლილების შეტანა საერთო კრების

[88] ამაზე მაგ.: *Semler* in Semler/Volhard (Hrsg.), HV Hndb, (2003) S. 23.

[89] *Körber* in Bürgers/Körber, (2011), AktG, §179 Rn. 28. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საერთო კრების მიერ გამგეობაზეც შეიძლება გარკვეული უფლებამოსილება გადავიდეს. ამასაც სააქციო კანონი 237-ე და 202-ე მუხლებში დეტალურად აწესრიგებს. ეს ის შემთხვევებია, როდესაც საკითხი კაპიტალის შემცირებისას აქციათა „ჩამორთმევის“ შესახებ გადაწყვეტილებასა და ნებადართული კაპიტალის გამოყენებისას კაპიტალის გაზრდას ეხება. *Körber* in Bürgers/Körber, AktG, (2011), §179 Rn. 27. სხვა საგამონაკლისო ნორმებს გერმანული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

ისეთ ღონისძიებაში შედის, რომელსაც სტრუქტურული ღონისძიება დაერქვა და მისი მიღება სწორედ ამ უკანასკნელი ორგანოს კომპეტენციის სფეროში შედის. ეს გასაკვირი არც უნდა იყოს: თუკი პირველადი წესდებიდან და მისი, როგორც საზოგადოების ხელშეკრულებიდან ამოვალთ, თვალნათელია, რომ მასში ყოველგვარი ცვლილება-დამატება იმ პირთა გადაწყვეტილებას ეხება, რომელთაც თავდაპირველად მიიღეს იგი. მაგრამ ქართული საკორპორაციო სამართალი ამ საკითხშიც განსხვავდება გერმანულისაგან. აქ მნიშვნელოვანია კვლავ საწესდებო ავტონომიის პრინციპი, რაზედაც კანონი პირდაპირ მიუთითებს. კერძოდ, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის ბოლო წინადადება ამბობს, საერთო კრების აღწერილი კომპეტენცია შესაძლოა საზოგადოების სხვა ორგანოზე — სამეთვალყურეო საბჭოზე ან დირექტორატზე - გადანაწილდეს. შესაბამისად, წესდებაში ცვლილების შეტანა, სწორედ ამ ერთ-ერთ ორგანოზე ან ორივე მათგანზე იქნება დამოკიდებული. მნიშვნელოვანია, რომ ამ შემთხვევაში კანონი ყურადღებას ამახვილებს სამეთვალყურეო საბჭოზე ან დირექტორატზე როგორც *ორგანოზე*. შესაბამისად, აქ არა დირექტორატის ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრები მიიღება მხედველობაში, არამედ თავად ორგანო, რომელიც, თავის მხრივ, გადაწყვეტილებების მეშვეობით (ანუ კოლეგიურად) მოქმედებს.[90]

[90] გამონაკლისი შესაძლოა, ისევ ქართულმა სამართალმა დაუშვას, როდესაც სს-ს არ ეყოლება სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო დირექტორატი მარტო ერთი პირისაგან იქნება ჩამოყალიბებული. ბუნებრივია, ერთი პირისაგან შემდგარი დირექტორატი არ წარმოადგენს კოლეგიურ ორგანოს და აქ გადაწყვეტილებები ერთპიროვნულად იქნება მიღებული. მოკლედ, წესდებაში ცვლილებასაც მხოლოდ ერთი ადამიანი (ქართული, ისევე როგორც გერმანული საკორპორაციო სამართლის მიხედვით დირექტორი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი) მიიღებს.

წესდებაში შესული ცვლილება მის ამოქმედებას (იურიდიული ძალის საკითხს) უკავშირდება. საინტერესოა, თუ რა დროიდან შედის ძალაში წესდებაში მიღებული ცვლილება. ამ მხრივ კვლავ განსხვავებაა გერმანულ და ქართულ სამართალს შორის. განსხვავების ქვაკუთხედს წესდების, როგორც იურიდიული დოკუმენტის არსი წარმოადგენს. როგორც ცნობილია, გერმანულ კაპიტალურ საზოგადოებათა სამართალში, წესდება[91] მთლიანად შეიტანება მარეგისტრირებელ ორგანოში, მისი რეგისტრაცია კი სავალდებულოა. ამიტომ მასში ყოველგვარი ცვლილება წესდების ძველი რედაქციის ახლით შეცვლას იწვევს. შესაბამისად, წესდებაში შესულ ცვლილებას ძალა მხოლოდ სავაჭრო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ აქვს.[92] ნაციონალური სამართალი ამ საკითხის სხვაგვარ მოწესრიგებას გვთავაზობს. გამომდინარე იქიდან, რომ წესდების, როგორც პარტნიორთა შეთანხმების, ერთი ნაწილი არ მიიჩნევა სარეგისტრაციო განაცხადად და, შესაბამისად, არ შეიცავს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილ მონაცემებს, მისი რეგისტრაცია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში სავალდებულო არ არის. წესდების ეს ნაწილი წერილობითი ფორმით უნდა იყოს ჩამოყალიბებული,[93] თუმცა პარტნიორებს სანოტარო წესით მისი დამოწმება არ მოეთხოვებათ და იგი საზოგადოებაში უნდა ინახებოდეს. მასზე პასუხისმგებელი საწარმოს დირექტორი იქნება.[94] საერთო კრებაზე მიღებული

[91] მისი სავალდებულო და ფაკულტატური შინაარსით.

[92] AktG §181 Abs. 1 Satz (1); *Hefermehl* in Gessler/Hefermehl, AktG, §181 Rz. 69. ვუთითებ: *Semler* in Semler/Volhard (Hrsg.), HV Hndb, (2003) S. 24.

[93] „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-4[1] პუნქტის ბოლო წინადადება.

[94] როგორც ეს მეწარმეთა კანონის 2008 წლის 14 მარტიდან 2009 წლის 3 ნოემბრამდე მდგომარეობით იყო მოცემული.

გადაწყვეტილების შემდეგ[95] იგი ძალაში ამ გადაწყვეტილების გამოტანისთანავე შევა. თუმცა წესდება შესაძლოა, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის სხვაგვარ მოცემულობას გვთავაზობდეს. მაგალითად, წესდებით დადგინდება, რომ ცვლილება ძალაში მხოლოდ მას შემდეგ შედის, რაც იგი სათანადო ორგანოში გამოქვეყნდება. „სათანადო ორგანო" წესდებით იქნება განსაზღვრული.

სააქციო კანონის გარდა საერთო კრების კომპეტენციათა ჩამონათვალი მოცემულია ასევე გერმანიის კორპორაციული მართვის კოდექსში.[96] კოდექსის კომენტარებშიც აღნიშნულია საერთო კრების ის ფუნდამენტური ულებამოსილება, რომელიც საწარმოს ამ ორგანოს აქვს.[97] ასეთ ძირითად სტრუქტურულ ღონისძიებად კოდექსი წესდებაში ცვლილების შეტანას განიხილავს. კოდექსის მე-2.2 მუხლი აღნიშნავს: „აქციონერთა საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს წესდების და საზოგადოების საქმიანობის საგნის, წესდებაში ცვლილების და

[95] იგულისხმება წესდებაში ისეთი ცვლილება, რომელიც „მეწარმეთა შესახებ" კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, არ მოითხოვს რეგისტრაციას რეესტრში.

[96] კორპორაციული მართვის კოდექსის, მისი შექმნისა და ჩამოყალიბების შესახებ შეგიძლიათ იხ.: კლაუს ჰოპტი, კორპორაციული მართვა ევროპაში: რეგულირების ახალი მოდელი და „რბილი სამართალი", სამართლის ჟურნალი №1/2009, გვ. 236-245; ცნების განმარტების თაობაზე მოკლედ ასევე: *Hopt*, Comparative Corporate Governance: Ein Themenkatalog, International Congress on Comparative Law, Washington 2010, in: FS Hüffer, S. 358. გერმანიის ფედერაციაში მისი ჩამოყალიბების მოკლე ისტორიული ექსკურსის, აგრეთვე, კორპორაციული მართვის სისტემის განვითარების თანამედროვე ტენდენციების თაობაზე იხ. ასევე: *Krieger*, Corporate Governance und corporate Governance Kodex in Deutschland, ZGR 1/2012, S. 202-227.

[97] *Kremer* in Ringleb/Kremer/Lutter/Werder, DCGK, (2005), S. 74.

საწარმოს არსებითი ღონისძიებების... შესახებ".[98] ასე რომ, სააქციო კანონის 119-ე პარაგრაფის გარდა, სადაც საერთო კრების ზოგადი და ძირითადი კომპეტენციაა აღწერილი, კრების უფლებამოსილებებს, ერთი მხრივ, კორპორაციული მართვის კოდექსი განავრცობა, ხოლო, მეორე მხრივ, ცალკეული კომპეტენციები ასევე სააქციო კანონის ცალკეულ ნორმებშია მოცემული.[99]

წესდებაში შესატანი სავარაუდო ცვლილების ტექსტი წინასწარ უნდა იყოს გამოქვეყნებული.[100] ასე საზოგადოების აქციონერებს შესაძლებლობა ეძლევათ წარმოდგენა ჰქონდეთ იმ ფორმულირებაზე, რომელიც საერთო კრებაზე განიხილება. ამასთან, კომენტატორულ ლიტერატურაში კითხვა ისმის - თუ რამდენად უნდა იქნეს დაკონკრეტებული ეს ტექსტი, იმისათვის, რომ საერთო კრებაზე საჭირო გადაწყვეტილება იქნეს მიღებული.[101] ეს კითხვა სხვაგვარად შეიძლება ასე გამოიყურებოდეს: რამდენად შეიძლება მისაღებ ცვლილებასთან დაკავშირებით საერთო კრებაზე დაყენებულ იქნეს სხვაგვარი ფორმულირება, რომელიც მისაღები გადაწყვეტილების (შესატანი ცვლილების) შინაარსს არ შეეხება. მიჩნეულია, რომ წესდებაში სავარაუდო ცვლილების ტექსტის გამოქვეყნება არ განიხილება ამ საკითხთან დაკავშირებით სხვაგვარი განცხადების დაყენების შემაფერხებელ გარემოებად.[102] მთავარი ის არის, რომ დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხი შინაარსობრივად შეესაბამებოდეს საერთო კრებაზე მისაღებ გადაწყ-

[98] „...entscheidet die Hauptversammlung über die Satzung und den Gegenstand der Gesellschaft, über Satzungsänderungen und über wesentliche unternehmerishe Massnahmen.". DCGK Art. 2.2.1.

[99] მაგ., AktG §§293 Abs. 1, 295 Abs. 1, 319, 320 და ა.შ.

[100] AktG §124 Abs. 2 Satz (2).

[101] MünchKommAktG/*Kubis*, 2. Auf., (2004), §124 Rn.11.

[102] Münch. Hdb. GesR IV/*Semler*, §35 Rn. 49.

ვეტილებას, ანუ შინაარსობრივ ჩარჩოში მოექცეს. იმ შემთხვევაში, როდესაც დღის წესრიგით გათვალისწინებულია სხვა საკითხის განხილვა, ხოლო აქციონერის მიერ საერთო კრებაზე დაყენებულია ისეთი ფორმულირება, რომელიც შინაარსობრივად არ შეესაბამება მას, ასეთი ტექსტი დაუშვებლად უნდა მიიჩნეოდეს. მთავარია, რომ საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება (შინაარსობრივი თვალსაზრისით) შესაბამისობაში მოვიდეს დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხთან.[103] ასე რომ, თავად საერთო კრებას ამ მხრივ გარკვეული თავისუფლების ფარგლები აქვს მიჩენილი. წინააღმდეგ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღება ყოველთვის სირთულესთან იქნება დაკავშირებული: წესდებაში შესატანი ცვლილების შესახებ წინასწარ ფორმულირებას, ძირითადად, საწარმოს გამგეობა ადგენს. თავის მხრივ, ეს ფორმულირება საერთო კრებაზე განხილვის საგანი ხდება. თუკი აქციონერს საერთო კრებაზე არ ექნება უფლება, თავისებურად ჩამოაყალიბოს ფორმულირება, დააყენოს მისთვის სასურველი წინადადება, მაშინ მისთვის არც გადაწყვეტილების მიღების თავისუფლების ფარგლები იქნება დადგენილი. ეს კი პირდაპირ ეწინააღმდეგება საერთო კრების, როგორც კოლექტიური ორგანოს, დანიშნულებას.

ისეთი სტრუქტურული ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთვის, როგორიც წესდებაში ცვლილება-დამატების შეტანაა, აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების გარეშე ვერაფრით მიიღება,[104] მის მისაღებად კი ხმათა გარკვეული რაოდენობაა საჭირო. გერმანული სამართალი ასეთ რაოდენობას სააქციო კანონის 179-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცის პირველ წინადადებაში ითვალისწინებს. აქ

[103] *Werner* in GrossKommAktG, §124 Rz. 35; *Eckardt* in Gessler/Hefermehl/eckardt/Kropff, §124 Rz. 52.
[104] *Schüppen/Schaub/Binge/Thölke*, MAH Aktienrecht §25 Rn. 13.

ნათქვამია, რომ საერთო კრების გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ისეთი უმრავლესობა, რომელიც კრებაზე წარმოდგენილი საწესდებო კაპიტალის მინიმუმ 3/4-ს შეადგენს. მართალია, წესდებას შეუძლია გაითვალისწინოს უფრო მაღალი ან დაბალი მაჩვენებელი, თუმცა საწარმოს საქმიანობის საგნის ცვლილების საკითხის განხილვისას და ამაზე გადაწყვეტილების მიღებისას, წესდებით მხოლოდ უფრო მაღალი მაჩვენებელი უნდა დადგინდეს.[105] წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოების წესდების შესაბამისი მუხლის ჩანაწერი ბათილად უნდა გამოცხადდეს. ამასთან, წესდებამ შესაძლოა სხვა მოთხოვნებიც დაადგინოს.[106] „მეწარმეთა შესახებ“ კანონი წესდებაში ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ხმათა საჭირო რაოდენობის დადგენისას პირდაპირ საწესდებო ავტონომიის ფარგლებზე მიუთითებს. ამას კანონის 54-ე მუხლის მე-7 პუნქტი განსაზღვრავს. სტრუქტურული ღონისძიებების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად კანონი კრებაზე დამსწრე ხმის მქონე პარტნიორთა ხმების 75%-ზე, ანუ კვალიფიციურ უმრავლესობაზე საუბრობს, თუმცა საზოგადოების წესდებამ, როგორც ითქვა, შესაძლოა უფრო დაბალი ან მაღალი მაჩვენებელი დაადგინოს. ქართულ სს-თა პრაქტიკაში სწორედ კვალიფიციური უმრავლესობა გამოიყენება. ამასთან საინტერესოა საკითხი, თუ რა რაოდენობის ხმებია საჭირო, რომ კრება, წესდებაში ცვლილების საკითხის განხილვისას, საერთოდ უფლებამოსილი – გადაწყვეტილებაუნარიანი იყოს. ამაზე პასუხს, კვლავ საწესდებო ავტონომიის პრინციპიდან გამომდინარე, კანონის 54-ე მუხლის მე-5 პუნქტი იძლევა: თუკი კრებაზე წარმოდგენილია ხმების ნახევარზე მეტის მქონე პარტნიორი, კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილე-

[105] *Semler* in Semler/Volhard (Hrsg.), HV Hndb, (2003) S. 23.
[106] AktG §179Abs. 2 Satz (3).

ბები. თუმცა წესდებას უფრო მცირე ზღვარიც შეუძლია დააწესოს. თუ რამდენად მართლზომიერია კანონის ეს ჩანაწერი, მითუმეტეს სს-სთან მიმართებით, რთული სათქმელია და შეიძლება სპეციალური კვლევის საგანს წარმოადგენდეს.

3.1.2. სს-ის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის გადაწყვეტილება

აქციონერთა საერთო კრების შემდეგი მნიშვნელოვანი კომპეტენცია, რომელიც ასევე სტრუქტურულ ღონისძიებად მოინათლება, კორპორაციის რეორგანიზაციის ან მისი ლიკვიდაციის საკითხის გადაწყვეტაში მდგომარეობს.[107]

ა) რეორგანიზაცია

სს-ის საქმიანობის ამა თუ იმ ეტაპზე შესაძლოა დადგეს მისი სამართლებრივი ფორმის შეცვლის, მისი დაყოფის, მისგან გამოყოფის, მისი სხვა საწარმოსთან შერწყმის აუცილებლობის საკითხი. ამისი საფუძველი შეიძლება სხვადასხვა იყოს, თუმცა ძირითადად იგი ეკონომიკური მდგომარეობით არის განპირობებული.[108] რეორგანიზაცია სამართლის სუბიექტს, გარკვეულწილად, გადარჩენის საშუალებასაც აძლევს, რადგანაც საჭიროებისამებრ მოქმედების სრული თავისუფლება[109] პარტნიორებისთვის ბიზნესის რენტაბელურად წარმართვის თანმდევი ნიშანია. როგორც საზოგადოების დაფუძნების პროცესში, ისე მისი რეორგანიზაციის დროსაც ამ საწარმოსათვის მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯის შესახებ გადაწყვეტილებას კორპორაციის პარტნიორები იღებენ. ამიტომაც ნათქვამია, რომ რეორგანიზაციის შესაძლებლობა არსებობს ნებისმიერი სამართლებრივი ფორმისთვის,[110] რაზედაც გადაწყვეტილება ამ სამართლებრივი ფორმის პარტნიორების გარეშე ვერაფრით მიიღება.[111]

ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებები საწარმოს რეორგანიზაციად განიხილება და მის შესახებ[112] გადაწყვეტილებას აქციონერთა საერთო კრება იღებს. მეწარმეთა შესახებ კანონის მე-14[4] მუხლის მე-3, 4 პუნქტების და 54-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, თუკი საზოგადოების წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს სს-ის რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო იქნება დამსწრე პარტნიორთა ხმების კვალიფიციური (75%-ანი) უმრავლესობა. გერმანული სამართალი ამ საკითხს სხვადასხვა მუხლში და სხვადასხვა კანონებით აწესრიგებს. ამ მხრივ ყურადღება სააქციო კანონის 319-ე, 320-ე და რეორგანიზაციის შესახებ კანონის[113] მე-13, 62-ე, 65-ე,[114] 125-ე,[115] 193-ე[116] პარაგრაფებზე მახვილდება.

[107] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა არ ექცევა საზოგადოების არც ჩვეულებრივი და არც „არაჩვეულებრივი“ (ანუ საქმიანობა, რომელიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს. მეწარმეთა კანონის მე-9[1] მუხლის მე-7 პუნქტი) საქმიანობაში, რაც ხშირად საქართველოში ერთმანეთში ერევათ ხოლმე.

[108] *Dauner-Lieb* in KK-UmwG, Einl. A Rn. 10.

[109] ისევე, როგორც სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად სამართლებრივი ფორმის არჩევის სრული თავისუფლება.

[110] *Dauner-Lieb* in KK-UmwG, Einl. A Rn. 12.

[111] *Kessler* in Kessler/Kühnberger, Umwandlungsrecht, Einl. Rn. 13.

[112] გარკვეული გამონაკლისების გარდა.

[113] UmwG. ამ კანონს შესაძლოა, ხატოვნად „საწარმოთა გარდასახვის კანონიც“ ეწოდოს.

[114] შერწყმა – Verschmelzung. „მეწარმეთა შესახებ“ კაონის მე-14 მუხლის მე-1 პუნქტი; UmwG §1 Abs. 1 Satz 1.

როგორც წარმოჩინდა, გერმანული, ისევე, როგორც ქართული საკორპორაციო სამართალი, რეორგანიზაციის ყველა დასახელებულ შესაძლებლობას იცნობს. თუმცა იგი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება ამ საკითხებს და ქართული სამართლისაგან განსხვავებით, თუ შეიძლება ასე ითქვას, რეგულირებადი ნორმებით გამოირჩევა. ამიტომაც არის, რომ გერმანელებს 1994 წ. რეორგანიზაციის შესახებ ცალკე კანონი აქვთ მიღებული, სადაც დეტალურად არის მოწესრიგებული ამა თუ იმ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაში რეორგანიზაციასთან დაკავშირებული საკითხი.

ა.ა) შერწყმა

რეორგანიზაციის პირველი ფორმა, რომელზედაც თავდაპირველად გამახვილდება ყურადღება არის საწარმოთა (სამართალსუბიექტთა, უფლების მატარებელთა)[117] შერწყმა. საწარმოთა რეორგანიზაციის სამართალი ასეთი შერწყმის ორ სახეობას განასხვავებს: პირველი ეს არის შერწყმა მიერთებით,[118] ხოლო მეორე შერწყმა ახალი დაფუძნების მეშვეობით.[119] ამ უკანასკნელში ის შემთხვევა იგულისხმება, როდესაც ორი ან რამდენიმე საწარმო (სამართალსუბიექტი) ერთ

[115] დაყოფა, გაყოფა, გამოყოფა – Spaltung (Aufspaltung, Abspaltung, Ausgliederung). „მეწარმეთა შესახებ“ კაონის მე-14 მუხლის მე-13 პუნქტი; UmwG §1 Abs. 1 Satz 2.

[116] ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლა - Formwechsel. „მეწარმეთა შესახებ“ კაონის მე-14[4] მუხლის მე-2 პუნქტი; UmwG §1 Abs. 1 Satz 4.

[117] გერმანელები ხმარობენ ტერმინს: Rechtsträger.

[118] რომელსაც გერმანული საკანონმდებლო ტერმინოლოგიით „Aufnahmeverschmelzung“ ჰქვია. UmwG §2 Nr. 1.

[119] *Stoye-Benk*, Handbuch Umwandlungsrecht für die rechtsberatende und notarielle Praxis, (2008), S. 71.

საზოგადოებად გარდაიქმნება (შეირწყმება). ეს უკანასკნელი შერწყმის სპეციფიკურ სახეობად მიიჩნევა, რადგანაც შერწყმის წარმოების პარალელურად ახალი სუბიექტი უნდა დაარსდეს.[120] საზოგადოებათა შერწყმის შესახებ აუცილებელია შერწყმის ხელშეკრულების დადება, რომელზეც თანხმობა წილის მფლობელებმა[121] გადაწყვეტილების მეშვეობით უნდა განაცხადონ. შერწყმისთვის დამახასიათებელია, რომ საწარმო, რომელიც ერწყმის მეორეს ან საზოგადოებები, რომელნიც ერთ საზოგადოებად ერთიანდებიან წყვეტენ არსებობას, ანუ იშლებიან ლიკვიდაციის გარეშე, ხოლო მათი აქტივი და პასივი, როგორც წესი, გადადის მიერთებულ (ახლად ჩამოყალიბებულ) საზოგადოებაზე. ამასთან შერწყმის ხელშეკრულების დადებისას საჭიროა წილის მფლობელთა, საწარმოს პარტნიორთა თანხმობა პარტნიორთა კრებაზე (აქციონერთა საერთო კრებაზე) მიღებული გადაწყვეტილების მეშვეობით.[122] ასეთი გადაწყვეტილების მიღება, გარკვეული გამონაკლისების გარდა,[123] შესაძლებელია ხმათა უმრავლესობის საფუძველზე.[124] რეორგანიზაციის შესახებ გერმანიის კანონი[125] აღნიშნავს, რომ შერწყმის ხელშეკრულება მხოლოდ მა-

[120] *Ballreich*, Fallkommentar, Umwandlungsrecht, (2008), S. 7.

[121] რეორგანიზაციის შესახებ კანონი სპეციალურად ხმარობს ტერმინს: Anteilsinhaber. კანონის ტერმონოლოგიის შესახებ მაგ.: *Flume* in KK-UmwG, Einl. B Rn. 2.

[122] *Stoye-Benk*, Handbuch Umwandlungsrecht, (2008), S. 71.

[123] ამ შემთხვევაში უმრავლესობის გადაწყვეტილებაში იგულისხმება ისეთი გადაწყვეტილება, როდესაც უმცირესობაში მყოფ პარტნიორს არც ხმის უფლების მქონე კაპიტალის 25%-ზე მეტი აქვს და არც განსაკუთრებული უფლებები (ე.წ. Sonderrechte) აქვს მოკუთვნებული, რომელიც სპეციალურ თანხმობას მოითხოვდა. *Stoye-Benk*, Handbuch Umwandlungsrecht, (2008), S. 71.

[124] *Stoye-Benk*, Handbuch Umwandlungsrecht, (2008), S. 71.

[125] UmwG §13 Abs. 1.

შინაა ნამდვილი, როდესაც მონაწილე სუბიექტთა[126] წილის მფლობელები (პარტნიორები) მასზე თანხმობას განაცხადებენ. გაცხადებულ თანხმობაში პარტნიორთა გადაწყვეტილება იგულისხმება, რომელიც საერთო კრებაზე მიიღება.[127] ამიტომ ამ გადაწყვეტილებას საწარმოთა რეორგანიზაციის სამართალი რეორგანიზაციის გადაწყვეტილებას[128] უწოდებს.[129] გერმანული სამართლის მიხედვით, შერწყმის ხელშეკრულება, როგორც ფუძემდებლური გარიგება[130] მხოლოდ ხელმძღვანელობით-წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობის სფეროს არ მიეკუთვნება. ამიტომაც მათი დადება[131] არ შეიძლება მხოლოდ ამ ხელშეკრულების მონაწილე სუბიექტთა მმართველი ორგანოების თანაქმედების შედეგად. აუცილებელია, ამ პროცესში საერთო კრება ჩაერთოს, რომლის გადაწყვეტილებაც აღნიშნული ხელშეკრულების ნამდვილობის ცენტრალურ წინაპირობად მიიჩნევა.[132] გამომდინარე იქიდან, რომ შერწყმის ხელშეკრულების დადებისათვის აუცილებელია აქციონერთა საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება, ასეთი გადაწყვეტილების გარეშე დადებული გარიგება რეორგანიზაციის შესახებ კანონის მე-13 პარაგრაფის პირველი აბზაცის თანახმად, საცილოდ ბათილ გარიგებად მიიჩნევა.[133] ის, რომ ასეთი გარიგება საცილოდ ბათილ გარიგებად ითვლება წილის მფლობელთა ინტერესთა დაცვას ემსახურება. როგორც ფუძემდებლური გარიგება საწარმოს პარტნიორებს უნდა ჰქონდეთ „უკანასკნელი სიტყვა“ საზოგადოების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით. ასეთ დროს კი მათ საწარმოს ხელმძღვანელი ორგანოს (გამგეობის, დირექტორატის) მიერ დადებული ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესაძლებლობა ეძლევათ.[134] მნიშვნელოვანია, რომ ნორმა[135] იმპერატიულ ხასიათს ატარებს. აქედან გამომდინარე, მისაერთებელ თუ შერწყმულ (გაერთიანებულ) საზოგადოებათა წილის მფლობელთა თანაქმედება, თანხმობის გაცემის სახით, რეორგანიზაციის პროცესში სავალდებულო ელემენტია. პარტნიორთა ეს უფლებამოსილება, ქართული სამართლისაგან განსხვავებით,[136] საზოგადოების წესდებით არ შეიძლება გადაეცეს რომელიმე სხვა ორგანოს.[137] რეორგანიზაციის შესახებ გერმანიის კანონი ამბობს, რომ მე-13 პარა-

[126] შერწყმის ხელშეკრულებაში მონაწილე (მხარე) საწარმოები იგულისხმება.
[127] *Simon* in KK-UmwG, §13 Rn. 10.
[128] Verschmelzungsbeschluss.
[129] UmwG §13 Abs. 1.
[130] დაფუძნებითი ხასიათის გარიგება (ხელშეკრულება), ე.წ. Grundlagengeschäft.
[131] იურიდიული მოქმედება.
[132] *Simon* in KK-UmwG, §13 Rn. 1.
[133] *Stratz* in Schmitt/Hörtnagl/Stratz, UmwG, §13 Rn. 8.

[134] *Simon* in KK-UmwG, §13 Rn. 1.
[135] UmwG §13 Abs. 1 Satz (1).
[136] ამას მეწარმეთა კანონის არც ერთი ნორმა არ კრძალავს. კანონის მე-14^4 მუხლის და 54-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, როგორც წესი საწარმოს შერწყმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა კრება (აქციონერთა საერთო კრება), თუმცა საზოგადოების ხელშეკრულებით შესაძლოა, სხვა მოცემულობაც იქნეს გათვალისწინებული. მაგალითად, ამ უფლებამოსილების დელეგირება საწარმოს რომელიმე სხვა ორგანოზე. ვფიქრობ, რომ ასეთი ფუძემდებლური საკითხის შესახებ გადაწყვეტილება მხოლოდ კრებაზე უნდა იქნეს მიღებული. ამ შემთხვევაში კრება, როგორც კოლექტიური ნების ფორმირების ორგანო, უფრო საღ, გონივრულ და საზოგადოებისთვის მიზანშეწონილ გადაწყვეტილებას მიიღებს. იმ შემთხვევაში კი, თუ ეს უფლებამოსილება სხვა ორგანოზე იქნება დელეგირებული, აქციონერს უნდა ჰქონდეს ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების იურიდიული უფლება. ამ დროს საზოგადოების სხვა ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების ტოლფასი უნდა იყოს. ამიტომ აქციონერი (დაესწრებოდა თუ არ დაესწრებოდა კრებას, გადაწყვეტილება კრებაზე რომ ყოფილიყო მიღებული) ყველა შემთხვევაში უნდა იყოს გასაჩივრებაზე უფლებასმოსილი სუბიექტი.
[137] *Maulbetsch* in HK-UmwG, §13 Rn. 8.

გრაფის ცენტრალური ნორმის ხასიათიდან გამომდინარე, მისი მოცემულობა თანაბრად ვრცელდება შერწყმის ყველა ფორმაზე,[138] თუმცაღა აქედან მხოლოდ სამი გამონაკლისი არსებობს: პირველი ის შემთხვევაა, როდესაც იმ საზოგადოებაში,[139] რომელიც სს-ს უნდა მიუერთდეს, სს საწესდებო კაპიტალის 90%-ს ფლობს. ამ დროს მიმღები საზოგადოების[140] აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილება საწარმოს შერწყმის შესახებ სავალდებულო არ არის.[141] შესაბამისად, შერწყმის გადაწყვეტილების როგორც მომზადება, ისე მისი დადება მხოლოდ კორპორაციის ხელმძღვანელობით ორგანოზე იქნება დამოკიდებული. შესაბამისად, შერწყმის ხელშეკრულება შესაბამისი ორგანოების მიერ ხელმოწერის დღიდან მოქმედებს (და ნამდვილია). რეორგანიზაციის კანონის ეს მოთხოვნა ე.წ. საკონცერნო შერწყმის[142] გამარტივებას ისახავს მიზნად,[143] რადგანაც საუბარი საწარმოთა შიდა ურთიერთობის სფეროზეა. ამ შემთხვევაში ყურადღება, ძირითადად, იმაზე მახვილდება, რომ შერწყმის საფუძველი ისეთი შიდა საზოგადოებრივი ინტერესის საკითხია, რომელიც ისედაც ნათელია.[144] გასაკვირი არ არის, რომ შერწყმის მოწინააღმდეგე ამ დროს არავინ იქნება. ამასთან ნიშანდობლივია, რომ ასეთი შერწყმის მონაწილე მხარეები კაპიტალური საზოგადოებები უნდა იყვნენ. ერთი, მხრივ მონაწილე სუბიექტად აუცილებლად სააქციო საზოგადოებაა წარმოდგენილი,[145] ხოლო, მეორე მხრივ, კაპიტალური ტიპის საზოგადოება.[146] საინტერესოა, რომ „ჰოლცმუელერისა“ და „გელატინის“[147] დოქტრინამ იურიდიულ ლიტერატურაში მოსაზრება განავითარა, რომ მიმღები სს-ის ხელმძღვანელ ორგანოს, დაეყრდნობა რა სააქციო კანონის 119-ე პარაგრაფის მეორე აბზაცს, უფლება აქვს საკუთარი შეხედულებისამებრ შერწყმის ხელშეკრულება საერთო კრებაზე გახადოს დამოკიდებული. ამ შემთხვევაში რეორგანიზაციის კანონის 62-ე პარაგრაფისაგან დამოუკიდებლად, სს-ის გამგეობა შერწყმის ხელშეკრულებას აქციონერთა საერთო კრებაზე გაიტანს დასამტკიცებლად. თუმცა საერთო კრების გადაწყვეტილება ვერ განიხილება თავად ამ (შერწყმის) ხელშეკრულების მოქმედების წინაპირობად. ასე რომ, გამგეობის ქმედებას მხოლოდ თავისუფალი და არა სავალდებულო ხასიათი აქვს.[148] მოკლედ, პირველი შემთხვევა შერწყმის დროს აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების არასავალდებულოობის შესახებ, როგორც გაირკვა, საკონცერ-

[138] *Heckscher* in Widmann/Mayer, UmwG, §13 Rn. 2; *Lutter/Drygala* in Lutter, UmwG, §13 Rn. 2. ვუთითებ: *Maulbetsch* in HK-UmwG, §13 Rn. 9.

[139] მისაერთებელი საწარმო (übertragende Gesellschaft).

[140] übernehmende AG.

[141] *Maulbetsch* in HK-UmwG, §13 Rn. 9; *Simon* in KK-UmwG, §62 Rn. 1.

[142] საკონცერნო სამართლის სპეციალური მომწესრიგებელი ნორმები 2008 წლის 14 მარტის ცვლილებებით „მეწარმეთა შესახებ“ კანონიდან საერთოდ ამოღებულ იქნა. შესაბამისად, ასეთმა ფაქტობრივი წარმონაქმნის რეგულირებამ სამოქალაქო სამართლის წიაღში გადაინაცვლა (ამ შემთხვევაში სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპზე უნდა გამახვილდეს ყურადღება). კრეფორმამდე მდგომარეობის შესახებ შეგიძლიათ იხ.: *ჯანტურია/ნინიძე*, მეწარმეთა კანონის კომენტარი, (2002), მე-17 მუხლის კომენტარი.

[143] *Simon* in KK-UmwG, §62 Rn. 1.

[144] *Simon* in KK-UmwG, §62 Rn. 1.

[145] ანუ ის საწარმო, ვისაც უნდა მიუერთდეს მეორე საზოგადოება.

[146] კანონის მოთხოვნით მისაერთებელი საწარმო აუცილებლად კაპიტალური საზოგადოების სახეს უნდა ატარებდეს (იყოს შპს, სს, კსს, ასევე, ესს). *Bermel* in Goutier/Knopf/Tulloch, UmwG, §62 Rn. 6; *Diekmann* in Semler/Stengel, UmwG, §62 Rn. 4. ვუთითებ: *Simon* in KK-UmwG, §62 Rn. 2; იხ. ასევე: *Rose* in HK-UmwG, §62 Rn. 6.

[147] ზემოთ ითქვა, რომ საერთო კრების დაუწერელი კომპეტენციის დოქტრინა გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლოს სწორედ ამ გადაწყვეტილებებით დამკვიდრდა. ამაზე ქვემოთ ვრცლად იქნება საუბარი.

[148] *Brügel* in Kessler/Kühnberger, Umwandlungsrecht, §62 Rn. 2.

ნო საწარმოებს ეხება, თუმცა აქაც გარკვეული შეზღუდვა არსებობს: ეს შეზღუდვა რეორგანიზაციის კანონის 62-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცს ეხება. ამ ნორმის მიხედვით, საერთო კრების გადაწყვეტილება მაშინ ხდება საჭირო, როდესაც ამას უმცირესობაში მყოფი აქციონერი[149] მოითხოვს. სს-ის საწესდებო კაპიტალის მინიმუმ 5%-ის მფლობელი აქციონერები, თუკი ისინი შერწყმის ხელშეკრულების საერთო კრებაზე დასამტკიცებლად (თანხმობის გასაცემად) გატანას მოითხოვენ, უფლებამოსილნი ხდებიან საწარმოს შერწყმის ხელშეკრულება საერთო კრების თანხმობაზე გახადონ დამოკიდებული.[150] შესაბამისად, ხელშეკრულება, როგორც წესი, საერთო კრების გადაწყვეტილების შემდეგ ხდება ნამდვილი. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მხოლოდ ერთი ფაქტია: უმცირესობის მიერ საერთო კრების მოწვევის საკითხი. კანონი უმცირესობას არ თხოვს მოთხოვნის დასაბუთებას, ისევე, როგორც სპეციალური ფორმის დაცვას, თუმცა მტკიცების ტვირთის გაადვილების და სხვა პროცესუალურსამართლებრივი მოსაზრებიდან გამომდინარე, შემოთავაზებულია წერილობითი ფორმა.[151]

მეორე გამონაკლისი რეორგანიზაციის კანონის 120-ე და მომდევნო პარაგრაფებს ეხება. ეს ის შემთხვევაა, როდესაც კაპიტალური საზოგადოება მის ერთადერთ პარტნიორს უერთდება.[152] რეორგანიზაციის ეს სახე სპეციფიკურ სახედ მიიჩნევა[153] და მისი გამოყენება პრაქტიკაში არც თუ ისე ხშირია. შერწყმის ამ სახეობისას მნიშვნელოვანია, რომ მიმღები საწარმო აუცილებლად კაპიტალური საზოგადოება,[154] ხოლო მისი პარტნიორი ამ საზოგადოებაში საწესდებო კაპიტალის 100%-ანი წილის (აქციების) მესაკუთრე უნდა იყოს.[155] ამასთან მიმღები პარტნიორი მხოლოდ ფიზიკური პირია.[156] შესაბამისად, შერწყმის ეს ფორმა ვერ გავრცელდება სხვა ამხანაგურ თუ კაპიტალური ტიპის საზოგადოებებზე. ნიშანდობლივი ასეთ ვითარებაში ის არის, რომ შერწყმის ხელშეკრულების დადებისათვის საკმარისია მხოლოდ მისაერთებელი საწარმოს შესაბამისი[157] გადაწყვეტილება.[158] თავის მხრივ, მიერთებას დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს. მისი დადებითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ მიმღები პირი (მისაერთებელი კაპიტალური ტიპის საზოგადოების პარტნიორი) ლიკვიდაციის პროცესის წარმოების გარეშე იღებს საზოგადოების ქონებას, რაც მას ლიკვიდაციასთან დაკავშირებული პროცესუალური და საგადასახადო ხარჯებისაგან ათავისუფლებს. ამის საწინაღმდეგოდ ასეთი შერწყმის უარყოფით მხარეზეც საუბრობენ და დაძენენ, რომ ამ დროს ფიზიკურ პირზე არა მხოლოდ საწარმოს აქტივები, არამედ, რა თქმა უნდა, პასივებიც გადადის. ამ უკანასკნელისათვის კი ფიზიკური პირი, ბუნებრივია, პერსონალურად ხდე-

[149] ან „ხმათა შეკვრის" (ე.წ. Stimmbindungsvertrag) საფუძველზე მინორიტარი აქციონერები.

[150] *Rose* in HK-UmwG, §62 Rn. 1, 15.

[151] *Rose* in HK-UmwG, §62 Rn. 15.

[152] *Maulbetsch* in HK-UmwG, §13 Rn. 9.

[153] *Simon* in KK-UmwG, §120 Rn. 2.

[154] შპს, სს, კსს, ესს, ასევე, ე.წ. „პასუხისმგებლობაშეზღუდული მეწარმე საზოგადოება" (Unternehmergesellschaft (haftungsbeschränkt)). ეს უკანასკნელი MoMiG-ის რეფორმის შედეგად გაჩნდა გერმანიის შპს-ის შესახებ კანონმდებლობაში და საკმაო მოწონებაც დაიმსახურა. იხ.: *Fastrich* in Baumbach/Hueck, GmbHG, (2013), §5a Rn. 1 ff; ქართულად: *ბურდული*, საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის *თეორიული და პრაქტიკული საკითხები*, გვ. 216 და მომდ.

[155] *Simon* in KK-UmwG, §120 Rn. 29.

[156] Kessler in Kessler/Kühnberger, Umwandlungsrecht, §120 Rn. 4.

[157] ისიც ფორმალური ხასიათის.

[158] *Maulbetsch* in HK-UmwG, §13 Rn. 9.

ბა პასუხისმგებელი.[159] მოკლედ, შერწყმის ეს სახე კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე გადასაწყვეტი საკითხია და მთლიანად მასში მონაწილე ფიზიკურ პირზეა დამოკიდებული.

და ბოლო, მესამე გამონაკლისი, რომელიც კაპიტალურ საზოგადოებათა ე.წ. საერთაშორისო შერწყმებს[160] ეხება.[161] ამ შემთხვევაში საერთო კრების გადაწყვეტილება სავალდებულო არ არის, როდესაც მისაერთებელი და მიმღები საწარმო ფაქტიურად „ერთი და იგივე პირია". თუმცა „ერთი და იგივე", ბუნებრივია, არ ნიშნავს სამართლებრივ იდენტურობას. აქ ის შემთხვევა იგულისხმება, როდესაც მისაერთებელი საწარმოს ყველა წილი მიმღები საზოგადოების ხელში იმყოფება,[162] ანუ სდება 100%-ანი შვილობილი საზოგადოების მიერთება დედა საზოგადოებისთვის.[163] ამ დროს კანონი მისაერთებელ კორპორაციას შერწყმის შესახებ პარტნიორთა კრების (საერთო კრების) გადაწყვეტილებისაგან ათავისუფლებს.[164] შესაბამისად, კრების გადაწყვეტილება შერწყმის ხელშეკრულების ნამდვილობის წინაპირობას არ წარმოადგენს.

ა.ბ) დაყოფა

რეორგანიზაციის შემდეგი შესაძლებლობა, რასაც საკორპორაციო სამართალი იცნობს არის საწარმოთა დაყოფა.[165] თავის მხრივ, რეორგანიზაციის სამართალი საზოგადოებათა

[159] *Simon* in KK-UmwG, §120 Rn. 10.
[160] „grenzüberschreitende Verschmelzungen".
[161] Maulbetsch in HK-UmwG, §13 Rn. 9. თუმცა ევროპის კომისიის სურვილიდან გამომდინარე, მალე იგი შიდა სახელმწიფოებრივ შერწყმებზეც გავრცელდება. იხ.: *Simon/Rubner* in KK-UmwG, §122g Rn. 25.
[162] *Maulbetsch* in HK-UmwG, §13 Rn. 9.
[163] *Kessler* in Kessler/Kühnberger, Umwandlungsrecht, §122g Rn. 1.
[164] *Simon/Rubner* in KK-UmwG, §122g Rn. 24.
[165] Spaltung.

დაყოფის რამდენიმე სახეს განასხვავებს, რომელშიც შემდეგი ძირითადი შესაძლებელობები მოიაზრება: კერძოდ დაშლა, დაყოფა, გამოყოფა.[166]

პირველი სახე არის ე.წ. *Aufspaltung*. მისი შინარსი იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოება თავის *მთელ ქონებას* რამდენიმე სუბიექტს გადასცემს.[167] რეორგანიზაციის კანონმდებლობის თანახმად, ამ დროს აუცილებელია მინიმუმ ორი (მისაერთებელი) სამართალსუბიექტის მონაწილეობა.[168] წინააღმდეგ შემთხვევაში დაყოფის ამ სახეზე საუბარი არ შეიძლება. ქონების ასეთი გადასვლა წარმოებს უნივერსალური სამართალმემკვიდრეობის გზით,[169] ხოლო საწარმო, რომელიც რამდენიმე დამოუკიდებელ სუბიექტად იშლება, უქმდება[170] ლიკვიდაციის პროცესის გარეშე.[171] თავად დაშლის კიდევ ორ ძირითად სახეობას (ვარიანტს) გამოყოფენ, კერძოდ, 1) დაშლა მიღებით[172] და 2) დაშლა ახალი საზოგადოების დაფუძნებით[173].[174] პირველის დროს „დედა"[175] საზოგადოება

[166] Auspaltung, Abspaltung, Ausgliederung. *Engelmeyer*, Die Spaltung von Aktiengesellschaften nach dem neuen Umwandlungsrecht, S. 14; *Stoye-Benk*, Handbuch Umwandlungsrecht, (2008), S. 189 ff.
[167] *Simon/Rubner* in KK-UmwG, §123 Rn. 18.
[168] *Hörtnagl* in Schmitt/Hörtnagl/Stratz, UmwG, §123 Rn. 6.
[169] Gesamtrechtsnachfolge.
[170] გერმანულად საქმე გვაქვს ტერმინთან: Erlöschen (Erlöschung), რაც მოქმედების შეწყვეტას, ანულირებას, გაქრობას ნიშნავს. ამიტომ ვამჯობინე გაუქმების ტერმინის ხმარება. შესაძლოა, ნახმარი იყოს ასევე ამოშლა (ანუ რეესტრიდან ამოშლა), რაც სამართლებრივად იგივე შინაარსს უნდა შეიცავდეს.
[171] *Hörtnagl* in Schmitt/Hörtnagl/Stratz, UmwG, §123 Rn. 6; *Raible* in HK-UmwG, §123 Rn. 14.
[172] Aufspaltung zur Aufnahme. UmwG §123 Abs. 1 Nr. 1.
[173] Aufspaltung zur Neugründung. UmwG §123 Abs. 1 Nr. 2.
[174] *Stengel/Schwanna* in Semler/Stengel, UmwG, §123 Rn. 12.

იშლება რამდენიმე ნაწილად, მისი მთელი ქონება კი უკვე დაფუძნებულ სამართალსუბიექტზე გადადის,[176] ანუ ერთი საწარმო იშლება, მას გამოეყოფა ორი ან რამდენიმე საზოგადოება, რომელიც უკვე არსებულ საზოგადოებას მიუერთდება.[177] შესაბამისად, როგორც ზემოთ ითქვა, დაშლის ასეთ სახეს შესაძლოა ეწოდოს *დაშლა მიღებით (მიერთებით)*.[178] ასეთი დაშლის დროს უკვე არსებული საზოგადოება რეორგანიზაციის ღონისძიებას, როგორც წესი, კაპიტალის ან წილების მომატების გზით ახორციელებს.[179] მეორე ვარიანტისას რეორგანიზაციის საფუძველზე ახალი სამართალსუბიექტი ფუძნდება, რომელიც რეესტრში ტარდება.[180] ეს პროცესი შენატანის შეტანის გზით წარმოებს.[181] როგორც წესი, შენატანად სანივთო (ქონებრივი, არაფულადი) შენატანი განიხილება. ამასთანავე, ასეთი დაშლის შერეულ, კომბინირებულ ვა-

[175] აქ დედა საზოგადოება მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით იხმარება. ამ დეფინიციას საერთო არაფერი ექნება საკონცერნო სამართალში დამკვიდრებულ დედა საზოგადოების ცნებასთან. წიგნის აღნიშნული ნაწილის მიზნებისათვის დედა საზოგადოება არის ის საზოგადოება, რომელსაც საწარმო (საწარმოები) გამოეყოფიან.

[176] *Raible* in HK-UmwG, §123 Rn. 16.

[177] ამ კომბინაციათა შესახებ ვრცლად შეგიძლია იხ.: *მახარობლიშვილი*, კაპიტალურ საზოგადოებათა სტრუქტურაში ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელება კორპორაციულ-სამართლებრივ ქმედებათა (შეძენა, შერწყმა) საფუძველზე, სადისერტაციო ნაშრომი, 2013 (ხელნაწერის სახით).

[178] გასაკვირი არ არის, რომ დაშლის ეს სახე „ნაწილობრივ შერწყმადაც" (Teilverschmelzung) განიხილება. *Engelmeyer*, Die Spaltung von Aktiengesellschaften, S. 14.

[179] *Stengel/Schwanna* in Semler/Stengel, UmwG, §123 Rn. 12.

[180] *Raible* in HK-UmwG, §123 Rn. 16; *Stengel/Schwanna* in Semler/Stengel, UmwG, §123 Rn. 12.

[181] *Stengel/Schwanna* in Semler/Stengel, UmwG, §123 Rn. 12.

რიანტზეც საუბრობენ, რომელიც ასევე რეორგანიზაციის (დაშლის) ერთ-ერთ შესაძლო სახედ მიიჩნევა.[182]

მეორე სახე არის *Abspaltung*. იგი ძალიან ახლოს დგას დაყოფის პირველ სახესთან - დაშლასთან, რითიც იგი ამ უკანასკნელისაგან თითქმის არაფრით განსხვავდება. ძირითადი ურთიერთგანმასხვავებელი ნიშანი იმაში მდგომარეობს, რომ „დედა" საზოგადოება არ გადასცემს მთელ თავის ქონებას მისგან გამოყოფილ საზოგადოებებს, შესაბამისად, იგი არ იშლება და აგრძელებს არსებობას.[183] გამომდინარე აქედან, რეორგანიზაციის ამ პროცესში მხოლოდ ერთი მიმღები სამართალსუბიექტის[184] მონაწილეობაც საკმარისია.[185] პრაქტიკაში რეორგანიზაციის ამ სახეს უფრო დიდი მოწონება აქვს და ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო მომგებიანად განიხილება, რადგანაც ზედმეტ ხარჯებთან არ არის დაკავშირებული.[186]

მესამე – *Ausgliederung*, რომელიც დაყოფის მეორე სახისაგან არაფრით განსხვავდება. რეორგანიზაცია შესაძლოა განხორციელდეს დაყოფილი საზოგადოების როგორც ახალი საწარმოსთვის მიერთების, ისე ახალი დაფუძების მეშვეობით. ერთადერთი არსებითი განმასხვავებელი ნიშანი ჩემ მიერ აღნიშნული დაშლის მეორე სახეობისაგან მდგომარეობს იმაში, რომ „ასეთი რეორგანიზაციის შემთხვევაში მისაერთებელი (გადასაცემი) საზოგადოების წილების ან წევრობის უზრუნველყოფა (გადაცემა) არა მიმღები საზოგადოების ან ახალი სამართალსუბიექტისთვის, არამედ თავად მიერთებული სამარ-

[182] *Hörtnagl* in Schmitt/Hörtnagl/Stratz, UmwG, §123 Rn. 7, 13.

[183] სხვა მითითებების ნაცვლად: Simon/Rubner in KK-UmwG, §123 Rn. 24.

[184] übernehmender Rechtsträger.

[185] *Simon/Rubner* in KK-UmwG, §123 Rn. 24.

[186] იხ.: *Gündel* in Kessler/Kühnberger, Umwandlungsrecht, §123 Rn. 23; ასევე, *Stengel/Schwanna* in Semler/Stengel, UmwG, §123 Rn. 14.

თალსუბიექტისთვის ხდება“.[187] ეს ნიშნავს, რომ ასეთი დაყოფის დროს მისაერთებელი საზოგადოება მისი ქონების ნაწილს (ნაწილებს) ერთ ან რამდენიმე სამართალსუბიექტს გადასცემს. თუმცა Abspaltung-სგან განსხვავებით მისაერთებელი საწარმო არ იშლება (არ ქრება).[188] ასეთ დროს წილები მიმღებ საწარმოში არა მისაერთებელი საზოგადოების წილის მფლობელებს, არამედ თავად მისაერთებელ საწარმოს რჩება. შესაბამისად, მისაერთებელ საზოგადოებაში წილთა არსებული მდგომარეობა (დაყოფის ზემოთ განხილული ორი სახეობისაგან განსხვავებით) ხელშეუხებლად რჩება.[189]

მოკლედ, რეორგანიზაციის ამ სახეობის დროსაც აუცილებელია შესაბამისი ხელშეკრულების დადება, რომლითაც დაყოფის პროცესი განხორციელდება. რეორგანიზაციის შესახებ გერმანიის კანონი 125-ე პარაგრაფში ამბობს, რომ დაშლის სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, გარკვეული ამავე მუხლში გათვალისწინებული გამონაკლისის გარდა, გამოყენებული იქნება კანონის მეორე წიგნის 1-9-ე ნაწილები.[190] ეს იმას ნიშნავს, რომ პარტნიორთა კრებასთან დაკავშირებით გამოიყენება შერწყმის მომწესრიგებელი ის ნორმები, რომელიც ამ საკითხს ეხება. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ დაყოფის დროს გამოვიყენებთ კრების იმ კომპეტენციას და მასთან დაკავშირებულ პროცესუალურ თუ მატერიალურ-სამართლებრივ საკითხებს, რომელიც წინა ქვეთავში განიმარტა. ერთადერთი ძირითადი გამონაკლისი მოცემულია რეორგანიზაციის კანონის 128-ე პარაგრაფში, რომელიც დაყოფის სპეციფიკური შემთხვევებისას კრების თანხმობას ითვალისწი-

[187] *Stengel/Schwanna* in Semler/Stengel, UmwG, §123 Rn. 15.
[188] *Engelmeyer*, Die Spaltung von Aktiengesellschaften, S. 16.
[189] *Raible* in HK-UmwG, §123 Rn. 20.
[190] *Simon* in KK-UmwG, §125 Rn. 6 ff.

ნებს. როგორც წესი, ამა თუ იმ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სპეციფიკიდან გამომდინარე დაყოფის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთვის და ამ ხელშეკრულების ნამდვილობისთვის პარტნიორთა ხმათა უმრავლესობაა გათვალისწინებული. თუმცა ზემოთ აღნიშნული პარაგრაფი ითვალისწინებს იმ გამონაკლისს, როდესაც საქმე „არათანაზომიერ გადანაწილებას“[191] ეხება.[192] საწარმოთა დაყოფის დროს საკორპორაციო სამართალი მონაწილე სამართალსუბიექტების პარტნიორთა არსებული წილების თანაზომიერობის პრინციპზე ამახვილებს ყურადღებას. ეს ნიშნავს, რომ დაყოფის შედეგად „ძველი“ (არსებული) საზოგადოების პარტნიორს „ახალ“ საზოგადოებაში წილთა გადანაწილების თანაზომიერობის პრინციპი ჰქონდეს გარანტირებული, ანუ მისი მონაწილეობით-სამართლებრივი უფლება პროპორციულ (თანაბარ) დამოკიდებულებაში უნდა იმყოფებოდეს ახალი წევრობის უფლებასთან. მისაერთებელი საზოგადოების წილთა მფლობელებს კანონმდებლობა მიმღებ საწარმოში წილთა ფლობის გარანტიას უნდა აძლევდეს. ეს გარანტია თავისებური პროპორციული დამოკიდებულებით უნდა ხასიათდებოდეს. იმ შემთხვევაში, როდესაც მეწილეს იგივე მდგომარეობა აქვს ახალ საწარმოში, რაც მას ძველად ჰქონდა მიკუთვნებული, „დამოკიდებულება-თანაბარ დაყოფაზე“ საუბრობენ.[193] მაშინ, როდესაც ეს პროპორცია დარღვეულია საუბარი უკვე „არათანაბარი დამოკიდებულების მქონე დაყოფაზეა“.[194] ამ დროს დაყოფის ხელშეკრულება ნამდვილი მხოლოდ მაშინ იქნება, როდესაც მასზე

[191] ე.წ. „nichtverhältniswahrende Spaltung“, ანუ ისეთი დაყოფა, რომელიც არ იძლევა (წილთა) თანაბარი გადანაწილების უზრუნველყოფის შესაძლებლობას.
[192] *Raible* in HK-UmwG, §128 Rn. 1.
[193] *Raible* in HK-UmwG, §128 Rn. 3.
[194] *Schröer* in Semler/Stengel, UmwG, §128 Rn. 5.

თანხმობას ყველა წილის მფლობელი განაცხადებს.[195] აქ, რა თქმა უნდა, მისაერთებელი საზოგადოების პარტნიორებზეა ლაპარაკი. ასე რომ, კანონი ამ შემთხვევაში სწორედ ერთხმიან გადაწყვეტილებას მოითხოვს. ნორმის მიზანი უმცირესობაში მყოფი პარტნიორების ინტერესების დასაცავად არის განკუთვნილი, რადგანაც უმრავლესობას ამ დროს ისეთი ნაბიჯების გადადგმა შეუძლია, რომელიც შელახავდა მინორიტარი პარტნიორის კანონიერ ინტერესს. ინტერესის დაცვის ერთ-ერთი შესაძლებლობა ასევე კარგად არის მოწესრიგებული „მეწარმეთა შესახებ“ კანონში. კერძოდ, 53[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აქციონერი, რომელიც საერთო კრებაზე მხარს არ დაუჭერს საწარმოს რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილებას უფლებამოსილია, იმავე მუხლით დადგენილი წესების გათვალისწინებით მიმართოს საზოგადოებას, რათა ამ უკანასკნელმა სათანადო შეფასების შემდეგ გამოისყიდოს მის საკუთრებაში არსებული აქციები.[196]

ბ) ლიკვიდაცია

საზოგადოების ლიკვიდაცია ერთ-ერთ სტრუქტურულ ღონისძიებად განიხილება და, როგორც წესი, პარტნიორთა კრების (საერთო კრების) გადაწყვეტილებას მოითხოვს. გერმანული სამართალი ტერმინოლოგიური თვალსაზრისით სააქციო კანონის 262-ე პარაგრაფში ქართულისაგან განსხვავებით სხვა სიტყვას ხმარობს. ამ შემთხვევაში საუბარია საზოგა-

[195] *Simon* in KK-UmwG, §128 Rn. 43.

[196] უმჯობესია, რომ სს-ის წესდება დეტალურად აწესრიგებდეს გამოსყიდვისას აქციატა შეფასების პროცედურებს, უმცირესობაში მყოფი აქციონერის უფლებათა დაცვის და გამოსყიდვასთან დაკავშირებულ საკითხებს, როგორც ამას გერმანული სამართალი საკანონმდებლო დონეზე განამტკიცებს.

დოების შეწყვეტაზე (დაშლაზე) – Auflösung. მეწარმეთა კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, პარტნიორებს უფლება აქვთ მიიღონ საწარმოს ლიკვიდაციის (დაშლის)[197] შესახებ გადაწყვეტილება. საკორპორაციო სამართალში საზოგადოების დაშლის რამდენიმე ძირითადი საფუძველი არსებობს. კერძოდ, წესდებაში მითითებული ვადის გასვლა,[198] აქციონერთა საერთო კრების (პარტნიორთა კრების) გადაწყვეტილება, საზოგადოების ქონებაზე გაკოტრების წარმოების გახსნა, კანონიერ ძალაში შესული ის გადაწყვეტილება, რომლითაც არასაკმარისი ქონების არსებობის გამო საზოგადოებას უარი ეთქვა გაკოტრების წარმოების გახსნაზე. წესდებით საზოგადოებამ შესაძლოა კორპორაციის დაშლის სხვა სამართლებრივი საფუძვლები შეიმუშავოს.[199]

[197] ნაშრომის ამ ნაწილის მიზნიდან გამომდინარე, ლიკვიდაცია და დაშლა თანაბარმნიშვნელოვან ტერმინებად განიხილება.

[198] საზოგადოების ხანგრძლივობა გარკვეულ ვადას უკავშირდება, მაგ., 4 წელი. ამ ვადის გასვლის შემდეგ, თუკი პარტნიორთა კრება გაგრძელების ან ამ სამართლებრივი ფორმით საქმიანობის განხორციელებას უვადოდ არ განსაზღვრავს, საზოგადოება უნდა დაიშალოს.

[199] „მეწარმეთა შესახებ“ კანონი საწარმოს ლიკვიდაციის კიდევ ერთ საკანონმდებლო საფუძველს ითვალისწინებს. ეს არის იურიდიული პირის ლიკვიდაცია სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის საფუძველზე. ეს ქართული სამართლისთვის დამახასიათებელი სპეციფიკაა, რადგან გერმანულ სამართალში იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (ვთქვათ, განსხვავებით ფრანგული ან აშშ-ის სამართლისაგან) არ არსებობს. აქედან გამომდინარე, საზოგადოების დაშლის არც ასეთი საფუძველი არსებობს. წინამდებარე საკითხი „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-14[1] მუხლით არის მოწესრიგებული და დადგენილია, რომ სასამართლო, სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, რომელიც იურიდიული პირის დანაშაულებრივ ქმედებას ეხება, იღებს საზოგადოების ლიკვიდაციის გადაწყვეტილებას. ლიკვიდაციას კი სასამართლოს მიერ განსაზღვრული პირი ახორციელებს (მე-14[1] მუხლის პირველი პუნქტი).

სს-ის პარტნიორებს აქვთ *(იურიდიული) უფლება*[200] ნებისმიერ დროს დაიწყონ საზოგადოების დაშლა.[201] ამისათვის საჭიროა აქციონერთა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება[202] საზოგადოების დაშლის შესახებ. აქციონერთა ეს უფლება, როგორც კომენტატორულ ლიტერატურაშია აღნიშნული, „არაჩამორთმევადი და გადაუცემადი უფლებაა".[203] შესაბამისად, ამ უფლებამოსილების დელეგირება საზოგადოების სხვა ორგანოზე ან მესამე პირზე წარმოუდგენელია.[204] თუკი კრება სხვა რამეს არ დაადგენს, სს-ის დაშლის შესახებ გადაწყვეტილება ნამდვილია მისი მიღების დღიდან. აქ მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ რეგისტრაციას არ აქვს კონსტიტუტიური მოქმედების ხასიათი,[205] რადგანაც მთავარი ამ დროს თავად აქციონერთა, საწარმოს პარტნიორთა ნებაა, მათი სურვილია – სს ლიკვიდაციის[206] სტადიაში გადაიყვანონ.[207] ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად სააქციო სამართალი ყურადღებას ე.წ. ორმაგ უმრავლესობაზე[208] ამახვილებს.[209] სს-ის დაშლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭიროა ისეთი უმრავლესობა, რომელიც წარმოდგენილი საწესდებო კაპიტალის მინიმუმ 3/4-ს მოიცავს. ამ შემთხვევაში კანონის 262-ე პარაგრაფთან ერთად ყურადღება მის 133-ე პარაგრაფზეც უნდა გამახვილდეს. ამიტომაც საუბრობენ გერმანულ სამართალში ორმაგი უმრავლესობის პრინციპზე: უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობა,[210] რასაც დამატებით წარმოდგენილი საწესდებო კაპიტალის 75% ემატება.[211] წესდებით შესაძლოა, განსაზღვრულ იქნეს უფრო მაღალი მოთხოვნები.[212] მოკლედ, თუ გერმანულ სააქციო სამართალს გავყვებით, დავინახავთ, რომ (1) საზოგადოების დაშლის შესახებ გადაწყვეტილებას აუცილებლად აქციონერთა საერთო კრება იღებს, (2) დაუშვებელია ამ კომპეტენციის გადაცემა საზოგადოების სხვა ორგანოსათვის და (3) კრებაზე, ხმის მიცემის თვალსაზრისით, საკმაოდ მაღალი ზღვარია დაწესებული, რომელიც წესდებით ვერანაირად ვერ იქცევა უფრო დაბალ მაჩვენებლად. რაც შეეხება მეწარმეთა კანონმდებლობას და ქართულ საკორპორაციო სამართალს. საზოგადოების ლიკვიდაციის მომწესრიგებელი ნორმები, როგორც ზემოთ წარმოჩინდა, „მეწარმეთა შესახებ" კანონის მე-14 მუხლშია მოცემული. კრების კომპეტენცია ამ საკითხთან დაკავშირებით და ხმათა დადგენილი რაოდენობა მოცემულია კანონის 54-ე მუხლში. ამიტომ მეწარმეთა კანონმდებლობის სწორედ წინამდებარე ორი ნორმა უნდა დავაპირისპიროთ ერთმანეთს. პირველი (მე-14 მუხლი) მოცემულია კანონის ზოგად ნაწილში, თუმცა ლიკვიდაციის საკითხებთან მიმართებით იგი, გარკვეულწილად, სპეციალურ

[200] subjektives Recht.

[201] *Füller* in Bürgers/Körber, AktG, (2011), §262 Rn. 8; *Ott* in Wachter, AktG, Komm., §262 Rn. 10.

[202] რომელიც, როგორც წესი, წარმოდგენილი საწესდებო კაპიტალის 75%-იანი კვალიფიციური უმრავლესობით მიიღება. *Ott* in Wachter, AktG, Komm., §262 Rn. 10.

[203] *Füller* in Bürgers/Körber, AktG, (2011), §262 Rn. 8.

[204] *Füller* in Bürgers/Körber, AktG, (2011), §262 Rn. 8.

[205] *Hüffer*, AktG, (2012), §262 Rn. 10.

[206] გერმანული ტერმინოლოგიით ამას Abwicklung ეწოდება. სწორედ ამაში მდგომარეობს განსხვავება, ერთი მხრივ, დაშლას, ანუ Auflösung-ს და, მეორე მხრივ, ლიკვიდაციას, ანუ Abwicklung-ს შორის.

[207] *Füller* in Bürgers/Körber, AktG, §262 Rn. 8.

[208] doppelte Mehrheit.

[209] იხ.: *Hüffer*, AktG, (2010), §262 Rn. 11.

[210] AktG §133. კერძოდ, ამ პარაგრაფის პირველი აბზაცი: საერთო კრების გადაწყვეტილებები მოითხოვს მიცემულ ხმათა უმრავლესობას (უბრალო უმრავლესობა), თუკი კანონი ან საზოგადოების წესდება არ ადგენს უფრო მაღალ უმრავლესობას ან არ განსაზღვრავს სხვა მოთხოვნებს.

[211] AktG §262 Abs. 1. Nr. 2.

[212] *Hüffer*, AktG, (2010), §262 Rn. 12.

ნორმას წარმოადგენს. მეორე დადგენილია კანონის კერძო ნაწილით. მე-14 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების თანახმად, სს-ის პარტნიორებს უფლება აქვთ მიიღონ საზოგადოების დაშლის, ლიკვიდაციის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება. წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ეს გადაწყვეტილება პარტნიორებმა უნდა მიიღონ საერთო კრებაზე, დაარეგისტრირონ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში (მე-14 მუხლის მე-3 პუნქტი), რის შემდეგაც იწყება კრედიტორების დაკმაყოფილების პროცესი. პარტნიორთა გადაწყვეტილებისათვის საკმარისია ხმათა უბრალო უმრავლესობა,[213] თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. მეწარმეთა კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, აქციონერთა საერთო კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ. ამავე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად კი ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად დადგენილია კრებაზე დამსწრე ხმის მქონე პარტნიორთა კვალიფიციური, ანუ 75%-ანი უმრავლესობა. წესდებამ, გერმანული სამართლისაგან განსხვავებით, შესაძლოა უფრო მაღალი ან დაბალი მაჩვენებელი გაითვალისწინოს. ამასთან 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის ბოლო წინადადებიდან გამომდინარე, საერთო კრების კომპეტენცია საზოგადოების ლიკვიდაციის საკითხთან დაკავშირებით შეიძლება სხვა ორგანოზე იქნეს დელეგირებული. მოკლედ, ქართული სააქციო სამართალი ლიკვიდაციის გადაწყვეტილების მისაღებად კვლავ საწესდებო ავტონომიას და მის ფარგლებს ეყრდნობა. გერმანული სამართლისაგან განსხვავებით (1) გადაწყვეტილება საზოგადოების დაშლის თაობაზე შესაძლოა მიიღოს როგორც აქციონერთა საერთო კრებამ, ისე კორპორაციის ნებისმიერმა სხვა ორგა-

[213] მეწარმეთა კანონის 54-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

ნომ, თუკი ეს წესდებით იქნება გათვალისწინებული, (2) მისაღები გადაწყვეტილებისათვის, როგორც წესი, დადგენილია 75%-იანი უმრავლესობა, თუმცა წესდებას შეუძლია უფრო დაბალი ან მაღალი მაჩვენებელი და ასევე სხვა მოთხოვნები დაადგინოს. როგორც წარმოჩინდა, ქართული სააქციო სამართალი ამ საკითხთან მიმართებით რადიკალურად განსხვავდება გერმანულისაგან, რაც, გარკვეულწილად, მსჯელობის საგანი შეიძლება გახდეს. აქ საკითხავია, მიზანშეწონილია თუ არა ამ საკმაოდ რთულ სტრუქტურულ ღონისძიებებთან[214] დაკავშირებით ასეთი ფართო საწესდებო ავტონომიის დადგენა. ხომ არ გამოიწვევს ეს უმცირესობაში მყოფი პარტნიორის არსებითი ინტერესების ფეხქვეშ გათელვას და მისი უფლებების შელახვს. ეს ის კითხვებია, რომელიც საგანგებო მსჯელობის და დისკუსიის საგანი შეიძლება გახდეს, მაგრამ მასზე აქ დაწვრილებით საუბარი არ იქნება.

3.1.3. უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმება

სააქციო სამართალში უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენება კაპიტალის შექმნის ღონისძიებებს უკავშირდება. ამ დროს საკუთარი და უცხო კაპიტალის შექმნაზე[215] საუბრობენ, თუმცა წიგნის ამ ნაწილში განსახილველი საკითხის საგნიდან გამომდინარე (საკუთარი) კაპიტალის შექმნაზე, კერძოდ, ახალი აქციების გამოშვების გზით კაპიტალის მომატებაზე გამახვილდება ყურადღება. ეს უკანასკნელი განსახილველ საკითხს უფრო უკეთ წარმოაჩენს.

[214] იგულისხმება როგორც საზოგადოების ლიკვიდაცია (დაშლა), ისე მისი რეორგანიზაცია.

[215] *Hirte*, Kapitalgesellschaftsrecht, 6. neu bearbeitete Auf., (2009), S. 297f.; Münch. Hdb. GesR IV/*Krieger*, §55 Rn. 1.

ქართულ სააქციო სამართალში შესაძლოა ასეთი კითხვაც დაისვას: არის თუ არა სს-ში წილის უპირატესი შესყიდვა აქციონერის წევრობიდან გამომდინარე თანდაყოლილი უფლება? შეუძლია თუ არა მას (აქციონერს) ნებისმიერ დროს საზოგადოების სხვა პარტნიორის მიერ აქციის გასხვისებისას, დაეყრდნოს რა უპირატესი შესყიდვის სამართლებრივ რეჟიმს, პირველ რიგში შეისყიდოს ეს წილი? ამაზე „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 54ე- მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამომწურავ პასუხს იძლევა. აღნიშნული ნორმის შესაბამისად, აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციაში წილთა უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმების საკითხი შედის. კანონი უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენებას მხოლოდ მაშინ ადგენს, როდესაც ხდება ახალი აქციების გამოშვების გზით კაპიტალის გაზრდა. შესაბამისად, კანონმდებლობა უპირატესი შესყიდვის უფლებას აქციონერის არა თანდაყოლილ, არამედ გარკვეულ პირობაზე დამოკიდებულ უფლებად განიხილავს.[216]

[216] ამ თვალსაზრისით შესაძლოა, გარკვეული საპირისპირო პარალელი გაკეთდეს ამხანაგურ, პერსონალურ საზოგადოებასა და სს-ს შორის. სპს-ში წილის უპირატესი შესყიდვის უფლება თავად ამ საზოგადოების ტიპოლოგიურ ბუნებაზე იქნება დამოკიდებული. საწარმოს პერსონიფიცირებული სტრუქტურა, პარტნიორებს შორის, როგორც წესი, განსაკუთრებული ურთიერთდამოკიდებულება, ნდობა, პირადი და სოლიდარული პასუხისმგებლობა და ა.შ. ამ საზოგადოებაში პარტნიორთა წრის განსაზღვრას განაპირობებს. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია თუ ვინ იქნება საზოგადოებაში პარტნიორი. ამიტომ წილის უპირატესი შესყიდვის უფლება ამხანაგური ტიპის სამართალში დეკლარირებული ხასიათის უფლებაა, რომელიც პარტნიორისთვის თანდაყოლილი უფლების ტოლფასია. კაპიტალური ტიპის საზოგადოების სამართალში კი სიტუაცია სხვაგვარად უნდა გამოიყურებოდეს (გამონაკლისს შესაძლოა, ისევ შპს წარმოადგენდეს). განსაკუთრებით მიუღებელი იქნებოდა ეს ინსტიტუტი სს-ისთვის. ამიტომ სს-ში, მაგალითად, სპს-ისაგან განსხვავებით არ მოქმედებს წილის უპირატესი შესყიდვის უფლება, როგორც აქციონერის თანდაყოლილი დეკლარირებული ხასიათის უფლება. იგი მხოლოდ კაპიტალის გადაადგილების კომბინაციის შედეგად წარმოიშობა. ამიტომ ეს ინსტიტუტი, რომელიც პრიციპის სახით ავტომატურ რეჟიმშია გარანტირებული სპს-ის ყველა პარტნიორისათვის, სს-ში წარმოებული მექანიზმია. პრინციპის დონეზე იგი დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც მეწარმეთა კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოცემულობაა სახეზე. შესაბამისად, იგი მხოლოდ კაპიტალის გაზრდისას ფასიანი ქაღალდების გამოშვების შედეგად ფუძნდება.

ეს პირობა არის ახალი აქციების გამოშვება. სწორედ იმ დროს, როდესაც აქციონერთა საერთო კრება[217] კაპიტალის მომატების გადაწყვეტილებას მიიღებს, ხოლო კაპიტალი ახალი აქციების გამოშვებით იზრდება, სს-ის აქციონერს სხვა პირთან შედარებით ავტომატურად აქვს ამ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება. კანონის აღნიშნული ნორმა კი საერთო კრებას უფლებამოსილებას ანიჭებს მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს ამ შემთხვევაში დაფუძნებული უფლება.

უპირატესი შესყიდვის უფლების საფუძვლად საკორპორაციო სამართალში აქციონერთა „თანაბარი მოპყრობის“ პრინციპი მიიჩნევა.[218] როგორც ცნობილია, საკორპორაციო სამართალში პარტნიორებს თანაბარ პირობებში თანაბარი უფლებები და მოვალეობები აქვთ დადგენილი. მართალია, სამართალი ამ თანაზომიერობის პრინციპის „შელახვასაც“ ითვალისწინებს, მაგრამ ეს, როგორც წესი, იმ აქციონერის ნებას უკავშირდება, რომელიც ამაზე თანხმობას განაცხადებს. შესაბამისად, მისი სურვილის წინააღმდეგ თანასწორუფლებიანობის პრინციპი მისთვის ვერანაირად შეილახება. სწორედ ამ პრინციპზე დაყრდნობით გერმანული სააქციო სამართალიც, ისევე, როგორც ამას ნაციონალური სამართალი უზრუნვე-

[217] ან წესდებით დადგენილი სხვა რომელიმე ორგანო.

[218] *Gotthardt* in Müller/Rödder (Hrsg.), Beck'sches Hdb. der AG, §9 Rn. 36.

ლყოფს, აქციონერის უპირატესი შესყიდვის უფლებას[219] ადგენს.[220]

სააქციო კანონის 186-ე პარაგრაფის მიხედვით, ყოველ აქციონერს მისი მოთხოვნის საფუძველზე აქვს ახალი აქციის უპირატესი შესყიდვის უფლება. ამავე დროს, აქციონერი მის უპირატეს უფლებას მისი არსებული წილის პროპორციულად იყენებს. სწორედ ამ პროპორციული დამოკიდებულების შენარჩუნება და გათვალისწინება იქცევა ხოლმე ყველაზე დიდ პრობლემად იმ სს-ში, რომელსაც მრავალრიცხოვანი აქციონერთა წრე ჰყავს.[221]

უპირატესი შესყიდვის უფლება, რომელსაც სააქციო კანონი[222] და მეწარმეთა კანონი[223] ადგენს, აქციონერისათვის კანონით დადგენილი და უზრუნველყოფილი უფლებაა.[224] ნორმას იმპერატიული ხასიათი აქვს,[225] იმის გათვალისწინებით, რომ აქციონერთა საერთო კრებას ამ უფლების მთლიანად ან ნაწილობრივი გაუქმების კომპეტენცია აქვს.[226] მაგრამ საზოგადოების წესდებით დაუშვებელია ამ უფლების საერთოდ ჩამორთმევა ან უფლების ცვლილების გათვალისწინება.[227] არ

[219] Bezugsrecht.

[220] თუმცა ქართულ და გერმანულ სამართალში ამ საკითხთან მიმართებით შესაძლოა, გამოიკვეთოს განსხვავება, რაც წიგნის ამ ქვეთავში წარმოჩინდება.

[221] *Gotthardt* in Müller/Rödder (Hrsg.), Beck'sches Hdb. der AG, §9 Rn. 36.

[222] AktG §186 Abs. 1.

[223] „მეწარმეთა შესახებ" კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის „გ" ქვეპუნქტი.

[224] MünchKommAktG/*Peifer*, (2005), §186 Rn. 1.

[225] Münch. Hdb. GesR IV/*Krafft/Krieger*, §56 Rn. 62.

[226] AktG §186 Abs. 2; „მეწარმეთა შესახებ" კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის „გ" ქვეპუნქტი.

[227] *Wiedemann* in GrossKommAktG, §186 Rn. 48.

შეიძლება ასევე ისეთი უპირატესი აქციის[228] განთავსება, რომელიც უპირატესი შესყიდვის უფლებას არ უზრუნველყოფს.[229] უპირატესი შესყიდვის უფლება (კაპიტალის კომბინაციის დროს) აქციონერის წევრობიდან გამომდინარე უფლებად[230] და მის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევა.[231] საზოგადოების კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში კი სააქციო სამართალი აქციონერის ამ უფლებას მის *იურიდიულ უფლებად*[232] და *პირობაზე დამოკიდებულ* უფლებად განიხილავს. მოკლედ, ქართული და გერმანული სამართალი კაპიტალის გაზრდის დროს ახალი აქციების გამოშვებისას აქციონერთა მხრიდან უპირატესი შესყიდვის უფლებას უზრუნველყოფს. დადგენილი უფლება წესდებით აქციონერს ვერ ჩამოერთმევა.[233] ამ უფლების შეზღუდვის ან გაუქმების საკითხის გადა-

[228] ამ შემთხვევაში საუბარია ე.წ. Vorzugsaktie-ზე.

[229] *Wiedemann* in GrossKommAktG, §186 Rn. 48.

[230] *Hüffer*, AktG, (2010), §186 Rn. 6. აქვე *ჰუფერი* უპირატესი შესყიდვის უფლების სამართლებრივი ბუნების დახასიათებას იძლევა და დაძენს, რომ იგი ორგვარად უნდა განიხილებოდეს: ზოგადი (საყოველთაო) უპირატესი შესყიდვის უფლება (Allgemeines Bezugsrecht) და კონკრეტული უპირატესი შესყიდვის მოთხოვნის უფლება (Konkreter Bezugsanspruch). *ჰუფერი* წევრობის შემადგენელ ნაწილად სწორედ ზოგად უფლებას მიიჩნევს, რადგანაც ეს უკანასკნელი ვერ გახდება განკარგვის საგანი. რაც შეეხება კონკრეტულ მოთხოვნის უფლებას, რომლის საფუძველიც ზოგადი წევრობიდან გამომდინარე უფლებაა, მისი ნამდვილობა კაპიტალის გაზრდის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. *Hüffer*, AktG, (2010), §186 Rn. 6, 7.

[231] *Wiedemann* in GrossKommAktG, §186 Rn. 13.

[232] MünchKommAktG/*Peifer*, (2005), §186 Rn. 1.

[233] თუმცა სხვადასხვა ქვეყანაში სამართლებრივი რელობა სხვადასხვანაირად გამოიყურება. არის შემთხვევები, როდესაც კაპიტალის მომატებისას აქციონერის უპირატესი შესყიდვის უფლებას არა თავიდანვე დადგენილ, არამედ წესდების მიერ შექმნილ უფლებად განიხილავენ. თუკი თვალი გადაევლება დელავერის (აშშ) შტატის საკორპორაციო სამართალს, ადვილი მისახვედრი იქნება, რომ ახალი აქციების გამოშვებისას აქციონერს არ აქვს დადგენილი უპირატესი შესყიდვის უფლება. აქ, განსხვავებით ქარ-

წყვეტა მხოლოდ კანონიდან მომდინარეობს და მისი კომპეტენცია ერთადერთ ორგანოს - აქციონერთა საერთო კრებას აქვს.[234]

უპირატესი შესყიდვის უფლების მფლობელი სს-ის აქციონერია, ამასთან ამ უფლებით იგი მხოლოდ მაშინ სარგებლობს, როდესაც კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროისთვის საზოგადოების აქციონერად განიხილება,[235] ანუ აქციათა რეესტრში ასეთად არის ჩაწერილი. შესაბამისად, აქციონერის რეგისტრაცია უპირატესი შესყიდვის უფლების *კონსტიტუციურ ნიშნად* უნდა განიხილებოდეს, რადგანაც ვინც ასეთად არ არის რეგისტრირებული აქციათა რეესტრში მას ვერც ეს უფლება ექნება უზრუნველყოფილი. უპირატესი შესყიდვის უფლების მფლობელისთვის მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა სახის, კლასის აქცია ექნება მას[236] – ჩვეულებრივი, პრივილეგირებული, თუ (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად[237]) სხვა ისეთი კლასის აქცია, რომლის უფლებათა მოცულობა და სხვა მონაცემები წესდებით იქნება დადგენილი. თავად სს-ს საკუთარი აქციების

თული და გერმანული სამართლისაგან, პირიქით ხდება: უპირატესი შესყიდვის უფლება დადგენილი არ არის, იგი წესდების მიერ „ქმნადი" უფლებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ კაპიტალის გაზრდისას სწორედ კორპორაციის წესდებამ უნდა გაითვალისწინოს და შემოიღოს ეს უფლება. *Wiedemann* in GrossKommAktG, §186 Rn. 39. ვრცლად ამ ინსტიტუტის საერთაშორისო მიმოხილვის შესახებ: *Wiedemann* in GrossKommAktG, §186 Rn. 23-41.

[234] ქართული სამართლის მიხედვით ეს კომპეტენცია მეწარმეთა კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის ბოლო წინადადების თანახმად შესაძლოა, საზოგადოების სხვა ორგანოს გადაეცეს. მაგრამ დელეგირება მხოლოდ საერთო კრების მიერ ხდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ კომპეტენციის წყარო კრების უფლებამოსილებაა, რომელსაც კანონი განსაზღვრავს.

[235] *Hüffer*, AktG, (2012), §186 Rn. 8.

[236] Münch. Hdb. GesR IV/*Kraft/Krieger*, §56 Rn. 69.

[237] „მეწარმეთა შესახებ" კანონის 52-ე მუხლის 1^1 პუნქტი.

შესყიდვისას უპირატესი უფლება უზრუნველყოფილი არ აქვს[238] და ასეთი ჩანაწერის გათვალისწინება საზოგადოების წესდებით მის უცილოდ ბათილობას იწვევს.[239] ნიშანდობლივია, რომ კორპორაციის კაპიტალის გაზრდის დროს უპირატესი შესყიდვის უფლების ვალდებულება არ არსებობს. ამ დროს საუბარია იმაზე, რომ აქციონერმა თავად უნდა გამოიყენოს ეს უფლება და მისი დავალდებულება არაფრით შეიძლება. ამასთან აქციონერთა საერთო კრებაზე კაპიტალის მომატების გადაწყვეტილების მიღებისას არ არსებობს (აღნიშნულ კრებაზე) აქციონერის მონაწილეობის ვალდებულება.[240] უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების შესაძლებლობა წარმოიშობა იმისდა მიუხედავად, აქციონერი მიიღებს თუ არა მონაწილეობას კრებაზე და მხარს დაუჭერს თუ არა მისაღებ გადაწყვეტილებას. ამიტომ წესდებით კანონის ეს მოთხოვნა ვერაფრით შეიცვლება. ვერც ქართული სამართალი, რომელიც გერმანულისაგან საწესდებო ავტონომიის ფარგლების დადგენის მხრივ საგრძნობლად განსხვავდება, გაითვალისწინებს სხვაგვარ შესაძლებლობას.

როგორც ზემოთ ითქვა, მიუხედავად უპირატესი შესყიდვის უფლების „დეკლარაციული" ხასიათისა, მისი მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმება „აქციონერის გარანტირებულ უფლებაში უხეში ჩარევის გზით" სავსებით შესაძლებელია.[241] გერმანული სააქციო სამართლის მიხედვით, ამ უფლების შეზღუდვის ან ჩამორთმევის გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია კრებაზე მონაწილე მინიმუმ 3/4-ის კაპიტალის უმრავლესობა.[242] წესდებამ შესაძლოა უფრო მაღალი მოთ-

[238] MünchKommAktG/*Peifer*, (2005), §186 Rn. 28.

[239] *Marsch-Barner* in Bürgers/Körber, AktG, §186 Rn. 8.

[240] Teilnahmepflicht.

[241] *Raiser/Veil*, Recht der Kapitalgesellschaften, (2010), S. 284.

[242] *Hüffer*, AktG, (2010), §186 Rn. 21.

ხოვნები დააწესოს. ამ მხრივაც თვალნათელია, რომ გერმანული სამართალი განსხვავდება ქართულისაგან, რადგან ამ საკითხთან მიმართებითაც მძლავრობს საწესდებო ავტონომიის ფარგლები და აქციონერებს შეუძლიათ ხმათა ნებისმიერი უმრავლესობა დაადგინონ. თუმცა უფრო ნაკლები სტანდარტის დადგენა მიზანშეუწონელი იქნებოდა და შეეწინააღმდეგებოდა კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში თავად გადაწყვეტილების მიღების პრინციპს. ეს პრინციპი კაიტალის უმრავლესობაში გამოიხატება.

აქციონერისათვის უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმება გარკვეული მოტივებით არის განპირობებული. ეს მოტივები სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. ძირითადად ყურადღებას ამახვილებენ ვითარებაზე, როდესაც „ახალი კაპიტალი ან ახალი აქციები განსაზღვრული მიზნებისთვის იქნება გამოყენებული".[243] ამ მხრივ შესაძლოა საუბარი, რომ კაპიტალის მომატების დროს უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმებისას საწარმოს ინტერესი გადამწყვეტია. ამიტომ ამ უფლების ჩამორთმევის სამართლებრივი საფუძველი უნდა იყოს ის, რომ იგი (1) კორპორაციის მიზანს, მის კეთილდღეობას ემსახურებოდეს და (2) ამ მიზნის მისაღწევად ეს ღონისძიება *მიზანშეწონილი, საჭირო და პროპორციული* იყოს.[244] ამიტომ ქართული სამართლისათვის მეტად საინტერესო იქნებოდა საკითხი, აუცილებელი უნდა იყოს თუ არა უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმების დროს საერთო კრების შესაბამისი დასაბუთებული გადაწყვეტილება. აქ მხედველობაში მიიღება გადაწყვეტილების მატერიალური დასაბუთება, ანუ იმ მოტივების ჩამოყალიბება, თუ რატომ ხდება საჭირო ამ უფლების გაუქმება ან ნაწილობრივ ჩამორთმევა. მოკლედ, ამისთვის საჭიროა *ობიექტურად (საგნობრივად) გამართლებული*[245] გადაწყვეტილების მიღება.[246] ქართული სასამართლო პრაქტიკა ამასთან დაკავშირებით არ არსებობს. გერმანული ამ საკითხს ისე წყვეტს, როგორც ზემოთ წარმოჩინდა.[247] თუმცა სხვადასხვა ქვეყნის სამართალი ამ საკითხის სხვადასხვა გადაწყვეტის ვარიანტებს გვთავაზობს.[248] თუ რომელი გზა იქნება უფრო მისაღები ქართული სამართლისათვის, ძალზე რთული სათქმელია. მე უფრო საკითხის გადაწყვეტის გერმანულ მოდელს ავირჩევდი. ეს რამდენიმე ასპექტით შეიძლება იყო განპირობებული. (1) დაკავშირებულია აქციონერის ფუნდამენტურ უფლებაში ჩარევასთან და მისი მატერიალური კონტროლის მექანიზმთან. ის, რომ უპირატესი შესყიდვის უფლების ჩამორთმევა აქციონერის არსებითი ინტერესის საწინააღმდეგოა[249] და მის დეკლარირებულ უფლებაში ჩარევას ეხება, დღეს უკვე ეჭვს არ იწვევს. გარდა სხვა უპირატესი შესყიდ-

[243] *Raiser/Veil*, Recht der Kapitalgesellschaften, (2010), S. 284.

[244] *Schröder* in Manz/Mayer/Schröder, Die Aktiengesellschaft, (2010), S. 476. შემდგომი მითითებებით.

[245] sachlicher Rechtfertigung.

[246] *Hüffer*, AktG, (2010), §186 Rn. 25.

[247] გერმანიის სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილება აქვს მიღებული ამასთან დაკავშირებით, მაგალითად: BGHZ 71, 40 ff = NJW 1978, S. 1316. ვუთითებ: *Hüffer*, AktG, (2010), §186 Rn. 25.

[248] ზოგ შემთხვევაში უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმების გადაწყვეტილება მატერიალურ დასაბუთებას, კაპიტალის მომატებისას ამ უფლების მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმების მოტივების მითითებას და სხვა საგნობრივ მონაცემებს შეიცავს (მაგ., ავსტრიის სააქციო სამართალი), ზოგ შემთხვევაში კი ამის დასაბუთება სავალდებულო არ არის და იგი შესაძლოა წესდების მოცემულობაზე და მასში გათვალისწინებულ პირობაზე იყოს დამოკიდებული (მაგ., ნიუ-იორკის ბიზნეს კორპორაციათა სამართალი). იხ.: *Wiedemann* in GrossKommAktG, §186 Rn. 38, 39.

[249] *Lutter*, ZGR 1979, S. 403; *Schulze-Osterloh*, ZHR 1974, S. 4f. ვუთითებ: *Aubel*, Der vereinfachte Bezugsrechtsausschluss, S. 15.

ვის უფლებიდან გამომდინარე უპირატესობებისაგან,[250] ეს ინსტიტუტი სს-ის პარტნიორს კიდევ ერთ მნიშვნელოვან ბერკეტს აძლევს, რითიც მას ამ კორპორაციაში მატერიალური სარგებლის ნახვა შეუძლია. ეს არის თავად ამ უპირატესი შესყიდვის უფლების გაყიდვა სხვა აქციონერებზე, უპირატესად დომინანტ აქციონერზე და ამით საკუთარი კეთილდღეობის გაზრდა.[251] ასე რომ, მისი ჩამორთმევა აქციონერის მრავალ მატერიალური ხასიათის უფლებას ეხება, რომლის შეზღუდვის გადაწყვეტილების მიღებისას მისაღები გადაწყვეტილების საგნობრივი და მატერიალური დასაბუთება აუცილებელი უნდა იყოს. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია ის არგუმენტაცია, რომელიც ქვემოთ განვითარდება: ჯერ ერთი, კაპიტალის მომატების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წინაპირობა ყველა კორპორაციაში გამგეობის (დირექტორთა საბჭოს) მოხსენებაა, რომელიც აქციონრებს კაპიტალის მომატების განხორციელების მიზანშეწონილობას უსაბუთებს. ეს შეიძლება ნაკლებად ეხებოდეს დახურულ სს-ებს, სადაც აქციონერთა წრე შეზღუდულია და ისინი უშუალოდ არიან ჩართულნი საწარმოს მართვის საქმეში. ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, აქციონერი თავადაც კარგად დარწმუნდება ამ ნაბიჯის გადადგმის მიზანშეწონილობასა და აუცილებლობაში. ამიტომ დირექტორატის მხრიდან სპეციალური ანგარიშის გაკეთება მხოლოდ ფორმალობას წარმოადგენს და სხვა არაფრით განპირობებული არ არის. სიტუაცია სხვაგვარია დიდ ღია სს-ებში, სადაც მრავალი აქციონერი მონაწილეობს და მათი წრე საკმაოდ ფართოა. აი, ამ შემთხვევაში ხელმძღვანელი ორგანოს მონაწილეობა აუცილებელი იქნება. აქციონერს, რომელიც საერთოდ არ მონაწილეობს კორპორაციის მართვაში, არანაირი წარმოდგენა არ აქვს კაპიტალის მომატებისას უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმების მიზანშეწონილობის ან მიზანშეუწონლობის თაობაზე. მისთვის მხოლოდ მისი პირადი (კაპიტალდაბანდებითი, ინვესტორული) ინტერესია მთავარი. თუმცა ეს იმას არ უნდა ნიშნავდეს, რომ მისი საკმარისად ინფორმირებულობის შემდეგ მას წარმოადგენა არ შეეცვლება. აქციონერმა, რომელიც ერთგულების მოვალეობიდან და სახელშეკრულებო კეთილსინდისიერებიდან გამომდინარე ათვითცნობიერებს კორპორაციის ხანგრძლივმოქმედ მიზანს და მის არსებით ინტერესს, არასდროს არ უნდა მიიღოს მისი საწინააღმდეგო გადაწყვეტილება. სწორედ ამიტომ (2) მისი ჩართვა ამ პროცესში, თანაც ისე, რომ მისთვის დასაბუთებული და არგუმენტირებული იყოს მისაღები გადაწყვეტილება, მნიშვნელოვანი იქნებოდა. შესაბამისად, საზოგადოების პოლიტიკის შექმნაში პარტნიორთა დიდი წრე იქნებოდა ჩართული და გადაწყვეტილებაც უფრო რაციონალურად იქნებოდა მიღებული. თუმცა საპირისპირო მოსაზრების განვითარებაც შეიძლება: თუ ნაციონალური სასამართლო პრაქტიკა გეზს მოტივების დასაბუთების მიმართულებისაკენ აიღებს, მაშინ, უმცირესობის მიერ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებისას სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების მხოლოდ ფორმალური შემოწმებით ვერ შემოიფარგლება. მან გადაწყვეტილება მატერიალურ კონტროლს უნდა დაუქვემდებაროს და მისი შინაარსი უნდა შეამოწმოს. ამან კი შესაძლოა საწარმოს გარკვეული პრობლემები შეუქმნას, მაგალითად, გადაწყვეტილების ამოქმედების სისწრაფე, ინვესტირების ეფექტურობა და ა.შ. მოკლედ, საკითხი მართლაც რთულია და სპეციალურ გამოკვლევას ექვემდე-

[250] მაგ., ახალი აქციების საბაზრო ფასი, კაპიტალის მომატების შემდეგ მისი (ამ ახალი აქციების) შემდგომი გაყიდვის მომგებიანობა და ეფექტურობა და ა.შ.

[251] *Aubel*, Der vereinfachte Bezugsrechtsausschluss, S. 15.

ბარება. ქართული სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებამდე კი რთული იქნება მისი გადაჭრის გზების ძიება.[252]

[252] თუ კარგად დავუკვირდებით შესაძლებელია პარალელის გავლება squeeze out-ის ინსტიტუტთან. აქ მხედველობაშია ის გარემოება, რომ აქციათა სავალდებულო მიყიდვის და ამ გზით სს-იდან აქციონერის განდევნის შემთხვევაში საკითხავია, აუცილებელია თუ არა უმრავლესობაში მყოფი პარტნიორის მხრიდან გარიცხვის (სავალდებულო მიყიდვის) მოტივების მატერიალურ-შინაარსობრივი დასაბუთება. ამ მხრივ ყურადღება ორი კანონის შესაბამის მუხლზე გამახვილდებოდა. პირველი ეს არის „მეწარმეთა შესახებ" კანონის 53[4]-ე მუხლის მე-3 პუნქტი. მისი ბოლო წინადადება აღნიშნავს, რომ აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე განცხადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას *გამოსყიდვის მიზეზების*, პირობებისა და პროცედურების შესახებ. მეორე ეს გახლავთ სსსკ-ის 309[9] მუხლის მე-2 ნაწილი, რომელშიც აღნიშნულია თუ რას უნდა შეიცავდეს სასამართლოში წარსადგენი განცხადება აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ. როგორც ვხედავთ, აქ ორი ნორმა უპირისპირდება ერთმანეთს. ამიტომ რომელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა და აუცილებელი უნდა იყოს თუ არა გამოსყიდვის მოტივების (მატერიალური მიზეზების) მითითება, რთული სათქმელია. საგნობრივი გადაწყვეტილების მიღება, როგორც ზემოთ უპირატესი შესყიდვის გაუქმების საკითხთან მიმართებით წარმოჩინდა, სასამართლოს მხრიდან მის მატერიალურ-შინაარსობრივ შემოწმებასთან არის დაკავშირებული. ამიტომ თუ რა იყო კანონმდებლის ნება, კანონპროექტის განმარტებით ბარათში ამ საკითხის თაობაზე მსჯელობის არარსებობის ფონზე, ძნელი გასარკვევია. პირველი ინსტანციის (ამ შემთხვევაში მხედველობაში მაქვს თბილისის საქალაქო სასამართლო) პრაქტიკა იმ გზით მიდის, რომ საგნობრივ დასაბუთებას და მიზეზების მითითებას მაჟორიტარი აქციონერისაგან არ მოითხოვს. არადა მთელი წყება მოსაზრებებისა ეკონომიკურ სინერგიულ ეფექტზე, საჯაროსამართლებრივ შემზღუდველობაზე და ა.შ. სწორედ ამ ინსტიტუტის საგნობრივ გამართლებას ემყარება. საკითხი ორაზროვანია ასევე გერმანულ სამართალშიც, სადაც გაბატონებული აზრის თანახმად ასეთ დროს მხოლოდ ფორმალური საფუძველია საკმარისი და მისი შინაარსობრივი გარკვევა არ უნდა შედიოდეს სასამართლოს განსჯის საქმეში. თუმცა საპირისპირო მოსაზრებებიც არსებობს, რომელიც ამ გადაწყვეტილების, ასევე, შინაარსობრივ დასაბუთებას, მიზეზებზე მითითებას აუცილებლად მოითხოვს.

3.1.4. წლიური ანგარიშის დამტკიცება, მოგების გამოყენების გადაწყვეტილება

შემდეგი მნიშვნელოვანი კომპეტენცია, რომლითაც კანონი აქციონერთა საერთო კრებას აღჭურავს არის მოგების გამოყენების წინადადების მიღების ან უარყოფის, წმინდა მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, ასევე წლიური ანგარიშის დამტკიცება. სს-ში, მისი კაპიტალური ბუნებიდან გამომდინარე, კორპორაციის მოგების სწორად გამოყენებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილებას აქციონერთა საერთო კრება იღებს, თუმცა „მეწარმეთა შესახებ" კანონით ეს უფლებამოსილება შესაძლოა საზოგადოების სხვა ორგანოზე იქნეს დელეგირებული. შესაბამისად, ამის თაობაზე მინიშნებას მეწარმე სუბიექტის წესდება ამომწურავად უნდა შეიცავდეს. გერმანულ სააქციო სამართალში ამ დროს ყურადღება ძირითადად კანონის რამდენიმე ცენტრალურ ნორმაზე მახვილდება: ეს არის სააქციო კანონის 58-ე, 173-ე და 174-ე პარაგრაფები. მოგების განაწილების საკითხი გერმანულ სამართალში უშუალოდ უკავშირდება წლიურ ანგარიშს,[253] ამ ანგარიშის წარდგენას საზოგადოების შესაბამისი ორგანოს მხრიდან და მის დამტკიცებას საერთო კრების მიერ.[254] ორგანული კომპეტენციის თვალსაზრისით ქართული სამართალიც წააგავს გერმანულს. წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილებას აქციონერთა საერთო კრება იღებს. ამ ანგარიშს საერთო კრებას შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანო წარუდგენს:[255] დირექტორატი, ან სამეთვალყურეო საბჭო.[256] საერ-

[253] MünchKommAktG/*Kropff*, (2003), §174 Rn. 8f.
[254] *Steiner* in Heidel (Hrsg.), Aktienrecht, (2007), §174 AktG Rn. 11.
[255] *Euler/Müller* in Spindler/Stilz, AktG, §174 Rn. 7.
[256] ასეთის არსებობის შემთხვევაში.

თო კრება მოისმენს ანგარიშს და იღებს მისი დამტკიცების (უარყოფის) და/ან მოგების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას.[257] აქ გასათვალისწინებელია ის თავისებურება, რომელიც ნაციონალურ კანონმდებლობას ახასიათებს: სს-ის აქციონერთა საერთო კრება უფლებამოსილია მოგების არა მხოლოდ წლიურ, არამედ შუალედურ გამოყენებაზე. მეწარმეთა კანონის მე-8 მუხლი აღნიშნავს, რომ სს-ში პარტნიორთა კრების[258] გადაწყვეტილებით შესაძლებელია შუალედური მოგების დივიდენდების სახით განაწილება. როგორც ჩანს, მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილება უშუალოდ არ უკავშირდება დირექტორატის ან სამეთვალყურეო საბჭოს წლიურ ანგარიშს. ნიშანდობლივია, რომ ამ შემთხვევაში კანონის მე-8 მუხლი კონკრეტულად უნდა იქნეს გაშლილი და ზუსტად გაწერილი საზოგადოების წესდებაში. მხედველობაშია ის ფაქტი, რომ საზოგადოების წესდებით გათვალისწინებული უნდა იყოს შუალედური მოგების განაწილება დივიდენდების სახით, მასთან დაკავშირებული პროცედურა, შუალედური მოგების განაწილების წინადადების წარმდგენი ორგანო და ა.შ.

გამომდინარე იქიდან, რომ ნორმას გერმანულ სამართალში იმპერატიული ხასიათი აქვს,[259] ამ უფლებამოსილების გადაცემა სს-ის სხვა ორგანოზე - სამეთვალყურეო საბჭოზე ან გამგეობაზე - დაუშვებელია.[260] ამასთან საერთო კრება იღებს მხოლოდ მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილებას, ისიც მას შემდეგ, რაც წლიური ანგარიში დამტკიცდება და თვალნათელია, რომ კორპორაციას წმინდა მოგების განაწილების შესაძლებლობა ექნება. ამიტომაც საუბრობენ გერმანულ

[257] *Brönner* in GrossKommAktG, §174 Rn. 10.
[258] აქციონერთა საერთო კრების.
[259] MünchKommAktG/*Kropff*, (2003), §174 Rn. 4.
[260] *Brönner* in GrossKommAktG, §174 Rn. 10.

იურიდიულ ლიტერატურაში, რომ საერთო კრება მოგების განაწილებისას წლიურ ანგარიშზეა დამოკიდებული. მართალია, წლიური ანგარიშის შესახებ წინადადებას საზოგადოების გამგეობა აკეთებს, ხოლო სამეთვალყურეო საბჭო ადგენს,[261] მაგრამ მისი საბოლოო გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას მხოლოდ აქციონერები იღებენ.[262] სააქციო კანონის 133-ე პარაგრაფის პირველი აბზაციდან და „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 54-ე მუხლის მე-7 პუნქტიდან გამომდინარე, ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ხმათა უბრალო უმრავლესობა. თუმცა ნაციონალური სამართალი კრებაზე დამსწრე ხმათა უბრალო უმრავლესობაზე საუბრობს და ამასთანავე ხმათა სხვა დადგენილ რაოდენობასაც უშვებს, თუკი ეს საზოგადოების წესდებით იქნება გათვალისწინებული. როგორც წესი, მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილებას აქციონერთა მორიგი საერთო კრება იღებს,[263] მაგრამ ამ გადაწყვეტილების მიღება რიგგარეშე კრებაზეც, ანუ ნებისმიერ კრებაზე შეიძლება.[264] იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოების წესდებით[265] სხვა რამ არ არის დადგენილი, საწარმოს სხვა ორგანოთა მონაწილეობა კრების მიერ ამ გადაწყვეტილების მიღებისას სავალდებულოა. მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილება აქციონერის „კრედიტორის უფლებას“ აფუძნებს, რადგანაც ამ გადაწყვეტილების საფუძველზე აქციონერს დივიდენდის მიღების მოთხოვნის უფლება

[261] *Hüffer*, AktG, (2010), §174 Rn. 5. თუმცა არსებობს გამონაკლისებიც, რომელზეც ქვემოთ იქნება საუბარი.
[262] *Steiner* in Heidel (Hrsg.), Aktienrecht, (2007), §174 AktG Rn. 2.
[263] *Hüffer*, AktG, (2010), §174 Rn. 4.
[264] MünchKommAktG/*Kropff*, (2003), §174 Rn. 17.
[265] „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის ბოლო წინადადების თანახმად.

უჩნდება.[266] პრაქტიკაში მოგების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებები ერთ სხდომაზე მიიღება, სადაც მთლიანი მოგების განაწილების თაობაზე იქნება საუბარი. თუმცა სააქციო სამართალში დასაშვებია, რომ აქციონერთა მორიგმა საერთო კრებამ გადაწყვეტილება მხოლოდ მოგების გარკვეული ნაწილის გამოყენებაზე მიიღოს, ხოლო დანარჩენი ნაწილის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება სხვა კრებისთვის გადადოს.[267]

მოგების გამოყენების გადაწყვეტილებისაგან განსასხვავებელია წლიური ანგარიშის დადგენის და მისი დამტკიცების კომპეტენცია. წლიური ანგარიშის დადგენა[268] მხოლოდ გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებაა.[269] ამ მხრივ ქართული და გერმანული სამართალი თითქმის ურ-

[266] *Hüffer*, AktG, (2010), §174 Rn. 4.

[267] MünchKommAktG/*Kropff*, (2003), §174 Rn. 18.

[268] ამასთან წლიური ანგარიშის შემუშავება მხოლოდ გამგეობის პრეროგატივაა. *Brönner* in GrossKommAktG, §172 Rn. 4.

[269] *Schulz* in Bürgers/Körber, AktG, §172 Rn. 3. წლიური ანგარიშის დადგენის საკითხს გერმანულ სამართალში სავაჭრო კოდექსის (HGB) 242-ე პარაგრაფს უკავშირებენ, რადგანაც სწორედ აღნიშნული ნორმა უდგენს მეწარმეს წლიური ანგარიშის შედგენის ვალდებულებას. თავად საწარმოს ბალანსი და მოგებისა და წაგების გამოთვლა, კოდექსის 242-ე პარაგრაფის მე-3 აბზაცის თანახმად, წლიურ ანგარიშს მოიცავს. წლიური ანგარიშის დადგენა, როგორც ცნება და იურიდიული კატეგორია კაპიტალურ საზოგადოებათა სამართალშია განვითარებული. ამიტომაც აღნიშნავენ, რომ მისი შემუშავების, შედგენის მოვალეობა სავაჭრო კოდექსით არის განმტკიცებული, ხოლო იურიდიული განმარტება კაპიტალური ტიპის საზოგადოებებისათვის განკუთვნილ კანონმდებლობაშია მოცემული: სააქციო კანონის 172-ე პარაგრაფის პირველი წინადადება, 173-ე პარაგრაფის პირველი აბზაცი, სადაც მისი დადგენა სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციაში შედის, ხოლო შპს-ის შესახებ კანონის 42a პარაგრაფის მე-2 აბზაცის და 46-ე პარაგრაფი, რომელიც, როგორც წესი, ამ უფლებამოსილებას პარტნიორთა კრებას ანიჭებს. *Heymann/Walz*, HGB, §242 Rn. 9, 10.

თიერთმსგავსია. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 57-ე მუხლის პირველი პუნქტისა და სააქციო კანონის 172-ე პარაგრაფის მიხედვით, საზოგადოების გამგეობა შეიმუშავებს წლიური ანგარიშის პროექტს და მას დასადგენად წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს.[270] მოკლედ, ამ შემთხვევაში კანონმდებლობა საუბრობს გამგეობის მხრიდან წლიური ანგარიშის შესახებ წინადადების წარდგენაზე. გამგეობა, როგორც სს-ის ერთიანი ორგანო,[271] ხელს აწერს დოკუმენტს, რომელშიც მოცემულია საზოგადოების სამეურნეო ანგარიშის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია. სამეთვალყურეო საბჭო იწონებს ან არ იწონებს გამგეობის მიერ წარმოდგენილ წინადადებას.[272] თუმცა აქ ქართული კანონმდებლობა გარკვეულ ხარვეზს შეიცავს. კერძოდ: 57-ე მუხლის პირველი პუნქტში ყურადღება მხოლოდ მოგების გამოყენების შესახებ წინადადებაზე მახვილდება. აქ ნათქვამია, რომ წმინდა მოგების განაწილების მოწონებულ წინადადებას სამეთვალყურეო საბჭო საერთო კრებას გადასცემს დასამტკიცებლად, თუმცა თავად წლიური ანგარიშის თაობაზე არაფერია აღნიშნული. შესაბამისად, შემდეგი ვითარება იკვეთება: დირექტორატი წლიური ანგარიშის შესახებ წინადადებას შეიმუშავებს და მას დასადგენად წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს. დირექტორატი ამასთან ერთად სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენს წინადადებას სამეურნეო მდგომარეობის და წმინდა მოგების გამოყენების შესახებ. კა-

[270] წლიური ანგარიშის შემუშავებასა (Aufstellung) და მის დადგენას/მიღებას (Feststellung) შორის არსებითი სხვაობაა: პირველი მხოლოდ მონახაზად განიხილება და არ აქვს იურიდიული მნიშვნელობა, მაშინ, როდესაც მეორე (უკვე შემუშავებული და დადგენილი წლიური ანგარიში) შესაძლოა განხილულ იქნეს იმ დოკუმენტად, რომლითაც საზოგადოება მომდევნო საანგარიშგებო წელს საქმიანობას ახალი ანგარიშის მიხედვით წარმართავს. იხ.: *Brönner* in GrossKommAktG, §172 Rn. 4.

[271] *Hüffer*, AktG, (2010), §173 Rn. 1.

[272] *Lammel* in Manz/Mayer/Schröder, Die Aktiengesellschaft, (2010), S. 540.

ნონის სარვეზიც სწორედ აღნიშნული მუხლის მეორე და მესამე წინადადებაშია. იმ შემთხვევაში, როდესაც სამეთვალყურეო საბჭო არ მოიწონებს გამგეობის წინადადებას მოგების განაწილების თაობაზე, ანუ სახეზე იქნება ორგანოთა კონფლიქტი, მაშინ ამავე პუნქტის მესამე წინადადების შესაბამისად, ამაზე საერთო კრება მიიღებს გადაწყვეტილებას. მაგრამ რეგულირების მიღმა რჩება ის სიტუაცია, როდესაც სამეთვალყურეო საბჭო არ მოიწონებს წლიური ანგარიშის შესახებ დირექტორატის წინადადებას. ამ მხრივ მეწარმეთა კანონი ალტერნატივას არ ტოვებს, რადგანაც ეს საკითხი მოწესრიგებული არ არის.[273] განსხვავებით გერმანული სააქციო კანონისაგან, სადაც ეს უფლებამოსილება 172-ე და 173-ე პარაგრაფების შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლოა საერთო კრებაზე გადავიდეს. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც ზემოთ აღნიშნული ორგანოები ვერ იძლევიან ერთიან წინადადებას წლიური ანგარიშის თაობაზე და, შესაბამისად, ნათელია, რომ ისინი ამაზე გადაწყვეტილებას ვერ მიიღებენ. ასეთ დროს საერთო კრებისთვის უმნიშვნელო ხდება საზოგადოების სხვა ორგანოების წინადადება და მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე თავად მოიპოვებს უფლებამოსი-

[273] ამასთან გაუგებრობა შეიძლება გამოიწვიოს ასევე მეწარმეთა კანონის თავად 57-ე მუხლის პირველმა პუნქტმა. აღნიშნული მუხლი იმპერატიული ხასიათისაა. შესაბამისად, მისი სიტყვასიტყვითი მოცემულობა განსაზღვრავს, რომ წლიური ანგარიშის, სამეურნეო ანგარიშის და მოგების გამოყენების შესახებ წინადადებას დირექტორატი სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენს მოსაწონებლად. რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც სს-ს საერთოდ არ აქვს ასეთი ორგანო? ვის წარედგინება დირექტორატის წინადადება? მოკლედ, ასეთ ვითარებაში კანონი ფართოდ უნდა განიმარტოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისეთი სს, რომელსაც არ აქვს სამეთვალყურეო საბჭო წლიურ ანგარიშს ვერ დაადგენს. სამეთვალყურეო საბჭოს არარსებობის ვითარებაში, დირექტორატის მხრიდან გაკეთებული წინადადება პირდაპირ აქციონერთა საერთო კრებას გადაეცემა დასამტკიცებლად.

ლებას.[274] მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს, რომ საერთო კრება ამ კომპეტენციას მხოლოდ მას შემდეგ იძენს, რაც იგი საზოგადოების სხვა ორგანოების მხრიდან უშედეგოდ იქნება გამოყენებული, ანუ გამგეობა და სამეთვალყურეო საბჭო ვერ შეძლებენ ერთიანი წინადადების ჩამოყალიბებას წლიური ანგარიშის დადგენის თაობაზე. ამ შემთხვევაში საუბარია ორგანოებს შორის კონფლიქტზე, როდესაც ისინი ერთმანეთში ვერ თანხმდებიან გარკვეულ საკითხზე – წლიურ ანგარიშზე (და მოგების გამოყენებაზე). ამიტომ საერთო კრება, როგორც „ზემდგომი“ ორგანო უფლებამოსილია ასეთი კონფლიქტის ნეიტრალიზება მოახდინოს და გადაწყვეტილება თავად მიიღოს. ამ მხრივ გასამიჯნი იქნება სააქციო კანონის 173-ე და 174-ე პარაგრაფები. კანონის 173-ე პარაგრაფი წლიური ანგარიშის დადადგენას[275] ეხება. იმისათვის, რომ წარმოდგენა შეიქმნას აღნიშნულ საკითხზე, აუცილებელია სააქციო კანონის მესამე ნაწილის პირველი ქვეთავი ზოგადად იქნეს მიმოხილული. სააქციო კანონის წინამდებარე ნაწილი წლიური ანგარიშის დადგენას ეხება. 172-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, წლიური ანგარიშის დადგენაზე უფლებამოსილი არიან საზოგადოების გამგეობა და სამეთვალყურეო საბჭო. წინამდებარე ნორმით წლიური ანგარიშის დადგენის უფლებამოსილებაა განსაზღვრული და აღნიშნულია, რომ ეს კომპეტენცია პირდაპირ შედის სს-ის გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციებში. გამგეობა, როგორც საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო, შეიმუშავებს წინადადებას წლიური ანგარიშის შესახებ, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს მიერ უნდა იქნეს მოწონებული (gebilligt). თუმცა არსებობს გამონაკლისი, როდესაც ამის თაობაზე გადაწყვეტილებას აქციო-

[274] *Euler/Müller* in Spindler/Stilz, AktG, §173 Rn. 7ff.
[275] Feststellung des Jahresabschlusses.

ნერთა საერთო კრება იღებს. ასეთ დროს საერთო კრების *სუბსიდიურ უფლებამოსილებაზე* საუბრობენ.[276] ამ შემთხვევაში სამი გარემოებაა გასათვალისწინებელი. პირველი – მიუხედავად იმისა, რომ სამეთვალყურეო საბჭომ მოიწონა გამგეობის წინადადება წლიური ანგარიშის თაობაზე, ეს ორგანოები *კორპორაციულსამართლებრივი გარიგების* საფუძველზე,[277] გადაწყვეტენ კომპეტენცია საერთო კრებას დაუთმონ, რის შემდეგაც ეს უკანასკნელი ვალდებული ხდება მიიღოს გადაწყვეტილება წლიური ანგარიშის დადგენის შესახებ. მეორე – სამეთვალყურეო საბჭო არ მოიწონებს გამგეობის წინადადებას, რის გამოც საერთო კრებამ უნდა მიიღოს აღნიშნული გადაწყვეტილება.[278] და მესამე, როდესაც სამეთვალყურეო საბჭო სააქციო კანონის 171-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცის თანახმად, დაარღვევს მასზე დაკისრებულ მოვალეობას და დათქმულ ვადაში გამგეობის წინადადებას პასუხს არ გასცემს. ითვლება, რომ მაკონტროლებელმა ორგანომ უარყო გამგეობის წინადადება, რაც საერთო კრების მიერ გადაწყვეტილების მიღების იურიდიული საფუძველი ხდება.[279] მნიშვნელოვანია, რომ გამგეობის წინადადება და სამეთვალყურეო საბჭოს მოწონება (თანხმობა) გადაწყვეტილებების სახით იქნება გაცემული. ამ შემთხვევაში ისინი მოქმედებენ როგორც საზოგადოების სტრუქტურული ორგანოები. შესაბამისად, გადაწყვეტილებები არა ცალკეულ წევრებზე, არამედ ერთ მთლიან ორგანოზეა დამოკიდებული. რაც შეეხება სააქციო კანონის

[276] *Lammel* in Manz/Mayer/Schröder, Die Aktiengesellschaft, (2010), S. 541.
[277] BGHZ 124, 111, 116 = NJW 1994, S. 520; *Balthasar*, Die Bestandskraft handelsrechtlicher Jahresabschlüsse, 1999, S. 182 ff; *Claussen* in FS Semler, 1993, S. 97, 101; Kropff, ZGR 1994, S. 628, 638; Priester FS Kropff 1997, S. 591, 601. ვუთითებ: *Hüffer* in GrossKommHGB, §242 Rn. 50.
[278] *Hüffer*, AktG, (2012), §173 Rn. 1.
[279] *Euler/Müller* in Spindler/Stilz, AktG, §173 Rn. 9.

174-ე პარაგრაფს. ეს მუხლი 173-ე მუხლთან ერთობლიობაში განსახილველი პარაგრაფია და უშუალოდ ეხება საერთო კრების მიერ წლიური ანგარიშის დადგენას. აღნიშნულ ნორმაში საერთო კრების ე.წ. „Notkompetenz“[280] მოცემული და ისეთი შემთხვევის განეიტრალებას ეხება, როდესაც, როგორც ნაციონალურ სამართალთან მიმართებით ითქვა, ორგანოთა კონფლიქტია სახეზე. იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილება წლიური ანგარიშის დადგენის თაობაზე ვერ მიიღება ზემოთ აღნიშნული ორგანოების მიერ, ამ უფლებამოსილებით საერთო კრება აღიჭურვება და გადაწყვეტილებასაც ეს უკანასკნელი მიიღებს. მას შემდეგ, რაც გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ გაკეთდება წლიურ ანგარიშთან დაკავშირებული მოხსენება, იკრიბება მორიგი საერთო კრება, რომელიც იღებს წლიური ანგარიშის დამტკიცებისა და მოგების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას.[281] გასათვალისწინებელია, რომ სააქციო სამართალში საერთო კრებას ხარჯთაღრიცხვის *მიღების (დამტკიცების)*, ხოლო მოგების გამოყენების *გადაწყვეტილების უფლებამოსილება აქვს.*[282]

3.1.5. სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის, წევრთა არჩევის და გამოწვევის გადაწყვეტილება

ა) სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა, წევრთა არჩევა

შემდეგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც საერთო კრების კომპეტენციას უკავშირდება არის სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის, მისი წევრების არჩევისა და გა-

[280] *Hüffer*, AktG, (2012), §173 Rn. 1; MünchKommAktG/*Kropff*, (2003), §173 Rn. 6.
[281] *Lammel* in Manz/Mayer/Schröder, Die Aktiengesellschaft, (2010), S. 545.
[282] *Hüffer*, AktG, (2012), §175 Rn. 3.

მოწვევის გადაწყვეტილების მიღება. საუბარია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებზე. ნორმა საერთო კრების დისკრეციას ადგენს სამეთვალყურეო საბჭოს, როგორც კორპორაციის ერთ-ერთი ორგანოს შექმნასთან დაკავშირებით. აქ ნიშანდობლივია იმის აღნიშვნა, რომ სამეთვალყურეო საბჭო[283] სს-ის ფაკულტატური ორგანო იქნება. იმ შემთხვევაში, როდესაც მისი შექმნა კანონით[284] სავალდებულოა, ბუნებრივია, საერთო კრების დისკრეციაზე, ანუ თავისუფალ შეხედულებაზე საუბარი ზედმეტია. ეს ორგანო მისი ნების დამოუკიდებლადაც უნდა შეიქმნას, ისე, როგორც ამას გერმანული სამართალი ითვალისწინებს. მოკლედ, ამ მხრივ გამოსაყოფია ორი მიდგომა: პირველი, როდესაც სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა კანონის მოთხოვნაა და იგი სავალდებულოდ შესაქმნელი ორგანოა. წინააღმდეგ შემთხვევაში სს-ს რეგისტრაციაზე უარი უნდა ეთქვას. მეორე, კორპორაციული მართვის თავისუფალი არჩევის სისტემა, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს ჩამოყალიბებას, როგორც საზოგადოების სურვილზე დამოკიდებულ ორგანოდ განიხილავს. აქ უბრალოდ კვლავ ერთი უხერხული მომენტია, რომელსაც „მეწარმეთა შესახებ“ კანონი შეიცავს. კერძოდ: კანონში ნათქვამია, რომ აქციონერთა საერთო კრების უფლებამოსილებას სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა და მისი წევრების არჩევა წარმოადგენს. ეს გასაგებიც არის, რადგან გამგეობაზე მაკონტროლებელი ბერკეტებით აღჭურვილი ორგანოს ჩამოყალიბებაზეა საუბარი, რომელიც აქციონერთა ინტერესების გამტარებელი და მათი წარმომადგენლებისაგან დაკომპლექტებული ორგანო იქნება.[285] მაგრამ მეწარ-

[283] ქართული სამართლის მიხედვით.

[284] „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 55-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[285] იმის გათვალისწინებით, რომ ქართულ საკორპორაციო სამართალში არ არსებობს მუშა-მოსამსახურეთა თანამონაწილეობის მსგავსი ინსტიტუტი.

მეთა კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის ბოლო წინადადება შესაძლებლობას იძლევა საერთო კრების ეს კომპეტენცია საზოგადოების სხვა ორგანოს, ჩვენ შემთხვევაში, დირექტორატს გადაეცეს. გამოდის, რომ ასეთ ვითარებაში შესაძლოა დირექტორატი იყოს უფლებამოსილი მაკონტროლებელი ორგანოს შექმნის გადაწყვეტილება მიიღოს, რაც არანაირ ჩარჩოში არ ჯდება. პირველი, კორპორაციული სტრუქტურის შესახებ გადაწყვეტილება ან კანონმა ან (საქართველოს შემთხვევაში) თავად აქციონერმა უნდა მიიღოს; მეორე, საუბარია ხელმძღვანელობით-წარმომადგენლობითი ორგანოს გამაკონტროლებელ სტრუქტურულ წარმონაქმნზე, რომელიც ისევ ამ ორგანოს (დირექტორატის) მიერ იქნება შექმნილი. ეს კი უეჭველად უხერხულობას გამოიწვევს, რადგანაც სამეთვალყურეო საბჭო მხოლოდ ფორმალურ ორგანოდ იქნება განხილული: ადვილი წარმოსადგენია, რომ სამეთვალყურეო საბჭო კვლავ იმ წევრებისაგან დაკომპლექტდეს, რომლებიც რეალურად არ გააკონტროლებენ დირექტორატის საქმიანობას. ისინი ხომ ამ უკანასკნელის მხრიდან იქნებიან სამეთვალყურეო საბჭოში წარდგენილნი? მოკლედ, მართვის სისტემებს შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა მაინც არ უნდა იძლეოდეს სრული საწესდებო ავტონომიის დამკვიდრების შესაძლებლობას. ამ მხრივ მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტში აღწერილი ეს კომპეტენცია მხოლოდ საერთო კრებას ჰქონოდა და მისი გადაცემა საზოგადოების სხვა ორგანოზე დაუშვებლად მიჩნეულიყო. ერთადერთი გამონაკლისი ამ შემთხვევაში შესაძლოა ყოფილიყო ამ უფლებამოსილების დელეგირების შესაძლებლობა ისეთ ორგანოზე, რომელიც აქციონერთა წარმომადგენლებთან ასოცირდება. წარმოსადგენია, რომ იმ სს-ს, რომელსაც ბევრი

პარტნიორი ჰყავს,[286] შექმნილი ჰქონდეს აქციონერთა დელეგატებისაგან დაკომპლექტებული სპეციალური ორგანო (კანონით ეს აკრძალული არ არის) და ამ ორგანოზე იყოს სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის და მისი წევრების არჩევის კომპეტენცია გადაცემული. ასეთ ვითარებაში საუბარი აქციონერთა დელეგატებზე იქნება, როგორც ეს, მაგალითად, რეგისტრირებული კოოპერატივის შემთხვევაშია. მოკლედ, წიგნის ამ ქვეთავში ყურადღება სამეთვალყურეო საბჭოს შექმნაზე, უფრო სწორედ, მისი წევრების არჩევისა და მათი გამოწვევის კომპეტენციაზე გამახვილდება.

სამეთალყურეო საბჭოს წევრთა დაკომპლექტებას (წევრთა წარდგენას საბჭოში) გერმანულ სამართალში ისეთი ინსტიტუტი უკავშირდება, როგორიც საწარმოს მართვის საქმეში *მუშა-მოსამსახურეთა თანამონაწილეობაა.*[287] თანამონაწილეობის ეს მოდელი გერმანული რეალობისთვის არის დამახასიათებელი, თუმცა გარკვეული პერიოდიდან დიდი კრტიკის საგნადაც არის ქცეული.[288] შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევა დამოკიდებულია იმაზე, თუ რასთან გვაქვს საქმე: საუბარია წილის მფლობელთა თუ მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენლებზე.[289] ამ უკანასკნელ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დაკომპლექტება

[286] მაგრამ, რა თქმა უნდა, არა 100-ზე მეტი.

[287] თუმცა ნიშანდობლივია, რომ ეს ინსტიტუტი დიდ ღია სს-ებს უკავშირდება, სადაც სამეთვალყურეო საბჭოს მუშა-მოსამსახურეთა თანამონაწილების შედეგად წარდგენილ წევრთა რიცხვი იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ რამდენი მოსამსახურე ყავს რელურად ამა თუ იმ კორპორაციას. Carsten Schäfer, Gesellschaftsrecht, C. H. Beck, München 2010, S. 216.

[288] ქართულად: *ჰანტურია*, კორპორაციული მართვა, გვ. 131 და მომდ; გერმანულად მაგ.: *Lieder*, Der Aufsichtsrat im Wandel S. 213 f, 638 ff.

[289] *Wolff* in Henn/Frodermann/Jannott, Handbuch des Aktienrechts, (2009), S. 414.

თანამონაწილეობით-სამართლებრივ ნორმებზე ხდება დაფუძნებული.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, თავისი სტატუსით, აქციონერის[290] წარმომადგენელია, რომელიც გამგეობის კონტროლზეა პასუხისმგებელი.[291] ისტორიული თვალსაზრისით სამეთვალყურეო საბჭოს წევრების თანაქმედება საწარმოს მართვის საქმეში საჭირო გახდა აქციონერთა დიდი რაოდენობიდან გამომდინარე, რადგან საერთო კრებას ასეთ ვითარებაში ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი ორგანოს გაკონტროლების ძალზე მწირი შესაძლებლობები ჰქონდა.[292] ამიტომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა წარდგენა (მათი არჩევა) სწორედ ამ სიტუაციის დასაძლევად გახდა საჭირო. გამომდინარე აქედან, თავდაპირველად სამეთვალყურეო საბჭო განხილული იყო, როგორც აქციონერთა საერთო კრების *კომიტეტი,*[293] რომელსაც გამგეობის საქმიანობის კონტროლი დაევალა.[294] აქედან მოყოლებული, დღესაც სამეთვალყურეო საბჭოს აქვს გამგეობის ზედამხედველობისა და გაკონტროლების ფუნქცია, მაგრამ არა როგორც აქციონერთა ორგანოს, არამედ როგორც კორპორაციის დამოუკიდებელ სტრუქტურულ ორგანიზაციულ ერთეულს.[295] ამჟამად, სამეთვალყურეო საბჭოზე, როგორც სს-ის ორგანოზე, მის ფუნქციებსა და უფლებამოსილებაზე ყურადღება არ გამახვილდება, რადგან ეს კვლევის ცალკე საგანია და იგი ამ წიგნის შემდეგ (IV) ნა-

[290] თანამონაწილეობის შემთხვევაში მუშა-მოსამსახურეთა.

[291] *Mertens* in KK-AktG, (1985), Vorb. §95 Rz. 1.

[292] *Mertens* in KK-AktG, (1985), Vorb. §95 Rz. 3. სამეთვლაყურეო საბაჭოს, როგორც ორგანოს წარმოშობის ისტორიული განვითარების შესახებ დაწვრილებით შეგიძლიათ იხ.: *Lieder*, Der Aufsichtsrat im Wandel der Zeit, S. 39 ff.

[293] Ausschuss.

[294] *Wilhelm*, Kapitalgesellschaftsrecht, (2009), S. 409.

[295] *Wilhelm*, Kapitalgesellschaftsrecht, (2009), S. 409.

წილში იქნება წარმოდგენილი. ამიტომ აქ მოკლედ წარმოჩინდება სამეთვალყურეო საბჭოს არჩევის, მისი დაკომპლექტების, წევრთა რაოდენობისა და მათი გამოწვევის საკითხი. დანარჩენი კი სამეთვალყურეო საბჭოსადმი მიძღვნილ სპეციალურ ნაწილში განიხილება.

საკორპორაციო სამართალში ხელმძღვანელი ორგანოების შექმნა, მისი წევრების არჩევა „საბაზისო ორგანოს“[296] კომპეტენციაში შედის. როგორც ზემოთ ითქვა, ეს არის პარტნიორთა კრება (აქციონერთა საერთო კრება). კანონმდებლობა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ანიჭებს „არაძირითად“ ორგანოს მმართველობის სხვა ორგანოს არჩევის კომპეტენციას.[297] ეს ნაციონალურ კანონდებლობას არ ეხება, რადგან ამ საკითხთან მიმართებით, როგორც ზემოთ წარმოჩინდა, ისევ საწესდებო ავტონომიის პრინციპი ბატონობს. გერმანულ სამართალში კი სიტუაცია სხვაგვარია. საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს ჩამოყალიბებისა და მისი წევრების არჩევის პრეროგატივა საერთო კრების უფლებამოსილებაში შედის, საიდანაც გამონაკლისის სახით მხედველობაში ის შემთხვევა მიიღება, როდესაც ხდება გამგეობის წევრთა არჩევა,[298] რომელიც მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებაში შედის. იმავდროულად ეს გამონაკლისი თავად სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევასაც ეხება. ამ დროს თანამონაწილეობის სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით სამეთვალყურეო საბჭოში წევრთა წარგზავნაზეა საუბარი.[299] ამ შემთხვევაში ეს პროცედურა აქციონერთა საერთო კრების

[296] basis Organ.
[297] *Bollweg*, Die Wahl des AR in der HV der AG, S. 51-42.
[298] AktG §84.
[299] *Bollweg*, Die Wahl des AR in der HV der AG, S. 52.

„მიღმა“ ხორციელდება.[300] როდესაც სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევა მხოლოდ საერთო კრებაზეა დამოკიდებული (ანუ ამ დროს წილის მფლობელთა წარმომადგენლებზეა საუბარი) საარჩევნო უფლების მატარებელი მხოლოდ აქციონერია, რომლის „კეთილ ნებაზეც“ ხდება თავად არჩევნების ბედი დამოკიდებული. აქციონერის საარჩევნო უფლების იურიდიული საფუძველი მისი წევრობის უფლება, ხოლო საკანონმდებლო სააქციო კანონის 101-ე პარაგრაფის პირველი აბზაცი[301] და „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი. სწორედ ეს კორპორაციულ-სამართლებრივად გარანტირებული საარჩევნო უფლება სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის, მისი წევრების რაოდენობის განსაზღვრისა და არჩევის უფლებამოსილებას იძლევა.

სააქციო კანონის 95-ე პარაგრაფი სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს და მას გარკვეულ კრიტერიუმებს უკავშირებს. აღნიშნულ პარაგრაფში დადგენილია წევრთა ის მინიმალური რაოდენობა, რომელსაც სამეთვალყურეო საბჭო უნდა შეიცავდეს. პირველი მოცემულობა, რომელზედაც კანონი აქცენტს აკეთებს სს-ის საწესდებო კაპიტალის სიდიდეზეა დამოკიდებული. სააქციო კანონის 95-ე პარაგრაფის პირველი წინადადების მიხედვით ნებისმიერ სს-ში[302] აუცილებელია სულ მცირე სამწევრიანი სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა. შემდეგ კანონი საწესდებო კაპიტალზე ამახვილებს ყურადღებას და აღნიშნავს, რომ იმ კორპორა-

[300] გამოთქმა: კრების „მიღმა“ მხოლოდ მხატვრულ დანიშნულებას ასრულებს. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, იქნება ეს აქციონერთა, თუ მოსამსახურეთა დისკრეციული უფლება, საერთო კრების მიერ ინიშნებიან, ანუ მათი კორპორაციულ-სამართლებრივი დანიშვნის აქტი საერთო კრების გადაწყვეტილებაა.
[301] *Bollweg*, Die Wahl des AR in der HV der AG, S. 54.
[302] მიუხედავად საწესდებო კაპიტალის მოცულობისა.

ციას, რომლის საწესდებო კაპიტალი 1 500 000 ევრომდე განისაზღვრება, ისეთი სამეთვალყურეო საბჭო ესაჭიროება, რომელიც 9 წევრისაგან (უფრო სწორედ, წევრამდე) შედგება; 1 500 000 ევროს და მეტის საწესდებო კაპიტალის არსებობის შემთხვევაში - 15 წევრი, 10 000 000 ევროს და მეტი საწესდებო კაპიტალის დროს კი - 21. წევრთა მაქსიმალური რაოდენობა ოცდაერთს შეადგენს,[303] ხოლო მინიმალური სამს.[304] წევრთა არჩევა ხმათა უბრალო უმრავლესობის საფუძველზე ხდება, თუმცა საზოგადოების წესდებით შესაძლოა სხვა რაოდენობა იყოს გათვალისწინებული. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები მხოლოდ ფიზიკური, სრულად ქმედუნარიანი პირები უნდა იყვნენ.[305] სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევა ჩვეულებრივი საკანდიდატო ფურცლის მიხედვით ხდება, რაც ნიშნავს, რომ საერთო კრებაზე განსახილველ პირთა კანდიდატურები ან ერთიან ფურცელზეა დატანებული და მათ ერთად ეყრება კენჭი, ან თოთოეული კანდიდატი ცალკეა წარმოდგენილი და მას ცალკე ეყრება კენჭი.[306] შესაბამისად, გამარჯვებულია ის კანდიდატი, რომელიც ხმათა

[303] *Hüffer*, AktG, (2010), §95 Rn. 4.

[304] ამასთან, პარიტეტულ საწყისზე დაკომპლექტებული სამეთვალყურეო საბჭოს შემთხვევაში სხვა ციფრები გამოიყენება. ეს საკითხი კი თანამონაწილეობის შესახებ კანონმდებლობას უკავშირდება. იხ.: *Raiser/Veil*, Recht der Kapitalgesellschaften, (2010), S. 159. ამაზე ქვემოთ სპეციალურად გამახვილდება ყურადღება. აქ უბრალოდ დასამატებელია, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა, სააქციო კანონის თანახმად, სამზე გაყოფადი უნდა იყოს. პირველ შემთხვევაში წევრთა მაქსიმალური ოდენობა 9, მეორე შემთხვევაში – 15, ხოლო მესამეში – 21. საზოგადოების წესდებას შეუძლია ლავირება სწორედ ამ ციფრებს შორის, სადაც სამზე გაყოფის პრინციპი შენარჩუნებული იქნება. *Bürgers/Israle* in Bürgers/Körber, AktG, §95 Rn. 4ff.

[305] *Wolff* in Henn/Frodermann/Jannott, Handbuch des Aktienrechts, (2009), S. 418.

[306] *Manz* in Manz/Mayer/Schröder, Die Aktiengesellschaft, (2010), S. 397.

დადგენილ რაოდენობას მიიღებს[307] ან ის კანდიდატები, რომელნიც ერთიანი სიითი კენჭისყრისას ხმათა სათანდო რაოდენობას მიიღებენ.[308] საერთო კრების მიერ დაუშვებელია სამეთვალყურეო საბჭოს წევრის *წარმომადგენლის არჩევა*,[309] განსხვავებით ქართული სამართლისაგან,[310] თუმცა შემცვლელი პირის არჩევის უფლებას კანონი აქციონერთა საერთო კრებას იმთავითვე ანიჭებს.[311] სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობას შემცვლელი წევრი (ან წევრები) არ მიეთვლება.[312] გამომდინარე იქიდან, რომ გერმანულ სააქციო სამართალში სამეთვალყურეო საბჭო სს-ის სავალდებულო ორგანოს წარმოადგენს, მისი აღნიშვნა სავაჭრო რეესტრში, ბუნებრივია, სავალდებულოა. სავალდებულოა ასევე საბჭოს წევრთა დარეგისტრირება რეესტრში მათი პირადი მონაცემების მითითებით. ეს საკითხი იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის საკითხს უშუალოდ უკავშირდება. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა ავტომატურად არ ნიშნავს მათ გამწესებას თანამდებო-

[307] *Wolff* in Henn/Frodermann/Jannott, Handbuch des Aktienrechts, (2009), S. 418.

[308] *Manz* in Manz/Mayer/Schröder, Die Aktiengesellschaft, (2010), S. 397.

[309] *Schiedermair/Kolb* in Müller/Rödder (Hrsg.), Beck'sches Hdb. der AG, §7 Rn. 16.

[310] „მეწარმეთა შესახებ" კანონის 55-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადების მიხედვით, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შესაძლოა, სხვა წევრით იქნეს წარმოდგენილი, მაგრამ ერთი წევრი ერთი სხვა წევრით. ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, საკითხი წარმომადგენლობას ეხება და არა წარმომადგენლის არჩევას.

[311] Münch. Hdb. GesR IV/*Hoffmann-Becking*, §28 Rn. 32. საქართველოს სააქციო სამართალში ამ შემთხვევაში ყურადღება ისევ საწესდებო ავტონომიაზე გაკეთდება. კანონი აკრძალვას არ შეიცავს. რაც აკრძალული არ არის, ნებადართულია. შესაბამისად, წესდებაც თავისუფლად გაითვალისწინებდა ამას.

[312] *Hüffer*, AktG, (2010), §95 Rn. 4.

ბაზე. უფლებამოსილების განმხორციელებელ სუბიექტად ორგანო მხოლოდ მაშინ აღიქმება, როდესაც იგი (უფრო სწორად მისი წევრები) დარეგისტრირდებიან სავაჭრო რეესტრში.[313] იგივე მოქმედებს საბჭოს წევრთა გამოწვევის შემთხვევაშიც. მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალური საკორპორაციო სამართალი სამეთვალყურეო საბჭოს არსებობას[314] სავალდებულოდ არ მიიჩნევს, საკითხი მისი წევრების უფლებამოსილების ცნობისა და გამოწვევის შესახებ ისევე უნდა მოწესრიგდეს, როგორც ამას გერმანული სამართალი ადგენს. ამ მხრივ ყურადღება მეწარმეთა კანონის მე-5 მუხლის მოთხოვნებზეა გასამახვილებელი, სადაც მეწარმე სუბიექტის (იურიდიული პირის) რეგისტრაციის პირობებია ჩამოყალიბებული, კონკრეტულად კი „ე“ ქვეპუნქტზე. ნორმის მიხედვით საწარმოს რეგისტრაციისას სარეგისტრაციო განაცხადი, ანუ წესდების კორპორაციულ-სამართლებრივი ნაწილი, აუცილებლად უნდა შეიცავდეს მონაცემებს საზოგადოების მმართველობის ორგანოს შესახებ. მმართველობის ორგანოს ამ შემთხვევაში ფართო განმარტება უნდა მიეცეს და მასში ყველა ის ორგანო უნდა მოიაზრებოდეს, რომელიც საწარმოს მართვის საქმეშია ჩართული: პარტნიორთა კრება (აქციონერთა საერთო კრება)[315], ხელმძღვანელობით-წარმომადგენლობითი ორგანო – დირექტორატი და, არსებობის შემთხვევაში, მაკონტროლებელი ორგანიზაციული სტრუქტურული წარმონაქმნი სამეთვალყურეო საბჭოს სახით. აქედან გამომდინარე, მონაცემები სამეთვალყურეო საბჭოს, მისი წევრების შესახებ რეგისტრირებული იქნება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული)

[313] *Hüffer*, AktG, (2010), §95 Rn. 5.

[314] „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 55-ე მუხლით დადგენილი გამონაკლისის გარდა.

[315] ამ შემთხვევაში (აქციონერთა რეესტრის გათვალისწინებით) დამფუძნებელ აქციონერებზე იქნება საუბარი.

იურიდიული პირების რეესტრში. მხოლოდ წევრთა რეგისტრაციის შემდეგ შეიძენენ ისინი უფლებამოსილებას. წევრი, რომელიც მხოლოდ წესდებით (როგორც შიდა დოკუმენტით) იქნება აღნიშნული სამეთვალყურეო საბჭოს წევრად, საზოგადოებასთან მიმართებით უფლებამოსილების მქონე პირად არ უნდა განიხილებოდეს.[316] რაც შეეხება თავად სამეთვალყურეო

[316] მაგრამ აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, როდესაც სს-ის დაფუძნების პროცესში სამეთვალყურეო საბჭო, როგორც საზოგადოების ორგანო, ჩამოყალიბებული არ იქნება. ამ ორგანოს ფაკულტატური ხასიათი იმას ნიშნავს, რომ მისი შექმნა საზოგადოებას მისი საქმიანობის ნებისმიერ ეტაპზე შეუძლია. ვთქვათ, ასეთი მაკონტროლებელი ორგანო დამფუძნებელ პარტნიორებს საწარმოს დაარსების დროს არ გაუთვალისწინებიათ. საწარმო გატარდა რეესტრში და დარეგისტრირდა. რეგისტრაციიდან რამდენიმე ხნის შემდეგ, პარტნიორები მივიდნენ იმ დაკვნამდე, რომ მათ სამეთვალყურეო საბჭო ესაჭიროებათ და მისი შექმნის გადაწყვეტილება მიიღეს. მოკლედ, ამ შემთხვევაში საუბარი იქნება არა წესდებით დადგენილ ორგანოზე, არამედ აქციონერთა საერთო კრების მიერ გადაწყვეტილების შედეგად შექმნილ ორგანოზე. საკითხავია უნდა აისახოს თუ არა ამ ორგანოს ჩამოყალიბება ასევე წესდების კორპორაციულ-სამართლებრივ ნაწილში (იმაში, რასაც კანონი სარეგისტრაციო განაცხადს უწოდებს). ეს პრაქტიკულ პრობლემასთან არის დაკავშირებული, კერძოდ, ასეთ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს რეესტრში ასახვასთან. მეწარმეთა კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი სარეგისტრაციო განაცხადის სავალდებულო მონაცემებს განსაზღვრავს, სადაც საზოგადოების დაფუძნების დროს მმართველი ორგანოს შესახებ ინფორმაცია უნდა იყოს მითითებული. მაგრამ ავალდებულებს თუ არა იგივე ნორმა საზოგადოებას, რომ შემდგომ შექმნილი ორგანოს და მისი წევრების შესახებ მონაცემები ასევე რეგისტრირებულ იქნეს საჯარო რეესტრში? ამ შემთხვევაში კანონის მოთხოვნა შემდგომ შექმნილ სამეთვალყურეო საბჭოზეც უნდა გავრცელდეს. იმ დროს, როდესაც სს მოექცევა კანონის 55-ე მუხლის პირველი პუნქტის რეგულირების ქვეშ, მან სამეთვალყურეო საბჭო, როგორც საზოგადოების ერთ-ერთი მმართველი ორგანო, აუცილებლად უნდა დაარეგისტრიროს რეესტრში (ანუ, როდესაც ამ ორგანოს შექმნა საზოგადოების საქმიანობის რაღაც ეტაპზე კანონით სავალდებულო ხდება). რა იცვლება იმ ვითარებაში, როდესაც სამეთვალყურეო საბჭო უბრალოდ აქციონერთა

საბჭოს ფუნქციებს, კომპეტენციის საკითხებს და ა.შ., ისინი დაექვემდებარება „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 55-ე მუხლის რეგლამენტაციას, თუკი საზოგადოების წესდებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული. გერმანული სამართლის მსგავსად მეწარმეთა კანონი სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა მინიმალურ და მაქსიმალურ ოდენობას ადგენს და ისიც იმ შემთხვევაში, როდესაც ამ ორგანოს შექმნა კანონით[317] სავალდებულოა. ასეთ შემთხვევაში წევრთა მინიმალური რაოდენობა სამი, მაქსიმალური კი ოცდაერთია. ასე რომ, კანონის ჩანაწერის ფართო განმარტება გვაფიქრებინებს, რომ წევრთა ოდენობა თითქოს სამზე გაყოფადი უნდა იყოს[318] არსად დადგენილი არ არის, რამაც შესაძლოა გარკვეული გაუგებრობაც გამოიწვიოს. მოკლედ, კანონი სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა მინიმალურ და მაქსიმალურ რაოდენობას ადგენს იმ დროს, როდესაც ორგანოს შექმნა კანონის მოთხოვნაა. მაგრამ უნდა გავრცელდეს თუ არა ეს მოთხოვნა ასევე იმ შემთხვევაზე, როდესაც სამეთვალყურეო საბჭო პარტნიორთა ნებით იქმნება, რთული სათქმელია. აქ კითხვა ასე უნდა დაისვას: იმ ვითარებაში, როცა სამეთვალყურეო საბჭო საზოგადოების ფაკულტატური ორგანო იქნება და მას აქციონერთა საერთო კრება შექმნის, უნდა მოექცეს თუ არა იგი მეწარმეთა კანონის 55-ე მუხლის რეგულირების ქვეშ? ამ

მიერ იქმნება რეგისტრაციიდან რამდენიმე ხანში? არსებითად არაფერი. გამომდინარე აქედან, მნიშვნელობა არ აქვს, თუ როდის შეიქმნება სამეთვალყურეო საბჭო – რეგისტრაციის მომენტში თუ მას შემდეგ. ყველა შემთხვევაში მისი წევრები, კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და 55-ე მუხლის შესაბამისად, უნდა დარეგისტრირდნენ სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდულ პირთა რეესტრში. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა შეიძინონ მათ უფლებამოსილება.

[317] მეწარმეთა კანონის 55-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[318] განსხვავებით გერმანული სააქციო კანონისაგან: AktG §95 Satz (3).

კითხვაზე პასუხის გასაცემად მნიშვნელოვნად მეჩვენება კანონის 55-ე მუხლის 1[1] პუნქტის დანიშნულება. რომ არა კანონის აღნიშნული ნორმა, ნამდვილად საფიქრალია, რომ პარტნიორთა ნებაზე ჩამოყალიბებული სამეთვალყურეო საბჭოს დროს კანონის 55-ე მუხლის მოთხოვნები მასზე არ უნდა გავრცელებულიყო, რადგან მას შემაკავშირებელი ფუნქცია მხოლოდ იმ სამეთვალყურეო საბჭოსთან ექნებოდა, რომლის შექმნასაც კანონი მოითხოვს. შესაბამისად, საკანონმდებლო რეგულირების მიღმა დარჩებოდა იმ საბჭოს საქმიანობა, რომელიც ფაკულტატურ ორგანოდ იქნებოდა განხილული. მაგრამ კანონის 55-ე მუხლის 1[1] პუნქტი, ვფიქრობ, რადიკალურად ცვლის არსებულ ვითარებას, რადგან აღნიშნავს, რომ საბჭოს არარსებობის შემთხვევაში *კანონით დადგენილი* მისი ფუნქციები და უფლებამოსილებები წესდებით გათვალისწინებულ სხვა ორგანოებზე გადანაწილდება. გამოდის შემდეგი: იმ შემთხვევაში, როდესაც სამეთვალყურეო საბჭო სს-ში არ ფუნქციონირებს, მისი კომპეტენცია და საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები კორპორაციის სხვა ორგანოზე იქნება დელეგირებული. თუმცა იმ დროს, როდესაც იგი ჩამოყალიბებულია (და არ აქვს მნიშვნელობა ეს კანონის მოთხოვნით თუ აქციონერთა ნება-სურვილის შესაბამისად მოხდა) იგი საკანონმდებლო მოწესრიგებას დაექვემდებარება. რა თქმა უნდა, საწესდებო ავტონომიის ფართო ფარგლები გათვალისწინებული იქნება.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევის რაიმე სპეციალურ წესს „მეწარმეთა შესახებ“ კანონი არ ადგენს. მისი არჩევის პროცესუალური საკითხები წესდებით იქნება გათვალისწინებული. მთავარი ის არის, რომ წევრთა არჩევის გადაწყვეტილების მისაღებად ხმათა უბრალო უმრავლესობა იქნება საჭირო, ისიც იმ შემთხვევაში, თუკი სს-ის წესდება სხვ რამეს არ გაითვალისწინებს. საბჭოს წევრის არჩევა ერთი

წლის ვადით ხდება, განსხვავებით გერმანული სააქციო სამართლისაგან, სადაც სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა მაქსიმუმ 4 წლით შემოიფარგლება,[319] იმის გათვალისწინებით, რომ სს-ის წესდებით შესაძლოა უფლებამოსილების უფრო მოკლე ვადაც დადგინდეს.[320] ამასთან აუცილებელი არ არის, რომ სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრის უფლებამოსილება ერთი და იმავე დროს დაიწყოს. პირიქით, გერმანიის კორპორაციული მართვის კოდექსის რეკომენდაციების თანახმად, უმჯობესია, თითოეული წევრის უფლებამოსილების ვადა სხვაგვარად განისაზღვროს და იგი ერთმანეთს არ დაემთხვას.[321] წევრთა უფლებამოსილების ვადის მხრივაც ქართული სამართალი განსხვავდება გერმანულისაგან, რადგან იგი ამ საკითხს უპირატესად წესდებაზე ორიენტირებულს ხდის.[322] შესაბამისად, როგორც მინიმალური, ისე მაქსიმალური ვადა საერთო კრების ან წესდების გადასაწყვეტია.

ის, რომ მეწარმეთა კანონი სამეთვალყურეო საბჭოს წევრს არანაირ საკვალიფიკაციო პერსონალურ მოთხოვნებს არ უდგენს, ეჭვს გარეშეა, განსხვავებით გერმანული სააქციო სამართლისაგან.[323] ნაციონალური კანონი იმასაც ირიბად განსაზღვრავს, თუ ვინ უნდა იყოს საბჭოს წევრი. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 55-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადების თანახმად, „სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს *ნებისმიერი პირი*“. უნდა მოიაზრებოდეს ამ დროს პირში მხოლოდ ფიზიკური პირი? მსოფლიო საკორპორაციო პრაქტიკა იცნობს შემთხვევებს, როდესაც, მაგალითად, საწარმოს დირექტორად იურიდიული პირიც შეიძლება იყოს წარმოდგენილი. ამიტომ ამ საკითხის კანონმდებლობის მიერ დაკონკრეტება უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა. მოკლედ, მეწარმეთა კანონის აღნიშნული დანაწესი ისე უნდა გავიგოთ, რომ მასში მხოლოდ ფიზიკური პირი იგულისხმებოდეს. ამასთან, უმჯობესი იქნებოდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებზეც გამახვილებულიყო ყურადღება.[324] ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წარმატებული კორპორაციული მართვის საქმეში, რადგანაც მაკონტროლებელი, გარკვეულ დონეზე მაინც, აუცილებლად უნდა ფლობდეს იმ კვალიფიკაციას, რომელიც გასაკონტროლებელ პირს აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში გამგეობის საქმიანობაზე ზედამხედველობა და კონტროლი აზრს მოკლებული იქნებოდა.[325]

[319] *Bürgers/Israle* in Bürgers/Körber, AktG, §102 Rn. 2.

[320] *Mertens* in KK-AktG, (1985), §102 Rz. 5.

[321] 5.4.4. DCGK. იხ.: *Kremer* in Ringleb/Kremer/Lutter/Werder, DCGK, 4. Auf., (2010), S. 300 f, Rn. 1061 ff; *Peltzer,* Deutsche Corporate Governance, (2004), S. 110.

[322] „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 55-ე მუხლის 1^2 პუნქტის პირველი წინადადება.

[323] განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გერმანიაში კორპორაციული მართვის კოდექსი მიიღეს. მართალია, ეს საკითხი ნებაყოფლობითი თვითრეგულირების სფეროში მოექცა, თუმცა საკვალიფიკაციო მოთხოვნები კოდექსმა წევრებს ნამდვილად წაუყენა. ამის თაობაზე მაგ.: *Lutter*, Die personelle Auswahl von Aufsichtsratsmitgliedern – die rechtliche Sicht, in: Hommelhoff/Hopt/v. Werder, Hdb Corporate Governance, S. 325 f.

[324] ამ თვალსაზრისით შეგიძლიათ იხ. კორპორაციული მართვის პროექტის (IFC) მიერ განხორციელებული საქმიანობის ანგარიშები.

[325] იხ. მაგ.: *Axel v. Werder*, Qualifikation und Auswahl von Aufsichtsratsmitgliedern aus betriebswirtschaftlicher Sicht, in: Hommelhoff/Hopt/v. Werder, Hdb Corporate Governance, S. 332-333.

ბ) სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა გამოწვევა

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 55-ე მუხლის 1^2 პუნქტის მესამე წინადადების შესაბამისად, საბჭოს წევრის ვადამდე გადარჩევა ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი და რაიმე სპეციალურ პირობას არ უკავშირდება. ამავე დროს ყოველ წევრს ნებისმიერ დროს და ნებისმიერ სიტუაციაში საკუთარი ინიციატივით გადადგომის უფლება აქვს.[326] გერმანული სამართალი ამ დროს ორ ტერმინს იყენებს, რომელიც სააქციო კანონის სხვადასხვა პარაგრაფშია მოცემული. პირველი ეს არის *Abberufung*,[327] რომელიც ქართული გამოწვევის[328] შესატყვისი იქნება, ხოლო მეორე - *Entlastung*,[329] კორპორაციის გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრთათვის *ნდობის გაცხადება*. პირველ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გამოწვევა, განთავისუფლება ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი, თუკი თავად ამ წევრთა გამწესება სპეციალური ნორმებით არ წესრიგდება.[330] ამ შემთხვევაში მუშამოსამსახურეთა თანამონაწილეობის დამდგენ კანონმდებლობაზეა საუბარი. აქედან გამომდინარე, იმ წევრთა გამოწვევაზეა საუბარი, რომელიც მეწილეთა წარმომადგენლებად გამოდიან.[331] შესაბამისად, აქ ყურადღება მხოლოდ წილის მფლობელთა მიერ წარდგენილ (არჩეულ) სამეთვალყურეო საბჭოს წევრებზე გაკეთდება. ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ხმათა 3/4-ის უმრავლესობა, თუკი სააქციო კანონის 103-ე პარაგრაფის პირველი აბზაცის მესამე წინადადების შესაბამისად, საზოგადოების წესდებით ხმათა სხვა უმრავლესობა და სხვა მოთხოვნები არ არის დადგენილი.[332] სამეთვალყურეო საბჭოს იმ წევრის გამოწვევა, რომელიც სასამართლოს მიერ იქნა გამწესებული[333] საერთო კრების კომპეტენციაში არ შედის.[334] თუმცა სააქციო კანონი ამ მხრივ სხვა ალტერნატივას ითვალისწინებს და 104-ე პარაგრაფში აძლევს აქციონერთა საერთო კრებას ამ წევრის სხვა არჩეული წევრით ჩანაცვლების უფლებამოსილებას.[335] მეორე შემთხვევაში საუბარია სამეთვალყურეო საბჭოსთვის, უფრო სწორედ, მისი წევრებისთვის ნდობის გამოცხადებაზე. ამ საკითხს სააქციო კანონის 120-ე პარაგრაფი ეხება, სადაც საზოგადოების გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის ნდობის გამოცხადებაზეა ყურადღება გადატანილი. საერთო კრების მიერ მმართველობისადმი ნდობის (უნდობლობის) გამოცხადება ნიშნავს, რომ საერთო კრება იღებს კორპორაციის მმართველობის ორგანოების (გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს) საქმიანობის მოწონების (ან შესაბამისად მოუწონლობის) შესახებ გადაწყვეტილებას. ამ გადაწყვეტილებით სს-ის პარტნიორები

[326] კანონის 55-ე მუხლის 1^2 პუნქტის მეოთხე წინადადება.
[327] Abberufung der Aufsichtsratsmitglieder. AktG §103.
[328] თანამდებობიდან გადაყენების, გათავისუფლების.
[329] Entlastung der Mitglieder des Vorstands und Aufsichtsrats. AktG §120.
[330] *Manz* in Manz/Mayer/Schröder, Die Aktiengesellschaft, (2010), S. 400.
[331] MünchKommAktG/*Habersack*, 2. Band, (2008), §103 Rn. 9.

[332] *Hopt/Roth* in GrossKommAktG, 4. Auf., (2006), §103 Rn. 23.
[333] მაგ., „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 55-ე მუხლის 1^2 პუნქტი; AktG §104.
[334] MünchKommAktG/*Habersack*, 2. Band, (2008), §103 Rn. 8. სხვაგვარად გადაწყდება საკითხი ქართულ სააქციო სამართალში, რომლის მიხედვითაც, ამის უშუალო მოწესრიგებას კანონში ვერ ვიპოვნით. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ სასამართლოს მიერ დანიშნული წევრის გამოწვევის უფლებამოსილება კრების კომპეტენციაში შედის.
[335] *Hopt/Roth* in GrossKommAktG, (2006), §103 Rn. 9. ამასთან უნდობლობის გამოცხადების გადაწყვეტილების მიღებით აქციონერთა საერთო კრებას, მაგალითად, გამგეობის წევრის გათავისუფლების სამართლებრივი გზა ეხსნება, რასაც 84-ე პარაგრაფი უზრუნველყოფს. *Tilch* (Hrsg.), Deutsches Rechts-Lexikon, Band 1., 2. Auf., C. H. Beck, München 1992, S. 1203. ანალოგიურად გადაწყდება ალბათ საკითხი სამეთვალყურეო საბჭოს წევრთან მიმართებითაც.

გარკვეულწილად „აფასებენ“ გასული ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში მმართველი ორგანოების მიერ განხორციელებულ საქმიანობას და მის წევრებს ნდობით ან უნდობლობით ეკიდებიან.[336] სააქციო კანონის მიხედვით სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის ნდობის გამოცხადების დაყენების ვალდებულება ყოველწლიურ საერთო კრებაზე ხდება. ამ კუთხით ნდობა გასულ საანგარიშგებო წელს მოიცავს. შესაბამისად, კანონი ნდობის დაყენების საკითხის გადაწყვეტას საანგარიშგებო წლის შემდეგ 8 თვის განმავლობაში ითხოვს. გაწეული საქმიანობისათვის ნდობის გაცხადება, გარკვეულწილად, ამ ორგანოებისათვის სამომავლო საქმიანობის მოწონებასაც და ნდობასაც ნიშნავს.[337] ამიტომ ისინი პარალელურ რეჟიმშია განსახილველი. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნდობის გამოცხადება ავტომატურად არ ნიშნავს ამ ორგანოთა მიერ საქმიანობის მართლზომიერად განხორციელების *უტყუარობის პრეზუმფციას*. ამ შემთხვევაში საერთო კრებამ ნდობის გამოცხადების, მისი ჩამორთმევის ან შემდგომი საფუძვლის არსებობისას ნდობის გამოწვევის შესახებ გადაწყვეტილება სათანადო განსჯის შესაბამისად უნდა მიიღოს. ამიტომ კრების ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც საგნობრივად არასწორია (კანონის ან წესდების ნორმების დარღვევით არის მიღებული) აპრიორი გასაჩივრებას ექვემდებარება.[338] როგორც წესი, საერთო კრება ნდობას მთლიანად ორგანოს უცხადებს და არა მის რომელიმე წევრს,[339] თუმცა სააქციო სამართალი ასევე თითოეული წევრისათვის ნდობის გაცხადების ან განუცხადებლობის შესაძლებლობას უშვებს.[340] ამას სააქციო კანონის 120-ე პარაგრაფის მეორე აბზაცი ითვალისწინებს. აქ ნათქვამია, რომ თუკი საერთო კრება გადაწყვეტს ან ამას კვალიფიციური უმრავლესობა მოითხოვს აქციონერთა კრებას საბჭოს თითოეული წევრის ნდობის დაყენების საკითხის უფლებამოსილება ეძლევა. გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ამასთან ერთად კითხულობენ, აქვს თუ არა თვითონ *კრების თავმჯდომარეს* კრების გადაწყვეტილების ან უმცირესობის მოთხოვნის გარეშე საბჭოს წევრთა ნდობის საკითხის საკუთარი ინიციატივით დაყენების პრეროგატივა, რასაც დადებით პასუხს სცემენ.[341] ამის არგუმენტაცია სწორედ იქიდან მომდინარეობს, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას ისევ კრება იღებს და არა მისი თავმჯდომარე. შესაბამისად, კანონსაწინააღმდეგო აქ არაფერი იქნება.

და ბოლოს, თავისი სამართლებრივი ბუნებით სამეთვალყურეო საბჭოს გამოწვევის აქტი გარიგებაა. ისევე, როგორც საბჭოს წევრის გამწესება, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გამოწვევაც კორპორაციულ-სამართლებრივ გარიგებაზეა დაფუძნებული.[342] შესაბამისად, მისი ნამდვილობისთვის „მიღებასავალდებულო ნების გამოვლენაა“[343] საჭირო.[344] წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა ამ გარიგების ბათილობის საკითხიც დაისვას.

[336] *Tilch* (Hrsg.), Deutsches Rechts-Lexikon, S. 1203.
[337] *Tilch* (Hrsg.), Deutsches Rechts-Lexikon, S. 1203-1204.
[338] BGH, Urteil v. 25.112002, IIZR 133/01; BGHZ 153, 47, 50 ff = DB 2003, S. 544.
[339] *Hüffer*, AktG, (2012), §120 Rn. 12.

[340] MünchKommAktG/*Kubis*, (2004), §120 Rn. 7.
[341] *Manz* in Manz/Mayer/Schröder, Die Aktiengesellschaft, (2010), S. 376-377.
[342] *Hopt/Roth* in GrossKommAktG, (2006), §103 Rn. 17.
[343] empfangsbedürftige Willensärklerung.
[344] *Brodmann*, Aktienrecht §243 HGB, 6f; *Schlegerberger/Quassowski*, §87 AktG 1937, 23; ARHdb/Scholz, §11, 42 *Teichmann/Koehler*, §87 AktG 1937, 3. ვუთითებ: *Hopt/Roth* in GrossKommAktG, (2006), §103 Rn. 17.

3.1.6. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურება

აქციონერთა საერთო კრება არა მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს შექმნისა და მისი წევრების არჩევის საკითხს წყვეტს, არამედ მას საბჭოს წევრთა ანაზღაურების საკითხის დადგენის და გადაწყვეტის კომპეტენციაც აქვს. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურების საკითხი სხვადასხვა კორპორაციაში სხვადასხვაგვარად არის გადაწყვეტილი. არის შემთხვევები, როდესაც სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოებისაგან საერთოდ არანაირ ანაზღაურებას არ იღებენ.[345] თუმცა უფრო ხშირია შემთხვევები, როდესაც სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს საკმაოდ მაღალი ხელფასები აქვთ დანიშნული და, შესაბამისად, მათი საქმიანობა სასყიდლიანია. ბუნებრივია, თავად ანაზღაურების სისტემა და მოცულობა სს-ზე და მის ფინანსურ სიძლიერეზეა დამოკიდებული.[346] მაგრამ გასათვალისწინებელი ყველა შემთხვევაში ის არის, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი დამოუკიდებლად, მიუკერძოებლად ასრულებდეს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, რისი საწინდარიც, პიროვნულ ფაქტორებთან ერთად, შესაძლოა მისი ანაზღაურების სიდიდეც იყოს. დიდ ღია სსებში სამეთვალყურეო საბჭოს წევრები თითქმის აბსოლუტურ შემთხვევაში გარკვეულ ანაზღაურებას იღებენ. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ანაზღაურების პრინციპი შესაძლოა ე.წ. „პრინციპალ-აგენტის"[347] ურთიერთობის ჭრილშიც იქნეს განხილული. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება სწორედ დავალების გამცემისა და მისი მიმღების ეკონომიკურ-სამართლებრივ ურთიერთობაზეა დაფუძნებული. აღნიშნული ურთიერთობა წარმოიშობა მაშინ, როდესაც დავალების მიმცემი დავალების მიმღებს გარკვეული ამოცანების შესრულებისა და ამ ფუნქციების შესრულებიდან გამომდინარე გადაწყვეტილების მიღების კომპეტენციას ანიჭებს ისე, რომ ამაში აგენტი სასყიდელს იღებს. სასყიდელი სწორედ ანაზღაურების ფორმით გამოიხატება.[348] გერმანულ სამართალშიც მართვის ორსაფეხურიანი სისტემაც ასევე შეიძლება ამ

[345] მაგ., ავსტრიის სააქციო სამართალი. ამ მხრივ ავსტრიული სამართალი განსხვავების ხაზს ავლებს მუშა-მოსამსახურეთა თანამონაწილეობის შედეგად წარდგენილ სამეთვალყურეო საბჭოს წევრსა და აქციონერთა „დელეგატს" შორის. გამომდინარე აქედან, ავსტრიული საკორპორაციო სამართალი ანაზღაურების უფლებას მხოლოდ იმ წევრს ანიჭებს, რომლის წარდგენაც საბჭოში თანამონაწილეობის სამართლებრივ ნორმებს არ ექვემდებარება. ამის საპირისპიროდ გერმანულ სამართალში სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრი თანაბრად ანაზღაურებად რეჟიმში ექცევა, რასაც ჰოპტი და როტი „პოლიტიკურ-სამართლებრივი ოვალსაზრისით დამაჯერებლად" არ უყურებენ. ვრცლად ამ საკითხის თაობაზე, ასევე, ავსტრიულ სამართალზე შემდგომი მითითებებით იხ.: *Hopt/Roth* in GrossKommAktG, (2006), §113 Rn. 7. პოლიტიკურ-სამართლებრივი დისკუსიის თაობაზე ასევე: *Michael Kort*, Rechtsfragen der Höhe und Zusammensetzung der Vergütung von Mitgliedern des Aufsichtsrats einer AG, in: FS Hüffer, S. 483 ff.

[346] მაგ., გერმანიის სააქციო კანონი პირდაპირ მიუთითებს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ანაზღაურება (მისი მოცულობა) შესაბამისობაში იყოს წევრის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან და საზოგადოების (ფინანსურ) მდგომარეობასთან. „Sie soll in einem angemessenen Verhältnis zu den Aufgaben der Aufsichtsmitglieder und zur Lage der Gesellschaft stehen". AktG §113 Abs. 1 Satz (3).

[347] Principal-Agency Relationship, რომლის თეორია გასული საუკუნის 30-იან წლებში აშშ-ში განავითარეს ცნობილმა მეცნიერებმა ბერლემ და მინსმა. ამ საკითხის კვლევას შესაბამისი თეორიის ჩამოყალიბების შედეგად ავტორებმა სპეციალური მონოგრაფია მიუძღვნეს, რომელიც 1932 წელს გამოქვეყნდა. ამ ნაშრომის თაობაზე ზემოთ უკვე ითქვა. იხ.: *Berle/Means*, The Modern Corporation and Private Property, New York 1932.

[348] *Plagemann*, Die Vergüttung des AR in der börsennotierten AG, S. 33.

ურთიერთობის ჭრილში იქნეს განხილული. სრულად მართებულად აღნიშნავს *პლაგემანი*, რომ სს-ში კორპორაციული მართვის განხორციელებას ის სისტემა უდევს საფუძვლად, რომელიც საკორპორაციო სამართალში პრინციპალისა და აგენტის თეორიის სახელით არის ცნობილი. ამ შემთხვევაში დავალების გამცემი (პრინციპალი) საზოგადოების აქციონერია, რომელიც გარკვეული ამოცანების შესრულებისა და გადაწყვეტილებ(ებ)ის მიღების უფლებამოსილებას კორპორაციის სხვა ორგანოებს ანიჭებს. გერმანულ სააქციო სამართალში ეს ორგანოები ორ დონედ არის დაყოფილი. კერძოდ, ფუნქციები გადანაწილებულია სამეთვალყურეო საბჭოსა და საწარმოს გამგეობას შორის. აქციონერი სამეთვალყურეო საბჭოს ზედამხედველობისა და კონტროლის ფუნქციებს (ამოცანის შესრულებას) გადასცემს. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილების მიღების მეშვეობით მოქმედებს. თავის მხრივ, სამეთვალყურეო საბჭოს გამგეობის შექმნა და მის წევრებთან სასამსახურო-სამართლებრივი[349] ურთიერთობის დამყარება ევალება, ანუ საბჭოს მხრიდან მისთვის გარკვეული ფუნქციის - ხელმძღვანელობით-წარმომადგენლობითი ფუნქციის - მინიჭება ხდება. ამით კი სამეთვალყურეო საბჭო გამგეობასთან მიმართებით თავად იმოსება პრინციპალის მოსასხამით.[350] ამიტომაც არის, რომ როგორც გამგეობის, ისე სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა საქმიანობა, როგორც წესი, ანაზღაურებად ხასიათს (უნდა) ატარებ(დე)ს.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურების საკითხის დამდგენ ცენტრალურ ნორმას ქართულ სამართალში „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი, ხოლო გერმანულ სამართალში სააქციო კანონის 113-ე პარაგრაფი წარმოადგენს. ამ შემთხვევაშიც გერმანული კანონმდებლობა, ქართულთან შედარებით, კვლავ დადგენილი საკანონმდებლო რეგულაციით გამოირჩევა. ეს ნათლად ჩანს თავად წევრთა შრომის ანაზღაურებისა და მისი ოდენობის ფუნქციური განსაზღვრის საკითხში. გერმანულ სააქციო სამართალში სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება (Bezüge) და მისი მოცულობის განსაზღვრა მხოლოდ პარტნიორთა პრეროგატივაში შედის და შესაძლოა დაფუძნებული იყოს მხოლოდ წესდებაზე ან აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებაზე,[351] მაშინ, როდესაც მეწარმეთა კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის ბოლო წინადადება ამ უფლებამოსილების საზოგადოების სხვა ორგანოზე გადაცემის შესაძლებლობას ითვალისწინებს. გამოდის, რომ წევრთა ანაზღაურების დადგენისა და მისი განსაზღვრის საკითხი შესაძლოა კორპორაციის დირექტორატის კომპეტენციაში მოექცეს. საერთო კრების გადაწყვეტილებაც, იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უფლებამოსილება გამგეობაზე იქნება დელეგირებული, საჭირო აღარ იქნება და მას, თავის მხრივ, გამგეობის გადაწყვეტილება შეცვლის. ამასთან ნიშანდობლივია, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს საკუთარი ინიციატივით არ აქვთ ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხების დამოუკიდებლად განსაზღვრის კომპეტენცია.[352] ამიტომ იმ შემთხვევაში, როდესაც წესდებით ან აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით ამის თაობაზე არაფერია ნათქვამი, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას და ახორციელებს საქმიანობას, ამ უკანასკნელს არ აქვს შრომის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.[353] აქედან

[349] სასამსახურო სელშეკრულების ტერმინი პირველად მეწარმეთა კანონის კომენტარმა დაამკვიდრა. *ჭანტურია/ნინიძე*, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, (2002), გვ. 425.

[350] *Plagemann*, Die Vergüttung des AR in der börsennotierten AG, S. 37.

[351] *Mertens* in KK-AktG, (1985), §113 Rz. 4.

[352] MünchKommAktG/*Habersack*, 2. Band, (2008), §113 Rn. 2.

[353] *Bürgers/Israle* in Bürgers/Körber, (2011), AktG, §113 Rn. 2.

გამომდინარე, საუბრობენ იმაზე, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურებისთვის არ არსებობს მისი *სასყიდლიანობის პრეზუმფცია.*[354] ამ დროს წევრის საქმიანობა უსასყიდლო ხასიათს ატარებს.

„მეწარმეთა შესახებ" კანონი სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურების საკითხთან მიმართებით *შრომის ანაზღაურების* ტერმინით შემოიფარგლება, მაშინ, როცა გერმანული ხმარობს სიტყვას - Vergütung, რაც უბრალოდ ანაზღაურებას გულისხმობს. აქედან გამომდინარე, საუბარი შეიძლება ანაზღაურების სახეებზე, რომელიც საწარმოთა პრაქტიკაში სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. აქ მხედველობაში მიიღება ყოველგვარი სასყიდლიანი ანაზღაურების სახე, რომელიც შესაძლოა მისღები და მიზანშეწონილი იყოს კორპორაციისთვის. თუმცა „ალნერნატიულად ან კუმულაციურად მყარად განსაზღვრულ ყოველთვიურ ხელფასს ან მოგების მიღებაში მონაწილების უფლების უზრუნველყოფას გამოყოფენ ხოლმე".[355] როგორც ითქვა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურების დადგენის და მისი ოდენობის (მოცულობის) განსაზღვრის საკითხი საზოგადოების წესდებაში არსებულ ჩანაწერს ან საერთო კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას უშუალოდ უკავშირდება. შესაბამისად, საწარმოს წესდებით თავიდანვე შეიძლება იყოს გათვალისწინებული პოსტულატები წევრთა შრომის ანაზღაურების შესახებ (მაგალითად, ყოველთვიური მყარად განსაზღვრული თანხის სახით), თუმცა ეს არ გამორიცხავს აქციონერთა საერთო კრების მიერ შემდგომში უფრო მაღალი ან სხვაგვარი ანაზღაურების დაწესებას როგორც სამეთვალყურეო საბჭოს ყველა, ისე თითოეული წევრისთვის.[356] შესაბამისად, საერთო კრებას ამ ნა-

[354] *Hopt/Roth* in GrossKommAkG, (2006), §113 Rn. 9.
[355] *Mertens* in KK-AktG, (1985), §113 Rz. 7.
[356] *Semler/Wagner* in Semler/v. Schenck (Hrsg.), ARHdb, (2009), §10 Rn. 8.

ბიჯის გადასადგმელად წესდებით დაფუძნებული რაიმე სპეციალური დისკრეცია არ ესაჭიროება.[357] შეთანხმება ანაზღაურების შესახებ წერილობით უნდა გაფორმდეს. ამიტომ კონკლიუდენტურად შეთანხმებული ანაზღაურება[358] და ანაზღაურება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, ბათილია.[359] აქედან გამომდინარე, გადახდები, რომელიც ასეთი იურიდული საფუძვლის[360] (წესდებაში არ არსებული ჩანაწერი ან საერთო კრების გადაწყვეტილების არ არსებობა) გარეშე განხორციელდა უკუგადახდას ექვემდებარება და მასზე უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებია გასავრცელებელი.[361] ანაზღაურების ქვეშ მოსააზრებელია ასევე სამეთვლყურეო საბჭოს მიერ ისეთი განსაკუთრებული მომსახურებები, რომელიც მის ფუნქციას – საზედამხედველო ამოცანის განხორციელებას ეხება. ამ შემთხვევაში საუბარია ე.წ. განსაკუთრებულ (სპეციალურ) ანაზღაურებაზე[362], თუმცა მისი განხილვა სააქციო კანონის 113-ე პრაგრაფისგან, ასევე, მეწარმეთა კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის „თ" ქვეპუნტქისაგან მოწყვეტილად არაფრით შეიძლება.[363] ანაზღაურების ეს სახეც, იმის გათვალისწინებით, რომ იგი საბჭოს მიერ განსაკუთრებული ამოცანის შესრულებასთან იყო დაკავშირებული, ანაზღაურების ერთიან კონტექსტშია განსახილველი და მისი განცალკევება არ შეიძლება. როგორც ანაზღაურების დანიშვნა, ისე მისი გაუქმება ან განსაზღვრული სიდიდის შეცვლა მორიგი ან რიგგა-

[357] შემდგომი მითითებებით: *Semler/Wagner* in Semler/v. Schenck (Hrsg.), ARHdb, (2009), §10 Rn. 8.
[358] Hopt/Roth in GrossKommAkG, (2006), §113 Rn. 9.
[359] *Semler/Wagner* in Semler/v. Schenck (Hrsg.), ARHdb, (2009), §10 Rn. 9.
[360] Rechtsgrund.
[361] *Semler/Wagner* in Semler/v. Schenck (Hrsg.), ARHdb, (2009), §10 Rn. 11.
[362] Sondervergütung.
[363] KpK GesR/Paschke Kap. 10 §113 Rn. 3.

რეშე საერთო კრების[364] უფლებამოსილებაში შედის.[365] ამ გადაწყვეტილების მიღება ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.[366] გადაწყვეტილება გერმანული სამართლის მიხედვით, წესდებაში სათანადო ცვლილების შეტანას მოითხოვს,[367] რითიც ეს საკითხი ქართულისაგან ისევ განსხვავდება. მეწარმეთა კანონი საკმარისად მიიჩნევს საერთო კრების წერილობით გადაწყვეტილებას ანაზღაურების გაქუმების ან მისი მოცულობის შემცირების თაობაზე, რასაც, თავის მხრივ, წესდებაში სათანადო ცვლილება არ ესაჭიროება. გარდა ამისა, გერმანული სააქციო სამართლითვის აუცილებელია, რომ ცვლილება სავაჭრო რეესტრში დარეგისტრირდეს. სწორედ რეესტრში სათანადო ჩანაწერის არსებობის დღიდან არის კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება ნამდვილი.[368] ამ ნორმების დარღვევა კრების გასაჩივრების და, შესაბამისად, გადაწყვეტილების გაუქმების უფლებას წარმოშობს. ამ შემთხვევაშიც გადაწყვეტილების მისაღებად ხმათა უბრალო უმრავლესობაა საჭირო, თუ საზოგადოების წესდებით ხმათა უფრო მაღალი ზღვარი არ არის დადგენილი.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ანაზღაურებას კორპორაციულ-სამართლებრივი ხასიათი აქვს.[369] თუმცა თავად სამეთვალყურეო საბჭოს წევრის სტატუსი და მისი საზოგადოებასთან სამართლებრივი დამოკიდებულება განსხვავდება გამგეობის წევრის სტატუსისა და ამ (ანაზღაურების) თვალსაზრისით მისი კორპორაციასთან

[364] ან საქართველოს შემთხვევაში საზოგადოების სხვა ორგანოს მიერ.
[365] *Spindler* in Spindler/Stilz, AktG, §113 Rn. 36.
[366] KpK GesR/Paschke Kap. 10 §113 Rn. 5.
[367] MünchKommAktG/*Habersack*, 2. Band, (2008), §113 Rn. 33.
[368] *Hüffer*, AktG, (2012), §113 Rn. 6.
[369] *Kort* in: FS Hüffer, S. 483f.

ურთიერთობისაგან. გამგეობის წევრის შრომის ანაზღაურების სამართლებრივ საფუძველს სასამსახურო ხელშეკრულება[370] წარმოადგენს, რითიც ეს უკანასკნელი სამეთვალყურეო საბჭოს წევრისაგან განსხვავდება. გამგეობის წევრის გამწესების აქტთან ერთად (ანაზღაურების მისაღებად) მასთან დადებული გარიგებაა (სასამსახურო ხელშეკრულებაა) საჭირო,[371] მაშინ, როდესაც სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ანაზღაურების საკითხისათვის ასეთი გარიგება არარელევანტურია. წესდებაში სათანადო აღნიშვნით ან საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, სათანადოდ იქნება დარეგისტრირებული სავაჭრო რეესტრში, სამეთვალყურეო საბჭოს წევრსა და კორპორაციას შორის იმთავითვე ყალიბდება ის ურთიერთობა, რომელიც ანაზღაურების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს.[372] შესაბამისად, გამგეობის წევრისაგან განსხვავებით, სამეთვალყურეო საბჭოს წევრთან არ ხდება სასამსახურო ხელშეკრულების გაფორმება და ამის საფუძველზე მისთვის შრომის ანაზღაურების დანიშვნა.

3.1.7. აუდიტორის არჩევა

შემდეგი ასევე მეტად მნიშვნელოვანი კომპეტენცია, რომლითაც კანონმდებლობა აქციონერთა საერთო კრებას აღჭურავს არის აუდიტორთა არჩევის გადაწყვეტილება. ეს სა-

[370] Dienstvertrag.
[371] *Kort* in: FS Hüffer, S. 484.
[372] *Kort* in: FS Hüffer, S. 484. ამ შემთხვევაში გერმანული სამართალი ე.წ. Amtsverhältnis-ზე საუბრობს (მაგ.: Hüffer, AktG, (2010), §113 Rn. 2b.), რაც ქართულად თანამდებობრივ-სამართლებრივ ურთიერთობას ნიშნავს. სწორედ თანამდებობრივი ურთიერთობა წარმოადგენს ანაზღაურების დაშვების წინაპირობას ისე, რომ იგი, როგორც ზემოთ წარმოჩინდა, სათანადო წესით იქნება გაფორმებული.

კითხი უპირატესად გერმანიის კანონმდებლობის შესაბამისი ნორმით[373] და „მეწარმეთა შესახებ“ კანონით[374] რეგულირდება. გერმანული სააქციო სამართალი აუდიტორთა ჩართვას საზოგადოების საქმიანობის პროცესში ყოველ წელს სავალდებულოდ მიიჩნევს. მისი არჩევა, როგორც წესი, მორიგი საერთო კრების კომპეტენციაა, რადგანაც შემოწმება გასულ საანგარიშგებო წელს მოიცავს. ამიტომ აუცილებელია, რომ აუდიტორი საანგარიშგებო წლის დასრულებამდე იქნეს დანიშნული და მან მხოლოდ ერთი (გასული) წელი შეამოწმოს და არა რამდენიმე ერთად (ასეთი რამ დაუშვებელია და კანონსაწინააღმდეგო).[375] იმ შემთხვევაში, თუკი ეს ვადა დარღვეულია, ანუ აუდიტორის დანიშვნის გადაწყვეტილება დროულად არ იქნება მიღებული, მაშინ ამ პროცესში სასამართლო ერთვება და კორპორაციის შესაბამისი მმართველობის ორგანოს[376] განცხადების საფუძველზე აუდიტორის იძულებითი წესით დანიშვნის გადაწყვეტილებას იღებს.[377]

[373] AktG §119 Abs. 1 Nr. 4, HGB §318.

[374] მეწარმეთა კანონის მე-13 და 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი.

[375] *Morck* in Koller/Roth/Morck/, Handelsgesetzbuch, Komm., (2007), §318 Rn. 2.

[376] სს-ის შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო შპს-ის შემთხვევაში - დირექტორატი.

[377] *Kirnberger* in HK-HGB, §318 Rz. 3. ამ მხრივ „მეწარმეთა შესახებ“ კანონი ხარვეზს შეიცავს, რადგან ეს საკითხი რეგულირების მიღმა რჩება. კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის მოწვევას ავალდებულებს. მაგრამ თუკი ეს ორგანო არ გადადგამს ამ ნაბიჯს, მაშინ როგორ უნდა იმოქმედოს საზოგადოებამ? აქვს მას სასამართლოსადმი მიმართვის უფლება აუდიტის იძულებითი წესით წარდგენის თაობაზე, ან საერთოდ რა უნდა იყოს ასეთ შემთხვევაში განხილვის საგანი. ავიღოთ ასევე ის ვითარება, როდესაც აუდიტის დანიშვნა სავალდებულოა, თუმცა საერთო კრების მიერ გადაწყვეტილება მიღებული არ იქნება. ვინ არის უფლებამოსილი მიმართოს სასამართლოს აუდიტის დანიშვნის

ასარჩევი აუდიტორი ამ საქმის სპეციალისტი ფიზიკური პირი ან ამ საქმით დაკავებული საზოგადოებაა.[378] აუდიტორთა კანდიდატურასთან დაკავშირებით გერმანიის სავაჭრო კოდექსი სპეციალურ 319-ე პარაგრაფს ადგენს, სადაც აღნიშნულია, რომ ამ მუხლის პირველი აბზაცის პირველი წინადადების თანახმად, აუდიტორები შესაძლოა იყვნენ ეკონომიკის სფეროში მომუშავე ფიზიკური ან იურიდიული პირები (ან პირთა გაერთიანებები, რომლებიც იურიდიულ პირებს არ წარმოადგენენ). სავაჭრო კოდექსი აუდიტორის დანიშვნის საკითხს ყველა სამეწარმეო საზოგადოებისათვის ითვალისწინებს. შესაბამისად, მისი არჩევის (დანიშვნის) კომპეტენცია სხვადასხვა კაპიტალურ საზოგადოებაში სხვადასხვანაირად წესრიგდება.[379] მაგრამ სს-სთან მიმართებით კვლავ იმპერატიულად დადგენილი ნორმები მოქმედებს და საწესდებო ავ-

შესახებ? ნათელია, რომ ამ საკითხს მეწარმეთა კანონი საერთოდ არ აწესრიგებს. შესაბამისად, თუ როგორ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი რთულია. ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში ამ ფუნქციით საზოგადოების დირექტორატი უნდა აღიჭურვოს. იგი წარმოადგენს კორპორაციის ცენტრალურ ხელმძღვანელ ორგანოს და საკუთარი კეთილსინდისიერების (და პასუხისმგებლობის) ფარგლებში უძღვება საწარმოს მართვას. სწორი ხარჯთაღრიცხვის წარმოება უშუალოდ შედის მისი ზრუნვის სფეროში. ამიტომ მასზე ზრუნვა დირექტორატის ვალდებულებას შეადგენს. აქედან გამომდინარე, სამართალმა დირექტორატი უნდა აღჭურვოს ასეთ სადავო ვითარებაში ამ უფლებამოსლებით. სხვა გზა აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად ნამდვილად არ რჩება. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ უფლებამოსილების გამოუყენებლობა ავტომატურად არ უნდა ნიშნავდეს დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას.

[378] Haag/Löffler/*Aigner*, PK-HandelsR, §318 Rn. 4.

[379] როგორც წესი, აუდიტორები ინიშნებიან პარტნიორთა კრების მიერ, თუმცა ამხანაგურ სამეწარმეო საზოგადოებებში და შპს-ში საწარმოს წესდებით შესაძლოა სხვა რამ იქნეს გათვალისწინებული, მაგალითად, აუდიტორის დანიშვნა არა პარტნიორთა, არამედ საზოგადოების სხვა ორგანოს მიერ. Kirnberger in HK-HGB, §318 Rz. 1.

ტონომიისათვის ფარგლები არ არსებობს.[380] ამით ნათელი ხდება, რომ ქართული სააქციო სამართალი, გარკვეულწილად, განსხვავდება გერმანულისაგან. მეწარმეთა კანონში უკვე დიდი ხანია ის ნორმებია გაუქმებული, რომელიც ყველა ტიპის[381] სს-ის ხარჯთაღრიცხვის პროცესში აუდიტორის ჩართვას ითვალისწინებს. შესაბამისად, მეწარმეთა კანონის მე-13 მუხლის რეგულირების ქვეშ მხოლოდ გარკვეული სს ექცევა. ეს ნორმები კი საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისია და სს-ის კარგი კორპორაციული მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა. ამიტომ თანამედროვე საკორპორაციო სამართალში ეს ინსტიტუტი კორპორაციული მართვის ცენტრალურ ელემენტად მიიჩნევა.[382] შემდეგი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ აუდიტორის არჩევის უფლებამოსილების დელეგირება საზოგადოების ნებისმიერ სხვა ორგანოზეა დასაშვები, რითიც ქართული სამართალი კიდევ უფრო შორდება გერმანულს. მართალია, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის მეორე წინადადების მიხედვით, სამეთვალყურეო საბჭო ყოველწლიურად *იწვევს* აუდიტორს, მაგრამ 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის ბოლო წინადადების შესაბამისად, აუდიტორის არჩევასთან დაკავშირებული საერთო კრების უფლებამოსილების დელეგირება საზოგადოების სხვა ორგანოზე თავისუფლად არის შესაძლებელი. ამიტომ ქვემოთ საუბარი მხოლოდ ისეთ შემთხვევაზე იქნება, როდესაც სს-ის წესდებით[383] აუდიტორის დანიშვნასთან დაკავშირებით არაფერია მოცემული და გამოსაყენებელი მხოლოდ საკანონმდებლო ნორმები იქნება.

[380] *Hopt/Merkt* in Baumbach/Hopt, HGB, (2010), §318 Rn. 1.
[381] იქნება ეს დახურული თუ ღია სს.
[382] *Hopt/Merkt* in Baumbach/Hopt, HGB, (2010), Überbl. vor §316 Rn. 6.
[383] ქართული რეალობიდან გამომდინარე.

აუდიტორის საქმიანობის სამართლებრივ საფუძველს მისი *დანიშვნა* წარმოადგენს.[384] როგორც წესი, აუდიტის დანიშვნა რამდენიმე ნაბიჯთანაა დაკავშირებული: პირველი არის აუდიტორის არჩევა საზოგადოების პარტნიორების მიერ (ჩვენ შემთხვევაში საუბარი აქციონერთა საერთო კრებაზე იქნება), მეორე გახლავთ დავალების გაცემა[385] საზოგადოების კანონისმიერი წარმომადგენლის მიერ (სს-ის შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს მიერ) და მესამე – შემოწმების დავალების მიღება თავად აუდიტორის მიერ.[386] მოკლედ, როგორც ჩანს იმისთვის, რომ აუდიტორი საქმიანობას შეუდგეს და მასა და საზოგადოებას შორის დავალების გარიგება ნამდვილი იყოს აუცილებელია თავად სპეციალური ცოდნის მქონე პირის თანხმობა, მისი თანხვედრი ნება. წინააღმდეგ შემთხვევაში გარიგება (აუდიტორის დანიშვნასთან დაკავშირებით) ბათილი იქნება. აუდიტორის არჩევა უზრუნველყოფს სს-ისთვის საბუღალტრო შემოწმებას (კორპორაციის ორგანოებისაგან) დამოუკიდებელი პირის მიერ.[387] სწორედ ეს გახლავთ გერმანული კანონის მოტივი, რათა საზოგადოების ხარჯთაღრიცხვის ხარისხი კითხვის ნიშნის ქვეშ არ დადგეს. მართალია, ასარჩევ კანდიდატურებს სს-ის სამეთვალყურეო საბჭო წარადგენს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ აქციონერთა საერთო კრება მასზეა დამოკიდებული[388] და არ აქვს დამოუკიდებლად კანდიდატთა წარდგენის უფლებამოსილება. ამ

[384] გერმანულ სამართალში საუბრობენ სიტყვა Bestellung-ზე, რაც ქართული დანიშვნის შესატყვისი იქნება. თუმცა უმჯობესი იქნებოდა, რომ თავად სიტყვა დანიშვნა არაპირდაპირი მნიშვნელობით მოგვეაზრებინა და იგი ნაწილობრივ არჩევის შინაარსით მოგვეცვა.
[385] Auftragserteilung.
[386] E/B/J/S/*Wiedemann*, §318 Rn. 1; *Morck* in Koller/Roth/Morck/, Handelsgesetzbuch, Komm., (2007), §318 Rn. 1.
[387] E/B/J/S/*Wiedemann*, §318 Rn. 5.
[388] Baetge/Thiele HdR RdNr. 5ff. ვუთითებ: E/B/J/S/*Wiedemann*, §318 Rn. 5.

მხრივ ცენტრალური მომენტი არა აუდიტორის არჩევის, არამედ თავად აუდიტის წარმატებით და მიუკერძოებლად განხორციელების საკითხში მდგომარეობს. აუდიტორის არჩევა ნაკლებ სირთულეებთან არის დაკავშირებული და, როგორც წესი, სს-ის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ საერთო კრებისათვის წარსადგენ კანდიდატს საზოგადოების პარტნიორები მისი არჩევით ნდობას უცხადებენ.[389] თუმცა მთავარი ის არის, თუ როგორ გაართმევს თავს ეს პირი მასზე დაკისრებულ ამოცანებს და მისი საქმიანობის შედეგად დაიდება თუ არა მართლაც დამოუკიდებელი დასკვნა. გამომდინარე აქედან, აუდიტორთა არჩევის საკითხთან მიმართებით ყველაზე მთავარი პრობლემა იკვეთება: ეს არის აუდიტორთა კვალიფიკაციისა და მათი დამოუკიდებლობისა და მუკერძოებლობის საკითხი.[390] სწორედ ეს იყო საერთაშორისო გადმოსახედიდან გერმანული კორპორაციული მართვის კრიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი.[391] გერმანელებს აუდიტორთა „შეზღუდულ დამოუკიდებლობაში“ ადანაშაულებდნენ და მიიჩნევდნენ, რომ ამის მომწესრიგებელი ნორმები კარგად არ

[389] E/B/J/S/*Wiedemann*, §318 Rn. 5.

[390] იგივე პრობლემა იკვეთებოდა სს-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დამოუკიდებლობისა და მათი კვალიფიკაციის საკითხთან მიმართებითაც. ის, რომ მაკონტროლებელ ორგანოში რაც შეიძლება მეტი დამოუკიდებელი პირი უნდა იყოს დასაქმებული, დიდი ხანია დისკუსიის საგანია. ამიტომ ეს, გარკვეულწილად, გერმანიის კორპორაციული მართვის კოდექსშიც იქნა ასახული და 2005 წლიდან ამ აქტმა, გაითვალისწინა რა ევროპის კომისიის რეკომენდაცია სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, მე-5.4.2. მუხლით მათი (წევრთა) დამოუკიდებლობის ამსახველი ნორმა დაადგინა, რომლის მიხედვით: „სამეთვალყურეო საბჭოში წარმოდგენილი უნდა იყოს დამოუკიდებელ წევრთა საკმარისი რაოდენობა“. იხ.: *Hoffmann-Becking*, in: FS Hüffer, S. 349. უახლესი თანამედროვე მიდგომების შესახებ იხ.: *Kremer/v. Werder*, AG Heft 9/2013, S. 340 ff.

[391] *Kremer* in Ringleb/Kremer/Lutter/Werder, DCGK, (2010), S. 350.

უზრუნველყოფდნენ ნეიტრალური შემწმების ჩატარებას.[392] შესაბამისად, ხარჯთაღრიცხვის სამართლის მოდერნიზების კანონმდებლობის[393] შემოღებით საერთაშორისო კრიტიკა გათვალისწინებულ იქნა, რისი შედეგიც სავაჭრო კოდექსის 318-ე და 319-ე პარაგრაფების მოდერნიზებული რედაქცია და კორპორაციული კოდექსის მე-7 ნაწილის რეფორმირება გახდა.[394] ასე რომ, ქართული სამართლისთვისაც გასათვალისწინებელი უნდა იყოს საერთო ევროპული მიმართულება, საერთასორისო ტენდენციები და გეზი სწორედ ამ ნორმების სრულყოფისაკენ უნდა იქნეს აღებული. ამის „მოკრძალებული“ მცდელობა „მეწარმეთა შესახებ“ კანონში 2008 წლის 14 მარტის რეფორმით განხორციელდა, როდესაც კანონის მე-13 მუხლი ახლებურად ჩამოყალიბდა. სწორედ ამ მუხლით არის განსაზღრული აუდიტის მოწვევის ვალდებულების და აუდიტორთა დამოუკიდებლობის გარანტიის განსაზღვრის საკითხი. 2008 წლამდე მოქმედი კანონმდებლობისაგან განსხვავებით, ნორმა მხოლოდ დიდ (ღია) კორპორაციებს ეხება. კერძოდ: (1) იმ სს-ს, რომლის ფასიანი ქაღალდებიც ფასიანი ქაღალდების ბაზარზე სავაჭროდ არის დაშვებული, (2) იმ საწარმოში, რომელიც სებ-ის მიერ არის ლიცენზირებული და (3) იმ საზოგადოებაში, რომლის აქციონერთა რაოდენობა 100-ს აღემატება. აღნიშნულ საწარმოებში აუდიტის ჩატარება სავალდებულოა, თუმცა კანონი არ აკონკრეტებს თუ რა პერიოდისთვის არის ეს სავალდებულო. გამომდინარე იქიდან, რომ მუხლის სათაური და მოწესრიგების მიზანი ბუღალტრულ აღრიცხვას ეხება, უნდა იგულისხმებოდეს, რომ აუდიტის ჩატა-

[392] *Semler* in MünchKommAktG, §161 Rn. 512. ვუთითებ: *Kremer* in Ringleb/Kremer/Lutter/Werder, DCGK, (2010), S. 350.

[393] აქ უნდა ვიგულისხმოთ: BilMoG; BilReG.

[394] ვრცლად ამაზე: *Hopt/Merkt* in Baumbach/Hopt, HGB, (2010), Überbl. vor §316 Rn. 1ff.

რება ზემოთ მოყვანილ საზოგადოებებში ყოველწლიურად არის სავალდებულო. რაც შეეხება დახურულ სს-ებს, ისინი რეგულირების მილმა რჩება და, ასე ვთქვათ, თვითრეგულირებად რეჟიმში ექცევა. ამიტომ კორპორაციული მართვის „რბილი სამართლის" პრინციპიდან გამომდინარე, რაც თვითრეგულირებადი ნორმების დამკვიდრებას და მასზე დამოკიდებულებას გულისხმობს, შესაძლოა ეს საკითხი, დახურული ტიპის სააქციო კორპორაციებში არც ისე მტკივნეული იყოს: დიდი და წარმატებული ქართული სს-ებისთვის მათი კიდევ უფრო მეტი წარმატების მისაღწევად „დაემორჩილეს"[395] პრინციპის დამკვიდრება იქნება მთავარი. ასეთ ვითარებაში საერთაშორისო სტანდარტები თავად უბიძგებს ქართულ კორპორაციებს საწარმოს ხარჯთაღრიცხვის საერთაშორისოდ აღიარებული ნორმებისადმი დამორჩილებას.

3.1.8. სასამართლო პროცესში მონაწილეობის უფლება

ა) სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობა, საზოგადოების სახელით მოთხოვნის წარდგენის უფლებამოსილება

სს-ის მმართველობას, ძირითადად, კორპორაციის ორი ორგანო – სამეთვალყურეო საბჭო და გამგეობა - ახორციელებს. ეს ორგანოები სააქციო კანონის 93-ე, 116-ე პარაგრაფების და „მეწარმეთა შესახებ" კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, 56-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად მოვალენი არიან კეთილსინდისიერად გაუძღვნენ საწარმოს საქმიანობას, ხოლო მათზე დაკისრებული მოვალეობის დარღვევის

[395] დაემორჩილე თვითრეგულირებად ნორმებს ან განმარტე რატომ არ ემორჩილები, ე.წ. comply or explain პრინციპი.

შემთხვევაში საზოგადოებას ზიანი აუნაზღაურონ. სააქციო სამართალი აქციონერებს იმის უფლებას აძლევს, რომ ამ მოვალეობის დარღვევის შემთხვევაში საზოგადოების სახელით სარჩელი აღძრან სასამართლოში და ზიანის ანაზღაურება მოითხოვონ.[396] სააქციო სამართალში განმტკიცებული ამ პრინციპის ქვაკუთხედი კორპორაციის გამგეობასა და სამეთვალყურეო საბჭოს შორის „კოლეგიალური" დამოკიდებულებაა. სწორედ ამ ორგანოთა შორის არსებული კოლეგიალური ურთიერთობის ფესვები არ იძლევა იმის აბსოლუტურ გარანტიას, რომ ხელმძღვანელ ორგანოთა მხრიდან მოვალეობის დარღვევის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები საზოგადოების სასარგებლოდ რაციონალურად და პირნათლად იქნება გამოყენებული.[397]

სამეთვალყურეო საბჭოსა და გამგეობის წინააღმდეგ სარჩელის უფლებასთან ერთად, საკორპორაციო სამართალი აქციონერს იმის შესაძლებლობას ანიჭებს, რომ საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ საკუთარი სახელით შეიტანოს სარჩელი მესამე პირის მიმართ[398] იმ მოთხოვნის გამო, რომელიც საზოგადოებას ეკუთვნოდა, ხოლო მან ეს უფლება არ გამოიყენა. მართალია, მესამე პირთა მიმართ საზოგადოების მოთხოვნა მისმა (საწარმოს) კანონიერმა ორგანომ უნდა გამოიყენოს,[399] თუმცა პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდე-

[396] Münch. Hdb. GesR IV/*Semler*, §42 Rn. 1.

[397] *Kling*, Der besondere Vertreter im Aktienrecht, ZGR 2009, S. 191.

[398] ე.წ. Aktionärsklage, რომელიც გერმანულ სამართალშიც საკმაოდ ახალი, ამერიკული სამართლიდან გადმოღებული ინსტიტუტია. იგი 2005 წლის 1 ნოემბრიდან ამოქმედდა და UMAG-ის რეფორმის შედეგია. *Holzborn* in Bürgers/Körber, AktG, §147 Rn. 1. ამის შემდეგ ყურადსაღებია 2008 წლის 17 დეკემბრის ცვლილება, რომელმაც სააქციო კანონის 148-ე პარაგრაფში გარკვეული „კორექტირება" შეიტანა. *Hüffer*, AktG, (2010), §148 Rn 1, 12.

[399] *Mayer* in Manz/Mayer/Schröder, Die Aktiengesellschaft, (2010), S. 264.

საც გამგეობის ან სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან შეგნებულად ითქმება უარი ამ უფლებაზე, რაც აქციონერისათვის საზოგადოების ნაცვლად ამ უფლების გამოყენების იურიდიულ საფუძველს იძლევა. ასევეა საკითხი მოწესრიგებული იმ შემთხვევაში, როდესაც გამგეობის წინააღმდეგ ამ უფლებას სამეთვალყურეო საბჭო არ იყენებს.[400] ესეც საერთო კრებას სამეთვალყურეო საბჭოს წინააღმდეგ სარჩელის წარდგენის უფლებამოსილებას ანიჭებს. ამასთან ერთად საერთო კრების კომპეტენციაში შედის იმ ზიანის ანაზღაურებისთვის სარჩელის შეტანა, რომელიც საზოგადოებას მიადგა სააქციო კანონის 117-ე პარაგრაფიდან გამომდინარე. ეს ის შემთხვევაა, როდესაც საზოგადოების ორგანოებზე პირის ზემოქმედების (მდგომარეობის ბოროტად გამოყენების) შედეგად ზიანი წარმოიშობა. ამ დროს ამ პირთა წინააღმდეგ, თუკი მოთხოვნის უფლება, რა თქმა უნდა, გამოყენებული არ იქნება კორპორაციის შესაბამისი ორგანოს მხრიდან, საერთო კრებას სარჩელის წარდგენის უფლება ეძლევა.

როგორც ითქვა, გამგეობამ (ან თუკი ამ უფლებას გამგეობა არ გამოიყენებს სამეთვალყურეო საბჭომ) საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში უნდა შეამოწმოს არსებობს თუ არა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი. თუკი გამოიკვეთება, რომ იგი არსებობს, მაშინ გამგეობა მოვალეა ნამდვილი გახადოს ეს მოთხოვნები და იგი საზოგადოების *ინტერესის* სასარგებლოდ გამოიყენოს.[401] ამ შემთხვევაში შეგნებულად ესმება ხაზი კორპორაციის ინტერესს, რადგან ნებისმიერი მოთხოვნა, რომელიც მის გამოყენებასა და სასამართლო წარმოებას უკავშირდება, საზოგადოებას ანაზღაურებად უნდა უღირდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა, მოთხოვნის ანაზღაურებისთვის გაწეული ხარჯი უფრო მეტი დაჯდეს, ვიდრე თავად ეს მოთხოვნა. სასამართლო ხარჯთან ერთად მხედველობაში სხვა ფაქტორებიც მიიღება: კორპორაციის რეპუტაცია, კლიენტური ურთიერთობები, ზიანის ანაზღაურების ნაკლები შანსები სასამართლოში და სხვა. აქედან გამომდინარე, იურიდიული ლიტერატურა საუბრობს, რომ გამგეობა (სამეთვალყურეო საბჭო) მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში თავისუფლდება საზოგადოების სახელით მოთხოვნის წარდგენის მოვალეობისაგან,[402] რაც ამ ორგანოთა მხრიდან გადაწყვეტილების მიღების განსჯის თავისუფლების არელზეა დაფუძნებული. ორგანოთა ეს ქმედებაც, გარკვეულწილად, მათ მიერ საქმეების კეთილსინდისიერად (გულმოდგინედ) განხორციელების ვალდებულებას უკავშირდება.

აქციონერის ე.წ. „სამართლებრივი მიდევნების“[403] უფლება თანამედროვე სააქციო სამართალში ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს უკავშირდება: ეს არის სპეციალური შემოწმების ინსტიტუტი, რომელსაც სააქციო კანონი[404] და „მეწარმეთა შესახებ“ კანონი[405] განსაზღვრავს. გამომდინარე იქიდან, რომ კორპორაციაც, გარკვეულწილად, დახურულ სივრცეს წარმოადგენს და იმ აქციონერებს, რომელნიც აქტიურად არ

[400] AktG §112, გამგეობის წევრთა წინააღმდეგ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო წარმოადგენს. Schäfer, Gesellschaftsrecht, S. 217. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 55-ე მუხლის მე-7[1] პუნქტი.

[401] *Kronstein/Zöllner* in KK-AktG, §147 Rn. 2.

[402] *Mayer* in Manz/Mayer/Schröder, Die Aktiengesellschaft, (2010), S. 264.

[403] Rechtsverfolgung. ამაში იგულისხმება აქციონერის უფლება ყოველ დროს მიზანში ამოიღოს საზოგადოების ორგანო ამ უკანასკნელის მხრიდან მოვალეობის დარღვევისა და საზოგადოებისათვის ზიანის მიყენების (ან მისი ინტერესების საწინააღმდეგო ქმედების) გამო. სწორედ ამ უფლებას „მიდევნების უფლებას“ (Klageverfolgungsrecht der Aktionärsminderheit) ეძახიან და იგი (მინორიტარი) აქციონერის კორპორაციულ-სამართლებრივი წევრობის უფლების განუყოფელი და შემადგენელი ელემენტია. *Langenbucher,* Aktien- und Kapitalmarktrecht, 2. Auf., (2011), §7 Rn. 84, S. 186.

[404] AktG §§142 ff, 258 Abs. 1 Nr. 1, 2, 315.

[405] 53-ე მუხლის 3[2] პუნქტი.

არიან ჩართულნი საწარმოს მართვის საქმეში ნაკლები ბერკეტი შეიძლება ჰქონდეთ სრულყოფილ და ნათელ ინფორმაციას ფლობდნენ საზოგადოების საქმიანობის შესახებ, რთულია გამგეობის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს მათ მიერ მოვალეობის დარღვევის გამო მოთხოვნა წაუყენონ. უპირველეს ყოვლისა, აქციონერს თავად უნდა შეექმნას წარმოდგენა იმაზე, რომ ადგილი აქვს „დანაკლისს“, რომელმაც შესაძლოა საზოგადოების მართვის ორგანოს პასუხისმგებლობის საკითხი დააყენოს. ამიტომ სააქციო სამართალი, ერთგვარად, აქციონერთა საერთო კრებას აძლევს ამის გარკვევის საუკეთესო შესაძლებლობას: სამეურნეო მოქმედებების, წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმების უფლებამოსილებას. ამიტომაც აღნიშნავენ იურიდიულ ლიტერატურაში, რომ საერთო კრების მიერ გამგეობის ან სამეთვალყურეო საბჭოსათვის მოთხოვნის წაყენების გადაწყვეტილება შესაძლოა, სწორედ სპეციალური შემოწმების შედეგი იყოს.[406] პრაქტიკაში სწორედ ასეც ხდება. გადაწყვეტილება ხმათა უბრალო უმრავლესობით მიიღება, თუმცა აქვე „ხმის უფლების გამოუყენებლობის მოვალეობის“ პრინციპია გასათვალისწინებელი, რაც იმას ნიშნავს, რომ პირი ვერ გამოიყენებს თავის ხმის უფლებას მაშინ, როდესაც ეს გადაწყვეტილება მას ეხება.[407] ეს ის შემთხვევაა, როდესაც გამგეობის ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრები იმავდროულად სს-ის აქციონერები არიან და ხმათა გარკვეულ რაოდენობას ფლობენ. ასეთ ვითარებაში გამოსაყენებელი იქნება სააქციო კანონმდებლობის შესაბამისი ნორმები.[408] სპეციალური შემოწმება შესაძლოა

[406] Münch. Hdb. GesR IV/*Semler*, §42 Rn. 22.
[407] Münch. Hdb. GesR IV/*Semler*, §42 Rn. 22.
[408] AktG §136; „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9[1] მუხლის მე-4 პუნქტი. ეს არის ერთადერთი ნორმა ქართულ რელობაში, რომელიც აღნიშნულ საკითხს აწესრიგებს. მართალია, მიზანშწონილი იქნებოდა სს-ისადმი

განხორციელდეს, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირის[409] (მაგ., სააუდიტორო კომპანიის) მიერ. სპეციალურ შემმოწმებელს უფლება აქვს ჩაიხედოს საზოგადოების წიგნებში და მიიროს ინფორმაცია კორპორაციის დოკუმენტაციის შესახებ. მისი საზოგადოების წიგნისა და პუბლიკაციების გაცნობის უფლება მოიცავს ყველა ინფორმაციას, რომელიც საგნობრივ შესაბამისობაში მოვა მისი დავალების განხორციელებასთან.[410] საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს, გამგეობის სახით, აქვს ვალდებულება ყველა საჭირო დახმარება აღმოუჩინოს სპეციალურ შემოწმებას და ხელი შეუწყოს ამ პროცესს, თუნდაც შემოწმების შედეგად აღმოჩნდეს, რომ ადგილი აქვს მნიშვნელოვან დანაკლისს. სპეციალური შემოწმების მიმართ არ მოქმედებს საიდუმლოს დაცვისა და ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის პრინციპი, გარდა დამატებითი

მიძღვნილ სპეციალურ ნაწილში გვეხილა ამგვარი დანაწესი, მაგრამ მისმა არარსებობამ საფრთხე არ უნდა შექმნას „საკუთარი ხმის უფლების გამოყენების აკრძალვის“ პრინციპს. მართალია, საკითხავი შეიძლება იყოს, თუ რამდენად უნდა გავრცელდეს ზოგადი ხასიათის ნორმა იმ სპეციალურ ურთიერთობაზე, რომელიც კანონის სპეციალური ნაწილით წესრიგდება, მაგრამ ეს რომ ასე არ განიმარტოს ნებისმიერი დავა, რომელიც ზემოთ ნახსენებ საკითხს შეეხება შესაძლოა, ჩიხში მოექცეს: დომინანტი აქციონერი, რომელიც იმავდროულად საზოგადოების დირექტორი ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრია და რომლის მიმართაც საერთო კრებაზე მოთხოვნის წაყენების გადაწყვეტილების მიღება იგეგმება, არასდროს დაუჭერს მხარს მის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას. ეს თავისთავად ცხადია. ამიტომ „საკუთარი ხმის უფლების გამოუყენებლობის“ პრინციპი ამ უხერხულობას მოხსნიდა. შესაბამისად, ამ ურთიერთობის მოსაწესრიგებლად სწორედ აღნიშნული მუხლი იქნება გამოყენებული.
[409] *Langenbucher,* Aktien- und Kapitalmarktrecht, (2011), §6 Rn. 78, S. 112.
[410] *Langenbucher,* Aktien- und Kapitalmarktrecht, (2011), §6 Rn. 83, S. 112-113.

სისხლის სამართლის გათვალისწინებული სპეციალური რეჟიმისა, რასაც სააქციო კანონი[411] ითვალისწინებს.[412]

საერთო კრება უფლებამოსილია მოთხოვნა სამეთვალყურეო საბჭოს ან გამგეობის როგორც მოქმედ, ისე თანამდებობიდან გადამდგარ წევრს წაუყენოს.[413] ამ მოსაზრების ქვაკუთხედი იმაში მდგომარეობს, რომ წევრი პასუხს აგებდეს მისი იმ პერიოდის ქმედებისთვის, როდესაც იგი თანამდებობრივად ახორციელებდა საქმიანობას და დაკისრებული ჰქონდა მოვალეობა. მოვალეობის დარღვევის გამო საერთო კრებას ამ წევრისადმი „მიდევნების უფლება“ აქვს.

მოთხოვნის უფლების მქონე პირი, ამ ქვესაკითხით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აქციონერია, თუმცა ეს უკანასკნელი თავის უფლებას მხოლოდ საერთო კრების მეშვეობით იყენებს, ხოლო მოთხოვნის წარმდგენი საზოგადოებაა. მოთხოვნის წარდგენა მხოლოდ კორპორაციის პრეროგატივაში შედის და არა ცალკეული აქციონერის კომპეტენციაში.[414] ამ უფლებამოსილების დელეგირება სხვა პირზე არ შეიძლება.[415] როგორც ითქვა, მოთხოვნის წარდგენა საზოგადოების სახელით მის კანონიერ წარმომადგენლობით ორგანოს - გამგეობას ევალება. ეს ის შემთხვევაა, როდესაც საზოგადოება ისეთ მოთხოვნას წარადგენს, რომელიც გამგეობის ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ გამოყენებული არ იქნა. ამ დროს საუბარია მესამე პირის მიმართ მოთხოვნაზე. თუმცა სხვაგვარი სიტუა-

[411] AktG §131 Abs. 3. S. 1. Nr. 5.

[412] *Langenbucher,* Aktien- und Kapitalmarktrecht, (2011), §6 Rn. 84, S. 113.

[413] BGHZ 28, 355, 357 = NJW 1959, S. 194; BGH = NJW 1960, S. 1667, BGH = NJW 1975, S. 977, BGH = WM 1983, S. 498. ვუთითებ: *Hüffer*, AktG, (2010), §147 Rn. 2.

[414] MünchKommAktG/*Schröer*, (2004), §147 Rn. 21.

[415] გამონაკლისს აქედან კვლავ ქართული სამართალი წარმოადგენს, სადაც მეწარმეთა კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის ბოლო წინადადებაა გასათვალისწინებელი.

ცია იქმნება, როდესაც მოწინააღმდეგე მხარეს თავად გამგეობა ან სამეთვალყურეო საბჭო (მისი ერთი ან ყველა წევრი) წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ნორმა იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ დაცული იქნეს მიუკერძოებლობისა და ინტერესთა კონფლიქტის პრინციპები. მხედველობაშია შემდეგი გარემოება: როდესაც მოთხოვნის წარმდგენი საზოგადოებაა, ხოლო მოწინააღმდეგე მხარე საწარმოს დირექტორი, მაშინ ამ პროცესში გამგეობა მონაწილეობას ვერ მიიღებს. საზოგადოებას ამ დროს სამეთვალყურეო საბჭო ანაცვლებს. ხოლო როდესაც საკითხი სამეთვალყურეო საბჭოს ერთ ან რამდენიმე ან ყველა წევრს ეხება, პროცესში საერთო კრება ერთვება ისე, რომ იგი თავად ნიშნავს წარმომადგენელს.[416] ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება ე.წ. სპეციალური წარმომადგენლის ინსტიტუტი, რომლის დანიშვნის უფლებამოსილებისთვის ცენტრალურ ნორმას სააქციო კანონის 147-ე პარაგრაფის მეორე აბზაცის პირველი წინადადება წარმოადგენს.[417] ამ დროს აქციონერთა საერთო კრებას ხმათა უბრალო უმრავლესობით შეუძლია მიიღოს სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნის გადაწყვეტილება.[418] ამ გადაწყვეტილებით ნათელი უნდა იყოს, რომ კრების მიერ სპეციალურ წარმომადგენლად განსაზღვრულია კონკრეტული პირი, ამ პირმა კორპორაციის სახელით მონაწილეობა უნდა მიიღოს პროცესში და მითითებული უნდა იყოს, საზოგადოების რომელ კონკრეტულ მოთხოვნას ეხება საქმე და ვის მიმართ არის იგი მიმართული.[419] ამ წინაპირობების (მონაცემების) არარსებობის

[416] MünchKommAktG/*Schröer*, (2004), §147 Rn. 22.

[417] AktG §147 Abs. 2 Satz (1).

[418] *Kling*, ZGR 2/2009, S. 194.

[419] *Bezzenberger* in GrossKommAktG, 4. Auf., (1999), §147 Rdn. 19; *Spindler* in Schmidt/Lutter, AktG, §147 Rn. 6. ვუთითებ: *Kling*, ZGR 2/2009, S. 194.

ან მათი არასრულყოფილების შემთხვევაში, კრების გადაწყვეტილება ხარვეზიანად არის განსახილველი. მართალია, სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნის საკითხი ძირითადად იმ შემთხვევაშია რელევანტური, როდესაც ოპორტუნისტული მოსაზრებიდან გამომდინარე ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები იქნეს თავიდან აცილებული, ანუ როდესაც მოთხოვნა დირექტორის ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრის წინააღმდეგ არის მიმართული, თუმცა ეს ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ საერთო კრებას არ აქვს სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნის საკითხის დამოუკიდებლად განსაზღვრის დისკრეცია თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნა საზოგადოების მმართველი ორგანოების წინააღმდეგ არ არის მიმართული.[420] როგორც აღინიშნა, გადაწყვეტილება ხმათა უბრალო უმრავლესობით მიიღება. სპეციალური წარმომადგენელი შესაძლოა იყოს ამ საზოგადოების აქციონერი, თუმცა ასეთი ვალდებულება არ არსებობს.[421] სწორედ ასე მოხდა ერთ-ერთ ცნობილ დავაში,[422] სადაც აქციონერებმა სპეციალური წარმომადგენელი დანიშნეს საზოგადოების მოთხოვნების განსახორციელებლად და მას მრავალი პრობლემა ამავე საზოგადოების მმართველი ორგანოების მხრიდან შეექმნა.[423] სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნის ნამდვილობისათვის აუცილებელია, რომ თავად წარმომადგენელმა მიიღოს წინადადება. წინააღმდეგ შემთხვევაში გარიგება ნამდვილი არ

[420] *Mayer* in Manz/Mayer/Schröder, Die Aktiengesellschaft, (2010), S. 265.
[421] *Mayer* in Manz/Mayer/Schröder, Die Aktiengesellschaft, (2010), S. 266.
[422] საუბარია სს „იპოთეკური გაერთიანებითი ბანკის" და იტალიური ბანკის „უნიკრედიტოს" სახელით ცნობილ დავაზე - Hypovereinsbank AG/UniCredito Italiano S.p.A. (UC).
[423] სპეციალური წარმომადგენლის ინსტიტუტის პრაქტიკაში გამოყენების საკითხი კარგად აქვს განხილული პროფესორ *კლინგს* მის სამეცნიერო სტატიაში, სადაც მას ცალკე თავი ეძღვნება. იხ.: *Kling*, ZGR 2/2009, S. 196 ff.

იქნება. საპეციალური წარმომადგენელი პასუხისმგებელია უშუალოდ საერთო კრების წინაშე და გარკვეულწილად, მის მითითებებზეა[424] დამოკიდებული. შესაბამისად, იგი უშუალოდ საერთო კრების წინაშე ვალდებული და პასუხისმგებელი პირია, რომელსაც ანგარიშის ჩაბარების მოვალეობაც ეკისრება. ამასთან ნიშანდობლივია, რომ სანამ სპეციალური წარმომადგენელი მის ფუნქციებს ასრულებს, საზოგადოების სხვა მმართველი ორგანოები ჩამოშორებულნი არიან მოთხოვნის წარდგენის უფლებამოსილებისაგან.[425] ისიც ნიშანდობლივია, რომ აქციონერთა საერთო კრების უბრალო უმრავლესობის გადაწყვეტილებით შესაძლოა, სპეციალური წარმომადგენლის ნებისმიერ დროს, რაიმე მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობის გარეშე უკან გამოწვევა.[426]

სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნის საკითხის დაყენების უფლებამოსილება ასევე უმცირესობაში ყოფ აქ-

[424] Weisungen der HV. თუმცა გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში საუბრობენ იმაზე, რომ საერთო კრების მიერ სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნის შემდეგ, ეს უკანასკნელი დამოუკიდებელია კრებისაგან და მისი კომპეტენციის ფარგლებში სს-ის კანონიერ წარმომადგენლად ითვლება. *Langenbucher,* Aktien- und Kapitalmarktrecht, 2. Auf., (2011), §6 Rn. 90, S. 114. სრული ნეიტრალურობის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ვფიქრობ, სპეციალური წარმომადგენელი სავსებით დამოუკიდებელი უნდა იყოს გადაწყვეტილებების მიღებაში და არ უნდა ემორჩილებოდეს საერთო კრების მითითებებს. ეს ანაზღაურების მთელ პროცესს უფრო გამჭვირვალეს და მოუკერძოებელს გახდის, რაც „ობიექტური ჭეშმარიტების" დადგენის უფრო მაღალ ხარისხს განაპირობებს.
[425] *Mayer* in Manz/Mayer/Schröder, Die Aktiengesellschaft, (2010), S. 266.
[426] *Langenbucher,* Aktien- und Kapitalmarktrecht, (2011), §6 Rn. 90, S. 114. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ არგუმენტს, რომ სპეციალური წარმომადგენელი ნეიტრალურობის დაცვით უნდა მოქმედებდეს და არ უნდა იყოს საერთო კრების უშუალო ბმაზე დამოკიდებული. როგორც წარმოჩინდა, მის მიმართ ეჭვის აღძვრის შემთხვევაში საერთო კრებას მისი გადაყენების უფლება ისედაც აქვს.

ციონერსაც აქვს. სააქციო კანონმდებლობის ეს ჩანაწერი უმცირესობის უფლების უზრუნველყოფი ნორმაა. ადვილი შესაძლებელია, რომ უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ არ გამოხატავდეს საზოგადოების ინტერესს. ამიტომ უმცირესობას ამ გადაწყვეტილების „კონტროლის“ ბერკეტი უნდა ჰქონდეს. ჩვეულებრივ შემთხვევაში საკითხს საზოგადოების მოთხოვნის იურიდიული გამოყენების და ამ პროცესში სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნის თაობაზე აქციონერთა საერთო კრების, ანუ უმრავლეობის პრეროგატივაა. თუმცა, როგორც ზემოთ ითქვა, სპეციალურ სამართალწარმოებას დაქვემდებარებული მექანიზმის მეშვეობით, ეს უმცირესობასაც აქვს.[427] სააქციო კანონის 147-ე პარაგრაფის მეორე აბზაცის მეორე წინადადების თანახმად, აქციონერთა კვალიფიციურ უმცირესობას უფლება ეძლევა განცხადებით მიმართოს იმ რაიონულ (პირველი ინსტანციის) სასამართლოს, სადაც სს[428] იურიდიული მისამართი აქვს. სასამართლოში განცხადების წარსადგენად საჭიროა საწესდებო კაპიტალის მინიმუმ 10%-ის მქონე აქციონერის ან კაპიტალში 1 მლნ. ევროთი წარმოდგენილი პარტნიორის გადაწყვეტილება.[429] ამასთან უმცირესობის მიერ სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება ფორმალური და მატერიალური წინაპირობების შემოწმებას ექვემდებარება: ფორმალურში მოიაზრება წერილობითი სახის განცხადების წარდგენა შესაბამის სასამართლოში. ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობა საჭირო არ არის და, ბუნებრივია, დაცული უნდა იყოს კანონით დადგენილი მოთხოვნა აქციონერთა წილობრივი ან თანხობრივი მონაწილეობის შესახებ;[430] მატერიალურ შემოწმებაში უნდა მოიაზრებოდეს მოსამართლის მიერ სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნის მიზანშწონილობა[431] და ის, რომ ქვემდებარე სასამართლოსათვის წარმომადგენლის დანიშვნა „კონკრეტული მოთხოვნის განხორციელებისთვის მიზნობრივად გამოიყურებოდეს“.[432] აქედან გამომდინარე, განცხადებაში დაწვრილებით უნდა იყოს მოცემული კონკრეტული მოთხოვნა, ვის მიმართ არის ეს მოთხოვნა მიმართული და იმ რეალური ურთიერთობის აღწერა, საიდანაც მოთხოვნა მომდინარეობს შესაბამისი მიზეზობრივი კავშირის მითითებით. ამ სურათის წარმოჩენის შემდეგ საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება საჭირო აღარ ხდება.[433]

ზემოთ აღწერილი სურათიდან ნათელია, რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონი განსხვავდება ამ საკითხის გერმანული მოწესრიგებისაგან. განსხვავებები რამდენიმე ასპექტად შეიძლება დაიყოს: ქართული კანონმდებლობა აწესრიგებს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის საკითხს.[434] აღნიშნული ნორმის მიხედვით, საერთო კრებას ხმათა უბრალო უმრავლესობით (თუკი წესდებით სხვა რამ არ იქნება დადგენილი) აქვს მმართველი ორგანოების წინააღმდეგ სარჩელის შეტანის უფლებამოსილება. აქციონერთა კრებას ამავე დროს აქვს ამ პროცესისათვის წარმომადგენლის დანიშვნის კომპეტენცია. გასაგებია, რომ ეს ის შემთხვევაა, როდესაც ინტერესთა კონფლიქტი უნდა იქნეს გამორიცხული და დასანიშნი იქნება სა-

[427] *Windbichler,* Gesellschaftsrecht, (2013), §27 Rn. 38.
[428] სააქციო კანონის მე-5 პარაგრაფის შესაბამისად.
[429] *Kling*, ZGR 2/2009, S. 194.

[430] AktG §147 Abs. 2. Satz (2).
[431] MünchKommAktG/Schröer, (2004), §147 Rn. 51, 52.
[432] *Kling*, ZGR 2/2009, S. 195.
[433] *Mayer* in Manz/Mayer/Schröder, Die Aktiengesellschaft, (2010), S. 266.
[434] „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი.

სამართლო წარმომადგენელი. თუ მოთხოვნა ერთ-ერთი დირექტორის ან დირექტორატის ყველა წევრის მიმართ არის მიმართული, მაშინ საზოგადოების სახელით სარჩელის შემტანი პირი სამეთვალყურეო საბჭო იქნება.[435] ესეც საკითხის უფრო რაციონალურ-ლოგიკური გადაწყვეტაა, თორემ ნაციონალური კანონმდებლობა პრინციპში არ გამორიცხავს, რომ თავად დირექტორის წინააღმდეგ სარჩელის შემტანი სხვა დირექტორი იყოს. უბრალოდ ასეთი გადაწყვეტილება ყოველგვარ ლოგიკურ საფუძველს მოკლებული იქნებოდა. ის, რაც რეგულირების მიღმა რჩება არის სწორედ სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნა. მეწარმეთა კანონში აღნიშნული წარმომადგენელი არ არის ის სპეციალური წარმომადგენელი, რომელზედაც გერმანული სააქციო კანონი საუბრობს. თუმცა საერთო კრებას საკუთარი დისკრეციის ფარგლებში ასეთი „სპეციალური“ წარმომადგენლის დანიშვნის უფლებამოსილება ნამდვილად აქვს. მაგრამ კანონი მოწესრიგების მიღმა ტოვებს იმ შემთხვევას, როდესაც ასეთი სპეციალური წარმომადგენელი სასამართლოს მიერ იქნება დანიშნული. ამის უფლებამოსილება უმცირესობაში მყოფ პარტნიორს არ აქვს. მეწარმეთა კანონის 53-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოცემულობაც არ გამოდგება ამ საკითხის გადასაწყვეტად, რადგან აღნიშნული ნორმა ნებისმიერ აქციონერს უფლებას აძლევს საკუთარი სახელით აღძრას სარჩელი იმ მოთხოვნის გამო, რომელიც საზოგადოების მიერ მესამე პირისათვის წაყენებული არ იქნება. აქ არ არის საუბარი აქციონერის მიერ სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნის უფლებამოსილებაზე. ერთადერთი გამოსავალი აღნიშნული ვითარებიდან იმაში მდგომარეობს, რომ ნებისმიერი კლასის აქციების მინიმუმ 5%-ის მფლობელმა

[435] გამონაკლისი აქედან ის შემთხვევაა, როცა სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იმავდროულად საზოგადოების დირექტორია. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 55-ე მუხლის მე-7[1] პუნქტი.

პარტნიორმა ან აქციონერთა ჯგუფმა, კანონის 53-ე მუხლის მე-3[3] პუნქტის შესაბამისად, მოითხოვოს რიგგარეშე საერთო კრების ჩატარება, რომლის ძირითადი საკითხიც სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნა იქნებოდა. თუმცა ეს გადაწყვეტილებაც უმრავლესობის მქონე აქციონერზე ხდება დამოკიდებული (თუკი, რა თქმა უნდა, საზოგადოების წესდებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული). გამოდის, რომ უმცირესობაში მყოფი აქციონერის ინტერესი იგნორირებული იქნება. შემდეგი ნაბიჯი, რომელიც უმცირესობაში მყოფმა აქციონერმა შეიძლება გადადგას არის ამ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრება და იმის დასაბუთება, რომ უმრავლესობის მიერ დანიშნული სპეციალური წარმომადგენელი საზოგადოების არსებით ინტერესს ვერ დაიცავს. თუმცა დასათანხმებელია, რომ ამ პროცესის მოგება ძალზე გაჭირდება. უფრო მეტიც, თუ სასარჩელო განცხადების მატერიალური დასაბუთებიდან ამოვალთ, თითქმის შეუძლებელი იქნება იმიტომ, რომ სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნის საკითხი არა სასამართლოს, არამედ შიდა კორპორაციული გადაწყვეტის საგანია. თუ საზოგადოების ნება მდგომარეობს იმაში, რომ სპეციალურ წარმომადგენლად კონკრეტული პირი იქნეს დანიშნული, სასამართლო საზოგადოების ნების ფორმირებაში არ უნდა ერეოდეს. ნებისმიერი სხვა პირის დანიშვნა მხოლოდ თავსმოხვეული გადაწყვეტილების შედეგი იქნება.[436]

[436] ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სასამართლო სამომავლო შესაძლებელი ზიანის გამო გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს. რითი უნდა დაასაბუთოს სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება? იმით, რომ პირი, რომელიც უკვე წარმომადგენლად არის დანიშნული და რომელსაც ჯერ არ განუხორციელებია მოთხოვნა საზოგადოების სახელით, კორპორაციის საზიანოდ იმოქმედებს?

ბ) აქციონერის სარჩელის უფლება

როგორც ითქვა, მოთხოვნა, რომელიც მიმართული არ არის დირექტორების ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიმართ ამ უკანასკნელი ორგანოების მიერ სავალდებულოდ აღსასრულებელია.[437] ეს ის შემთხვევებია, როდესაც საერთო კრება ხმათა უმრავლესობით იღებს კონკრეტული პირისადმი საზოგადოების სახელით მოთხოვნის წარდგენის გადაწყვეტილებას. ამიტომ ამ გადაწყვეტილებასთან საზოგადოების მმართველი ორგანო (უპირველესად აქ ისევ გამგეობა იგულისხმება) მთლიანად არის დაკავშირებული.[438] ამ მოსაზრებიდან გამომდინარე სააქციო სამართალი იცნობს აქციონერთა სარჩელის ინსტიტუტს, რომელიც საერთო სამართლის ქვეყნებში განვითარებული და ხანგრძლივი ტრადიციის მქონე ინსტიტუტია.[439] აშშ-ის საკორპორაციო სამართალში იგი ნაწარმოები სარჩელის[440] სახელით არის ცნობილი და იქ იგი საკმაოდ განვითარებულია.[441] თუმცა მიზნობრივი იდენტურობის მიუხედავად თავად ამ ინსტიტუტის პრაქტიკაში გამოყენების პროცესუალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით ამერიკული სამართალი ბევრ ასპექტში განსხვავდება გერმანულისაგან.[442] გერმანულ და ქართულ სამართალში ეს ინსტიტუტი საკმაოდ ახალია. აქციონერის სარჩელის საკითხის მომწესრიგებელ ძირითად ნორმას გერმანული სააქციო კანონის 148-ე პარაგრაფი, ხოლო „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53-ე მუხლის მე-5 პუნქტი წარმოადგენს. გერმანულ სამართალში აქციონერთა სარჩელი, პრინციპში, სააქციო კანონის 147-ე პარაგრაფის ლოგიკური გაგრძელების შედეგია, რადგანაც (უმცირესობაში მყოფი)[443] აქციონერის მიერ საზოგადოების სახელით მმართველი ორგანოებისა და მესამე პირის მიმართ მოთხოვნის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. მაგრამ ამ პროცესს სააქციო სამართალი სარჩელის დასაშვებობის საკითხს უკავშირებს.[444] ასე რომ, სარჩელი და მისი დასაშვებობა სს-ის „მიდევნების უფლების“ სუბსიდიურად გამოყენებას ისახავს მიზნად.[445] საბოლოო ჯამში, აქციონერის სარჩელის უფლების უზრუნველყოფა მიზნად ისახავს საზოგადოების მოთხოვნების განხორციელების გაუმჯობესებას,[446] თუმცა იმავდროულად, ფიქრობს რა უმცირესობის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენებაზე, სასამართლოს მხრიდან სარჩელის მატერიალური დასაშვებობის შემოწმებით აღკვეთს ამ უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევებს.[447] როგორც ითქვა, აღნიშნული ნორმა საკმაოდ ახალია გერმანულ სააქციო სამართალში და ძრითადად უმცირესობაში მყოფი აქციონერის ინტერესის სადარაჯოზე დგას. მართალია, საერთო კრება არის ორგანო, სადაც მიიღება გადაწყვეტილება საზოგადოების მოთხოვნების განხორციელების შესახებ, მაგრამ იგი ბოლომდე ვერ აღკვეთს ინტერესთან კონფლიქტის აბსოლუტურად ყველა შემთხვევას, ამიტომ, სს-ის ინტერესის ბოლომდე

[437] Hüffer, AktG, (2010), §147 Rn. 3.

[438] Kling, ZGR 2/2009, S. 194; ასევე: MünchKommAktG/Schröer, (2004), §147 Rn. 23; Kronstein/Zöllner in KK-AktG, §147 Rn. 5.

[439] *Windbichler,* Gesellschaftsrecht, (2013), §27 Rn. 38.

[440] derivative suit. ამ ინსტიტუტის შესახებ ვრცლად იხ.: *ჭანტურია,* კორპორაციული მართვა გვ. 414 და მომდ.

[441] *Mock* in Spenlder/Stilz, AktG, §148 Rn. 15.

[442] განსხვავების თაობაზე: *Gerold Bezzenberger/Tilman Bezzenberger* in GrossKommAktG, (2008), §148 Rn. 67ff.

[443] ეს უფლება მინორიტარი აქციონერისათვის არის დადგენილი.

[444] Klagezulassungverfahren. *Windbichler,* Gesellschaftsrecht, (2013), §27 Rn. 38.

[445] *Hüffer*, AktG, (2010), §148 Rn. 1.

[446] RegBegr BR-Drucks 3/05, S. 39. ციტირებულია: *Hüffer*, AktG, (2010), §148 Rn. 1.

[447] *Hüffer*, AktG, (2010), §148 Rn. 1, 4.

და სრულყოფილად დაცვის უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა, რომ უმცირესობას საერთო კრებისაგან დამოუკიდებლად ჰქონდეს სარჩელის წარდგენის უფლებამოსილება.[448] 148-ე პარაგრაფის მოდერნიზებული ვარიანტის შემუშავება და დადგენა გერმანულ კაპიტალურ საზოგადოებათა სამართალში UMAG-ის რეფორმას უკავშირდება, რომლის შედეგიც აქციონერის actio pro socio-ს შემოღების ინსტიტუტია[449] და რომელიც, თავის მხრივ, გამორიცხავს გერმანულ სააქციო საზოგადოების სამართალში საყველთაო, ზოგადი actio pro socios-ს გამოყენებას.[450]

აქციონერის დერივაციული სარჩელის უფლების დამკვიდრებით (უმცირესობაში მყოფი) პარტნიორი უფლებამოსილი ხდება სადავოდ გახადოს საზოგადოების მოთხოვნა სასამართლოში გასაჩივრების მშვეობით, თუმცა ამისათვის კანონმდებლობა გარკვეული წინაპირობების დაცვას ითვალისწინებს.[451] კომენტატორულ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ უპირველეს ყოვლისა, სახეზე უნდა იყოს საზოგადოების ორგანოების წევრთა მხრიდან ისეთი არასწორი (შეცდომითი ხასიათის) ქმედება და ამ ქმედებით გამოწვეული ზიანი, რომლის საკმარისად დასაბუთებული ეჭვი არსებობს. ამის საპირისპიროდ კორპორაციის ორგანოები არავითარ ღონეს არ ხმარობენ,[452] რაც უხსნის აქციონერს დაშვებული შეცდომის

[448] *Mock* in Spenlder/Stilz, AktG, §148 Rn. 1.

[449] *Mock* in Spenlder/Stilz, AktG, §148 Rn. 3. ამ ნორმის ისტორიული განვითარების და მისი თანამედროვე სახით ჩამოყალიბების შესახებ მოკლედ იხ.: *Mock* in Spinlder/Stilz, AktG, §148 Rn. 4-8; ვრცლად: *Gerold Bezzenberger/Tilman Bezzenberger* in GrossKommAktG, (2008), §148 Rn. 14-21.

[450] *Windbichler,* Gesellschaftsrecht, (2013), §27 Rn. 38.

[451] AktG §148 Abs. 1; „მეწარმეთა შესახებ" კანონის 53-ე მუხლის მე-5 პუნქტის პირველი აბზაცი.

[452] *Gerold Bezzenberger/Tilman Bezzenberger* in GrossKommAktG, (2008), §148 Rn. 2.

დამოუკიდებლად გამოსწორების შესაძლებლობას. სწორედ ამის შემდეგ ერთვება აქციონერის დერივაციული სარჩელის ინსტიტუტი და მოქმედებაში მოდის.[453]

გერმანულ სამართალში აქციონერის სარჩელის მატერიალური დასაშვებობის წინაპირობებთან ერთად დადგენილია ფორმალური დასაშვებობაც. ამ შემთხვევაში მხედველობაშია ის გარემოება, რომ ნებისმიერ აქციონერს სარჩელის უფლება არ ეძლევა. სარჩელი მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, როდესაც იგი სააქციო კანონის 148-ე პარაგრაფის პირველ აბზაცს აკმაყოფილებს. ნორმის მიხედვით, სარჩელის წარდგენის უფლება აქვს საწესდებო კაპიტალის 1%-ის ან კაპიტალში 100 000 ევროთი წარმოდგენილ აქციონერს (ან აქციონერთა ჯგუფს).[454] კანონის ამ ჩანაწერით გერმანული სამართალი არსებითად განსხვავდება ქართულისაგან. მეწარმეთა კანონის 53-ე მუხლის მე-5 პუნქტის პირველი წინადადების მოცემულობა ნებისმიერი კლასის და რაოდენობის აქციის მფლობელ პარტნიორს საკუთარი სახელით სარჩელის შეტანის უფლებას ანიჭებს, რამაც პრაქტიკაში უმცირესობის მხრიდან ამ უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევები უნდა წარმოშვას. ამას ის ვითარებაც ემატება, რომ ქართული სამოქალაქო საპროცესო სამართალი ჯერჯერობით არ იცნობს სარჩელის მატერიალურ-შინაარსობრივი დასაშვებობის წინაპირობებს, რითიც უმცირესობის მხრიდან სარჩელის უფლების ბოროტად გამოყენებისთვის კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა იარსებებს. ამიტომ გერმანულ სამართალში აქციონერის სარჩელი ლოგიკურად ორ წინაპირობას[455] - ფორმალურსა და მატერიალურს

[453] *Gerold Bezzenberger/Tilman Bezzenberger* in GrossKommAktG, (2008), §148 Rn. 2.

[454] *Holzborn* in Bürgers/Körber, AktG, §148 Rn. 3.

[455] რომელიც, თავის მხრივ, ოთხ მოთხოვნად არის წარმოდგენილი. იხ.: *ჭანტურია,* კორპორაციული მართვა, გვ. 425-428.

- ებმის. ფორმალური მოთხოვნა იმაში მდგომარეობს, რომ იგი სააქციო კანონის 148-ე პარაგრაფის პირველი აბზაცის მეორე წინადადების რიგით პირველ და მეორე ნომრებს აკმაყოფილებდეს.[456] მატერიალურ-სამართლებრივი გულისხმობს, რომ სახეზეა ამავე მუხლის რიგით მესამე და მეოთხე ნომრით[457] გათვალისწინებული მოცემულობა.[458] შესაბამისად, სასამართლოსთვის კანონმდებლობის მიერ, გარკვეულწილად, დადგენილი და განსაზღვრულია ის ფარგლები, რომელშიც მან უნდა იმოქმედოს. აქციონერის სარჩელის აღძვრის ერთერთი მნიშვნელოვანი მომენტი იმაში მდგომარეობს, რომ (უმცირესობაში მყოფმა) პარტნიორმა გარკვეული დროის განმავლობაში აუცილებლად უნდა მიმართოს საზოგადოების შესაბამის ორგანოს სარჩელის აღძვრის მოთხოვნით.[459] მხოლოდ ამ მოთხოვნის უგულებელყოფის შემდეგ ერთვება აქ-

[456] ამ შემთხვევაში საუბარია იმაზე, რომ სარჩელის შეტანის მომენტისათვის აქციონერი უნდა ფლობდეს კანონით გათვალისწინებულ აქციათა ოდენობას ან მას აქციები სარჩელის წარდგენის მომენტამდე ჰქონდა შეძენილი, ასევე, პარტნიორებმა უნდა მიუთითონ, რომ მათ დადგენილ დროში მოთხოვეს საზოგადოებას თავად განეხორციელებინა მოთხოვნა, თუმცა ეს უშედეგოდ დასრულდა. AktG §148 Abs. 1 Satz (2) Nr. 1, 2. უფრო მეტიც, პირი, რომელიც საზოგადოების სახელით მოთხოვნის განხორციელებას ითხოვს, მანამდე უნდა იყოს აქციონერი, ვიდრე სავარაუდო ზიანის ან სავარაუდო დარღვევის შესახებ ინფორმაცია საზოგადოდ გახმაურდება.

[457] არსებობს ფაქტები, რომელიც განამტკიცებს ეჭვს, რომ უხეში ან გაუფთხილებელი ქმედების შედეგად დარღვეულია კანონი ან წესდება, რომელმაც საზოგადოებისათვის ზიანის მიყენება გამოიწვია, აგრეთვე, რომ მოთხოვნის განხორციელება არ ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესს (კანონი ხმარობს სიტყვას „საზოგადოების ნებას, კეთილდღეობას“ - Gesellschaftswohl). AktG §148 Abs. 1 Satz (2) Nr. 3, 4.

[458] *Holzborn* in Bürgers/Körber, AktG, §148 Rn. 4.

[459] *Hüffer*, AktG, (2010), §148 Rn. 6; AktG §148 Abs. 1 Satz (2) Nr. 2; „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53-ე მუხლის მე-5 პუნქტის პირველი აბზაცის მეორე წინადადება.

ციონერის დამოუკიდებელი სარჩელის ინსტიტუტი. გერმანულ სამართალში, ისევე, როგორც ეს ქართულ სამართალშია, ამისთვის ორთვიანი ვადაა გათვალისწინებული.[460] ეს ნიშნავს, რომ სათანადო საფუძვლის არსებობისას[461] აქციონერმა უნდა მიმართოს საზოგადოების შესაბამის ორგანოს იმის მოთხოვნით, რომ სახეზეა ის იურიდიული ფაქტი, რომელიც კორპორაციის მხრიდან მოთხოვნის წაყენების საფუძველს იძლევა. ამ შემთხვევაში მოთხოვნის ადრესატი თავად საზოგადოებაა. თუ რომელი ორგანოსათვის უნდა იყოს მიმართული აქციონერის მოთხოვნა, კორპორაციის შიდა ურთიერთობის მოსაწესრიგებელია. როგორც წესი, მოთხოვნა დირექტორატის მიმართ არის მიმართული, რადგანაც ეს უკანასკნელი საზოგადოების კანონიერ წარმომადგენლობით ორგანოს წარმოადგენს. კომენტატორულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ხშირად იურისტები კონკრეტული ორგანოსადმი მიმართვის მომხრენი არიან. ეს გულისხმობს, რომ აქციონერმა საზოგადოების კონკრეტულ ორგანოს უნდა მიმართოს: თუკი, მაგალითად, მოთხოვნა გამგეობის წევრის მიმართ არის მიმართული, მაშინ სამეთვალყურეო საბჭოს მიმართ; თუკი სამეთვალყურეო საბჭოსკენაა მიმართული, მაშინ გამგეობის მიმართ; თუ მოთხოვნა მესამე პირის მიმართ უნდა აღიძრას, მაშინ ბუნებრივია გამგეობის. თუმცა ეს მოსაზრება სააქციო კანონის დიდ კომენტარში გაკრიტიკებულია და სრულიად სამართლიანად არის აღნიშნული, რომ აქციონერის საზრუნავს არ უნდა წარმოადგენდეს ის, თუ კონკრეტულად რომელ ორგანოს უნ-

[460] *Mock* in Spinlder/Stilz, AktG, §148 Rn. 48. მიუხედავად იმისა, რომ ეს კანონიც ზუსტად განსაზღვრული არაა. იგი განმარტებითი ბარათის დასაბუთებიდან გამომდინარეობს და ნორმის მიზნობრივი განმარტების შესაძლებლობას იძლევა.

[461] ნაციონალური სამართლის მიხედვით, საკმარისი იქნება მხოლოდ დასაბუთებული ეჭვის არსებობა.

და მიუვიდეს განცხადება მოთხოვნის აღძვრის შესახებ. ეს საზოგადოების შიდა ურთიერთობის რეგულირების სფეროა და ამაზე აქციონერი არ უნდა ფიქრობდეს.[462] შესაბამისად, მოთხოვნა წერილობითი ფორმით მიმართული უნდა იყოს საზოგადოებისადმი, სადაც ადრესატისათვის ჩაბარების სამართლებრივი ფორმები იქნება გამოყენებული. ამ შემთხვევაში „მეწარმეთა შესახებ" კანონი საკითხის კონკრეტული მოწესრიგებით გამოირჩევა და ამბობს, რომ მოთხოვნა *წერილობითი ფორმით* საზოგადოებისადმი უნდა იყოს მიმართული.[463] საზოგადოება თავისი ორგანოების მეშვეობით მოქმედებს, ამიტომ თუ რომელი ორგანოსთვის უნდა იყოს კონკრეტულად ეს განცხადება (მოთხოვნა) მიმართული (ქართულ სამართალშიც) კორპორაციის შიდა რეგულირების სფეროს წარმოადგენს, თუმცა საზოგადოების წესდებით შესაძლოა ეს საკითხიც ზუსტად გაიწეროს.

შემდეგი ფაქტი, რომელიც აუცილებლად უნდა არსებობდეს იმისთვის, რომ აქციონერის სარჩელი დასაშვებად იქნეს მიჩნეული, საზოგადოების ინტერესში მდგომარეობს. ეს ნიშნავს, რომ მოთხოვნის განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს „კორპორაციის ნებას", მის კეთილდღეობას.[464] მოთხოვნა მისი ამ ნებიდან უნდა მომდინარეობდეს, რადგან ნების წინააღმდეგობის შემთხვევაში იგი საზოგადოების ინტერესის საზიანოდ უნდა იყოს განხილული. მოთხოვნის განუხორციელებლობა მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევას უნდა ქმნიდეს და მისი ანაზღაურება (ეკონომიკური

[462] *Gerold Bezzenberger/Tilman Bezzenberger* in GrossKommAktG, (2008), §148 Rn. 121.

[463] მეწარმეთა კანონის 53-ე მუხლის მე-5 პუნქტის პირველი აბზაცის მეორე წინადადება.

[464] *Hüffer*, AktG, (2010), §148 Rn. 9.

თავლსაზრისით) საზოგადოებას უნდა უღირდეს.[465] მეწარმეთა კანონიც ამ დროს საზოგადოების ინტერესიდან ამოდის. 90 დღის განმავლობაში საზოგადოებას ორი ალტერნატივა ეძლევა: ან იგი თავად აღძრავს სარჩელს ან დაასაბუთებს, რომ ასეთი სარჩელის აღძრა ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესს. ნიშანდობლივია, რომ „კორპორაციის ნების, კეთილდღეობის" თაობაზე საზოგადოებამ აქციონერს დამაჯერებელი პასუხი გასცეს, რაც ნიშნავს, რომ საზოგადოების (შესაბამისი ორგანოს) მხრიდან პარტნიორი ყველანაირად უნდა იქნეს ინფორმირებული იმის შესახებ, თუ რატომ არ იდგმება თავად საზოგადოების მიერ ეს ნაბიჯი. მიზეზი შესაძლოა სხვადასხვა იყოს: ულირს თუ არა საზოგადოებას ეს მოთხოვნა საკუთარ ინტერესად, დაკმაყოფილდება თუ არა თავად მოთხოვნა, ანუ რა პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეს მას სასამართლოში წარმატების თვალსაზრისით, ან შეძლებს თუ არა მოწინააღმდეგე მხარე (მისი ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებს) მის მიმართ წაყენებული მოთხოვნის რეალურად დაკმაყოფილებას[466] და ა.შ. სწორედ ამის გარკვევას ავალებს კანონმდებლობა სასამართლოს, როდესაც სარჩელის მატერიალური დასაშვებობა იქნება შემოწმებული. აქციონერმა უნდა დაასაბუთოს, რომ არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ მოთხოვნის გამოუყენებლობა ზიანს მიაყენებს საზოგადოებას, ხოლო საზოგადოება (წარმოდგენილი მისი შესაბამისი ორგანოს სახით), თავის მხრივ, საწინააღმდეგოს დაასაბუთებს. საბოლოო ჯამში, გადაწყვეტილება მოსამართლის შეფასების სფეროში ექცევა.

[465] *Gerold Bezzenberger/Tilman Bezzenberger* in GrossKommAktG, (2008), §148 Rn. 152, 154. ანუ ამის მნიშვნელოვანი საფუძველი უნდა არსებობდეს (überwiegende Gründe).

[466] *Mock* in Spenlder/Stilz, AktG, §148 Rn. 56ff.

მოკლედ, საზოგადოების სახელით მოთხოვნის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია მცირე შეჯამების გაკეთება. საზოგადოების ინტერესის სადარაჯოზე, უპირველეს ყოვლისა, კორპორაციის კანონისმიერი, ამისათვის სპეციალური კომპეტენციის მქონე ორგანოები — გამგეობა და სამეთვალყურეო საბჭო — დგანან. სწორედ მათ უფლებამოსილებაში (და მოვალეობაში) შედის იმ რაციონალური ინტერესის გატარება, რაც საზოგადოების კეთილდღეობიდან მომდინარეობს. თუმცა პრაქტიკაში ხდება ისე, რომ საზოგადოების მმართველი ორგანოები, გარკვეული მიზეზების გამო, თავს არიდებენ მათზე დაკისრებული ამოცანის შესრულებას. შესაბამისად, სააქციო კანონმდებლობა (1) აქციონერთა საერთო კრებას ხდის უფლებამოსილების მქონე სუბიექტად მიიღოს გადაწყვეტილება სარჩელის აღძვრის თაობაზე. გადაწყვეტილება, როგორც ზემოთ წარმოჩინდა, 147-ე პარაგრაფიდან გამომდინარე, უბრალო უმრავლესობით მიიღება, სადაც საკუთარი ხმის უფლების გამოყენების აკრძალვის პრინციპი, რასაკვირველია, დაცული იქნება. მაშასადამე, საერთო კრების ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი კომპეტენცია „აქციონერის მიდევნების“ უფლების რეალიზებაში გამოიხატება. საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით სს-ის შესაბამისი ორგანო ვალდებული ხდება დაემორჩილოს „საბაზისო ორგანოს“ ნებას საზოგადოების მოთხოვნის განხორციელებასთან დაკავშირებით. თუმცა ეს არ გამორიცხავს თავად საერთო კრების დისკრეციულ კომპეტენციას, რომ ამ პროცესისთვის თავად დანიშნოს სპეციალური წარმომადგენელი. შესაბამისად, საზოგადოების სახელით მოთხოვნის აღძვრასთან ერთად კრებაზე სპეციალური წარმომადგენლის თაობაზეც იქნება მიღებული გადაწყვეტილება. უმცირესობის უფლების დაცვის მიზნით შესაძლოა, სპეციალური წარმომადგენლის შესახებ, უმცირესობის სასამართლოში განცხადების დაყენების შემდეგ,

გადაწყვეტილება მოსამართლემ მიიღოს. ამასთან ერთად აღნიშვნის ღირსია ერთი გარემოება: როდესაც საზოგადოების მოთხოვნის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილებას კორპორაციის ერთ-ერთი მმართველი ორგანო დამოუკიდებლად იღებს, იგი საკუთარი მიხედულების, განსჯის ფარგლებში წყვეტს და აფასებს სარჩელის აღძვრის საკითხს, განსხვავებით იმ შემთხვევისაგან, როდესაც ამის თაობაზე გადაწყვეტილებას საერთო კრება იღებს. ამ დროს მმართველი ორგანოს თავისუფალი მოქმედების არეალი საერთო კრების გადაწყვეტილებით არის გამორიცხული,[467] რაც ამ გადაწყვეტილების შესრულების მოვალეობას აფუძნებს. „აქციონერთა სარჩელის“ შემდეგი სახეობა უმცირესობაში მყოფი (2) აქციონერის სარჩელის უფლებას უკავშირდება, როდესაც კანონით განსაზღვრული გარკვეული ქვოტის მქონე პარტნიორი[468] საკუთარი სახელით ხდება უფლებამოსილი საზოგადოების მოთხოვნის განხორციელებაზე. ამერიკული და ქართული სამართლისაგან განსხვავებით, სადაც ნებისმიერ აქციონერს აქვს ამის უფლება, გერმანული სამართალი მხოლოდ გარკვეულ უმცირესობას ანიჭებს ამის შესაძლებლობას და ისიც მკაცრ სასამართლოსეულ შემოწმებას უქვემდებარებს. ამერიკული სამართალი კი ცდილობს ეს საკითხი ისევ შიდაკორპორაციულ მართვის დონეზე მოაწესრიგოს და ამით, შეძლებისდაგვარად, არ ჩაერიოს კორპორაციის ცხოვრებაში.[469] როგორც ითქვა, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სარჩელი სარჩელის დასაშვებობას უკავშირდება. ეს, გარკვეულწილად, არის გარანტია იმისა, რომ აშკარად დაუსაბუთებელი და უფლების ბოროტად

[467] *Langenbucher,* Aktien- und Kapitalmarktrecht, 2. Auf., (2011), §6 Rn. 88, S. 113.
[468] გერმანული სააქციო სამართლის შემთხვევაში.
[469] *Windbichler,* Gesellschaftsrecht, (2013), §27 Rn. 38. 83-ე სქოლიო.

გამოყენებითი სარჩელები გამოირიცხება.[470] ამასთან, სარჩელის დასაშვებობისა და სასარჩელო წარმოების ნებისმიერ სტადიაზე სს-ს უფლება აქვს თავად გამოიყენოს მოთხოვნა სასამართლოს გზით ზიანის ანაზღაურების დაყენების თაობაზე. ამისთვის მას ორი შესაძლებლობა ენიჭება: (1) თავად დამოუკიდებლად ჩაერთოს წარმართულ პროცესში ან (2) თავად მიიღოს გადაწყვეტილება სარჩელის აღძრის შესახებ. ეს კი, თავის მხრივ, არსებული სარჩელი დასაშვებობის ან სასარჩელო წარმოების დაუშვებლობას იწვევს. უმცირესობის უფლება, გერმანული სამართლის მიხედვით, აქ იმით არის გარანტირებული, რომ პროცესზე მინორიტარი აქციონერის მონაწილეობა აუცილებელია, თუმცა საერთო კრებას უბრალო უმრავლესობით ნებისმიერ დროს აქვს სარჩელის (განცხადების) უკან გამოხმობის ან მასზე უარის თქმის უფლება.[471] ეს უკანასკნელი შემთხვევა კი პრაქტიკაში იშვიათად გვხვდება.

3.1.9. ქონების შეძენის, გასხვისების ან დატვირთვის უფლებამოსილება

შემდეგი კომპეტენცია, რასაც მეწარმეთა კანონი გამოყოფს არის ქონების შეძენის, გასხვისების ან დატვირთვის შესახებ აქციონერთა საერთო კრების მიერ გადაწყვეტილების მიღება. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ქონებასთან დაკავშირებული გარიგებების დადების გადაწყვეტილება არ ექცევა ყოველთვის კრების უფლებამოსილებაში. საწარმოს ქონებრივ ურთიერთობასთან შეხება ძირითადად მის ხელმძღვანელ ორგანოს აქვს. აქციონერი (როგორც პრინციპალი) ჩამოშორებული ამ საქმიანობას და მას ამაზე მხოლოდ

[470] *Langenbucher,* Aktien- und Kapitalmarktrecht, (2011), §7 Rn. 85, S. 187.
[471] *Langenbucher,* Aktien- und Kapitalmarktrecht, (2011), §6 Rn. 89, S. 188.

გარკვეული კანონით დადგენილი მაკონტროლებელი ბერკეტი აქვს. იგი (გარკვეული გამონაკლისების გარდა, მაგალითად, ე.წ. shareholder value და სხვ.) არც ქონების მაქსიმიზაციის პროცესში მონაწილეობს. ამას გამგეობა აკეთებს. თუმცა კანონი გამოყოფს იმ მომენტს, როდესაც საზოგადოების განსაკუთრებული ქონებრივი ინტერესიდან გამომდინარე, დირექტორატს საერთო კრების „თანხმობა" ესაჭიროება. ეს შემთხვევა სწორედ „მეწარმეთა შესახებ" კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის ბოლო „ლ" ქვეპუნქტშია მოცემული. როდესაც საკითხი ეხება საზოგადოების იმ ქონების შეძენას, გასხვისებას ან დატვირთვას, რომელიც საწარმოს მატერიალური თუ არამატერიალური ქონებრივი აქტივის ღირებულების ნახევარს აღემატება, მაშინ ამ გარიგებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას აქციონერთა საერთო კრება იღებს. აქ ასევე მნიშვნელოვანია, რომ ეს არ უნდა წარმოადგენდეს საწარმოს ჩვეულებრივ საქმიანობას და იგი, თანახმად მეწარმეთა კანონის 9^1 მუხლის მე-7 პუნქტისა, უნდა სცდებოდეს ასეთი საქმიანობის ფარგლებს. ცხადია, მაგალითად, ბანკებისათვის, საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებებისთვის ან საინვესტიციო კორპორაციებისთვის, ეს ჩვეულებრივ საქმიანობას წარმოადგენს და ამაზე საერთო კრების გადაწყვეტილება მისაღები არ იქნება. ნიშანდობლივია, რომ კრების ეს დაწერილი კომპეტენციაც შესაძლოა საზოგადოების სხვა ორგანოზე იქნეს დელეგირებული.

3.2. წესდებით დადგენილი კომპეტენცია

კანონით გათვალისწინებული საერთო კრების კომპეტენციის კონკრეტული ჩამონათვალის გარდა სააქციო სამართალში აქციონერთა საერთო კრების *წესდებისმიერ* უფლებამოსილებაზე საუბრობენ. საზოგადოების წესდებით საერთო

კრებისთვის შესაძლოა დადგენილი იყო ნებისმიერი კომპეტენცია, რომელიც კორპორაციის სხვა ორგანოს საქმიანობის სფეროში არ ექცევა.[472] ესეც გერმანული სამართლისათვის დამახასიათებელი მოდელია, სადაც კორპორაციის ორგანოების უფლებამოსილების და საქმიანობის დიფერენცირების მკვეთრი ზღვარი არსებობს. გერმანულ სამართალში, როგორც ითქვა, საკმაოდ ნათლად (და იმავდროულად იმპერატიულად) არის ჩამოყალიბებული საზოგადოების თითოეული ორგანოს კომპეტენცია და იგი სხვა ორგანოს უფლებამოსილებისაგან და საქმიანობის სფეროსაგან ნათლად არის გამიჯნული. ამით გერმანული სამართალი კვლავ განსხვავდება ქართულისაგან, სადაც ასეთი მკაცრი მიჯნა არ არსებობს. თუმცა, თუკი საზოგადოების წესდებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული და სს-ში სამივე ორგანო[473] იარსებებს, გერმანულ მოდელთან სიახლოვეზეც შეიძლება საუბარი. მოკლედ, საზოგადოების წესდებით შესაძლოა, საერთო კრებას ნებისმიერი კომპეტენცია მიენიჭოს, თუკი ეს სააქციო კანონის იმპერატიულად განსაზღვრულ ნორმას არ ეწინააღმდეგება. აქ ისევ სააქციო კანონის 23-ე პარაგრაფის მეხუთე აბზაცი მიიღება მხედველობაში. სწორედ სააქციო კანონის ამ ჩანაწერით გერმანული სამართალი ზოგიერთ საკითხთან მიმართებით ქართულისაგან რადიკალურად განსხვავდება. ამიტომაც ამბობენ, რომ ამ ნორმით საერთო კრების წესდების შესაბამისი კომპეტენციისთვის ადგილი თითქმის არ რჩება. საერთო კრების წესდებისმიერ უფლებამოსილებაში, ძირითადად, სამეთვალყურეო საბჭოს წევრთათვის ანაზღაურების დადგენას, აქციონერთა კომიტეტებისა და საბჭოების შექმნას მოიაზრებენ.[474]

[472] *Jannot/Hagemann* in Henn/Jannot/Hagemann (Hrsg.), Hdb. des Aktienrechts, (2009), S. 447.

[473] აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი.

3.3. სხვა (კანონისმიერი) კომპეტენცია

ზემოთ ჩამოთვლილი კანონისმიერი კომპეტენციის გარდა,[475] აქციონერთა საერთო კრება სხვა უფლებამოსილებითაც არის აღჭურვილი, რომელსაც მას კანონმდებლობა ანიჭებს და სხვადასხვა მუხლში გვთავაზობს. ამ მხრივ გამოსაყოფია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ გადაწყვეტილების მიღება,[476] უმცირესობაში მყოფი აქციონერის სს-იდან განდევნა,[477]

[474] *Jannot/Hagemann* in Henn/Jannot/Hagemann (Hrsg.), Hdb. des Aktienrechts, (2009), S. 447.

[475] ამ შემთხვევაში, ძირითადად, „მეწარმეთა შესახებ" კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტზე და ანალოგიური უფლებამოსილების მქონე გერმანული კანონის მიერ დადგენილ შესაბამის ნორმაზე (სააქციო კანონის 119-ე პარაგრაფი) გამახვილდა.

[476] AktG §71 Abs. 1 Nr. 8; „მეწარმეთა შესახებ" კანონის 53^{1}-ე მუხლის მე-9 პუნქტი. მართალია, აღნიშნული ნორმა ზუსტად არ მიუთითებს, რომ საკუთარი აქციების შესყიდვის შესახებ გადაწყვეტილება საერთო კრებამ უნდა მიიღოს, თუმცა აღნიშნული მუხლის შინაარსი ასეთ განმარტებას მოითხოვს. საზოგადოების წესდებით შესაძლოა, ეს უფლებამოსილება გამგეობას ან სამეთვალყურეო საბჭოს გადაეცეს, მაგრამ ამის შესახებ მინიშნებას საზოგადოების ხელშკრულება უნდა შეიცავდეს. პრაქტიკაში ეს უფლებამოსილება გარკვეული ვადით სწორედ კორპორაციის გამგეობას აქვს მინიჭებული. გერმანულად მაგ.: *Kitanoff*, Der Erwerb eigener Aktien, Aktienrückkäufe und Interessen der Gläubiger, Aktionäre und des Kapitalmarkts, S. 150; ქართულად იხ.: *ჯულელი*, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, გვ. 103 და მომდ.; *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები I, გვ. 377 და მომდ.

[477] AktG §327a; „მეწარმეთა შესახებ" კანონის 53^{4}-ე მუხლი, თუმცა აღნიშნული მუხლის მოცემულობა საერთო კრების მიერ დარჩენილი აქციების გამოსყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას სავალდებულოდ არ მიიჩნევს. ეს საკითხი შესაძლოა წესდებით მოწესრიგდეს. გადაწყვეტილე-

გამგეობის საქმიანობასთან დაკავშირებული იმ ღონისძიებებისთვის თანხმობის მიცემა, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს მიერ იქნა უარყოფილი,[478] საწარმოო ხელშეკრულებების

ბას ამ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლო იღებს ხმის უფლების მქონე აქციათა 95%-ზე მეტი აქციონერის განცხადების საფუძველზე. დომინანტ აქციონერს კი საერთო კრებაზე ამ გადაწყვეტილების გატანა (სანამ იგი სასამართლოს მიმართავს) არ ესაჭიროება, მაგრამ არც ეკრძალება. გერმანულ სამართალში ეს საკითხი სხვანაირად არის მოწესრიგებული. სააქციოსამართლებრივი squeeze-out-ის დროს გადაწყვეტილებას საერთო კრება იღებს. იხ. მაგ.: *Fuchs*, Der aktienrechtliche Squeeze-out, S. 1. გერმანული საკორპორაციო სამართალი მინორიტარი აქციონერის (პარტნიორის) საზოგადოებიდან განდევნის ორ გზას - სააქციოსამართლებრივ და შეძენით (დაუფლებით)-სამართლებრივს – იცნობს.

[478] AktG §111 Abs. 4, Satz 3, 4; მეწარმეთა კანონი 55-ე მუხლის მე-8 პუნქტში განსაზღვრავს ისეთი გარიგებებისა და ოპერაციების განხორციელებას საწარმოს მიერ, რომელიც აუცილებლად სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობას მოითხოვს. ესეც იმ შემთხვევაში, თუკი წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. კანონის მიხედვით, საზოგადოების დირექტორატზე სამეთვალყურეო საბჭოს კონტროლის ფუნქცია არა მხოლოდ ზედამხედველობით შემოიფარგლება, არამედ თანხმობის აუცილებლობასაც ადგენს. მე-8 პუნქტში ჩამოთვლილი საქმიანობის სფერო გამგეობის პრეროგატივაში შედის. შესაბამისად, გამგეობა გარკვეულ ღონისძიებებს ვერაფრით განახორციელებს, თუ მას სამეთვალყურეო საბჭოსაგან სათანადო თანხმობა არ ექნება მიღებული. თუმცაღა საკანონმდებლო რეგულაცია, გერმანული სააქციო კანონისაგან განსხვავებით, არ იძლევა კითხვაზე პასუხს, შეუძლია თუ არა სამეთვალყურეო საბჭოს უარის შემთხვევაში საერთო კრებას დირექტორატისთვის თანხმობის გაცემა. უფრო მეტიც, კანონის 55-ე მუხლის მე-10 პუნქტი პირდაპირ მიუთითებს, რომ ასეთი (მე-8 პუნქტში აღწერილი) ღონისძიებებისათვის (ღონისძიებებისთვის) უარის შესახებ ინფორმაცია საზოგადოების წლიურ ანგარიშში შეიტანება. წესდებით ეს საკითხი შესაძლოა, სხვაგვარად იყოს მოწესრიგებული. მაგრამ კანონის მიხედვით საერთო კრება ამ უფლებამოსილებით ვერ აღიჭურვება, რაც, თავის მხრივ, ორმაგი კონტროლის პრინციპს ეწინააღმდეგება. საერთო კრების მიერ ამ უფლებამოსილების დადგენით, როგორც ეს გერმანულ სააქციო სამართალშია, საწარმოს მართვა, ვფიქრობ, უფრო ეფექტური იქნებოდა. ამიტომაც ქართულ საწარმოთა პრაქტიკაში უმჯობესია ეს საკით-

გაფორმება, ისევე, როგორც ამ ხელშეკრულებათა ცვლილებათა შესახებ საკითხის გადაწყვეტა,[479] საწესდებო კაპიტალის ნახევრის დანაკლისის შესახებ ინფორმაციის მიღების გადაწყვეტილება,[480] გამგეობისთვის ნდობის ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.[481]

ხი საზოგადოების პარტნიორებმა უშუალოდ წესდებით მოაწესრიგონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ამ კომპეტენციისაგან ჩამოცილებულნი იქნებიან.

[479] AktG §293 Abs. 1, §295 Abs. 1; *Schüppen/Schaub/Binge/Thölke*, MAH Aktienrecht, (2010), §25 Rn. 41. ქართული კანონმდებლობა ამ საკითხის გადაწყვეტის კომპეტენციას უშუალოდ დირექტორების უფლებამოსილებაში აქცევს. ამიტომ აქციონერთა საერთო კრება, თუკი, რა თქმა უნდა, წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ამ კომპეტენციას ჩამოშორებულია.

[480] AktG §92 Abs. 1.

[481] AktG §84 Abs. 3, Satz 2; ასეთი დაწერილი, კანონით დადგენილი კომპეტენცია მეწარმეთა კანონის არც ერთ ნორმაში არ მოინახა. ეს უფლებამოსილება არც საერთო კრების და არც სამეთვალყურეო საბჭოს დისკრეციაში შედის. თუმცა ვფიქრობ, რომ ამ უფლებამოსილებით სამეთვალყურეო საბჭო უნდა იყოს აღჭურვილი. ამას მეწარმეთა კანონის 55-ე მუხლი განაპირობებს, სადაც სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციის ჩამონათვალია. რადგან ეს ორგანო ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორებს, მას მათი ნდობის საკითხის დაყენების პრეროგატივაც ექნება. უბრალოდ, გერმანულისაგან განსხვავებით, ქართული სამართალი ამ საკითხს არა დირექტორისთვის ნდობის ჩამორთმევით, არამედ ჩვეულებრივ 55-ე მუხლის მე-8 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შინაარსით გადაწყვეტდა. საერთო კრების სხვა კანონისმიერი კომპეტენციის ჩამონათვალის შესახებ ზოგადად იხ.: *Mayer* in Manz/Mayer/Schröder, Die Aktiengesellschaft, (2010), S. 174-175; *Göhmann* in Henn/Frodermann/Jannott, Handbuch des Aktienrechts, (2009), S. 445; Schüppen/Schaub/*Binge/Thölke*, MAH Aktienrecht, (2010), §25 Rn. 20.

3.4. „დაუწერელი“ კომპეტენცია

ერთ-ერთი საინტერესო და მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციას შეეხება, გერმანიაში ფედერალური უმაღლესი სასამართლოს 1982 წლის „ჰოლცმიულერის“ გადაწყვეტილების[482] მიღების შემდეგ წამოიჭრა.[483] სწორედ ამ გადაწყვეტილებამ ჩაუყარა საფუძველი კანონისმიერი და წესდებისმიერი უფლებამოსილების გარდა საერთო კრების დაუწერელი კომპეტენციის ფარგლების შესახებ დისკუსიას, რომელიც გერმანელ იურისტებში დღესაც მეტად აქტიურად მიმდინარეობს.[484] საერთო კრების დაუწერელი კომპეტენცია სასამართლო პრაქტიკის ნაყოფია. ამიტომ ის დოქტრინა, რომელიც კრების დაუწერელ უფლებამოსილებას ეხება სწორედ სამოსამართლო შემოქმედების შედეგია. „ჰოლცმიულერის“ დოქტრინის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ კანონის მიერ ნათლად განსაზღვრული

[482] BGHZ 83, 122 ff (Hozmüller) = NJW 1982, S. 1703 ff.

[483] გერმანიის ფედერალურ უმაღლეს სასამართლოს ამის შემდეგ კიდევ რამდენიმე გადაწყვეტილება აქვს მიღებული, რომელიც „Gelatine I“ და „Gelatine II“, ასევე „მაკროტონის“ სახელით არის ცნობილი თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში. თუმცა აქვე ნიშანდობლივია, რომ საერთო კრების დაუწერელ კომპეტენციაზე, უფრო სწორედ, „კომპეტენციის დეფიციტზე“ (Kropff in: FS Gessler, 1970, S. 111) გაცხარებული დისკუსია გერმანულ იურისპრუდენციაში ამ გადაწყვეტილების მიღებამდეც იყო. *Raiser/Veil*, Recht der Kapitalgesellschaften, (2010), S. 195. ამ მხრივ გერმანიის 1965 წლის სააქციო კანონის ერთ-ერთი შემოქმედი ბრუნო კროფი და მარკუს ლუთერი აქტიურობდნენ, რომელნიც განსაკუთრებით კონცერნის ჩამოყალიბებისა და მართვისას კრების დაუწერელი კომპეტენციის არსებობის აუცილებლობაზე საუბრობდნენ. *Staake*, Ungeschriebene Hauptversammlungskompetenzen in börsennotierten und nicht börsennotierten Aktiengesellschaften, S. 25-26. შემდგომი მითითებებით.

[484] იხ. შემდგომი მითითებებით: *Schüppen/Schaub/Binge/Thölke*, MAH Aktienrecht, (2010), §25 Rn. 56.

საერთო კრების კომპეტენციის ჩამონათვალის გარდა არსებობს ისეთი უფლებამოსილება, რომელიც ამ როგანოს, როგორც საზოგადოების ძირითად მასტრუქტურირებელ ორგანოს, აქვს მიკუთვნებული. აქედან გამომდინარე, სასამართლო პრაქტიკამ დაავალდებულა საზოგადოების გამგეობა, რომ მან ნაბიჯი განსაკუთრებულ შემთხვევებში საერთო კრების გადაწყვეტილების მიღებით გადადგას. ამით სასამართლო პრაქტიკამ „აქციონერთა განსაკუთრებული თანამონწილეობის უფლების“ პრინციპი განავითარა.[485] ეს გულისხმობს, რომ საზოგადოებაში ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც სტრუქტურულ ღონისძიებას განასახიერებს და რომელიც მხოლოდ საგამონაკლისო საქმიანობასთან და ამის შედეგად მისაღებ გადაწყვეტილებასთან არის დაკავშირებული, ამ პროცესში მხოლოდ საერთო კრების სავალდებულო ჩართვით უნდა მოხდეს.[486] აღნიშნული გადაწყვეტილებით[487] სასამართლო, გარკვეულწილად, გამგეობის კომპეტენციაშიც შეიჭრა და მისი ქმედება საერთო კრებაზე გახადა დამოკიდებული. ამით მან საგამონაკლისო შემთხვევაში კორპორაციის გამგეობას საერთო კრებასთან თანაქმედების (მისაღები გადაწყვეტილებისას) მოვალეობა დაუწესა,[488] ხოლო მისი დარღვევა გარკვეულ (შიდა ორგანიზაციულ) სანქციებს დაუკავშირა.[489] სიტყვა „შიდა ორგანიზაციული“ შეგნებულად იქნა ნახსენები. საქმე ის არის, რომ გამგეობის მიერ ასეთ საგამონაკლისო შემთხვევებში საერთო კრების გადაწყვეტილების გარეშე მიღებული გადაწყვეტილება მესამე პირებთან დამოკიდებულება-

[485] *Göhmann* in Henn/Frodermann/Jannott, Handbuch des Aktienrechts, (2009), S. 447.

[486] *Mayer* in Manz/Mayer/Schröder, Die Aktiengesellschaft, (2010), S. 176.

[487] რომელიც ქვემოთ განიმარტება.

[488] *Wilhelm*, Kapitalgesellschaftsrecht, (2009), S. 397.

[489] *Müllbert* in GrossKommAktG, (2008), §119 Rn. 21.

ში ნამდვილია, იმისდა მიუხედავად, მესამე პირისთვის ცნობილი იყო თუ არა კრების გადაწყვეტილების არსებობის თუ არარსებობის ფაქტი და მიუხედავად იმისა მესამე პირს უნდა სცოდნოდა თუ არა ამის შესახებ. მოკლედ, გარე სამართლებრივ ურთიერთობაში გარიგება, რომელიც („ჰოლცმიულერის“ დოქტრინის მიხედვით საერთო კრების თანამონაწილეობას მოითხოვდა) გამგეობის მიერ იქნება დადებული, ყველა ვარიანტში ნამდვილი იქნება. „ჰოლცმიულერის“ ფაბულის დარღვევა კი გავლენას მხოლოდ შიდა სამართლებრივ ურთიერთობაზე იქონიებს, ისე, რომ მისი დარღვევა დირექტორის ფიდუციური მოვალეობის დარღვევად მოინათლება და აქციონერს ამ შემთხვევაში გამგეობის მიმართ მოთხოვნის წაყენების იურიდიული საფუძველი მიეცემა.[490] ძირითადად, რა თქმა უნდა, მხედველობაში მიიღება დირექტორის მოვალეობის დარღვევის მომწესრიგებელი ნორმები, რომელიც სააქციო კანონის 93-ე პარაგრაფის და „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 და 56-ე მუხლებშია მოცემული.

„ჰოლცმიულერის“ დავის არსი შემდეგში მდგომარეობდა: დავაში მოპასუხე საოჯახო საწარმო, რომელიც 1795 წელს იქნა დაფუძნებული, ხოლო 1916 წელს სს-დ გარდაქმნილი, ხის გადამამუშავებელ და სასაწყობო მეურნეობას ეწეოდა. 1967 წლისთვის საზოგადოების საქმიანობამ სხვადასხვა დამოუკიდებელი სახე მიიღო. საქმიანობის ერთ-ერთი სახე იმაში გამოიხატა, რომ ამ პერიოდისთვის საწარმოს გერმანიის ერთერთ ტბასთან საპორტო მეურნეობა ჰქონდა განვითარებული, რომელიც იმ პერიოდისთვის შესაძლოა, დამოუკიდებელ წარმოებად განხილულიყო. მოკლედ, წარმოების ეს ნაწილი ცალკე დამოუკიდებელ ნაწილად ჩამოყალიბდა.[491] ამასობაში, მოსარჩელის (რომელიც აღნიშნული სს-ის დაახლოვებით 8%-

[490] *Mayer* in Manz/Mayer/Schröder, Die Aktiengesellschaft, (2010), S. 178.
[491] *Wilhelm*, Kapitalgesellschaftsrecht, (2009), S. 397.

ის აქციების მფლობელს წარმოადგენდა) თანხმობით საერთო კრებაზე მიღებულ იქნა წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ გადაწყვეტილება. აღნიშნული ცვლილების მიხედვით, საზოგადოება უფლებამოსილი ხდებოდა „დაეფუძნებინა ან შეეძინა სხვა სწარმოები“, წილობრივი მონაწილეობა მიეღო სხვა საზოგადოებებში, ასევე მისი (ამ სს-ის) წარმოების მთლიანი ან გარკვეული ნაწილი ამ საწარმოებისთვის გადაეცა.[492] 1972 წელს სს-ის წესდებით ჩამოყალიბდა შესაძლებლობა საწარმოს საქმიანობა რამდენიმე სხვადასხვა ნაწილად დაყოფოდა და ისინი დამოუკიდებლად განხორციელებულიყო. სწორედ წესდებაში შესული ცვლილებების მომენტისთვის სს-ის გამგეობას წარმოეშვა განზრახვა, კორპორაციის საქმიანობა რამდენიმე ორგანიზაციულ ნაწილად დაეყო. მოხდა ისე, რომ სს-ს ცალკე წარმოებად გამოეყო საპორტო საქმიანობა, ხოლო ხე-ტყის წარმოება კვლავ სს-ის ხელში დარჩა. ამ მიზნიდან გამომდინარე ორი საწარმო ჩამოყალიბდა: კომპლემენტარი შპს და ჰოლცმიულერის კომანდიტური სააქციო საზოგადოება. ხოლო ჰოლცმიულერის საზოგადოებაში, პირველადმა სს-მ, წესდების შესაბამისად, შენატანად მისი მთლიანი წარმოება ჩადო. ამასთან ნიშანდობლივია, რომ როგორც კომპლემენტარ შპს-ში, ისე კსს-ში პირველად სს-ს წილის 100% ჰქონდა, რითიც მოპასუხის (ანუ პირველადი სს-ის) 100%-ანი შვილობილი საწარმოები შეიქმნა.[493] უმცირესობაში მყოფმა (8%-ის მქონე) აქციონერმა შეიტანა სარჩელი სასამართლოში და განაცხადა, რომ საზოგადოების ასეთი დაყოფა, რომელიც აქციონერთა საერთო კრების თანხმობის და შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშეა მიღებული, ბათილია. ამიტომ საპორტო საწარმოს შეტანა სხვა საწარმოში (როგორც შენატანი) ამ

[492] *Raiser/Veil*, Recht der Kapitalgesellschaften, (2010), S. 69.
[493] *Staake*, Ungeschriebene Hauptversammlungskompetenzen, S. 27.

შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგოდ უნდა განიხილებოდეს.[494] ამ იურიდიულ ფაქტებზე დაყრდნობით, ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია საჩივარი და გადაწყვეტილება გამოიტანა. სასამართლოს ძირითადი პოზიცია იმაში მდგომარეობდა, რომ ისეთი ღონისძიებების დროს, რომელიც მიზნად ისახავს აქციონერის ფუნდამენტური (ძირეული) კორპორაციულ-სამართლებრივი უფლებების ცვლილებას და რომელიც საზოგადოების სტრუქტურულ ღონისძიებებთან არის დაკავშირებული, ამ პროცესში აქციონერთა სავალდებულო ჩართვას მოითხოვს. ამასთან საკითხი აქციონერის წევრობის უფლებას და მასთან დაკავშირებულ „წილში განსხეულებრივ ქონებრივ ინტერესს უნდა ეხებოდეს", რომელიც ნებისმიერ სს-ში აქციონერის უპირატესი ზრუნვის საგანს შეადგენს.[495] საზოგადოების პარტნიორები ასეთ დროს გამგეობასთან უნდა თანამქედებდნენ, ხოლო გამგეობა, თავის მხრივ, მოვალეა ასეთი გადაწყვეტილება მხოლოდ საერთო კრების თანხმობას დაუკავშიროს. ამით გამგეობა „გადაზღვევის" რეჟიმში მოქმედებს, რაც მისი ქმედების კეთილსინდისიერებას და სამეწარმეო საქმიანობის მიზანშეწონილობას კიდევ უფრო გაზრდის. თუმცა კრიტიკას იწვევს ის გარემოება, რომ ხშირად ასეთი ქმედება (დაუწერელი კომპეტენციის გამოყენებით) მრავალ პრაქტიკულ და ტექნიკურ საკითხთან არის დაკავშირებული და საწარმოსთვის შესაძლოა ზედმეტიც აღმოჩნდეს. მაგალითად, საუბრობენ რიგგარეშე კრების მოწვევის და მასთან დაკავშირებულ ხარჯებზე, გადაწყვეტილების სწრაფად და ოპერატიულად მიღების შეფერხებაზე და ა.შ.[496]

[494] Schüppen/Schaub/Binge/*Thölke*, MAH Aktienrecht, (2010), §25 Rn. 59.
[495] NJW 1982, S. 1705.
[496] Schüppen/Schaub/Binge/*Thölke*, MAH Aktienrecht, (2010), §25 Rn. 60.

4. აქციონერთა მორიგი საერთო კრება

როგორც წესი, აქციონერი მისი აქციიდან გამომდინარე უფლებებს საერთო კრებაზე ახორციელებს. სააქციო სამართალი ერთმანეთისაგან განასხვავებს *მორიგ* და *რიგგარეშე* საერთო კრებას. მორიგი და რიგგარეშე კრებები იურიდიულ კატეგორიას წარმოადგენს და მათი დეფინიციები კანონშია მოცემული. „მეწარმეთა შესახებ" კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება პირდაპირ მიუთითებს, რომ წელიწადში მინიმუმ ერთხელ წლიური ბალანსის შედგენიდან (მაქსიმუმ) 2 თვის ვადაში უნდა ჩატარდეს აქციონერთა მორიგი საერთო კრება და მას საზოგადოების წლიურ შედეგებს უშუალოდ უკავშირებს. როგორც აღინიშნა, მორიგი საერთო კრება წელიწადში ერთხელ ტარდება, თუკი საზოგადოების წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.[497] ამის საპირისპიროდ კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადება რიგგარეშე საერთო კრების ცნებას იძლევა და დაძენს, რომ ყველა სხვა დანარჩენი კრება, რომელიც მორიგ კრებად არ განიხილება, რიგგარეშე კრებას წარმოადგენს. ეს უკანასკნელი შეიძლება მოწვეულ იყოს გამგეობის (დი-

[497] ანუ შესაძლოა, რომ აქციონერთა კრება წელიწადში რამდენჯერმე ჩატარდეს და მას მორიგი საერთო კრება დაერქვას. თუმცა კანონის მიზნიდან გამომდინარე საერთო კერება წელიწადსი ერთხელ მაინც უნდა გაიმართოს. მაგრამ აქვე მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ მეწარმეთა კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის ბოლო წინადადების მიხედვით, აქციონერთა საერთო კრების მთლიანი ან გარკვეული კომპეტენცია სს-ის სხვა ორგანოს არ ჰქონდეს გადაცემული. თუკი ეს ასეა, მაშინ „მორიგ საერთო კრებას" საზოგადოების რომელიმე ორგანოს სხდომა შეცვლის ისე, რომ აქციონერთა საერთო კრების მოწვევა საჭირო აღარ იქნება.

რექტორატის), სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერთა ინიციატივით.[498]

გერმანული სამართალიც, ქართულის მსგავსად, მორიგ საერთო კრებას უშუალოდ აკავშირებს საზოგადოების წლიურ ანგარიშთან.[499] საწარმოს გამგეობა მოვალეა მოიწვიოს აქციონერთა საერთო კრება. მორიგი კრების მოწვევა დროის თვალსაზრისით სამეთვალყურეო საბჭოს მიერ წლიური ანგარიშისა და ხარჯთაღრიცხვის და მოგების გამოყენების მოხსენებას (და ამავე დროს გამგეობის ანგარიშის მოწონებას) უკავშირდება. როდესაც ამ მოხსენებას სამეთვალყურეო საბჭო საზოგადოებას წარუდგენს, გამგეობა უმალვე ხდება ვალდებული მოიწვიოს აქციონერთა საერთო კრება.[500] სწორედ ასეთ კრებას გერმანული სააქციო სამართალი *მორიგ კრებას*[501] უწოდებს. იგი აუცილებლად უნდა ჩატარდეს საანგარიშგებო წლის პირველ 8 თვეში და, როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული, „მენეჯმენტის წარმატება-წარუმატებლობის“ საკითხის გარკვევასაც ისახავს მიზანად.[502] მორიგი საერთო კრება გარკვეული დღის წესრიგის შესაბამისად მოქმედებს[503] და, როგორც წესი, განიხილავს წლიური ანგარიშის დამტკიცება/არდამტკიცების საკითხს, წლიური მოგების განაწილების, სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის წევრების განთავისუფლების (მათთვის ნდობის გამოცხადების), აუდიტორთა დანიშვნის საკითხს.[504] გარდა ამისა, რასაკვირველია საერთო კრება, როგორც ზემოთ წარმოჩინდა, სხვა საკითხების შესახებაც იღებს გადაწყვეტილებებს.[505] იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საერთო კრების დღის წესრიგი, სათანადო პროცედურების დაცვით, გაფართოვდება და სხვა საკითხების შესახებაც მიიღებს გადაწყვეტილებას, იგი მაინც მორიგ საერთო კრებად რჩება[506] და მისი იურიდიული სტატუსი ამის შედეგად არ იცვლება.

[498] თუმცა ნებისმიერი პროცენტის მქონე აქციონერს ამის უფლება არ აქვს და კანონი რიგგარეშე კრების მოწვევის ინციატივას გარკვეულ ქვოტაზე დამოკიდებულს ხდის.

[499] AktG §175 Abs. 1.

[500] *Ludwig* in Happ (Hrsg.), Aktienrecht, (2007), S. 1172.

[501] ordentliche HV.

[502] Schüppen/Schaub/*Bohnet*, MAH Aktienrecht, (2010), §26 Rn. 6.

[503] რომლის არსებობაც განსაკუთრებით აუცილებელია საერთო კრების ჩატარების ფორმალური წინაპირობების დაცვის თვალსაზრისით.

4.1. მოწვევა

საერთო კრების გამართულად და ეფექტურად ჩატარებას მისი კარგად მომზადება განაპირობებს. ეს კი, განსაკუთრებით დიდ საჯარო კორპორაციებში, აურაცხელ მოსამზადებელ-ორგანიზატორული სამუშაოს გაწევასთან არის დაკავშირებული.[507] მითუფრო, თუ სს-ს რამდენიმე ათასი აქციონერი ჰყავს – მათი მოწვევა, დღის წესრიგის გაგზავნა (კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში), შესაბამისი ადგილის შერჩევა კრების ჩასატარებლად, რაც შესაძლოა დიდი ფართის დაქირავებასთან იყოს კავშირში და ა.შ. ამიტომ ასეთ საზოგადოებებში კრების ჩატარება დიდ გარჯასთან და, რაც მთავარია, საკმაოდ დიდ ხარჯთანაც არის დაკავშირებული. ამის საპირისპიროდ შედარებით მცირე „ზომის“ კორპორაციებში, დახურულ საზოგადოებებში, სადაც მხოლოდ რამდენიმე აქციონერია წარმოდგენილი, კრების ჩატარება გაცილებით ნაკლებ სახსრებთან არის დაკავშირებული. თუმცა იმის თქმა,

[504] *Reichert* in Semler/Volhard/Reichert (Hrsg.), HV Hndb, (2011), §1 Rn. 9.

[505] AktG §119 Abs. 1; განმარტებისთვის: Hölters/*Drinhausen* §119 Rn. 6ff.

[506] *Reichert* in Semler/Volhard/Reichert (Hrsg.), HV Hndb, (2011), §1 Rn. 10.

[507] Mimberg/Gätsch, Die HV der AG, §2 Rz. 20.

რომ ამ შემთხვევაში კორპორაციის მმართველი ორგანოები ნაკლები ყურადღებით უნდა მოეკიდონ აღნიშნულ საკითხს, გაუმართლებელი და არასწორი იქნებოდა. ნებისმიერ საწარმოში საერთო კრება გამართულად, კანონიერად და ეფექტურად უნდა ჩატარდეს, რაც ხელმძღვანელი ორგანოს მხრიდან დიდი სამუშაოს გაწევას მოიცავს. საერთო კრების სათანადოდ მომზადება-მოწვევა აქციონერთა ინფორმირებულობას, თანასწორუფლებიანობას, მათი ცნობისმოყვარეობის შეძლებისდაგვარად სრულყოფილად დაკმაყოფილებას, ყველა წინასწარ დასმულ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემას უნდა ემსახურებოდეს, რამაც, საბოლოო ჯამში, საზოგადოების „პოლიტიკური ნების ფორმირების“ პროცესს წარმატებით უნდა შეუწყოს ხელი. შესაბამისად, დიდი ალბათობაა, რომ ასეთი წინაპირობების დაცვით ჩატარებული კრება ნაკლებად იქნება კანონსაწინააღმდეგო და, გასაჩივრების შემთხვევაშიც კი, სარჩელს ამ თვალსაზრისით ალბათ გაცილებით ნაკლები შედეგი ექნება. ამიტომ ევროპის საკორპორაციო სამართალი განსაკუთრებული გულისყურით ეკიდება ამ საკითხებს, რაც გახდა კიდეც სულ რამდენიმე ხნის წინ ევროპის კავშირში საგანგებო მსჯელობის საგანი და რასაც სპეციალური საკანონმდებლო ნაბიჯები მოჰყვა.[508] ამან გერმანულ სამართალში, აღნიშნული დირექტივის ნაციონალურ კანონმდებლობაში ინტეგრირების სავალდებულოობა გამოიწვია. ეს რეფორმა

[508] ამ შემთხვევაში მხედველობაშია უკვე არსებულ სახელძღვანელო პრინციპებში ახალი დირექტივების გზით განხორციელებული ცვლილებებიც: ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2007 წლის 11 ივლისის №2007/36/EG დირექტივა; ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 6 სექტემბრის №2006/68/EG დირექტივა, რომლითაც ცვლილება შევიდა №77/91/EWG დირექტივაში.

ARUG[509]-ის სახელწოდებით არის ცნობილი და იგი, სხვა შესაბამის საკითხთან ერთად, მიზანად ისახავდა ერთიან ევროპულ სივრცეში არსებული სხვადასხვა სააქციო-სამართლებრივი საკითხების უნიფიცირებას. ძირითადი მიზანი კი „ბირჟაზე რეგისტრირებული სს-ის აქციონერის უფლებათა გაძლიერება და საზღვარგარეთ განხორციელებული ხმის უფლებასთან დაკავშირებული პრობლემების“ გადაჭრა იყო.[510] შესაბამისად, „აქციონერთა დირექტივა“ ავალდებულებს წევრ-სახელმწიფოებს იმ ცალკეული ნორმა-დებულებების სისრულეში და შესაბამისობაში მოყვანას, რომელიც საერთო კრების მომზადებასა და ჩატარებას, ხმის უფლების გამოყენებას და ამ უფლების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება.[511] ამასთანავე, დირექტივის შედეგია ისიც, რომ კანონმდებლის მიზანია აქციონერს საერთო კრებაზე მონაწილეობით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარების უფრო მარტივი შესაძლებლობა მიეცეს, რაც სხვადასხვა ასპექტში გამოიხატება: რეფორმის შემდეგ შესაძლებელი გახდა ელექტრონულად ე.წ. „ონლაინ“ რეჟიმში აქციონერის მონაწილეობა საერთო კრებაზე,[512] ხმის მიცემა ელექტრონული

[509] ARUG – Gesetz zur Umsetzung der Aktionärsrechtlicnie (კანონი აქციონერთა დირექტივის ნაციონალურ კანონმდებლობაში ასახვის შესახებ). BGBL. 2009 I, S. 2479-91.

[510] Mimberg/Gätsch, Die HV der AG, §1 Rz. 2.

[511] Mimberg/Gätsch, Die HV der AG, §1 Rz. 2.

[512] ამასთან, ე.წ. „ინტერნეტ-აქციონერის“ ტერმინის შემოტანით, სს-ის წესდებით შესაძლებელი გახდა ასეთი „სტატუსის“ მქონე აქციონერის ჩართვა საერთო კრების მუშაობის პროცესში და მისი იმავე უფლებით აღჭურვა, რა უფლებითაც კრებაზე ფიზიკურად მყოფი ნებისმიერი აქციონერი იქნებოდა შემკული. შესაბამისად, წესდებით შესაძლოა მოწესრიგდეს კრებაზე დამოკიდებული მონაწილეობით-სამართლებრივი უფლებიდან გამომდინარე ნებისმიერი საკითხი დაკავშირებული ხმის, მონაწილეობის, სი-

საშუალებების გამოყენებით,[513] წარმომადგენლობასთან დაკავშირებული საკითხები, რაც მინდობილობის გაცემის უფრო მოქნილ წესთან კავშირშია და სხვ. საგრძნობლად დაიხვეწა „მძარცველი აქციონერის“ მიერ (გასაჩივრების) უფლების ბოროტად გამოყენების ფარგლები, განხორციელდა რა ე.წ. Freigabeverfahren-ის[514] რეფორმირება.[515] მოკლედ, ზემოაღნიშნული ცხადყოფს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია აქციონერის მიერ საერთო კრებაზე მისი უფლებების განხორციელებისათვის მოქნილი ჩარჩო-პირობების დადგენა, რაც დიდწილად კრების მოწვევის პროცედურული იურიდიული საკითხების საფუძველზე წესრიდგება. როგორც ნათქვამია, „საერთო კრების მოსამზადებელი საკითხების მონახაზის შემუშავებით კრება იურიდიულ ფაზაში ექცევა“.[516]

აქციონერთა საერთო კრება მოიწვევა კანონით ან წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, „როდესაც ამას საზოგადოების ინტერესი (ნება, კეთილდღეობა) მოითხოვს“.[517] სა-

ტყვის, შეკითხვის დასმის და შეცილების კორპორაციულ-სამართლებრივ უფლებასთან. იხ.: FA-KölnerHdbGesR/*Temme,* Kap. 3 Rdn. 139.

[513] იხ. მაგ.: *Martens*, Leitfaden für die Leitung der Hauptversammlung einer Aktiengesellschaft, S. 8. ე.წ. Briefwahl, რომელიც აძლევს აქციონერს შესაძლებლობას კრებაზე მისვლის გარეშე მიიღოს მონაწილეობა კენჭისყრის პროცესში წერილობით ან ელექტრონული კომუნიკაციის მეშვეობით. FA-KölnerHdbGesR/*Temme,* Kap. 3 Rdn. 140.

[514] სპეციალური წარმოება „უზრუნველყოფის გარეშე“. შინაარსის შესახებ იხ.: *Baums/Drinhausen,* Weitere Reform des Rechts der Anfechtung von Hauptversammlungbeschlüssen, Workin Paper Series No. 70, 10/2007, Iinsitute for Law and Finance (ILF), Johann Wolfgang Goethe-Universität Frankfurt, S. 9ff.

[515] *Reichert* in Semler/Volhard/Reichert (Hrsg.), HV Hndb, (2011), §1 Rn. 6.

[516] Mimberg/Gätsch, Die HV der AG, §2 Rz. 20.

[517] AktG §121 Abs. 1. გერმანული სააქციო კანონის პირველი პუნქტის ბოლო წინადადება ხმარობს ტერმინს Wohl der Gesellschaft, რაც პირდაპირი თარგმანით „საზოგადოების ნებას“ ნიშნავს. თუმცა ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში, ვფიქრობ, უკვე დამკვიდრებულია ამ სიტყვის ეკვივალენტი – კეთილდღეობა. *ჯულელი,* კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, გვ. 258. ეს ტერმინი კარგად გამოხატავს სიტყვის შინაარსს, ამიტომ საზოგადოების ნებასთან ერთად გამოყენებული იქნება კეთილდღეობა. შესაბამისად, ნაშრომში „საზოგადოების ნება, კეთილდრეობა“ და „საზოგადოების ინტერესი“ ერთი და იგივე შინაარსით იქნება გამოხატული.

ზოგადოების ინტერესისამებრ კრების მოწვევა საზოგადოების ნების ფორმირების ერთ-ერთ გამოხატულებად უნდა ჩაითვალოს, რომელიც სწორედ საერთო კრების მეშვეობით ხორციელდება და ვლინდება. საზოგადოების ნების შესაბამისად კრების მოწვევა თანაბრად ვრცელდება როგორც მორიგ, ისე რიგგარეშე კრებაზე. მორიგი კრების ჩატარება კანონის (ან წესდების) პოსტულატებზეა დამოკიდებული. რიგგარეშე კრება კი გარკვეული სუბიექტების მიერ, როგორც წესი, არაორდინალური ვითარების დროს მოიწვევა ხოლმე. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს უკანასკნელი საზოგადოების ნაკლები ინტერესის სფეროში შედის. მაშასადამე, როგორც მორიგი, ისე რიგგარეშე კრება საზოგადოების *ინტერესის პრიმატის პრინციპით* უნდა იყოს განპირობებული.

4.2. მოწვევაზე უფლებამოსილი პირი

საერთო კრების ჩატარება დირექტორატის საქმიანობის ერთ-ერთ აუცილებელ ატრიბუტადაც უნდა ჩაითვალოს. გამგეობა საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში მართავს საწარმოს. იგი ყოველდღიურად ზრუნავს მის საქმიანობაზე. ეს საქმიანობა გარკვეული სტრუქტურირებული წესრიგით ხორციელდება. ამ წესრიგის შემადგენელი ნაწილი სწორედ ის არის, რომ დირექტორატი მის შედეგს საერთო კრებას (აქციონერს) აჩვენებს, რითიც ნდობას ან უნდობლობას იმსახ-

ურებს. შესაბამისად, მისი შედეგი საერთო კრებაზე უნდა იყოს „დადასტურებული“. დირექტორატი, როგორც საზოგადოების ძირითადი მმართველი ორგანო და წარმომადგენლობითი კომპეტენციით აღჭურვილი სტრუქტურული დანაყოფი, სს-ის მართვის მამოძრავებელი ძალა, მისი „გულია“. შესაბამისად, როდესაც საერთო კრების მომწვევ სუბიექტზეა საუბარი, პირველ ყოვლისა, სწორედ ეს ორგანო უნდა წარმოვიდგინოთ. საერთო კრებას იწვევს

4.2.1. გამგეობა

გამგეობა გადაწყვეტილებას იღებს როგორც კოლეგიური ორგანო. პრინციპში, მორიგი კრების მოწვევის შემთხვევაში, გამგეობა სხვანაირ გადაწყვეტილებას ვერც მიიღებს. ეს მისი მოვალეობაა და დარღვევა ფიდუციური მოვალეობის სტანდარტის შელახვას გამოიწვევს, რაც შესაძლოა, (ზიანის დადგომის შემთხვევაში) მის წინააღმდეგ დერივაციული სარჩელის აღძრის საფუძველიც გახდეს. ამიტომაცაა ნათქვამი იურიდიულ ლიტერატურაში, რომ „მოწვევა, როგორც ხელმძღვანელობითი ღონისძიება, მთლიანად გამგეობის, როგორც ორგანოს, უფლებამოსილებაში შედის“.[518] გამგეობა გადაწყვეტილების მიღებით მოქმედებს. გაბატონებული მოსაზრების თანახმად, გერმანულ სააქციო სამართალში, გამორიცხულია ეს უფლებამოსილება დელეგირებულ იქნეს გამგეობის სხვა წევრებზე,[519] ისე, რომ მოწვევის თაობაზე გადაწყვეტილება დირექტორატის თავმჯდომარემ ან მისმა ცალკეულმა წევრმა მიიღოს.[520] ეს პრინციპი იმ შემთხვევაშიც მოქმედებს, როდესაც მხოლოდ ერთი დირექტორია წარმომადგენლობაზე და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი.[521] იმ დროს, როდესაც კომერციული და არაკომერციული პირების რეესტრში მხოლოდ ერთი დირექტორია დარეგისტრირებული, ხოლო საზოგადოების წესდების მიხედვით კორპორაციას შიდა დირექტორები ყავს, გადაწყვეტილებას დირექტორატი კოლეგიალურ საფუძველზე მიიღებს, თუკი წესდება ამ საკითხის სპეციალურ მოწესრიგებას არ გვთავაზობს. გერმანული სააქციო კანონი ამასთან დაკავშირებით კონკრეტული რეგულირებით გამოირჩევა, რომლის მიხედვითაც, მოწვევაზე უფლებამოსილნი არიან გამგეობის ის წევრები, რომელნიც რეგისტრირებულნი არიან სამეწარმეო რეესტრში. თუმცა სამეთვალყურეო საბჭოს (საქართველოს შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს ან საერთო კრების) მიერ ნამდვილად დანიშნული გამგეობის წევრი, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ არ არის რეგისტრირებული სავაჭრო რეესტრში და „მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით ჯერ კიდევ არ განეკუთვნება გამგეობას“, მაინც ხდება მოწვევის გადაწყვეტილების თანაქმედებაზე უფლებამოსილების მქონე პირი, თუმცა გამგეობის კრებაზე მონაწილეობის ვალდებულება მას არ ეკისრება.[522] მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ამგვარად ნამდვილად დე-ფაქტო დანიშნული და გამწესებული დირექტორი კრების მოწვევის მომენტისათვის, ანუ კრების მოწვევის გამოქვეყნების დღისათვის უკვე *რეგისტრირებულ დირექტორს* უნდა წარმოადგენდეს.[523] წინააღმდეგ შემთხვევაში გამგეობაზე მიღებული გადაწყვეტილება შესაძლოა საცილო გახდეს და სასამართლოს მიერ ბათილად იქნეს

[518] Grigoleit/*Herrler* AktG, 2013, §121 Rn. 7.
[519] Grigoleit/*Herrler* AktG, 2013, §137 Rn. 7.
[520] MüKoAktG/*Kubis* Rn. 13. ვუთითებ: Hölters/*Drinhausen* §121 Rn. 14.
[521] MüchHdb AG/*Semler*§35 Rn. 6. ვუთითებ: Hölters/*Drinhausen* §121 Rn. 14.
[522] იხ.: *Mayerhofer* in Wachter, AktG, (2012), §121 Rn. 10; Hölters/*Drinhausen* §121 Rn. 15.
[523] Hölters/*Drinhausen* §121 Rn. 15.

ცნობილი. გამგეობა კრების მოწვევის შესახებ გადაწყვეტილებას უბრალო უმრავლესობით იღებს. საზოგადოებას წესდებამ შესაძლოა უფრო მაღალი სტანდარტი დაუწესოს, თუმცა მინიმალურ ზღვარს იგი ვერ ჩამოცდება. ქართულ საკორპორაციო სამართალში ისევ საწესდებო ავტონომიის ფარგლები ბატონობს. დიდ კორპორაციებში გამგეობა სპეციალური შინაგანაწესით მოქმედებს, სადაც გაწერილია ხოლმე მსგავსი საკითხები. სხვა შემთხვევაში მოწვევის დეტალებთან დაკავშირებული ურთიერთობა წესდებით უნდა მოწესრიგდეს. საწესდებო ავტონომიის პრინციპი ამ საკითხთან დაკავშირებით იმასაც ნიშნავს, რომ უბრალო უმრავლესობა სავალდებულო არ არის კრების მოწვევის გადაწყვეტილების მისაღებად, თუმცა ეს, ზოგადად, შეწინააღმდეგებოდა კოლეგიურ ორგანოში გადაწყვეტილების მიღების ზოგადად აღიარებულ წესს – გადაწყვეტილების მიღებას უმრავლესობით.

„მწარმეთა შესახებ“ კანონის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და სააქციო კანონის 111-ე პარაგრაფის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საერთო კრების მოწვევის უფლებამოსილება ასევე აქვს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს, როგორც მაკონტროლებელ, ზედამხედველ ორგანოს.

4.2.2. სამეთვალყურეო საბჭო

ამ შემთხვევაშიც სამეთვალყურეო საბჭო, ისევე, როგორც გამგეობა, კოლეგიური ორგანოს პრინციპის საფუძველზე მოქმედებს და კრების მოწვევის საკითხს გადაწყვეტილების მეშვეობით წყვეტს. ამისათვის საჭიროა ხმათა უბრალო უმრავლესობა.[524] ძირითადად, ეს ის შემთხვევებია, როდესაც გამგეობას უნდობლობას უცხადებენ, არსებობს რა ეჭვი დირექტორატის მხრიდან მოვალეობის დარღვევის თაობაზე ან თუკი გამგეობამ თავად არ მოიწვია კრება, რითიც მან მასზე დაკისრებული მოვალეობა დაარღვია.[525]

არსებობს ასევე შემთხვევები, როდესაც არც ერთი ხელმძღვანელი ორგანო არ იწვევს საერთო კრებას. ეს შესაძლოა გარკვეული მიზეზებით იყოს გამოწვეული.[526] შესაბამისად, სააქციო კანონმდებლობა სხვა პირსაც[527] - აქციონერს აძლევს კრების მოწვევის უფლებას.

4.2.3. აქციონერი

ამ უფლებით, როგორც წინა თავებში აღინიშნა, არ არის აღჭურვილი ყველა აქციონერი. კანონი ამას მხოლოდ გარკვეული პროცენტული მაჩვენებლის მქონე აქციონერს აძლევს. ქართულ და გერმანულ სამართალში, მინიმალურ სტანდარტად მიჩნეულია (რეგისტრირებული) საწესდებო)) კაპიტალის მეოცედის მფლობელი აქციონერი.[528] გერმანული სამართლის მიხედვით, უმცირესობის მიერ საერთო კრების მოწვევა არ გახლავთ პანაცია. ეს ნიშნავს იმას, რომ მოწვევის ორგანიზაციული პროცედურის თვალსაზრისით ორ შემთხვევასთან გვექნება საქმე ა) როდესაც აქციონერი (აქციონერები) საზოგადოების სათანადო ორგანოსაგან (გამგეობისაგან) მოითხოვს კრების მოწვევას და გამგეობა მისი მოთხოვნის საფუძველზე განახორციელებს შესაბამის პროცედურებს და კრება მოწვეულ იქნება და ბ) როდესაც გამგეობა უარს განაცხადებს

[524] Steiner, Die Hauptversammlung der AG, S. 10.

[525] Grigoleit/*Grigoleit/Tomasic* AktG, 2013, §111 Rn. 36.

[526] მოვალეობის დარღვევა, მიზანშეუწონლობა, დანაშაულებრივი ქმედება და ა.შ.

[527] Mimberg/Gätsch, Die HV der AG, §2 Rz. 27.

[528] მწარმეთა კანონის 53-ე მუხლის 3^3 პუნქტი; AktG §122.

მოწვევაზე, მაშინ *გადაწყვეტილებას*[529] კრების მოწვევის შესახებ იღებს სასამართლო.[530] თუმცა სასამართლოს[531] გამოაქვს, რასაკვირველია, დასაბუთებული გადაწყვეტილება და მისი ეს არგუმენტაცია ბევრად არის დამოკიდებული თავად აქციონერის განცხადებაში მოყვანილ ფაქტობრივ და იურიდიულ მსჯელობა-დასაბუთებაზე. შესაბამისად, აქციონერის არა ფორმალური, არამედ მატერიალურ-შინაარსობრივი იურიდიულად დასაბუთებული მოთხოვნა მიიღება მხედველობაში.[532] ამიტომ იმ დროს, როდესაც აქციონერი გამგეობას მიმართავს კრების დანიშვნის თაობაზე, ხოლო დირექტორატი უარს განაცხადებს მის მოწვევაზე, აუცილებელია, რომ დირექტორის უარი სამართლებრივად არგუმენტირებული და დასაბუთებული იყოს.[533] ამ სეგმენტში ქართული სამართალი კვლავ განსხვავდება გერმანულისაგან. კერძოდ, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53-ე მუხლის მე-3^3 პუნქტის თანახმად, ნებისმიერი კლასის აქციონერს (აქციონრებს), რომელიც აღნიშნულ სს-ში 5%-ს ფლობს უფლება აქვს, მოსთხოვოს მეწარმე სუბიექტის შესაბამის ორგანოს კრების (არა მოწვევა, რასაც გერმანული კანონი ხმარობს, არამედ) ჩატარება. ამ შემთხვევაში კანონი რიგგარეშე კრებაზე საუბრობს, რაშიც მორიგი კრება არ იგულისხმება. ამასთან კანონი ითხოვს აქციონერისაგან, რომ განცხადება წერილობით იყოს ჩამოყალიბებული, განსაზრვრული იქნეს დღის წესრიგი და მისი შინაარსი შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობას და გონივრულ შესაბამისობაში იყოს საზოგადოების მიზნებსა და საქმიანობის

[529] *Mayerhofer* in Wachter, AktG, (2012), §122 Rn. 21.
[530] AktG §122 Abs 3.
[531] იგულისხმება პირველი ინსტანციის სასამართლო, სადაც საზოგადოებას მისი ადგილსამყოფელი აქვს.
[532] Hölters/*Drinhausen* §122 Rn. 23.
[533] შეად. Grigoleit/*Herrler* AktG, 2013, §122 Rn. 15.

ხასიათთან. თუკი ეს მოცემულობა სახეზეა, მაშინ საზოგადოების სათანადო ორგანოს ეკისრება მოვალეობა წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 3 თვისა ჩაატაროს საერთო კრება. როგორც წარმოჩინდა, კანონის ეს დანაწესი იმპერატიულ დათქმას შეიცავს და მას მეტად ზოგად აბსტრაქტულ სამართლებრივ მოცემულობას უკავშირებს – საქართველოს კანონმდებლობასა და საზოგადოების მიზნების გონივრულ შესაბამისობას. ეს ყველაფერი კი კონკრეტული საკითხის შეფასების საგანია და ამაზე, როგორც გერმანულ სამართალში დავინახეთ, გადაწყვეტილებას, როგორც წესი, საწარმოს გამგეობა იღებს.[534] იმ შემთხვევაში, როდესაც დირექტორატი ან სამეთვალყურეო საბჭო, ქართული სამართლის მიხედვით, დაარღვევს ამ მოვალეობას და მაინც არ ჩაატარებს კრებას, მაშინ აქციონერს (ან აქციონერთა ჯგუფს) უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.[535] მოკლედ, ამ საკითხთან დაკავშირებით ძირითადი სხვაობა მართლწესრიგებს შორის ის გახლავთ, რომ ერთ შემთხვევაში კრების მოწვევაზე გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს (უფრო სწორედ, სასამართლო აქციონერს ანიჭებს მოწვევის უფლებამოსილებას, რაც სხვა აქციონერთათვისაც სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე ხდება[536]), ხოლო მეორე შემთხვევაში მეტად აბსტრაქტული ჩანაწერის (რომელიც ყოველთვის კონკრეტული პირის სუბიექტურ მიხედულებაზე შეიძლება იყოს დამოკიდებული) შესაბამისად, კრებას აუცილებად იწვევს მმართველი ორგანო.

[534] *Rieckers* in Spindler/Stilz, AktG, (2010), §122 Rn. 54 f.
[535] სასამართლოსადმი მიმართვის საყოველთაო პრინციპის საფუძველზე (კონსტ. 42-ე მუხ; სსსკ მე-4 მუხ.).
[536] Hölters/*Drinhausen* §122 Rn. 24.

და ბოლოს, სააქციო საზოგადოების სამართალი იცნობს, ასევე, საერთო კრების მოწვევას მისამე პირის მხრიდან.[537]

4.2.4. მესამე პირი

ამ შემთხვევაში იგულისხმება, გარკვეულ ვითარებაში, გამგეობის ადგილას მოქმედი *ლიკვიდატორი, პროკურისტი ან წესდებით განსაზღვრული სხვა პირი.*[538] მართალია, კანონი საერთო კრების მოწვევის კანონისმიერ საფუძვლებს ჩამოთვლის, მაგრამ ამ საფუძვლების შეზღუდვა, უფრო სწორედ, წესდებით გაფართოვება საწესდებო ავტონომიის ფარგლებში ექცევა. ამიტომ გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში საუბრობენ იმაზე, რომ *წესდებას არ შეუძლია მოწვევის კანონისმიერი საფუძვლების შეზღუდვა*, თუმცა მისი გაფართოვება დასაშვებია.[539] მიუხედავად იმისა, რომ კრების მოწვევა სხვა (წესდებით განსაზღვრული) პირების მხრიდან ანომალიას წარმოადგენს და იგი პრაქტიკაში თითქმის არ გვხვდება, იურიდიულად დასაშვებია, რომ, მაგალითად, საოჯახო სსში[540] ან, ვთქვათ, „კომუნალური მეურნეობით დაკავებულ სსში“ კრების მოწვევაზე უფლებამოსილი იყოს სხვა პირი. ამასთან, ლიტერატურაში იმაზეც საუბრობენ, რომ ეს (მოწვევის წესდებისმიერი) კომპეტენცია შესაძლებელია საზოგადოებისთვის საერთოდ უცხო პირებს – მოხელეებს, ფონდებს (მათ წარმომადგენლებს) – გადაეცეთ.[541] მოკლედ, ეს ის საკითხია, რომელიც უშუალოდ წესდების განსაზღვრის ავტონომიურობის ფარგლებში შედის და პირდაპირ შეიძლება იყოს დაკავშირებული აქციონერთა შეთანხმების საგანზე და შინაარსზე. შესაბამისად, მისი გათვალისწინება, როგორც მიმდინარე შეთანხმების საგანი, ნებისმიერ დროს არის დასაშვები.[542]

[537] *Steiner*, Die HV der AG, S. 10.
[538] *Steiner*, Die HV der AG, S. 10.
[539] *Reichert/Balke* in Semler/Volhard/Reichert (Hrsg.), HV Hndb, (2011), §4 Rn. 62.
[540] სს-ის ამ კონსტალაციის შესახებ მაგ.: *Müller* in Müller/Rödder (Hrsg.), Beck'sches Hdb. der AG, §1 Rn. 21ff.
[541] სხვადასხვა წყაროზე მითითებით იხ.: *Reichert/Balke* in Semler/Volhard/Reichert (Hrsg.), HV Hndb, (2011), §4 Rn. 62.

5. რიგგარეშე საერთო კრება

როგორც ზემოთ აღინიშნა, აქციონერთა მორიგი საერთო კრებისაგან განსასხვავებელია რიგგარეშე კრება. განსხვავების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ეს უკანასკნელი შესაძლოა ნებისმიერ დროს ჩატარდეს[543], განსხვავებით მორიგი კრებისაგან. თანაც მორიგი კრების ჩატარების ვალდებულებას კანონი აწესებს,[544] მაშინ, როდესაც რიგგარეშე კრება „საზოგადოების ყოველწამიერ სურვილზე“ იქნება დამოკიდებული. შესაბამისად, რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების ვალდებულება ფორმალური თვალსაზრისით საერთოდ არ არსებობს, თუკი სახეზე არ არის გერმანიის სააქციო კანონის 92-ე პარაგრაფით გათვალისწინებული სპეციალური შემთხვევა.[545]

[542] საწესდებო ავტონომიის ფარგლების, აქციონერთა შეთანხმებების განსაზღვრის თავისუფლების ფარგლების შესახებ გერმანულ სამართალში იხ. *გროს-ბიოლტინგის* სადისერტაციო ნაშრომი: *Gross-Bölting*, Gesellschaftervereinbarungen in der Aktiengesselschaft (Eine Untersuchung schuldrechtlichen Nebenabreden unter Berücksichtigung der SE), Verlag Nomos, Baden-Baden 2011, S. 75 ff.
[543] და არა მხოლოდ კანონით იმპერატიულად გათვალისწინებულ ვადაში (შეწვარმეთა კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტი; AktG §121).
[544] პირდაპირი მნიშვნელობით კრება მაშინაც „ტარდება“, როდესაც სახეზეა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 54-ე მუხლის 1^1 პუნქტი.
[545] *Barz* in Grosskommentar, §121 Anm. 6. ზემოთ აღნიშნული შემთხვევა უკავშირდება სს-ის მიერ საწესდებო კაპიტალის ნახევრის დანაკლისს. ამ

ამასთან, რიგგარეშე კრებასთან მაშინ აქვს სს-ს შეხება, როდესაც საქმე არა წლიურად ჩვეულებრივ დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხებს ეხება, არამედ ისეთებს, რომელიც ამ „ჩვეულებრივი" ვითარებისაგან განსხვავდება.[546] რიგგარეშე კრებაც, მორიგის მსგავსად, თითქმის იგივე იურიდიულ დანაწესებს ექვემდებარება. თუმცა „მეწარმეთა შესახებ" კანონის 53-ე მუხლის მე-3[4] პუნქტით წესრიგდება შემთხვევა, როდესაც უმცირესობაში მყოფი აქციონერი საზოგადოების წესდებით განსაზღვრულ ორგანოს მიმართავს რიგგარეშე კრების ჩატარების მოთხოვნით და დღის წესრიგით მხოლოდ ერთადერთი საკითხია გათვალისწინებული – დირექტორისთვის უნდობლობის გამოცხადება და თანამდებობიდან მისი განთავისუფლება. ამ შემთხვევაში კრება კანონით დადგენილი სპეციალური დანაწესების მიხედვით ტარდება. კერძოდ, უმცირესობაში მყოფი აქციონერი ითხოვს კრების ჩატარებას და დირექტორის გადაყენებას. ბუნებრივია, ამ ვითარებაში არსებობს საფრთხე, რომ დირექტორი არ მოიწვევს რიგგარეშე კრებას. მეწარმეთა კანონის აღნიშნული პუნქტი შემდეგნაირად უნდა განიმარტოს: აქციონერი მიმართავს დირექტორატს ან სამეთვალყურეო საბჭოს დირექტორის გადაყენების მოთხოვნით აქციონერთა საერთო კრების მოწვევისა და ჩატარების თაობაზე. აქციონერთა დასაბუთებული მოთხოვნა, რომელიც წერილობით (მიუხედავად იმისა, რომ კანონი პირდაპირ არ ხმარობს წერილობითი განცხადების ფორმას) უნდა იყოს ჩამოყალიბებული, წარედგინება სამეთვალყურეო საბჭოს, რომელიც 20 დღის ვადაში *უფლებამოსილია* მოიწვიოს კრება დასმული

შემთხვევაში, დირექტორის მხრიდან სათანადო და მყისიერი ინფორმირებულობის საფუძველზე, აქციონერთა (რიგგარეშე) საერთო კრება მოიწვევა. ხელმძღვანელი ორგანოს მხრიდან ამ მოვალეობის დარღვევამ მათ მიმართ პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებამდე შეიძლება მიგვიყვანოს.

[546] *Semler* in MünchHdbAG, §34 Rn. 52.

დღის წესრიგით. ეს ბუნებრივიც შეიძლება იყოს, რამდენადაც თუკი გამგეობა მხოლოდ ერთი დირექტორისაგან შედგება[547] ადვილი დასაშვებია, რომ ამ ორგანომ კრების მოწვევას ხელი შეუშალოს. ასეთ ვითარებაში ლოგიკურია, რომ მოწვევის ადრესატი სამეთვალყურეო საბჭო გახდეს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვადაში კრება ამ უკანასკნელის მიერ არ იქნა მოწვეული, მაშინ კრების ინიციატორები (უმცირესობაში მყოფი აქციონერები[548]) თავად ატარებენ აქციონერთა რიგგარეშე კრებას. შემდეგ კანონი აღწერს პროცედურულ ნიუანსებს, საკითხის განვრცობის აკრძალვას, კვორუმს და ა.შ. ამ საკითხებზე, მისი ფორმალურ-ორგანიზაციული ხასიათიდან გამომდინარე, არ შევჩერდები. აქ უბრალოდ ყურადღება უნდა გამახვილდეს ერთ ასეთ დეტალზე: 53-ე მუხლის აღნიშნული პუნქტის მეორე აბზაცი ყურადღებას სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებაზე ამახვილებს, მაშინ, როდესაც ეს ორგანო, ქართული კორპორაციული მართვის შერეული[549] მოდელიდან გამომდინარე, შესაძლოა სს-ში სულაც არ არსებობდეს. ვინ იქნება ამ დროს მოწვევის მოთხოვნის ადრესატი? ნორმის სტრუქტურის დაკვირვების შედეგად, დებულება ხარვეზიანად მეჩვენება. აქ სიტუაცია თითქოს იმგვარად წარმოჩინდება, რომ სახეზე აუცილებლად ორსაფეხურიანი მართვის მოდელის მქონე სს უნდა იყოს. ეს კი 2008 წლის 14 მარტის ცვლილებათა სულისკვეთებას ნამდვილად უნდა ეწინააღმდეგებოდეს. ამიტომ ნორმა ასე ვიწროდ ისევ

[547] ან რამდენიმე პირისაგან, რომელთა გადაყენებაც არის მოთხოვნილი.

[548] თუმცაღა კრების მოწვევა, რომელზეც ერთადერთი საკითხი - დირექტორის გათავისუფლება განიხილება – შეუძლია ასევე, რა თქმა უნდა, უმრავლესობაში მყოფ აქციონერსაც. აქ უბრალოდ კანონის მიერ მინიმალური კვოტური მაჩვენებელია აღებულია, რაც, თავისთავად, მეტს არ გამორიცხავს.

[549] არჩევანის თავისუფლება.

ვერ განიმარტება. შესაბამისად, გონივრული იქნებოდა გვევარაუდა, რომ აქციონერი რიგგარეშე კრების ჩატარების მოთხოვნით მიმართავს დირექტორატს. დირექტორატი, თუკი იგი რამდენიმე წევრისაგან არის დაკომპლექტებული და საკითხი მხოლოდ მისი ერთი რომელიმე წევრის გადაყენებას ეხება, კოლეგიურად მიიღებს გადაწყვეტილებას. თუკი დირექტორატი არ იღებს გადაწყვეტილებას აქციონერთა მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე, მაშინ 1) ორსაფეხურიანი მოდელის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს მაკონტროლებელი ფუნქციით აღჭურვილი ორგანო – სამეთვალყურეო საბჭო. ხოლო ერთსაფეხურიანი მოდელის პირობებში 2) პირდაპირ გადავიდოდით ამავე პუნქტის მესამე აბზაცის მოქმედებაზე და მას გამოვიყენებდით. უბრალოდ, აქ, ჩემი აზრით, ისევ არსებობს გაუგებრობა, რომელიც ვადას უკავშირდება. კერძოდ, მე-3[3] პუნქტის მეორე აბზაცის შესაბამისად, რიგგარეშე კრება ტარდება სამეთვალყურეო საბჭოს (ფაქტიურად) უარიდან 20 დღის ვადაში. თუმცა ეს ვადა სამეთვალყურეო საბჭოს მოქმედებაზე დამოკიდებული ვადაა და გავრცელდება თუ არა იგი იმ შემთხვევაზე, როდესაც ასეთი ორგანო საერთოდ არ იარსებებს და არც წესდებით იქნება ეს საკითხი დადგენილი, რთული სათქმელია. ამიტომაც აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა ურთიერთობის კორპორაციულ-სამართლებრივ საკანონმდებლო მოწესრიგებას. წინააღმდეგ შემთხვევაში სს შესაძლოა საკმაოდ რთული ვითარების წინაშე აღმოჩნდეს. ზუსტი და დეტალური მოწესრიგების (თუნდაც დისპოზიციურის) შემთხვევაში ასეთი ხარვეზი მინიმუმამდე დავიდოდა.

ნაწილი III

გამგეობა

წიგნის შემდეგი ნაწილი გამგეობას დაეთმობა. როგორც წესი, საერთო კრების შემდეგ, დუალისტურ (გერმანულ) მოდელში, სტრუქტურულად ყურადღებას მაკონტროლებელ ორგანოზე – სამეთვალყურეო საბჭოზე ამახვილებენ. საერთო კრების ერთერთი მნიშვნელოვანი კომპეტენცია სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევაა, რისი მეშვეობითაც საერთო კრება, გერმანული მკაცრი სტრუქტურირებული კორპორაციული მართვის სისტემაში, საზოგადოების ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ ორგანოს – გამგეობას (დირექტორატს) აკონტროლებს. ორსაფეხურიანი მართვის მოდელში ნაშრომის აღნიშნული სტრუქტურა გამართლებული იქნებოდა, თუმცა მონისტურ სისტემაში, სამეთვალყურეო საბჭოს, როგორც ცალკე ორგანოს არარსებობის პირობებში უმჯობესია, თავდაპირველად ყურადღება დირექტორატზე გამახვილდეს. თანაც ეს უფრო შეესაბამება ქართულ რეალობას, სადაც უკვე ამ ეტაპზე სს-ების მართვის სისტემა ერთსაფეხურიან მოდელს ემყარება.[1] ამიტომ აღნიშნულ ნაწილში ყურადღება გამგეობაზე, როგორც სს-ის სავალდებულო სტრუქტურულ ორგანოზე გაკეთდება.

თავი I. გამგეობა (დირექტორატი) როგორც საზოგადოების სტრუქტურული ორგანო

I. გამგეობა, როგორც სს-ის აუცილებელი ორგანო

ნებისმიერი მეწარმე სუბიექტი, გარკვეული ორგანოების მეშვეობით მოქმედებს. სს-ს მართვას[2] გამგეობა, რომელიც

---

[1] რა თქმა უნდა, მეწარმეთა კანონის 55-ე მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით.

[2] პირდაპირი გაგებით. ზოგადი გაგებით საზოგადოების მართვა უფრო ფართო სეგმენტს მოიცავს. მასში შედის სს-ის მართვა ყველა არსებული

კოლეგიურ ორგანოდ განიხილება. გამგეობა გადაწყვეტილებების საფუძველზე მოქმედებს და მის ნაბიჯებზე ბევრად არის დამოკიდებული მთლიანად საზოგადოების ბედ-იღბალი.[3] აქციონერი „ქონებას სამართავად გამგეობას გადასცემს“,[4] რომელიც საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში უძღვება და მართავს კორპორაციას.[5] ამიტომ მართვის თვალსაზრისით სა-

ორგანოს მეშვეობით იქნება ეს აქციონერთა საერთო კრება (რომელიც „პოლიტიკურად“ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებს), სამეთვალყურეო საბჭო (რომელიც კონტროლს აწესებს დირექტორატზე და მისი მხრიდან საწარმოს მართვის ფუნქციაც სწორედ ამაში გამოიხატება) და გამგეობა, რომელიც როგორც ფაქტობრივ, ისე გარიგებით-წარმომადგენლობით სამართლებრივ მოქმედებებზეა პასუხისმგებელი. შესაბამისად, ეს უკანასკნელიც, რა თქმა უნდა, სს-ის მართვის აუცილებელ რგოლად წარმოჩინდება. ფუნქციისამებრ მმართველ ორგანოთა თანაქმედებას დღეს *კორპორაციულ მართვად* მოიხსენიებენ (*Spindler* in MünchKomm AktG, Band 2, 3. Auf., (2008), vor §76 Rn. 1.), რაშიც ხელმძღვანელობა, გადაწყვეტილებების მიღება და კონტროლი მოიაზრება. კორპორაციული მართვის, როგორც სისტემის დამკვიდრების ევროპულ-გერმანული და საერთაშორისო (მათ შორის ამერიკული) დისკუსიების განვითარების თაობაზე შეგიძლიათ ვრცლად იხ. იქვე: *Spindler* in MünchKomm AktG, Band 2, 3. Auf., (2008), vor §76 Rn. 72 ff.

[3] შეად.: *Frodermann/Schäfer* in Henn/Jannot/Hagemann (Hrsg.), Hdb. des Aktienrechts, (2009), S. 325.

[4] პრინციპალ-აგენტის თეორიის შესახებ, მაგ.: *Davies,* Introduction to Company Law, p. 117-118; *Palmiter,* Corporations, 6th Edit., (2009), P. 4, 6; *Bainbridge,* Corporate Law, 2nd Edit., (2009), P. 3-4, 72-75. „ქონება უშუალოდ სს-ს ეკუთვნის, როგორც იურიდიულ პირს, ხოლო არაპირდაპირ აქციონრებს, მათთვის გაცემულ აქციებში გამოხატული მონწილეობით-სამართლებრივი წილის მეშვეობით“. *Spindler* in MünchKomm AktG, Band 2, 3. Auf., (2008), vor §76 Rn. 2.

[5] AktG §76 Abs 1. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ კანონმდებლობაში არ გვხვდება გერმანული სააქციო კანონის მსგავსი ჩანაწერი, უნდა ვივარაუდოთ, რომ მართვის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპიდან გამომდინარე, მითუმეტეს, სს-ში გამგეობა (ჩვენი გაგებით დირექტორატი) სწორედ საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში მართავს საწარმოს. ეს პრინციპი

კორპორაციო სამართალი უნდა ამოვიდეს იმთავითვე გამგეობის მხრიდან საწარმოს *კეთილსინდისიერად გაძღოლის* პრინციპიდან. ხოლო აქედან გადახვევა ამ (ფიდუციური) მოვალეობის დარღვევად უნდა განიხილებოდეს.

გამგეობა სს-ის *აუცილებელი, სავალდებულო, ტრადიციული*[6] *ორგანოა.*[7] ეს გამომდინარეობს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-5, 56-ე მუხლებიდან და სააქციო კანონის 23-ე, 76-ე, 78-ე პარაგრაფებიდან. ამიტომ მისი შექმნა საზოგადოების დაფუძნების მომენტშივე საწარმოს რეგისტრაციაში გატარების აუცილებელ წინაპირობად განიხილება.[8] ამ წინაპი-

ერთნაირად არის აღიარებული, როგორც ევროპაში, ისე აშშ-ის კორპორაციულ სამართალში. ამასვე აღიარებს კორპორაციული მართვის გერმანული კოდექსიც, სადაც გამგეობის ქმედებას ამ თვალსაზრისით ავტონომიურობის ძალიან მაღალი სტანდარტი მოეთხოვება. ბუნებრივია, პირისთვის, რომელიც საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში წარმართავს ნებისმიერ საქმიანობას, ამ საქმიანობის ავტონომიურად, სრულიად თავისუფლად და დამოუკიდებლად წარმართვის ფარგლებიც უნდა იყოს უზრუნველყოფილი. წინააღმდეგ შემთხვევაში ქმედების მასშტაბი ვერანაირად ვერ მოვა გადაწყვეტილების მიღების თავისუფლების ფარგლებთან შესაბამისობაში. ამიტომაც ეს ფარგლები განმტკიცებულია, როგორც საკანონმდებლო, ისე არასაკანონმდებლო, ე.წ. „რბილი სამართლის“ (ამის შესახებ: *ჰოპტი,* კორპორაციული მართვა ევროპაში: რეგულირების ახალი მოდელი და „რბილი სამართალი“, სამართლის ჟურნალი №1 2009, გვ. 228-247.) ნორმებით. იხ. მაგ.: *Ringleb* in Ringleb/Kremer/Lutter/Werder, DCGK, 4. Auf., (2010), S. 179, Rn. 601 f.

[6] *Kalss* in MünchKomm AktG, Band 2, 3. Auf., (2008), vor §76 Rn. 85.

[7] Schüppen/Schaub/*Heinz/Nehls*, MAH Aktienrecht §22 Rn. 1.

[8] შესაძლოა ცოტათი განსხვავებული სიტუაცია გვქონდეს აშშ-ის სამართალში, სადაც მომავალი პარტნიორის (ინვესტორის) მიერ აქციათა შეძენის შემდეგ ყალიბდება ხოლმე, როგორც წესი, დირექტორთა საბჭო (board of directors). ეს ბუნებრივიცაა, რადგან კორპორაციის ეს ორგანო ამერიკულ სამართალში სავალდებულო ორგანოა. იგი მართავს და აკონტროლებს მართვის პროცესს, ამიტომ მეწილეს (აქციონერს) უშუალო და პირდაპირი ინტერესი უნდა ჰქონდეს იმაზე, რომ თავად მიიღოს გადაწყვე-

რობის დაუცველობა[9] საზოგადოების რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს. როგორც ცნობილია, სს („კაპიტალისტური") კორპორაციულად მოწყობილი სუბიექტია. მისი ეგზისტენციალური ხასიათი განაპირობებს, რომ მისი სტრუქტურა დამოუკიდებელია წევრთა ცვლილებისაგან, რაც ამ სუბიექტში ე.წ. უცხო ორგანოს კონცეფციას აფუძნებს.[10] შესაბამისად, გამგეობა სს-ის ცალკე მდგომი დამოუკიდებელი ორგანოა, რომელიც ორგანულ-წარმომადგენლობით სუბიექტად განიხილება. გამგეობა მოქმედებს როგორც კორპორაციის შიგნით, ისე გარეთ. საზოგადოების შიდა ურთიერთობაში, ამ თვალსაზრისით, მოიაზრება ურთიერთობა კორპორაციის აქციონერებთან, საწარმოს სხვა ორგანოებთან[11], ხოლო გარესამართლებრივში – ურთიერთობა მესამე პირებთან, საზოგადოების სახელით გამოსვლა კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში და გარიგების დადება, რომლის შედეგიც სს-ს პირდაპირ შეერაცხება, წარმომადგენლობა სასამართლოში.[12] მაშასადამე, გამგეობა, განსხვავებით სხვა ორგანოსაგან, აღჭურვილია, როგორც *შიდა, ისე გარე სამართლებრივი და ფაქტობრივი* ქმედების კომპეტენციით.[13] „გამგეობის გარეშე

ტილება ბორდის დაკომპლექტების თაობაზე. შესადარებლად იხ.: *Palmiter*, Corporations, 6th Edit., (2009), P. 51. *Merkt/Göthel*, US-amerikanisches Gesellschaftsrecht, Rn. 272ff.

[9] შეად. *Kort* in Fleischer (Hrsg.), HdbVorstandsrechts, §2 Rn. 2.

[10] *K. Schmidt*, Gesellaschftsrecht, S. 770; *Kübler*, Gesellschaftsrecht, (1999), S. 152-152.

[11] იქ, ძირითადად, სს-ის „კლასიკური" ორგანოები (საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო) მოიაზრება, თუმცა ასევე კორპორაციის შესაძლო სხვა ორგანოებიც იგულისხმება, მაგალითად, გარკვეული კომიტეტები (რაც აუცილებელიც არის საჯარო სს-ისთვის), ე.წ. compliance ოფიცრები და ა.შ.

[12] *Kort* in Fleischer (Hrsg.), HdbVorstandsrechts, §2 Rn. 1, 2.

[13] სს-ის სხვა ორგანო, აქციონერთა საერთო კრება ან სამეთვალყურეო საბჭო (გერმანული კანონმდებლობით ზუსტად გათვალისწინებული საგამონაკლისო შემთხვევების გარდა), როგორც წესი, მხოლოდ შიდასაზოგადოებრივი ქმედებების განმახორციელებელი ორგანოა. სწორედ ამაშიც იკვეთება კორპორაციის ამ ორგანოებს (გამგეობა, ერთი მხრივ და, საერთო კრება/სამეთვალყურეო საბჭო, მეორე მხრივ) შორის საგრძნობი განსხვავება.

სს სრულიად ქმედუუნაროა"[14] და ამიტომ იგი საზოგადოების „ხელ-ფეხის" ფუნქციის მატარებელი ორგანოა,[15] რომლის გარეშეც საზოგადოება საქმეებს ვერ წარმართავს. გამომდინარე აქედან, გამგეობა, როგორც ხელმძღვანელობითი[16] კომპეტენციის მქონე ორგანო, ახორციელებს როგორც მმართველობით ფუნქციებს, მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების ჩათვლით, ისე საწარმოს ყოველდღიური საქმეების მოგვარებით არის დაკავებული.[17] ამიტომ მისი ადგილი, როგორც ზემოთ აღინიშნა, განსაკუთრებულია სს-ის მართვის სტრუქტურაში, მათ შორის[18], ყოველდღიურ რუტინულ საქმიანობაში. ეს საქმიანობა გამგეობის მხრიდან საზოგადოების *ინტერესის დაცვით*[19] არის განპირობებული,[20] რომელშიც სა-

[14] *Pentz* in MünchKomm AktG, 2. Auf., (2004), §41 Rn. 33.

[15] *Klunzinger*, Grunzüge des Gesellschaftsrechts, (2012), S. 170.

[16] ვიწრო გაგებით.

[17] *Semler* in Semler/Peltzer, VorstandHdb, §1 R. 118; *Wiesner* in MünchHdb AG, §19 Rn. 14. მითითებულია: *Spindler* in MünchKomm AktG, Band 2, 3. Auf., (2008), vor §76 Rn. 40.

[18] ამერიკული მოდელისაგან განსხვავებით.

[19] ამავე მიდგომას ამკვიდრებს ასევე თითქმის ყველა ქვეყნის კორპორაციული მართვის კოდექსი. გერმანიის კორპორაციული მართვის კოდექსის მე-4.1.1 მუხლის შესაბამისად, „გამგეობა მართავს საწარმოს საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში, ითვალისწინებს რა აქციონერთა, თანამშრომელთა (მუშა-მოსამსახურეთა) და საწარმოსთან დაკავშირებულ სხვა ჯგუფთა მოთხოვნილებებს, იმ მიზნით, რომ ეს საუკეთესოდ შეესაბამება საზოგადოების მდგრად მატერიალურ-ღირებულებით განვითარებას". იხ.: DCGK 4.1.1. (Leitung). აგრეთვე მუხლის განმარტების (განსაკუთრებით საწარმოს ინტერესის გატარების თვალსაზრისით) შესახებ: Wilsing/*Goslar* in DCGK, 4.1.1. Rn. 1 ff; 6ff, 12ff.

[20] *Ringleb* in Ringleb/Kremer/Lutter/Werder, DCGK, 4. Auf., (2010), S. 180, Rn. 605. და „საწარმოს ღირებულების მდგრადი აღმავლობისა და მატები-

ზოგადოებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა მონაწილე პირი მოიაზრება: აქციონერი, მუშა-მოსამსახურე, კრედიტორი და ა.შ.[21] საწარმოს საქმიანობაში, რომელზეც დირექტორატია პასუხისმგებელი, სხვადასხვა სახის კონკრეტული ღონისძიების წარმართვის მოვალეობა იგულისხმება, უპირველეს ყოვლისა კი, საზოგადოების მიზნების სისრულეში მოსაყვანად სათანადო გადაწყვეტილებების მიღება, რაც მის დაგეგმვაში, განხორციელებაში, ამ გადაწყვეტილებების აღსრულების კონტროლში, კოორდინაციაში მდგომარეობს.[22] ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს საწარმოს ხანგრძლივმოქმედი პერსპექტივის ჩამოყალიბებას, რაც წარმატების საწინდრადაც შეიძლება მოგვევლინოს. ამიტომ გამგეობა არის ორგანო, რომელიც მოვალეა, იმოქმედოს კორპორაციის *მდგრადი და ხანგრძლივმოქმედი გავითარების* პერსპექტივით,[23] რაც არა მხოლოდ ბირჟაზე რეგისტრირებული სს-ისთვის, არამედ საერთოდ ყველა სუბტიპის სააქციო კორპორაციის მმართველი ორგანოსთვის უნდა იყოს ამოსავალ წერტილად ქცეული.

2. გამგეობა, როგორც წარმომადგენლობითი ორგანო

სააქციო საზოგადოების სამართალი გამგეობის, როგორც ორგანოს, *საერთო ზოგადი წარმომადგენლობის* ინსტიტუტი-

საკენ არის გამიზნული". იქვე: *Ringleb* in Ringleb/Kremer/Lutter/Werder, DCGK, 4. Auf., (2010), S. 179, Rn. 608.

[21] *Spindler* in MünchKomm AktG, Band 2, 3. Auf., (2008), vor §76 Rn. 47.

[22] *Frodermann/Schäfer* in Henn/Jannot/Hagemann (Hrsg.), Hdb. des Aktienrechts, (2009), S. 325.

[23] *Ringleb* in Ringleb/Kremer/Lutter/Werder, DCGK, 4. Auf., (2010), S. 179, Rn. 610.

დან[24] ამოდის. ამიტომ მის მიმართ ე.წ. Gesamtvertretung[25]-ის პრინციპი მოქმედებს.[26] სს-ის დირექტორატი, როგორც წესი, თანამედროვე ქმედითი ეკონომიკის განვითარებული კორპორაციული რეჟიმების მქონე ქვეყნებში ხშირ შემთხვევაში რამდენიმე პირისაგან შედგება. ამიტომაც იგი, როგორც ზემოთ ითქვა, კოლეგიურ ორგანოდ განიხილება. კოლეგიური ორგანოსათვის გადაწყვეტილებათა (ქმედებათა) კოლეგიალურად მიღების პრინციპია დამკვიდრებული. შესაბამისად, ამ ორგანოში შემავალ წევრებს საერთო წარმომადგენლობა აქვთ მინიჭებული, რაც იმას ნიშნავს, რომ გამგეობის წევრები ერთობლივად არიან წარმომადგელობაზე უფლებამოსილნი.[27] წესდებით, რასაკვირველია, შესაძლოა სხვა რამ იყოს დადგენილი, თუმცა ამას აუცილებლად სჭირდება სათანადო რეგისტრაცია სავაჭრო (სამეწარმეო) რეესტრში. გამომდინარე აქედან, გერმანულ სამართალში[28] საჭიროა, რომ საზოგადოების სახელით ხელშეკრულებას თითოეულმა დირექტორმა მოაწეროს ხელი. მხოლოდ ერთ-ერთის ხელმოწერა ამ თვალსაზრისით საკმარისი არ იქნება.[29]

„მეწარმეთა შესახებ" კანონის 56-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სს-ის ხელმძღვანელობა და წარმომად-

[24] როგორც კანონით დადგენილი ჩვეულებრივი ნორმალური შემთხვევა (Grigoleit/*Vedder* AktG, 2013, §78 Rn. 14.), განსხვავებით ქართული სამართლისაგან. ამაზე შემდეგ გვერდზე.

[25] ითარგმნება როგორც ზოგადი, საერთო წარმომადგენლობა.

[26] Schüppen/Schaub/*Heinz/Nehls*, MAH Aktienrecht §22 Rn. 2.

[27] Schüppen/Schaub/*Heinz/Nehls*, MAH Aktienrecht §22 Rn. 2.

[28] რასაც გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლო თავისი პრაქტიკითაც ადასტურებს: *Henze*, Aktienrecht. Höchstrichterliche Rechtsprechung, (2002), S. 132f.

[29] Schüppen/Schaub/*Heinz/Nehls*, MAH Aktienrecht §22 Rn. 2.

გენლობა დირექტორს (დირექტორებს)[30] ევალება. მე-5 მუხლის შესაბამისად, ასეთი პირის შესახებ მონაცემები გათვალისწინებული უნდა იყოს წესდებით და, რა თქმა უნდა, რეგისტრირებული კომერციული და არაკომერციული იურიდიული პირების რეესტრში. რეესტრში რეგისტრირებულ დირექტორებს მესამე პირების წინაშე სრული წარმომადგენლობითი კომპეტენცია აქვთ. ამასთან, ცალკეულ დირექტორს რეესტრის ჩანაწერიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად აქვს კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში საზოგადოების სახელით გამოსვლის უფლებამოსილება მინიჭებული. როგორც ცნობილია, საჯარო რეესტრის პრაქტიკაც სწორედ ცალკეული წარმომადგენლობითი კომპეტენციის მიმართულებით მიდის. იურიდიულად შესაძლებელია, რომ წესდებით გათვალისწინებული იყოს საერთო ზოგადი წარმომადგენლობა. წესდების აღნიშნული ჩანაწერი აუცილებლად უნდა დარეგისტრირდეს სამეწარმეო რეესტრში. წინააღმდეგ შემთხვევაში ამას იურიდიული ძალა მესამე პირების მიმართ არ ექნება.

გამგეობის წევრის სტატუსი მის პიროვნულ ინდივიდუალურ ხასიათთან არის კავშირში, ანუ თანამედროვე დირექტორი, როგორც სპეციალური ცოდნისა და უნარის მქონე პირი, საკუთარი გამოცდილებისა და განსწავლულობის საფუძველზე წარმართავს საზოგადოების საქმიანობას. გერმანული სასამართლო პრაქტიკა სკეპტიკურად უყურებს გამგეობის წევრის მხრიდან ამ კომპეტენციის სხვა პირისათვის გადაცემის საკითხს. როგორც აღნიშნულია, „გამგეობის წევრთა უფლებამოსილება ორგანული ნების ფორმირებისა (გამოვლენის) და მიღებისა, ასევე, მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა არ

[30] გრამატიკულად გამართული კანონი, რასაკვირველია, სიტყვას მხოლობით რიცხვში იხმარდა.

შეიძლება სხვა პირს გადაეცეს“.[31] ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სწორ და მართებულ პრაქტიკას მსგავს წარმომადგენლობით ფუნქციებთან დაკავშირებულ საკითხზე.[32] აღნიშნულ გადაწყვეტილების თანახმადაც დირექტორის მოადგილე არ უნდა განიხილებოდეს ორგანული წარმომადგენლობის მქონე პირად. შესაბამისად, მასზე დირექტორის ფუნქციები სრულად ვერ გადავა, რადგან იგი ასეთად არ არის რეგისტრირებული რეესტრში. წესდებით[33] შესაძლოა დანიშნული იყოს დირექტორის მოადგილე და მისი ფუნქციები ცალკე „ბრძანებითაც“ განისაზღვროს. მაგრამ თუკი ასეთი პირი უშუალოდ არ იქნა რეგისტრირებული კომერციული და არაკომერციული იურიდიული პირების რეესტრში, მაშინ მას დირექტორად, ანუ ორგანული წარმომადგენლობითი სტატუსის მქონე პირად ვერ განვიხილავთ. იგი ჩვეულებრივ გარიგებითსამართლებრივი წარმომადგენელი იქნება და რეგისტრირებულ დირექტორს ვერასდროს შეცვლის.[34] იმ შემთხვევაში კი, როდესაც მისთვის გარკვეული უფლებამოსილების დელეგირების შესახებ გადაწყვეტილება (გარიგება) რეესტრში დარეგისტრირდება, იგი ე.წ. მეორე დირექტორის, ანუ *პროკურისტის* სტატუსს შეიძენს. თუმცა, კიდევ ერთხელ დავძენ, მხოლოდ გარიგებითი

[31] *Henze*, Aktienrecht. Höchstrichterliche Rechtsprechung, 2002, S. 132. გარდა კანონით გათვალისწინებული საგამონაკლისო შემთხვევებისა: AktG §78 Abs 4.

[32] სუსგ №ას-310-294-2011. ასევე: *ბურდული/ევნატაშვილი*, კორპორაციული მართვის საკითხისათვის, ბესარიონ ზოიძის საიუბილეო კრებულში, 2013 (ხელნაწერის სახით).

[33] აღნიშნულ დავაში ეს საკითხი არა წესდებით, არამედ დირექტორის სპეციალური ბრძანებით იქნა დადგენილი.

[34] რა თქმა უნდა, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საერთო კრება ან სამეთვალყურეო საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას მისი დირექტორად დანიშვნისა და გამწესების თაობაზე.

წარმომადგენელი იქნება და არა გამგეობის წევრი ან მისი შემცვლელი. თუ დირექტორატი რამდენიმე პირისაგან შედგება, რომელთაგანაც მხოლოდ გარკვეული პირები არიან დარეგისტრირებულნი რეესტრში, ხოლო დანარჩენი-არა, მაშინ სრულუფლებიანი წარმომადგნელობითი კომპეტენცია მხოლოდ იმათ ექნებათ, ვინც ასეთად არის რეგისტრირებული კომერციული და არაკომერციული იურიდიული პირების რეესტრში. რაც შეეხება თავად გამგეობას, რომელსაც, როგორც რეგისტრირებული, ისე მხოლოდ წესდებით განსაზღვრული დირექტორები ყავს. ამ შემთხვევაში უნდა ამოვიდეთ გამგეობის კოლეგიალური ორგანოს პრინციპიდან და საზოგადოების ხელმძღვანელად თავად ეს ორგანო განვიხილოთ. ხელმძღვანელობითი კომპეტენცია (მისი არაპირდაპირი მნიშვნელობით) გამგეობის ყველა წევრს ექნება. ქართულ კორპორაციულ პრაქტიკაში შესაძლოა ამგვარ შემთხვევას ჰქონდეს ადგილი. ამ დროს მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ აქციონერთა საერთო კრების მიერ წესდების შესაბამისად შექმნილი იქნება დირექტორატი. ეს უკანასკნელი რამდენიმე ფიზიკური პირისაგან შედგება. მათი ნაწილი რეგისტრირებული იქნება რეესტრში, ნაწილი კი რეგისტრაციის ფაქტის გარეშე იქნება საზოგადოების ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი. დირექტორთა იმ ნაწილს, რომელიც არ იქნება რეგისტრირებული რეესტრში, ბუნებრივია, არ ექნება მესამე პირების წინაშე კორპორაციის სახელით გამოსვლის უფლება. ისინი, მხოლოდ დე-ფაქტო, მატერიალურ-სამართლებრივი შინაარსის გარეშე დირექტორები იქნებიან, რომელთა საქმიანობაც შიდასაზოგადოებრივი საკითხების (ე.წ. ფაქტობრივი ქმედებები) მოგვარებით შემოიფარგლება. რაც შეეხება რეგისტრირებულ ნაწილს, მათ მესამე პირთან საწარმოს სახელით გარიგების დადებაზე სრული წარმომადგენლობითი და ხელძღვანელობითი უფლებამოსილება ექნებათ. წესდებით შესაძლოა ასევე გათვალისწინებული იყოს შემთხვევა, რომლის მიხედვითაც, რეგისტრირებულ დირექტორს საზოგადოების სახელით გარიგების დადების უფლება მხოლოდ დანარჩენი (არარეგისტრირებული) დირექტორების თანხმობით ჰქონდეს. ასეთ ვითარებაში, თანხმობის გარეშე დადებული გარიგება მესამე პირისათვის იურიდიული ძალის მქონე იქნება.[35] ხოლო თუ ამ გარიგებამ ზიანი მოუტანა საზოგადოებას, ადვილი წარმოსადგენია, რომ ასეთ დირექტორს მისი ქმედებისათვის პასუხი მოეთხოვება.

გერმანული სამართლის მიხედვით არსებობს შესაძლებლობა, რომ საერთო ზოგადი წარმომადგენლობის გარდა, ცალკეულ დირექტორთა წარმომადგენლობითი კომპეტენცია განისაზღვროს. ამის თაობაზე აღნიშვნას უნდა შეიცავდეს საზოგადოების წესდება. ასევეა შესაძლებელი, რომ სამეთვალყურეო საბჭოსთვის მინიჭებული წესდებისმიერი უფლებამოსილების საფუძველზე ეს საკითხი მაკონტროლებელი ორგანოს მიერ მოწესრიგდეს.[36] ცალკეული წარმომადგენლობა, რომელიც მინიჭებული ექნება გამგეობის რომელიმე (ან რამდენიმე) წევრს, ავტომატურად არ ნიშნავს სხვა დირექტორების ზოგადი წარმომადგენლობის გამოთიშვას. ქართული სამართლისაგან განსხვავებით, გერმანულ სააქციო საზოგადოების სამართალში დაუშვებელია, რომელიმე დირექტორი მთლიანად იქნეს ჩამოშორებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილებისაგან.[37] მას ან ზოგადი ან ცალკეული წარმომადგენლობითი კომპეტენცია უნდა ჰქონდეს. ამ თვალსაზრისით ერთმანეთისაგან ორი შემთხვევა უნდა განვასხვავოთ: ცალ-

[35] სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის პრინციპიდან გამომდინარე: Grigoleit/*Vedder*, AktG, 2013, §78 Rn. 19.

[36] *Spindler* in MünchKomm AktG, Band 2, 3. Auf., (2008), §78 Rn. 34.

[37] სხვადასხვა მითითებებით: *Spindler* in MünchKomm AktG, Band 2, 3. Auf., (2008), §78 Rn. 34.

კეული წარმომადგენლობა[38] და საერთო წარმომადგენლობისას ცალკეული უფლებამოსილების მინიჭება გამგეობის წევრისათვის (წევრებისთვის).[39] პირველი შემთხვევისას გამგეობის ცალკეულ წევრს აქვს სრულუფლებიანი წარმომადგენლობითი კომპეტენცია მინიჭებული, ისე, რომ ამ უფლებამოსილების შეზღუდვა, ზოგადი წესის მიხედვით, დაუშვებელია.[40] ამ დროს შესაძლებელია, რომ გარკვეული შეზღუდვები საზოგადოების შიდა გადაწყვეტილების საფუძველზე საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დაწესდეს, თუმცა ამას მესამე პირების წინაშე ძალა არ ექნება და მხოლოდ შიდაკორპორაციულ შეზღუდვებს და მასთან დაკავშირებულ საკითხებს დაუკავშირდება. ანგლო-ამერიკულ სამართალში დამკვიდრებული ultra-vires დოქტრინას[41] გერმანული (და არც ქართული) სამართალი არ იცნობს, თუმცა იგი ერთმანეთისაგან განასხვავებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას[42] და ხელმძღვანელობითი საქმიანობის კომპეტენციას.[43] წარმომადგენლობითი უფლებამოსილება[44] შეუზღუდავ ხასიათს უნდა ატარებდეს, რაც მესამე პირების დაცვის უზრუნველყოფის გარანტიითა და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის პრინ-

[38] Einzelvertretung, რომლის შესახებაც სპეციალურ ნორმას სააქციო კანონის 78-ე პარაგრაფის მე-3 პუნქტი შეიცავს.

[39] ე.წ. Einzelermächtigung. AktG §78 Abs. 4.

[40] AktG §82 Abs. 1. გარკვეული გამონაკლისების გარდა. Grigolcit/*Vedder*, AktG, 2013, §82 Rn. 16f.

[41] ამის შესახებ იხ.: *Blumberg*, The Law of corporate groups, 1987, p. 57-59; *Paul Davies/Gower*, Principles of modern company law, (2005), p. 130-132; *Palmiter*, Corporations, (2009), p. 59-61. *Merkt/Göthel*, US-amerikanisches Gesellschaftsrecht, Rn. 295ff.

[42] Vertretungsmacht.

[43] Geschäftsführungsbefungnis.

[44] დიფერენცირებისთვის ხელმძღვანელობასთან იხ.: *Kort* in Fleischer (Hrsg.), HdbVorstandsrechts, §2 Rn. 9ff; *Hirschmann* in van Kann (Hrsg.), Vorstand der AG, S. 55 ff.

ციპითაა განპირობებული. ხელმძღვანელობითი საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება კი შესაძლოა კორპორაციის საქმიანობის თავისებურებიდან გამომდინარე გარკვეულ შიდასამართლებრივ შეზღუდვებს დაექვემდებაროს. აქედან გამომდინარე, ამ შეზღუდვის მიზეზი შესაძლოა იყოს სს-ის მიზანი, საზოგადოების საქმიანობის საგანი. ის, რაც შიდა შეზღუდვით რეგულაციებს დაექვემდებარება, არ შეიძლება გახდეს გარესამართლებრივი ბოჭვის საგანი.[45]

მეორე შემთხვევაში საკითხი ეხება საერთო წარმომადგენლობისას გამგეობის ერთეული წევრისთვის სპეციალური უფლებამოსილების მინიჭებას.[46] ამასთან, იურიდიულ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ უფლებამოსილების მინიჭება გამგეობის ცალკეული წევრებისთვის, გარკვეული საგნობრივი მახასიათებლით უნდა იყოს შეზღუდული.[47] ეს ის შემთხვევაა, როდესაც, ზოგადი წესის მიხედვით, სს-ში გამგეობის მიმართ საერთო წარმომადგენლობა მოქმედებს, თუმცა მის რომელიმე წევრს ასევე ცალკეული წარმომადგენლობითი კომპეტენცია აქვს მინიჭებული. ამ შემთხვევაში მისი ეს უფლებამოსილება „ცალკეული გარიგებების ან გარიგებათა სახეობის“ მიხედვით უნდა იყოს საგნობრივად შეზღუდული.[48] შესაბამისად, მიჩ-

[45] თუმცა სააქციო კანონმდებლობა იცნობს შემთხვევებს, როდესაც გამგეობის მიერ გარიგების დადება საზოგადოების სხვა ორგანოს თანხმობაზე ხდება დამოკიდებული. *Hüffer*, AktG, (2012), §78 Rn. 8f. ასეთი „თანაქმედების“ შედეგად დადებული გარიგება კი სასამართლოს მიერ შესაძლოა ბათილად იქნეს მიჩნეული.

[46] *Spindler* in MünchKomm AktG, Band 2, 3. Auf., (2008), §78 Rn. 64.

[47] Grigoleit/*Vedder*, AktG, 2013, §78 Rn. 21. *Hüffer*, AktG, (2012), §78 Rn. 21.

[48] ეს უშუალოდ გამომდინარეობს სააქციო კანონის 78-ე პარაგრაფის მე-4 აბზაციდან. იხ.: Schüppen/Schaub/*Heinz*, MAH Aktienrecht §22 Rn. 4.

ნეულია, რომ კანონის ეს პუნქტი[49] ამავე მუხლის პირველი-მესამე აბზაცის განვრცობის მიზანს ემსახურება.

ქართული სამართლის მიხედვით, თავისუფლადაა შესაძლებელი, რომ წესდებით ან პარტნიორთა ცალკე შეთანხმებით ან სამეთვალყურეო საბჭოს სპეციალური გადაწყვეტილებით გათვალისწინებული იყოს დირექტორების ცალკეული წარმომადგენლობა გარკვეული სფეროების მიხედვით. თუმცა ამ ჩანაწერს, როგორც საჯარო რეესტრის პრაქტიკა ცხადყოფს, შიდაორგანიზაციული დანიშნულება უნდა ჰქონდეს. მესამე პირების წინაშე ამგვარ შეზღუდვას ძალა არ ექნება. ამიტომ მარეგისტრირებელი ორგანო ასეთ დროს არ უნდა შევიდეს მატერიალურ-შინაარსობრივი საკითხის გარკვევაში.[50] ფორმალური საფუძვლიდან გამომდინარე იგი მხოლოდ იმას ამოწმებს, აქვს თუ არა ორგანოს ცალკეული წარმომადგენლობის გაცემის უფლება.

წარმომადგენლობასთან დაკავშირებით შესაძლებელია, ასევე, „კომბინირებული" ვარიანტის შემუშავებაც. კერძოდ, გამგეობის წევრი (ან წევრები) შესაძლოა სხვა კონკრეტულ წევრთან ერთად იყოს ერთობლივად წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი.[51] სხვა ვარიანტიც დაიშვება, მაგალითად, გამგეობის მხოლოდ ერთ წევრს ჰქონდეს ცალკეული წარმომადგენლობა მინიჭებული, ხოლო დანარჩენებს ერთობლივი.[52] მოკლედ, ამ მხრივ საზოგადოებას შესაძლებლობა აქვს სხვადასხვა სახის იურიდიული კონფიგურაცია ჩამოაყალიბოს. არის შემთხვევები, როდესაც ცალკეული წარმომადგენლობის დროს დირექტორი საზოგადოების პროკურისტთან ერთად არის უფლებამოსილი საზოგადოების სახელით გარიგების

[49] AktG §78 Abs. 4. Satz (1).
[50] შეად.: *Fleischer* in Spindler/Stilz, AktG, 2. Auf., (2010), §78 Rn. 30.
[51] *Spindler* in MünchKomm AktG, Band 2, 3. Auf., (2008), §78 Rn. 39.
[52] *Spindler* in MünchKomm AktG, Band 2, 3. Auf., (2008), §78 Rn. 42.

დადებაზე. ამ კონსტრუქციას ლიტერატურაში „არანამდვილ ერთობლივ წარმომადგენლობას" უწოდებენ.[53] როდესაც გამგეობა მხოლოდ ერთი დირექტორისაგან შედგება, მაგრამ საზოგადოებას ასევე დანიშნული ყავს პროკურისტი, მაშინ ასეთ არანამდვილ წარმომადგენლობაზე არ საუბრობენ. ერთადერთი დირექტორი მის მიერ წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელების დროს არ შეიძლება იყოს პროკურისტზე დამოკიდებული.[54] ამის დაშვება კი დირექტორის უფლებამოსილების მთლიანად გადაცემის აკრძალვის პრინციპს შეეწინააღმდეგებოდა.[55]

საკორპორაციო სამართალში საუბრობენ ასევე ე.წ. პასიურ წარმომადგენლობაზე.[56] წარმომადგენლობის[57] ქვეშ აქტიური წარმომადგენლობა იგულისხმება. ეს ის შემთხვევაა, როდესაც საზოგადოების სახელით ნებას ავლენს დირექტორატი (როგორც კოლეგიალური ორგანო) და გარიგების შედეგიც მთლიანად შეერაცხება კორპორაციას. თუმცა არსებობს ისეთი შემთხვევაც, როდესაც საუბარი საზოგადოების მხრიდან ნების მიღების საკითხზეა. ამ დროს საკმარისია ეს ნება გამ-

[53] *Hüffer*, AktG, (2012), §78 Rn. 1; *Kort* in Fleischer (Hrsg.), HdbVorstandsrechts, §2 Rn. 54.
[54] Balser/*Bockelmann*/Ott/Pioreck, Die Aktiengesellschaft, Rn. 259. მითითებულია: *Deilmann/Lorenz,* Die börsennotierte Aktiengesellschaft, §2 Rn. 20.
[55] გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც, მაგალითად, გამგეობა ორი დირექტორისაგან შედგება. ერთი გარდაიცვალა, ხოლო გამგეობის წევრად (საერთო კრებას) სამეთვალყურეო საბჭოს ჯერ წევრი არ აურჩევია. ამ ვითარებაში, დარჩენილი დირექტორი ვალდებული იქნება საზოგადოება პროკურისტთან ერთად წარმოადგინოს. *Habersack* in GrossKomm AktG, §78 Rn. 45. იმ შემთხვევაში, როცა წესდებაში სათანადო ცვლილება შევა და გამგეობის წევრთა რიცხვი მხოლოდ ერთზე დავა, აღნიშნული ჩანაწერი ბათილი იქნება.
[56] Passivvertretung. მაგ.: *Kort* in Fleischer (Hrsg.), HdbVorstandsrechts, §2 Rn. 52.
[57] როგორც იდეალტიპური შემთხვევის.

გეობის ერთ-ერთი წევრის მიმართ იყოს გამოვლენილი (მისული). იმისათვის, რომ გამოვლენილი ნების მიღება სამართლებრივად კორპორაციისთვის მისულად ჩაითვალოს საკმარისია გამგეობის ერთ-ერთი წევრისათვის[58] მისი მისვლა. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ცალკეული წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით არ არის აღჭურვილი, პასიური წარმომადგენლობის დროს იგი ჩვეულებრივ გამოდის საზოგადოების სრულუფლებიან წარმომადგენლად. შესაბამისად, საზოგადოება ვერ განახორციელებს კონტრაჰენტის მიმართ იმ ქმედებაზე შეცილებას, რომელიც გამგეობის ერთერთი წევრისათვის ცნობილი იყო, მაგალითად, მან ხელი მოაწერა გარკვეული საბუთების მიღებას (რითიც საზოგადოებისთვის გარკვეული იურიდიული შედეგი დადგა). ამ შემთხვევაში კორპორაცია ვერ დაეყრდნობა საერთო (აქტიური) წარმომადგენლობის ნორმებს. ნება საზოგადოების მიმართ მისულად ჩაითვლება და მას კორპორაციისთვის მბოჭავი სამართლებრივი ძალა ექნება.

3. დირექტორატის ამოცანა, მიზანი, ფუნქცია

როგორც ზემოთ აღინიშნა, გამგეობა სს-ის აუცილებელი ორგანოა. ამ ორგანოს მთავარი *ამოცანა* საზოგადოების მართვაში მდგომარეობს.[59] მართვის ქვეშ კორპორაციის, როგორც

[58] ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრისათვის. გერმანიის სააქციო კანონი იცნობს შემთხვევებს, როდესაც გამგეობის მიერ უფლებამოსილების „დაკარგვის" დროს სს-ს (პასიურად) სამეთვალყურეო საბჭო წარმოადგენს. AktG §78 Abs. 1 Satz (2). ეს კი ანომალიური და არა ჩვეულებრივი შემთხვევაა.

[59] დირექტორატის ამოცანათა ჩამონათვალი იხ.: *Ballwieser*, Cotrolling und Risikomanagment: Aufgaben des Vorstands in: Hommelhof/Hopt/Werder (Hrsg.), Hdb Corporate Governance, 2003, S. 430.

საწარმოს[60] მართვა იგულისხმება. მართვის პროცესში იგი სხვადასხვა ამოცანის შესრულებას ისახავს მიზნად და ამისათვის სხვადასხვა საშუალებებს იყენებს. როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული „გამგეობა ახორციელებს სამუშაოს მიმცემისა და წარმოების ფუნქციას და, აქედან გამომდინარე, კონკრეტული პრინციპალის ადგილს იკავებს".[61] მისი *ფუნქციის* შესრულებისას კი იგი ერთდროულად განიხილება როგორც ხელმძღვანელობით, ისე წარმომადგენლობით ორგანოდ.[62] გამგეობის ძირითადი *მიზანი* წარმატებული მართვის შედეგად საზოგადოების ქონების მაქსიმიზაციაა. გამგეობა, როგორც „აქციონერის (აქციონერთა) მიერ კონკრეტული მიზნისათვის დაქირავებული ორგანო" მოვალეა, მიზნის მისაღწევად დადგენილი კანონით და მოქმედი სამართლით აღიარებული ნებისმიერი საშუალება გამოიყენოს და, შესაბამისად, მართლზომიერად და კეთილსინდისიერად განახორციელოს ქმედებები.[63] მისი ძირითადი მიზანი (არაპირდაპირ) აქციონერთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაშიც, მის ზრდაში გამოიხატება, თუმცა, კორპორაციის „სოციალუ-

[60] ამ შემთხვევაში საწარმოს, როგორც ეკონომიკურ კატეგორიაზე მახვილდება ყურადღება. საწარმო არ არის იურიდიული კატეგორია. ამიტომ აქ შეგნებულად ვხმარობ არა მეწარმე სუბიექტს (ანუ საწარმოს „მატარებელ" საზოგადოებას), არამედ საწარმოს, როგორც ეკონომიკურ სუბტრატს. ამასთან დაკავშირებით მაგ.: *K. Schmidt*, Handelsrecht, 5. neubearbeitete Auf., Carl Heymanns Verlag KG, Köln, 1999, S. 80-82; *Raiser/Veil*, Recht der Kapitalgesellschaften, (2010), S. 12-13.

[61] *Frodermann/Schäfer* in Henn/Jannot/Hagemann (Hrsg.), Hdb. des Aktienrechts, (2009), S. 325.

[62] *Hirschmann* in van Kann (Hrsg.), Vorstand der AG, S. 29.

[63] ე.წ. სასარგებლო კანონდარღვევების შესახებ იხ.: *ჭანტურია*, კორპორაციული მართვა, გვ. 393 და მომდევნონი.

რი პასუხისმგებლობის“[64] აღიარება „აიძულებს“ დირექტორს საზოგადოების მიზნის მიღწევის გზაზე ანგარიში გაუწიოს არა მხოლოდ მეწილეს (აქციონერს)[65], არამედ სხვა დაინტერესებულ პირსაც[66].[67] თანამედროვე ტრანსნაციონალური, ინტერკონტინენტალური კორპორაციების სამყაროში მხოლოდ „კარგი მოქალაქეობის“[68] პრინციპით მოქმედ გამგეობას აქვს შანსი წარმატება მოუტანოს მის საწარმოს. ამიტომ თანამედროვე დირექტორატი მაღალპროფესიონალური უნარით გამსჭვალული პირებისაგან უნდა შედგებოდეს, რაც არის კიდეც მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციის საგანი. ეს შინაარსია ჩაქსოვილი ასევე კორპორაციული მართვის კოდექსში, რომელიც ამ თვალსაზრისით „*პლურალისტური ინტერესის მიზნის კონცეფციას*“ ეყრდნობა.[69] კორპორაციის მრავალმხრივი ინტერესის კონცეფცია[70], განსაკუთრებით 2009 წლის ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, ე.წ. წმინდა shareholder value[71]-ს პრინციპიდან ერთგვარ გადახვე-

[64] corporate social responsibilty. ამის შესახებ მაგ.: *Hetherington*, Fact and Legal Theory: Shareholders, Managers, and Corporate Social Responsibility, Stan. L. Rev., 21, 248, 1968-1969, p. 248ff.

[65] shareholder.

[66] stakeholder.

[67] გამგეობის საქმიანობის კონტექსტში, საზოგადოებასთან დაკავშირებული ამ ორი მიზან-ჯგუფის ურთიერთმიმართების საკითხზე შეგიძლია იხ.: *ამშტუტცის* შესანიშნავი ნაშრომი: *Amstutz*, Macht unn Ohnmacht des Aktionärs (Möglichkeiten und Grenzen der Corporate Governance bei der Wahrung der Aktionärsinteressen), Verlag Neue Zürcher Zeitung, Zürich 2007.

[68] *Hopt*, Corporate Governance in Europa, GesRZ 2002, S. 5.

[69] შემდგომი მითითებებით: Wilsing/*Goslar* in DCGK, 4.1.1. Rn. 13.

[70] იხ. ასევე *მიხაელ კორტის* სტატია, რომელიც გამგეობის საქმიანობისას საწარმოსა და აქციონერის ინტერესთა თანაფარდობის საკითხის გარკვევას ეხება. *Kort*, AG Heft 17/2012, S. 605 ff.

[71] იხ. მაგ.: *Rudolf* in Habersack/Mülbert/Schlitt (Hrsg.), Unternehmensfinanzierung am Kapitalmarkt, 2008, §1 Rz. 2ff.

ვად მიიჩნევა. თუმცა ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს აღნიშნული კონცეფციის უარყოფას,[72] არამედ მართვის პროცესში ასევე საზოგადოებასთან დაკავშირებული სხვა მიზან-ჯგუფებისთვის[73] (შეძლებისდაგვარად და საწარმოსთვის გონივრულობის ფარგლებში) ანგარიშის გაწევას ემსახურება.[74] და ბოლოს, რაც აუცილებელია გამგეობის ამოცანის, მიზნისა და ფუნქციის შესახებ აღინიშნოს არის ის, რომ წარმატებული მენეჯმენტი[75] ყოველივე ამას კორპორაციის ხანგრძლივი პერსპექტივისთვის უნდა იყენებდეს. ლიტერატურაში ნათქვამია, რომ „გამგეობა არ შეიძლება იყოს ორიენტირებული მოკლევადიანი მოგების მაქსიმიზაციის რისკის გაწევაზე, რადგან იგი, საბოლოო ჯამში, ნეგატიურ ან საერთოდ მომაკვდინებელ დაღს დაასვამს საზოგადოებას“.[76] ეს კი ქარ-

[72] აქციონერთა (ქონებრივი) ინტერესი კვლავ რჩება საწარმოს მართვის მიზნის მაქსიმად. *Bonin*, Die Leitung der AG, 2004, S. 53 ff. აქციონერთა და „კორპორაციულ ჯგუფთა“ ინტერესის გაწონასწორებული მართვის, ასევე, მათი ეკონომიკური და შედარებითი-სამართლებრივი მიმოხილვის შესახებ იხ. *ბონინის* აღნიშნული მონოგრაფია.

[73] სხვათა შორის, ავსტრიულ სააქციო სამართალში, გერმანულისაგან განსხვავებით, ეს საკანონმდებლო დონეზეა განმტკიცებული. ავსტრიის სააქციო საზოგადოებათა შესახებ ფედერალური კანონის 70-ე პარაგრაფი, გერმანიის სააქციო კანონის 76-ე პარაგრაფისაგან განსხვავებით, პირდაპირ ადგენს გამგეობის მიერ საწარმოს მართვის პროცესში აქციონერთა, დასაქმებულთა და სხვარო ინტერესთა აღიარებას. öAktG §70. იხ.: *Kalss*, NZG 5/2012, S. 166. ავსტრიული და გერმანული საკორპორაციო სამართალი ურთიერთმსგავსია. ამიტომ ამა თუ იმ პოზიციის გასამყარებლად ერთმანეთის მაგალითად მოყვანა ხშირი შემთხვევაა როგორც ავსტრიულ, ისე გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში. იხ. *კალსის* მითითებული სტატია.

[74] Wilsing/*Goslar* in DCGK, 4.1.1. Rn. 13.

[75] ამ შემთხვევაში მენეჯმენტს ეკონომიკური გაგებით ვიხმარ, ანუ როგორც, ზოგადად, კორპრაციის მართვის განმახორციელებელი შინაარსის მქონე მოვლენას.

[76] Wilsing/*Goslar* in DCGK, 4.1.1. Rn. 13. ეს იდეა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, რამაც, განხორციელე-

თული კორპორაციული პრაქტიკის ამოსავალ წერტილად უნდა იქცეს. წინააღმდეგ შემთხვევაში გამორიცხულია ქვეყანაში მდგრად ეკონომიკურ პროგრესზე საუბარი.

4. დირექტორის სამართლებრივი სტატუსი

4.1. გამგეობის (დირექტორატის) ორგანული და თანამდებობრივი ურთიერთდამოკიდებულება

საკორპორაციო სამართალი[77] ერთმანეთისაგან განასხვავებს სს-ში[78] საწარმოს გამგეობის (დირექტორატის) წევრად წარდგენას, დანიშვნას (Bestellung[79]) და მის შრომით თანამდებობაზე გამწესებას (Anstellung[80]).[81] ამით გერმანულ სა-

ბული ცვლილებისას, გერმანიის კორპორაციული კოდექსის აღნიშნული მუხლის (4.1.1.) განსხვავებული რედაქციით ჩამოყალიბება განაპირობა. მუხლის (ძველი რედაქცია) კომენტარი, ევროპული პერსპექტივიდან გამომდინარე დისკუსიების თაობაზე იხ.: *Ringleb* in Ringleb/Kremer/Lutter/Werder, DCGK, 4. Auf., (2010), S. 181-182, Rn. 608ff.

[77] ამ შემთხვევაში უპირატესად ისევ გერმანულ სამართალს დავეყრდნობი. ქართული სამართლისთვის, გერმანული სამართლის ქარგზე გამოჭრა, განმარტების თვალსაზრისით მხოლოდ სიკეთის მომტანი იქნება.

[78] იგივე შინაარსი ვრცელდება ასევე შპს-ზეც. როდესაც საუბარია სს-ზე მასთან ერთად ყველა კაპიტალური ტიპის საზოგადოება იგულისხმება. ამიტომაც არის, რომ გერმანული სასამართლო პრაქტიკა, პრინციპში (გარკვეული გამონაკლისების გარდა), ერთგვაროვნად აფასებს დირექტორთა სასამსახურო საქმეებთან დაკავშირებულ დავებს, იქნება ეს სს, შპს, კოოპერატივი.

[79] ქართულად ნიშნავს წარდგენას, დასანიშნად წარდგენას, დანიშვნას, შეკვეთას.

[80] ქართულად ნიშნავს თანამდებობას, თანამდებობაზე დანიშვნას. უმჯობესია ამ შემთხვევაში გამოყენებული იქნეს ტერმინი თანამდებობაზე გამწესება. ამგვარ ტერმინს ხმარობს ასევე ლაზარაშვილი. ამ საკითხის თაობაზე ქართულად შეგიძლიათ იხ.: *ლაზარაშვილი*, სასამსახურო ხელშეკრულება საწარმოს დირექტორთან. პარტნიორი და დირექტორი შიდასაზოგადოებრივ

მართალში (ამ საკითხთან მიმართებით) საფუძველი ჩაეყარა ე.წ. დანაწევრების, დაყოფის, გამიჯვნის[82] პრინციპს.[83] საუბარია იმაზე, რომ გერმანული სამართალი საკანონმდებლო დონეზე ახდენს დანაწევრებას დირექტორის (გამგეობის წევრის) თანამდებობრივ, სასამსახურო ურთიერთობას და მის ორგანულ ადგილს, ორგანიზაციულ თანამდებობას შორის.[84] ერთ შემთხვევაში საუბარია Anstellungsverhältnis[85]-ზე, ხოლო მეორე შემთხვევაში Organstellung[86]-ზე. გამგეობის წევრის ადგილი (მდგომარეობა) განპირობებულია სს-სთან მიმართებით სხვადასხვაგვარი სამართლებრივი ურთიერთობით, რომელსაც

ურთიერთობებში, წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, გვ. 315.

[81] *Mertens* in KölnerKomm. AktG, §84, Rn. 2; BGHZ 79, 38, 41.

[82] პროფესორი *ჭანტურია* სმარობს სიტყვას გამიჯვნა, რაც, ასევე, კარგად შეესაბამება სიტყვის შინაარსს. *ჭანტურია*, კორპორაციული მართვა, გვ. 130. ამიტომ აღნიშნულ ნაშრომში დანაწევრება და გამიჯვნა თანაბარი მნიშვნელობით იქნება ნახმარი.

[83] ე.წ. Trennungstheorie. მიმოხილვა იხ.: *Thüsing* in Fleischer (Hrsg.), HdbVorstandsrechts, §4 Rn. 2.

[84] ქართულ სამართალშიც ეს რამდენიმე ხნის წინ გაცხარებული დისკუსიის საგნად იყო ქცეული. საბოლოო, სუს-ის მიერ პრაქტიკა ჩამოყალიბდა (მრავალი მითითებით სუს-ს გადაწყვეტილებებზე და ამ პრაქტიკის მიმოხილვის შესახებ იხ.: *ლაზარაშვილი, თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, გვ. 317 და მომდევნონი*), რამაც გავლენა იქონია „შეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის ახალ რედაქციაზეც. ფედერალური უმაღლესი სასამართლოს განზოგადებული პრაქტიკა იხ. *ჰენცესთან: Henze*, Höchstrichterliche Rechtsprechung, (2002), S. 139ff.

[85] ქართულად ეს სიტყვა ნიშნავს თანამდებობრივ ურთიერთობას, უფრო ზუსტად, სასამსახურო-(სამართლებრივ) ურთიერთობას.

[86] ამ შემთხვევაში საუბარია იმ ადგილზე, რომელიც დირექტორს უკავია სს-ში როგორც ორგანულ წარმომადგენელს (მესამე, უცხო ორგანოს კონცეფციიდან გამომდინარე).

სხვადასხვა ბედი შეიძლება ჰქონდეს.[87] დირექტორატის წევრის ორგანული ადგილი (ორგანულსამართლებრივი მდგომარეობა) აღნიშნავს კორპორაციულსამართლებრივ დონეზე მის შესაძლებლობას და აუცილებლობას.[88] რაც შეეხება სასამსახურო-სამართლებრივ, თანამდებობრივ-სამართლებრივ ურთიერთობას[89], ამ შემთხვევაში საუბარია დირექტორსა და თავად სს-ს შორის სამართლებრივ ურთიერთობაზე, როგორც (ვალდებულებით) სახელშეკრულებო-სამართლებრივ კატეგორიაზე.[90] მოკლედ, დანიშვნის აქტის მეშვეობით ყალიბდება ორგანულ(კორპორაციულ)-სამართლებრივი ურთიერთობა, სასამსახურო აქტით კი ვალდებულებითი სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობა.[91]

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ორგანულ და სასამსახურო თანამდებობრივ ურთიერთობასთან ერთად, შესაძლებელია, ასევე, სხვა სამართლებრივი, უფრო სწორად, სამსახურებრივი ურთიერთობები ჩამოყალიბდეს გამგეობის წევრსა

[87] ადრე გერმანული იურიდიული დოგმატიკა არ იყენებდა დანაწევრების პრინციპს, რაც იმას ნიშნავდა, რომ დირექტორის დანიშვნა და თანამდებობაზე მისი გამწესება ერთ სამართლებრივ აქტად განიხილებოდა. არ არსებობდა გამწესებასა და სასამსახურო ადგილის დაკავებას შორის სხვაობა. თუმცა თანამედროვე იურიდიულმა მეცნიერებამ, ამ საკითხთან მიმართებით სხვა კონცეფცია განავითარა, რომლის მიხედვითაც აუცილებელია გამწესების და სასამსახურო დანიშვნის აქტს შორის სამართლებრივი სხვაობის არსებობა. ადრე ე.წ. „ერთიანი თეორიის" მომხრე ბევრი ცნობილი მეცნიერი იყო: გოდინი, ვილჰელმი, რიტერი და სხვ. ერთიანი თეორიის შესახებ მაგ.: v. *Godin* ZakDR 1938, S. 596, 597, 598; v. Godin/Wilhelmi, AktG, Kommentar, §75 A, Rn. 2; *Ritter,* Komm. zum AktG, §75, Rn. 2a.

[88] აქაც გერმანულად ნახმარია სიტყვები: Können (შეძლება), Sollen (ანუ ვალდებულება, უნდა) და Dürfen (აუცილებლობა, საჭიროება).

[89] განსხვავებით კორპორაციულსამართლებრივისაგან.

[90] *Boemke*, ZfA 1998, S. 209-210; *Hüffer*, AktG, (2012), §84 Rn. 2; Hölters/*Weber* §121 Rn. 14. და ა.შ.

[91] *Seibt* in K. Schmidt/Lutter, AktG, (2010), §84 Rn. 5.

და სს-ს შორის. როგორც აღინიშნა, დირექტორატი საქმეებს საკუთარი პასუხისმგებლობითა და სამეწარმეო გადაწყვეტილების მიღების თავისუფლების პრინციპის საფუძველზე უძღვება. თუმცა ე.წ. „მატრიქს-საწარმოთა"[92] პრაქტიკა იცნობს შემთხვევებს, როდესაც ხდება დამოკიდებული საწარმოს დირექტორატისთვის (ან მისი რომელიმე წევრისათვის) უშუალო მითითებების მიცემა „ზემდგომი საზოგადოების"[93] მიერ. სწორედ ამას განიხილავენ როგორც კოლიზიას სამუშაო (სასამსახურო) სამართლებრივ დავალების მიცემის უფლებას და საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ საწარმოს მართვის ძირითად პრინციპს შორის.[94]

მიუხედავად სამართლებრივი დაყოფისა (დანაწევრებისა) ორგანული და თანამდებობრივი, სასამსახურო-სამართლებრივი ურთიერთიერთობები მჭიდრო ფაქტობრივ და სამართლებრივ დამოკიდებულებაშია ერთმანეთთან. ასე, მაგალითად, პირს შეუძლია მოთხოვოს საზოგადოებას მასთან სასამსახურო ხელშეკრულების დასრულება (ან დადება). დირექტორატის წევრის გამოწვევა, როგორც წესი, ნიშნავს ასევე მასთან სასამსახურო ხელშეკრულების დასრულებას, ან სასამსახურო

[92] საუბარია საკონცერნო საზოგადოებებზე.

[93] ის საწარმო, რომელიც დომინანტია და რომელზეც იგი არის დამოკიდებული.

[94] მნიშვნელოვანია, რომ დირექტორი მართავს და უძღვება საწარმოს სწორედ, როგორც ითქვა, საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში. არავის აქვს უფლება ზემოქმედება მოახდინოს მის საქმიანობაზე, საწარმოს პარტნიორებსაც კი, თუმცა გარკვეული „მითითებების" გაცემის უფლება-მოსილება მათ, რა თქმა უნდა, აქვთ. ამიტომ, მიჩნეულია, რომ მისთვის სასამსახურო (შრომითი) ურთიერთობიდან გამომდინარე დავალებების (დირექტივების) მიცემის უფლება არავის აქვს. თუმცა ეს შემთხვევა სწორედ საგამონაკლისო შემთხვევად მიიჩნევა გერმანულ სამართალში. *Frodermann/Schäfer* in Henn/Frodermann/Jannott, Handbuch des Aktienrechts, S. 327, 354.

ხელშეკრულების შეწყვეტა ხშირად შეიძლება მისი თანამდებობიდან გამოწვევის ტოლფასი აღმოჩნდეს.[95] მოკლედ, ფაქტობრივად ეს ურთიერთობები გადაჯაჭვულია ერთმანეთზე.

4.1.1. დირექტორატის წევრის ორგანული ადგილი (ორგანიზაციულ კორპორაციულსამართლებრივი თანამდებობა)

გამგეობა, როგორც სს-ის მართვის ხელმძღვანელობითი ორგანო მისი წევრებისაგან შედგება. ორაგნული ადგილი ტერმინოლოგიურად აღნიშნავს (გარკვეული) ორგანოს თვით ამ წევრის (გაერთიანების, კავშირის) კორპორაციულსამართლებრივ ადგილს და არა ორგანოს სამართლებრივ ადგილს, მდგომარეობას.[96] ამით ორგანული ადგილი[97] აღნიშნავს გამგეობის წევრის იმ უფლება-მოვალეობას, რომელიც მასა და სს-ს შორის ორგანული ურთიერთობიდან გამომდინარეობს. ეს კი დანიშვნის, წარდგენის სამართლებრივ აქტს ეფუძნება.[98]

ა) დანიშვნა, წარდგენა

წარდგენის, დანიშვნის ქვეშ მოიაზრებს გამგეობის წევრის დანიშვნა მის ორგანულ თანამდებობაზე. ამიტომაც დანიშვნის (წარდგენის) აქტი განეკუთვნება ნების გამოვლენისა და ამ ნების მიღების სამართლებრივ აქტს. სხვა სიტყვით, ეს აქტი იყოფა გამოვლენისა და აღსრულების აქტად.[99] ნების გამოვლენა ხდება სამეთვალყურეო საბჭოს[100] ან სასამართლოს[101] მიერ. გარდა ამისა, ეს მოქმედება (აქტი) მოითხოვს დირექტორის თანამდებობაზე გასამწესებელი პირის აუცილებელ თანხმობას. თანხმობა შესაძლოა სხვადასხვა ფორმით იყოს გამოხატული, რადგან კანონი რაიმე სპეციალურ სავალდებულო ფორმას ამისათვის არ ადგენს. ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება თანხმობის გაცხადება წერილობითი ან წერპირსიტყვიერი ფორმით, თანაც გამწესების მიღების წინ, მის შემდეგ (მოწონებით) ან სულაც კონკლუდენტური ქმედებით, ანუ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გამგეობის წევრის მიერ საქმიანობის დაწყების შედეგად.[102] შესაბამისად, დანიშვნის ეს ერთიანი პროცესი თავის თავში მოიაზრებს (1) დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას შესაბამისი ორგანოს (როგორც წესი, სამეთვალყურეო საბჭოს. საქართველოს შემთხვევაში საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს) მიერ თავად დასანიშნი, თანამდებობაზე წარსადგენი პირისათვის ამ გადაწყვეტილების გაცნობის ინფორმაციის მიწოდების ჩათვლით და, (2) თავად დასანიშნი პირის მხრიდან მის დირექტორად წარდგენაზე ფორმათავისუფალი თანხმობის გაცემას.[103] იმისათვის, რომ საგარეო (გარე)-სამართლებრივ ურთიერთობაში დანიშვნის აქტმა იურიდიული ძალა შეიძინოს, აუცილებელია მისი მიღება იმ პირის მიერ, რომელიც გამწესებული იქნება დირექტორის თანამდებობაზე. ამიტომ დანიშვ-

[95] BGHZ 89, 48, 52; *Thüsing* in Fleischer (Hrsg.), Handbuch des Vorstandsrechts, 2006, §4, Rn. 4.

[96] *Frodermann/Schäfer* in Henn/Frodermann/Jannott, Handbuch des Aktienrechts, S. 328.

[97] ამ შემთხვევაში შესაძლოა ნახმარი იყოს – ორგანული თანამდებობა.

[98] Gessler/Heffermehl/Eckardt/Kropff, Komm zum AktG, §84, Rn. 5 f.

[99] K. Schmidt, Gesellschaftsrecht, 2002, S. 445.

[100] საქართველოს შემთხვევაში ან საერთო კრების ან სამეთვაყურეო საბჭოს მიერ.

[101] გერმანული სამართალი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც სამეთვალყურეო საბჭო ვერ ნიშნავს ან არ ნიშნავს დირექტორს და ასეთ დროს მისი დანიშვნა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეიძლება.

[102] *Raguss,* Der Vorstand der AG, S. 44.

[103] *Seibt* in K. Schmidt/Lutter, AktG, (2010), §84 Rn. 6; *Hüffer*, AktG, (2012), §84 Rn. 3.

ნის აქტი იმ დროიდან შევა ძალაში, რა დროიდანაც სახეზე იქნება პირის თანხმობა. თანხმობის არარსებობის შემთხვევაში დანიშვნის გამწესების აქტს ძალა არ ექნება. დირექტორის დანიშვნისას სამეთვალყურეო საბჭო მოქმედებს როგორც კოლეგიალური ორგანო. ამიტომ გამწესების გადაწყვეტილების მიღებისას საჭიროა, რომ სახეზე იყოს სამეთვალყურეო საბჭოს უმრავლესობის გადაწყვეტილება, თუმცა წესდებით შესაძლოა სხვა კვორუმიც დადგინდეს. თუ გამგეობის წევრად რამდენიმე პირია გამწესებული, მაშინ სამეთვალყურეო საბჭო მათი შემადგენლობიდან ერთ-ერთს გამგეობის თავმჯდომარედ განამწესებს (დანიშნავს). სწორედ ამას ითვალისწინებს ასევე გერმანიის კორპორაციული მართვის კოდექსიც.[104] ამასთან, ნიშანდობლივია, რომ სამართლებრივი ბუნების თვალსაზრისით დანიშვნის აქტი არა ხელშეკრულებად, არამედ ცალმხრივ აქტად განიხილება.[105]

ა.ა) თანამდებობაზე გასამწესებელი პირის თანხმობა

როგორც აღინიშნა, პირის თანამდებობაზე გამწესების შესახებ თანხმობა მოითხოვს გარკვეულ ფორმას. თუმცა საკანონმდებლო დონეზე გაწერილი ზუსტად არ არის თუ რა ფორმით – ზეპირად თუ წერილობით – უნდა მოხდეს ეს. როგორც წესი, თანხმობა გაიცემა კონკლიუდენტური ქმედებით. ამ შემთხვევაში საჭიროა, რომ დირექტორის თანამდებობაზე გამწესების დრო ემთხვეოდეს მისი მხრიდან რეალურად საქმიანობის დაწყების მომენტს. თუმცა მიჩნეულია, ასევე, რომ ეს მომენტი შესაძლოა დროში გაიწელოს, ანუ შეიძლება

[104] DCGK §4.2.1.

[105] *Baums,* Der Geschäftsleitervertrag, 1987, S. 40. მითითებულია: *Thüsing* in Fleischer (Hrsg.), Handbuch des Vorstandsrechts, 2006, §4, Rn. 7.

პირი დირექტორად დაინიშნოს, მაგრამ საქმიანობის დაწყების დღედ მომავალში გარკვეული თარიღი დადგინდეს.[106]

4.1.2. სასამსახურო დამოკიდებულება

საინტერესოა ასევე დირექტორთან სს-ის სამართლებრივი ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. როგორც ითქვა, გამგეობის წევრთა კორპორაციულსამართლებრივი უფლებები და მოვალეობები ყალიბდება ორგანული ადგილის (ორგანული, კორპორაციული მდგომარეობის) მეშვეობით. თავად საზოგადოებასა და გამგეობის წევრს შორის ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა კი მოწესრიგებულია სასამსახურო გარიგებით, რომელიც სამუშაოს შესრულების ხელშეკრულებაზეა დაფუძნებული. მოწესრიგების საგანს, ძირითადად, წარმოადგენს გამგეობის წევრის ანაზღაურების, ბონუსების დანიშვნის, კონკურენციის აკრძალვის, საპენსიო უზრუნველყოფის[107] და სხვ. საკითხები.[108] მხედველობაში მიიღება ასევე ე.წ. Change of control-ის სამართლებრივი ნორმები[109] და ა.შ.

დანაწევრების და კერძო ავტონომიის პრინციპებიდან გამომდინარე გამგეობის წევრთან სასამსახურო (შრომითი) ურთიერთობა, ორგანულ ურთიერთობასთან ერთად, დამოუკიდებ-

[106] *Frodermann/Schäfer* in Henn/Frodermann/Jannott, Handbuch des Aktienrechts, S. 335.

[107] პენსია, ოჯახის წევრთა სოციალური ანაზღაურების საკითხები (თუ ასეთი გათვალისწინებული იქნება საერთოდ საზოგადოების რეგლამენტაციით) და სხვა.

[108] *van Kann* in van Kann (Hrsg.), Vorstand der AG, S. 42-47.

[109] *Frodermann/Schäfer* in Henn/Frodermann/Jannott, Handbuch des Aktienrechts, S. 352. ეს ის შემთხვევაა, როდესაც სს-ის სხვა კორპორაციის მიერ მოხდება დაუფლება და მაკონტროლებელი ძალაუფლება სხვა პირის ხელში გადადის. ბუნებრივია, ასეთ დროს შესაძლოა დღის წესრიგში დადგეს გამგეობის წევრთა გადაყენების საკითხი.

ლად უნდა წარმოიშვას (დაფუძნდეს). წმინდა ფაქტობრივი თვალსაზრისით, ძალიან ხშირად თანამდებობაზე გამწესება და პერსონალური სამართლაურთიერთობის ჩამოყალიბება საზოგადოებასა და გამგეობის წევრს შორის, ერთ პროცესად განიხილება. სისტემატურად გვხვდება შემთხვევები, როდესაც პირები მხოლოდ მაშინ იღებენ მათ თანამდებობაზე გამწესების წინადადებას (ანუ აცხადებენ თანხმობას), როდესაც იმავდროულად მათთან იდება სასამსახურო ხელშეკრულება და „შრომითი" ურთიერთობა ყალიბდება.

ა) სამართლებრივი ბუნება

სამსახურებრივი ურთიერთობა წარმოადგენს „ვალდებულებითსამართლებრივ ფუნდამენტს ორგანული ადგილისათვის (თანამდებობისათვის)".[110] იგი ეფუძნება სამუშაოს შესრულების ხელშეკრულებას,[111] გამოხატულს, როგორც წესი, ხშირად დავალების შესრულების ხელშეკრულების[112] ფორმაში. შესაძლებელია, რომ გამგეობის წევრმა მასზე დაკისრებული მოვალეობები უსასყიდლოდაც შეასრულოს. ასეთი რამ, რა თქმა უნდა, აკრძალული არ არის. ამ შემთხვევაში, ფუძნდება სპეციფიკური პერსონაფიცირებული (პიროვნული) ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა გამგეობის წევრსა და სს-ს შორის.

[110] *Frodermann/Schäfer* in Henn/Frodermann/Jannott, Handbuch des Aktienrechts, S. 352.

[111] ამ შემთხვევაში გერმანელები საუბრობენ ე.წ. Dienstvertrag-ზე, რომლის ლეგალური დეფინიციაც გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 611-ე პარაგრაფშია მოცემული. ჩვენი გადმოსახედიდან ეს სამუშაოს შესრულების ხელშეკრულება იქნება.

[112] ამ დროსაც სახეზეა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 675-ე პარაგრაფით გათვალისწინებული ე.წ. Geschäfstbesorgungvertrag. ქართულად ეს იქნება დავალების ხელშეკრულება. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში გერმანელები აქცენტს სწორედ რომ სამოქალაქო კოდექსზე, სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობაზე აკეთებენ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ *სამუშაოს შესრულების, სასამსახურო ხელშეკრულების მეშვეობით არ ყალიბდება (ფუძნდება) შრომითი ურთიერთობა.* გამგეობის წევრის თანამდებობაზე გამწესების ხელშეკრულება (სასამსახურო ხელშეკრულება) გვევლინება თავისებური ხასიათის ხელშეკრულებად, რომელიც დირექტორის მხრიდან „დამოუკიდებელი სააქციოსამართლებრივი ქმედებების შესრულების ვალდებულებას" ისახავს მიზნად.[113] გამომდინარე აქედან, შრომის სამართლის ნორმები მასზე არ ვრცელდება. მიუხედავად გამგეობის წევრთა, გარკვეულწილად, საზოგადოებაზე ეკონომიკური დამოკიდებულებისა, დირექტორები საწარმოს მართავენ საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში. ამიტომ მათზე არ ვრცელდება არანაირი (შრომითსამართლებრივად მნიშვნელოვანი) მითითებები. მათი მმართველობითი, ხელმძღვანელობითი ფუნქციიდან გამომდინარე გამგეობის წევრები არ მიიჩნევიან *დაქირავებულ პირებად.*[114] სხვა სიტყვით რომ ითქვას, გამგეობის წევრი არ გახლავთ სამუშაოს მიმღები, მუშა-მოსამსახურე.[115] მათ უჭირავთ „პრინციპალის კონკრეტული ადგილი საწარმოში".[116] თუმცა მათზე ვრცელდება კანონისმიერი ნორმები საპენსიო დაზღვევისა და უმუშევრობის დაზღვევის შესახებ.

დირექტორებთან სასამსახურო ხელშეკრულება ყალიბდება ხელშეკრულების დადებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ხელშეკრულების დადებისას, როგორც ზემოთ აღინიშნა, იყოს დირექტორის საქმიანობის განმახორციელებელი პირის

[113] *Hüffer*, AktG, (2012), §84 Rn. 11.

[114] Beschäftigte.

[115] BetrVerG §5 Abs. 2. Nr. 1. *Spindler* in MünchKomm AktG, Band 2, 3. Auf., (2008), §84 Rn. 55.

[116] *Seibt* in K. Schmidt/Lutter, AktG, (2008), §84 Rn. 34.

თანხმობა. ყურადსაღებია ასევე, რომ ეს ხელშეკრულება იურიდიულად ძალაში არ შედის თანამდებობაზე გამწესების, დანიშვნითი აქტით. მხოლოდ ეს უკანასკნელი საკმარისი არ არის იმისათვის, რომ დირექტორთან სამსახურებრივი ურთიერთობა დამყარდეს. აუცილებელია ხელშეკრულების დადება, თუმცა თავად ხელშეკრულება საზოგადოებასა და გამგეობის წევრს შორის შესაძლოა როგრც ზეპირად ან წერილობით, ისე კონკლიუდენტური ქმედებითაც დაიდოს.

საზოგადოების მხრიდან ამ შემთხვევაში უფლებამოსილ ორგანოს სამეთვალყურეო საბჭო წარმოადგენს. სწორედ იგია კომპეტენტური სასამსახურო ხელშეკრულების დადებაზე, მის შინაარსზე და მის ყოველ შემდგომ ცვლილებაზე. სამეთვალყურეო საბჭო ამ საკითხს გადაწყვეტილების მიღების ფორმით წყვეტს.[117]

მიუხედავად იმისა, რომ დირექტორებთან სამართლებრივ ურთიერთობაზე არ ვრცელდება შრომითსამართლებრივი ნორმები, გერმანული სამართალი იცნობს განსაკუთრებულ და სპეციფიკურ შემთხვევებს, როდესაც შრომით ნორმებს ამ ურთიერთობაზე მაინც ავრცელებენ. კომენტატორულ ლიტერატურაში არის საუბარი იმაზე, რომ გამგეობის წევრთა სასარგებლოდ შესაძლებელია, გამოყენებული იქნეს შრომითსამართლებრივი ნორმები, მაგრამ არსებითად მკვეთრად განსაზღვრულ საგამონაკლისო შემთხვევებში. ეს ის შემთხვევაა, როდესაც, მაგალითად, მათი ადგილი ფაქტობრივად გათანაბრებულია სამუშაოს მიმღების, მუშა-მოსამსახურის ადგილთან და შრომის დაცვის შესაბამისი ნორმებიდან ან მათი განმარტებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.[118]

[117] საქართველოს შემთხვევაში წესდებით განსაზღვრული ორგანო – საერთო კრება ან სამეთვალყურეო საბჭო.

[118] *Hefermehl/Spindler* in MünchKommAktG, §84 Rz. 44.

გამგეობა თავად არის ნების გამომვლენი ორგანო. გამგეობის წევრი სასამსახურო ურთიერთობის საფუძველზე იმყოფება სამუშაოს შემსრულებლის ადგილზე საზოგადოებასთან მიმართებით. სამუშაოს მიმღების, დაქირავებულის ცნების განმარტებისთვის გადამწყვეტია პერსონალური, პირადი დამოკიდებულება სხვა პირზე. დირექტორატის წევრები საზოგადოების კანონიერ წარმომადგენლობით წევრებად განიხილებიან და თავად ქმნიან და ახორციელებენ საწარმოს და დამქირავებელის ფუნქციებს. ისინი, როგორც არაერთგზის ითქვა, მართავენ საზოგადოებას საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ. ამიტომ მათი დამოუკიდებელი სამართლებრივი ადგილიდან გამომდინარე, ისინი არ განიხილებიან დაქირავებულ მუშაკებად, მუშა-მოსამსახურეებად.

დირექტორებზე არ ვრცელდება სოციალური ნორმები სამუშაოს ხელშეკრულების უსამართლო შეწყვეტის შესახებ. თუმცა სასამართლო, ზოგიერთ შემთხვევაში, როგორც ზემოთ იქნა ნახსენები, გამოდის იქიდან, რომ დაიცვას დირექტორი და უზრუნველყოს მისი ორგანული თანამდებობრივი ადგილი არა როგორც დირექტორის, არამედ როგორც იმ პირისა, რომელმაც საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში უნდა მართოს საწარმო და პირადად იყოს ვალდებული საწარმოს საქმიანობის რენტაბელობაზე.[119] გამომდინარე აქედან, დირექტორისთვის შრომითსამართლებრივი ნორმების გავრცელება ხელს შეუწყობს მისი საქმიანობის უკეთესად წარმოჩენას, მისცემს რა მას გარანტიას სოციალური სამართლიანობისა და მისი საქმისადმი პასუხისმგებლობაუნარიანად შესრულებისა. თუკი დირექტორი, მისი კონკრეტული ფუნქციის შესრულებისას გაიგივებულია საწარმოს მუშა-მოსამსახურესთან, მაშინ მისივე და, ზოგადად, საწარმოს ინტერესებიდან გამომდინარე, უმჯო-

[119] *Henze*, Höchstrichterliche Rechtsprechung, (2005), S. 164 ff.

ბესია მასაც გარკვეული სოციალური გარანტია და დაცულობა ჰქონდეს, რათა უკეთესად და თამამად განახორციელოს საქმიანობა. ამიტომ ამ შემთხვევაში შრომით-სამართლებრივი ნორმა-დებულებების გავრცელება ხელის შემშლელი ვერ იქნება.

მოკლედ, დირექტორატის წევრის სამართლებრივი ადგილი საკორპორაციო სამართალში სხვადასხვანაირად განიმარტება. გერმანული სამართალი მასთან გაფორმებულ გარიგებას განიხილავს ვალდებულებით სახელშეკრულებო სამართლებრივ და სპეციფიკურ კორპორაციულსამართლებრივ ურთიერთობად. მასზე არ ვრცელდება შრომის კანონმდებლობა, თუმცა არსებობს გამონაკლისები, როდესაც ამ უკანასკნელს ავრცელებენ დირექტორებსა და საზოგადოებას შორის დავის შემთხვევებზე. ეს კი, უპირატესად, განპირობებულია იმით, რომ დირექტორი, რომელიც თავად არის პასუხისმგებელი საწარმოს მართვაზე, უფრო დაცული იყოს, მისი საქმიანობა კი - გარანტირებული.

4.1.3. გამგეობის წევრის გამოწვევა/განთავისუფლება

სს-ის გამგეობის წევრად სააქციო კანონმდებლობის მიხედვით ფიზიკური პირი[120] ხუთი წლის ვადით ინიშნება.[121]

[120] გერმანული სამართალი პირდაპირ მიუთითებს, რომ გამგეობა აუცილებლად ფიზიკური ქმედუნარიანი (და სხვა მოთხვნების მქონე) პირისგან უნდა იყოს დაკომპლექტებული. ეს კანონის პირდაპირი მოთხოვნაა. თუმცა არსებობს ქვეყნები, სადაც კანონით ეს პირდაპირ განსაზღვრული არ არის, რაც თეორიულად იმას ნიშნავს, რომ გამგეობის წევრად ასევე შეიძლება მოგვევლინოს იურიდიული პირი (მაგ, ავსტრია). „მეწარმეთა შესახებ“ კანონი პირდაპირ არ ითვალისწინებს დრექტორატის წევრის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. ვფიქრობ, რომ თეორიულად შესაძლებელი უნდა ყოფილიყო იურიდიული პირის (უფრო სწორედ, მისი წარმომადგენლის) წარდგენა დირექტორად. უბრალოდ, ნაციონალური კანონის სიტყვასიტყვითი

ვადის გასვლის შემდეგ, როგორც წესი, სამეთვალყურეო საბჭო გამგეობას ახალი წევრით აკომპლექტებს. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ არსებულმა დირექტორმა ხელახლა დაიკავოს ეს ადგილი. აღნიშნული შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ამ პირის გადანიშვნით, ისე მისი უფლებამოსილების ვადის გაგრძელებით.[122] თუმცა კომენტატორულ ლიტარეტურაში აღნიშნულია, რომ ორივე შემთხვევაში შემდგომი უფლებამოსილების ვადა არ უნდა აღემატებოდეს ხუთ

მოცემულობა ყურადღებას ამახვილებს არა გამგეობაზე (როგორც ეს გერმანულ, ავსტრიულ კანონებშია), არამედ დირექტორზე. ამ შემთხვევაში კი დირექტორის ქვეშ, ალბათ, უფრო ფიზიკური პირი უნდა მოვიაზროთ, ვიდრე ზოგადად პირი (როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული).

[121] AktG §84 Abs 1 Satz (1). „სამეთვალყურეო საბჭო გამგეობის წევრს ნიშნავს მაქსიმუმ ხუთი წლით“. „მეწარმეთა შესახებ“ კანონი ასეთ ჩანაწერს არ იცნობს, რაც ნიშნავს, რომ დირექტორის უფლებამოსილების ვადა წესდებით დგინდება. მისი თანამდებობაზე გამწესების შემთხვევაში, თუკი წესდებით ასეთი ვადა არ არის დადგენილი, მასთან დადებულმა ხელშეკრულებამ უნდა გაითვალისწინოს თანამდებობრივი ფუნქციის განხორციელების ვადა. იმ შემთხვევაში კი, როდესაც დირექტორთან არ არის გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულება (რაც, დავის არსებობის შემთხვევაში, მტკიცების ტვირთთან დაკავშირებულ საკითხებს ნამდვილად ვერ გააადვილებს), მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი თანამდებობაზე უვადოდ არის გამწესებული.

[122] გამგეობის წევრის (წევრების) ვადაზე ადრე გამოწვევა და კვლავ დანიშვნა (გადანიშვნა) პრაქტიკაში სააქციო კანონის 84-ე მუხლის პირველი აბზაცის მესამე წინადადების გვერდის ავლის შემთხვევადაც ინათლება. Grigoleit/*Vedder* AktG, 2013, §84 Rn. 11. თუმცა უფლების ბოროტად გამოყენებასა (Rechtsmissbrauch) და კანონის გვერდის ავლას (Gesetzesumgehung) შორის განსხვავებაა დასანახი. უახლეს გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში იკვეთება მოსაზრება, რომ აღნიშნული მუხლი კანონით დასაშვებ „კანონის ავლის“ ფარგლებს ადგენს, რასაც გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლოს უახლესი პრაქტიკაც ადასტურებს. BGH = NZG 2012, 1027 ff. ამ საკითხის, ასევე, ფედერალური უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილების კრიტიკის შესახებ იხ.: *Wedemann,* ZGR 2013, S. 316-331; *Paschos/von Linden,* AG Heft 20/2012, S. 736 ff.

წელს.[123] შესაძლებელია, ასევე, უფლებამოსილების ვადის ავტომატური გაგრძელება.[124] ავტომატურად გაგრძელებული ვადა კვლავ ხუთ წელს არ უნდა აღემატებოდეს და სხვაგვარი შეთანხმება, რომელიც შესაძლოა წესდებით ან ცალკე გადაწყვეტილებით იქნეს ჩამოყალიბებული, ბათილი იქნება. გერმანულ სამართალში მიჩნეულია, გამგეობის წევრის უფლებამოსილების ხუთწლიანი[125] ვადა არის სავსებით გონივრული ვადა იმისათვის, რომ დირექტორისთვის, როგორც საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში საწარმოს ხელმძღვანელი სუბიექტისთვის, უზრუნველყოფილი იყოს საწარმოს კარგად და დამოუკიდებლად მართვის შესაძლებლობა. კანონის მიერ დადგენილი ვადა, რომელიც, როგორც მაქსიმუმად, ისე ერთდროულად მინიმუმადაც განიხილება, არის გარანტია გამგეობის წევრის მიერ საზოგადოების *მიუკერძოებელი მართვის* პროცესისა და ამის უზრუნველმყოფ მექანიზმადაც არის გარკვეულწილად მიჩნეული.[126] მოკლედ, გერმანული სამართლის მიხედვით, კანონის მიერ „მკაცრად" დადგენილი ეს ვადა დირექტორის ადგილის გარანტიას ემსახურება. თუმცა ამის საპირწონედ ამავე მუხლის (84-ე პარაგრაფზეა საუბარი) მე-3 აბზაცია მიჩნეული, რომლის შესაბამისადაც სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერ დროს აქვს უფლება *„უკან გამოიხმოს გამწესება"*[127], ანუ დირექტორს უფლებამოსილება ვადამდე ადრე შეუწყვიტოს. ამას კანონი გარკვეულ შეზღუდვებს უკავშირებს. კერძოდ, უკან გამოწვევა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც სახეზეა *მნიშვნელოვანი საფუძველი.*[128] კანონი ასევე ცდილობს დააკონკრეტოს, თუ რა შეიძლება იყოს ამგვარ მნიშვნელოვან საფუძვლად მიჩნეული. ამიტომ ამავე მუხლის მეორე წინადადებაში კანონმდებელი ადგენს, რომ „ასეთი საფუძველი შეიძლება იყოს, კერძოდ მოვალეობის უხეში დარღვევა, წესიერი ხელმძღვანელობის უუნარობა ან საერთო კრების მიერ გამგეობისათვის უნდობლობის გამოცხადება".[129] მიუხედავად კანონის, თითქოსდა, კონკრეტული ჩამონათვალისა, მნიშვნელოვანი საფუძველის არსებობა და ამის შედეგად გამგეობის წევრისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის განხილვა, მაინც კონკრეტული შემთხვევის შეფასების საგანზეა დამოკიდებული. მაგალითად, რომ ავიღოთ, წესიერი ხელმძღვანელობითი უნარის არქონა. ეს ფრაზა აბსტრაქტულია და, თავის მხრივ, თავად ამ სიტუაციის კონკრეტული ინდივიდუალური კაზუსიდან გამომდინარე შეფასებას მოითხოვს, რაც ზოგადად (სამეთვალყურეო საბჭოს შეფასების[130] შემდეგ) სამოსამართლო სამართლის საქმეა[131]. მოკლედ, დირექტორის ვადამდე ადრე გამოწვევა სავსებით შესაძლებელია. ასეთი გამოწვევა გარკვეულ საფუძველს უნდა ემყარებოდეს. ეს საფუძველი კორპორაციულსამართლებრივად გამართლებული უნდა იყოს, რათა მისი ბოროტად გამოყენების შემთხვევაში სტიმული არ მიეცეს დირექტორის მხრიდან მისი პასუხისმგებლობისადმი უდიერ მიდგომას და მის მიერ განხორციელებული საქმიანობის მიუკერძოებლობას.

[123] *Hüffer*, AktG, (2012), §84 Rn. 6.
[124] *Hüffer*, AktG, (2012), §84 Rn. 6.
[125] უფრო სწორედ, ექვსწლიანი ვადა (კანონის ჩანაწერიდან გამომდინარე). *Wedemann*, ZGR 2013, S. 319.
[126] Grigoleit/*Vedder* AktG, 2013, §84 Rn. 5.
[127] "kann die Bestellung... widerruffen".

[128] AktG §84 Abs. 3 Satz (1).
[129] AktG §84 Abs. 3 Satz (2). „Ein solcher Grund ist namentlich grobe Pflichtverletzung, Unfähigkeit zur ordnungsmässigen Geschäftsführung oder Vertrauensentzug durch die Hauptversammlung".
[130] *Thüsing* in Fleischer (Hrsg.), HdbVorstandsrechts, §5 Rn. 8.
[131] სასამართლო პრაქტიკის განზოგადება და ლიტერატურაში არსებული მდგომარეობის მიმოხილვა იხ. იქვე: *Thüsing* in Fleischer (Hrsg.), HdbVorstandsrechts, §5 Rn. 18 ff.

ქართულ საკორპორაციო სამართალში კვლავ საწესდებო ავტონომიის ფარგლები ბატონობს. ვადა, როგორც აღინიშნა, დადგენილი საერთოდ არ არის. საერთო კრებას (სამეთვალყურეო საბჭოს) ნებისმიერ დროს აქვს დირექტორის გამოწვევის საკითხის დაყენების უფლება. დირექტორის ვადამდე უფლებამოსილების შეწყვეტა რაიმე სპეციალურ კანონზე ბაზირებულ მოთხოვნას არ ემყარება. მაშასადამე, მეწარმეთა კანონი არ იცნობს გერმანულ სააქციო კანონის მაგვარ ნორმას, რომელიც „დეტალურად" განსაზღვრავდა გამგეობის წევრის გამოხმობის საფუძველს. ამიტომ ქართულ რეალობაში ძალიან დიდი მნიშვნელობა სამოსამართლო სამართალს ენიჭება. ეს შემთხვევა კონკრეტული კაზუსის გადაწყვეტის გზით უნდა იქნეს ახსნილი. თუმცა ზოგადი კონტურების ჩამოყალიბება აქაც არის შესაძლებელი: იმ ვითარებაში, როდესაც დირექტორებზე წმინდად შრომით-სამართლებრივ ურთიერთობას ავრცელებდნენ, ქართული კორპორაციული პრაქტიკა იმ მიმართულებით წავიდა, რომ ძალიან ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც დირექტორები გაუთავებლად ასაჩივრებდნენ მათი განთავისუფლების გადაწყვეტილებას სასამართლოში, ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად საწარმოსათვის მეტად არასასურველი შედეგის მომტანი ღონისძიებაც შესაძლოა გამოყენებულიყო, რაც, თავის მხრივ, კორპორაციას მეტად რთულ ვითარებაში აგდებდა. როგორც წესი, სასამართლო გადაწყვეტილებათა უმრავლესობა დირექტორის საწინააღმდეგოდ მთავრდებოდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ხშირ შემთხვევებში მათი გათავისუფლების საფუძველი მათ მიერ მოვალეობების დარღვევას, მათზე დაკისრებული ამოცანების შეუსრულებლობას და ა.შ. ემყარებოდა. გამომდინარე იქიდან, რომ დირექტორი კორპორაციულ სტრუქტურაში მეტად თავისებურ და მნიშვნელოვან რგოლშია მოქცეული და მისი მიჩნევა მუშა-მოსამსახურედ არ შეიძლება, მის მიმართ საზოგადოების სხვაგვარ დამოკიდებულებას წარმოაჩენს. მას სამართავად კორპორაციის ქონება აქვს მინდობილი. მართვის პროცესში იგი დამოუკიდებელია. თუმცა საზოგადოებას ნებისმიერ დროს უნდა ჰქონდეს მისი გამოწვევის შესაძლებელობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს „აქციონერთა დემოკრატიული ბატონობის" პრინციპს შეეწინააღმდეგებოდა. ინვესტორზე ბევრად არის დამოკიდებული მენეჯმენტის არჩევის საკითხი, განსაკუთრებით კი, კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში.[132] მისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს დირექტორის როგორც თანამდებობაზე გამწესების, ისე მისი გამოხმობის უფლება. ამიტომაც არის ხოლმე საერთაშორისო კორპორაციულ პრაქტიკაში, რომ სს-ში ძალაუფლების ცვლილების დროს დღის წესრიგში გამგეობის წევრთა შეცვლის (ჩანაცვლების) საკითხი შეიძლება დადგეს. ინვესტორისთვის კი ეს უფლება გარანტირებული უნდა იყოს.[133] თუმცა საზოგადოების ამ უფლებას ერთგვარად დირექტორის მიერ საწარმოს საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში წარმართვის მოვალეობა უკავშირდება. გამგეობის წევრი, როგორც განსაკუთრებული

[132] გერმანულ სამართალშიც, სადაც მკვეთრად განსაზღვრული კორპორაციული მართვის ორსაფეხურიანი მოდელია, სამეთვალყურეო საბჭოზე „გონივრული და დასაშვები ზემოქმედების" მოხდენა გამგეობაში კონკრეტული წევრების კანდიდატურების წარდგენის თაობაზე აქციონერთა შეთანხმების საგანიც შეიძლება იყოს. იხ.: *Niewiarra,* Verträge zwischen Vorstand und Aktionär, BB 1998, S. 1963 f. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ზემოაღნიშნულ პოზიციას. ამასთან „მეწარმეთა შესახებ" კანონი 55-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ვ[1]" პუნქტში პირდაპირაა მითითებული, რომ საზოგადოებაში, სადაც ხმათა საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტს სახელმწიფო ფლობს, აუცილებელია სამეთვალყურეო საბჭომ დირექტორის დანიშვნისა და მისი გამოწვევის საკითხი მაჟორიტარ აქციონერს შეუთანხმოს.

[133] განსაზღვრული, შეთანხმებით დადგენილი გამონაკლისების გარდა. მაგალითად, ე.წ. control change ნორმები.

სტატუსის მქონე „დაქირავებული პირი“ კორპორაციაში, ასევე განსაკუთრებული მიდგომით სარგებლობს. ეს განაპირობებს იმას, რომ იგი საქმიანობის განხორციელების პროცესში და გადაწყვეტილების მიღებისას დამოუკიდებელი, თავისუფალი და მიუკერძოებელი უნდა იყოს. ეს კი მისი ვადამდე გამოწვევის უფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვით უნდა იყოს უზრუნველყოფილი. ამიტომ ქართული საკორპორაციო სამართალიც უნდა წავიდეს იმ მიმართულებით, რომ დირექტორის ადგილი სამოსამართლო სამართლით გამყარდეს. მართალია, დირექტორებზე არ ვრცელდება შრომითსამართლებრივი ურთიერთობა და იგი სპეციფიკურ სამართალურთიერთობად იქნა დანახული, თუმცა ზოგადი სახელშეკრულებოსამართლებრივი პრინციპები მისთვისაც, რასაკვირველია, უნდა იყოს მოქმედი. გამწესების ხელშეკრულება თავის თავში ვალდებულებითსამართლებრივ ნორმა-დებულებებს მოიცავს. შესაბამისად, სასამართლო ხელშეკრულების შეწყვეტის ზოგად სამართლებრივ პრინციპებსაც უნდა დაეყრდნოს. ეს უზრუნველყოფს დირექტორის ადგილს კორპორაციაში და სტიმულს მისცემს მას, რომ გადაწყვეტილებების მიღებაში, საწარმოს მართვის საქმეში მიუკერძოებელი იყოს. მხოლოდ თავისუფლების სულისკვეთებით გარანტირებული და აღიარებული მართვა უნდა იქნეს მიჩნეული საწარმოს საქმიანობის რენტაბელობის წინაპირობად. ამ პრინციპში არაგონივრული ჩარევა (თუნდაც აქციონერის მხრიდან) ვერასდროს ჩამოაყალიბებს საქართველოში მიზანშეწონილი კორპორაციული მართვის სისტემას.

მოკლედ, დირექტორის გამოწვევა ნიშნავს „კორპორაციული ორგანოს ადგილის გაქრობას, რომლის შედეგადაც წარმომადგენლობითი ძალაუფლება და ხელმძღვანელობითი უფლება-მოვალეობა მის ლოგიკურ დასასრულამდე მიდის“.[134] მიჩნეულია, რომ გამოწვევა, დანაწევრების პრინციპიდან გამომდინარე, თავისთავად არ ნიშნავს გამწესების, უფრო სწორედ, ვალდებულებითსამართლებრივი ხასიათის სასამსახურო ხელშეკრულების დასრულებას[135], თუმცა ამ უკანასკნელის შეწყვეტით, რაც, როგორც წესი, საზოგადოების მხრიდან კონკლუდენტური ქმედებიდან გამომდინარეობს, ეს ორი ინსტიტუტი ხშირ შემთხვევაში ძალიან მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან.[136] როგორც აღინიშნა, გამოწვევა ლოგიკურად დირექტორთან სასამსახურო ხელშეკრულების შეწყვეტას საჭიროებს, თუმცა ავტომატურად ამას არ ნიშნავს. სასამსახურო ხელშეკრულების შეწყვეტა კი, როგორც კომენტატორულ ლიტერატურაშია მიჩნეული, აღარ მოითხოვს ცალკე გამოწვევის პროცედურას, რადგანაც ხელშეკრულების შეწყვეტა დანიშვნის გამოხმობის პარალელურად ხდება, თუკი გამგეობის წევრის მანდატიდან გამომდინარე ხელშეკრულების მოდიფიცირებასთან არ გვაქვს საქმე.[137] სამართლებრივი ბუნების თვალსაზრისით გამგეობის წევრის გამოწვევა, ისევე როგორც თავად დანიშვნა, *კორპორაციულსამართლებრივ აქტად* არის აღიარებული.[138] ამასთან, დირექტორთან ურთიერთობის გაწყვეტისას, იმისთვის, რომ იგი იურიდიული ძალის მქონე იყოს, საჭირო არ არის თავად გამოსაწვევი პირის თანხმობა.

[134] *Thüsing* in Fleischer (Hrsg.), HdbVorstandsrechts, §5 Rn. 1.

[135] Hölters/*Weber* §84 Rn. 64.

[136] *Thüsing* in Fleischer (Hrsg.), HdbVorstandsrechts, §5 Rn. 1. გამგეობის წევრის გამოწვევა ყოველთვის არ არის დაკავშირებული უკვე ყოფილ დირექტორთან კორპორაციულ-სამართლებრივი კავშირის სრულად გაწყვეტასთან. შესაძლებელია, რომ სასამსახურო-სამართლებრივი კავშირურთიერთობა შრომით-სამართლებრივ დამოკიდებულებაში ტრანსფორმირდეს. იხ. იქვე: *Thüsing* in Fleischer (Hrsg.), HdbVorstandsrechts, §5 Rn. 51.

[137] Hölters/*Weber* §84 Rn. 64.

[138] *Spindler* in MünchKomm AktG, Band 2, 3. Auf., (2008), §84 Rn. 107.

ეს, ბუნებრივია, შეეწინააღმდეგებოდა თანამდებობრივი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის პრინციპს.

გამოწვევა შეიძლება შეეხოს როგორც გამგეობის ცალკეულ წევრს, ისე მის ყველა წევრს.[139] გამოწვევით დირექტორი გამგეობის წევრის სტატუსს კარგავს და იგი რეესტრიდანაც უნდა იქნეს ამოშლილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მესამე პირების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით იგი კვლავ დირექტორად განიხილება.[140] ასეთ შემთხვევაში, თუკი გამგეობის რომელიმე წევრი, რომელსაც შიდაორგანიზაციულად შეუწყდა უფლებამოსილება, დადებს გარიგებას მესამე პირთან, გარიგება იურიდიული ძალის მქონედ და საზოგადოების სახელით დადებულად მიიჩნევა. ეს კი (იშვიათად) ხდება მაშინ, როდესაც დირექტორი ფაქტობრივად აგრძელებს საქმიანობას.[141] იგივენაირად გადაწყდებოდა საკითხი ქართულ საკორპორაციო სამართალშიც. აქ განსხვავება არ იკვეთება. დირექტორის ადგილის მოსაპოვებლად მესამე პირებთან ურთიერთობაში აუცილებელია მისი რეგისტრაცია კომერციული და არაკომერციული იურიდიული პირების რეესტრში. საზოგადოების სახელით გამოსვლის, საწარმოს ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილებაც, როგორც უკვე აღინიშნა, გარესამართლებრივ სიტუაციაში მხოლოდ რეგისტრირებულ დირექტორს ენიჭება. იმ შემთხვევაში, თუკი საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებულია გადაწყვეტილება დირექტორის გამოწვევის თაობაზე, მაგრამ ეს გადაწყვეტილება ჯერ რეგისტრირებული არ არის რეესტრში, დირექტორი მესამე პირთა წინაშე კვლავ ხელმძღვანელ და წარმომადგენლობით პირად უნდა განვიხილოთ. ამ დროს იგი, მიღებული გადაწყვეტილების მიუხედავად, ფაქტობრივად კვლავ აგრძელებს საქმიანობას. შესაბამისად, საზოგადოების ინტერესში შედის ამ იურიდიული ფაქტის შესახებ მონაცემის დაფიქსირება მარეგისტრირებელ ორგანოში. კეთილსინდისიერი მესამე პირის შემთხვევაში საზოგადოება ვერ დაეყრდნობა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტს. თუმცა საინტერესოა, როგორ უნდა გამოიყურებოდეს აღნიშნული ნორმა დირექტორის გამოწვევის შემთხვევაში (ანუ, როდესაც გამგეობის წევრი მოხსნილია, მაგრამ ამის შესახებ მონაცემი ჯერ კიდევ შეტანილი არ არის სამეწარმეო რეესტრში). დავუშვათ, რომ სს-ის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2013 წლის 10 სექტემბერს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დირექტორის (გიორგის) ვადამდე ადრე გამოწვევისა და გამგეობის ახალი წევრის (ირაკლის) დანიშვნის შესახებ. სამეთვალყურეო საბჭოს აღნიშნულ სხდომას, როგორც დაინტერესებული პირი, ესწრებოდა ამავე საზოგადოების სესხის გამცემი ბანკი (სტანდარტ-ბანკი). 2013 წლის 20 სექტემბერს ეს ცვლილება დარეგისტრირდა კომერციული და არაკომერციული იურიდიული პირების რეესტრში. ამავე წლის 15 სექტემბერს სს-ის დირექტორთან (გიორგისთან) ზემოთ აღნიშნულმა ბანკმა დადო გარიგება. საზოგადოების მტკიცებით გარიგება ზიანის მომტანი აღმოჩნდა კორპორაციისთვის, რაც უნდა გამხდარიყო მეწარმეთა კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად შედავების (ბათილობის) საფუძველი. როგორ გადაწყდებოდა დავა ამ შემთხვევაში? იმისათის, რომ დასმულ კითხვას გაეცეს პასუხი, აუცილებელია, მთლიანად მე-4 პუნქტის ფორმულირებას მიექცეს ყურადღება. მე-4 პუნქტის პირველ წინადადებაში საუბარია ხელმძღვანელობის უფლებამოსილების *შეზღუდვის* თაობაზე: თუ ხელშეკრულების დადებისას კონტრაგენტისათვის ცნობილი იყო მეწარმე სუბიექტის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, მაშინ წარმოდგენილ

[139] *Spindler* in MünchKomm AktG, Band 2, 3. Auf., (2008), §84 Rn. 112.

[140] საზოგადოების გარესამართლებრივ ურთიერთობაში.

[141] *Spindler* in MünchKomm AktG, Band 2, 3. Auf., (2008), §84 Rn. 112.

მეწარმე სუბიექტს (ხელშეკრულების დადებიდან 18 თვის განმავლობაში) ამ ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება ენიჭება. აქ მნიშვნელოვანია, რომ კანონი ყურადღებას ხელმძღვანელობითი საქმიანობის შეზღუდვაზე და არა მის მთლიან გამორიცხვაზე აკეთებს. ეს ის შემთხვევა უნდა იყოს, როდესაც პირი როგორც ფაქტობრივად, ისე მატერიალურ-სამართლებრივად მიიჩნევა საზოგადოების დირექტორად, რადგან ასეთად არის რეგისტრირებული სამეწარმეო რეესტრში. მისი, როგორც გამგეობის წევრის სტატუსის სამართლებრივი კაუზა რეგისტრაციაში მდგომარეობს. როგორც წიგნის წინა თავებში აღინიშნა, შესაძლებელია, რომ წესდებით დირექტორს ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება შეზღუდული ჰქონდეს (მაგალითად, დადოს გარიგება, რომელიც სამეთვალყურეო ან პარტნიორთა საერთო კრების თანხმობას მოითხოვს). შესაბამისად, მე-4 პუნქტის პირველი წინადადებიდან გამომდინარე, თუკი კონტრაგენტმა იცის ასეთი უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, მაგრამ ამ დირექტორთან ერთად განზრახ დებს საზოგადოების ინტერესის შემლახავ გარიგებას, მაშინ წარმოდგენილი მეწარმე სუბიექტი ამ გარიგების ბათილად ცნობას მოითხოვს. როგრც ვხედავთ აქ ლაპარაკი არ არის დირექტორის უფლებამოსილების არქონაზე. ამ სიტუაციაში დირექტორს უჭირავს გამგეობის წევრის ორგანული ადგილი და, ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ მას ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებაც აქვს. უბრალოდ, ეს უკანასკნელი შეზღუდულია. თანაც კანონში საუბარია *ხელმძღვანელობაზე* და არა წარმომადგენლობაზე, ანუ ხელძღვანელობითი კომპეტენციის შეზღუდვაზე. ზოგადი წესის მიხედვით, წარმომადგენლობითი უფლაბმოსილება მესამე პირების წინაშე არ შეიძლება შეიზღუდოს. ხელმძღვანელობის შეზღუდვა კი შიდაორგანიზაციულ დანაწესებს ექვემდებარება. მას მაშინ ექნება ძალა მესამე პირისთვის, როდესაც კონტრაგენტმა იცოდა ამის შესახებ, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც დადო საზოგადოებისთვის ზიანის მომტანი გარიგება. მოკლედ, ზემოთ აღწერილ შემთხვევაში დირექტორი მაინც რჩება საზოგადოების წარმომადგენლად (იგი რეგისტრირებულია), ფაქტობრივად აგრძელებს მოქმედებას და ეს მოქმედება საზოგადოების სახელით განხორციელებულად ჩაითვლება. ამიტომ, ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს იმას, იცოდა თუ არა მესამე პირმა, რომ შიდაორგანიზაციულად (გამოწვევის აქტით) გამგეობის წევრი გადაყენებულია თანამდებობიდან. იმისათვის, რომ ეს იურიდიული ძალის მქონე აქტად ჩაითვალოს ყველა მესამე პირისთვის, უნდა მოხდეს სათანადო აღვნიშვნის გაკეთება სამეწარმეო რეესტრში.

5. გამგეობის ურთიერთკავშირი საზოგადოების სხვა ორგანოსთან

საწარმოს მიერ საქმიანობის განხორციელების პროცესი საზოგადოებაში ჩართული ყველა მოქმედი რგოლის ქმედებას მოიცავს. ამაში შედის საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოსა[142] და გამგეობის მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში საქმიანობის წარმართვა. მაგრამ მმართველობითი საქმიანობა, მისი პირდაპირი გაგებით, უშუალოდ უკავშირდება კორპორაციის ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობით ორგანოს — გამგეობას. ამ თვალსაზრისით დირექტორატის როლი კორპორაციული მართვის სისტემაში ნამდვილად ფასდაუდებელია და, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მასზე გადამწყვეტად არის დამოკიდებული საწარმოს აწმყოცა და მომავალიც. მართვის პროცესისას გამგეობა ვალდებულია სხვა

[142] საქართველოს პირობებში ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ორგანოებთან თანაქმედებაზე. ამ ორგანოებთან ურთიერთკავშირის გარეშე კორპორაციის მართვა წარმოუდგენელი იქნებოდა. ამასთან სს-ის იდეალტიპური შემთხვევა ამოდის იქიდან, რომ ამ ორგანოებს შორის არანაირი სუბორდინაციული ურთიერთდამოკიდებულება არ არსებობს. ისინი ჰორიზონტალურ ვერტიკალში მოქმედი სუბიექტები არიან და არც ერთ ამ სუბიექტთაგანს არ აქვს არანაირი უპირატესობა მეორეზე.[143] ყოველივე ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი გაუცხოვებულნი არიან ერთმანეთისაგან, ან, მაგალითად, სამეთვალყურეო საბჭოს, რომლის ძირითადი კომპეტენციაც გამგეობის ზედამხედველობითი ფუნქციით შემოიფარგლება, არ ჰქონდეს ამ უკანასკნელზე რეალური მაკონტროლებელი ფუნქციები. ბუნებრივია, ეს ფუნქცია განხორციელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც სამეთვალყურეო საბჭოს დირექტორატზე შესაბამისი ქმედითი ღონისძიების გატარების შესაძლებელობა მიეცემა. ეს კი გამორიცხული უნდა იყოს იმ პირობებში, როდესაც გამგეობა მაკონტროლებელი ორგანოს გარეშე გადადგამს ნაბიჯს და მიიღებს გადაწყვეტილებას. უფრო მეტიც, ზოგ შემთხვევაში კანონით ანდაც წესდებით ეს აუცილებელიც არის. გამგეობისა და საზოგადოების სხვა ორგანოთა თანაქმედების შემთხვევები, უმეტესწილად, კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. მეწარმეთა კანონმდებლობა, იმ შემთხვევაში, როდესაც ეს წესდებით გათვალისწინებული არ არის, სამეთვალყურეო საბჭოს სპეციალურ კომპეტენციაში აქცევს გამგეობაზე ისეთი აქტიური მაკონტროლებელი ღონისძიებების გატარებას, რომელიც საზოგადოების „პოლიტიკური გადაწყვეტილების“ მიღებას უკავშირდება.

[143] *Pentz* in Fleischer (Hrsg.), HdbVorstandsrechts, §16 Rn. 3, 4; §17 Rn. 2.

5.1. სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭოს ასეთ სპეციალურ კომპეტენციას წარმოადგენს საზოგადოების 50%-ზე მეტი წილის შეძენა-გასხვისება.[144] აქ, უპირატესად, ის წილები მოიაზრება, რომელიც საზოგადოებას ეკუთვნის, ანუ, როდესაც საზოგადოება, მაგალითად, სხვა საწარმოში (ვთქვათ, კონცერნის შემთხვევაში) ფლობს 50%-ზე მეტს და მისი გასხვისება უნდა. თუმცა ამავდროულად, კანონის ჩანაწერიდან გამომდინარე, საუბარია უბრალოდ სხვა საზოგადოებაში 50%-იანი მონაწილეობით-სამართლებრივი უფლების შეძენაზე; საზოგადოების „პოლიტიკური გადაწყვეტილების“ სფეროში შედის ასევე საზოგადოების ფილიალების დაარსება და უკვე დაარსებულის გაუქმება (ლიკვიდაცია);[145] ამ შემთხვევაშიც დირექტორატი სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად იღებს ამის შესახებ გადაწყვეტილებას. წლიური ბიუჯეტის (დაგეგმვის მიღების) ან საზოგადოების სახელით გრძელვადიანი ვალდებულების აღება;[146] ზოგადად ვალდებულებათა აღება და აღებული ვალდებულებების უზრუნველყოფა იმ (საშუალებით და) ოდენობით, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ზღვარს აღემატება.[147] ამასთან, არ შეიძლება იმ ვალდებულებათა უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, რომლის შესახებაც გადაწყვეტილება საერთო კრებას არ მიუღია. ეს

[144] „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 55-ე მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

[145] „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 55-ე მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

[146] „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 55-ე მუხლის მე-8 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

[147] ეს საკიხი მჭიდრო კავშირშია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 55-ე მუხლის მე-8 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტთან. ამიტომ, ამ უკანასკნელზე საგანგებოდ აქ აღარ შევჩერდები.

ის შემთხვევებია, როდესაც საკითხი დირექტორების ან სამეთვალყურეო საბჭოს ვალდებულებათა უზრუნველყოფას ეხება;[148] თუკი კორპორაცია გადაწყვეტს ახალი ტიპის ეკონომიკური საქმიანობის დაწყებას ან არსებული სახის საქმიანობის შეწყვეტას, გამგეობამ ეს გადაწყვეტილებაც სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით უნდა მიიღოს.[149] საზოგადოების საქმიანობის საგანს პარტნიორები განსაზღვრავენ. სწორედ მათ ნებაზეა დამოკიდებული საწარმოს ის ძირითადი მიმართულება, რომელსაც ეს უკანასკნელი განახორციელებს. ამიტომ ამ მიმართულების ახალი მიმართულებით შეცვლა ან უკვე არსებულის შეწყვეტა/გაუქმება ისევ მათ სურვილზე უნდა იყოს დამოკიდებული. ეს კი შუალედური რგოლის – სამეთვალყურეო საბჭოს მეშვეობით ხორციელდება. აღნიშნულთან მჭიდრო კავშირშია, ასევე, სამეწარმეო, სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა, რომელიც აგრეთვე აქციონერთა ნების გამოხატულებად უნდა ჩაითვალოს.[150] საზოგადოების საქმიანობას, როგორც არაერთგზის აღინიშნა, დირექტორი (დირექტორატი) ახორციელებს. თუმცა საკორპორაციო სამართალი აღიარებს, რომ ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება (საზოგადოების სახელით გარიგების დადებისა) შესაძლოა სხვა „გარეშე" პირსაც მიენიჭოს. ამ შემთხვევაში ე.წ. მეორე დირექტორზე, ანუ პროკურისტზე საუბრობენ, რომლის კომპეტენციაც ძალიან წააგავს გამგეობის წევრის უფლებამოსილებას. ამიტომ მისი დანიშვნა და გამოწვევაც, პრინციპში, ისეთივე დანაწესებს ექვემდებარება, როგორიც ეს

[148] „მეწარმეთა შესახებ" კანონის 55-ე მუხლის მე-8 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი.
[149] „მეწარმეთა შესახებ" კანონის 55-ე მუხლის მე-8 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი.
[150] „მეწარმეთა შესახებ" კანონის 55-ე მუხლის მე-8 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტი.

გამგეობის წევრის დანიშვნის დროს გვხდება. შესაბამისად, საკორპორაციო სამართალი იდეალტიპური შემთხვევისას სწორედ იქიდან ამოდის, რომ ასეთი გარიგებითი (და არა ორგანული) წარმომადგენლობითი უფლებამოსილება სამეთვალყურეო საბჭოს (საერთო კრების) მიერ იქნეს გაცემული.[151] ამიტომაც გენერალური სავაჭრო წარმომადგენლობის (და ზოგადად სავაჭრო წარმომადგენლობის) შესახებ გადაწყვეტილების მიღება, ანუ პროკურისტის დანიშვნა და მისი გამოწვევა გამგეობას სწორედ სამეთვალყურეო საბჭოს ნებართვით შეუძლია.[152] სს კაპიტალის ბაზარზე ორიენტირებული მეწარმე სუბიექტია. ფასიანი ქაღალდების ბაზრის მეშვეობით დაფინანსება მას სხვა მეწარმე საზოგადოებასთან შედარებით გარკვეულ უპირატესობას უქმნის: ინვესტირების სისწრაფე, აქციებში გამოხატული კორპორაციული ქონების ღირებულების მაქსიმიზაციის მოქნილი მექანიზმი და სხვ. ამიტომ სს-ის მიერ ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე სავაჭროდ გატანა საწარმოს „პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა" კატეგორიაში მოექცევა. გამომდინარე ამ სულისკვეთებიდან, გამგეობა ამ გადაწყვეტილებას ასევე სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად იღებს.[153]

ამგვარი თანაქმედების დამდგენი ნორმები გვხვდება ასევე გერმანულ სამართალშიც. მაგალითად, აქციონერზე წინასწარ მოგების გაცემისას გამგეობას სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა ესაჭიროება;[154] ვინკულირებული სახელობითი აქციის

[151] ამასვე აღიარებს სუს-ის პრაქტიკაც: №ას-1375-1212-2010; №ას-310-294-2011.
[152] „მეწარმეთა შესახებ" კანონის 55-ე მუხლის მე-8 პუნქტის „თ" ქვეპუნქტი.
[153] „მეწარმეთა შესახებ" კანონის 55-ე მუხლის მე-8 პუნქტის „ი" ქვეპუნქტი.
[154] AktG §59 Abs. 3.

განსჯისება, დამოკიდებულია საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობაზე;[155] იმ შემთხვევაში, როდესაც გამგეობის წევრზე (წევრებზე) კრედიტი გაიცემა აუცილებელია, ეს მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე მოხდეს;[156] სააქციო კანონის 124-ე მუხლი აწესრიგებს შემთხვევებს, როდესაც საკითხი საერთო კრების მოწვევისას (ჩატარებისას) დღის წესრიგში დამატებების შეტანის გამოქვეყნებას, გადაწყვეტილებების მიღების წინადადებებს ეხება.[157] ამ შემთხვევაში, გამგეობის სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად თანაქმედების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ამავე პარაგრაფის მე-3 აბზაცი. როგორც წესი, აქციონერთა საერთო კრება მოიწვევა საზოგადოების გამგეობის მიერ.[158] დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხთან (საკითხებთან) ერთად, გერმანული სააქციო საზოგადოების სამართალი, მნიშვნელოვნად მიიჩნევს ასევე მისაღები გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის, ასე ვთქვათ, წინასწარ მიწოდებას აქციონერებისათვის, ანუ გარკვეულწილად (სასურველი) გადაწყვეტილების შესახებ მინიშნებას (რეკომენდაციას).[159] ეს გამოქვეყნებული უნდა იყოს კრების მოწვევასთან ერთად, რაც ამას, საერთო ჯამში, კრების მოწვევის პროცედურის შემადგენელ ნაწილად ხდის. დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხებთან მიმართებით მისაღები სარეკომენდაციო გადაწყვეტილებების შესახებ გამგეობა და სამეთვალყურეო საბჭო ერთობლივად მსჯელობს, ანუ ისინი ამის თაობაზე გადაწყვეტილებას პრინციპში ერთობლივად იღებენ.[160]

[155] AktG §68 Abs. 2 Satz (3).

[156] AktG §89 Abs. 1 Satz (1).

[157] AktG §124 Abs. 3.

[158] განსაკუთრებულ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში ასევე არსებობს შესაძლებლობა, რომ საერთო კრება სხვა, საზოგადოების ხელმძღვანელობის პროცესში ჩართული პირის მიერ იქნეს ასევე მოწვეული.

[159] Beschlussvorschlag.

როგორც უკვე ითქვა, სს-ში თითოეულ ორგანოს თავისი კომპეტენცია აქვს. საწარმოს მართვის პროცესში ძირითადად საზოგადოების ორი ორგანო, უპირატესად, გამგეობა და სამეთვალყურეო საბჭოა წარმოდგენილი. თუკი ქართულ და გერმანულ კანონმდებლობას დავუკვირდებით, ნათელი გახდება, რომ ეს ორგანოები გაცილებით უფრო ხშირად იკრიბებიან, ვიდრე საერთო კრება.

[160] *Pentz* in Fleischer (Hrsg.), HdbVorstandsrechts, §16 Rn. 150. თუკი ორგანოთა მიერ გამოქვეყნებული სარეკომენდაციო გადაწყვეტილებები ერთმანეთს ფარავენ, შესაძლოა ისინი მიჩნეულ იყოს, როგორც ერთობლივი რეკომენდაცია (წინადადება). იმ შემთხვევაში, როდესაც გამგეობა და სამეთვალყურეო საბჭო ვერ თანხმდება ერთიანი რეკომენდაციის შესახებ, მაშინ მათი განსხვავებული წინადადებები მისაღები გადაწყვეტილების (გადაწყვეტილებების) თაობაზე პარალელურად ქვეყნდება. *Pentz* in Fleischer (Hrsg.), HdbVorstandsrechts, §16 Rn. 151. ასევე, იქვე: §17 Rn. 34. ეს კი ემსახურება აქციონერთა ინფორმირებულობას საერთო კრების დღის წესრიგთან დაკავშირებული მოსალოდნელი მისაღები გადაწყვეტილების შესახებ. ამგვარი წინადადებების საერთო კრების ჩატარებამდე წინასწარ გაცნობა ხელს უწყობს თავად საერთო კრებაზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების სწრაფ და ეფექტურ მიღებას, რაც საერთო კრებას მოქნილს და დროში გაუწელელს ხდის. რაც მთავარია, კანონის ამ ჩანაწერის მიზანი, ასევე, იმაში მდგომარეობს, რომ აქციონერი, რომელიც დაინტერესებულია საერთო კრებაში მინაწილეობის მიღებით, უფრო კარგად იქნება მომზადებული კრებისთვის, რაც ამ უკანასკნელს უფრო „პროფესიონალური“ დებატების ადგილად აქცევს. შეად. 2012 წლის ევროპის საკორპორაციო სამართლის მოქმედების გეგმის ის ნაწილი, რომელიც აქციონერთა, ინსტიტუციონალურ მონაწილეთა აქტივობის განვითარებას ეხება. იხ.: *Hopt*, ZGR 2013, S. 207 ff.

5.2. საერთო კრება

საერთო კრება გამგეობასთან და სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად მესამე *გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოდ* იწოდება.[161] უფრო მეტიც, იგი საწარმოს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღები ორგანოა, რადგან აქციონერთა ნების შესაბამისად მოქმედებს. სააქციო სამართალში დამკვიდრებული წესის მიხედვით, საერთო კრება თითქმის არ ერევა მმართველი (აღმასრულებელი) ორგანოების საქმიანობაში. სწორედ ამ სულისკვეთებითაა გამსჭვალული პრინციპი, რომლის მიხედვითაც, სს-ის მმართველობა ხელმძღვანელობით პროცესში დამოუკიდებელია და აქციონერს (აქციონრებს) არ აქვს მისთვის მითითებების, ბრძანებების გაცემის უფლება. თუმცა ამ საერთო წესიდან არსებობს გამონაკლისიც. ეს აქციონერის, ერთგვარად, განსაკუთრებული ადგილით არის განპირობებული სააქციო საზოგადოების სამართალში. პარტნიორი (ინვესტორი) კაპიტალური საზოგადოების საქმიანობის სულისჩამდგმელია. გამგეობა, როგორც აქციონერის მიერ მისთვის გადაცემული ქონების განმკარგავი, ვალდებულია, იმოქმედოს აქციონერის ინტერესის დაცვის მოტივით.[162] ამიტომ არსებობს შემთხვევები, როდესაც გამგეობა სწორედ საერთო კრების თანამქედებაზე ხდება ვალდებული. ამ თვალსაზრისით, მხოლოდ რამდენიმე მაგალითი იქნება მოყვანილი ქართული და გერმანული სამართლიდან: საზოგადოების იმ ქონების შე-

[161] *Pentz* in Fleischer (Hrsg.), HdbVorstandsrechts, §17 Rn. 2.

[162] მაგალითისათვის, რომ ავიღოთ სს-ის დაუფლების (Unternehmensübernahme) დროს დირექტორატის ნეიტრალიტეტის შენარჩუნების მოვალეობა. იხ. მაგ.: Kirchner, Neutralitäts- und Stillhaltepflicht des Vorstands der Zielgesellschaft im Übernahmerecht, AG 1999, 485 ff; Bausch/Götz, Neutralitätspflicht des Vorstands und Entscheidungsbefugnis der Hauptversammlung im Übernahmerecht, AG 2001, 251 ff.

ძენის, გასხვისების ან დატვირთვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, რომელიც საზოგადოების აქტივის ღირებულების ნახევარზე მეტს შეადგენს.[163] საზოგადოების აუდიტორთან ხელშეკრულების გაფორმება. აუდიტორის შესახებ გადაწყვეტილების მიღება საერთო კრების ნებაზეა დამოკიდებული.[164] საზოგადოების სახელით მესამე პირების წინაშე სასამართლო პროცესებში მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილება დირექტორისათვის სავალდებულოა, მათ შორის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის (წევრების) წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის ჩათვლით. გერმანული სამართალი აქცენტს აკეთებს ე.წ. *თანხმობასაჭირო (თანხმობასავალდებულო) ხელშეკრულებებზე.*[165] ეს ისეთი გარიგებებია (დასადები საწარმოს სახელით გამგეობის მიერ), რომელიც მხოლოდ საერთო კრების თანხმობის საფუძველზე ხდება ნამდვილი. ამასთან, კანონმდებლობა მოითხოვს ამ ხელშეკრულებათა *არსებითი შინაარსის გამოქვეყნებას.*[166] ამაში ძირითადად მოიაზრება: ე.წ. საწარმოო ხელშეკრულებები[167] და მათში ცვლი-

[163] „მეწარმეთა შესახებ" კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტი.

[164] „მეწარმეთა შესახებ" კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ი" ქვეპუნქტი.

[165] Zustimmungsbedürftige Verträge.

[166] ჩამონათვალისას ვხელმძღვანელობ: *Pentz* in Fleischer (Hrsg.), HdbVorstandsrechts, §17 Rn. 40.

[167] Unternehmensverträge. სამეწარმეო სამართლის მიხედვით, „საწარმოო ხელშეკრულებაში" მოიაზრება ყველა ხელშეკრულება, რომელიც საწარმოს (როგორც კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტის) გასხვისებასთან არის დაკავშირებული (მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულების დადება). *Tilch (Hrsg.),* Deutsches Rechts-Lexikon, 1992, S. 821. საწარმოო ხელშეკრულების ცნება, ძირითადად, საკონცერნო სამართლის კატეგორიად განიხილება. მასში მოიაზრება ყველა სახის გარიგება (ხელშეკრულება), რომელიც მიზნად ისახავს (სამიზნე) სს-ის ან კსს-ის *მიზნისა* და *სტრუქტუ-*

ლებების შეტანა; საწარმოთა შერწყმის ხელშეკრულებები; პოსტ-ინკორპორაციული ხელშეკრულებები[168]; ხელშეკრულებები დაკავშირებული საზოგადოების ქონების (მისი გარკვეული, არსებითი ნაწილის) გასხვისებასთან. მხედველობაში მიიღება, ასევე, სამოსამართლო სამართლით შექმნილი[169] საერთო კრების დაუწერელი კომპეტენცია, ანუ კანონით ან/და წესდებით განუსაზღვრელი კომპეტენცია, რომელიც ასევე ავალდებულებს დირექტორატს გარკვეული გარიგების დადებისას აქციონერთა საერთო კრებისაგან თანხმობის მიღებას (აქციონერთა საქმის კურსში ჩაყენებას მოსალოდნელი გადაწყვეტილების (გარიგების დადების) შესახებ).

6. გამგეობა და სხვა ინსტიტუტები

როგორც აღინიშნა, გამგეობის საქმიანობაზე ბევრად არის დამოკიდებული საწარმოს კეთილდღეობა. დირექტორატი მასზე დაკისრებული ამოცანის, მიზნისა და ფუნქციების განხორციელების პროცესში მრავალ თანამედროვე „ტექნოლოგიას" უნდა იყენებდეს. კორპორაციული მართვის სისტემის განვითარება, რომელსაც უდავოდ მზარდი გლობალური ხა-

რის შეცვლას. სააქციო კანონის 291-ე, 292-ე პარაგრაფებში იგი ჩამოთვლილია. იხ.: *Tilch (Hrsg.)*, Deutsches Rechts-Lexikon, 1992, S. 821-822.

[168] ე.წ. Nachgründungsverträge. AktG §52 Abs. 1. იხ.: *Paschke* in Schwerdtfeger (Hrsg.), Fak GesR, Kap. 10., §52 Rn. 2 ff.

[169] სასამართლო პრაქტიკაში საუბრობენ „ჰოლცმიულერის" (სადაც დაუწერელი კომპეტენცია მხოლოდ საკონცერნო საწარმოების კონტექსტში იქნა განხილული) და „გელატინ I და გელატინ II" (რომელიც გასცდა კონცერნის ფაქტობრივ მდგომარეობას) გადაწყვეტილებების თაობაზე: BGHZ 83, 122. განმარტებითურთ გამოქვეყნებულია: NJW 1982, S. 1703-1706; უმაღლ. სასამართლოს II სამოქ. პალატის გადაწყ. 154/02. გამოქვეყნებულია: NZG 2004, S. 575 ff; ამავე პალატის გადაწყ. 155/02. გამოქვეყნებულია: NJW 2004, S. 1860-1863. იხ. ასევე, ამავე წიგნის II ნაწილი.

სიათი აქვს, ცდილობს საწარმოს მართვისას ყველა ის პროგრესული და საჭირო მექანიზმი გაითვალისწინოს, რომელიც წარმატებული მართვის პროცესის შემადგენელ ნაწილად იქცევა და სს-ის „შეცდომებს" მინიმუმამდე დაიყვანს. მართალია, ზოგადი ფაბულის მიხედვით, შეუძლებელია საწარმოს არარენტაბელობის აბსოლუტური განეიტრალება, თუმცა კარგად დაგეგმილი და წინასწარგანჭვრეტილი ნაბიჯების გადადგმისას შესაძლოა, ამ რისკების გათვლა და აღკვეთა. სწორედ ამიტომ კორპორაციული მართვის თანამედროვე პრინციპები რეკომენდაციებს[170] იძლევა, რომ კორპორაციებმა უზრუნველყონ რისკების მინიმიზაციის სისტემის ჩამოყალიბება, რითიც სს-ის გამართული, კანონისა და წესდების შესაბამისი საქმიანობა იქნება გარანტირებული. სწორედ ერთ-ერთ ასეთ ინსტიტუტად[171] კორპორაციული compliance გვევლინება.[172]

[170] ზოგ შემთხვევაში აიძულებს კიდეც, მაგალითად, კაპიტალის ბაზარზე ოპერირებად კორპორაციებს სხვადასხვა კომიტეტების შექმნას, საზოგადოების ანგარიშგების საჯაროობის დამდგენი განსაკუთრებული სისტემისა და მექანიზმების ჩამოყალიბებას, გარე დირექტორების (ე.წ. outsider directors) მონაწილეობას და სხვ.

[171] რომელსაც კორპორაციულ მართვასთან დიდი სიახლოვის გამო *უკვე ჰუფერმა* „კორპორაციული მართვის პატარა და" უწოდა. *Hüffer* in: FS Günter H. Roth, S. 299. ფართო გაგებით კორპორაციული compliance კორპორაციული მართვის შემადგენელი ნაწილია.

[172] corporate compliance. ძალიან რთული აღმოჩნდა ამ ტერმინის ქართული შესატყვისის მოძიება. სიტყვასიტყვითი თარგმანით compliance – თანხმობას, დათანხმებას, *შესაბამისობას* ნიშნავს. როგორც ქვემოთ ამ ტერმინის შინაარსის გადმოცემისას დავინახავთ, ქართულ აღმნიშვნელად უმჯობესია ნახმარი იყოს სიტყვა „შესაბამისობა". თავად compliance გულისხმობს: „to comply with", ანუ „ქმედებას განსაზღვრული არსებული ნორმების შესაბამისად". აქედან გამომდინარე, მას *კორპორაციული შესაბამისობა* დაერქმევა. თუმცა თავად ამ ტერმინის საერთაშორისო დონეზე ერთგვაროვნად დამკვიდრებიდან გამომდინარე (*Poppe* in Görlin/Inderst/Bannenberg (Hrsg.),

კორპორაციული compliance-ის ცნების ქვეშ იგულისხმება სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებაში საწარმოს მართვისას კანონის, წესდების, თვითრეგულირებადი ნორმების, შიდაკორპორაციული ხელმძღვანელობითი დებულებების მხედველობაში მიღებასა და გათვალისწინებას.[173] შესაბამისად, იგი განიხილება კორპორაციულ სტრატეგიად, რომელიც ორიენტირებულია *კანონის,*[174] *წესდებისა და საწარმოს შიდა-ორგანიზაციული ხელმძღვანელობითი* წესების დარღვევის შეკავებაზე.[175] მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ცნების განმარტებისა, აღიარებულია, რომ ლიტერატურაში compliance სხვადასხვა დეფინიციას აძლევენ:[176] ზოგი მიიჩნევს, რომ იგი, როგორც ზემოთ წარმოჩინდა, განკუთვნილია კანონისმიერი, წესდებისმიერი და შიდარეგულატორული ნორმების მოთხოვნათა დაცვისათვის. პარალელურად ამისა, მას პასუხისმგებლობის არიდების დამდგენ ინსტიტუტადაც წარმოაჩენენ. სხვანი მიიჩნევენ, რომ იგი ასოცირდება იმ პროცესუალურ და სისტემურ ორგანიზაციულ მოდელთან, რომელიც შექმნილია საკანონმდებლო ნორმების, კორპორაციის შიდა სტანდარტებისა და საზოგადოების დაინტერესებული პირების (Stakeholder) არსებითი მოთხოვნილების დაცვისთვის.[177]

კორპორაციული compliance ანგლო-ამერიკულ კორპორაციულ ტრადიციაში[178] ჩამოყალიბებული ინსტიტუტია[179] და იგი, ძირითადად, გასული საუკუნის 90-ანი წლების დასასრულს[180] კაპიტალის ბაზრის ბუმის დროს განვითარდა.[181] ამასთან, იგი, როგორც იდეალტიპური შემთხვევა, სწორედ იმ კორპორაციებისთვის არის განკუთვნილი, რომელნიც ფასიანი ქაღალდების ბაზრის მეშვეობით ფინანსდებიან და ოპერირებენ ბირჟებზე.[182] ეს კი განსაკუთრებით საინტერესოა იმ საწარ-

---

Compliance, Kap. 1., Rn. 1.), მიზანშეწონილია, იგი არ გადაითარგმნოს და ქართულ საკორპორაციო სამართალშიც ჩამოყალიბდეს, როგორც *კორპორაციული compliance.*

[173] Hölters/*Weber* §76 Rn. 28.

[174] დღეს ერთიანი პოზიცია არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ „გამგეობის ძირეულ ამოცანას წარმოადგენს უზრუნველყოს სათანადო და პროგნოზირებადი სისტემური ხასიათის დაცვითი მექანიზმების ჩამოყალიბება, რათა აღკვეთოს თანამშრომელთა კანონდარღვევები". *Bicker,* AG, Heft 15/2012, S. 542.

[175] Hölters/*Hölters* §93 Rn. 91.

[176] ამასთან, comliance-ის სხვადასხვა ორგანიზაციული მოდელიც არსებობს. იხ. მაგ.: *Bicker,* AG, Heft 15/2012, S. 547-548.

[177] სხვადასხვა მითითებით: *Poppe* in Görlin/Inderst/Bannenberg (Hrsg.), Compliance, Kap. 1., Rn. 2.

[178] რომელმაც, როგორც კორპორაციული მართვა, კარგად მოიკიდა ფეხი გერმანულ ეკონომიკურ სამართალშიც. *Hauschka* in Hauschka, Corporate Compliance, (2010), §1 Rn. 2.

[179] Hölters/*Weber* §76 Rn. 28.

[180] მართალია, ეს ინსტიტუტი, როგორც საწარმოთა მართვის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, ამერიკულ კორპორაციულ მართვაში ჩამოყალიბებული მოვლენაა, თუმცა გასული საუკუნის 90-იან წლებში გერმანიაშიც საკანონმდებლო დონეზე, ბირჟაზე რეგისტრირებული კორპორაციებისთვის გარკვეული „რისკის გათვლისა და წინასწარი ამოცნობის" სისტემის დაფუძნება სავალდებულო გახდა. როგორც ლიტერატურაშია ნათქვამი, ამგვარი მექანიზმის არსებობის პირობებში, გასული საუკუნის 90-იან წლებში არსებული ძალიან ბევრი საწარმო კრიზისს გადაურჩებოდა. სწორედ ამიტომაც კანონმდებლის რეაქციამაც არ დააყოვნა და სს-ის 91-ე პარაგრაფის მე-2 პუნქტი ახლებურად ჩამოყალიბდა. თავის დროზე არსებული კრიტიკის მიუხედავად, ეს ინსტიტუტი ძალზე კარგად იქნა ინტეგრირებული გერმანიის ორგანიზაციულ ეკონომიკაში. იხ.: *Spindler* in Fleischer (Hrsg.), HdbVorstandsrechts, §19 Rn. 1. ამ (მათ შორის ე.წ. „რისკის მენეჯმენტის", შიდა სარევიზიო) სისტემების ურთიერთგამიჯვნის შესახებ იხ. ასევე: *Dreher* in: FS Uwe Hüffer, S. 162-168.

[181] *Kuthe* in Compliance-Hdb, 2008, Kap. 1, Rn. 2.

[182] თუმცა თანამედროვე საკორპორაციო სამართალში მიიჩნევა, რომ ეს ინსტიტუტი არა მხოლოდ ბირჟაზე ნოტირებული, არამედ დახურული ტიპის

მოთათვის, რომელთაც წილები აშშ-ის ფასიანი ქაღალდების ბაზარზე აქვთ საჯარო ვაჭრობისათვის გატანილი. ასეთ შემთხვევაში Sarbanes Oxley Act-ის მიერ დადგენილ ნორმებზეც მიუთითებენ, რომელნიც საერთაშორისო უცხოური კორპორაციებისთვისაც გამოიყენება, ავალდებულებს რა მათ გამგეობას[183] ასეთი სისტემის ჩამოყალიბებას.[184] კორპორაციული compliance შექმნას, ორგანიზაციული სტრუქტურის დონეზე, კანონმდებლობა კორპორაციას არ თხოვს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი არ განიხილება საზოგადოების ცალკე დამოუკიდებელ ორგანოდ, რომლის შექმნის ვალდებულება საწარმოს უნდა ჰქონდეს. უმეტესწილად საუბარია შინაარსობრივი მახასიათებლების დადგენასა და გათვალისწინებაზე, ანუ იმ წესების ჩამოყალიბებაზე, რომლის მიხედვითაც საზოგადოების გამგეობა მის საქმიანობას უკეთესად და უფრო ეთიკურად წარმართავს. გამომდინარე აქედან, ამ ინსტიტუტის იურიდიულ განმარტებაზეც საუბრობენ და აღნიშნავენ, რომ compliance არის *სამართლის ნორმებით მოქმედება.*[185] თუმცა მასში დიდი ადგილი ეთიკურ საფუძვლებს ეთმობა. ამიტომ compliance დროს გამგეობა კორპორაციაში ეთიკური ნორმების დადგენაზე და მათი დაცვის გათვალისწინებით საქმეების განხორციელებაზეც ხდება ვალდებული.[186]

როგორც ზემოთ აღინიშნა, ზოგადი ფაბულის თანახმად, სამართლებრივი ვალდებულება კორპორაციაში compliance სისტემის ჩამოყალიბების შესახებ არ არსებობს[187] და მისი „შესრულება უშუალოდ მმართველი სუბიექტის სამეწარმეო განსჯისა და მიხედულების საქმეა".[188] თუმცა კორპორაციული ცხოვრების, კორპორაციის საუკეთესო პრაქტიკიდან[189] გამომდინარე ამასობაში აღიარებულია, რომ ამგვარი სისტემის დაფუძნება „გამგეობის სააქციოსამართლებრივ (კანონისმიერ) მოვალეობადაც იქცა".[190] ამ პოზიციის გასამყარებლად სააქციო კანონმდებლობა მოყავთ,[191] რომლის შესაბამისადაც,

კორპორაციისთვისაც არის მეტად კარგად გამოყენებადი. უფრო მეტიც, დღეს უკვე ევროპაში ბევრი შპს იყენებს ამ სისტემას მართვის პროცესის შემადგენელ ნაწილად. იხ. მაგ.: *Zöllner/Noack* in Baumbach/Hueck, Komm. GmbHG, 20. Auf., (2013), §35 Rn. 68a. თუმცა შპს-ის (და, საერთოდ, კაპიტალური საზოგადოების) შემთხვევაში ამ სისტემის ჩამოყალიბებაზე მაშინ არის საუბარი, როდესაც ამას საწარმოს მოთხოვნილება, მისი სიდიდე, გარემოებები და სპეციფიკა განაპირობებს. შემდგომი მითითებებით: *Zöllner/Noack* in Baumbach/Hueck, Komm. GmbHG, (2013), §35 Rn. 68a.

[183] სს-ის გამგეობის ეს მოვალეობა ლეგალურობის პრინციპის დაცვის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილადაც შეიძლება მივიჩნიოთ. ზოგადად კი, კორპორაციული შესაბამისობის ორგანიზაციული მოვალეობის დოგმატური საფუძველი დირექტორატის მიერ საწარმოს გულისხმიერი მართვის მოვალეობიდან მომდინარეობს (AktG §§76 Abs. 1, 93 Abs. 1; „მეწარმეთა შესახებ" კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი და 56-ე მუხლის მე-4 პუნქტი). *Bicker,* AG, Heft 15/2012, S. 543.

[184] Hölters/ *Hölters* §93 Rn. 93.

[185] *Poppe* in Görlin/Inderst/Bannenberg (Hrsg.), Compliance, Kap. 1., Rn. 3.

[186] *Poppe* in Görlin/Inderst/Bannenberg (Hrsg.), Compliance, Kap. 1., Rn. 3.

[187] მრავალმხრივი მითითებებით იხ.: Hölters/ *Hölters* §93 Rn. 92, სქოლიო 236.

[188] Hölters/ *Hölters* §93 Rn. 92.

[189] ასევე, სხვადასხვა საკამათო პოზიციიდან

[190] *Dreher* in: FS Uwe Hüffer, S. 168.

[191] AktG §76 Abs. 1; §91 Abs. 2; §93 Abs. 1. თუმცა მხედველობაში, ასევე, სხვა ნორმატიული აქტებიც მიიღება. მისი დოგმატური გამოყენების საფუძვლების შესახებ სრული მიმოხილვა იხ.: *Dreher* in: FS Uwe Hüffer, S. 169-171. აქვე საინტერესოა, სააქციო კანონის 91-ე მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობა, რომელიც სააქციოსამართლებრივი რეფორმის (KonTraG. სამეწარმეო სფეროს კონტროლისა და გამჭვირვალობის შესახებ კანონი) ნაყოფია. სწორედ 1998 წლის კანონით დაფუძნდა პირველად გერმანიაში საკანონმდებლო დონეზე ვალდებულება რისკის გათვლის მენეჯმენტის სისტემის ჩამოყალიბების თაობაზე. ვრცლად ამ საკითხის შესახებ შეგიძლიათ იხ. მაგ.: *Picot* in Lange/Wall (Hrsg.), Risikomanagement, §1 Rn. 16 ff.

„კორპორაციული შესაბამისობის ორგანიზაციის ჩამოყალიბება, ზოგადად, დირექტორატის ხელმძღვანელობითი პასუხისმგებლობის ფუნქციიდან გამომდინარეობს".[192] ყოველ შემთხვევაში, ცალსახად არის აღიარებული, რომ გამგეობას ხელმძღვანელობითი საქმიანობის განხორციელების პროცესში აკისრია „*სწორი, განჭვრეტადი და სათანადო* ღონისძიებების გატარების ვალდებულება, რათა დროულად და წინასწარ შეიტყოს" და მიიღოს ინფორმაცია მოსალოდნელი ზიანის თაობაზე.[193] შესაბამისად, გამგეობა, როგორც საწარმოს მართვაზე დამოუკიდებლად პასუხისმგებელი ორგანო, მოვალეა, ყველა ღონე იხმაროს საწარმოს მოსალოდნელი რისკების თავიდან ასაცილებლად. ამას კი იგი გარკვეული ფუნქციურ-შინაარსობრივი მექანიზმის ჩამოყალიბებით შეძლებდა. ამიტომაცაა მიჩნეული, რომ ეს სისტემა უშუალოდ არის მიმართული სს-ის გამგეობისა და მის მიერ განხორციელებული საქმიანობისაკენ.[194] სხვა სიტყვით, კორპორაციული comliance-ის ადრესატი *საწარმოს დირექტორატია.*

მოკლედ, საზოგადოების მართვა კანონის, წესდების, საწარმოს ხელმძღვანელობის პროცესში აღიარებული ნორმების და ეთიკური წესების შესაბამისად უნდა წარიმართოს. დარღვევა (და არაგამართლებული გადახვევა) ამ პრინციპისა შესაძლოა გახდეს გამგეობის მიმართ პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების, მისთვის უნდობლობის გამოცხადების წინაპირობა. გონიერ მენეჯერად ითვლება მმართველი სუბიექტი მაშინ, როდესაც იგი ყველა ამ პრინციპს რეალურ კორპორაციულ ცხოვრებაში და პრაქტიკაში ატარებს და მისი მართვის მოდელიც სწორედ ამაზეა ბაზირებული. შესაბამისად, საკორპორაციო სამართალში მიჩნეული უნდა იყოს, რომ გამ-

[192] *Dreher* in: FS Uwe Hüffer, S. 168.
[193] *Poppe* in Görlin/Inderst/Bannenberg (Hrsg.), Compliance, Kap. 1., Rn. 34.
[194] *Hüffer* in: FS Günter H. Roth, S. 299.

გეობა, რომელიც მართვის თანამედროვე, საყოველთაოდ აღიარებული მექანიზმების შემოღებით წარმართავს საზოგადოების საქმიანობას, ნაკლებ შეცდომას დაუშვებს, რადგან ამის აღსაკვეთად მას ობიექტურად განჭვრეტადი სისტემა ექნება შემუშავებული. სწორედ ამას ემსახურება ზემოთ დახასიათებული ინსტიტუტი. დღეს უკვე ყველა აღიარებს, რომ comliance საწარმოს მართვის შემადგენელი ნაწილია,[195] რომელიც „გამართლებულ მატერიალური ღირებულების შექმნას" უზრუნველყოფს[196] და საერთო ეკონომიკური კეთილდღეობის მოტანაზეა ორიენტირებული. ამასთან, იგი იცავს ასევე დირექტორს არასწორად გადადგმული ნაბიჯისაგან , უფრო სწორედ, ამ გადადგმული ნაბიჯიდან გამომდინარე პასუხისმგებლობისაგან. მართალია, გამგეობის საქმიანობა რისკთან არის დაკავშირებული და არც ერთი ობიექტური ადამიანური საზომის ფარგლებში მოქმედი დირექტორი წარუმატებლობისაგან დაზღვეული არ არის, მაგრამ მისი წარუმატებლობა გარკვეულ ობიექტურ თვალთახედვაზე ხდება დამოკიდებული, როდესაც მის წინააღმდეგ პასუხისმგებლობის საკითხს დააყენებენ. სწორედ ამიტომ სამართალი იცავს მას პასუხისმგებლობისაგან და ზიანის ანაზღაურებისაგან იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანი მისგან ობიექტურად დამოუკიდებელი მიზეზით იქნა განპირობებული. გამგეობას სამეწარმეო გადაწყვეტილებების მიღების სრული დისკრეცია და თავისუფლება

[195] თუმცა გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ის ახრიცაა გამოთქმული, რომ კორპორაციული მართვა და კორპორაციული comliance მონათესავე ინსტიტუტებია და გერმანიის ფედერაციაში მათ შესახებ, დაახლოებით 20 წლის წინ ერთდროულად დაიწყო საუბარი. *Hauschka* in Hauschka, Corporate Compliance, (2010), §1 Rn. 1. კორპორაციული შესაბამისობის სისტემის შესახებ ვრცლად შეგიძლიათ იხ. *ჰაუშკას* შესავალი ნაწილი: *Hauschka* in Hauschka, Corporate Compliance, (2010), §1 Rn. 1 ff.
[196] *Hüffer* in: FS Günter H. Roth, S. 299.

უნდა ჰქონდეს. ამ თავისუფალი მოქმედების ფარგლების გარანტიად კი მისი ქმედების მასშტაბია მიჩნეული, რომელიც კეთილსინდისიერი, გულმოდგინე და ერთგული დირექტორის ფიდუციური მოვალეობით არის გამსჭვალული. შესაბამისად, დირექტორი, რომელსაც ეს მოვალეობა (ქმედების მასშტაბი) არ დაურღვევია, ვერ გახდება პასუხისმგებლობის დაყენების სუბიექტიც. ამ ყოველივეს კი, საკორპორაციო სამართალში, სწორედ კორპორაციული მართვის მიერ დაფუძნებული ის თანამედროვე მექანიზმები განაპირობებს, რომელიც თანამედროვე კორპორაციაში უნდა შეიქმნას არა იმისთვის, რომ ეს პანაცეაა და იურიდიულად აუცილებელი, არამედ იმისთვის, რომ საზოგადოების მართვის პროცესი უფრო განჭვრეტადი, დირექტორის მოქმედება კი ობიექტურად გამართლებული იყოს. ეს კი დირექტორის (უფლება)- მოვალეობის კონტექსტში განსახილველი საკითხიცაა.

7. დირექტორატის, როგორც ორგანოს, კორპორაციულ-სამართლებრივი მოვალეობები[197]

7.1. კორპორაციულ-სამართლებრივი და სახელშეკრულებოსამართლებრივი მოვალეობები

7.1.1. კორპორაციულ-სამართლებრივი

საწარმოს მართვის პროცესში გამგეობას უფლებები და მოვალეობები აქვს. კორპორაციის ხელმძღვანელობის დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დირექტორატის მოვალეობები, რომელიც ნაწილობრივ კანონიდან, ნაწილობრივ კი წესდებიდან ან გამგეობის წევრთან არსებული სასამსახურო ურთიერთობიდან გამომდინარეობს. დირექტორის მოვალეობები მიმართულია საზოგადოების, აქციონერისა და ასევე მესამე პირების მიმართ.[198] ამ მოვალეობების დაცვა ყოველი ადრესატის მიმართ გამგეობის მხრიდან საწარმოს სწორად მართვის პრეზუმფციას აფუძნებს. მისი დარღვევა კი დირექტორის სტანდარტული მოვალეობების დაცვის პრინციპიდან გადახვევას ნიშნავს, რაც მის მიმართ პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების საფუძველი შეიძლება გახდეს. ეს პრაქტიკაში მისთვის უნდობლობის გამოცხადებით და მისი თანამდებობიდან გადაყენებით სრულდება ხოლმე. როგორც წესი, კანონმდებლობა თავს იკავებს დირექტორის მოვალეობების პოზიტი-

[197] ამ საკითხთან დაკავშირებით ვრცლად შეგიძლიათ იხ. 2006 წელს ქართულ ენაზე შესრულებული მონოგრაფია, რომელიც შედარებითსამართლებრივ კონტექსტში, სხვა საკითხებთან ერთად, დირექტორის მოვალეობების განხილვას გვთავაზობს. *ჭანტურია, ლადო*, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, გამომც. „სამართალი", თბ. 2006.

[198] *Hirte*, Kapitalgesellschaftsrecht, (2012), §3 Rn. 3.37.

ური განსაზღვრისაგან (დადგენისგან) და ყურადღებას მხოლოდ „პასუხისმგებლობის იურიდიული მოცემულობების ნორმირებაზე“ ამახვილებს.[199]

ზოგადად, დირექტორის მოვალეობები შესაძლოა დაიყოს (1) *კორპორაციულსამართლებრივ* და (2) *სახელშეკრულებოსამართლებრივ* მოვალეობებად. კორპორაციულში იგულისხმება დირექტორატის, როგორც სს-ის ერთიანი აუცილებელი სტრუქტურის შემადგენელი ნაწილის ორგანული მოვალეობა. სახელშეკრულებოსამართლებრივი ცალკე მოვალეობის სტანდარტს აფუძნებს, რომელიც, როგორც წესი, გამწესების საფუძვლიდან, ანუ საზოგადოებასა (სამეთვალყურეო საბჭოსა) და დირექტორს შორის დადებული სასამსახურო ხელშეკრულებიდან მომდინარეობს.[200]

[199] *Hirte,* Kapitalgesellschaftsrecht, (2012), §3 Rn. 3.37.

[200] მოვალეობათა ამგვარი დაყოფა საკორპორაციო სამართლის თეორიაში ყველაზე მისაღები უნდა იყოს. იხ. მაგ.: *Frodermann/Schäfer* in Henn/Frodermann/Jannott, Handbuch des Aktienrechts, (2009), S. 362 ff. არის ასევე შემთხვევები, როდესაც იურიდიულ ლიტერატურაში დირექტორის მოვალეობებს ყოფენ კანონისმიერ (საკანონმდებლო) და საყოველთაო მოვალეობებად: Schüppen/Schaub/*Heinz*, MAH Aktienrecht §22 Rn. 43 ff; Rn. 52 ff. შეიძლება შევხვდეთ აგრეთვე სხვაგვარ დაყოფასაც, მაგალითად, ძირითადი და მიმდინარე მოვალეობები: *Hirte,* Kapitalgesellschaftsrecht, (2012), §3 Rn. 3.39 ff. ზოგი ავტორი დირექტორატის მოვალეობას ერთიანი აღმნიშვნელის ქვეშ – გამგეობის სამართლებრივი მოვალეობები – აქცევს, რასაც ძირითადად ორ ნაწილად: გულმოდგინებისა და ერთგულების მოვალეობად ყოფს. იხ. მაგ.: *Langenbucher*, Aktien- und Kapitalmarktrecht, 2. Auf., (2011), S. 50-67. მისაღები უნდა იყოს, ასევე, გამგეობის (და მისი წევრების) მოვალეობის უფრო ზოგადი დაყოფა, როგორიც არის საკორპორაციოსამართლებრივი და კაპიტალის ბაზრის სამართლებრივი მოვალეობები. იხ.: *Liebscher* in Müller/Rödder (Hrsg.), Beck'sches Hdb. der AG, §6 Rn. 92 ff.

ა) საწარმოს მართვის, ხელმძღვანელობის, წარმომადგენლობითი საქმიანობის მოვალეობა

გამგეობის, როგორც საზოგადოების ორგანოს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან (ძირითად)[201] მოვალეობად *ა)* საწარმოს მართვისა და ხელმძღვანელობის, *ბ)* წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელების მოვალეობა ითვლება.[202] სააქციო კანონმდებლობა, როგორც წიგნის წინა თავებში ითქვა, ისევე როგორც კანონი „მეწარმეთა შესახებ“ საზოგადოების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას ერთმანეთისაგან განასხვავებს. კორპორაციულსამართლებრივ მოვალეობაში კი ორივე თანაბრად ექცევა. სააქციო კანონის 76-ე, 77-ე, 82-ე პარაგრაფებიდან პირდაპირ გამომდინარეობს, რომ საზოგადოების ხელმძღვანელობითი კომპეტენცია უშუალოდ გამგეობის პრეროგატივაა. გამგეობა დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში მართავს საწარმოს.[203] შესაბამისად, ნორმის მოცემულობა აქცენტს როგორც უფლებამოსილებაზე (ანუ საწარმოს მართვის უფლებაზე), ისე მოვალეობაზე აკეთებს. აქედან გამომდინარე, გამგეობა საწარმოს ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელიც არის და ვალდებულიც.[204] ხელმძღვანელობის ქვეშ სხვადასხვა სახის კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება იგულისხმება, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი ხასიათისა.[205] იგივე

[201] *Hirte,* Kapitalgesellschaftsrecht, (2012), §3 Rn. 3.39.

[202] *Frodermann/Schäfer* in Henn/Frodermann/Jannott, Handbuch des Aktienrechts, (2009), S. 362; *Hirte,* Kapitalgesellschaftsrecht, (2012), §3 Rn. 3.40.

[203] AktG §76 Abs. 1.

[204] *Grunewald*, Gesellschaftsrecht, 8. Auf., 2011, S. 258.

[205] ამაში, ამერიკული ბორდის სისტემისაგან, ანუ მართვის ერთსაფეხურიანი მოდელისაგან განსხვავებით, იგულისხმება, ასევე, საწარმოს ყოველდღიური საქმეების გაძღოლის (უფლება)-მოვალეობა. *Frodermann/Schäfer* in Henn/Frodermann/Jannott, Handbuch des Aktienrechts, (2009), S. 362.

ითქმის საზოგადოების სახელით მესამე პირებთან ურთიერთობაში გამოსვლის შესახებ, ანუ გამგეობის მოვალეობა წარმოადგინოს სს სასამართლო და არასასამართლო ურთიერთობაში, რაც კორპორაციის (გარე) წარმომადგენლობით კომპეტენციას, უფრო სწორედ, მოვალეობას უკავშირდება.[206] ესეც სააქციო კანონის 78-ე პარაგრაფის ლოგიკური განმარტების შედეგია. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, გარკვეული კანონით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა, მესამე პირების მიმართ არ შეიძლება შეიზღუდოს. ამიტომ აქტიური წარმომადგელობის დროს დირექტორატის ყოველი კონკრეტული წევრის მოვალეობაა განახორციელოს ეს შეუზღუდავი უფლებამოსილება კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში და წარმოადგინოს სს. პასიური წარმომადგენლობის დროს იგი აქტიურ წარმომადგელობით ფუნქციას ვერ ასრულებს, თუმცა

ხელმძღვანელობითი საქმიანობა, როგორც წესი, ერთობლივად, წარიმართება. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია მხედველობაში მივიღოთ გამგეობის, როგორც კოლეგიური ორგანოს, პრინციპი. დირექტორატი საზოგადოების ხელმძღვანელობით საქმიანობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს სწორედ კოლეგიალურობის პრინციპის საფუძველზე იღებს, რაც აადვილებს ასევე საწარმოს მართვას გამგეობის სხვა წევრის მიერაც, რადგან მას საზოგადოების საქმეებთან დაკავშირებით უფრო მეტი ინფორმაცია მიეწოდება. ამასთან, ეს ხელს უწყობს საერთო პასუხისმგებლობის სისტემის დაფუძნებასაც, რომელიც საწარმოს მართვისას და ფუნქციათა გადანაწილებისას მეტად მნიშვნელოვანია. *Raiser/Veil*, Recht der Kapitalgesellschaften, (2010), S. 144. თუმცა წესდებით ან დირექტორატის შინაგანაწესით შესაძლოა, გათვალისწინებული იყოს ხელმძღვანელობითი კომპეტენციის სხვაგვარი მოცემულობა. მაგალითად, სს-ში დივერსიფიცირებულ იქნეს თავად ხელმძღვანელობის პროცესი საწარმოს ცალკეული სფეროების - „ფუნქციონალური ან დივიზიონალური ორგანიზაციულობის" - მიხედვით. *Frodermann/Schäfer* in Henn/Frodermann/Jannott, Handbuch des Aktienrechts, (2009), S. 362. იხ. ასევე გვ. 363.

[206] *Hirte*, Kapitalgesellschaftsrecht, (2012), §3 Rn. 3.40.

მოვალეობა – მიიღოს გამოვლენილი ნება სს-ის სახელით - მის ფუნქციაში შედის.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართული კანონმებლობაც ცალკე გამოყოფს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას. „მეწარმეთა შესახებ" კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კაპიტალურ სამეწარმეო საზოგადოებებში ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება დირექტორებს[207] აქვთ. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი ცდილობს, ერთგვარად, გამიჯნოს ერთმანეთისაგან საწარმოს ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა. ნორმის შესაბამისად, ხელმძღვანელობა გულისხმობს დირექტორისთვის გადაცემული (მიკუთვნებული) კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების განხორციელებას. ამაში დირექტორის მიერ განხორციელებული ყოველგვარი ფაქტობრივი და სამართლებრივი ქმედება მოიაზრება. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განმარტებისას კი დებულება საზოგადოების სახელით გარიგების დადებაზე, უფრო სწორედ, სწარმოს სახელით მესამე პირებთან ურთიერთობაში გამოსვლაზე ამახვილებს ყურადღებას. როგორც იკვეთება, წარმომადგენლობაში როგორც აქტიური, ისე პასიური წარმომადგენლობა უნდა იგულისხმებოდეს. მოკლედ, ნაციონალური კანონის (ზოგადი ნორმის) სიტყვასიტყვითი მოცემულობა დირექტორატის (როგორც ხელმძღვანელი და წარმომადგენლობითი ორგანოს) უფლებამოსლებას ეხება, თუმცა აღნიშნული ნორმის ლოგიკური და ფართო განმარტება არა მხოლოდ (მართვის) უფლებას, არამედ ამასთანავე მოვალეობასაც უნდა აფუძნებდეს. ამ არგუმენტაციის გამყარებას დაემატებოდა „მეწარმეთა შესახებ" კანონის სხვა მუხლებიც, სადაც საზოგადოების მართვის პროცესში დირექ-

[207] ამ შემთხვევაში დირექტორატი და გამგეობა, როგორც სს-ის მმართველი სტრუქტურული ორგანო თანაბრად იგულისხმება.

ტორის ქმედების მასშტაბია განსაზღვრული,[208] ასევე, ანგარიშგების მოვალეობაა დაფუძნებული,[209] აგრეთვე კრების მოწვევისა (ორგანიზაციულ-მატერიალურ-შინაარსობრივი წარმართვის) და ჩატარების მოვალეობაა[210] განსაზღვრული და ა.შ. ბუნებრივია, კანონის მიზანია, რომ გამგეობა გარკვეულ მოქმედებებში დაავალდებულოს, წინააღმდეგ შემთხვევაში საწარმოს მართვის რეალური პროცესი (და პასუხისმგებლობის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი) განუხორციელებელი იქნებოდა. ამის თქმა სრულიად ლოგიკურია ყველა მეწარმე სუბიექტის მიმართ, მითუმეტეს, რომ სს-ისთვის განკუთვნილ კერძო ნაწილში ამის პრობლემა საერთოდ არ არსებობს, რამდენადაც საზოგადოების მართვის პროცესის წარმართვა უშუალოდ დირექტორების ამოცანაში, მათ ფუნქციაში, ანუ მოვალეობაში შედის: „საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ევალებათ დირექტორებს".[211]

ბ) ანგარიშის წარდგენის მოვალეობა

კორპორაციული მართვის პროცესის განუყოფელი ნაწილია საწარმოს ხელმძღვანელობის შესახებ სისტემატური მოხსენების გაკეთება. გამომდინარე იქიდან, რომ საწარმოს აქტიური მართვის სადავეებთან, უპირველეს ყოვლისა, დირექტორატი დგას, სწორედ ამ უკანასკნელს ეკისრება საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება კორპორაციის შესაბამისი ორგანოებისათვის. ამიტომ გამგეობის შემდეგ მნიშვნელოვან მოვალეობაში *ანგარიშის წარდგენის მოვალეობა* შედის. ძირითადად, გამგეობის ზემოაღნიშნული მოვალეობა წლიური ანგარიშგების, ხარჯთაღრიცხვის წარდგენის მოვალეობას ნიშნავს. ამასთან, დირექტორატი, სააქციო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ამ ინფორმაციის მიწოდებაზე სხვადასხვა ადრესატის წინაშეა ანგარიშვალდებული. სააქციო კანონი, ასევე, კანონი საწარმოში დასაქმებულთა სამართლებრივი რეჟიმის შესახებ (BetrVerG)[212] პირდაპირ განსაზღვრავს გამგეობის ანგარიშის მიწოდების ვალდებულებას.[213] კანონის[214] მიხედვით, გამგეობა სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე ძირითადად ვალდებულია შემდეგზე: საზოგადოების საქმიანობის წინასწარ განსაზღვრული პოლიტიკისა და საწარმოს მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებული სხვა ფუნდამენტური საკითხების შესახებ ინფორმაციის (მოხსენების) მიწოდება.[215] ამ უკანასკნელში განსაკუთრებით იგულისხმება, ფინანსური, საინვესტიციო და პერსონალის მართვის საკითხების დაგეგმვა. რა თქმა უნდა, მხედველობაში

[208] „მეწარმეთა შესახებ" კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი, ასევე, 56-ე მუხლი.
[209] მაგალითად, „მეწარმეთა შესახებ" კანონის 57-ე მუხლის პირველი პუნქტი.
[210] „მეწარმეთა შესახებ" კანონის მე-54 მუხლის მე-2 პუნქტი (ერთსაფეხურიან მოდელში. კორპორაციული მართვის დუალისტურ სისტემაში ეს წესდების გადასაწყვეტი იქნებოდა, თუმცა პრაქტიკაში იშვიათადა რსი შემთხვევები, როდესაც საერთო კრებას, ჩვეულებრივ სიტუაციაში, სამეთვალყურეო საბჭო იქვევს).
[211] „მეწარმეთა შესახებ" კანონის 56-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[212] BetrVerG §81. განსაკუთრებით Abs. 1 (სამუშაოს მიმცემის (დამსაქმებლის) მოსამსახურისათვის გარკვეული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება. აქ იგულისხმება ინფორმაცია დასაქმებულის სამუშაო ამოცანის, პასუხისმგებლობის განსაზღვრის, ასევე, ამ უკანასკნელის საქმიანობის სახის შესახებ). *Fitting*, BetrVerG. Komm., §81 Rn. 3 f. ამავე კანონიდან გამომდინარეობს აგრეთვე გამგეობის მოვალეობა გარკვეული მოხსენება წარუდგინოს საწარმოში შექმნილ (თანამშრომელთა) საბჭოს (Betriebsrat) საზოგადოების შესახებ და ა.შ. BetrVerG §§90, 92.
[213] *Langenbucher*, Aktien- und Kapitalmarktrecht, 2. Auf., (2011), S. 52.
[214] AktG §90 Abs. 1.
[215] AktG §90 Abs. 1 Nr. (1).

მიიღება წლიური ბიუჯეტის დაგეგმვის საკითხი,[216] უფრო სწორედ, ამის შესახებ სამეთვალყურეო საბჭოსათვის ინფორმაციის მიწოდება. ამასთან, პირველი პუნქტის პირველი ქვეპუნქტის ბოლო წინადადება ყურადღებას ამახვილებს იმ შემთხვევაზე, როდესაც საკითხი დირექტორატის მიერ წარდგენილი გეგმის, მათ მიერ გაცხადებული მიზნის „ფაქტობრივი განვითარების გადახვევას“ ეხება. ამ დროსაც დირექტორატს აკისრია მოვალეობა ინფორმაცია მიაწოდოს სამეთვლაყურეო საბჭოს შესაბამისი საფუძვლების მითითებით.[217] შემდეგი მნიშვნელოვანი მოვალეობა, რასაც კანონი[218] ჩამოთვლის არის ინფორმაცია საზოგადოების რენტაბელობის შესახებ. აქ ყურადღება, პირველ რიგში, კორპორაციის საკუთარ კაპიტალზე კეთდება, რამდენადაც ეს ყველაზე მნიშვნელოვანია საზოგადოების რენტაბელობისა და ხანგრძლივმოქმედი პერსპექტივისთვის. ამ თვალსაზრისით საკუთარ კაპიტალში განსაკუთრებით საწესდებო კაპიტალი და რეზერვები მოიაზრება. თუმცა ნორმის მიზანი მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება და იგი, როგორც კომენტატორულ ლიტერატურაშია აღნიშნული, მოიცავს ასევე ანგარიშს საზოგადოების „ფულადი ნაკადების[219], საერთო კაპიტალის, ბრუნვის სიდიდის და მნიშვნელოვანი (არსებითი ხასიათის) ინვესტიციების“ შესახებ.[220]

სამეთვალყურეო საბჭოს, როგორც აქციონერთა მიერ ჩამოყალიბებულ (არჩეულ) ორგანოს, მაკონტროლებელი ფუნქციის რეალურად განხორციელებისთვის ესაჭიროება ინფორმაცია კორპორაციის არსებული ფინანსურ-მატერიალური

[216] Hölters/*Müller-Michaels* §90 Rn. 5.
[217] "...auf Abweichungen der tatsächlichen Entwicklung von früher berichteten Zielen unter Angaben von Gründen". AktG §90 Abs. 1 Nr. (1).
[218] AktG §90 Abs. 1 Nr. (2).
[219] ე.წ. Cash-flow.
[220] Hölters/*Müller-Michaels* §90 Rn. 7.

მდგომარეობის შესახებ. ამიტომ კანონი ამ ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელს გამგეობას ხდის. ამ თვალსაზრისით დირექტორატი მოვალეა, ანგარიში წარადგინოს საზოგადოების მდგომარეობის, გარიგებების (საქმიანობის), განსაკუთრებით კი ბრუნვის (მოცულობის, სიდიდის) შესახებ.[221] მე-3 ქვეპუნქტთან ლოგიკურ კავშირშია მე-4 ქვეპუნქტი, რომელიც გამგეობას ავალდებულებს ისეთი ქონებრივად მნიშვნელოვანი გარიგებების შესახებ მოხსენების წარდგენას, რომელზეც შესაძლოა მნიშვნელოვნად[222] იყოს დამოკიდებული კორპორაციის რენტაბელობა ან ლიკვიდურობა.[223] ამასთან აღნიშნული მოვალეობები ვრცელდება ასევე დედა-შვილობილ საზოგადოებათა ურთიერთკავშირზე.[224] თუმცა მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ გამგეობის მხრიდან სამეთვალყურეო საბჭოსათვის მოხსენების წარდგენის მოვალეობა, რომელსაც სააქციო კანონის აღნიშნული პარაგრაფი შეიცავს არ არის ამომწურავი ხასიათის.[225] ეს მხოლოდ მინიმალური სტანდარტია აუცილებელი ინფორმაციისა. „ზედნაშენი“ შესაძლოა წესდებით დადგინდეს.

გამგეობას არა მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოსთვის აქვს ანგარიშის წარდგენის ვალდებულება, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში საერთო კრებისთვისაც (აქციონერისთვის). ამას ზოგადად ითვალისწინებს, გერმანიის სააქციო კანონის 131-ე პარაგრაფი, სადაც ნათქვამია, რომ „გამგეობას საერთო კრებაზე დაყენებული მოთხოვნისას აკისრია ვალდებულება ყოველ აქციონერს მიაწოდოს ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის

[221] AktG §90 Abs. 1 Nr. (3).
[222] კანონი ამ შემთხვევაში ხმარობს სიტყვას: erhebliche Bedeutung.
[223] ასეთ მოხსენებას „სპეციალურ მოხსენებას“ (Sonderbericht) უწოდებენ. *Liebscher* in Müller/Rödder (Hrsg.), Beck'sches Hdb. der AG, §6 Rn. 95.
[224] AktG §90 Abs. 1 Satz 2.
[225] Hölters/*Müller-Michaels* §90 Rn. 2.

შესახებ, თუკი იგი დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხის საგნობრივი განხილვისთვის არის საჭირო".[226] ამასთან, გამგეობას ევალება წლიური ანგარიშის შესახებ მოხსენების, ასევე, მოგების შესაძლო განაწილების შესახებ ინფორმაციის წარდგენა.

იგივენაირად წარმოჩინდებოდა ამ თვალსაზრისით მოვალეობათა კატალოგი ქართული საკორპორაციო სამართლის მიხედვითაც. დირექტორთა მოვალეობები, იქნება იგი კანონით, თუ წესდებით რეგლამენტირებული, კორპორაციათა პრაქტიკაში გლობალურ ხასიათს იღებს, რაც მათთვის საერთო კონტურების, ერთიანი წესების დადგენას განაპირობებს. „მეწარმეთა შესახებ" კანონის 53-ე მუხლის მე-3[1] პუნქტის შესაბამისად, გამგეობის მოვალეობაში შედის მიაწოდოს აქციონერს ინფორმაცია საერთო კრებაზე დღის წესრიგით გათვალისწინებულ თითოეულ საკითხთან დაკავშირებით. ყურადსაღებია, რომ ინფორმაცია, უფრო სწორედ, აქციონერის მიერ დაყენებული მოთხოვნა ლოგიკურ, არსობრივ და საგნობრივ შესაბამისობაში იყოს განსახილველ საკითხებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას შესაძლოა უარი ეთქვას ამგვარი ინფორმაციის მიწოდებაზე. შესაბამისად, გამგეობა, ამ თვალსაზრისით, გათავისუფლდებოდა მოხსენების (ინფორმაციის) წარდგენის ვალდებულებისაგან. გამგეობა, ასევე, მოვალეა საერთო კრების

[226] "Jedem Aktionär ist auf Verlangen in der Hauptversammlung von dem Vorstand Auskunft über Angelegenheiten der Gesellschaft zu geben, soweit sie zur sachgemässen Beurteilung des Gegenstands der Tagesordnung erforderlich ist". AktG §131 Abs. 1 Sazt (1). ამავე ნორმის შესაბამისად, აქციონერს აქვს უფლება გამგეობას მოსთხოვოს ინფორმაცია წლიური ანგარიშის შესახებ, რაც გულისხმობს გამგეობის მხრიდან აქციონერისთვის გარკვეული დოკუმენტების მიწოდების ვალდებულებას. Hölters/*Drinhausen* §131 Rn. 2.

მოწვევაზე, იქნება ეს ჩვეულებრივი,[227] თუ რიგგარეშე კრება.[228] გამგეობა ასევე მოვალეა ჩამოაყალიბოს წინადადება (რეკომენდაცია) საერთო კრებაზე მისაღები გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე, მის მოვალეობაში შედის, როგორც ზემოთ იქნა ნახსენები, წლიური ანგარიშის შედგენა, მოხსენება სამეურნეო მდგომარეობის შესახებ და (მოგების არსებობის შემთხვევაში) ინფორმაცია წმინდა მოგების განაწილების შესახებ.[229] გერმანული სამართლიდან „ტრანსპლანტირებული" ეს ნორმა,[230] 2008 წლის რეფორმის შედეგად კანონმდებელს, ალბათ, ყურადღების მიღმა დარჩა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნორმაც, კორპორაციული მართვის მოდელის თავისუფალი არჩევის პრინციპიდან გამომდინარე, სახეცვლილი უნდა ყოფილიყო. 57-ე მუხლი ზოგადი ხასიათის დებულებაა, რაც ნიშნავს მის გავრცელებას როგორც დახურულ, ისე ღია სს-ზე. ანგარიშვალდებული საწარმოს შემთხვევაში მუხლთან პრეტენზია ვერ იქნებოდა, რადგან მეწარმეთა კანონის 55-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ასეთი სუბტიპის სს-ს ისედაც აქვს ვალდებულება შექმნას სამეთვალყურეო საბჭო. დახურულ კორპორაციაში კი ეს ნორმა ნამდვილად ხარვეზიანია, რადგან აფუძნებს გამგეობის მოვალეობას მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს მიმართ. იმ შემთხვევაში კი, როდესაც საზოგადოება მართვის ერთსაფეხურიან მოდელზეა დაფუძნებული, ვალდებულების ადრესატი აღარ იკვეთება, რადგანაც სამეთვალყურეო საბჭო საერთოდ არ არსებობს. 57-ე მუხლის

[227] „მეწარმეთა შესახებ" კანონის 54-ე მუხლის მე-2 წინადადება. ამ დროს ამოვიდოდითწესდებით განსაზღვრული მართვის ერთსაფეხურიანი მოდელიდან.

[228] „მეწარმეთა შესახებ" კანონის 53-ე მუხლის მე-3[3] პუნქტი.

[229] „მეწარმეთა შესახებ" კანონის 57-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება.

[230] „მეწარმეთა შესახებ" კანონის 57-ე მუხლის პირველი პუნქტი.

პირველი პუნქტი არ არის დისპოზიციური ხასიათისა, რაც კიდევ უფრო მეტ ტექნიკურ (და შინაარსობრივ) პრობლემას უნდა იწვევდეს. მოკლედ, აღნიშნული ნორმა ისევ ზოგადად და მიზნობრივად უნდა განიმარტოს და ერთსაფეხურიან, ბორდის ტიპის მოდელში, გამგეობის მოვალეობა პირდაპირ საერთო კრებისადმი იქნება მიმართული.

ამავე საკითხს უკავშირდება, ასევე, დირექტორატის მოვალეობა, რომელიც კაპიტალის ბაზრის სამართლის კონტექსტშია განსახილველი. თუმცა გამგეობის ეს ვალდებულება, მისი, როგორც კორპორაციული ორგანოს, მოვალეობაში შედის. აქ ყურადღება, რასაკვირველია, მახვილდება პირველ რიგში ბირჟაზე რეგისტრირებულ სს-ზე, რომელსაც ფასიანი ქაღალდების შესახებ მოქმედი რეგულაციები გარკვეული ინფორმაციის მიწოდებას თხოვს კორპორაციის გამგეობას. ეს, ერთი მხრივ, კაპიტალის ბაზარზე ოპერირებადი მესამე პირს დაცვის გარანტიის უზრუნველყოფისათვის არის შექმნილი, მეორე მხრივ კი, ამგვარი ნორმების დაწესება თავად სს-ის ინტერესსაც ემსახურება. განსაკუთრებით ყურადსაღებია ე.წ. Ad-hoc სავალდებულო ინფორმაციის (შეტყობინების) ვალდებულება,[231] ასევე, საბირჟო-სამართლებრივი ანგარიშის წარდგენის მოვალეობები.[232] ბირჟაზე რეგისტრირებული სს-ისთვის კანონმდებლობა დამატებით მოთხოვნებს ადგენს. თუკი თვალი გადაევლება ფასიანი ქაღალდების ბაზრის ევოლუციას, ადვილი დასანახი იქნება, რომ მთელი მისი განვითარების ისტორიის მანძილზე ფასიანი ქაღალდებით მანუპილაციის მრავალი შემთხვევა არსებობდა. დირექტორთა მხრიდან ამის ბოროტად გამოყენების შემთხვევები ასევე უხვად არსებობს დღევანდელ კაპიტალის

[231] ამის შესახებ ქართულად შეგიძლიათ იხ.: *ჭანტურია*, კორპორაციული მართვა, გვ. 288 და მომდ.

[232] *Liebscher* in Müller/Rödder (Hrsg.), Beck'sches Hdb. der AG, §6 Rn. 107

ბაზრის პრაქტიკაში. სახელმწიფო ცდილობს, რომ გარკვეული ქმედითი და, ამასთანავე, მოქნილი მექანიზმები, ჩარჩო-პირობები დაადგინოს ამის აღსაკვეთად. სწორედ ამიტომაც დროთა განმავლობაში ე.წ. *კაპიტალის ბაზრის სამართლებრივი ინფორმაციის* სისტემა ჩამოყალიბდა, რომელიც უზრუნველყოფს „ბაზარს აუცილებელი ინფორმაციით და ადგენს თანაბარი შანსების გამოყენების შესაძლებელობას ფასიანი ქაღალდების ბაზრის ყველა მონაწილისთვის".[233] სწორედ ამ მიზანს ემსახურება, კაპიტალის ბაზრის სამართლის თვალსაზრისით, გამგეობის მიერ გარკვეული ინფორმაციის წარდგენის მოვალეობის დამდგენი ნორმები, რადგან მათ გარანტია უნდა მისცენ მესამე პირს, რომ დროის მოკლე პერიოდში ბაზარი ემიტენტის ფინანსური მდგომარეობის შესახებ სანდო და „სოლიდურ" ინფორმაციას ფლობს.[234] ფასიანი ქაღალდების ბაზარი, როგორც რეგულირებადი ინსტიტუცია, უნდა ფლობდეს შესაბამის საგარანტიო ინსტრუმენტებს, რითიც თავად ბაზრის და მისი მონაწილეების უფლებები იქნება დაცული. მართალია, მანიპულირების სრული განეიტრალება არ შეიძლება, მაგრამ ამის საწინააღმდეგო, მინიმუმამდე დაყვანისთვის განკუთვნილი მექანიზმების შექმნა სრულიად შესაძლებელია. მოკლედ, ყოველივე ეს სწორედ ინფორმაციის წარდგენის მოვალეობას უკავშირდება.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობა კორპორაციის შიდა ინფორმაციის შესახებ მონაცემების გასაჯაროების მოვალეობას ადგენს. გერმანიის ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის შესახებ კანონის მე-15 პარაგრაფის პირველი პუნქტის პირველი წინადადება სამ მნიშვნელოვან იურიდიულ ფაქტს გამოყოფს, რომლის არსებობის პირობებში სავალდებულო

[233] *Assmann* in Assmann/Schneider, WpHG, (2012), §15 Rn. 2.

[234] *Langenbucher*, Aktien- und Kapitalmarktrecht, (2011), S. 336.

ხდება ინფორმაციის გასაჯაროება. პირველი, Ad-hoc საჯაროობის (შეტყობინების) მოვალეობა ადგენს ფინანსური ინსტრუმენტების (შიდა) ემიტენტის მხრიდან, უშუალოდ მასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაციის წარდგენის მოვალეობას. შემდეგი მოცემულობა აქცენტს აკეთებს ემიტენტის მოვალეობის მყისიერ გასაჯაროებაზე, როდესაც „იგი (ემიტენტი) ან მისი დავალებით (ან მისთვის) მოქმედი სხვა პირი, ემიტენტის კომპეტენციის ფარგლებში სამართლებრივი ურთიერთობის სხვა მონაწილეს მიაწვდის ან ხელმისაწვდომს გახდის მისთვის (ამ სხვა პირისთვის) ინფორმაციას, თუკი სამართლებრივად ამ (სხვა) პირს ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა ევალებოდა."[235] მესამე კი მოიცავს შემთხვევებს, როდესაც ემიტენტი ასევე ხდება ვალდებული ინფორმაციის ტრანსპარენტულობაზე, როცა მან ან მისი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედმა სხვა პირმა, შეუცნობლად სხვა პირს მიაწოდა ან ხელმისაწვდომი გახადა მისთვის ინსაიდერული ინფორმაცია[236].[237] ეს ნორმები, ძირითადად, აღკვეთს ფინანსური ინსტრუმენტის (მაგალითად, აქციის) კურსისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ფაქტების (გარემოებების) დამალვის შესაძლებლობას. ამ ინფორმაციას (გარემოებებს) კი ძალიან დიდი დანიშნულება აქვს ბაზრის სტაბილურობის შენარჩუნებისათვის, რადგან საზოგადოების ფართო მასის ინფორმირებულობას უზრუნველყოფს. ეს კი განაპირობებს იმას, რომ ყველა მოთამაშე თანაბრად იქნება უზრუნველყოფილი საჭირო ინფორმაციით, რაც უფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას გამორიცხავს და ყველას თანასწორ, კონკურენტუნარიან პირობებში ჩაყენებას მოემსახურება. ამიტომ, როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული, ამ ნორმათა მიზანი „კაპიტალის ბაზრის *ფუნქციური დაცვის, საინვესტიციო საზოგადოების* და *ინსაიდერული* (კორპორაციის შიდა) *ინფორმაციის* ბოროტად გამოყენების" აღკვეთაში მდგომარეობს.[238]

შემდეგი მნიშვნელოვანი და კაპიტალის ბაზართან დაკავშირებული მოვალეობა ფინანსური ანგარიშგების ვალდებულებას ეხება. აქ გამოსაყოფია წლიური[239] და ნახევარწლიური

[235] *Assmann* in Assmann/Schneider, WpHG, (2012), §15 Rn. 40.

[236] ინსაიდერული ინფორმაციის ბოროტად გამოყენების და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგების შესახებ შეგიძლიათ იხ.: *რობაქიძე*, ინსაიდერული ინფორმაციის ბოროტად გამოყენებით დადებული გარიგებები და კერძო-სამართლებრივი შედეგები, ბურდული (რედ.), საკორპორაციო სამართლის კრებული, თბ. 2011, გვ. 159-269.

[237] *Assmann* in Assmann/Schneider, WpHG, (2012), §15 Rn. 40.

[238] *Langenbucher*, Aktien- und Kapitalmarktrecht, (2011), S. 339.

[239] WpHG §76v Abs. 2. აქ იგულისხმება შემოწმებული (დადგენილი) წლიური ანგარიში (Jahresabschluss), სარჯთაღრიცხვის მოხსენება (Lagebericht) და ე.წ. „საბალანსო ფიცი" (Bilanzeid). იხ.: *Mock* in KK-WpHG, §37v (n.F.) Rn. 24 f, 29, 30. ეს უკანასკნელი გერმანული საბალანსო სამართლის ახალ ინსტიტუტს წარმოადგენს და ბირჟაზე რეგისტრირებული კორპორაციებისთვის გამოიყენება. საჯაჭრო კოდექსის 264-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცის მე-2 წინადადების მიხედვით, ღია კაპიტალური ტიპის საზოგადოების კანონიერი წარმომადგენელი, წლიური ანგარიშის წარდგენისას ვალდებულია, მისი სისწორე ხელმოწერით დაადასტუროს, უფრო სწორედ, განმარტოს მისი სისწორე და შესაბამისობა. *Merkt* in Baumbach/Hopt (Hrsg.), HGB. Komm., 35. Auf., 2012 §264 Rn. 26. ევროპის მასშტაბით ამ ინსტიტუტის შემოღება განაპირობა 2004 წელს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს მიერ მიღებულმა დირექტივამ (Transparenzrechtlinie. MüKoHGB/*Reiner*, 3. Auf., (2013), §264 Rn. 95.), რომელიც გერმანულ სამართალში სრულყოფილად 2007 წელს იქნა ინტეგრირებული. თავის მხრივ, ევროპელი კანონმდებლისთვის ამ ინსტიტუტის შემოღების ნიმუშად აღებულ იქნა 2002 წლის Sarbanes-Oxley-Act, რომლის ნორმებიც ემიტენტის ხელმძღვანელი პირების მხრიდან ითვალისწინებს მოვალეობას, გამოქვეყნებული პერიოდული საფინანსო მოხსენებების (periodic reports) წერილობითი განმარტებით დადასტურებას. ამ წერილობით განმარტებაში დირექტორები (ხელმძღვანელი პირები) ადასტურებენ, რომ მათ გადაამოწმეს საფინანსო მოხსენებები და მათი ინფორმაციით, მათი ცოდნით

ფინანსური ანგარიშები.[240] ხოლო აქტუალური ინფორმაცია, რომელიც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს საზოგადოებისთვის და ბაზრისთვის, ასევე უნდა გამოქვეყნდეს საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ ე.წ. შუალედური ინფორმაციის[241] სახით.[242]

ქართული კანონმდებლობა კაპიტალის ბაზრის სტაბილური და კონკურენტული გარემოს შექმნისათვის კაპიტალის ბაზარზე ოპერირებადი საწარმოს (ხელმძღვანელობის) მიმართ გერმანული კანონმდებლობის მსგავს კორპორაციულსამართლებრივ ქმედებათა განხორციელების რეგულაციებს შეიცავს, მხოლოდ იმ კონკრეტული განსხვავებით, რომ ასეთმა საწარმომ ანგარიშგება უნდა წარუდგინოს ეროვნულ ბანკს და იმავდროულად გამოაქვეყნოს. ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონი ყველა ანგარიშვალდებულ საწარმოს პერიოდულ საანგარიშგებო მოთხოვნებს უდგენს. ანგარიშგება, თავის მხრივ, სამ ქვესახედ იყოფა: წლიურ, ნახევარი წლის და მიმდინარე ანგარიშად. წლიური ანგარიში სამეურნეო წლისათვის დგება, რომელიც ემიტენტის საქმიანობის, მმართველი ორგანოს წევრთა აქციათა ან მნიშვნელოვანი წილის ფლობის

(ihres Wissens) მოხსენებებში აღნიშნული ინფორმაცია არ არის არასანდო, არასრულყოფილი ან შეცდომაში შემყვანი და ისინი კორპორაციის საფინანსო და საშემოსავლო მდგომარეობის სარწმუნო სურათს ქმნიან. დაწვრილებით იხ.: MüKoHGB/*Reiner*, 3. Auf., 2013, §264 Rn. 97 ff. ზოგადი ვალდებულება კი წლიური ფინანსური ანგარიშის წარდგენისა ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის შესახებ კანონის 37v პარაგრაფის პირველი პუნქტის პირველივე წინადადებიდან გამომდინარეობს: ყოველი საანგარიშგებო წლის დასასრულს ფინანსური მოხსენების გაკეთება და საზოგადოებისათვის (ყოველი საანგარიშგებო წლის გასვლიდან მაქსიმუმ ოთხი თვის განმავლობაში) წარდგენა. *Mock* in KK-WpHG, §37v (n.F.) Rn. 6.

[240] *Assmann* in Assmann/Schneider, WpHG, (2012), §37w Rn. 11.

[241] Zwischenmitteilungen.

[242] *Assmann* in Assmann/Schneider, WpHG, (2012), §37x Rn. 410.

შესახებ ინფორმაციასა და აუდიტორის მიერ დამტკიცებულ ფინანსურ ანგარიშებს შეიცავს. ნახევარი წლის ანგარიშის ჩამონათვალში არსებითად მნიშვნელოვანი საზოგადოების მიერ საწარმოს ფინანსური ანგარიშებისა და საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი არსებითი მოვლენების შესახებ ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებაა. რაც შეეხება მესამე საანგარიშგებო კატეგორიას - მიმდინარე ანგარიშს ფიქსირებული სახე არ აქვს. ის ემსახურება კონკრეტული მოვლენის შესახებ ეროვნული ბანკის ინფორმირებულობას. შესაბამისად, ანგარიშის ფორმასა და მოცემულობას თავად სებ-ი ადგენს. ლოგიკურია, რომ ანგარიშის წარდგენის პროცედურას უზრუნველყოფს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (ორგანო). ასეთად კი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონი საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს (დირექტორებს) და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს განსაზღვრავს.[243]

აღნიშნული საანგარიშგებო მოთხოვნის გარდა, ანგარიშვალდებულ საწარმოს დამატებით ორი განსხვავებული ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება აკისრია. პირველი, ეს არის ფასიანი ქაღალდების მნიშვნელოვანი შენაძენის გასაჯაროების მოვალეობა ე.წ. Ad-hoc შეტყობინების გზით.[244] პირველი ინფორმაციისგან განსხვავებულია მეორე სახის მონაცემების შინაარსია. ეს უკანასკნელი მოიცავს ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრის მიერ თავის საკუთრებაში არსებული ამ საწარმოს იმ ფასიანი ქაღალდების პროცენტული ოდენობის შესახებ ანგარიშს, რომელთა რეგისტრირებული ან/და ბენეფიციარი მესაკუთრეც ის არის.[245]

[243] „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლი.

[244] „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლი.

[245] „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტი.

ზემოხსენებული ანგარიშისა და ინფორმაციის ტიპები კაპიტალის ბაზარზე ფუნქციონირებადი საწარმოს ხელმძღვანელობის კორპორაციულსამართლებრივ მოვალეობათა კატალოგში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს.

გ) ერთგულების მოვალეობა

საწარმოს მართვა გამგეობის წევრებისაგან არა მხოლოდ შესაბამისი ცოდნისა და უნარების გამოვლენას მოითხოვს, არამედ გარკვეული მორალური მიდგომების ჩამოყალიბებას და დამოკიდებულებას თავად სს-ისადმი. ნებისმიერ პროფესიონალ მენეჯერს შეუძლია ზიანი მიაყენოს საზოგადოებას, თუკი იგი განსაკუთრებული, საკორპორაციო სამართლის მიერ დადგენილი შესაბამისი (მორალურ-ეთიკური) პრინციპების საფუძველზე, მასშტაბების შესაბამისად არ იმოქმედებს. ამგვარად, დირექტორს ისეთი ქმედებები მოეთხოვება, რომელიც გარკვეული კრიტერიუმების, მიდგომების სახით დამკვიდრდა საკორპორაციო სამართალში. ქმედების ერთ-ერთ ასეთ საზომად „საზოგადოებისადმი ერთგული დამოკიდებულების"[246] პრინციპია მიჩნეული, რაც სამეწარმეო სამართალში დირექტორის ფიდუციური მოვალეობის შემადგენელ ნაწილადაა ქცეული. ეს არის გამგეობის წევრის *ერთგულების მოვალეობა.*

სამეთვალყურეო საბჭოს (პარტნიორთა კრების) მიერ გამგეობის წევრების დანიშვნის აქტი წარმოადგენს საფუძველს, რომ დირექტორმა საზოგადოების ინტერესებისა და სამეწარმეო შანსების გამოყენების შესაბამისად მართოს სხვისი ქონება.[247] სხვისი ქონების მართვისას[248] კი მას მოქმედი

[246] *Hüffer*, AktG, (2012), §84 Rn. 9.

[247] *Frodermann/Schäfer* in Henn/Frodermann/Jannott, Handbuch des Aktienrechts, (2009), S. 368.

სუბიექტის მიმართ ერთგულების მოვალეობის დაცვა მოეთხოვება. მისი დარღვევა კი დირექტორისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველიცაა. ამიტომ მიჩნეულია, რომ „გამგეობის წევრთა ერთგულების მოვალეობა სააქციოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დანაყოფს წარმოადგენს."[249] დოგმატურ-სამართლებრივი თვალსაზრისით ერთგულების მოვალეობა დირექტორსა და საზოგადოებას შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობიდან გამომდინარეობს, რომლის მიხედვითაც, დირექტორატის თითოეული წევრი თანამდებობრივად არის ვალდებული საწარმოს მართვაზე. შესაბამისად, დირექტორი, კერძოსამართლებრივი (გარიგებითსამართლებრივი) ურთიერთობის სხვა მონაწილისაგან განსხვავებით[250] მოვალეა, საზოგადოება მართოს არა საკუთარი (ან სხვისი) ინტერესის პრიორიტეტის აღიარების, არამედ უპირველეს ყოვლისა სს-ის ინტერესის გატარების ხარჯზე. სააქციო კანონმდებლობა ერთგულების მოვალეობას, როგორც საკანონმდებლო დეფინიციას, არ იცნობს. თუმცა კანონმდებლობის სხვადასხვა ნორმით ეს პრინციპი

[248] სხვისი ქონებრივი ინტერესის ერთგულების პრინციპიდან გამომდინარე მართვა, გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებითაც არის განმტკიცებული (პირველი გადაწყვეტილება: BGHZ 13, 188 192-194. უფრო ახალი გადაწყ. BGHZ 129, 30, 34). შესაბამისად, გამგეობა აქციონერის მიმართ უნდა მოქმედებდეს როგორც „ერთგული მინდობილი პირი". *Fleischer* in Fleischer (Hrsg.), HdbVorstandsrechts, §9 Rn. 2. თუმცა აღიარებულია, რომ ერთგულების მოვალეობის გამოჩენა გამგეობას *მხოლოდ* საზოგადოების მიმართ აქვს. იხ. მაგ.: „ჰოლცმიულერის" გადაწყვეტილება: BGHZ 83, 122, 134 f. წინა შემთხვევაში საუბარი ე.წ. გადაერთებულ პასუხისმგებლობაზეა, როდესაც დირექტორი დაარღვევს ერთგულების მოვალეობას საზოგადოების მიმართ და ზიანს მიაყენებს მას, ზიანის თანაზიარი არაპირდაპირ აქციონერიც იქნება.

[249] *Fleischer* in Fleischer (Hrsg.), HdbVorstandsrechts, §9 Rn. 1.

[250] *Heffermehl/Spindler* in MünchKomm zum AktG, §76 Rn. 14.

სხვადასხვაგვარად არის წარმოჩენილი. მაგალითისათვის მოვიყვანოთ სააქციო კანონის 88-ე პარაგრაფის პირველი პუნქტი ან ამავე კანონის 93-ე პარაგრაფის პირველი პუნქტის მესამე წინადადება. პირველი კონკურენციის აკრძალვას[251], მეორე კი ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის (დუმილის)[252] მოვალეობას[253] ეხება. თითქმის იგივეს ითვალისწინებს მეწარმეთა კანონმდებლობაც.[254]

როგორც ითქვა, ერთგულების მოვალეობის ქვეშ საწარმოსაგან, უფრო სწორედ, საწარმოს მართვის პერიოდში მო-

[251] Wettbewerbsverbot.

[252] *ჭანტურია*, კორპორაციული მართვა, გვ. 305 (სქოლიო 32).

[253] Verschwiegenheitspflicht.

[254] „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტი, ამავე კანონის მე-6 პუნქტის მეორე აბზაცი. აქ ყურადსაღებია ის გარემოება, თუ როგორ ფორმულირებას გვთავაზობს ქართული კანონმდებლობა. როგორც ქართულ იურიდიულ ლიტერატურაშია აღნიშნული, მეწარმეთა კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტი კონკურენციის აკრძალვას ეხება, თუმცა იგი ინტერესთა კონფლიქტად არის წარმოჩენილი (მუხლის კრიტიკის, ასევე, კაპიტალის ბაზრის სამართლებრივი ნორმების განვრცობის შესახებ იხ.: *ჯულული*, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, გვ. 249 და მომდ.). ამავე კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის მეორე აბზაცი კი ყურადღებას ამახვილებს „პირადი სარგებლის გამოყენების მიზნით საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოყენების აკრძალვაზე“ (*ჭანტურია*, კორპორაციული მართვა, გვ. 311). აქ ყურადღება დირექტორის მიერ საზოგადოების იმ (ძირითადად, შიდა) ინფორმაციის გამოყენების დაუშვებლობაზეა, რომლის მეშვეობითაც დირექტორმა შესაძლოა, კორპორაციის ინტერესის შელახვის ხარჯზე საკუთარი ინტერესი დაიკმაყოფილოს (ამაში ზოგადად ე.წ. ინსაიდერული ინფორმაციაც მოექცეოდა. თუმცა ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენების აკრძალვის დაწესება ფასიანი ქაღალდების ბაზრის სამართლის საქმეა და მისი სპეციალური მომწესრიგებელი ნორმები სწორედ რომ ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონმდებლობაში უნდა ვეძიოთ). ამიტომ ეს დაუშვებელია. თუმცა რამდენად მოიცავს ეს ნორმა ასევე დუმილის შენარჩუნების მოვალეობას, მსჯელობის საგანია (ასევე: *ჭანტურია*, კორპორაციული მართვა. გვ. 361). ამაზე ქვემოთ.

პოვებული საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის მოვალეობაც იგულისხმება.[255] ამ ინსტიტუტთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც გამგეობის წევრი ვალდებული ხდება „დუმილი შეინარჩუნოს“, ანუ არ გაამჟღავნოს საზოგადოების საიდუმლო და ის დაფარული ინფორმაცია (მონაცემები)[256],[257] რომელიც მისთვის ხელმიუწვდომელი იქნებოდა ეს უკანასკნელი დირექტორი რომ არ ყოფილიყო. საზოგადოების საიდუმლოებისა და დაფარული ინფორმაციის ქვეშ იგულისხმება ყოველგვარი ინფორმაცია, რომელიც საწარმოო საქმიანობას უკავშირდება[258] და მისი მართვის პროცესიდან მომდინარეობს. ამაში მოიაზრება, მაგალითად, საქარხნო-საფაბრიკო წარმოების საიდუმლოება ნოუჰაუ, მომხმარებელთა ინფორმაციული პირადი მონაცემები, აგრეთვე საზოგადოების შიდა მოხმარებისთვის განკუთვნილი ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამაც შესაძლოა ნეგატიურად იმოქმედოს საზოგადოების რენტაბელურობაზე[259] და სხვ. მაშასადამე, საუბარია იმ ფაქტობრივ მონაცემებზე, გარემოებებზე, რომელიც მხოლოდ პირთა შეზღუდული წრისათვის არის ცნობილი. შესაბამისად, ამ პირებმა (რომელშიც, რა

[255] ზოგი ავტორი ამას უშუალოდ ერთგულების მოვალეობიდან გამომდინარე ვალდებულებად აღიქვამს. *Langenbucher*, Aktien- und Kapitalmarktrecht, (2011), S. 64.

[256] ჭანტურია ხმარობს ტერმინებს: „საწარმოო და კომერციული საიდუმლოება“. *ჭანტურია*, კორპორაციული მართვა. გვ. 360.

[257] Schüppen/Schaub/*Heinz*, MAH Aktienrecht §22 Rn. 49.

[258] *Körber* in Fleischer (Hrsg.), HdbVorstandsrechts, §10 Rn. 3.

[259] Schüppen/Schaub/*Heinz*, MAH Aktienrecht §22 Rn. 49. იხ. ასევე: *Liebscher* in Müller/Rödder (Hrsg.), Beck'sches Hdb. der AG, §6 Rn. 124. სადავოა ინფორმაციის გაუხმაურებლობა დამოკიდებულ საწარმოთა კონტექსტში. კერძოდ, აქვს თუ არა დამოკიდებული საწარმოს დირექტორატს *განსაკუთრებული ინფორმაციის* დედა-საზოგადოებისთვის მიწოდების მოვალეობა. *Liebscher* in Müller/Rödder (Hrsg.), Beck'sches Hdb. der AG, §6 Rn. 125.

თქმა უნდა, დირექტორი იგულისხმება) არ უნდა გაახმაუროს იგი. „მეწარმეთა შესახებ“ კანონიც[260], ლოგიკური განმარტებიდან გამომდინარე, ინფორმაციის გამჟღავნების საწარმოსათვის ნეგატიურ შედეგზე უნდა ამახვილებდეს ყურადღებას. ნორმის მიხედვით, დირექტორს არ აქვს უფლება საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია პირადი სარგებლის მიზნით გამოიყენოს. გამოუყენებელ ინფორმაციაში, უფრო სწორედ, დაცულ ინფორმაციაში კი ყოველგვარი ინფორმაცია იგულისხმება, რომელიც გამგეობის წევრისათვის ცნობილი გახდა მოვალეობების განხორციელებისას თანამდებობრივი მდგომარეობის გამო. ამასთან, კანონის ფორმულირება ყურადღებას ამახვილებს *პირადი სარგებლის მიღების მიზნით* ამგვარი ინფორმაციის გამოყენებაზე. ეს ნიშნავს, რომ დირექტორმა, პარტნიორთა კრების (საერთო კრების, ან წესდებით გათვალისწინებულ სხვაგვარ შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს) წინასწარი თანხმობის გარეშე, არ უნდა გაამჟღავნოს და გაახმაუროს მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელსაც იგი საკუთარი პირადი ინტერესისათვის გამოიყენებს. როგორც ვხედავთ, კანონი არ მოიცავს შემთხვევებს, როდესაც დირექტორი ზოგადად გაახმაურებს საზოგადოების საიდუმლოებას ან დაფარულ ინფორმაციას, ხოლო ამ ინფორმაციის საფუძველზე მესამე პირი გარკვეულ უპირატესობას შეიქმნის, რაც სს-ს ზიანს მიაყენებს. გერმანული კანონი სხვაგვარ ფორმულირებას ითვალისწინებს, რითიც ეს უკანასკნელი ქართულისაგან განსხვავდება.[261] როგორც გერმანულ

[260] მუხლი 9, პუნქტი 6, მეორე აბზაცი.

[261] იხ. AktG §93 Abs 1 Satz (3). „გამგეობის წევრი (წევრები) მოვალეა არ გაახმაუროს (გაამჟღავნოს) დაფარული და საიდუმლო ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა გამგეობაში მისი საქმიანობიდან გამომდინარე“ (Über vertrauliche Angaben und Geheimnisse der Gesellschaft, namentlich Betriebs- oder Geschäftsgeheimnisse, die den Vorstandmitgliedern durch ihre Tätigkeit im Vorstand bekanntgeworden sind, haben sie Stillschweigen zu bewahren).

კომენტატორულ ლიტერატურაშია მიჩნეული, „გაუხმაურებლობას ექვემდებარება ყოველგვარი ინფორმაცია, რისი შენახვაც (გაუმჟღავნებლობაც) სს-ის ინტერესში ექცევა“.[262] ამით, განსხვავება კიდევ უფრო თვალშისაცემია. ამასთან, ერთგულების მოვალეობისა და გულმოდგინების მოვალეობის ურთიერთგამიჯვნის ზოგადად არსებული დისკუსია[263], ამ საკითხს კიდევ უფრო ართულებს.[264] ამიტომ დასათანხმებელია მოსაზრება, რომ დუმილის მოვალეობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ასპექტები დახვეწას მოითხოვს.[265] ამიტომაცაა აღნიშნული, რომ „თუ რა უნდა ჩაითვალოს ამგვარ საიდუმლოებებად, დაკონკრეტებული არ არის“.[266] ქართული კანონის ეს მოცემულობა კი, როგორც ზემოთ ვახსენე, განსხვავდება გერმანული სააქციო კანონის შესაბამისი ჩანაწერისაგან,[267] სადაც არის მცდელობა საიდუმლო ინფორმაციის კონკრეტიზაციისა.[268]

[262] Grigoleit/*Grigoleit/Tomasic* AktG, 2013, §93 Rn. 50.

[263] აქ მხედველობაში არ მივიღებდით აშშ-ის საკორპორაციო სამართალს, რამდენადაც ამერიკული სამართალი ამ ორ ინსტიტუტს ერთმანეთისაგან ნორმატიულ დონეზე განასხვავებს.

[264] ურთიერთგამიჯვნის შესახებ იხ.: *ჭანტურია*, კორპორაციული მართვა. გვ. 315 და მომდევნონი.

[265] *ჭანტურია*, კორპორაციული მართვა. გვ. 361.

[266] მართალია, საკითხი რუსულ საკორპორაციო სამართალს და კანონის ხარვეზს ეხება, თუმცა ავტორს პრობლემა ქართულ სამართალშიც ანალოგიურად აქვს დანახული. *ჭანტურია*, კორპორაციული მართვა. გვ. 361.

[267] AktG §93 Abs 1 Satz (3).

[268] ამასთან, ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ გერმანულ სამართალში დუმილის მოვალეობა (მოვალეობა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი დაფარული ინფორმაციის გაუმჟღავნებლობისა), ზოგიერთი ავტორის მიერ, „გამგეობის ყოველი წევრის მიმართ მოქმედ ერთგულებისა და გულმოდგინების მოვალეობის ზეგავლენად“ მიიჩნევა, რომელიც საზოგადოების ინტე-

შემდეგი საკითხი, რომელიც ასევე ერთგულების მოვალეობას უკავშირდება, უფრო სწორედ, ერთგულების მოვალეობიდან მომდინარეობს არის *კონკურენციის აკრძალვა*[269] და *საწარმოო (კომერციული)*[270] *შანსების გამოყენების* მოვალეობა.

საკორპორაციო სამართალში მიჩნეულია, რომ დირექტორმა საკუთარი გამოცდილება, ცოდნა, პროფესიონალიზმი მთლიანად იმ საწარმოს უნდა მოახმაროს, რომელშიც იგი არის დასაქმებული.[271] გადახვევა ამ პრინციპიდან მის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი[272] შეიძლება იყოს. კანონმდებლობაში იგი სათანადოდ არის წარმოდგენი-

რესისა და მისი (საწარმოს) დაცვისთვის მოქმედებს. *Körber* in Fleischer (Hrsg.), HdbVorstandsrechts, §10 Rn. 1. ამ მოსაზრების ქართულ სამართალში დამკვიდრებით, მეწარმეთა კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის მეორე აბზაცში დუმილის მოვალეობა გინდაც რომ არ მოექცეს (თუმცა მე ამ მოსაზრებას არ მივემხრობოდი და ნორმის ზოგად მიზნობრივ განმარტებას ვამჯობინებდი), მისი დარღვევა მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის პირველი აბზაცის მოქმედების ქვეშ მოხვდებოდა, რაც სამართაშემფარდებელს ასეთ შემთხვევაში, პასუხისმგებლობის დაკისრების სამართლებრივ საფუძველს მისცემდა („მეწარმეთა შესახებ“ კანონის 56-ე მუხლის მე-4 პუნქტთან ერთობლიობაში).

[269] ქართულ სამართალში კონკურენციის ამკრძალველ ნორმებზე ზემოთ ორიოდე სიტყვა ითქვა. ეს საკითხები, თავისი კრიტიკით, დამუშავებულია ნაციონალურ საკორპორაციო სამართალში (იხ. ჭანტურიასა და ჯუღელის ზემოთ მითითებული ნაშრომები). ამიტომ ქართულ სამართალში მის შესახებ აქ ყურადღებას არ გავამახვილებ.

[270] ასეც ხასიათდება იგი ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში: *ჭანტურია*, კორპორაციული მართვა, გვ. 341 და მომდ.

[271] *Langenbucher*, Aktien- und Kapitalmarktrecht, 2. Auf., (2011), S. 62.

[272] AktG §88 Abs 2 Satz (1); „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის მეორე აბზაცი.

ლი[273] და ნიშნავს იმას, რომ გამგეობის წევრს არ აქვს უფლება კონკურენტ საზოგადოებაში (ან მისთვის) განახორციელოს საქმიანობა (ან სხვაგვარად ჩართული იყოს სხვა საწარმოში[274]),[275] თუკი ეს საქმიანობა კორპორაციის შესაბამისი ორგანოს თანხმობის (ნებართვის) გარეშე[276] წარიმართება და საზოგადოების ინტერესის წინააღმდეგ იქნება მიმართული. როგორც წესი, ჩანაწერს იმის შესახებ, რომ დირექტორს უფლება არ აქვს მისი „ორგანული საქმიანობის“ გარდა სხვა საქმიანობა განახორციელოს, მასთან გაფორმებული სასამსახურო გარიგება ითვალისწინებს. ასეთი ნორმების დადგენა სასამსახურო ხელშეკრულებაში ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, თუმცა ამის ფასი კორპორაციის მხრიდან დირექტორისთვის ანაზღაურების სხვადასხვა სისტემაში გამოიხატება.[277]

კონკურენციის აკრძალვას, ინტერესთა კონფლიქტს მჭიდროდ უკავშირდება ასევე დირექტორის მხრიდან *საწარმოო (კომერციული) შანსების* საზოგადოებისთვის გამოყენების განუხრელი დაცვის მოვალეობა. corporate opportunities დოქ-

[273] AktG §88; „მეწარმეთა შესახებ“ კანონი, მუხლი 9, პუნქტი 5 (ქართული მოცემულობის, ხარვეზის შესახებ ზემოთ მინიშნებები წყაროებზე მითითებით უკვე გაკეთდა).

[274] მაგალითად, პერსონალურად პასუხისმგებელ პირად, გამგეობის წევრად და სხვ.

[275] *Liebscher* in Müller/Rödder (Hrsg.), Beck'sches Hdb. der AG, §6 Rn. 126.

[276] გერმანულ სამართალში ასეთ თანხმობას სამეთვალყურეო საბჭო გასცემს. თანხმობა შესაძლოა გაიცეს როგორც წინასწარ, ისე შემდგომ. თუმცა კონკურენციისაგან განთავისუფლება (ე.წ. დისპენსია - Dispens) გამგეობის წევრის მხოლოდ კონკრეტულ საქმიანობას უნდა ეხებოდეს. *Liebscher* in Müller/Rödder (Hrsg.), Beck'sches Hdb. der AG, §6 Rn. 126. აქედან გამომდინარე, დაუშვებელი ზოგადი დისპენსია.

[277] *Liebscher* in Müller/Rödder (Hrsg.), Beck'sches Hdb. der AG, §6 Rn. 126.

ტრინა[278], ანუ მოძღვრება კომერციული შანსების გამოყენების შესახებ, იქიდან გამოდის, რომ გამგეობის წევრი ვალდებულია საზოგადოების ინტერესებისათვის გამოიყენოს ყველა ის კომერციული შანსი, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა მისი გამგეობაში წევრად მუშაობის განმავლობაში.[279] ეს ნიშნავს, რომ ყველა კომერციული შესაძლებლობა დირექტორის მიერ გამოყენებული უნდა იქნეს კორპორაციული რენტაბელობისთვის და აკრძალულია მისი წარმართვა საკუთარი ინდივიდუალური (ან დაკავშირებული სხვა პირის) ინტერესისაკენ.[280] ეს პრინციპი, ასევე, უზრუნველყოფილია კორპორაციული მართვის კოდექსის დონეზეც,[281] რომლის მიხედვითაც, „გამგეობის არც ერთ წევრს არ აქვს უფლება გამოიყენოს საწარმოო კომერციული შანსები საკუთარი ინტერესისათვის".[282] კომერციულ შანსებში, როგორც წესი, იგულისხმება ყველა ის შესაძლებლობა, რომელმაც კორპორაციას შესაძლოა, გარკვეული ეკონომიკური სარგებელი მოუტანოს.[283] ამიტომ გამგეობის წევრების ქმედების საზომი საწარმოს ამოცანების შესრულებისას „სს-ის ნების, კეთილდღეობის", ამ უკანასკნელის *ინტერესის პრიმატის პრინციპით* უნდა იყოს განპირობებული. სამეწარმეო შანსების გამოყენების ვალდებულება დირექტორის მხრიდან კორპორაციისადმი ერთგულების მოვალეობით არის გამსჭვალული.[284] სწორედ ეს გახლავთ ამ ინსტიტუტის გამოყენების საკანონმდებლო საფუძველი, რომელიც სააქციო კანონმდებლობის შესაბამისი ნორმებიდან[285] გამომდინარეობს და მისი აქტიური გამოყენების მოვალეობას აფუძნებს. კორპორაციული შანსების საწარმოსათვის გამოყენება აპრიორი არ ნიშნავს გამგეობის მხრიდან სამეწარმეო შანსის გამოუყენებლობის აბსოლუტურ აკრძალვას. იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოება, მიუხედავად დირექტორის მიერ გადადგმული ნაბიჯებისა, არ იყენებს მას, დირექტორს მისი (ამ შესაძლებლობათა) საკუთარი ინტერესისათვის გამოყენების უფლება აქვს.[286]

[278] უფრო სწორედ „organizational opportunities". *Bainbridge,* Corporate Law, p. 152-156; *Palmiter,* Corporations, (2009), p. 314-315; ასევე: Merkt/Göthel, US-amerikanisches Gesellschafstrecht, Rn. 913 ff.

[279] *Langenbucher*, Aktien- und Kapitalmarktrecht, 2. Auf., (2011), S. 63.

[280] ამერიკულ სასამართლო პრაქტიკაზე მითითებით და *ლოფტის* ცნობილი გადაწყვეტილების მიმოხილვით, ასევე: *ჭანტურია,* კორპორაციული მართვა, გვ. 341 და მომდ. კომერციული შანსების გამოყენების საკითხის შესახებ ვრცლად: იქვე, გვ. 341-350.

[281] DCGK 4.3.3.

[282] "Kein Mitglied des Vorstands darf Geschäftschansen, die dem Unternehmen zustehen, für sich nutzen."

[283] *Liebscher* in Müller/Rödder (Hrsg.), Beck'sches Hdb. der AG, §6 Rn. 127.

დ) გულმოდგინების მოვალეობა

ერთგულების მოვალეობისაგან განსხვავებით, საწარმოს ხელმძღვანელის (გამგეობის წევრის) გულმოდგინების მოვალების[287] შესახებ საკანონმდებლო ჩანაწერია გათვალისწინე-

[284] *Sieg/Zeidler* in Hauschka, Corporate Compliance, (2010), §4 Rn. 1.

[285] AktG §93 Abs. 1; „მეწარმეთა შესახებ" კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი.

[286] *Sieg/Zeidler* in Hauschka, Corporate Compliance, (2010), §4 Rn. 1.

[287] გულმოდგინე ხელმძღვანელის მოვალეობის შესახებ ვრცლად იხ.: *ჭანტურია,* კორპორაციული მართვა, გვ. 202-300. აქვე შეგიძლიათ ნახოთ დირექტორის გულმოდგინე მოვალეობის კონკრეტული შემთხვევები. ამასთან აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამგეობის წევრის ეს მოვალეობა სხვადასხვა სიტყვით გამოიხატება. მის აღსანიშნავად გამოყენებულია როგორც „გულმოდგინეობის", ისე „გულისხმიერების" (*ჯულელი,* კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, გვ. 253) ტერმინები. თავად კანონი „მეწარმე შესახებ" ხან გულმოდგინების, ხან გულისხმიერების მოვალეობას ხმარობ(და)ს: მე-9.7 მუხლი, 49.2 მუხლი (ძვ. რედ.). მოკლედ, გამომდინარე იქიდან, რომ შინაარსი ამ სიტყვებისა ერთი და იგივეა, უმჯობესია ნახმარი იყოს ორივე სიტყვა და მათ

ბული. სააქციო კანონი[288] და კანონი „მეწარმეთა შესახებ“ ამ ინსტიტუტს კანონმდებლობის დონეზე განამტკიცებს.[289] როგორც ნაშრომის წინა თავებში ითქვა, საწარმოს მართვა ყოველთვის რისკ-ფაქტორებთან არის დაკავშირებული. საზოგადოების უპირობოდ რენტაბელობა გარანტირებული ვერც ერთ დონეზე და ვერც ერთ შემთხვევაში ვერ იქნება. ეს ბევრად არის დამოკიდებული კორპორაციის მენეჯმენტზე, რომელიც არა მხოლოდ საზოგადოებისადმი ერთგული უნდა იყოს მართვის პროცესში, არამედ საზოგადოების საუკეთესო ინტერესიდან, მისი კეთილდღეობიდან გამომდინარე უნდა ზრუნავდეს საწარმოზე ისე, როგორც ამას კანონმდებლობა მოითხოვს. კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში უფლება-მოვალეობების კეთილსინდისიერად განხორციელების ზოგადი პრინციპის გარდა საკორპორაციო სამართალმა დირექტორის ქმედების განსაკუთრებული, სპეციფიკური (კორპორაციული ორგანულ-სამართლებრივი პასუხისმგებლობის) „მასშტაბები“[290] დაადგინა, რომლის დაცვა, მართვის პროცესში დაშვებული „შეცდომის“ მიუხედავად, გამგეობის წევრს პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლებს. ამიტომ დირექტორი ხელმძღვანელობის განხორციელებისას, მისი ორგანული თანამდებობრივი ადგი-

ერთი და იგივე დანიშნულება ექნება. გერმანული სამართლის მიხედვით, საკითხი ე.წ. Sorgfaltspflicht-ს ეხება. Sogfalt (sorgen) ზრუნვას, გულისხმიერებას ნიშნავს. ქართული გულისხმიერება და გულმოდგინება კი ერთი და იგივე შინაარსის მომცველი სიტყვებია.

[288] AktG §93 Abs. 1; კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხ. 9 პუნქტი 6, მუხ. 56 პუნქტი 4. დამატებით მოცემულობას შეიცავს, ასევე, კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“. უხ. მე-16 მუხ.

[289] თუმცა გარკვეული სახესხვაობით. შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა პოსტსაბჭოთა (მათ შორის საქართველოს), ამერიკული და გერმანული სამართლისა (გულმოდგინების მოვალეობის კონტექსტში) იხ. ჭანტურიას დასახ. ნაშრომი.

[290] *Fleischer* in Fleischer (Hrsg.), HdbVorstandsrechts, §7 Rn. 1.

ლიდან და სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულია, „გამოიყენოს წესიერი და კეთილსინდისიერი ხელძღვანელის გულმოდგინება (გულისხმიერება[291])“.[292] გერმანულ სამართალში მიიჩნევა, რომ აღნიშნული ნორმა არის გენერალური დებულება (პასუხისმგებლობის ზოგადი შემადგენლობისა[293]), რომლიდანაც „შესაძლოა, სიტუაციური კონრეტული სპეციფიკური მოვალეობები გამომდინარეობდეს“.[294] ზემოთ ჩამოთვლილი მოვალეობები ამის საუკეთესო მაგალითია: ანგარიშის წარდგენის, ზარჯთაღრიცხვის გაკეთების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის და ა.შ. მოვალეობები. თუმცა ამ თვალსაზრისით, გამგეობის უპირველეს მოვალეობად, რომელიც, პრინციპში, ყოველგვარი ქმედების (ობიექტურად შესაფასებელ) საზომს უნდა წარმოადგენდეს არის მართლწესრიგის შესაბამისად ქმედების მოვალეობა.[295] ამიტომაც აღიარებულია, რომ „გამგეობის წევრის კარდინალურ მოვალეობას, მისი თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელებისას, კანონის შესაბამისად მოქმედება წარმოადგენს“. ეს ე.წ. (Legalitätspflicht), ანუ ლეგალურად მოქმედების მოვალეობა, ორი ნაწილისაგან შედგება: კორპორაციის შიდა და გარე ლეგალურად ქმედების მოვალეობა. პირველი სააქციო კანონმდებლობიდან, საზოგადოების წესდებიდან და საზოგადოების (გამგეობის) შინაგანაწესიდან, მეორე კი სააქციო სამართლის

[291] ჩამატება ი. ბ.

[292] სააქციო კანონის 93-ე პარაგრაფის პირველი პუნქტის *ჭანტურიას* მიერ შემოთავაზებული თარგმანი შეუცვლელად გადმომაქვს, რადგან მიმაჩნია, რომ იგი კარგად ასახავს გერმანული კანონის შესაბამისი მუხლის შინაარსს. *ჭანტურია*, კორპორაციული მართვა, გვ. 206. იხ. ასევე: Raiser/Veil, Recht der Kapitalgesellschaften, 5. Auf., (2010), S. 137.

[293] Raiser/Veil, Recht der Kapitalgesellschaften, 5. Auf., (2010), S. 137.

[294] *Fleischer* in Fleischer (Hrsg.), HdbVorstandsrechts, §7 Rn. 1.

[295] Schüppen/Schaub/*Heinz*, MAH Aktienrecht §22 Rn. 43.

მიღმა არსებული ნორმებიდან[296] გამომდინარეობს.[297] გულმოდგინე ხელმძღვანელის მოვალეობის ქვეშ ასევე იგულისხმება *რისკის მენეჯმენტისა* და შიდა *რევიზიასთან* დაკავშირებული მექანიზმების ჩამოყალიბება-შექმნის მოვალეობა. ესეც კანონის[298] მიერ ცალკე დაფუძნებული მოვალეობაა, თუმცა გულისხმიერი ხელმძღვანელობის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად უნდა მოიაზრებოდეს. ამ მოვალეობის დროს მხედველობაში მიიღება საწარმოს ხელმძღვანელობის ზოგადი ამოცანის განხორციელებისას გასათვალისწინებელი მოვალეობა, თუმცა კორპორაციის ზომის, სიდიდის, ბრუნვის მოცულობის, დასაქმებულთა რაოდენობისა და სხვა პარამეტრების მიუხედავად, ეს გამგეობის წევრის განუხრელ (და დამოუკიდებელ) მოვალეობას შეადგენს.[299] საწარმოს სიდიდისას ან სხვა კრიტერიუმების გათვალისწინებისას ამ ინსტიტუტის შექმნის სისტემურ-შინაარსობრივ თავისებურებებზე და არა მის ჩამოყალიბება-არჩამოყალიბებაზე უნდა იყოს საუბარი.[300]

[296] *Fleischer* in Fleischer (Hrsg.), HdbVorstandsrechts, §7 Rn. 4.

[297] კონკრეტული ჩამონათვალის, უფრო სწორედ, ზემოთ აღნიშნული სისტემისმიერი კატალოგის შესახებ იხ.: *Fleischer* in Fleischer (Hrsg.), HdbVorstandsrechts, §7 Rn. 6 ff.

[298] AktG §91 Abs. 2.

[299] *Liebscher* in Müller/Rödder (Hrsg.), Beck'sches Hdb. der AG, §6 Rn. 115.

[300] კორპორაციული მართვიდან გამომდინარე კორპორაციული შესაბამისობის მოვალეობის შესახებ იხ.: Schüppen/Schaub/*Heinz*, MAH Aktienrecht §22 Rn. 53. სააქციო კანონის 161-ე პარაგრაფი კაპიტალის (შიდა ან გარე, საერთაშორისო) ბაზარზე მოქმედი სს-სთვის ე.წ. „შესაბამისობის განმარტების გაცხადების" (Entsprechenserklärung) მოვალეობას აფუძნებს (პროფ. ჭანტურია მას „შესაბამისობის დეკლარაციას" უწოდებს. *ჭანტურია*, კორპორაციული მართვა, გვ. 187). ეს ნიშნავს, რომ კორპორაციის ხელმძღვანელობითი ორგანო (გამგეობა, სამეთვალყურეო საბჭო) ვალდებული ხდება მართვის პრინციპების დონეზე მხედველობაში მიიღოს, დანერგოს და გაატაროს მთავრობის მიერ სარეკომენდაციოდ შემოთავაზებული კორპორაციული მართვის კოდექსის ნორმა-დებულებები, რაც გერმანიის კორპორაციული მართვის კოდექსის იურიდიულ მნიშვნელობას უსვამს ხაზს, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელს არ აქვს „მბოჭავი კანონის" ფორმა. Grigoleit/*Grigoleit/Zellner* AktG, 2013, §161 Rn. 1, 4, 8; Hölters/*Hölters* §161 Rn. 3, 8. რეფორმის ჭრილში იხ. ასევე: *Bachmann*, AG, Heft 16/2012, S. 568; *Müllbert/Wilhelm*, ZHR 176 (2012), S. 287 ff.

გულმოდგინე ხელმძღვანელის ერთ-ერთ მოვალეობას უკავშირებენ საწარმოს კრიზისულ პერიოდში განსახორციელებელ ქმედებებს. როგორც ლიტერატურაშია ნათქვამი, „საწარმოს ეკონომიკური კრიზისის განმავლობაში გამგეობის წევრის მიმართ მოჭარბებული მოთხოვნებია დადგენილი".[301] ერთ-ერთი ასეთი მოთხოვნაა, მაგალითად, როდესაც საზოგადოება მისი ქონებრივი აქტივების[302] ნახევარს დაკარგავს და გამგეობა ვალდებულია ყოველგვარი დაყოვნების გარეშე მოიწვიოს საერთო კრება და მას ამის შესახებ აცნობოს. ეს ღონისძიება აქციონერთა ინფორმირებულობას ემსახურება და გამგეობის მხრიდან განკუთვნილია იმისათვის, რომ კრიზისში ჩავარდნილი კორპორაციის გაჯანსაღებისთვის საჭირო და შესაბამისი ქმედებები, განსაკუთრებით დაკავშირებული კაპიტალის სტრუქტურულ ღონისძიებებთან (კაპიტალის გაზრდა ან კაპიტალის შემცირება), განახორციელოს.[303]

[301] Schüppen/Schaub/*Heinz*, MAH Aktienrecht §22 Rn. 50.

[302] კანონი მნიშვნელოვან დანაკლისს უსვამს ხაზს. AktG §92 Abs. 1. მასთან, გამგეობის მხრიდან გარკვეული მოქმედების მოვალეობა უკავშირდება კორპორაციის ქონების (გარკვეული ნაწილის) დაკარგვას, ზედავალიანებას ან გადახდისუნარობას.

[303] Grigoleit/*Grigoleit/Tomasic* AktG, 2013, §92 Rn. 5.

7.1.2. სასამსახურო (სახელშეკრულებო) სამართლებრივი მოვალეობა

ზემოთ ნახსენები მოვალეობები, გამგეობის ორგანულ მოვალეობებს განეკუთვნებოდა. როგორც წესი, დირექტორს სწორედ ეს ორგანული ვალდებულებები აკისრია, რომლის დაცვაც მას მოეთხოვება. თუმცა საკორპორაციო სამართალი ადგილს ტოვებს ასევე იმ შემთხვევისთვის, როდესაც დირექტორის გარკვეული (ორგანული) მოვალეობა შესაძლოა შეთანხმების საფუძველზე დაფუძნდეს, უფრო სწორედ, განივრცოს ან განიმარტოს, ანუ *შეთანხმების ავტონომიისთვის.* კორპორაციათა პრაქტიკიდან გამომდინარე, ბევრია შემთხვევა, როდესაც დირექტორთან ჩამოყალიბებული სახელშეკრულებო-სამართლებრივ საფუძველზე ორგანულ მოვალეობათა კატალოგის თავისებურ განმარტებასთან ან განვრცობასთან გვაქვს საქმე. ეს განსაკუთრებით ხდება მაშინ, როდესაც სასამსახურო ხელშეკრულების შედეგად გამგეობის წევრს ორგანული მოვალეობების მიღმა გარკვეული ვალდებულებები ეკისრება, რომლის ძირითადი მასტიმულირებელი ფაქტორი და მიზეზი დირექტორის ანაზღაურებაა.[304] როგორც ლიტერატურაშია ნათქვამი, „გამგეობის წევრის არსებითი სასამსახურო-სამართლებრივი მოვალეობა არის მისი თანამდებობრივი (ორგანული) ადგილის დაკავება და იმ ამოცანების მაღალპერსონალურად და გულისხმიერად შესრულება, რომელიც ამ დაკავებული თანამდებობიდან გამომდინარეობს".[305] სასამსახურო ხელშეკრულებით შესაძლოა დაფუძნდეს დირექტორის მიმართ ვალდებულება, რომელიც გამგეობის წევრის საქმიანობის განხორციელების პროცესში კორპორაციაში განსაზღვრული თანამდებობის დაკავებას ან მანდატის მიღებას უკავშირდება. ეს ძირითადად საკონცერნო საწარმოთათვის დამახასიათებელი სპეციფიკაა.[306] შესაძლოა, აგრეთვე, კონკურენციის აკრძალვის (ორგანულსამართლებრივი) მოვალეობის მაქსიმიზაციის, ანუ გაზრდის, დამატებითი მოვალეობებით დატვირთვის დაშვება, მისი გაფართოება[307] და ა.შ.

[304] ასევე: *Frodermann/Schäfer* in Henn/Jannot/Hagemann (Hrsg.), Hdb. des Aktienrechts, (2009), S. 369.
[305] *Frodermann/Schäfer* in Henn/Jannot/Hagemann (Hrsg.), Hdb. des Aktienrechts, (2009), S. 373.
[306] *Frodermann/Schäfer* in Henn/Jannot/Hagemann (Hrsg.), Hdb. des Aktienrechts, (2009), S. 373.
[307] *Frodermann/Schäfer* in Henn/Jannot/Hagemann (Hrsg.), Hdb. des Aktienrechts, (2009), S. 373.

ნაწილი IV

სამეთვალყურეო საბჭო

ნაშრომის ბოლო (IV) ნაწილი სამეთვალყურეო საბჭოს დაეთმობა. სამეთვლაყურეო საბჭო, როგორც სს-ის დამოუკიდებელი ორგანო, გერმანული ორსაფეხურიანი სისტემისთვის არის დამახასიათებელი და მას კორპორაციაში საკმაოდ სფეციფიკური დაგილი უჭირავს. სამეთვალყურეო საბჭო არის კანონით დადგენილი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილი და პასუხისმგებელი სს-ის გამგეობის კონტროლზე, მის მიერ ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელების ზედამხედველობაზე. შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭო შიდაკორპორაციულ სტრუქტურაში შუალედურ რგოლს წარმოადგენს აქციონერთა საერთო კრებასა და გამგეობას (დირექტორატს) შორის. იგი საერთო კრების მიერ შექმნილი ორგანოა უშუალოდ იმისათვის, რომ აქციონერმა (აქციონერებმა) კორპორაციის მართვის პროცესი არაპირდაპირ აკონტროლოს. ამასთან, ყურადღება გამახვილდება გარკვეულწილად გერმანულ მუშა-მოსამსახურეთა თანამონაწილეობის[1] სისტემაზეც, რომელიც, ასევე, უპირატესად გერმანული სს-ბისთვის დამახასიათებელ სპეციფიკას წარმოადგენს, თუმცა დადებითი მომენტები საწარმოს მართვის პროცესში მას ნამდვილად აქვს.

სს-ის მართვის ქართული მოდელისთვის შერეული სისტემაა დამახასიათებელი, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში რეგისტრირებულ სს-ს უფლება აქვს არჩევანი გააკეთოს მართვის მონისტურ და დუალისტურ მოდელს შორის. თუმცა კანონმდებლობა სს-ის აქციონერს სრულ, აბსოლუტურ თავისუფლებას ამ საკითხთან დაკავშირებით მაინც არ აძლევს. კერძოდ, იმ სს-ისთვის, რომლის ფასიანი ქაღალდები საჯარო ვაჭრობისათვის არის გატანილი კაპიტალის ბაზარზე, აუცილებელია შუალედური მაკონტროლებელი რგოლის, სამეთვალყურეო საბჭოს სახით ჩამოყალიბება. ამას პირველ

[1] ე.წ. Mitbestimmung.

რიგში „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 55-ე მუხლის პირველი პუნქტი უზრუნველყოფს, რომლის მიხედვითაც, თუ სს ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობის შესაბამისად აღარიშვალდებული საწარმოა, ან სებ-ის მიერ არის ლიცენზირებული ანდაც სს-ის აქციონერთა რაოდენობა ასს აღემატება, ასეთ კორპორაციაში სავალდებულოა სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა, რომელიც მინიმუმ 3 წევრისაგან უნდა შედგებოდეს. მოკლედ, წიგნის ამ ნაწილში საუბარი იქნება სამეთვალყურეო საბჭოზე, როგორც სს-ის (ორსაფეხურიანი მართვის მოდელში) სავალდებულო კოლეგიურ ორგანოზე, მის ამოცანებზე, დავალებებზე, ფუნქციებზე და უფლებამოსილებაზე; ზოგად ჭრილში წარმოდგენილი იქნება საწარმოს მუშამოსამსახურეთა თანამონაწილეობის ინსტიტუტი, მისი გავლენა სამეთვალყურეო საბჭოზე; ასევე განიხილება საკითხი მაკონტროლებელი ორგანოს ზედამხედველობის მასშტაბისა და კონტროლის მექანიზმების (ბერკეტების) შესახებ; წარმოჩინდება სამეთვალყურეო საბჭო სხვა ორგანოებთან მიმართებით.

თავი I. სამეთვალყურეო საბჭო, როგორც სს-ის ორგანო

1. სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანა, ფუნქცია

ნორმებს სს-ის სამეთვალყურეო საბჭოს[2] შესახებ ითვალისწინებს როგორც გერმანული,[3] ისე ქართული[4] კანონმდებლობა. გერმანული სს-ისთვის სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა სავალდებულოა.[5] იგი კორპორაციის სტრუქტურულ

[2] როგორც გერმანული კორპორაციული მართვის სისტემის ე.წ. „ინსაიდერული მოდელის“. *Leyens,* Information des Aufsichtsrats, S. 113. გარე კონტროლის სისტემის შესახებ უპირატესად მაშინ არის საუბარი, როდესაც კორპორაცია კაპიტალის ბაზარზე ორიენტირებულ „გაცხადებისა და გამჟღავნების“, ანუ ინფორმაციის განსაჯაროების ვალდებულებას ექვემდებარება. ეს კი სწორედ იმ საჯარო საზოგადოებებისთვის არის დამახასიათებელი, რომელთაც თავიანთი წილები (აქციები) ფასიანი ქაღალდების ბაზარზე აქვთ გატანილი საჯარო ბრუნვისათვის. უცხო არ არის, რომ გერმანული სს-ებისთვის ნაკლებად იყო დამახასიათებელი დაფინანსების კაპიტალის ბაზარზე ორიენტირებადი სისტემა, განსხვავებით, მაგალითად, შეერთებული შტატების ან ბრიტანეთისაგან. ამიტომ სამეთვალყურეო საბჭო აქ ტრადიციულად შიდაკორპორაციულ მაკონტროლებელ მეტად მნიშვნელოვან რგოლად ჩამოყალიბდა. შეად. *Leyens,* Information des Aufsichtsrats, S. 113. იხ. ასევე: *Lieder,* Der AR im Wandel der Zeit, S. 609 ff. თუმცა სიტუაცია ბოლო პერიოდში გერმანიაშიც იცვლება და დროთა განმავლობაში უფრო და უფრო მეტი სს ცდილობს თავისი ფასიანი ქაღალდების მაღალრეიტინგულ ბაზარზე გატანას, რაც, თავისთავად ცხადია, გერმანული კორპორაციებისადმი სს-სთან დაკავშირებული ინფორმაციის განსაჯაროების მოჭარბებული (კაპიტალის ბაზრის სამართლებრივი) ნორმადებულებების მოქმედებას განაპირობებს. ამის დეტერმინანტად, ასევე, ევროპის საკორპორაციო სამართლის პოლიტიკაც გამოდგება, რომელიც უფრო და უფრო მეტ საჯაროობისა და გახსნილობისაკენ უბიძგებს კორპორაციებს (როგორც ღიას, ისე დახურულს).

[3] AktG §§95-116.

[4] კანონი „მეწარმეთა შესახებ“ მუხ. 55.

[5] რომელიც მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ აღნიშვნას - „სამეთვალყურეო საბჭო“ - უნდა ატარებდეს. *Hüffer*, AktG, (2012), §95 Rn. 1.

ორგანოს წარმოადგენს და გარკვეულ, კანონმდებლობით ან წესდებით დადგენილ ამოცანებს, ფუნქციებსა და უფლებამოვალეობებს ახორციელებს. როგორც ზემოთ ითქვა, მისი, როგორც საზოგადოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ორგანოს, ძირითადი *ამოცანა* გამგეობის (და არა მთლიანად სს-ის[6]) საქმიანობის კონტროლსა და ზედამხედველობაში,[7] დირექტორატისათვის რჩევების, კონსულტაციების მიცემაში, გამგეობის წევრთა გამწესებასა და გამოწვევაში გამოიხატება.[8] იმ დროს, როდესაც გამგეობა საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ დამოუკიდებლად მართავს საწარმოს, სამეთვალყურეო საბჭო, როგორც კოლეგიური ორგანო, ზედამხედველობას უწევს მის საქმიანობას. მნიშვნელოვანია, რომ გამგეობის ზედამხედველობაში მოიაზრება გამგეობის, როგორც ერთიანი მთლიანი ორგანოს, ისე მისი ცალკეული წევრების კონტროლი.[9] შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს დირექტორატის „ხელმძღვანელობით საქმიანობაზე ოპერატიული კონტროლის"[10] *ფუნქცია* აქვს.[11] ამ ფუნქციის განხორციელებისთვის მეტად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სამეთვალყურეო საბჭოს, როგორც *პროფესიონალ* კომპეტენტურ ორგანოს და არა როგორც „კოოპერატიულ საწყისებზე"[12] ჩამოყალიბებულ, არაპროფესიონალებისაგან დაკომპლექტებულ კოლეგიალურ ინსტიტუციას. ასეთ ვითარებაში იგი ნაკლებად თუ იქნება პროფესიონალი მენეჯერული სისტემის მაკონტროლებელ და რჩევების გამცემ რეალურ სტრუქტურად ქცეული, ამიტომ თანამედროვე კორპორაციული მართვის ორსაფეხურიან მოდელში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი სწორედ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს უკავშირდება. სამეთვალყურეო საბჭო, ისევე, როგორც გამგეობა, სს-ის პროფესიონალურ და არა „სხვათა შორის" ორგანოდ უნდა ჩამოყალიბდეს. მხოლოდ მსგავს ვითარებაში არის შესაძლებელი მენეჯმენტზე რეალური მაკონტროლებელი ფუნქციის განხორციელება. სამეთვალყურეო საბჭოს არ აქვს ხელმძღვანელობითი[13] საქმიანობის უფლებამოსილება. მას არც მითითებების გაცემის კომპეტენცია აქვს საზოგადოების მოსამსახურეებისა თუ მესამე პირების მიმართ.[14] გამომდინარე აქედან,

ამასთან, ლიტერატურაში ისიც არის აღნიშნული, რომ ამ ორგანოს გარეშე სს არაქმედუნარიანია (გარიგებაუუნარო). *E. Vetter* in Marsch-Barner/Schäfer (Hrsg.), Hdb börsennotierte AG, 2. Auf., 2009, §23 Rn 12. განსხვავებით საქართველოსაგან, სადაც სამეთვალყურეო საბჭო მხოლოდ მეწარმეთა კანონის 55-ე მუხლის პირველი პუნქტის მოქმედებისას იქმნება. თუმცა აღნიშნულ ნაშრომში სწორედ საჯარო სს აღებული როგორც იდეალტიპური შემთხვევა.

[6] *ჰანტურია,* კორპორაციული მართვა, გვ. 130.

[7] რაც განმტკიცებულია ასევე კორპორაციული მართვის კოდექსის დონეზეც. Wilsing/*Wilsing* in DCGK, 5.1.1. Rn. 2 ff, 14 f.

[8] *E. Vetter* in Marsch-Barner/Schäfer (Hrsg.), Hdb börsennotierte AG, 2. Auf., 2009, §23 Rn 1.

[9] *Habersack* in MünchKommAktG, §111 Rn. 23 f; *Spindler* in Spindler/Stilz, AktG, 2007, §111 Rn. 9. მითითებულია: Wilsing/*Wilsing* in DCGK, 5.1.1. Rn. 2. იგივე კონცეფციაა გატარებული სხვათა შორის მეწარმეთა კანონშიც. უბრალოდ ნაციონალური კანონმდებლობა აქცენტს თითოეული (ცალკეული) დირექტორის კონტროლის ფუნქციაზე ამახვილებს ყურადღებას, თუმცა ნორმის ტელეოლოგიური განმარტების შედეგად, ეს უკანასკნელი როგორც თითოეულ დირექტორს, ისე დირექტორატს, როგორც ერთიან ორგანოს, შეეხება. იხ.: კანონი „მეწარმეთა შესახებ" მუხლი 55, პუნქტი 7, „ა" ქვეპუნქტი.

[10] KK-AktG/*Hans-Joachim Mertens/Andreas Cahn,* 3. Auf., 2013, Vorb. §95 Rn. 2.

[11] ოპერატიული, ასევე, საფინანსო საქმიანობის კონტროლის ფუნქცია. იხ.: *Hasselbach,* NZG 2/2012, S. 41-42.

[12] KK-AktG/*Hans-Joachim Mertens/Andreas Cahn,* 3. Auf., 2013, Vorb. §95 Rn. 1.

[13] პირდაპირი გაგებით.

[14] *Wolff* in Henn/Jannot/Hagemann (Hrsg.), Hdb. des Aktienrechts, (2009), S. 407..

მისი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გამგეობასთან ერთად ხელი შეუწყოს საწარმოს მართვის ერთიან პროცესს, რაც მისი მხრიდან „კორპორაციის სტრატეგიული მოწყობის გადაწყვეტილებებში და საწარმოს პოლიტიკის შექმნაში“ გამოიხატება.[15] სრულიად სწორად არის ლიტერატურაში აღნიშნული, რომ სტრატეგიული კონტროლის ფუნქცია სამეთვალყურეო საბჭოს არ აძლევს უფლებას წინასწარი (არაგონივრული) ზეგავლენა მოახდინოს გამგეობაზე ამ უკანასკნელის მიერ საქმიანობის განხორციელების პროცესში. იგი მოწოდებული უნდა იყოს შექმნას თანაზომიერი და ჯანსაღი, არა მხოლოდ წმინდად სამართლებრივად გამართლებული, არამედ მიზანზე ორიენტირებული, მიზნობრივ კონტროლზე დაფუძნებული ფუნქციური სისტემა,[16] რაც მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღწევა, როდესაც სამეთვალყურეო საბჭო გამგეობის მიმართ ლოიალურად (საზოგადოებასთან და მის ორგანოებთან მიმართებით ერთგულად) დამოკიდებულ ორგანოდ ჩამოყალიბდება, რომელიც მოწოდებულია იყოს დირექტორატის „იდეების საუკეთესო თანამოაზრე, მეკავშირე, მასტიმულირებელი და ჯანსაღი კრიტიკოსი“.[17] შესაბამისად, საწარმოს მართვის თანამედროვე მოდელი უნდა დავინახოთ კორპორაციის ამ ორ რგოლს შორის ჯანსაღი მოქნილი და ფუნქციონირებადი აღმასრულებელ-მაკონტროლებელი სისტემის კონტექსტში. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებდით ერთმანეთისაგან გაუცხოვებულ და არაჯანსაღად დაპირისპირებულ შიდაკორპორაციულ ორგანოებს, რაც სს-ისთვის დამღუპველი შეიძლება აღმოჩენილიყო. ამიტომაც არის მიჩნეული, რომ სამეთვალყურეო საბჭო არა მხოლოდ ზედამხედველი, არამედ „თანაქმედითი, თანაშემსრულებელი“ ორგანო უნდა იყოს.[18] ეს კარგად ვლინდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ თანახელმძღვანელობითი ფუნქციის განხორციელებისას, როდესაც იგი გამგეობას თანხმობას აძლევს ან არ აძლევს გარკვეული მოქმედებების განხორციელებაზე. ამაში მოიაზრება ყველა ის კანონისმიერი თუ წესდებისმიერი შემთხვევა, რომლის დროსაც გამგეობა გადაწყვეტილების მიღებისას, უფრო სწორედ, გარიგების დადებისას მოვალეა სამეთვალყურეო საბჭოს წინასწარი ან შემდგომი თანხმობა მიიღოს.[19] განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი როლი საწარმოს კრიზისულ პერიოდში,[20] რამდენადაც მას, როგორც გაგეობაზე ზედამხედველ და მასთან ერთად თანაქმედით ორგანოს, მოჭარბებული კონტროლის მოვალეობა ეკისრება, რომლის ბრალეულმა დაუცველობამ შესაძლოა, სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებაც გამოიწვიოს.[21] თავისთავად ცხადია, სამეთვა-

[15] KK-AktG/*Hans-Joachim Mertens/Andreas Cahn,* 3. Auf., 2013, Vorb. §95 Rn. 1.

[16] *Hüffer*, AktG, (2012), §111 Rn. 6. რაც, ასევე, სამეთვალყურეო საბჭოს ზედამხედველობისა და კონტროლის მასშტაბსაც განსაზღვრავს. იქვე: §111 Rn. 6. ასევე: Wilsing/*Wilsing* in DCGK, 5.1.1. Rn. 5.

[17] KK-AktG/*Hans-Joachim Mertens/Andreas Cahn,* 3. Auf., 2013, Vorb. §95 Rn. 1.

[18] *Kropff* in Semler/v. Schenck (Hrsg.), ARHdb, (2009), §8 Rn. 1, 4.

[19] *Kropff* in Semler/v. Schenck (Hrsg.), ARHdb, (2009), §8 Rn. 4. თუმცა ამასაც უნდა მიექცეს ყურადღება, რომ კორპორაციული დოკუმენტებით (მაგ., წესდებით) არ მოხდეს დირექტორატის ფუნქციის დაკნინება და სამეთვალყურეო საბჭოს მაკონტროლებელი ძალაუფლების აბსულუტურად გაზრდა. *Oltmanns,* Geschäftsleiterhaftung und unternehmerisches Ermessen, S. 201. მითითებულია: *ჰანტურია*, კორპორაციული მართვა, გვ. 131 (სქოლიო 152.). ეს შეეწინააღმდეგებოდა გამგეობის მიერ საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ საწარმოს გაძღოლისა და გადაწყვეტილებების თავისუფლად და დამოუკიდებლად მიღების ერთიან კონცეფციას.

[20] კრიზისში მყოფი სს-ის სამეთვალყურეო საბჭოს საზედამხედველო და საკონსულტაციო ფუნქციის (მოვალეობის) შესახებ იხ.: *ჰასელბახის* სტატია: *Hasselbach,* Überwachungs- und Beratungspflichten des AR in der Kriese, NZG 2/2012, S. 41-48.

[21] *Hasselbach,* NZG 2/2012, S. 41 f, 47.

ლყურეო საბჭო ამ ამოცანას ვერ განახორციელებს, თუკი მის ხელში კრიზისის წინასწარი შემცნობი პრევენციული და ფინანსური სიძნელეების დამძლევი მექანიზმები არ იქნა თავმოყრილი.[22] ეს კი, ძირითადად, მისი მხრიდან გამგეობის მიმართ ინფორმაციის მოთხოვნით, მისი ოპერატიული საქმიანობის ინტენსიური კონტროლით შეიძლება იქნეს მიღწეული.[23] მოკლედ, სამეთვალყურეო საბჭო გამგეობის საქმიანობაზე თანაქმედითი ორგანოა, რომელსაც დირექტორების ზედამხედველობა, კონტროლი და რჩევების მიცემა ევალება. ეს ამოცანა და ფუნქცია განუხოროციელებელი იქნება, თუკი სამეთვალყურეო საბჭო „დამატებითი პროფესიულიდან" უშუალოდ „პროფესიულ საბჭოდ" არ გარდაიქმნა.[24] სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისადმი წაყენებული მოთხოვნები, ანაზღაურების, გულისხმიერებისა და პასუხისმგებლობის სისტემის ჩამოყალიბება და ა.შ. სწორედ ამ თანამედროვე კონცეფციას უზრუნველყოფს.[25]

[22] განსაკუთრებულ სიტუაციებში სამეთვალყურეო საბჭოს კორპორაციული მართვის ინსტრუმენტების თაობაზე იხ. მაგ.: *Hasselbach/Seibel,* AG, Heft 4/2012, S. 116 ff.

[23] *Hasselbach,* NZG 2/2012, S. 41.

[24] *Wolff* in Henn/Jannot/Hagemann (Hrsg.), Hdb. des Aktienrechts, (2009), S. 407.

[25] ამასთან დაკავშირებით იხ. *პაშოსია* და *გოზლარის* სტატია, რომელიც კორპორაციული მართვის კოდექსის ცვლილების ფონზე სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა (მათ შორის, მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენლების) დამოუკიდებლობის ერთ-ერთ საზომად და საფუძვლად მათ მიმართ წაყენებულ პერსონალურ მოთხოვნებს მიიჩნევს, განსაკუთრებით, ასარჩევ კანდიდატთა პერსონალური და პროფესიული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის წინასწარ საჯაროდ გაცხადებას და ა.შ. *Paschos/Goslar,* Unabhängigkeit von Aufsichtsratsmitgliedern nach den neuesten Änderungen des DCGK, NZG 35/2012, S. 1361, 1363 ff. უახლესი ლიტერატურიდან იხ. ასევე: *Bachmann,* AG, Heft 16/2012, S. 571-575.

სს-ის ხელმძღვანელობა უშუალოდ გამგეობის პრეროგატივაა.[26] სააქციო საზოგადოების სამართალი სამეთვალყურეო საბჭოს მხოლოდ გამგეობის კონტროლის, ზედამხედველობის ფუნქციით შემოსაზღვრავს, რაც თავის მხრივ იმას ნიშნავს, რომ მმართველობითი პოლიტიკის ძირითადი „გრავიტაციული ეპიცენტრი" კვლავ დირექტორატის ხელში რჩება.[27] ამიტომ მაკონტროლებელ ორგანოს მხოლოდ ამ ეპიცენტრში არსებული მდგომარეობის ზედამხედველობა უნდა ევალებოდეს. კორპორაციული მართვის ეს დებულება[28] გერმანულ სამართალში სს-ის ორგანოთა თავისთავად კომპეტენციაზეა ბაზირებული, რომლის თანახმადაც, არც ერთი კორპორაციული ორგანო ბრმად დამოკიდებულ სტრუქტურულ დანაყოფს არ ქმნის. მათ შორის ურთიერთობა კი ჰორიზონტალურ და არა ვერტიკალურ, სუბორდინაციულ ჭრილშია დასანახი, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დირექტორატი სამეთვალყურეო საბჭოს,[29] ხოლო შუალედური რგოლი - აქციონერია საერთო კრების მიერ იქმნება. სააქციო კანონი[30] პირდაპირ მიუთითებს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს არ შეიძლება გადაეცეს (პირდაპირი გაგებით) ხელმძღვანელობითი ფუნქცია. კანონის

[26] *Bitter,* Gesellschaftsrecht, S. 27.

[27] KK-AktG/*Hans-Joachim Mertens/Andreas Cahn,* 3. Auf., 2013, Vorb. §95 Rn. 4.

[28] რომელიც „მაკონტროლებელი და ხელმძღვანელობითი ფუნქციის მქონე ორგანოთა ინსტიტუციონალიზირებული დაყოფის პრინციპზეა დაფუძნებული". *Bachmann,* AG, Heft 16/2012, S. 572.

[29] ვალდებულია გამგეობის წევრთან გააფორმოს სასამსახურო ხელშეკრულება. ამასთან, გარკვეული „ზეგავლენა", განსაკუთრებით სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მხრიდან, შესაძლოა განხორციელდეს იმ დროს, როცა საკითხი დირექტორის ანაზღაურებას შეეხება. *Wolff* in Henn/Jannot/Hagemann (Hrsg.), Hdb. des Aktienrechts, (2009), S. 407.

[30] AktG §111 Abs. 4 Satz (1).

აღნიშნული ჩანაწერი[31] ნიშნავს, რომ მაკონტროლებელ რგოლს არ აქვს უფლება განახორციელოს „სამეწარმეო ინიციატივები".[32] ეს მხოლოდ დირექტორატის ფუნქციაა. გამომდინარე აქედან, სამეთვალყურეო საბჭოს მხოლოდ ამა თუ იმ წინადადების ინიცირების რჩევის უფლებამოსილება ენიჭება, ხოლო თავად ინიცირების უფლება გამგეობას რჩება.[33] ეს დებულება კიდევ ერთხელ აღიარებს სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას – გამგეობისთვის წინადადებების მიწოდების, რჩევების მიცემას. საერთო ჯამში, გერმანული კანონმდებლობა[34] გამგეობას და სამეთვალყურეო საბჭოს „სს-ის მმართველობად"[35] მიიჩნევს[36] და, გარკვეული

[31] რადგან სააქციო კანონმდებლობა მკაცრად განსაზღვრულ გამონაკლისსაც ითვალისწინებს.

[32] *E. Vetter* in Marsch-Barner/Schäfer (Hrsg.), Hdb börsennotierte AG, 2. Auf., 2009, §23 Rn 1.

[33] აქ გამონაკლისს წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს გარკვეული ინიციატივები, რომელიც მართვის პროცესის არაორდინალურ სიტუაციას შეეხება. მაგალითისათვის, შესაძლებელია მოყვანილ იქნეს კანონმდებლობის ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, მაკონტროლებელ ორგანოს აქციონერთა საერთო კრების მოწვევის ინიცირების უფლება აქვს. ჩვეულებრივ საერთო კრების მოწვევა გამგეობის უშუალო პრეროგატივაა, თუმცა საზოგადოების კეთილდღეობის ინტერესიდან გამომდინარე ამის უფლება, ასევე, სამეთვალყურეო საბჭოს ეძლევა. AktG §111 Abs. 3. შემდგომი შემთხვევების მითითებით იხ.: *Hoffmann/Preu,* Der Aufsichtsrat, S. 112. ასეთ შემთხვევას ითვალისწინებს აგრეთვე „მეწარმეთა შესახებ" კანონის 55-ე მუხლის მე-7 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც, საზოგადოებრივი აუცილებლობისას სამეთვალყურეო საბჭოს საერთო კრების მოწვევის უფლება ეძლევა.

[34] როგორც სააქციო კანონი, ისე კორპორაციული მართვის კოდექსი. *Roth,* Information und Organisation des AR, ZGR 1/2012, S. 347.

[35] Verwaltung der Gesellschaft.

[36] 1965 წლის გერმანული სააქციო კანონი („სააქციო კანონის ზოგადი დასაბუთების ცენტრალური მოტივი") მიზნად ისახავდა გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს როლის გაძლიერებას. ამ თვალსაზრისით ორივე

მკაცრად რეგლამენტირებული შემთხვევის გარდა[37], გამორიცხავს ზემოთ ხსენებულ ორგანოებში იმავდროულ წევრობას, რაც, გერმანული სამართლის გადმოსახედიდან, კიდევ უფრო აძლიერებს კორპორაციაში მიუკერძოებელი მაკონტროლებელი სისტემის ჩამოყალიბებას.[38]

სამეთვალყურეო საბჭო სს-ის *შიდა კოლეგიურ ორგანოდ* მიიჩნევა.[39] მისი ფუნქცია და კომპეტენცია მხოლოდ შინაკორპორაციულ ურთიერთობას ეხება და მას გარესამართლებრივ ვითარებასთან ნაკლებად თუ აქვს შეხება. თუმცა არსებობს გამონაკლისებიც, რომლის დროსაც სამეთვალყურეო საბჭო წარმოადგენს სს-ს სასამართლო და არასასამართლო ურთიერთობაში. ერთ-ერთ ასეთ მაგალითად შესაძლოა მოყვანილ იქნეს დირექტორთა წინააღმდეგ პროცესებში გამოსვლის უფლებამოსილება.[40] როგორც კოლეგიური ორგანო, საემთვალყურეო საბჭო გარკვეული გადაწყვეტილებებისა და კოლეგიალურობის საფუძველზე მიღებული ღონისძიებების შესაბამისად მოქმედებს.[41] მაკონტროლებელი ორგანოს კოლეგიურ პრინციპს კანონმდებლობა უზრუნველყოფს, რომლის მიხედვითაც, თუკი სს-ში სამეთვალყურეო საბჭოა ჩამოყალიბებუ-

ორგანო თანაბრად წარმართავს საზოგადოებას და მის უშუალო მმართველობას განეკუთვნება. *Roth,* Information und Organisation des AR, ZGR 1/2012, S. 347-348.

[37] AktG §105 Abs. 2. იხ.: *Hüffer*, AktG, (2012), §105 Rn. 5 ff; KK-AktG/*Hans-Joachim Mertens/Andreas Cahn,* 3. Auf., 2013, §105 Rn. 18 ff. შეუთავსებლობის (Inkompatibilität) შესახებ: *E. Vetter* in Marsch-Barner/Schäfer (Hrsg.), Hdb börsennotierte AG, 2. Auf., 2009, §25 Rn 11.

[38] *Schiffels,* Der AR als Instrument der Unternehmenskooperation, S. 3 ff.

[39] *Lutter/Krieger,* Rechte und Pflichten des Aufsichtsrats, 2008, §1 Rn. 36, 39.

[40] AktG §112. „მეწარმეთა შესახებ" კანონის 55-ე მუხლის მე-7[1] პუნქტი.

[41] *Lutter/Krieger,* Rechte und Pflichten des Aufsichtsrats, 2008, §1 Rn. 39.

ლი, მაშინ ამ ორგანოს რიცხოვნობას თავად კანონი ადგენს.[42] ეს კი კიდევ ერთხელ საკანონმდებლო დონეზე აღიარებს სამეთვალყურეო საბჭოს კოლეგიური ორგანოს საწყისებს.

ქართული საკორპორაციო სამართლის მიხედვით, კერძოდ, „მეწარმეთა შესახებ" კანონის 55-ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს, თუკი იგი იმავდროულად საზოგადოების რეგისტრირებული დირექტორია, არ აქვს უფლება არჩელი შეიტანოს საწარმოს დირექტორის წინააღმდეგ. ამის უფლება ამავე საბჭოში მოქმედ სხვა წევრს ენიჭება. აქ, როგორც ჩანს, ერთგავარად ირღვევა გერმანული სამართლისათვის დამახასიათებელი პრინციპი, თუმცა საერთო ჯამში ნაციონალური კანონის აღნიშნული ნორმა მაინც არ უნდა წარმოჩინდეს ისე, თითქოსდა მის მიხედვით კოლეგიურობის პრინციპი უგულვებელყოფილია. ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭო იმოქმედებს როგორც კოლეგიური ორგანო (გადაწყვეტილების მიღების საფუძველზე). მაკონტროლებელი რგოლის თავმჯდომარე კი აღნიშნულ პროცესში მონაწილეობას ვერ მიიღებს. ამ პროცედურასთან დაკავშირებული დეტალები ან საზოგადოების წესდებით ან სამეთვალყურეო საბჭოს რეგლამენტით უნდა განისაზღვროს. ამასთან, გერმანული კორპორაციული მართვის იდეალტიპურ შემთხვევას თუ ავიღებთ და მას ქართულ რეალობაში გადმოვიტანთ, მივიღებთ, რომ დირექტორატი და საემთვალყურეო საბჭო საქართველოში რეგისტრირებულ კორპორაციებშიც ძირითად მმართველ რგოლს ქმნიან. სამეთვალყურეო საბჭო, როგორც გამგეობაზე ზედამხედველი და მაკონტროლებელი ფუნქციის მქონე კორპორაციის კოლეგიური ორგანო, როგორც წესი, მხოლოდ საზოგადოების შიდა საქმიანობასთან დაკავშირებულ ურთიერთობაში

[42] AktG §95. „მეწარმეთა შესახებ" კანონის 55-ე მუხლის პირველი პუნქტი.

იქნება ჩართული (გარკვეული, ზემოთ ნახსენები გამონაკლისების გარდა). ის, რაც ძირითადად განასხვავებს ქართულ სამართალს გერმანულისაგან არის, როგორც ზემოთ წარმოჩინდა, მართვის სისტემის არჩევის თავისუფლების პრინციპი. ეს პრინციპი საწესდებო ავტონომიის თავისუფლებაზეა ბაზირებული და აძლევს სს-ის აქციონერს შესაძლებელობას კორპორაცია სამეთვალყურეო საბჭოს გარეშე ჩამოაყალიბოს, თუკი სახეზე არ არის მეწარმეთა კანონის 55-ე მუხლის პირველი პუნქტის დანაწესი. ლიბერალურია კანონი ასევე ორგანოთა პარალელურ წევრობასთან დაკავშირებით.[43] ესეც, როგორც ჩანს, ქართული სამართლის გაამერიკანიზების შედეგია, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის საკორპორაციო სამართალში კორპორაციული მართვის მსგავსი საკითხები სხვაგვარად არის მოწესრიგებული.

2. სამეთვალყურეო საბჭოს სიდიდე და შემადგენლობა (კოდეტერმინაცია)

სს-ის სამეთვალყურეო საბჭო მისი წევრებისაგან უნდა შედგებოდეს. სამეთვალყურეო საბჭოს წევრად, გერმანული სამართლის მიხედვით, გამოდის მხოლოდ ფიზიკური პირი, რომელიც გარკვეულ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს.[44]

[43] იხ. „მეწარმეთა შესახებ" კანონის 55-ე მუხლის მე-2 პუნქტი, ასევე, მე-7^1, მე-7^2 პუნქტები.

[44] ასეთი კრტიტერიუმები, ანუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისადმი წაყენებული პერსონალური მოთხოვნები ჩამოთვლილია სააქციო კანონის მე-100 პარაგრაფში, განსხვავებით მეწარმეთა კანონისაგან. 55-ე მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი. ეს ნიშნავს, რომ თეორიულად სამეთვალყურეო საბჭოში შესაძლოა წარმოდგენილი იყოს იურიდიული პირიც (უფრო სწორედ, მისი წარმომადგენელი). მეწარმეთა კანონი სამეთვალყურეო საბჭოს წევრისადმი რაიმე სპეციალურ მოთხოვნებს არ ადგენს. კიდევ უფრო

სააქციო კანონის 95-ე პარაგრაფის შესაბამისად, იმ სს-ში, რომელზეც არ ვრცელდება მუშა-მოსამსახურეთა თანამონაწილეობის კანონმდებლობა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შემადგენლობა, ძირითადად კორპორაციის (საწესდებო) კაპიტალის სიდიდეზეა დამოკიდებული.[45] ამიტომაც არის აღნიშნული კომენტატორულ ლიტერატურაში, რომ სააქციო კანონის ზემოთ მითითებულ მუხლს, გარკვეულწილად „რბილი" ხასიათი აქვს. იგი მოქმედებს მხოლოდ იმ საზოგადოებაში, რომელიც მუშა-მოსამსახურეთა თანამონაწილეობის სამართლებრივ რეჟიმს არ ექვემდებარება.[46] ეს კი შედარებით მცირე ზომის სს-ებებისთვის არის დამახასიათებელი.

სამეთვალყურეო საბჭო სულ მცირე 3 წევრისაგან უნდა შედგებოდეს. ამას ითვალისწინებს როგორც გერმანული, ისე ქართული კანონმდებლობა. საზოგადოების წესდებით შესაძლოა უფრო მაღალი სტანდარტი იქნეს გათვალისწინებული რიცხოვნობის თვალსაზრისით, თუმცა გერმანული სამართალი საწესდებო ავტონომიის ფარგლებს აქაც ზღუდავს. „მეწარმეთა შესახებ" კანონის 55-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭო არანაკლებ 3 და არაუმეტეს 21 წევრისაგან უნდა შედგებოდეს. როგორც ქართულ, ისე გერმანულ სამართალში მაკონტროლებელი ორგანოს რიცხოვნობასთან დაკავშირებით ერთნაირი მინიმალური და მაქსიმალური ზღვარია დაწესებული. მაგრამ ქართული სამართალი, გერმანულისაგან განსხვავებით, არ იცნობს „კენტი ციფრის

აზუსტებს ავსტრიული კანონი ამ შემთხვევას. öAktG §86 Abs 1 Satz (1). იხ. *კალსის* კომენტარი: *Kalss* in MünchKommAktG, 3. Auf., (2008), §95 Rn. 27 ff. მოკლედ, გერმანული და თანამედროვე ავსტრიული საკორპორაციო (სააქციო) სამართლის ურთიერთშედარების შესახებ შეგიძლიათ იხ.: *Kalss,* NZG 5/2012, S. 161 ff. განსაკუთრებით: S. 166 f.

[45] *Wolff* in Henn/Jannot/Hagemann (Hrsg.), Hdb. des Aktienrechts, (2009), S. 413.

[46] KK-AktG/*Hans-Joachim Mertens/Andreas Cahn,* 3. Auf., 2013, §95 Rn. 6.

პრინციპს",[47] რაც ნიშნავს, რომ სამიდან ოცდაერთის ფარგლებში სს-მ შესაძლოა სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი რიცხობრივი ოდენობა განსაზღვროს და არ დაუქვემდებაროს იგი აუცილებლად კენტ რიცხვს. სამეთვალყურეო საბჭო შესაძლოა 3, 6, 8 და ა.შ. წევრისაგან შედგებოდეს. ის, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რიცხვი სამზე გაყოფადი უნდა იყოს, უზრუნველყოფილია სააქციო კანონმდებლობით.[48] ამასთან, ქართულისაგან განსხვავებით, წევრთა მაქსიმალური ოდენობა საწესდებო კაპიტალის ციფრზეა დამოკიდებული.[49] სააქციო კანონის 95-ე პარაგრაფის მიხედვით, იმ სს-ში[50], რომელსაც 1 500 000 ევროს საწესდებო კაპიტალი აქვს, სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა მაქსიმალური ოდენობა 9 უნდა იყოს. იქ, სადაც საწესდებო კაპიტალი 1,5 მლნ. ევროზე მეტია – 15, ხოლო 10 მლნ. ევროზე ზემოთ – 21. საზოგადოების წესდებას სწორედ კანონის მიერ დადგენილ ფარგლებში შეუძლია ლავირება.

ის, რაც სამეთვალყურეო საბჭოს მოცულობასთან და შემადგენლობასთან დაკავშირებით არის მეტად საინტერესო გერმანული სამართლის ე.წ. საწარმოში *მუშა-მოსამსახურეთა*

[47] ეს, ძირითადად, მუშა-მოსამსახურეთა თანამონაწილეობას არადაქვემდებარებულ სს-ებზე ან DrittelbG დაქვემდებარებულ კორპორაციებზე ვრცელდება. KK-AktG/*Hans-Joachim Mertens/Andreas Cahn,* 3. Auf., 2013, §95 Rn. 10.

[48] AktG §95 Satz (3).

[49] ამასთან მხედველობაში „ფაქტობრივად გაცემული საწესდებო კაპიტალი" (ანუ რეგისტრირებული სკ) მიიღება და არა, მაგალითად, კაპიტალის გაზრდის შესახებ საერთო კრების გადაწყვეტილების შედეგად ფაქტობრივად გაზრდილი, მაგრამ ჯერ დაურეგისტრირებელი. KK-AktG/*Hans-Joachim Mertens/Andreas Cahn,* 3. Auf., 2013, §95 Rn.12.

[50] ან კსს-ში.

თანამონაწილეობის[51] ინსტიტუტს უკავშირდება. ეს ინსტიტუტი მრავალი კრიტიკის მიუხედავად[52] გერმანიაში კვლავ ინარჩუნებს თვითმყოფადობას და საწარმოს მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან (სოციალურ) ელემენტად არის მიჩნეული.[53] ამ თვალსაზრისით გამოსაყოფია რამდენიმე ფედერალური კანონი, რომელიც შეიცავს ნორმებს სს-ისა და კსს-ის[54] სამეთვალყურეო საბჭოს დაკომპლექტებისას მუშა-მოსამსახურეთა ინტერესის გათვალისწინების, მათი წარმომადგენლის „წარდგენის" შესახებ. სააქციო კანონის 96-ე პარაგრაფი კონკრეტულად ჩამოთვლის იმ კანონმდებლობას, რომელიც ნებისმიერი (ტიპის) სს-ის მაკონტროლებელი რგოლის ჩამოყალიბების სპეციფიკას ეხება. 96-ე პარაგრაფის პირველი აბზაცის ბოლო წინადადების მიხედვით, თუკი აღნიშნული მუხლი აპელირებას მუშა-მოსამსახურეთა კანონმდებლობაზე არ აკეთებს, მაშინ სამეთვალყურეო საბჭო ჩვეულებრივ აქციონერთა წარმომადგენლებისაგან, ანუ მათ მიერ არჩეული წევრებისაგან შედგება. ეს ნიშნავს, რომ სწორედ ამ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭო მხოლოდ მეწილეთა თავისუფალი ნების საფუძველზე იქმნება. მაგრამ თუ სახეზეა გარკვეული კრიტერიუმები, რომელსაც მუშა-მოსამსახურეთა კანონმდებლობა შეიცავს, მაშინ სამეთვალყურეო საბჭოს დაკომპლექტება აქციონერთა და კორპორაციაში დასაქმებულთა ერთობლივი საქმეა. სწორედ ამაში ვლინდება გერმანული სამართლის თავისებურება, რო-

[51] Mitbestimmung der Arbeitnehmern. ინგლ. მას co-determination ეწოდება. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტერმინის ქართული შესატყვისი მძიმებულია, წინამდებარე ნაშრომში მას კოდეტერმინაციასაც ვუწოდებ. ეს უბრალოდ მხოლოდ ავტორის სტილზე იქნება დამოკიდებული.

[52] *იხ. მაგ.: Lutter,* ZHR 159 (1995), S. 296-300; *Leyens,* Information des Aufsichtsrats, S. 122-123. *ჭანტურია,* კორპორაციული მართვა, გვ. 131-132.

[53] *Dreist,* Die Überwachungsfunktion des AR, S. 31.

[54] ეს კანონმდებლობა ვრცელდება ზოგადად ყველა კაპიტალურ საზოგადოებაზე. ამიტომ იგი მოქმედებს შპს-ებების მიმართაც.

მელიც საკანონმდებლო დონეზე იცნობს მუშა-მოსამსახურეთა უშუალო ჩართულობას საწარმოს მართვის პროცესში. ეს შუალედური რგოლის — სამეთვალყურეო საბჭოს, უფრო სწორედ, ამ საბჭოში საკუთარი დელეგატის დანიშვნის მეშვეობით ხორციელდება.

კოდეტერმინაციის ინსტიტუტი შესაძლებელია, სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებშიც ჩამოყალიბდეს იმ ქვეყანაში, სადაც მუშა-მოსამსახურეთა თანამონაწილეობის ინსტიტუტი საკანონმდებლო დონეზე განმტკიცებული არ არის და მას არ აქვს სავალდებულო მოქმედების რეჟიმი. ასეთს საქართველო განეკუთვნება. საქართველოში რეგისტრირებულ დიდ კორპორაციას ვერავინ შეუშლიდა ხელს თანამონაწილეობის იურიდიული მექანიზმი ხელშეკრულების საფუძველზე შეექმნა,[55] თუმცა ეს მხოლოდ აქციონერთა (და მოსამსახურეთა) სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში გადასაწყვეტი საკითხი იქნებოდა. რამდენად მიზანშეწონილი იქნებოდა მსგავსი რამის გაკეთება, მითუმეტეს დღევანდელ საქართველოში, ძალიან რთული სათქმელია.[56]

მოკლედ, გერმანული სამართლის მიხედვით, ამ შემთხვევაში რამდენიმე სპეციალურ კანონთან გვაქვს საქმე. პირველი ეს არის კანონი მუშა-მოსამსახურეთა თანამონაწილეობის შესახებ ე.წ. Mitbestimmungsgesetz.[57] შემდეგ ყურადღება მახ-

[55] მისი ეკონომიკური ასპექტების გათვალისწინებით შესაძლოა, კოდეტერმინაციის თავისუფალი განსაზღვრის რეჟიმი მომგებიანიც ყოფილიყო. ეკონომიკური ანალიზის შესახებ იხ.: *Leyens,* Information des Aufsichtsrats, S. 123 f.

[56] საქართველოში დადებით როლს ამ ინსტიტუტის საკანონმდებლო დონეზე ჩამოყალიბება უეჭველად ითამაშებდა, როდესაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების მასობრივი განსაზოგადოებრიობის, ანუ პრივატიზაციის პროცესი დაიწყო. ამის შესახებ ქვემოთ.

[57] MitbestG. 04.05.1976, BGBL. I, S. 1153.

ვილდება ე.წ. Montan-Mitbestimmungsgesetz,[58] ანუ კანონზე სამთო-სამადნო და რკინისა და ფოლადის ინდუსტრიულ საწარმოებში მუშა-მოსამსახურეთა თანამონაწილეობის შესახებ. ასევე Mitbestimmungsergänzungsgesetz,[59] დამატებითი კანონი სამთო-სამადნო და რკინისა და ფოლადის ინდუსტირულ საწარმოებში მუშა-მოსამსახურეთა თანამონაწილეობის შესახებ. კანონი სამეთვალყურეო საბჭოში დასაქმებულთა წარმომადგენლების მონაწილეობის შესახებ – Drittelbeteiligungsgesetz.[60] როგორც ითქვა, მუშა-მოსამსახურეთა თანამონაწილეობა უზრუნველყოფს კორპორაციაში დასაქმებულთა ჩართვას საზოგადოების მართვის პირდაპირ პროცესში[61] და მას ერთგავარად სოციალური დატვირთვა აქვს. ისტორიულად ეს ინსტიტუტი გერმანიაში განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მძიმე ეკონომიკური ვითარებისას მისი დაძლევის გამო ჩამოყალიბდა.[62] მუშა-მოსამსახურეთა თანამონაწილეობა დამახასიათებელია ისეთი საწარმოებისთვის, რომელნიც, გარკვეულწილად, მნიშვნელოვან საზოგადოებრივ დოვლათს ქმნიან, საგრძნობი გავლენა შეიძლება ჰქონდეთ ქვეყნის ეკონომიკაზე და დასაქმებულთა დიდი რაოდენობა ჰყავთ. ასეთ

[58] MontMitbestG. 21.05.1951. BGBL. I, S. 347.

[59] MitbestErgG. 07.08.1956. BGBL. I, S. 707.

[60] DrittelbG. ეს კანონი ვრცელდება ყველა (უპირატესად კაპიტალური ტიპის) სამართლებრივ ფორმაზე, რომელიც გერმანიაშია დაფუძნებული და, როგორც წესი, 500-ზე მეტი დასაქმებული ყავს. KK-AktG/*Hans-Joachim Mertens/Andreas Cahn,* 3. Auf., 2013, Anh. §117 E Rn. 6.

[61] ირიბად დასაქმებულები, რასაკვირველია, ისედაც მონაწილეობენ საწარმოო საქმიანობაში, მაგალითად, ე.წ. Betriebsräte (დასაქმებულთა საბჭოები) ჩამოყალიბების გზით.

[62] თუმცა ამ ინსტიტუტის უფრო ადრეულ წარსულზეც არის საუბარი. იხ.: *Heinz-Joachim Neubürger,* Die deutsche Mitbestimmung aus der Sicht eines international operierenden Unternehmens. Reformbedarf unter Corporate Governance Gesichtspunkten? in: Hommelhoff/Hopt/v. Werder (Hrsg.), Hdb Corporate Governance, S. 178-179.

შემთხვევაში მუშა-მოსამსახურეებს თავიანთი წარმომადგენელი უნდა ჰყავდეთ სს-ის სამეთვალყურეო საბჭოში, რათა შიდაკორპორაციული, შინაორგანიზაციული ინტერესის თანაფარდობა იქნეს უზრუნველყოფილი, ერთი მხრივ, აქციონერის ინტერესსა და, მეორე მხრივ, დასაქმებულთა ინტერესს შორის. გერმანიაში განვითარებული ეს კონცეფცია სოციალურად სამართლიანი ქვეყნისთვის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს და გერმანული „ეკონომიკის აღორძინების სასწაულადაც“ არის მონათლული.[63] საზოგადოების ფართო მასის ჩართვას საწარმოს მართვის საქმეში, გასული საუკუნის 70-იან წლებში წამყვანი გერმანული პარტიების[64] იდეოლოგიით, უნდა უზრუნველეყო მეწარმეთა სამართლის შემდგომი განვითარება. ოღონდ ეს დასაქმებულთა და კორპორაციის მეწილეთა თანასწორუფლებიანობისა და „თანაბარწონიანობის“ პრინციპების გათვალისწინებით უნდა მომხდარიყო.[65] მაშასადამე, გერმანულ მუშა-მოსამსახურეთა ინსტიტუტს საფუძვლად სოციალური სტრატეგია უდევს, რომლის გაუქმებაც, საერთაშორისო დონეზე გარკვეული სირთულეებიდან გამომდინარე, უფრო პოლიტიკური საკითხია,[66] ვიდრე საკორპორაციოსამართლებრივი. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გასული საუკუნის განსაკუთრებით 50-იანი წლებიდან მოყოლებული საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა თანამონაწილეობის ინსტიტუტმა გარკვეული ხელისშემშლელი ფუნქციაც შეასრულა გერმანული ნაციონალური ეკონომიკის „გაუცხოების“ თვალსაზრისით. სრულიად დასათანხმებელია მოსაზრება, რომ „სოციალური ფუნქციის გარდა, თანამონაწილეობის ინ-

[63] *Leyens,* Information des Aufsichtsrats, S. 121.

[64] SPD, FDP.

[65] KK-AktG/*Hans-Joachim Mertens/Andreas Cahn,* 3. Auf., 2013, Anh. §117 B Rn.1.

[66] *ჭანტურია,* კორპორაციული მართვა, გვ. 132.

სტიტუტს გერმანიის ნაციონალური ეკონომიკის დაცვის ფუნქციაც“ ჰქონდა, რადგან ხელს უშლიდა მეკავშირეების მიერ მნიშვნელოვანი საწარმოების ხელში ჩაგდებას და დაუფლებას.[67] აღნიშნული პერიოდიდან მრავალი წელი გავიდა და ის დამცავი მექანიზმები, რომელიც ამ ინსტიტუტს ისტორიულად ჰქონდა, ეკონომიკის გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის შედეგად, სრულიად ველარ ასახავს თანამედროვე სამართალგანვითარებას.[68] ამიტომაც გერმანიაში თანამონაწილეობის რეფორმირების კუთხით მრავალი ნაბიჯი გადაიდგა.[69] მიუხედავად ამისა, საწარმოში დასაქმებულთა თანამონაწილეობის გაუქმება, როგორც სოციალურ-ეკონომიკური, მაგრამ, ასევე, როგორც კორპორაციული მართვის თავისებური, უპირატესად გერმანიისათვის დამახასიათებელი ფენომენი, არ გამხდარა სერიოზული საპარლამენტო დებატის საგანი. მოკლედ, სამეთვალყურეო საბჭოს სიდიდე (წევრთა თვალსაზრისით) და შემადგენლობა უზრუნველყოფილია როგორც სააქციო კანონით, ისე მუშა-მოსამსახურეთა თანამონაწილეობის სხვადასხვა საკანონმდებლო აქტით.[70] შესაბამისად, თუ რომელი სს ექვემდებარება თანამონაწილეობის კანონმდებლობას და რომელი - არა, გამომდინარეობს იქიდან, კორპორაცია თავისუფალია „მოსამსახურეთა სავალდებულო ბოჭვისაგან“ თუ არა.[71] თანამონაწილეობის ინსტიტუტიდან გამომდინარე გერმანული სს-ის სამეთვალყურეო საბჭოების

[67] *Leyens,* Information des Aufsichtsrats, S. 121.

[68] იხ.: *Heinz-Joachim Neubürger,* Die deutsche Mitbestimmung aus der Sicht eines international operierenden Unternehmens. Reformbedarf unter Corporate Governance Gesichtspunkten? in: Hommelhoff/Hopt/v. Werder (Hrsg.), Hdb Corporate Governance, S. 181 ff.

[69] *Habersack* in MünchKommAktG, 3. Auf., (2008), §96 Rn. 2.

[70] *Semler* in Semler/v. Schenck (Hrsg.), ARHdb, (2009), §1 Rn. 5.

[71] *E. Vetter* in Marsch-Barner/Schäfer (Hrsg.), Hdb börsennotierte AG, 2. Auf., 2009, §24 Rn 1.

შემადგენლობა შემდეგნაირად გამოიყურება:[72] ის სს, კსს და შპს,[73] რომელზეც ვრცელდება MitbestG[74] და რომელსაც როგორც წესი 2000-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე[75] ჰყავს, სავალდებულოა სამეთვალყურეო საბჭოს აქციონერთა და დასაქმებულთა მიერ შერჩეული დელეგატებით დაკომპლექტება.[76] მაკონტროლებელი ორგანოს სიდიდე საწარმოში ფაქტობრივად დასაქმებულთა ოდენობაზეა დამოკიდებული: არაუმეტეს 10 000 თანამშრომლის შემთხვევაში ეს ციფრია 12, არაუმეტეს 20 000 შემთხვევაში – 16, ხოლო 20 000-ზე მეტის შემთხვევაში – 20.[77] სამეთვალყურეო საბჭოს 20 წევრის შემთხვევაში სიდიდე პარიტეტულ საწყისებზე განისაზღვრება,[78] ამასთან, 20 კაციანი საბჭოს პირობებში მაქსიმუმ სამი წევრი პროფკავშირის წარმომადგენელი უნდა იყოს და MontanMitbestG-იდან გამომდინარე, მინიმუმ ერთი წევრი ხელმძღვანელ მოსამსახურეს უნდა განეკუთვნებოდეს.[79] სამთო-სამადნო და რკინისა და ფოლადის ინდუსტრიის მწარმოებელ საწარმოებში, ანუ იმ საზოგადოებებში, რომელზეც პირ-

[72] ზუთ დონოვანი დაყოფის შესახებ შეგიძლიათ იხ.: *Raiser/Veil,* Recht der Kapitalgesellschaften, (2010), S. 159 ff..

[73] პოლიტიკური, კოალიციურ-პოლიტიკური, კონფესიული, აღმზრდელობითი, სამეცნიერო და სახელოვნებო საწარმოების გარდა. MitbestG §1 Abs. 4 (Erfasste Unternehmen).

[74] კანონის საჯარო-სამართლებრივი შემხებლობის, უფრო სწორედ, შეკრების თავისუფლების კონსტიტუციურსამართლებრივი ხელყოფის (კანონის კონსტიტუციურობის) შესახებ (რადგანაც იგი გასაჩივრებულ იქნა გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში) იხ.: BVerfGE 50, 290 = NJW 1979, S. 699 f.

[75] *Habersack* in MünchKommAktG, 3. Auf., (2008), §96 Rn. 5.

[76] AktG §96 Abs. 1.

[77] *Habersack* in MünchKommAktG, 3. Auf., (2008), §96 Rn. 6. საწესდებო ავტონომიის ფარგლების შესახებ იხ. იქვე: §96 Rn. 6.

[78] წილის მფლობელი (Anteilseigner) და დასაქმებული (Arbeitnehmer).

[79] *Semler* in Semler/v. Schenck (Hrsg.), ARHdb, (2009), §1 Rn. 5.

დაპირ ვრცელდება MontanMitbestG[80] სამეთვალყურეო საბჭო 11, 15 ან 21 კაცისაგან შედგება.[81] სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის ნახევარი უშუალოდ საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე მიიღება, ანუ მეწილეთა (აქციონერთა) დამოუკიდებელი ნების გადაწყვეტილების შედეგად, ხოლო მეორე ნახევარი მუშა-მოსამსახურეთა მიერ დასახელებული შეთავაზებული კანდიდატების საერთო კრების არჩევის შედეგად შედის მაკონტროლებელ რგოლში.[82]

კანონმდებლობის მიერ სამეთვალყურეო საბჭოს პარიტეტულ საწყისებზე დაკომპლექტების დადგენილი სისტემა კორპორაციაში ერთგვარად სოციალური ბალანსის ფუნქციასაც ასრულებს. საწარმოში ხანგრძლივი მოღვაწეობა მოსამსახურის პატრიოტულ სულისკვეთებას და კორპორაციისადმი

[80] ამ შემთხვევაში დასაქმებულთა მინიმალური ოდენობა 1000 უნდა იყოს. MontanMitbestG §1 abs 2. განსხვავებით მის წინ აღნიშნული კანონისაგან, რომელიც 2000-ზე მეტ მოსამსახურეს ითხოვს. ზოგადად, გერმანული თანამონაწილეობის კანონმდებლობიდან გამომდინარე, მოსამსახურეთა თანამონაწილეობის უფლება მაშინ არის სახეზე, როდესაც კაპიტალურ საზოგადოებას (სს, კსს და შპს) 500-ზე მეტი თანამშრომელი ჰყავს. მინიმალურ სტანდარტს ე.წ. DrittelbetG ადგენს (500-დან 2000-მდე თანამშრომელი). გამონაკლისის შესახებ: *Semler* in Semler/v. Schenck (Hrsg.), ARHdb, (2009), §1 Rn. 4.

[81] ამავე კანონის მე-9 პარაგრაფის მიხედვით, საზოგადოების წესდებამ შეასაძლოა ეს რიცხვი კიდევ უფრო გაზარდოს იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა 10 მლნ. ევროზე მეტი ნომინალური კაპიტალის მქონე საზოგადოება 15 წევრამდე გაიზარდოს, ხოლო 25 მლნ. ევროზე მეტი ნომინალური კაპიტალის ვითარებაში – 21-ამდე. KK-AktG/*Hans-Joachim Mertens/Andreas Cahn,* 3. Auf., 2013, §96 Rn.7.

[82] კანონი დეტალურად აღწერს მუშა-მოსამსახურეთა (დასაქმებულთა საბჭოს) მხრიდან დელეგატის დასახელების პროცედურას. MontanMitbestG §6. საერთო კრება, უფრო სწორედ, ის ორგანო (Wahlorgan), რომელმაც წევრი უნდა აირჩიოს (ეს შპს-ს ეხება), დამოკიდებულია მუშა-მოსამსახურეთა ინიციატივაზე, ე.წ. „ბმული შერჩევა".

ერთგულ დამოკიდებულებას უნდა აღვივებდეს. საზოგადოებასა და მუშა-მოსამსახურეს შორის ჩამოყალიბებული კავშირურთიერთობა, რომელიც თანასწორუფლებიანობის პრინციპით იქნებოდა გაჯერებული, საზოგადოებრივი შრომის კორპორაციაში ინტეგრირებას უწყობს ხელს, რაც გააძლიერებდა საწარმოს რენტაბელობას. კორპორაციაზე უშუალო სოციალური დამოკიდებულება[83] კი აღკვეთდა[84] ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომელიც ხანგრძლივმოქმედ პერსპექტივაში არარაციონალური, საწარმოსათვის დამღუპველი, ხოლო ნაციონალური ეკონომიკისათვის დამანგრეველი იქნებოდა. ეს კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო იმ ვითარებაში და პირობებში, როდესაც სახელმწიფო საწარმოების მასობრივი პრივატიზაციის პროცესი დაიწყო, რომელსაც საერთო არაფერი ჰქონდა დამატებით ინვესტიციასთან, ხელმძღვანელობის ერთგულ, „პატრიოტულ" და გულისხმიერ დამოკიდებულებას საზოგადოებისადმი და მიზნად მხოლოდ დაგროვებული მატერიალური დოვლათის „განიავება-დატაცებას" ისახავდა.[85] საქართველოში პრივატიზაციის პროცესის დაწყებისა და საწარმოების კერძო მესაკუთრეთა ხელში გადასვლის პირველი გამოვლინებიდან მოყოლებული სს-ის მართვის ორსაფეხურიანი სისტემა მოქმედებდა.[86] კორპორაციული მართვის დუალისტურ მოდელში სამეთვალყურეო საბჭოს არსებობა კორპორაციის ეგზისტენციალურ ხასიათს განაპირობებდა. მაკონტროლებელი რგოლის ოდენობას და შემადგენლობას კანონი განსაზღვრავდა, მიუხედავად იმისა, რომ პერსონალურ მოთხოვნებს კანონი არასდროს არ ადგენდა. სამწუხაროდ სა-

[83] მხედველობაშია მუშა-მოსამსახურის სამუშაო ადგილზე (მატერიალური) დამოკიდებულება, მისი შენარჩუნების უზრუნველყოფა.

[84] უფრო სწორედ, საგრძნობლად შეუშლიდა ხელს.

[85] შეად. *ჭანტურია,* კორპორაციული მართვა, გვ. 49-50.

[86] 2008 წლის 14 მარტის რეფორმამდე.

მეთვალყურეო საბჭომ, სხვადასხვა მიზეზის გამო, საქართველოში ვერ შეასრულა ხელმძღვანელ ორგანოზე რეალური კონტროლის ფუნქცია. ამის ერთ-ერთი სერიოზული ხელისშემშლელი ფაქტორი გახლდათ ის, რომ სამეთვალყურეო საბჭოს (არაპროფესიონალი, მიკერძოებული) წევრები დომინანტი აქციონერის პირდაპირი წარმომადგენლები იყვნენ.[87] ხშირ შემთხვევაში მაჟორიტარი პარტნიორი თავად იყო ჩართული საწარმოს უშუალო მართვის პროცესში, რეგისტრირებული დირექტორის ან „ჩრდილში" მდგომი შიდა ხელმძღვანელის სახით. მასზე პირდაპირ იყო დამოკიდებული როგორც პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების, ისე ამ გადაწყვეტილებათა აღსრულების (ხელმძღვანელობის) პროცესი. მისი წარმომადგენელი კი სამეთვალყურეო საბჭოში არასწორი გადაწყვეტილებების ხელისშემშლელად ვერ გამოდგებოდა, რადგანაც იმჟამად საქართველოში არსებული სოციო-კულტურული ვითარებიდან გამომდინარე, მაკონტროლებელი რგოლის რეალური ფუნქცია არა კორპორაციის მართვის ზედამხედველობა, არამედ მერკანტილური ინტერესის გატარება იყო. ეს ხელს უწყობდა დირექტორატის მიერ ისეთი ნაბიჯების (გარიგებების დადებას) სისტემატურად გადადგმას, რომელიც დამანგრეველი იყო საზოგადოებისთვის. არადა გამგეობის კონტროლი სამეთვალყურეო საბჭოს ევალებოდა. კონტროლის არსი კი მისაღები გადაწყვეტილების სისწორეში გამოიხატება. მართალია, მაშინდელი კანონმდებლობით დირექტორატს გარკვეული (მნიშვნელოვანი) მოქმედებების განხორციელებაზე სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა ესაჭიროებოდა, თუმცა მისი მიღებაც, ზემოთ აღწერილი მდგომარეობიდან გამომდინარე, არანაირ სირთულეს არ წარმოადგენდა. აქ

[87] ამას ემატებოდა ასევე თავად საბჭოს წევრთა „სხვათაშორისი" დამოკიდებულება დაკისრებული მოვალეობისადმი, რაც მაკონტროლებელი ფუნქციის გათვითცნობიერების არცოდნიდანაც მომდინარეობდა.

კიდევ ერთ, საქართველოსთვის[88] დამახასიათებელ თავისებურებას უნდა გაესვას ხაზი: დახურული პრივატიზაციის მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ სახელმწიფო სამეურნეო ერთეული, მისი განსაზოგადოებრიობის გზით, საწარმოს შიდა კოლექტივის (მასში დასაქმებული დირექტორებისა და მოსამსახურეების) ხელში უნდა გადასულიყო. დახურული ხელმოწერის მეშვეობით, საწარმოს მუშა-მოსამსახურეთ იურიდიული უფლება ჰქონდათ, ყოველგვარი გარეკონკურენციის გარეშე, მონაწილეობა მიეღოთ კორპორაციის დაუფლების საქმეში და მისი აქციონერები გამხდარიყვნენ.[89] თუმცა პრაქტიკულად ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ მათ აქციათა მხოლოდ მიზერული ნაწილი ერგოთ. ეს კი კონტროლის რეალურ მექანიზმს სს-ში, ზემოთ გამოთქმული მოსაზრებებიდან გამომდინარე, ვერანაირად ვერ აამოქმედებდა. საბოლოო ჯამში, საქართველოში ისეთი სიტუაცია ჩამოყალიბდა, რომ პრივატიზაციის შედეგად სს-ის „კერძო მესაკუთრე" დირექტორი (დირექტორები) ან მასთან დაახლოებული პირები გახდნენ და აქციათა საკონტროლო პაკეტიც სწორედ მათ ხელში აღმოჩნდა. ისინი კი მასობრივად იყენებდნენ მათ უფლებამოსილებას ბოროტად როგორც პრივატიზაციის მთელი პროცესის განმავლობაში, ისე მას შემდეგაც.[90] ასე რომ, მიუხედავად საწარმოს კოლექტივის სამართლებრივი უფლებისა აქციონერის ძალაუფლება მათ ხელში გადასულიყო, საზოგადოების პარტნიორის სტატუსის დაკავების გზით, დამახინჯებული განსაზოგადოებრიობის პროცესის კვალობაზე ეს მიზანიც ნაკლებად იქნა მიღწეული. ამას, ჩემი აზრით, ხელი შეუწყო ასევე იმდროინდელ საქართველოში თანამედროვე კორპორაციული რეჟიმების გათვითცნობიერების არარსებობამ. მხედვე-

[88] და, ალბათ, ზოგადად მთელი პოსტსაბჭოთა სივრცისთვის.

[89] *ჭანტურია*, კორპორაციული მართვა, გვ. 49.

[90] შეად. *ჭანტურია*, კორპორაციული მართვა, გვ. 255.

ლობაში მაქვს ის გარემოება, რომ პრივატიზაციის პროცესი არა თუ ტრანსპარენტულად, არამედ ყოველგვარი ინფორმირებულობისა და საწარმოს მოსამსახურეთა და, ზოგადად, საზოგადოებრიობის ამ სფეროში გათვითცნობიერებულობის გარეშე მიმდინარეობდა. ეს, ბუნებრივია, ხელს უწყობდა თავად ამ პროცესისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას, რაც თანამედროვე კორპორაციისადმი ინტერესის არარსებობას იწვევდა. ამას ემატება ისიც, რომ ძალიან ბევრმა ადამიანმა, საქართველოში გასული საუკუნის 90-იან წლებში არსებული მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების გამო, ქვეყანა დატოვა. ადვილი წარმოსადგენია, რომ მათ რიგებში უხვად იყვნენ დიდი ინდუსტრიული ქარხნების კოლექტივის წევრები. საბოლოოდ, ბევრ შემთხვევაში საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ მოტყუებული კოლექტივი დაუსრულებლად დავობდა სასამართლოში სხვადასხვა მოტივით, თუმცა თითქმის აბსოლუტურ უმრავლეს შემთხვევაში დავა მათ საწინააღმდეგოდ სრულდებოდა.[91] მოკლედ, კოდეტერმინაციის ინსტიტუტი, ჩემი აზრით, ხელს შეუშლიდა ქართულ კორპორაციულ პრაქტიკაში მრავლად არსებული არასწორი გადაწყვეტილებების მიღებას მმართველი ორგანოების მხრიდან. მაკონტროლებელი რგოლის პარიტეტულ საწყისებზე ჩამოყალიბება უზრუნველყოფდა მუშა-მოსამსახურეთა სავალდებულო ჩართვას მართვის პროცესში,[92] უფრო სწორედ, ხელმძღვანელობითი პროცესის კონ-

[91] ერთ-ერთ ასეთ მაგალითად შესაძლოა მე-9 ე.წ. მექანიკური ქარხნის კოლექტივის დავა მოვიყვანოთ. ასევე, გახმაურებული დავა დაკავშირებული იყო საკონდიტრო ქარხანა „ივერიასთან“, რომელსაც „საწარმოს თანამშრომლები საწარმოს ხელმძღვანელობას ქონების განიავებასა და პირად გამორჩენას ედავებოდნენ“. *ჭანტურია*, კორპორაციული მართვა, გვ. 255, 271-ე სქოლიო.

[92] მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საქართველო ინდუსტრიულ ქვეყანას წარმოადგენდა. მართალია, პროდუქციის ხარისხი ვერ შეესაბამებოდა თანამედროვე გამოწვევებს, თუმცა საწარმოთა გადაია-

ტროლში, რასაც შესაძლოა, აღეკვეთა სამეთვალყურეო საბჭოს უნიათობა და, სულ მცირე, ჯანსაღად დაპირისპირებულ მხარეთა კამათის არეალში გადაეტანა ეს პროცესი. იქ კი, სადაც ჯანსაღი დაპირისპირებაა, სწორი, საწარმოსთვის რენტაბელური გადაწყვეტილების მიღების ალბათობა დიდია.[93] მოკლედ, ამის თქმა დღევანდელი გადმოსახედიდან ძალზე რთულია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ წლებში არსებული კორპორაციულ-ეკონომიკური სიტუაცია ცალკე კვლევის საგანია. სამწუხაროა, რომ ის პერიოდი, ამ თვალსაზრისით, ნაკლებად არის შესწავლილი და მეცნიერულად (ეკონომიკურ-სამართლებრივად) გამოუკვლეველი.

3. სამეთვალყურეო საბჭოს დავალება, კომპეტენცია

3.1. უფლებამოსილება

სამეთვალყურეო საბჭოს დავალება და უფლებამოსილება, ძირითადად, კანონიდან გამომდინარეობს. ეს არ გამორიცხავს, რომ მაკონტროლებელ ორგანოს განსაკუთრებული დავალებები და სპეციფიკური კომპეტენცია საზოგადოების წესდებით[94]

რაღება სრულიად იყო შესაძლებელი. ეს სწორედ კაპიტალდაბანდებით, დამატებითი ინვესტიციებით უნდა მომხდარიყო. სიტუაცია კი საპირისპიროზე მეტყველებს. ამასთან, საქართველოში მძიმე მრეწველობის მრავალი საწარმო მოქმედებდა, რომელსაც ძალიან ბევრი თანამშრომელი ჰყავდა. იხ.: *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, I ტომი, გვ. 394.

[93] მიუხედავად ყველა იმ უარყოფითი ნიშნისა, რაც შესაძლოა ასეთ პროცესს თან ახლდეს ხოლმე (მაგალითად, მისაღები სწორი გადაწყვეტილების დაბლოკვა ხმის უფლების ბოროტად გამოყენების, ხოლო შემდეგ გადაწყვეტილების გასაჩივრების გზით და ა.შ.).

[94] *Hüffer*, AktG, (2012), §111 Rn. 1; *Hopt/Roth* in GrossKommaktG, §111 Rn. 40.

ჰქონდეს მიკუთვნებული.[95] სამეთვალყურეო საბჭო მისი დავალების შესრულებისას და უფლებამოსილების განხორციელებისას დადგენილი პრინციპებით მოქმედებს. ამ პრინციპებიდან გადახვევამ შესაძლოა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება[96] და ზიანის ანაზღაურება გამოიწვიოს.[97] როგორც ზემოთ წარმოჩინდა, სამეთვალყურეო საბჭოს მთავარი დავალება გამგეობის კონტროლია. კონტროლს ექვემდებარება დირექტორატი, როგორც მთლიანი ორგანო, ისე მისი ცალკეული წევრი.[98] შესაბამისად, ამ ძირითადი კომპეტენციის (ზედამხედველობის) მატარებელი არის მთლიანად სამეთვალყურეო საბჭო, როგორც სს-ის ორგანო.[99] სამეთვალყურეო საბჭო დირექტორატის კონტროლზე პასუხისმგებელი და *ვალდებული* სუბიექტია,[100] თუმცა იგი არ არის კომპეტენტური საწარმოს ყოველი შემსრულებელი მოსამსახურე გააკონტროლოს.[101] ეს მხოლოდ დირექტორატის

[95] თუმცა კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ საწესდებო ავტონომიამ გამგეობის წევრთა ხელმძღვანელობითი საქმიანობა თავისუფლების მიღმა არ უნდა აღმოაჩინოს. წინააღმდეგ შემთხვევაში საწარმოს მართვის პროცესი მთლიანად გახდება სამეთვალყურეო საბჭოზე დამოკიდებული, რაც საზოგადოების საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ მართვას და გადაწყვეტილებების მიღების დამოუკიდებლობის კონცეფციას მთლიანად დაასამარებს.

[96] *Lutter/Krieger,* Rechte und Pflichten des Aufsichtsrats, 2008, §13 Rn. 984.

[97] *Habersack* in MünchKommAktG, 3. Auf., (2008), §111 Rn. 18.

[98] ამას პირდაპირ ითვალისწინებს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 55-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

[99] KK-AktG/*Hans-Joachim Mertens/Andreas Cahn,* 3. Auf., 2013, §111 Rn.13.

[100] *Habersack* in MünchKommAktG, 3. Auf., (2008), §111 Rn. 18.

[101] MünchKommAktG/*Semler,* §111 Rn. 111 f; Münch. Hdb. GesRIV/*Hoffmann-Becking* §29 Rn. 24. მითითებულია *Wolff* in Henn/Jannot/Hagemann (Hrsg.), Hdb. des Aktienrechts, (2009), S. 408. თუმცა გააჩნია მისაღები გადაწყვეტილების წონას და ამ გადაწყვეტილების მიმღებ ხელმძღვანელ მუშაკს (leitender Angestellte), მის სტატუსს საწარმოში. ამიტომ ზედამხედველობა, ასევე, შეიძლება გავრცელდეს კორპორაციის იმ მოსამსახურის საქმიანობაზე, რომელიც ერთიანი ხელმძღვანელობითი პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს ქმნის. Grigoleit/*Grigoleit/Tomasic* AktG, 2013, §111 Rn. 12. იხ. ასევე: *Lutter/Krieger,* Rechte und Pflichten des Aufsichtsrats, 2008, §3 Rn. 68.

დისკრეციული ამოცანაა.[102] სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან *კონტროლის საგანს ხელმძღვანელობითი საქმიანობა* წარმოადგენს.[103] გამგეობაზე ზედამხედველობის დავალების შესრულებისას სამეთვალყურეო საბჭომ განსაკუთრებული ყურადღება რამდენიმე ასპექტზე უნდა გაამახვილოს. კერძოდ, საწარმოო საქმიანობის დაგეგმვა, კორპორაციის სამეწარმეო საქმიანობის კოორდინირება, (დირექტორების მიერ განხორციელებული) სამეწარმეო საქმიანობის უშუალო კონტროლი, ხელმძღვანელობითი თანამდებობის დაკავებისას შერჩევის პროცესის მაღალპერსონალური[104] ხასიათი.[105]

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სამეთვალყურეო საბჭო არ არის მოწოდებული ყველა წვრილმანი გააკონტროლოს. კანონმდებლობა[106] მოითხოვს, რომ მუდმივ ზედამხედველობაში მოექცეს საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის მაგალითად, საწარმოს

[102] *Wolff* in Henn/Jannot/Hagemann (Hrsg.), Hdb. des Aktienrechts, (2009), S. 408.

[103] *Habersack* in MünchKommAktG, 3. Auf., (2008), §111 Rn. 18.

[104] აქ იგულისხმება გამგეობის დაკომპლექტებისას შერჩევის პროცედურა, დირექტორად გასამწესებელი პირის კვალიფიკაცია, უნარები და ა.შ. ამაზე ზრუნვა, გამომდინარე იქიდან, რომ სამეთვალყურეო საბჭო უშუალოდ არის ვალდებული დააკომპლექტოს გამგეობა და ჩამოაყალიბოს მის წევრთან სასამსახურო-სამართლებრივი კავშირურთიერთობა, მაკონტროლებელი ორგანოს განსაკუთრებულ მოვალეობას წარმოადგენს.

[105] *Wolff* in Henn/Jannot/Hagemann (Hrsg.), Hdb. des Aktienrechts, (2009), S. 408.

[106] ეს თანაბრად უნდა გავრცელდეს როგორც გერმანულ, ისე ქართულ კანონებზე.

განვითარების, მისი დაგეგმვისა და კოორდინირების პროცესი, განვითარების შედეგი, გადაწყვეტილებები, რომლითაც სისრულეში უნდა მოვიდეს საწარმოს პოლიტიკის კონცეპტუალური საკითხები; დირექტორების უნარიანობა საწარმოს გაძღოლისა, გამგეობის მხრიდან განხორციელებული საქმიანობის მართლზომიერებისა და შიდაკორპორაციული ნორმების დაცვის კონტროლი, კორპორაციული compliance ორგანიზაციის, შიდა კონტროლისა და რევიზიის მოთხოვნების დაცვა.[107] რაც ყველაზე მთავარია და რაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად არის წარმოჩენილი კომენტატორულ ლიტერატურაში არის ის, რომ ამ დავალებების შესრულებისა და უფლებამოსილების განხორციელების პროცესში სამეთვალყურეო საბჭოს მაკონტროლებელი ფუნქცია წარმატებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ უკანასკნელს ხელი სწორ და მართებულ ინფორმაციაზე მიუწვდება. სამეთვალყურეო საბჭოსათვის ინფორმაციის მიწოდების ძირითადი სუბიექტი გამგეობაა, თუმცა, ამ თვალსაზრისით, მაკონტროლებელი ორგანოს განუხრელ მოვალეობას წარმოადგენს ინფორმაციის მოპოვების საკუთარი წყაროების გამოყენება,[108] რაც მის მიერ დავალების შესრულებას კიდევ უფრო ეფექტურს გახდის. მაშასადამე, სამეთვალყურეო საბჭოს მაკონტროლებელი დავალების შესრულებისას მისი მხრიდან ინფორმაციის მოპოვების ინიცირების ვალდებულებაზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება. წინააღმდეგ შემთხვევაში „ყოვლისმომცველი“ ზედამხედველობის მიზანი ვერ მიიღწევა.

[107] KK-AktG/*Hans-Joachim Mertens/Andreas Cahn,* 3. Auf., 2013, §111 Rn.16.

[108] Grigoleit/*Grigoleit/Tomasic* AktG, 2013, §111 Rn. 24.

როგორც წესი, ზედამხედველობა „ხელმძღვანელობის წარსულზე ბაზირებულ კონტროლს მოიცავს“.[109] ეს ნიშნავს, რომ სამეთვალყურეო საბჭო გამგეობის მიერ განხორციელებულ საქმიანობას ამოწმებს, რისთვისაც კანონმდებლობით სხვადასხვა მექანიზმია გათვალისწინებული.[110] თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მაკონტროლებელი ორგანო მოკლებულია შესაძლებლობას საწარმოს მომავალთან დაკავშირებული საკითხები გამოარკვიოს. გამომდინარე იქიდან, რომ სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა და დავალება გამგეობისთვის და მისი წევრებისათვის რჩევებისა და კონსულტაციების მიცემაა,[111] მას საწარმოს პოლიტიკის შემუშავების, მისი დაგეგმვის პროცესშიც შეუძლია მონაწილეობის მიღება. ამაში განსაკუთრებით მოიაზრება გამგეობის ანგარიში (ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი ორგანოსათვის) საწარმოს სამომავლო საქმიანობის პოლიტიკის, მომავალი ხელმძღვანელობითი პროცესის კონცეპტუალური საკითხების თაობაზე. ეს კი გამგეობის მხრიდან პერმანენტული მოხსენებების (ანგარიშების) გაკეთების[112] მოვალეობას მჭიდროდ

[109] Grigoleit/*Grigoleit/Tomasic* AktG, 2013, §111 Rn. 4. ასევე: *Habersack* in MünchKommAktG, 3. Auf., (2008), §111 Rn. 29.

[110] წლიური ანგარიშის, ხარჯთაღრიცხვის, საკონცერნო ხარჯთაღრიცხვის, მოგების გამოყენების წინადადების შემოწმების და ა.შ. მოვალეობა. ზუსტი ჩამონათვალი გერმანული სააქციო კანონის კონკრეტულ ნორმებზე მითითებით იხ.: Grigoleit/*Grigoleit/Tomasic* AktG, 2013, §111 Rn. 4. მსგავსი შინაარსი გამომდინარეობს აგრეთვე მეწარმეთა კანონიდან. იხ. კანონის 55-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტები.

[111] ზოგიერთი ავტორი სამეთვალყურეო საბჭოს (საზედამხედველო კომპეტენციის ჭრილში) „თანარსებულ, თანმსვლელ კრიტიკული რჩევის“ ფუნქციის მქონეს უწოდებს. იხ.: *Peltzer,* Deutsche Corporate Governance, (2004), S. 83.

[112] AktG §90 Abs. 1.

უკავშირდება.[113] ბუნებრივია, სამეთვალყურეო საბჭო უნდა ფლობდეს ინფორმაციას საზოგადოების გადახდისუნარიანობის, ხანგრძლივმოქმედი პერსპექტივის, კორპორაციის ხელთ არსებული მატერიალური საშუალებების შესახებ.[114] ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ სამეთვალყურეო საბჭო *პრევენციული კონტროლის*[115] კომპეტენციითაც არის აღჭურვილი.[116] ამავე შინაარსის ნორმა არის გათვალისწინებული, ასევე, „მეწარმეთა შესახებ" კანონით, რომლის მიხედვითაც სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს მოთხოვოს დირექტორს საქმიანობის ანგარიში.[117] კანონის აღნიშნული ჩანაწერი არა მხოლოდ წარსულ, არამედ სამომავლო საქმიანობასაც უნდა ეხებოდეს, მიუხედავად იმისა, რომ გერმანული კანონის მსგავსი ჩანაწერი ქართულში არ მოიპოვება.[118] ამიტომ ნაციონალური კანონმდებლობით დადგენილ ნორმას ტელეოლოგიური განმარტება უნდა მიეცეს, თუმცა

[113] KK-AktG/*Hans-Joachim Mertens/Andreas Cahn,* 3. Auf., 2013, §111 Rn.18.

[114] KK-AktG/*Hans-Joachim Mertens/Andreas Cahn,* 3. Auf., 2013, §111 Rn.18.

[115] რჩევების, როგორც პრევენციული კონტროლის შესახებ, იხ. მაგ.: *E. Vetter* in Marsch-Barner/Schäfer (Hrsg.), Hdb börsennotierte AG, 2. Auf., 2009, §26 Rn 15 f.

[116] *Hüffer,* AktG, (2012), §111 Rn. 5.

[117] „მეწარმეთა შესახებ" კანონის 55-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი.

[118] სააქციო კანონის 90-ე პარაგრაფის პირველი აბზაცის პირველი სვეტი ამაზე პირდაპირ აკეთებს აქცენტს: გამგეობა მოვალეა, სამეთვალყურეო საბჭოს მიაწოდოს ანგარიში ჩაფიქრებული საქმიანობის პოლიტიკისა და საწარმოო დაგეგმარების ფუნდამენტური საკითების (განსაკუთრებით ფინანსური, საინვესტიციო და პერსონალის მართვის დაგეგმვის) შესახებ. „Der Vorstand hat dem AR zu berichten über ... die beabsichtigte Geschäftspolitik und andere grundsätzliche Fragen der Unternehmensplanung (insbesondere die Finanz,-Investitions- und Personalplanung...)". AktG §90 Abs. 1.

ისე, რომ ამით კონტროლს დაქვემდებარებული პროცესი ერთიანი კალაპოტიდან არ ამოვარდეს. ამაში იგულისხმება სამეთვალყურეო საბჭოს ტოტალური ზედამხედველობა დაწყებული წვრილმანი საკითხებით, დამთავრებული საწარმოს პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ფუნდამენტური კონცეპტუალური საკითხებით. როგორც ლიტერატურაშია ნათქვამი, სამეთვალყურეო საბჭომ თავისი „კონტროლი უნდა მიმართოს გამგეობის საქმიანობის მნიშვნელოვანი პუნქტების კონცენტრაციისაკენ. ამით მან დირექტორატის საქმიანობის ავტონომიურობა უნდა უზრუნველყოს და არ უნდა იქცეს ამ უკანასკნელის პერმანენტულ აჩრდილად".[119]

3.2. კონტროლის მასშტაბი

სს-ის ნებისმიერი მმართველი ორგანო ცალკეული კრიტერიუმების მიხედვით, გარკვეული მასშტაბის ფარგლებში მოქმედებს. ზემოთ აღინიშნა, რომ გამგეობის ქმედების განსაზღვრის ძირითადი დეტერმინატი არის მისი წევრის მოქმედება მართლზომიერების, წესდებისა და კორპორაციულსამართლებრივად დადგენილი პრინციპების შესაბამისად, რომლის დარღვევამაც შესაძლოა დირექტორთა მიმართ გარკვეული სანქციის შემცველი შედეგიც დააყენოს. ასეთივე მიდგომაა გასათვალისწინებელი სამეთვალყურეო საბჭოსადმიც, რომელიც (1) *მართლზომიერი,* (2) *წესრიგის შესაბამისი* და (3) *მიზნობრივი*[120] კონტროლის დაცვაზეა პასუხისმგებელი.[121]

[119] *Lutter,* Information und Vertraulichkeit im AR, Rz. 11

[120] ეკონომიკური თვალსაზრისით მიზანშეწონილად. Grigoleit/*Grigoleit/Tomasic* AktG, 2013, §111 Rn. 15. თუმცა ზოგიერთი ავტორი მიზნის შესაბამის (Zweckmässigkeit) და ეკონომიურად შესაბამის (Wirtschaftlichkeit) კონტროლს ცალკე გამოყოფს და ახასიათებს. იხ.: *Lutter/Krieger,* Rechte und Pflichten des Aufsichtsrats, 2008, §3 Rn. 83, 84.

3.2.1. მართლზომიერება

საზედამხედველო დავალებების მართლზომიერად შესრულებაში, უპირველეს ყოვლისა, ლეგალურობის, ანუ კანონიერების დაცვა[122] იგულისხმება,[123] უფრო სწორედ, დაცვის კონტროლი. გამგეობის მიერ ხელმძღვანელობითი საქმიანობის განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზომი ამ მოქმედებების კანონისმიერად განხორციელებაში გამოიხატება, რაც აფუძნებს კიდეც დირექტორატის მხრიდან საწარმოს სწორად მართვის პრეზუმფციას. შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს, როგორც ამაზე ზედამხედველ ორგანოს, სწორედ ამ კანონიერების შემოწმება ევალება. ეს ნიშნავს, რომ იგი ზედამხევდელობას უნდა უწევდეს საწარმოს მართვის პროცესის კანონიერად, კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვას. ამაში მოიაზრება სააქციო კანონმდებლობისა და საზოგადოების წესდებით დადგენილი ნორმების მოთხოვნათა დაცვა. აგრეთვე, სხვა ნორმების გათვალისწინება, როგორიცაა: საკარტელოსამართლებრივი, კონკურენციის, საგადასახადო, გარემოსდაცვითი სამართლებრივი ნორმები.[124] ლიტერატურაში გამოყოფენ ასევე კორპორაციული შესაბამისობის ორგანიზაციის ჩამოყალიბებაზე კონტროლს, რომლის შექმნაც საწარმოში უპირატესად გამგეობის პრეროგატივაა[125] (და მოვალეობაა). თუმცა,

[121] *Hüffer,* AktG, (2012), §111 Rn. 6. ის, რომ კონტროლი არა მხოლოდ მართლზომიერი (სამართლის ნორმების შესაბამისად), არამედ ასევე მიზნობრივი და ეკონომიკურად მიზანშეწონილი უნდა იყოს დაადასტურა გერმანიის ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომაც. BGHZ 114, 127, 129 = ZIP 1991, 653, S. 654. მითითებულია: *Werner Paul Schick* in Wachter, AktG, (2012), §111 Rn. 4.

[122] Legalitätspflicht.

[123] *Hüffer,* AktG, (2012), §111 Rn. 6.

[124] *Lutter/Krieger,* Rechte und Pflichten des Aufsichtsrats, 2008, §3 Rn. 72.

[125] *Lutter/Krieger,* Rechte und Pflichten des Aufsichtsrats, 2008, §3 Rn. 72.

compliance, როგორც კორპორაციული სისტემის შემადგენელი ნაწილი, თავის თავში მაკონტროლებელ ფუნქციასაც მოიცავს. შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭო, როგორც გამგეობასთან თანამქედითი ორგანო, თანაპასუხისმგებელი ხდება მის შექმნასა და ჩამოყალიბებაზე. გამგეობის მიერ ხელმძღვანელობითი პროცესის ლეგალურად წარმართვის კონტროლი ნიშნავს ასევე იმას, რომ თავად მაკონტროლებელი ორგანოც ვალდებულია დაიცვას ეს პრინციპი და ზედამხედველობა კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელოს. ამიტომ კანონიერების დაცვა განაპირობებს მის შესაბამისად მოქმდებას, როგორც გამგეობის, ისე სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან. მაშასადამე, „სამეთვალყურეო საბჭო სს-ში და საკონცერნო საწარმოში კანონების დაცვაზე არის თანაპასუხისმგებელი".[126]

3.2.2. წესრიგის შესაბამისობა

მეორე კრიტერიუმი პირველთან მჭიდრო კავშირშია. ხელმძღვანელობის „წესრიგის შესაბამისად კონტროლის ფარგლებში" მოიაზრება სამეთვალყურეო საბჭოს მოვალეობა, გაკონტროლებულ იქნეს განსაკუთრებით დირექტორატის (მისი კონკრეტული წევრის) მიერ საწარმოს საქმიანობის გულისხმიერად, გულმოდგინედ განხორციელების პროცესი სააქციო კანონის 93-ე პარაგრაფის პირველი აბზაცის პირველი წინა-

[126] *Lutter/Krieger,* Rechte und Pflichten des Aufsichtsrats, 2008, §3 Rn. 72. ამიტომაც იყო, რომ კორპორაცია სიმენსში დირექტორთა თაღლითობის დროს (საკითხი დიდ სპექტრში სწორედ კანონისმიერ ქმედებას, მის დარღვევას შეეხებოდა) თანაპასუხისმგებელი სამეთვალყურეო საბჭოც გახდა. გამგეობის თავმჯდომარის გადადგომას პარალელურად მოყვა სამეთვალყურეო საბჭოს თავკაცის გადადგომაც. იხ.: იქვე.

დადებისა[127] და „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 56-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად. ამასთან, სამეთვალყურეო საბჭო მოვალეა, საკუთარი წარმოდგენა შეიქმნას იმის თაობაზე, თუ როგორ არის ჩამოყალიბებული შიდაორგანიზაციული თანამშრომლობა სს-ში, კარგად ფუნქციონირებს თუ არა გამგეობის მუშაობა როგორც შიგნით[128], ისე საზოგადოების სხვა ორგანოებთან მიმართებაში, განსაკუთრებით კი გადაწყვეტილება იმის შესახებ, არის თუ არა საწარმოს ორგანიზაცია ადეკვატურად მოწყობილი, არის თუ არა კორპორაციის განვითარების ხანგრძლივმოქმედი გეგმა შემუშავებული და ჩამოყალიბებულია თუ არა შიდა კორპორაციული კონტროლის სისტემა.[129] როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული, წესრიგის შესაბამისობა საზოგადოების ხელმძღვანელობით საქმიანობაში ნიშნავს „საზოგადოების სიდიდის, სტრუქტურის, თავისთავადობისა და საწარმოს ორგანიზაციის შესაბამისობის გათვალისწინებას ეკონომიკურ-სამეწარმეო გამოცდილებისა და შემეცნების საფუძველზე“.[130] ამ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭო ღრმად უნდა იყოს დარწმუნებული, რომ გამგეობას საწარმოს ფაქტობრივად გაძღოლის უნარი აქვს, რომელიც კორპორაციის საქმიანობის ხანგრძლივმოქმედ გეგმაზეა ბაზირებული.[131] ამიტომ სამეთვალყურეო საბჭოს როგორც მოკლე და საშუალო, ისე

[127] *E. Vetter* in Marsch-Barner/Schäfer (Hrsg.), Hdb börsennotierte AG, 2. Auf., 2009, §26 Rn 10.

[128] აქ იგულისხმება მუშაობა, თანამშრომლობა თავად დირექტორატის, როგორც კოლეგიური ორგანოს, შიგნით.

[129] *E. Vetter* in Marsch-Barner/Schäfer (Hrsg.), Hdb börsennotierte AG, 2. Auf., 2009, §26 Rn 10.

[130] *Lutter/Krieger,* Rechte und Pflichten des Aufsichtsrats, 2008, §3 Rn. 74.

[131] *Semler*, ZGR 1983, 1, S. 16 ff; *Lutter*, AG 1991, S. 249 ff; *Fuhr*, Pruefung der Unternehmensplanung, 2003. მითითებულია: *Lutter/Krieger,* Rechte und Pflichten des Aufsichtsrats, 2008, §3 Rn. 74.

ხანგრძლივმოქმედი გეგმის შემოწმება, ზედამხედველობა ევალება,[132] რაც დოგმატურად სამეთვალყურეო საბჭოს წესრიგის შესაბამის კონტროლის ერთ-ერთ ცენტრალურ შემადგენელ ნაწილად უნდა იქნეს მიჩნეული.

3.2.3. მიზნობრიობა

საზოგადოების მმართველობის მიერ განხორციელებული საქმიანობა კორპორაციის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს, საქმიანობის საგანს უნდა შეესაბამებოდეს. ამ თვალსაზრისით გამგეობის უპირველესი საზრუნავი სწორედ საწარმოს მიზნების განხორციელებისთვის შესაბამისი ნაბიჯების გადადგმაა. სამეთვალყურეო საბჭო კონტროლს უწევს ამ პროცესსაც. მაკონტროლებელი რგოლი ზედამხედველობითი საქმიანობის ფარგლებში უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ გამგეობის მიერ გადადგმული ნაბიჯები, დადებული ან დასადები გარიგებები საზოგადოების ეკონომიკურ მიზანთან მოვიდეს თანხვედრაში. ეს ნიშნავს, რომ სამეთვალყურეო საბჭო თვალყურს ადევნებს და აკონტროლებს დირექტორატის მიერ მიღებულ და დაგეგმილ ცალკეულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც აუცილებლად შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს საწარმოს დადგენილ პოლიტიკასთან და საერთო სტრატეგიასთან.[133] ამ თვალსაზრისით სამეთვალყურეო საბჭოს აინტერესებს საწარმოს ხანგრძლივმოქმედ ეკონომიკურ პერსპექტივაზე, მის სიცოცხლისუნარიანობაზე კონტროლი,[134] რადგან მასში მოიაზრება საწარმოს ხანგრძლივი საქმიანობისათვის განკუთვნილი ფინანსურ-

[132] *Lutter/Krieger,* Rechte und Pflichten des Aufsichtsrats, 2008, §3 Rn. 76.

[133] *E. Vetter* in Marsch-Barner/Schäfer (Hrsg.), Hdb börsennotierte AG, 2. Auf., 2009, §26 Rn 11.

[134] *Lutter/Krieger,* Rechte und Pflichten des Aufsichtsrats, 2008, §3 Rn. 83.

მატერიალური მდგომარეობა.[135] ამ უკანასკნელის შენარჩუნება, გაზრდა და განვითარება კი სამეთვალყურეო საბჭოს კონტროლის არეალში ექცევა. სრულიად სამართლიანად არის აღნიშნული იურიდიულ ლიტერატურაში, რომ „წაგებით ვერც ერთი საწარმო ვერ იარსებებს. სათანადო ქონებრივ-მატერიალური პირობების გარეშე კორპორაციის საინვესტიციო რესურსი წარმოუდგენელია. ეს კი საწარმოს არაკონკურენტუნარიანობის საწინდარია სხვა კორპორაციებთან მიმართებით, რაც სს-ის სიცოცხლისუნარიანობის დასრულებას ნიშნავს".[136] შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭო კორპორაციის ლიკვიდურობას აკონტროლებს.[137]

3.3. კონტროლის მექანიზმი

მიუხედავად იმისა, რომ კანონში აღწერილი სამეთვალყურეო საბჭოს დავალებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი, ერთიანი კონტურების ჩამოყალიბება ამ თვალსაზრისით სავსებით შეიძლება. ამ მხრივ ლიტერატურაში კონტროლის საშუალებებზე (ბერკეტებზე) საუბრობენ, რომელიც ხელს უწყობს მაკონტროლებელ ორგანოს მისი ფუნქციის შესრულებაში. პირველი, რაც უნდა გამოიყოს არის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ინფორმაციის მიღებისა[138] და შემოწმების მექანიზმი.[139] სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს გამგეობისაგან პრინციპში ნებისმიერ დროს მიიღოს ინფორმაცია საქმიანობის შესახებ.[140] თუმცა დროისა და ინტენსივობის[141] თვალსაზრისით სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ეს უფლება ბოროტად არ უნდა იქნეს გამოყენებული, ერთიანი შემოწმების პროცესიდან ამოგლეჯილად არ უნდა წარმოჩინდეს და ზედამხედველობის ერთიან სტრატეგიას არ უნდა გასცდეს.[142] სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე შემოწმების უფლებამოსილება შესაძლებელია, დელეგირებულ იქნეს მაკონტროლებელი ორგანოს ერთ რომელიმე წევრზე,[143] რომელიც, თავის მხრივ, ამ ინფორმაციის სამეთვალყურეო საბჭოს სხვა წევრებისთვის მიწოდებასა და გაცნობაზე იქნება

[135] *E. Vetter* in Marsch-Barner/Schäfer (Hrsg.), Hdb börsennotierte AG, 2. Auf., 2009, §26 Rn 11.

[136] *Lutter/Krieger,* Rechte und Pflichten des Aufsichtsrats, 2008, §3 Rn. 83.

[137] *Lutter/Krieger,* Rechte und Pflichten des Aufsichtsrats, 2008, §3 Rn. 83.

[138] გერმანელები ხმარობენ ტერმინს „Einsichtsnahme", რაც ჩახედვას ნიშნავს, ანუ დოკუმენტაციის, პუბლიკაციის, გარკვეული მასალის გაცნობას (ჩახედვას მასში). ამიტომ აქ ჩახედვის ნაცვლად, რაც გერმანულის პირდაპირი კალკი იქნებოდა, ნახმარია ინფორმაციის მიღების ზოგადად დამკვიდრებული ტერმინი.

[139] *Werner Paul Schick* in Wachter, AktG, (2012), §111 Rn. 5.

[140] სააქციო კანონის 111-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცის პირველი წინადადება, რომლის მიხედვითაც, სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია ჩაიხედოს (მიიღოს ინფორმაცია) და შეამოწმოს საზოგადოების წიგნები და დოკუმენტაცია, ასევე, შეამოწმოს და მიიღოს ინფორმაცია ქონებრივი ობიექტების, კერძოდ, საზოგადოების სალაროს და ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობის შესახებ (Der AR kann die Bücher und Schriften der Gesellschaft sowie die Vermögensgegenstände, namentlich die Gesellschaftskasse und die Bestände an Wertpapieren und Waren, einsehen und prüfen.). ამასვე ითვალისწინებს ნაციონალური კანონმდებლობაც. „მეწარმეთა შესახებ" კანონის 55-ე მუხლის მე-7 პუნქტის „გ" ქვეპუნქტი. ქართული ნორმის დაკვირვებისას ადვილი მისახვედრია, თუ საიდან იღებს იგი სათავეს: „სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია გააკონტროლოს და შეამოწმოს საზოგადოების ფინანსური დოკუმენტაცია, ასევე, ქონებრივი ობიექტები, კერძოდ, საზოგადოების სალარო და ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობა". გერმანული კანონის თარგმანიც, შესაბამისი გერმანულენოვანი ტექსტით, შეგნებულად იქნა ზემოთ მოტანილი.

[141] Grigoleit/*Grigoleit/Tomasic* AktG, 2013, §111 Rn. 15.

[142] *Werner Paul Schick* in Wachter, AktG, (2012), §111 Rn. 7. ასევე: *Lutter/Krieger,* Rechte und Pflichten des Aufsichtsrats, 2008, §3 Rn. 85.

[143] *Hüffer,* AktG, (2012), §111 Rn. 12.

პასუხისმგებელი.[144] აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სამეთვალყურეო საბჭოს ეს ფუნქცია არ შეიძლება დელეგირებულ და გადატანილ იქნეს[145] კომიტეტზე.[146] ეს არ ნიშნავს იმას, რომ ცალკეული სფეროების, უფრო სწორედ, დავალებების ზედამხედველობისთვის დაუშვებელი იყოს სპეციალიზირებული დანაყოფების (კომიტეტების) შექმნა. ასეთი რამ შესაძლებელია და ხელსაც უწყობს შემოწმებისა და კონტროლის ერთიან სტრატეგიას.[147] უბრალოდ, ზემოთ საუბარი იყო ამ კომპეტენციის სხვა ორგანიზაციულ „წარმონაქმნზე" მთლიანად დელეგირების დაუშვებლობაზე.

შემდეგი მექანიზმი გამოიხატება საერთო კრების მოწვევაში.[148] აქ რიგგარეშე კრება იგულისხმება,[149] თუმცა სააქციო საზოგადოების სამართალი სამეთვალყურეო საბჭოს მორიგი კრების მოწვევის უფლებასაც უნდა აძლევდეს.[150]

[144] Grigoleit/*Grigoleit/Tomasic* AktG, 2013, §111 Rn. 19.

[145] თუნდაც მის მიერ შექმნილ მუდმივმოქმედ ან დროებით.

[146] Grigoleit/*Grigoleit/Tomasic* AktG, 2013, §111 Rn. 19.

[147] ასეთივე ინტერპრეტაცია უნდა მიეცეს მეწარმეთა კანონის 55-ე მუხლის მე-7 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის ბოლო წინადადებას. ცალკეული წევრებისათვის ან განსაზღვრული ექსპერტებისთვის ამ დავალების გადაკისრება სწორედ სფეროსამებრ მუშაობის სტილს აფუძნებს, რაც ერთეული შესამოწმებელი საკითხის მაღალკვალიფიციურად და მაღალპროფესიულად გამოკვლევას უწყობს ხელს.

[148] *Werner Paul Schick* in Wachter, AktG, (2012), §111 Rn. 5.

[149] აქციონერთა საერთო კრების მოწვევა, როცა ამას საზოგადოების ინტერესი და კეთილდღეობა (ნება) მოითხოვს. KK-AktG/*Hans-Joachim Mertens/Andreas Cahn,* 3. Auf., 2013, §111 Rn.73 f.

[150] მეწარმეთა კანონის ჩანაწერი აპელირებას აპრიორი რიგგარეშე კრებაზე არ უნდა აკეთებდეს: „სამეთვალყურეო საბჭო იწვევს საერთო კრებას, თუ ამას საზოგადოების აუცილებლობა მოითხოვს". კანონის 55-ე მუხლის მე-7 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი. იმ შემთხვევაში, როდესაც მოსულია მორიგი კრების ჩატარების დრო და დირექტორატის მიერ იგი შეგნებულად ან

შემდეგი მნიშვნელოვანი ბერკეტი სამეთვალყურეო საბჭოს ხელში არის წლიური ანგარიშის შემოწმება[151] და აუდიტორის გამწესება.[152] ნაციონალური კანონმდებლობა აუდიტორის დანიშვნას საერთო კრებას მიანდობს,[153] თუმცა წესდების ავტონომიურობიდან გამომდინარე სრულიად შესაძლებელია, ეს დავალება პირდაპირ სამეთვალყურეო საბჭოს დაეკისროს. ამის მკრთალი აჩრდილი მეწარმეთა კანონის 55-ე მუხლის მე-7 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის ბოლო წინადადებაში მოჩანს, სადაც საუბარია „განსაზღვრულ ექსპერტზე". თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც, გერმანული სამართლის მსგავსად, აუდიტორს საერთო კრება დანიშნავს, დავალების გამცემი სუბიექტის შესახებ, ნაციონალური კანონმდებლობა დუმს. უნდა ვივარაუდოთ, რომ საზოგადოების სახელით ამ უფლებამოსილების განხორციელება დირექტორატის პრეროგატივა იქნება.[154]

სამეთვალყურეო საბჭოს, ასევე, გამგეობის წევრთა დანიშვნა-გამოწვევის,[155] გამგეობისთვის შინაგანაწესის დადგე-

სხვა მიზეზით არ მოიწვევა, მოწვევაზე უფლებამოსილი სამეთვალყურეო საბჭო უნდა იყოს.

[151] *Werner Paul Schick* in Wachter, AktG, (2012), §111 Rn. 5.

[152] *Hüffer,* AktG, (2012), §111 Rn. 12a.

[153] როგორც ეს პრინციპში გერმანულ სამართალშია.

[154] ასე წესრიგდებოდა აღნიშნული შემთხვევა გერმანულ საკორპორაციო სამართალშიც, თუმცა KontTraG რეფორმით შესული ცვლილება სავაჭრო კოდექსის 318-ე პარაგრაფში ეს დავალება სამეთვალყურეო საბჭოს დაეკისრა. ამით, როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული, გამგეობა, აუდიტორის დანიშვნის მიკერძოებულობას სრულიად ჩამოშორდა. *Hüffer,* AktG, (2012), §111 Rn. 12a.

[155] AktG §84 (ე.წ. პერსონალური კომპეტენცია. *Werner Paul Schick* in Wachter, AktG, (2012), §111 Rn. 5. Personalkompetenz-ის შესახებ იხ. 84-ე პარაგრაფის კომენტარი, მაგ.: Grigoleit/*Vedder* AktG, 2013, §84 Rn. 5 ff;), §87. „მეწარმეთა შესახებ" კანონის 55-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი.

ნის,[156] დირექტორების წინააღმდეგ გამოსვლის[157] ბერკეტი გააჩნია.[158] რაც მთავარია, სამეთვალყურეო საბჭოს მნიშვნელოვანი *პრევენციული ზედამხედველობის*[159] კომპეტენცია თანახელმძღვანელობითი საქმიანობის სფეროზეც აქვს, როდესაც საუბარი თანხმობასავალდებულო[160] გარიგებებზეა.[161] ეს უკანასკნელი[162] დაწვრილებით იქნა ჩამოთვლილი წიგნის III ნაწილში, სადაც აქცენტი სწორედ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობაზე დამოკიდებულ გარიგებებზე გაკეთდა. სააქციო საზოგადოების სამართალში თანხმობასავალდებულო გარიგებების სპეციფიკა იმაში ვლინდება, რომ იგი მიმართულია იმ გადაწყვეტილებებისა და ღონისძიებებისაკენ, რომლებსაც შეუძლიათ ფუნდამენტურად შეცვალონ საწარმოს ქონებრივი, ფინანსურ-მატერიალური ან საშემოსავლო მდგომარეობა.[163] ამიტომ იგი მხოლოდ ძალზე მნიშვნელოვანი ღონისძიებებისათვის არის განკუთვნილი. სააქციო კანონმდებლობის ეს მოცემულობა კი დირექტორატს ავტონომიური მოქმედების ფარგლებს უნარჩუნებს და მის დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს.[164] ამასთან, სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობასავალდებულოობა მაკონტროლებელი რგოლის თანაქმედით და თანაშემსრულებელი ორგანოს სტატუსს კიდევ უფრო აძლიერებს. ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ამ თვალსაზრისით სავალდებულო თანხმობის ინსტიტუტს სამეთალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობისთვისაც აქვს გარკვეული მნიშვნელობა.[165] აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ თანხმობის გაცემის ან თანხმობაზე უარის დროს მნიშვნელოვანია მისი მოქმედების ფარგლების საკითხი. თანხმობასავალდებულოობა, როგორც წესი, შიდაკორპორაციული ინსტიტუტია. ეს ნიშნავს, რომ მას მხოლოდ გამგეობასა და საზოგადოებას შორის შიდაურთიერთობისთვის აქვს მნიშვნელობა. დირექტორატს გარიგების დადება თანხმობის მიღების გარეშეც შეუძლია. ამ შემთხვევაში გარიგება, დადებული საზოგადოების სახელით, იურიდიული ძალმოსილების მქონე, ნამდვილი იქნება გარესამართლებრივ ურთიერთობაში.[166] თუმცა დირექტორატს (შიდა-

[156] AktG §77 Abs. 2 Satz (1). ეს მეწარმეთა კანონის მიხედვით, საწესდებო ავტონომიის შესაბამისად გადასაწყვეტი საკითხია.

[157] დაწვრილებით იხ.: KK-AktG/*Hans-Joachim Mertens/Andreas Cahn*, 3. Auf., 2013, §111 Rn.44 ff; „მეწარმეთა შესახებ" კანონის 55-ე მუხლის მე-7[1] პუნქტი.

[158] *Wolff* in Henn/Jannot/Hagemann (Hrsg.), Hdb. des Aktienrechts, (2009), S. 408.

[159] Grigoleit/*Grigoleit/Tomasic* AktG, 2013, §111 Rn. 41.

[160] Zustimmungsvorbehalte. Grigoleit/ *Grigoleit/Tomasic* AktG, 2013, §111 Rn. 41 ff.

[161] AktG §111 Abs. 4 Satz (2-5); „მეწარმეთა შესახებ" კანონის 55-ე მუხლის მე-8 პუნქტი ასეთი თანხმობის, უფრო სწორედ, თანაქმედების მრავალ შემთხვევას ჩამოთვლის. ეს ამომწურავი არა 55-ე მუხლის მე-8 პუნქტის ბოლო „ი" ქვეპუნქტი.

[162] რაც სამეთვალყურეო საბჭოს, ერთი მხრივ, უფლებად, მეორე მხრივ კი, მოვალეობად განიხილება. Grigoleit/*Grigoleit/Tomasic* AktG, 2013, §111 Rn. 41.

[163] ამასვე ითვალისწინებს კორპორაციული მართვის კოდექსი. *Peltzer*, Deutsche Corporate Governance, (2004), S. 85.

[164] *Lutter/Krieger*, Rechte und Pflichten des Aufsichtsrats, 2008, §3 Rn. 112.

[165] „ბალზამ/პროცედოს" საქმეზე მითითებით იხ.: *Peltzer*, Deutsche Corporate Governance, (2004), S. 86, სადაც სამეთვალყურეო საბჭოს დაეკისრა პასუხისმგებლობა იმისთვის, რომ მას საწარმოს გარკვეული ტრანზაქციის განხორციელებისას თანხმობა უნდა მიეცა გამგეობისთვის, რაც მისი მხრიდან არ გაკეთებულა. სასამართლომ მიიჩნია, რომ სამეთვალყურეო საბჭოს უნდა დაენახა თანხმობასავალდებულოობის მნიშვნელობა და გაეცა ან არ გაეცა თანხმობა. მისი მხრიდან კი ამ მოვალეობის დრღვევამ მაკონტროლებელი ორგანოს პასუხისმგებლობის საკითხი დააყენა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კორპორაციის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე დომინანტი აქციონერი იყო.

[166] თანხმობასავალდებულო გარიგების დროს გამგეობა, სანამ საზოგადოების სახელით მოქმედებას განახორციელებს, მოვალეა მიმართოს სამეთვა-

კორპორაციულად) ამის უფლება არ აქვს და დარღვევამ შესაძლოა მისი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება და ზიანის ანაზღაურება გამოიწვიოს.[167] სამეთვალყურეო საბჭოს პრევენციული კოტროლის ეს ფუნქცია, რომელიც წმინდად შიდაორგანიზაციულად შეიძლება მოინათლოს, არ ნიშნავს დირექტორატის მიმართ მაკონტროლებელი ორგანოს „საინიციატივო ან მითითებითი უფლების არსებობას".[168] იგი მხოლოდ ვეტოს უფლებას აფუძნებს,[169] ისე, რომ საზოგადოების ორგანოთა შორის მოქმედების ჰორიზონტალური დამოკიდებულების პრინციპი შენარჩუნებულია. როგორც წესი, თანხმობას თავად სამეთვალყურეო საბჭო გასცემს, თუმცა ეს არ გამორიცხავს, რომ გარკვეულ გარიგებებზე თანხმობის გაცემაზე სამეთვალყურეო საბჭოს მიერ შექმნილი კომიტეტი იყოს უფლებამოსილი.[170] ეს სამეთვალყურეო საბჭოს სამეწარმეო გადაწყვეტილების განსჯის, მისი მიხედულების საქმეა[171] და ამაში იგი სრულიად თავისუფალია. გამგეობას უფლება აქვს სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან თანხმობის მიუღებლობის შემთხვევაში სავალდებულო თანხმობის მისაღებად აქციონერთა საერთო კრებას მიმართოს.[172] თანხმობა საერთო კრების

ლყურეო საბჭოს გადაწყვეტილების მიღებისთვის, ხოლო შემდეგ გადადგას ნაბიჯი. *Hüffer,* AktG, (2012), §111 Rn. 19.

[167] *Lutter/Krieger,* Rechte und Pflichten des Aufsichtsrats, 2008, §3 Rn. 114.

[168] *E. Vetter* in Marsch-Barner/Schäfer (Hrsg.), Hdb börsennotierte AG, 2. Auf., 2009, §26 Rn 26.

[169] *E. Vetter* in Marsch-Barner/Schäfer (Hrsg.), Hdb börsennotierte AG, 2. Auf., 2009, §26 Rn 26.

[170] KK-AktG/*Hans-Joachim Mertens/Andreas Cahn,* 3. Auf., 2013, §111 Rn. 110.

[171] KK-AktG/*Hans-Joachim Mertens/Andreas Cahn,* 3. Auf., 2013, §111 Rn. 111.

[172] AktG §111 Abs. 4 Satz (3-4). *Bürgers/Israel* in Bürgers/Körber, AktG, 2. Auf., (2011), §111 Rn. 27.

დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხად იქნება წარმოდგენილი[173] და მის მისაღებად მიცემულ ხმათა[174] სამი მეოთხედია საჭირო.[175]

აღნიშნული ჩანაწერი ვერ იქნა მოძიებული „მეწარმეთა შესახებ" კანონში. 55-ე მუხლის მე-8 პუნქტი დისპოზიციური ბუნებისაა, რაც ამ თვალსაზრისით საწესდებო ავტონომიის ფარგლებს არ ზღუდავს. შესაბამისად, საზოგადოების წესდებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს, რომ თანხმობის მიუღებლობის შემთვევაში დირექტორატს უფლება აქვს საკითხის გადასაწყვეტად საერთო კრებას მიმართოს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროს საუბარია იმ შემთხვევაზე, როდესაც სამეთვალყურეო საბჭო გარიგებაზე გამგეობას თანხმობას არ მისცემს. რაც შეეხება შემთხვევას, როდესაც მაკონტროლებელ ორგანოს საერთოდ არაფერი არ მოუმოქმედებია, ანუ ევალებოდა თანხმობის (მიცემა/არმიცემის) გაცემა, მაგრამ ეს არ გაუკეთებია, გამგეობა თავისი დისკრეციის ფარგლებში გადაწყვეტს საერთო კრებისთვის მიმართვა/არმიმართვის საკითხს. შესაბამისად, ეს მოქმედება გამგეობის სამეწარმეო განსჯის სფეროში შედის. რასაკვირველია, გონიერი დირექტორატი ასეთ ვითარებაში საერთო კრებისაგან მოითხოვდა თანხმობას. ეს შემდგომი წარუმატებლობისას[176] გამგეობის წევრთა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას გამოიწვევდა.[177]

[173] *Hüffer,* AktG, (2012), §111 Rn. 20.

[174] და არა წარმოდგენილი კაპიტალის კვალიფიციური უმრავლესობა. *Bürgers/Israel* in Bürgers/Körber, AktG, 2. Auf., (2011), §111 Rn. 27.

[175] *Hüffer,* AktG, (2012), §111 Rn. 20.

[176] თუკი დირექტორატის ავზრახულ ქმედებას არ აქვს ადგილი.

[177] მითუმეტეს, თუკი „დაუწერელი კომპეტენციის" დოქტრინას დავეყრდნობოდით.

4. სამეთვალყურეო საბჭოს მიმართება კორპორაციის სხვა ორგანოსთან

როგორც სს-ის მნიშვნელოვანი შუალედური რგოლი, რომელიც მაკონტროლებელი ფუნქციით არის აღჭურვილი, სამეთვალყურეო საბჭო კორპორაციის სხვადასხვა ორგანოებთან თანამშრომლობს. ეს თანამშრომლობა სხვადასხვა ასპექტში ვლინდება და სხვადასხვაგვარი დატვირთვა აქვს. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ამ თანამშრომლობისა არის ის, რომ სამეთვალყურეო საბჭო, უპირველეს ყოვლისა, ანგარიშვალდებულია საერთო კრების წინაშე. აქციონერთა საერთო კრება უფლებამოსილია დაამტკიცოს ან არ დაამტკიცოს სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში. ეს ნორმა არაპირდაპირ საემთავლყურეო საბჭოს წერილობითი ანგარიშის გაკეთებას ავალდებულებს საერთო კრების წინაშე.[178] საერთო კრება უფლებამოსილია ჩამოაყალიბოს, უფრო სწორედ, აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები და დასვას მათი უკან გამოხმობის, გამოწვევის, თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხი. შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია საერთო კრების წინაშე, ხოლო უფლებამოსილია გამგეობის მიმართ. თუმცა, არასუბორდინაციული ორგანიზაციული სტრუქტურა აქაც შენარჩუნებულია იმ თვალსაზრისით, რომ სამეთვალყურეო საბჭო, როგორც სს-ის დამოუკიდებელი ორგანო, თავისუფალია საერთო კრების მითითებებისაგან და იგი საქმიანობას საკუთარი დისკრეციისა და გადაწყვეტილებების თავისი შეხედულებისამებრ მიღების პრინციპით ახორციელებს.[179] ლიტერატურაში ნათქვამია, რომ სამეთვალყურეო საბჭო გამგეობის ჩამოყალიბების, წევრების

[178] AktG §171 Abs. 2. „მეწარმეთა შესახებ" კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტი.
[179] *Lutter/Krieger,* Rechte und Pflichten des Aufsichtsrats, 2008, §12 Rn. 822.

დანიშვნის დროსაც თავისუფალია და აქციონერთა საერთო კრებას მასზე პირდაპირი ზემოქმედების საშუალება არ აქვს. თუმცა იმასაც აღიარებენ, რომ არაპირდაპირი ზემოქმედების მექანიზმი საერთო კრებისთვის მაინც შენარჩუნებულია, რამდენადაც სააქციო კანონმდებლობით შესაძლებელია საერთო კრებამ გამგეობის ან მისი რომელიმე წევრის ნდობის საკითხი დააყენოს.[180]

ზემოთ აღინიშნა, რომ გამგეობა და სამეთვალყურეო საბჭო საზოგადოების მმართველობას ქმნიან. გამომდინარე აქედან, სამეთვალყურეო საბჭო ყველაზე მჭიდროდ საზოგადოების ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობით ორგანოსთან – დირექტორატთან თანამშრომლობს. სამეთვალყურეო საბჭო უფრო ინტენსიურად იკრიბება, ვიდრე აქციონერთა საერთო კრება. და ეს სავსებით ბუნებრივიცაა, რადგან, როგორც საწარმოს უშუალო მმართველობითი ორგანო, საზოგადოების საქმიანობის წარმართვის კონტროლსა და ზედამხედველობაზე პირდაპირ ვალდებული სუბიექტია. შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს, რომელსაც არ აქვს დირექტორატისთვის მითითებების მიცემის, ხელმძღვანელობით პროცესზე პირდაპირი ჩართულობის უფლებამოსილება, გამგეობის მიმართ არაპირდაპირი, გონივრული, ეფექტური, პრევენციული ღონისძიებების გატარება ევალება. ეს კი განაპირობებს იმას, რომ სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქცია გამგეობასთან შემხებლობაში მისი წევრებით დაკომპლექტებით, წლიური ანგარიშის შემოწმებით და დამტკიცებით, გამგეობისთვის რჩევებისა და კონსულტაციების მიცემით შემოიფარგლება.[181]

[180] *E. Vetter* in Marsch-Barner/Schäfer (Hrsg.), Hdb börsennotierte AG, 2. Auf., 2009, §23 Rn. 18.
[181] *E. Vetter* in Marsch-Barner/Schäfer (Hrsg.), Hdb börsennotierte AG, 2. Auf., 2009, §23 Rn. 20.

5. სამეთვალყურეო საბჭოს გულმოდგინების მოვალეობა[182]

გამგეობის წევრთა გულმოდგინების მოვალეობა, რომელიც სააქციო კანონის 93-ე პარაგრაფით არის გათვალისწინებული, მოქმედებს ასევე სამეთვალყურეო საბჭოს მიმართაც. ამას გერმანული სააქციო კანონის ბლანკეტური 116-ე პარაგრაფიის პირველი წინადადება უზრუნველყოფს. „მეწარმეთა შესახებ" კანონში ამის უზრუნველმყოფი ზოგადი ხასიათის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტია შემოთავაზებული, თუმცა კერძო ნაწილით სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების საქმიანობის გულმოდგინედ განხორციელების მოვალეობა[183] დადგენილია 55-ე მუხლის მე-9 და 56-ე მუხლის მე-4 პუნქტებით.

სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრი დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და თავისუფალი საქმიანობის განხორციელებისას „მოვალეა გამოიყენოს წესიერი და კეთილსინდისიერი ზედამხედველისა და მრჩევლის გულისხმიერება".[184] გულისხმიერების ეს მოვალეობა თანაბრად ვრცელდება სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრზე[185] და შეთანხმებისმიერი

[182] სამეთვალყურეო საბჭოს კონკრეტული მოვალეობების შესახებ დაწვრილებით იხ.: *Lutter/Krieger,* Rechte und Pflichten des Aufsichtsrats, 2008, §12 Rn. 885 ff. ქართულად, შედარებითსამართლებრივ კონტექსტში, ვრცლად შეგიძლია იხ.: *ლადო ჭანტურიას* მონოგრაფია (კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბ. 2006), სადაც სამეთვალყურეო საბჭოს, როგორც ორგანოს და მისი წევრის ვალდებულებებია განხილული. წინამდებარე ნაშრომში საჭიროდ არ მიმაჩნია მისი დაწვრილებით განხილვა, ამიტომ აქ მხოლოდ გულისხმიერების მოვალეობაზე შევჩერდები.

[183] და ამის გამო პასუხისმგებლობის დაკისრება.

[184] *Wolff* in Henn/Frodermann/Jannott, Handbuch des Aktienrechts, (2009), S. 439.

[185] როგორც უფლებების გამოყენების თვალსაზრისით არის თაბრობის პრინციპი დადგენილი, ისეთივე თანასწორმოვალეობის პრინციპია დადგენილი წევრების მხრიდან მოვალეობების განხორციელების დროს. შეად. *Lutter/Krieger,* Rechte und Pflichten des Aufsichtsrats, 2008, §12 Rn. 821.

გამონაკლისის დადგენა პასუხისმგებლობის (გამორიცხვის) თვალსაზრისით არ შეიძლება. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი მოვალეა, მთელი მისი კვალიფიკაცია, პროფესიონალიზმი და გამოცდილება მის საქმიანობას მოახმაროს. ამ კრიტერიუმების განზრახ უარყოფა, მისი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას გამოიწვევს. სამეთვალყურეო საბჭო განსახორციელებელი საქმიანობის გულისხმიერებაზე ვალდებულია, როგორც ერთიანი, მთლიანი ორგანო. შესაბამისად, კომიტეტის ჩამოყალიბება და შემდეგ პასუხისმგებლობის მისთვის გადაკისრება არც კანონით და არც წესდებით არ დაიშვება. უფრო მეტიც, სამეთვალყურეო საბჭო, როგორც ერთიანი კოლეგიური ორგანო, ვალდებულია გულმოდგინედ აკონტროლოს ასევე კომიტეტის მუშაობა.[186] მართალია, სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია როგორც ერთიანი ორგანო, თუმცა ერთგულების, დუმილის, ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის მოვალეობის მასზე სრულფასოვნად გავრცელებიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში საზოგადოების წინაშე მაკონტროლებელი ორგანოს თითოეული წევრიც ხდება პასუხისმგებელი.

[186] *Wolff* in Henn/Frodermann/Jannott, Handbuch des Aktienrechts, (2009), S. 440.

გამოყენებული ლიტერატურა

ქართული

ბახუტაშვილი, გ., აქციათა მცირე პაკეტის მფლობელ აქციონერთა უფლებების დაცვა სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონმდებლობის მიხედვით, საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში, გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი, თბ. 2000, 7-8 მარტი, გვ. 117-126

ბურდული,. ი., ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში (განსაკუთრებით მისი დაფუძნების ეტაპზე), ქართული და ავსტრიული სამართლის მაგალითზე, თსუ-ის გამომცემლობა, თბ. 2008

ბურდული, ი., სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, გამომც. „მერიდიანი", თბ. 2010

ბურდული, ი., საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები; მცირე აქციონერის უფლებათა ფარგლების ბოროტად გამოყენება, წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, გამომც. „მერიდიანი", თბ. 2009

გულაშვილი, ნ., კორპორაციული საფარველის გაჭოლვა, როგორც კრედიტორთა დაცვის განსაკუთრებული ღონისძიება მშობელ-შვილობილ კომპანიათა ურთიერთობის კნტექსტში (აშშ-ისა და ქართული საკორპორაციო სამართლის მიხედვით), ბურდული,

ი., (რედ.), საკორპორაციო სამართლის კრებული I, გამომც. „მერიდიანი“, თბ. 2011

იოსელიანი, ა., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებითსამართლებრივი გამოკვლევა), ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 2007 სპეც. გამოცემა, გვ. 12-71

ლაზარაშვილი, ლ., სასამსახურო ხელშეკრულება საწარმოს დირექტორთან. პარტნიორი და დირექტორი შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობებში, თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, გამომც. „მერიდიანი“, თბ. 2009

მახარობლიშვილი, გ., კაპიტალურ საზოგადოებათა სტრუქტურაში ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელება კორპორაციულ-სამართლებრივ ქმედებათა (შეძენა, შერწყმა) საფუძველზე, სადისერტაციო ნაშრომი, 2013 (ხელნაწერის სახით)

მემარნიშვილი, მ., მცირე აქციონერთა უფლებების დაცვა „სააქციო საზოგადოებათა შესახებ“ კანონის მიხედვით, საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში, გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი, თბ. 2000, 7-8 მარტი, გვ. 127-131

კნიპერი, რ., უმცირესობაში მყოფი პარტნიორის უფლების დაცვა საქართველოს სამეწარმეო სამართლის მიხედვით, საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში, გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი, თბ. 2000

კროფი ბ., პარტნიორის პასუხისმგებლობა, II გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი საკორპორაციო სამართალში, თბ. 2003, გვ. 249-261

რობაქიძე, ს., ინსაიდერული ინფორმაციის ბოროტად გამოყენებით დადებული გარიგებები და კერძოსამართლებრივი შედეგები, ბურდული, ი., (რედ.), საკორპორაციო სამართლის კრებული I, გამომც. „მერიდიანი“, თბ. 2011

ზოიძე, ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ. 2005

ჯუღელი, გ., კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, გამომც. GIZ, თბ. 2010

ჭანტურია, ლ., ნინიძე, თ., მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, III გამოც., გამომც., „სამართალი“, თბ. 2002

ჭანტურია, ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, გამომც. „სამართალი“, თბ. 2006

ჭანტურია, ლ., ევროპის სააქციო საზოგადოება, „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4 2004

ჭანტურია, ლ., კანონი მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში, სერგო ჯორბენაზის საიუბილეო კრებული, გამომც. „ნორმა“, თბ. 1996

ჰოპტი კ., კორპორაციული მართვა ევროპაში: რეგულირების ახალი მოდელი და „რბილი სამართალი“, სამართლის ჟურნალი №1/2009

გერმანული

Altmeppen, Holger/Roth Günther H. (Hrsg.), Gesetz betreffend die Gesellschaften mit beschränkter Haftung (GmbHG), Kommentar, Verlag C. H. Beck, München 2009 (ციტირებულია: *Autor* in Roth/Altmeppen, GmbHG, (2009), §... Rn...)

Altmeppen, Holger, Treupflicht der Minderheitsaktionäre einer AG und Haftung des Stimmrechtsvertreters (Girmes), NJW 1995 (Heft 27), S 1740 ff

Amstutz Max D., Macht und Ohnmacht des Aktionärs (Möglichkeiten und Grenzen der Corporate Governance bei der Wahrung der Aktionärsinteressen), Verlag Neue Zürcher Zeitung, Zürich 2007

Assmann Heinz-Dieter, Schneider Uwe H. (Hrsg.), Wertpapierhandelsgeset, Kommentar, 5. neu bearbeitete und erweiterte Auf., Verlag Otto Schmidt, Köln 2009 (ციტირებულია: Autor in Assmann/Schneider, WpHG, 2009 §... Rn..)

Assmann, Heinz-Dieter/Schneider, Uwe H. (Hrsg.), WpHG. Kommentar., 6. Auf., Verlag Dr. Otto Schmidt, Köln 2012 (ციტირებულია: *Autor* in Assmann/Schneider, WpHG, (2012), §... Rn...)

Aubel, Stephan, Der vereinfachte Bezugsrechtsausschluss, Peter Lang Verlag, Frankfurt a. Main 1998 (ციტირებულია: *Aubel*, Der vereinfachte Bezugsrechtsausschluss, S...)

Bachmann, Gregor, Abschaffung der Hhauptversammlung? in: FS Günter H. Roth, S. 37-51. Holger Altmeppen/Hanns Fitz/Heinrich Honsell (Hrsg.), Festschrift für Günter H. Roth zum 70. Geburtstag, Verlag C. H. Beck, München 2011 (ციტირებულია: *Bachmann* in: FS Günter Roth, S...)

Bachmann, Gregor, Reform der Corporate Governance in Deutschland. Zum Juristentagsgutachten 2012, AG, Heft 16/2012, S 565-579

Ballreich, Hilbert, Fallkommentar, Umwandlungsrecht, 4. wesentlich erweiterte Auf., Luchterhand 2008 (ციტირებულია: *Ballreich*, Fallkommentar, Umwandlungsrecht, (2008), S...)

Barz Carl-Heinz, Klug Ulrich, Wiedemann Herbert, Brönner Herbert, Mellerovicz Konrad, Schilling Wolfgang, Würdinger, Hans, Grosses Kommentar zum AktG, 3. Auf., I Band, Berlin-New-York, 1973 (ციტირებულია: Autor in Grosses Kommentar zum AktG, (1973), S.., Rn...)

Basedow Jürgen, Hopt Klaus J., Zimmermann Reinhardt, Handwörterbuch des Europäischen Privatrechts, Band I, Mohr Siebeck, Tübingen 2009

Baumbach Alfred, Hopt Klaus J., Handelgesetzbuch (Kommentar), 30. neu bearbeitete Auf., Verlag C.H.Beck, München 2000

Baumbach, Alfred, Hopt Klaus J., Handelgesetzbuch, Kommentar mit GmbH & Co, 33. Auf., Verlag C.H.Beck, München 2008 (ციტირებულია: Autor in Baumbach/Hopt, Handelsgesetzbuch, Komm., (2008), S..., Rn...)

Baumbach Adolf, Hopt Klaus J., Handelsgesetzbuch, Kommentar, 35. neu bearbeitete und erweiterte Auf., C. H. Beck, München 2012 (ციტირებულია: Autor in Baumbach/Hopt (Hrsg.), HGB, Kommentar, (2012), §... Rn...)

Baumbach, Adolf/Hueck, Alfred (Hrsg.), Kommentar zum GmbHG, 20. Auf., Verlag C. H. Beck München 2013 (ციტირებულია: *Autor* in Baumbach/Hueck, Komm. GmbHG, 20. Auf., (2013), §... Rn...)

Baums, Theodor/Drinhausen, Florian, Weitere Reform des Rechts der Anfechtung von Hauptversammlungbeschlüssen, Workin Paper Series No. 70, 10/2007, Iinsitute for Law and Finance (ILF), Johann Wolfgang Goethe-Universität Frankfurt

Beckerhoff Tom, Treupflichten bei der Stimmrechtsausübung und Eigenhaftung des Stimmrechtsvertreters, Verlag

Peter Lang, Frankfurt 1996 (ციტირებულია: *Beckerhoff*, Treupflichten bei der Stimmrechtsausübung und Eigenhaftung, S...)

Bicker, Eike, Compliance – organisatorische Umsetzung im Konzern, AG, Heft 15/2012, S. 542-552

Bitter, Georg, Gesellschaftsrecht, Verlag Vahlen, München 2011 (ციტირებულია: *Bitter*, Gesellschaftsrecht, S...)

Bollweg, Hans-Georg, Die Wahl des Aufsichtsrats in der Hauptversammlung der Aktiengesellschaft, Carl Heymanns Verlag, Köln 1997 (ციტირებულია: *Bollweg*, Die Wahl des AR in der HV der AG, S...)

v. Bonin, Gregor, Die Leitung der Aktiengesellschaft zwischen Shareholder Value und Stakeholder-Interessen, Nomos Badeb-Baden 2004 (ციტირებულია: *Bonin*, Die Leitung der AG, 2004, S...)

Bösselmann Kurt, Entwicklung des deutschen Aktienwesens im 19. Jahrhundert: ein Beitrag zur Frage der Finanzierung gemeinschaftlicher Unternehmungen und zu der reform des Aktienrechts, Verlag w. de Gruyter& Co., Berlin 1939

Brahms Johannes, Kapitalmarktentwicklung in der Bundesrepublik Deutschland und ihr Einfluss auf die Finanzierung der Unternehmen, Münster 1969

Büchel Helmut, Rechenberg Wolf, Handbuch des Fachanwalts, Handels und Gesellschaftsrecht, Luchterhand 2009 (ციტირებულია: FA-HGR/Bearbeiter, Kap... Rdn...)

Bürgers Tobias, Körber Torsten (Hrsg.), Heidelberger Kommentar zum AktG, C. F. Müller Verlag, Heidelberg 2008, S. 23 (§1 Rn 15). (ციტირებულია: Autor in Bürgers/ Körber, AktG, §.... Rn...)

Bürgers Tobias, Körber Torsten (Hrsg.), Heidelberger Kommentar zum AktG, 2. Auf., C. F. Müller Verlag, Heidelberg 2011 (ციტირებულია: Autor in Bürgers/Körber, AktG, (2011), §... Rn...)

Canaris, Claus-Wilhelm, Handelsrecht, 24. Auf., Verlag C. H. Beck, München 2008

Canaris, Claus-Wilhelm/Schilling, Wolfgang/Ulmer, Peter (Hrsg.), Handelsgesetzbuch, Grosskommentar, 3. Band, Walter de Gruyter Verlag, Berlin/New-York 2002 (ციტირებულია: *Autor* in GrossKommHGB, §... Rn...)

Cosack Konrad, Lehrbuch des Handelsrechts, 12. neu bearbeitete Auf., Ferdinand Enke Verlag, Stuttgart 1930

Dauner-Lieb, Barbara/Simon, Stefan (Hrsg.), Kölner Kommentar zum Umwandlungsgesetz, Carl Heymanns Verlag, Köln 2009 (ციტირებულია: *Autor* in KK-UmwG, § Rn. 10.)

Deilmann, Barbara/Lorenz, Manuel, Die börsennotierte Aktiengesselschaft, Verlag C. H. Beck, München 2005 (ციტირებულია: *Deilmann/Lorenz,* Die börsennotierte Aktiengesellschaft, §... Rn...)

Dreher, Meinrad, Treupflichten zwischen Aktionaeren und Verhaltenspflichten bei der Stimmrechtsbuendelung, ZHR 1993, 158-172

Dreher, Meinrad, Die Vorstandsveratwortung im Geflecht von Risikomanagement, Compliance und interner Revision, in: Kindler, Peter/Koch, Jens/Ulmer, Peter/Winter, Martin (Hrsg.), Festschrift für Uwe Hüffer zum 70. Geburtstag, Verlag C. H. Beck München 2010, S. 161-177

Dreist, Michael, Die Überwachungsfunktion des Aufsachtsrats bei Aktiengesellschaften – Probleme und Reformüberlegungen aus betriebswirtschaftlicher Sicht, Verlag Dr. Peter Mannhold, Düsseldorf, 1980 (ციტირებულია: *Dreist,* Die Überwachungsfunktion des AR, S...)

Eckhardt, Dirk/Hermanns, Marc (Hrsg.), Kölner Handbuch Gesellschaftsrecht, Carl Heymanns Verlag, Köln 2011 (ციტირებულია: FA-KölnerHdbGesR/*Autor,* Kap... Rdn...)

Engelmeyer, Cäcilie, Die Spaltung von Aktiengesellschaften nach dem neuen Umwandlungsrecht, Verlag Otto Schmidt, Köln 1995

Ersthaler, Jürgen/Füller, Thomas Jens/Schmidt, Burkhardt (Hrsg.), Kommentar zum GmbH-Gesetz, 2. Auf., Luchterhand 2010 (ციტირებულია: *Autor* in Ensthaler/Füller/Schmidt, KommGmbHG, (2010), §21 Rn. 1.)

Ebenroth Carsten Thomas, Boujong Karlheinz, Joost Detlev, Strohn Lutz, Handelsgesetzbuch, Kommentar, Verlag C. H. Beck/Franz Vahlen, München 2008 (ციტირებულია: E/B/J/S/Bearbeiter §... Rn...)

Eisenhardt Ulrich, Gesellschaftsrecht 13. Auf., Verlag C. H. Beck, München 2007

Ensthaler Jürgen (Hrsg.), Gemeinschaftskommentar zum Handelsgesetzbuch mit UN-Kaufrecht, 7. Auf., Wolters Kluwer, 2007 (ციტირებულია: Ensthaler/Bearbeiter (კომენტარის ავტორი), GK-HGB §... Rz....)

Ensthaler Jürgen, Fahse Hermann (Hrsg.), OHG, KG, Stille Gesellschaft, Kompaktkommentar zu §§105 bis 237 HGB, Wolters Kluwer, München 2002 (ციტირებულია: Autor inEnsthaler/Fahse (Hrsg.), OHG, KG, Stille Gesellschaft, Kompaktkommentar zu §§105 bis 237 HGB, §... Rn...)

Fitting, Karl (Hrsg.), Betriebsverfassungsgesetz. Handkommentar, 26. neubearbeitete Auf., Verlag Franz Vahlen, München 2012 (ციტირებულია: *Fitting*, BetrVerG. Komm., §... Rn...)

Fleischer, Holger/Goette Wulf (Hrsg.), Münchener Kommentar zum Gesetz betreffend die Gesellschaften mit beschränkter Haftung – GmbHG, Band 1, Verlag C. H. Beck, München 2010 (ციტირებულია: MünchKommGmbHG/*Autor*, §... Rn...)

Fleischer, Holger, Kompetenzen der Hauptversammlung - eine rechtsgeschichtliche, rechtsdogmatische und rechtsvergeichende Bestandsaufnahme, in Bayer, Walter/Habersack, Mathias (Hrsg.), Aktienrecht im Wandel, I. Band, S. 430-462

Fleischer, Holger (Hrsg.), Handbuch des Vorstandsrechts, Verlag C. H. Beck, München 2006 (ციტირებულია: *Autor* in Fleischer (Hrsg.), HdbVorstandsrechts, §... Rn...)

Flume, Werner, Die Rechtsprechung des II Zivilsenats des BGH zur Treupflicht des GmbH-Gesellschafters und des Aktionaers, ZIP 1995, S. 161-172

Fuchs, Ingo, Der aktienrechtliche Squeeze-out, Carl Heymanns Verlag, Köln 2009

Glanegger, Peter/Kirnberger, Christian/Kusterer, Stefan/Russ, Werner/Selder, Johannes/Stuhlfelner, Ulrich, Heidelberger Kommentar zum Handelsgesetzbuch, Handelsrecht. Bilanzrecht. Steuerrecht, 7. neu bearbeitete Auf., C. F. Müller, Heidelberg 2007 (ციტირებულია: *Autor* in HK-HGB, §... Rz....)

Gross-Bölting, Christian, Gesellschaftervereinbarungen in der Aktiengesselschaft (Eine Untersuchung schuldrechtlichen Nebenabreden unter Berücksichtigung der SE), Verlag Nomos, Baden-Baden 2011

Geier, Bernd M., Gestaltungsfreiheit und Gestaltungsgrenze der mitgliedschaftlichen Treupflicht des Aktionärs, Peter Lang, Franfurt am Main 2007 (ციტირებულია:

Geier, Gestaltungsfreiheit und Gestaltungsgrenze, S...)

Gessler, E., Hefermehl, W., Eckardt, U., Kropff, B., Aktiengesetz, Kommentar, Verlag Franz Vahlen, Band 1, §§ 1-75, München 1984 (ციტირებულია: Autor in Gessler/Hefermehl/Eckardt/Kropff, Aktiengesetz, Kommentar, (1984), S...)

Godin, S., Wilhelmi, H., Kommentar zum AktG, 3. Auf., I Band, Berlin 1968

Goslar Sebastian, Der Referentenentwurf des Gesetzes zur Umsetzung der Aktionärsrechtlinie (ARUG) aus Sicht der Praxis, AG 17/2008 (S. 605-617)

Gotschev E., Staub B., Der Ausschluss von Minderheitsaktionären nach Art. 33 Börsengesetz und durch squeeze out merger gemäss Fusionsgesetz, GesKR 2006

Görling, Helmut/Inderst, Cornelia/Bannenberg, Britta (Hrsg.), Compliance. Aufbau, Management, Risikobereiche, Verlag C. F. Müller, Heidelberg 2010 (ციტირებულია: *Autor* in Görlin/Inderst/Bannenberg (Hrsg.), Compliance, Kap... Rn...)

Grigoleit, Hans Christoph (Hrsg.), AktG. Kommentar, Verlag C. H. Beck München, 2013 (ციტირებულია: Grigoleit/*Autor* AktG, 2013, §... Rn...)

Grunewald, Barbara, Gesellschaftsrecht, 7. vollständig überbearbeitete Auf., Verlag Mohr Siebeck, Tübingen 2008

Grunewald, Barbara, Gesellschaftsrecht, 8. vollständig überbearbeitete Auf., Verlag Mohr Siebeck, 2011

Haag, Oliver/Löffler, Joachim (Hrsg.), Praxiskommentar zum Handelsrecht, ZAP Verlag, Münster 2010 (ციტირებულია: Haag/Löffler/*Autor*, PK-HandelsR, §... Rn...)

Habersack Mathias, Europäisches Gesellschaftsrecht, 4. Auf., Verlag C. H. Beck, München 2011

Habersack Mathias, Mülbert Peter, Schlitt Michael (Hrsg.), Unternehmensfinanzierung am Kapitalmarkt, 2. neu bearbeitete und erweiterte Auf., Verlag Otto Schmidt, Köln 2008 (ციტირებულია: Autor in Habersack/Mülbert/Schlitt (Hrsg.), Unternehmensfinanzierung am Kapitalmarkt, 2008, §... Rz...)

Hadding, Walther, Die Mitgliedschaft in den handelsrechtlichen Personengesellschaften – ein Subjektives Recht? in: FS Rudolf Reinhardt, 1972, S. 250-271.

Happ Wilhelm (Hrsg.), Aktienrecht, Carl Heymans Verlag KG, Köln, Berlin, Bonn, München 1995

Happ Wilhelm (Hrsg.), Aktienrecht, Handbuch-Mustertexte-Kommentar, 3. neubearbeitete und erweiterte Auf., Carl Heymans Verlag KG, Köln/Berlin/Bonn/München 2007

Hasselbach, Kai, Überwachungs- und Beratungspflichten des Aufsichtsrats in der Kriese, NZG 2/2012, S. 41-48.

Hasselbach, Kai/Seibel, Markus, Ad-hoc-Ausschüsse des Aufsichtsrats. Corporate-Governance-Instrument zur Wahrnehmung von Aufsichstratsaufgaben in Sondersituationen, AG, Heft 4/2012, S. 114-123

Hauschka, Christoph E. (Hrsg.), Corporate Compliance. Handbuch der Haftungsvermeidung im Unternehmen, 2. überarbeitete und erweiterte Auf., Verlag C. H. Beck, München 2010 (ციტირებულია: *Autor* in Hauschka, Corporate Compliance, (2010), §... Rn...)

Heidel Thomas (Hrsg.), Aktienrecht und Kapitalmarktrecht, 2. Auf., Verlag Nomos, Baden-Baden 2007 (ციტირებულია: Autor in Heidel, Aktienrecht, (2007), S... Rn...)

Heidel Thomas (Hrsg.), Aktienrecht, Anwaltskommentar, Deutscher Anwaltsverlag, Bonn 2003 (ციტირებულია: Autor in Heidel, Aktienrecht, Anwaltskommentar, (2003), S... Rn...)

Heidenhain Martin, Meister Burkhardt W. (Hrsg.), Münchener Vertragshandbuch, Bd. 1, Gesellschaftsrecht, C. H. Beck, München 2005

Heckschen, Heribert/Heidinger, Andreas (Hrsg.), Die GmbH in der gestaltungs- und Beratungspraxis, 2. Auf., Carl Heymanns Verlag, 2009 (ციტირებულია: *Heckschen/Heidinger,* Die GmbH, §... Rn...)

Henn Günter, Frodermann Jürgen, Jannott Dirk (Hrsg.), Handbuch des Aktienrechts, 8. völlig neu bearbeitete und erweiterte Auf., C. F. Müller, Heidelberg 2009

Henssler, Martin/Strohn, Lutz (Hrsg.), Gesellschaftsrecht. BGB, HGB, PartGG, GmbhG, AktG, UmwG, GenG, IntGesR, Beck'sche Kurz-Kommentare, Band 62, Verlag C. H. Beck, München 2011 (ციტირებულია: Henssler/Strohn/*Autor* AktG, §... Rn...)

Henze, Hartwig, Aktienrecht. Höchstrichterliche Rechtsprechung, 4. neubearbeitete Auf., RWS Verlag, Köln, 2000 (ციტირებულია: *Henze*, Aktienrecht. Höchstrichterliche Rechtsprechung, (2000), S...)

Henze, Hartwig, Aktienrecht. Höchstrichterliche Rechtsprechung, 5. neubearbeitete Auf., RWS Verlag, Köln, 2002 (ციტირებულია: *Henze*, Aktienrecht. Höchstrichterliche Rechtsprechung, (2002), S...)

Hirte Heribert, Kapitalgesellschaftsrecht, 5. neu bearbeitete Auf., RWS Verlag, Köln 2006

Hirte, Heribert, Kapitalgesellschaftsrecht, 7. neu bearbeitete Auf., RWS Verlag, Köln 2012

Hirte, Heribert/Möllers, Thomas M J., Kölner Kommentar zum WpHG, Carl Heymanns Verlag, Köln 2007 (ციტირებულია: *Autor* in KK-WpHG, §... Rn...)

Hoffmann, Dietrich/Preu, Peter, Der Aufsichtsrat. Ein Leitfaden für Aufsichtsräte, 5. Auf., Verlag C. H. Beck, München 2003 (ციტირებულია: *Hoffmann/Preu,* Der Aufsichtsrat, S...)

Hoffmann-Becking, Michael (Hrsg.), Münchener Handbuch des Gesellschaftsrechts (Münch. Hdb. GesR IV), 4.

Auf., Band 4, Aktiengesellschaft, C. H. Beck, München 2012 (ციტირებულია: Münch. Hdb. GesR IV/Autor, (2012), §... Rn...)

Hoffmann-Becking, Michael, „Holzmüller", „Gelatine" und die These von der Mediatisierung der Aktionärsrechte, ZHR 2008, S. 231 ff.

Hoffmann-Becking, Michael, Deutscher Corporate Governance Kodex – Anmerkungen zu Zulässigkeit, Inhalt und Verfahren, in: FS Hüffer, S. 337-353

Hopt Klaus J., Idelle und wirtschaftliche Grundlagen der Aktien-, Bank- und Börsenrechtsentwicklung im 19. Jahrhundert, in: Coing, Wilhelm (Hrsg.), Wissenschaft und Codifikation des Privatrechts im 19. Jahrhundert, Band V., 1980

Hopt, Klaus J., Aktienrecht unter amerikanischem Einfluss, in: FS Claus-Wilhelm Canaris, S. 105-128. Heldrich, Andreas/ Prölss, Jürgen/Koller, Ingo (Hrsg.), Festschrift für Claus-Wilhelm Canaris zum 70. Geburtstag, C. H. Beck, München 2007

Hopt, Klaus J., Comparative Corporate Governance: Ein Themenkatalog, International Congress on Comparative Law, Washington 2010, in: FS Hüffer, S. 355-364

Hopt, Klaus J., Europäisches Gesellschaftsrecht im Lichte des Aktionsplans der Europäischen Kommission vom Dezember 2012, ZGR 2013, S. 165-215

Hopt, Klaus J., Corporate Governance in Europa: neue Regelungsaufgaben und Soft Law, GesRZ 2002, S. 4-13

Hopt Klaus J., Wiedemann Herbert (Hrsg.), Aktiengesetz, Grosskommentar, 4. neubearbeitete Auf., I Band, §§ 1-53, De Gruyter Recht, Berlin, 2004 (ციტირებულია: Autor in GrossKomm. zum AktG, (2004), S... Rn...)

Horn, Norbert (Hrsg.), Heymann Handelsgesetzbuch, Kommentar, 2. Auf., Walter de Gruyter Verlag, Berlin/New York 1999 (ციტირებულია: *Autor*, HGB, §... Rn...)

Hölters Wolfgang (Hrsg.), Kommentar zum Aktiengesetz, Verlag C. H. Beck/Vahlen, München 2011 (ციტირებულია: Hölters/*Autor* §... Rn...)

Hueck Götz, Windbichler Christine, Gesellschaftsrecht, 21. Auf., Verlag C. H. Beck, München 2008

Hueck Götz, Gesellschaftsrecht, München 1998

Hüffer, Uwe, Der Vostand als Leitungsorgan und die Mandats- sowie Haftungsbeziehungen seiner Mitglieder in Bayer, Walter/Habersack, Mathias (Hrsg.), Aktienrecht im Wandel, Ban II, S. 334-388

Hüffer, Uwe, Aktiengesetz, Kommentar, 8. Auf., Verlag C. H. Beck, München 2008 (ციტირებულია: Autor, AktG, (2008), §... Rn...)

Hüffer Uwe, Aktiengesetz, Kommentar, 10. Auf., Verlag C. H. Beck, München 2012 (ციტირებულია: Autor, AktG, (2012), §... Rn...)

Hüffer, Uwe, Compliance im Innen- und Aussenrecht der Unternehmen, in: FS Roth, S. 299-307

Jagenburg, Walter, Erste Erfahrungen mit dem neuen Aktiengesetz, DB 1967, S. 1399-1405

van Kaan, Jürgen (Hrsg.), Vorstand der AG. Führungsaufgaben, Rechtspflichten und Corporate Governance, Erich Schmidt Verlag, Berlin 2005 (ციტირებულია: *Autor* in van Kann (Hrsg.), Vorstand der AG, S...)

Kalss, Susanne, Das österreichische Gesellschafstrecht im Spiegel der Entwicklung des deutschen Rechts, NZG 5/2012, S. 161-167

Kalss, Susanne/Linder, Franz, Minderheits- und Einzelrechte der Aktionären, Verlag Manz, Wien 2006

Kessler, Jürgen/Kühnberger, Manfred (Hrsg.), Umwanglungsrecht, Kompakt-Kommentar, Schäffer-Poeschel Verlag, Stuttgart 2009 (ციტირებულია: *Autor* in Kessler/Kühnberger, Umwandlungsrecht, §... Rn...)

Kindler Peter, Grundkurs Handels- und Gesellschaftsrecht, 3. Auf., Verlag Beck, München 2008

Kitanoff, Alexander, Der Erwerb eigener Aktien, Aktienrückkäufe und Interessen der Gläubiger, Aktionäre und des Kapitalmarkts, Peter Lang, 2009

Kling, Michael, Der besondere Vertreter im Aktienrecht, ZGR 2009, S. 191-230

Klunzinger, Eugen, Grundzüge des Gesellschaftsrecht, 16. Auf., Verlag Vahlen, München, 2012

Koller Ingo, Roth Wulf-Hennig, Morck Winfried (Hrsg.), Handelsgesetzbuch, Kommentar, 6. Auf., Verlag C. H. Beck, München 2007 (ციტირებულია: Autor in Koller/Roth/Morck, Handelsgesetzbuch, Komm., (2007), S... Rn...)

Kort, Michael, Vorstandshandeln im Spannungsverhältnis zwischen Unternehmensinteresse und Aktionärsinteressen, AG, Heft 17/2012, S. 605-610

Köbler Gerhard, Juristisches Wörterbuch, 12. neubearbeitete Auflage, Verlag F. Vahlen, München 2003

Koppensteiner, Hans-Georg/Rüffler, Friedrich, GmbH Gesetz, Kommentar, 3. aktualisierte und erweiterte Auf., Verlag Orac, Wien 2007 (ციტირებულია: *Koppensteiner/Rüffler*, GmbHG, §... Rn...)

Kremer, Thomas/v. Werder, Axel, Unabhängigkeit von Aufsichtsratsmitgliedern: Konzept, Kriterien und Kandidateninformationen, AG, Heft 9, 2013, S. 340-348

Krieger, Gerd, Corporate Governance und corporate Governance in Deutschland, ZGR 1/2012, S. 202-227

Kropff Bruno, Begründung zum Regierungsentwurf eines Aktiengesetzes (Allg. Reg. Bgr.), Aktiengesetz, Textausgabe des Aktiengesetzes vom 6.9.1965, Verlagsbuchhandlung des Instituts der Wirtschaftspüfer GmbH, Düsseldorf 1965

Kropff Bruno, Semler Johanes (Hrsg.), Münchener Kommentar zum Aktiengesetz, Band 1, 2. Auf. (des Gessler/Hefermehl/Eckardt/Kropff, Aktiengesetz), Verlag C. H. Beck/Verlag Franz Vahlen, München 2000

Kropff Bruno, Semler Johanes (Hrsg.), Münchener Kommentar zum Aktiengesetz, Band 1, §§ 1-53, Verlag C. H. Beck/Verlag Franz Vahlen, 2. Auf., München 2000 (ციტირებულია: Autor in MünchKomm. zum AktG, (2000), §... Rn...)

Kort, Michael, Rechtsfragen der Höhe und Zusammensetzung der Vergütung von Mitgliedern des Aufsichtsrats einer AG, in: FS Hüffer Kindler, Peter/Koch, Jens/Ulmer, Peter/Winter, Martin (Hrsg.), Festschrift für Uwe Hüffer zum 70. Geburtstag, C. H. Beck, München 2010, S. 483-500

Körber, Ulrich, Das Stimmrechtsvertretung durch Kreditinstitute, Berlin, 1989 (ციტირებულია: *Körber*, Das Stimmrechtsvertretung durch Kreditinstitute, S...)

Kuthe, Thorsten/Rückert, Susanne/Sickinger, Mirko (Hrsg.), Compliance-Handbuch Kapitalmarktrecht. Publizitäts- und Verhaltenspflichten für Aktiengesellschaften, 2. neubearbeitete und erweiterte Auf., Verlag Recht und Wirtschaft GmbH, Frankfurt am Main 2008 (ციტირებულია: *Autor* in Compliance-Hdb, 2008, Kap... Rn...)

Kübler Friedrich, Gesellschaftsrecht, 5. neubearbeitete und erweiterte Auf., C. F. Müller, Heidelberg 1999

Langenbucher Katja, Aktien- und Kapitalmarktrecht, C. H. Beck, München 2008

Langenbucher Katja, Aktien- und Kapitalmarktrecht, 2. Auf., C. H. Beck, München 2011

Lange Knut, Werner/Wall, Friederike (Hrsg.), Risikomanagement nach dem KonTraG. Aufgaben und Chansen aus betriebswirtschaftlicher und juristischer Sicht, Verlag Franz Vahlen, München 2001 (ციტირებულია: *Autor* in Lange/Wall (Hrsg.), Risikomanagement, §... Rn...)

Lieder, Jan, Der Aufsichtsrat im Wandel der Zeit – Leitlinien der geschichtlichen entwicklung sowie der Fortentwicklung des deutschen Aufsichtsratsystems, JWV, Jena 2006 (ციტირებულია: *Lieder*, Der Aufsichtsrat im Wandel S...)

Leyens, Patrick C., Information des Aufsichtsrats. Ökonomisch-funktionale Analyse und Rechtsvergleich zum englischen Board, Mohr Siebeck, Tübingen 2006 (ციტირებულია: *Leyens*, Information des Aufsichtsrats, S...)

Lutter, Marcus/Hommelhoff, Peter, GmbH-Gesetz, Kommentar, 17. völlig neu bearbeitete und erweiterte Auf., Verlag Otto Schmidt, Köln 2009 (ციტირებულია: *Autor* in Lutter/Hommelhoff, GmbHG, (2009), §... Rn...)

Lutter, Marcus, Die personelle Auswahl von Aufsichtsratsmitgliedern – die rechtliche Sicht, in: Hommelhoff, Peter/Hopt, Klaus J./v. Werder, Axel (Hrsg.), Handbuch Corporate Governance, Leitung und Überwachung börsennotierter Unternehmen in der Rechts- und Wirtschaftspraxis, 2. Auf., Otto Schmidt/Schäffer Poeschel Verlag, Köln . Stuttgardt 2009, S. 321-329

Lutter, Marcus, Der Aufsichtsrat im Wandel der Zeit - von seinen Anfängen bis Heute, in Bayer, Walter/Habersack, Mathias (Hrsg.), Aktienrecht im Wandel, Ban II, S. 389-429

Lutter, Marcus/Krieger, Gerd, Rechte und Pflichten des Aufsichtsrats, 5. neubearbeitete und erweiterte Auf., Verlag Dr. Otto Schmidt, Köln 2008 (ციტირებულია: *Lutter/Krieger,* Rechte und Pflichten des Aufsichtsrats, 2008, §... Rn...)

Lutter, Marcus, Information und Vertraulichkeit im Aufsichtsrat, 3. Auf., Bonn 2004 (ციტირებულია: *Lutter,* Information und Vertraulichkeit im AR, Rz.)

Manz, Gerhard/Mayer, Barbara/Schröder, Albert, Die Aktiengesellschaft. Umfassende Erläuterungen, Beispiele und Musterformulare für die Techtspraxis, 6. Auf., Verlag Haufe, Freiburg. München. Berlin, 2010 (ციტირებულია: Autor in Manz/Mayer/Schröder, Die Aktiengesellschaft, (2010), S...)

Marsch-Barner Reinhard, Schäfer Frank A. (Hrsg.), Handbuch börsennotierte AG, Aktien- und Kapitalmarktrecht, 2. neu bearbeitete Auf., Verlag Otto Schmidt, Köln 2009

Marsch-Barner, Reinhard/Schäfer, Frank A. (Hrsg.), Handbuch börsennotierte Aktiengesellschaft. Aktien- und Kapitalmarkt, 2. Auf., Verlag Dr. Otto Schmidt, Köln 2009 (ციტირებულია: *Autor* in Marsch-Barner/Schäfer (Hrsg.), Hdb börsennotierte AG, 2. Auf., 2009, §... Rn...)

Martens, Klaus-Peter, Leitfaden für die Leitung der Hauptversammlung einer Aktiengesellschaft, 3. Auf., Verlag Dr. Otto Schmidt Köln 2003

Maulbetsch, Hans-Cristoph/Klumpp, Axel/Rose, Klaus-Dieter (Hrsg.), Umwandlungsgesetz, Kommentar, C. F. Müller Verlag, Heidelberg 2009 (ციტირებულია: *Autor* in HK-UmwG, §13 Rn. 8.)

Merkt Hano, Göthel Stephan, US-amerikenisches Gesellschaftsrecht, 2. Auf., Frankfurt 2006

Michalski, Lutz (Hrsg.), Kommentar zum Gesetz betreffend die Gesellschaften mit beschränkter Haftung (GmbH-Gesetz), Band I, 2. neu bearbeitete Auf., Verlag C. H. Beck, München 2010 (ციტირებულია: *Michalski-Autor*, GmbHG, §... Rn...)

Mimberg, Jörg/Gätsch, Andreas, Die Hauptversammlung der Aktiengesellschaft nach ARUG, Verlag C. H. Beck, München 2010 (ციტირებულია: Mimberg/Gätsch, Die HV der AG, §... Rz...)

Mutter, Stefan, Auskunftsansprüche des Aktionärs in der HV, Verlag Dr. Otto Schmidt, Köln, 2002 (ციტირებულია: *Mutter*, Auskunftsansprüche des Aktionärs, S...)

Müöbert, Peter O./Wilhelm, Alexander, Grundfragen des deutschen Corporate Governance Kodex und Entsprechenserklärung nach §161 AktG, ZHR 176 (2012), S. 286-325

Müller Welf, Rödder Thomas (Hrsg.), Beck'sches Handbuch der AG, Gesellschaftsrecht-Steuerrecht-Börsengang, 2. Auf., C. H. Beck, München 2009 (ციტირებულია: Autor in Müller/Rödder (Hrsg.), Beck'sches Hdb. der AG, §... Rn...)

Müller, Welf /Winkeljohann, Norbert (Hrsg.), Beck'sches Handbuch der GmbH, 4. vollständig überbearbeitete und erweiterte Auf., Verlag C. H. Beck, München 2009 (ციტირებულია: *Autor* in Müller/Winkeljohann (Hrsg.), Beck'sches Hdb. der GmbH, (2009), §... Rn...)

Niewiarra, Manfred, Verträge zwischen Vorstand und Aktionär, BB 1998, S. 1961-1965

Oetker Hartmut (Hrsg.), Handelsegesetzbuch, Kommentar, C. H. Beck, München 2009 (ციტირებულია: Autor in Oetker (Hrsg.), HGB, Kommentar, (2009), §... Rn...)

Osterloh-Konrad, Christine, Gefährdet „Empty Voting" dei Willensbildung in der Aktiengesellschaft? Überlegungen zur Proportionalität zwischen Stimmrechtseinfluss und wirtschalftlicher Betroffenheit der Aktionäre, ZGR 1/2012, S. 36-80

Raguss, Gerd, Der Vorstand einer Aktiengesellschaft. Vertrag und Haftung von Vorstandsmitgliedern, Verlag Springer, Berlin 2005 (ციტირებულია: *Raguss*, Der Vorstand der AG, S...)

Raiser Thomas, Veil Rüdiger, Recht der Kapitalgesellschaften, 4. auf., Franz Vahlen, München 2006

Raiser Thomas, Veil Rüdiger, Recht der Kapitalgesellschaften, 5. auf., Franz Vahlen, München 2010

Reinisch, Armin, Der Ausschluss von Aktionären aus der Aktiengesellschaft, Verlag Otto Schmidt, Köln 1992 (ციტირებულია: *Reinisch*, Der Ausschluss von Aktionären, S...)

Paschos, Nikolaos/Goslar, Sebastian, Unabhängigkeit von Aufsichtsratsmitgliedern nach den neuesten Änderungen des Deutschen Corporate Governance Kodex, NZG 35/2012, S 1361-1366

Paschos, Nikolaos/von der Linden, Klaus, Vorzeitige Wiederbestellung von Vorstandsmitgliedern, AG Heft 20/2012, S. 736-740

Peltzer, Martin, Deutsche Corporate Governance. Ein Leitfaden, 2. Auf., C. H. Beck, München 2004, (ციტირებულია: *Peltzer,* Deutsche Corporate Governance, (2004), S...)

Plagemann, Jörg, Die Vergüttung des Aufsichtsrats in der börsennotierten Aktiengesellschaft – unter besonderer Berücksichtigung leitungs- und erfolgsorientierter Vergütungsbestandteile, Verlag Dr. Kovac, Hamburg 2008 (ციტირებულია: Plagemann, Die Vergüttung des AR in der börsennotierten AG, S...)

von Rechenberg, Wolf-Georg, Die Hauptversammlung als oberstes Organ der Akitiengesellschaft, 1986

Renaud Achilles, Das Recht der Actiengesellschaften, 2. vermehrte und verbesserte Auf., Verlag von Bernhard Tauchnitz, Leipzig 1875 (citirebulia: *Renaud,* Das Recht der Actiengesellschaften, S...)

Ring, Gerhard/Grziwotz, Herbert (Hrsg.), Systematischer Praxiskommentar GmbH-Recht für Unternehmer und Berater, Verlag Bundesanzeiger, Köln 2009 (ციტირებულია: *Autor* in Ring/Grziwotz, GmbH-Recht, Praxiskomm., §... Rn...)

Ringleb, Henrik-Michael/Kremer, Thomas/Lutter, Marcus/v. Werder, Axel, Kommentar zum Deutschen Corporate Governance Kodex, 2. Auf., Verlag C. H. Beck,

München 2005 (ციტირებულია: *Autor* in Ringleb/Kremer/Lutter/Werder, DCGK, (2005), S...)

Ringleb, Henrik-Michael/Kremer, Thomas/Lutter, Marcus/v. Werder, Axel, Deutscher Corporate Governance Kodex, Kommentar, 4. Auf., Verlag C. H. Beck, München 2010

Roth, Markus, Information und Organisation des Aufsichtsrats, ZGR 1/2012, S. 343-381

Röhricht Volker, v. Westphalen Graf Friedrich (Hrsg.), Handelsgesetzbuch, Kommentar, 3. neu bearbeitete Auf., Verlag Dr. Otto Schmidt, Köln 2008 (ციტირებულია: Autor in Volker/v. Westphalen (Hrsg.), HGB, Kommentar, (2008), §... Rn...)

Ruoff, Christian, Stimmrechtsvertretung, Stimmrechtsermächtigung und Proxy-System. Stimmrechtsausübung durch Intermediäre in Aktionärsversammlungen – Deutschland, Schweiz und USA im Rechtsvergleich, Verlag V. Florenz GmbH, München 1999 (ციტირებულია: *Ruoff,* Stimmrechtsvertretung, Stimmrechtsermächtigung und Proxy-System, S...)

Priester, Hans-Joachim/Mayer, Dieter (Hrsg.), Münchener Handbuch des Gesellschaftsrechts, 3. Band Gesellschaft mit beschränkter Haftung, 4. Auf., C. H. Beck, München 2012 (ციტირებულია: Münch. Hdb. GesR III/*Grziwotz*, (2012), §18 Rn. 11.)

Püttner, Günter, Das Depotstimmrecht der Banken, Berlin, 1963 (ციტირებულია: *Püttner*, Das Depotstimmrecht der Banken, S...)

Sailer, Viola, Aktienrechtliche Minderheitskompetenzen zwischen Missbrauch und unternehmerischer Entscheidungsfreiheit, Peter Lang, Frankfurt 1999 (ციტირებულია: *Sailer*, Aktienrechtliche Minderheitskompetenzen, S...)

Schäfers, Stefan, Informationsrechte von Aktionären, Verlag Nomos, Baden-Baden 2007 (ციტირებულია: *Schäfers*, Informationsrechte von Aktionären, S...)

Schiffels, Edmund W., Der Aufsichtsrat als Instruments der Unternehmenskooperation. Eine empirische Untersuchung zur Zusammensetzung des Aufsichtsrates aller Aktiengesellschaften in 15 Wirtschaftszweigen de Verarbeitenden Gewerbes in der Bundesrepublik Deutschland, R. G. Fischer Verlag, 1981 (ციტირებულია: *Schiffels*, Der AR als Instrument der Unternehmenskooperation, S. 3)

Schmidt Karsten, Handelsrecht, 5. neubearbeitete Auflage, Carl Heymanns Verlag KG, Köln-Berlin-Bonn-München 1999

Schmidt Karsten, Gesellschaftsrecht, 4. neubearbeitete Auflage, Carl Heymanns Verlag KG, Köln-Berlin-Bonn-München 2002

Schmidt Karsten (Hrsg.), Münchener Kommentar zum Handelsgesetzbuch, Verlag C. H. Beck/Franz Vahlen, München 2006 (ციტირებულია: Autor in K. Schmidt (Hrsg.), MünchKommHGB, (2006), §... Rn...)

Schmidt Karsten, Ebke Wrner F. (Hrsg.), Münchener Kommentar zum Handelsgesetzbuch, 2. Auf., C. H. Beck/Franz Vahlen, München 2008 (ციტირებულია: MünchKommHGB/Bearbeiter, §... Rn...)

Schmidt Karsten, Lutter Marcus (Hrsg.), Aktiengesetz, Kommentar, I Band, §§ 1-149, Verlag Dr. Otto Schmidt, Köln 2008 (ციტირებულია: Autor in Schmidt/Lutter, AktG, (2008), §... Rn...)

Schmidt, Karsten/Ebcke, Werner (Hrsg.), Münchener Kommentar zum Handelsgesetzbuch, Band 4., 3. Auf., C. H. Beck/Franz Vahlen, München 2013 (ციტირებულია: MüKoHGB/*Autor*, 3. Auf., (2013), §... Rn...)

Schmitt, Joachim/Hörtnagl, Robert/Stratz, Rolf-Cristian, Umwandlungsgesetz, Umwandlungssteuergesetz, 5. Auf., C. H. Beck, München 2009 (ციტირებულია: *Autor* in Schmitt/Hörtnagl/Stratz, UmwG, §... Rn...)

Semler, Johannes/Volhard, Rüdiger (Hrsg.), Arbeitshandbuch für die Hauptversammlung, 2. Auf., Verlag C. H. Beck, München 2003)

Semler, Johannes/Volhard, Rüdiger (Hrsg.), Arbeitshandbuch für die Hauptversammlung, 3. Auf., Verlag C. H. Beck, München 2011

Semler, Johannes/Stengel, Arndt (Hrsg.), Umwandlungsgesetz mit Spruchverfahrensgesetz, 2. Auf., C. H. Beck, München 2007 (ციტირებულია: *Autor* in Semler/Stengel, UmwG, §... Rn...)

Semler, Johannes/v. Schenck, Kersten (Hrsg.), Arbeisthandbuch für Aufsichtsratsmitglieder, 3. Auf., C. H. Beck/Franz Vahlen, München 2009 (ციტირებულია: *Autor* in Semler/v. Schenck (Hrsg.), ARHdb, (2009), §... Rn...)

Scholz Franz, Emmerich Volker, GmbH-G, 8. Auf., I. Band, Verlag Dr. Otto Schmidt KG, Köln 1993 (ციტირებულია: Autor in Scholz/Emmerich, GmbH-G, (1993), §... Rn...)

Scholz, Franz (Hrsg.), Kommentar zum GmbHG, 10. neubearbeitete und erweiterte Auf., Verlag Otto Schmidt, Köln 2006 (ციტირებულია: *Scholz-Emmerich*, GmbHG (2006), §... Rdnr...)

Schwerdtfeger Armin (Hrsg.), Gesellschaftsrecht, Kompaktkommentar, Luchterhand 2007 (ციტირებულია: *Autor* in Schwerdtfeger (Hrsg.), (2010), Kap... Rn...)

Schwerdtfeger, Armin (Hrsg.), Fachanwaltskommentar. Gesellschaftsrecht, 2. Auf., Carl Heymanns Verlag 2010 (ციტირებულია: *Autor* in Schwerdtfeger (Hrsg.), (2010), Kap... Rn...)

Seibert Ulrich, Kiem Roger, Schüppen Matthias (Hrsg.), Handbuch der kleinen AG, 5. wesentlich erweiterte Auf., 2008

Spindler Gerald, Stilz, E. (Hrsg.), Kommentar zum Aktiengesetz, Verlag C. H. Beck, München 2007 (ციტირებულია: Autor in Spindler/Stilz, Komm. zum AktG, (2007), §... Rn...)

Spindler Gerald, Stilz, E. (Hrsg.), Kommentar zum Aktiengesetz, 2. Auf., Verlag C. H. Beck, München 2010 (ციტირებულია: Autor in Spindler/Stilz, AktG, (2010), §... Rn...)

Staake, Marco, Ungeschriebene Hauptversammlungskompetenzen in börsennotierten und nicht börsennotierten Aktiengesellschaften, Carl Heymanns Verlag, Köln 2009

Steiner, Klaus, Die Hauptversammlung der Aktiengesellschaft, Verlag C. H. Beck, München 1995 (ციტირებულია: *Steiner*, Die HV der AG, S...)

Stoye-Benk, Cristiane, Handbuch Umwandlungsrecht für die rechtsberatende und notarielle Praxis, 2. neu bearbeitete Auf., C. F. Müller, Heidelberg 2008 (ციტირებულია: *Stoye-Benk*, Handbuch Umwandlungsrecht für die rechtsberatende und notarielle Praxis, (2008), S...)

Schüppen, Matthias/Schaub, Bernhard (Hrsg.), Münchener Anwalts Handbuch Aktienrecht, 2. überarbeitete und aktualisierte Auf., Verlag C. H. Beck, München

2010 (ციტირებულია: Schüppen/Schaub/*Autor*, MAH Aktienrecht, (2010), §... Rn...)

Tilch, Horst (Hrsg.), Deutsches Rechts-Lexikon, Band 1., 2. Auf., C. H. Beck, München 1992

Ulmer, Peter/Habersack, Mathias/Winter, Martin, GmbHG Grosskommentar, Ergänzungsband MoMiG, Mohr Siebeck Verlag, Tübingen 2010 (ციტირებულია: *Ulmer/Autor,* GmbHG Erg.-Band, §... Rn...)

Verspaz Heinz P., Sattler Andreas, Die kleine AG, eine Rechtsform für das mittelständische Unternehmen, 5. aktualisierte und erweiterte Auf., München 2011

Wachter, Thomas (Hrsg.), Kommentar zum Aktiengesetz, Verlag RWS Köln, 1. Auf., 2012 (ციტირებულია: *Autor* in Wachter, AktG, Komm., §... Rn...)

Wedemann, Frauke, Vorzeitige Wiederbestellung von Vorstandmitgliedern: Gesetzesumgehung, Rechtsmissbrauch und intertemporale Organtreu auf dem Prüfstand, ZGR 2013, Band 42, Heft 2, S. 316-331

v. Werder, Axel, Qualifikation und Auswahl von Aufsichtsratsmitgliedern aus betriebswirtschaftlicher Sicht, in: Hommelhoff/Hopt/v. Werder (Hrsg.), Hdb Corporate Governance, S. 332-345

Wiedemann Herbert, Gesellschaftsrecht, Grundlagen, I Bd., C. H. Beck, München 1980

Windbichler, Christine, Gesellschaftsrecht, 23. Auf., C. H. Beck, München 2013

Wicke, Hartmut, Gesetz betreffend die Gesellschaften mit beschränkter Haftung (GmbHG), Kommentar, C. H. Beck, München 2008 (ციტირებულია: *Wicke* (Hrsg.) GmbHG, §... Rn...)

Wilhelm, Jan, Kapitalgesellschaftsrecht, 3. neu bearbeitete und erweiterte Auf., De Gruyter Recht, Berlin 2009 (ციტირებულია: *Wilhelm,* Kapitalgesellschaftsrecht, S...)

Wilsing, Hans-Ulrich (Hrsg.), Deutscher Corporate Governance Kodex, Kommentar, C. H. Beck/Vahlen, München 2012 (ციტირებულია: Wilsing/*Autor* in DCGK, zB. 4.1.1. Rn...)

Zschenderlein, Dirk, Die Gleichbehandlung der Aktionäre bei der Auskunftserteilung in der Aktiengesellschaft, Peter Lang Verlag, Franfurt am Main 2007 (ციტირებულია: *Zschenderlein*, Die Gleichbehandlung der Aktionäre, S...)

Zöllner, Wolfgang/Noack, Ulrich (Hrsg.), Kölner Kommenatr zum Aktiengesetz, 3. neubearbeitete und erweiterte Auf., Carl Heymanns Verlag, Köln 2013 (ციტირებულია: KK-AktG/*Autor,* 3. Auf., 2013, §... Rn...)

Zwissler, Thomas, Treugebot – Treupflicht – Treuebindung. Die Lehre von den mitgliedschaftlichen Treupflichten und Treubindungen und ihre Anwendungsfelder im Recht der Aktiengesellschaft, Peter Lang, Frankfurt

a. Main 2002 (ციტირებულია: *Zwissler*, Treugebot – Treupflicht – Treubindung, S...)

ინგლისური

Allen, William T./Kraakman, Reinier/Subramanian, Guhan Commentaries and Cases on the Law of Business Organization, 3th Edit., Aspen Publishers, New York 2009 (ციტირებულია: *Allen/Kraakman/Subramanian*, Commentaries and Cases, (2009), p...)

Bartlett Joseph W., Fundamentals of Venture Capital, Madison Books, New Jork, Oxford 1999

Berkery Dermot, Raising venture capital for the serious entrepreneuer, McGraw. Hill Publisher, New York 2008

Bevans Neal R., Business organizations and corporate law, Thomson delmar learning, New York 2007

Bainbridge, Stephen M., Corporate Law, 2nd Edit., Foundation Press Thomson West, New Jork 2009 (ციტირებულია: *Bainbridge*, Corporate Law, (2009), p...)

Booth Richard A., Uncorporation: a new age?: Executive compensation, corporate governance and a partner-manager, U. Ill. L. Rev. 2005

Bratton William W., Hedge Funds and Governance Targets, 95 Geo. L. J. 2007

Cox, James D/Hazen, Thomas Lee, Cox & Hazen on Corporations, 2th Edit., Aspen Publishers, 2003

Davies, Paul, Introduction to Company Law, Oxford University Press, 2002

Ferran Eilis, Principles of Corporate Finance Law, Oxford University Press 2008

Fish Jill, The Transamerica Case in: Macey Jonathan R. (Edit.), The Iconic Cases in Corporate Law, Thomson West, St. Paul 2008

Gevurtiz FranklinA., Corporation Law, West Group, St. Paul, Minn. 2000

Gordon Jeffrey N., Ties that bond: Dual class common stock and the problem of shareholder choice in Romano Roberta (Edit.), Foundations of Corporate Law, Foundation Press, New York 1993

Hannigan, Brenda, Company Law, 2th Edit., Oxford University Press, 2009 (ციტირებულია: *Hannigan*, Company Law, (2009), p...)

Hannigan, Brenda, Company Law, 3th Edit., Oxford University Press, 2012 (ციტირებულია: *Hannigan*, Company Law, 3th Edit., (2012), p...)

Hamilton Robert W., The Law of Corporations, 5th Edit., St. Paul 2000

Hetherington, Fact and Legal Theory: Shareholders, Managers, and Corporate Social Responsibility, Stan. L. Rev., 21, 248, 1968-1969, p. 248-292

Jugeli, George, Shareholders' Liability for a Corporation's Obligations – Piercing the Corporate Veil, South Caucasus Law Journal, p. 189-192

Kerr Janet E., Delawere goes shopping for e "new" interpretation of the revlon standard: the efect of the QVC decision on strategic mergers, 58 Alb. L. Rev. 1995

Klein, W. A./Coffe, J. C. Business Organization and Finance, 2. Edith. 2002

Mayson Stephen, French Derek, Ryan Christopher, Company Law, 26-th Edit., Oxford University Press 2009-2010

Palmiter, Alan R. Corporations, 6th Edit., Wolters Kluwer, Austin 2010 (ციტირებულია: Palmiter, Corporations, 6th Edit., (2009), p...)

Pinto, Arthur R./Branson, Douglas M., Corporate Law, 3th Edit., Matthew Bender & Company, San Fancisco 2009 (ციტირებულია: *Pinto/Branson*, Corporate Law, (2009), p...)

Rappaport Alfred, Creating Shareholder Value, New York-London 1986

ირაკლი ბურდული

სააქციო სამართლის საფუძვლები

(გერმანული და ქართული სამართლის მაგალითზე)

II
ტომი

გამომცემლობა „მერიდიანი"
თბილისი, 2013